



ଶୈଳକାର ସାହିତ୍ୟ

କାନ୍ତିଜୀ

କାନ୍ତିଜୀ

କାନ୍ତିଜୀ ବାବୁଙ୍କାନ୍ତିଜୀ
କାନ୍ତିଜୀ ବାବୁଙ୍କାନ୍ତିଜୀ



სერგო სახილი

ნაბიჭვი სამუშაოს

პურიძე მარიამ საშუალო სამოცის ისტორია



გამოიცავისა „კლიმატი”

ბათუმი 2014



წინამდებარე წიგნი გვაცნობს აჭარისწყლის ხეობის ერთ-ერთი ულამაზესი სოფლის – საღორეთის (ახლა პირველი მაისი) წარსულს, აწმუოსა და მომავალს, მოგვითხრობს აჭარის ხეობაში ერთ-ერთი უპირველესი სოფლის სკოლის ისტორიას (ცნობებით ხეობაში მესამე იყო რიგით).

ამ სკოლაში აღზრდილებსა და წარჩინებულ ადამიანებზე ცნობებს შესაბამისი ადგილი აქვს დათმობილი.

ISBN 978-9941-435-33-1

© გამომცემლობა „ალიონი“ - 2014

აცტორისაბან

აჭარაში ინტენსიურად იძეჭდებოდა წიგნები და ბროშურები იუბილარი სკოლების შესახებ, რაც უდავოდ დიდად მნიშვნელოვანია ამ სფეროში დასაქმებული თუ სხვა ადამიანებისათვის.

ბევრი წიგნი წამიკითხვას, თუმცა ბევრიც გამომრჩა და ამის გამო გულიც მტკიცა, თუმცა დრო წინაა.

ყველას თავისებური სტილი და წერის მანერა გააჩნია. ამ მხრივ მე არავის არ ვბაძავ და უნდა ვაუწყო იმათ, ვინც პიროვნულად არ მიცნობს, არ ვარ პედაგოგი, მაგრამ ამ ძნელ საქმეს შევეჭიდე და იმედს ვიტოვებ, რომ დასასრული კარგი ექნება ანუ ეპილოგი წიგნისა ნოსტალგიური იქნება, მაგრამ ვიმედოვნებ საყვედურს ამის გამო არავინ მეტყვის – ვწერ და ვაზროვნებ ისე, როგორც შემიძლია, ხოლო წიგნის ავტორი სკოლის კურსდამთავრუებულებმა შეაფასონ. სხვასაც აქვს უფლება წიგნის ირგვლივ შენიშვნებისა, რასაც სიამოვნებით გავითვალისწინებთ.

შესავალი

სამხრეთ-საქართველოს მზიური კუთხის – აჭარის ისტორიაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1878 წელი, როდესაც ქართულმა ლაშქარმა, რუსეთის არმიასთან ერთად, იგი ოსმალთა ტყველბიდან გამოისხნა. გამოლიანდა საქართველო, ხოლო 1920-იანი წლებში აჭარა აგტონომიური სტატუსით შევიდა ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში. ამ ვითარებით აღფრთვანებული პოეტი – აკაკი წერეთელი თბილისში, მუხრანბატონის სასახლეში, გამართულ ბანკეტზე უდიდესი სიხარულით მიესალმა აჭარის დეპუტაციას და სიტყვითაც მიმართა, დასასრულს კი ასკნის, რომ „საჭროა მამებმა სწორ გზაზე დავაკუნოთ „შვილები“, რათა წინაპრებთან პირშავად არ დავრჩეთო“.

ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და სხვათა მხარდამხარ უდიდესი ენერგიით იღვწოდა პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი, რათა აჭარელ ხალხს საუკუნოვანი სიბნელისა და ჩამორჩენილობისაგან დაედწია თავი, ზიარებოდა დროთა ავტელიოთ შეჩერებულ და დავი-წყებულ ცოდნა-განათლების მადლს. იგი დაუდალავად იბრძოდა აჭარის აღორძინებისა და განათლებისათვის.

გოგებაშვილის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებს მისი თანამედროვე გერმანელი საზოგადო მოღვაწე – არტურ ლაისტი ადარებს „ევროპის განათლებულ ხალხთა სახელმძღვანელოებს“ (ი. გოგებაშვილი. თხ. ტ – 3. გვ. 220).

ი. გოგებაშვილი პედაგოგიური მოღვაწეობით ქართველ ხალხში დიდ როლს ანიჭებდა ეროვნულ თვითშეგნებას. ამ მიმართებით თვლიდა, რომ სწავლება უნდა იყოს მხოლოდ მშობლიურ ენაზე, ხოლო სხვა ენები უნდა ისწავლებოდეს ცალკე საგნად.

მიუხედავად მეფის რუსეთის რევიმისა და წინააღმდეგობებისა ქართველი საზოგადოება ამ აზრს მტკიცებ ემხრობოდა, მოწინავე ინტელიგენცია კი ყოველთვის ემხრობოდა და იდგა ამ მოწოდების სიმაღლეზე.

ამ მიმართებით აჭარაში დედა-ენის აყვავებისათვის ერთადერთი და სწორი გზა იყო სკოლების გახსნა და სწავლება მშობლიურ

ენაზე. დიდი ძალისხმევა იყო საჭირო, რომ დაემდიათ ჯერ კიდევ გაბატონებული რეაქციული როგორც რუსეთის, ისე თურქეთის მხრიდან.

რუსეთი აჭარაში შემოდიოდა თავისი რეაქციული კანონებით, ხოლო ოსმალური უდღისაგან ჯერ კიდევ არ განთავისუფლებულიყო ქართული ცნობიერება. სწორედ ამისთვის იყო მართებული აჭარაში სკოლების გახსნის აუცილებლობა და ახსნა-განმარტებები იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ გათავისუფლებულიყო მოსახლეობა საუკუნეობრივი სიბეჭისა და უმეცრებისაგან.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სანამ აჭარა დაადგებოდა აღმაგლობის გზას, მანამდე სწავლა-განათლება ქართულ ენაზე ჩამკვდარი იყო და ერთადერთი, რაც ისტავლებოდა, იყო არაბული დამწერლობის წიგნები, კწ. „ქითაბები“, საიდანაც მოზარდები ზეპირად ითვისებდნენ ისლამის კანონებსა თუ ლოცვებს. და ყველა ესენი ისტავლებოდა მუსლიმანთა სალოცავ „ჯამესთან“ ახლოს მოთავსებულ შენობაში-მედრესებში, რომელიც თითქმის ყველა სოფელში ფუნქციონირებდა და ემსახურებოდა მხოლოდ სამუსლიმანო სამყაროს, მოზარდებს კი თავისი ქვეყნის წარსულიდან ვერავითარ ცოდნას ვერ აძლევდა. აწმეოსა და მომავლის გზებს შეგნებულად უბნელებდნენ მათ.

სოფელ სალოჩითის მოაცე მიმოხილვა

სოფელი საღორეთი ქალაქ ბათუმიდან 31 კილომეტრითაა დაშორებული, ზღვის დონიდან 150-500 მეტრის ფარგლებშია. შავშე-თის, მესხეთის, აჭარა-გურიის მთათა განმტკიცის ტაფობშია მოქცეული და მრავალფეროვანი ფლორითა და ფაუნით ხასიათდება. სოფლის შემოგარენი მდიდარია წითელ წიგნში შესული და რელიტიური მცხნარებით. საშუალო მოსავლიანია, მჭიდროდ დასახლებულია და აჭარაში ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია.

ხშირად დასტულა შეკითხვა: როდიდან არსებობს სოფელი?

იმ მოსაზრებიდან გამომდინარე, რომ ტერიტორია ციდან არ ჩამოვარდნილა, ეს შეკითხვაც არ უნდა დაისვას. ამ კითხვას ვერავინ გასცემს პასუხს. არავინ იცის ვინ იყო პირველი მოსახლე, რომელ წელს დასახლდა, რა უწოდეს მაშინ დასახლებას და ა. შ. თუ გავითვალისწინებთ სოფელ ჯინიშის ტერიტორიაზე აღმოჩენილ, პირობითად – „პირველი ქადელის“ ნაცხოვრები გამოქვაბულის ასაკს, ალბათ ას საუკუნეს აჭარბებს და არც მარტოსული იქნებოდა. ფაქტია, რომ დასახლება არსებობდა...

მოპოვებული მცირედი ზეპირი გადმოცემებით, თამარ მეფის ვიზიტის საპატივცემულოდ სოფელს „ნადარბაზევი უწოდეს“, მანამდე კი „სავანე“ ერქვაო. ეს კიდეც ავსახე რომანში, რომელიც მაღლე მივა მკითხველამდე.

ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე 1873 წელში მოხვედრილა საღორეთში და ვრცლად აგვიწერს სოფელს. სოფელს სტუმრობდნენ აგრეთვე გიორგი ყაზბეგი, თედო სახოკია, დავით კლდიაშვილი, ფრანგი ორიენტალისტი ჟან მურიე, ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები. ზაქარია ჭიჭინაძე სოფლელთა მონათხოვბზე დაყრდნობით გვაცნობს თუ როგორ შეაწყდნენ სოფლელები სარწმუნოების დაცვის გამო ოსმალ მომხვდურებს. თითქოს სოფელს სახელწოდებაც მათ შეარქვესო, თუმცა დღეს მოძიებული თურქელი საარქივო მასალით მტკიცდება, რომ ოსმალთა მიერ 1566 წელს ჩატარებული პირველი აღწერით სოფელს საღორეთი რქმევია. ჭიჭინაძე აღნიშნავს, რომ

ადრე სხვა სახელი ერქვა, მაგრამ ვერავინ დამისახელაო. ვეთანხმები და, ვიზიარებ კიდევ სოფლელი უხუცესების მოსაზრებას, რომ სოფელს ადრე „ნადარბაზევი“ ერქვაო. სხვადასხვა ინფორმატორებისაგან დღესაც ჟღერს ეს სახელწოდება. თუმცა შეკნიშნავ, რომ დღესაც გვევს ისეთი ვაი-მცოდნები, რომლებიც ყოველგვარ ისტორიულს წალმაუკუდმა ატრიალებენ და ამჟექებენ.

დღევანდელ სახელმწიფო სამანქანე გზისპირას არის ბუნებრივი ახორხლილი ქვების გროვაში თავშესაფარი, რომელსაც „მაღარას“ ვეძახით. ამ მაღარის გავლენით, სოფელს თითქოსდა „მაღარიკარი“ თუ „მაღაროსპირი“ რქმევია. ესეც მისაღებია, მაგრამ ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია უშულოდ მაღარასთან მიმდებარე ტერიტორიაზე, რომელსაც მიზეზთა გამო ამჟამად „კერკეუმი“ ჰქვია.

სოფლის ინტელიგენციამ, რომლებიც საქმაოდ მოგვეპოვებოდა, ალბათ ლორთან დაკავშირებული სახელი იუკადრისა და საბჭოთა წესწყობილების დროს სოფელს „პირველი მაისი“ შეარქევს.

პირველი მაისი, როგორც ვიცით „მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის“ დღეა. ზარ-ზემით აღინიშნებოდა ეს თარიღი და უამრავ სიხარულთან ასოცირდებოდა, მაგრამ ეს რიცხვი ვინაიდან წელიწადის ერთ-ერთი თვის კუთვნილებაა, დაე ისევ ამ თვეს შევუარჩენოთ. არაა მართებული ტერიტორიაზე თვის სახელის მიეკუთვნება...

აზრთა სხვადასხვაობაა სოფლად არსებულ ღირსშესანიშნაობებზე. ავიდოთ თუნდაც „მიწიხიდი“, რომელიც მოზრდილ მდინარე „ჭანჭაბადზეა“ აგებული და არავინ იცის რა დროიდან უწოდებენ შეცდომით მიწიხიდს. რა თქმა უნდა მცხოვრებლების შერქმეულია ეს სახელი, თუმცა უფრო სწორია „ჭანჭაბადის ხიდი“ მდინარის შესაბამისად. ხიდი არა შეასაუკუნეებისა, არა თამარ მეფისა, როგორადაც აქდერებენ სწორედაც ვაი-მოამბენი და შეცდომაში შეევანილი პუბლიცისტები, ხიდს სავარაუდოდ III-IV საუკუნეებს მიაკუთვნებენ არქეოლოგები და ნამდვილი ისტორიკოსები, თუმცა დახვეწილი კონსტრუქციით ნაგების გამო თვლიან, რომ უფრო ადრეულ საუკუნეებს ეკუთვნის და კერძოდ რომაელების აგებულად მიიჩნევენ.

თბილისთან ახლოს, მდინარე მტკვარზე, დღესაც შემორჩენილია „პოპკუსის ხიდი“. „ჭანჭახაძის ხიდი“ სავარაუდებელია უახლოვდებოდეს პოპკუსის ხიდის ასაკს, რის თქმის საფუძველს იძლევა „აბრეშუმის გზის“ სახელწოდებით ცნობილი საქარავნო-სავაჭრო გზა, რომელიც სოფელ საღორეთს შუაზე კვეთდა. იმ დროს, ან უფრო მოგვიანებით უნდა იყოს აგებული ამ სამიმოსვლო გზაზე კეთილმოწყობილი მოსასვენებელ-დამისათევიც, რომელიც „ხორჩონადელის“ იმ მონაკვეთზე მდებარეობს, რომელსაც ეს გზა კვეთს. შელახულია, მაგრამ სიძველეზე მიუთითებს. მეორე თუ მესამე დირსშესანიშნაობა იყო „წინაველად“ წოდებულ საყინებში გამავალი ამავე გზაზე კეთილმოწყობილი წყაროს წყალი, რომელიც „მუსლულის“ სახელწოდებითა შემორჩენილი, თუმცა მეყანერეთა დაუდევრობის გამო მისგან აღარაფერია დარჩენილი.

შეორე სადაცო ობიექტი, ასევე სიძველე და დირსშესანიშნაობა იყო სოფლის სამხრეთით, მოზრდილ ბორცვზე აღმართული, სავარაუდოდ აღმაშენებლის ეოქის მშენებლობათა რიგის ციხე-სიმაგრე, რომელსაც გადმოცემით „ხვარაციხე“ რქმევია.

ციხე დაახლოებით 30-მეტრზე დიდი დიამეტრის ყოფილა, ორ-სართულიანი, სახიზარი და საომარი სტრატეგიული დანიშნულებისა. მისგან აღარაფერია დარჩენილი – მოსახლეობას სამშენებლო მასალად გამოუყენებია. ციხის მდებარეობის აღსანიშნავად მხოლოდ შემორჩა თურქული სიტყვის „cala“ -ს შესატყვისი „ნაყულლევი“, რაც ნაციხარის ანალოგია.

1566 წლის ოსმალური პირველი აღწერით, თურქეთის არქივში მოპოვებული დოკუმენტით ცნობილია (ზ. შაშიკაძე – აჭარის ლიგის ვრცელი და მოკლე დავთრები): საღორეთის ციხის რაბათი – 24 კომლი... ყურადღებას იპყრობს ერთი გაუგებრობა. საღორეთის ციხედ მიიჩნევენ (მკვლევარები და ზეპირად ვაი-მოამბენი) სოფლის თავს აღმართულ უზარმაზარ კლდეს, რომელიც ნამდვილად ციხე-სიმაგრის იმიტაციას ქმნის მნახელისათვის, როცა შორიდან შეავლებენ თვალს. კლდის წვეროზე ნამდვილად მდებარეობს სამი მეტრის სიმაღლის და ორმოცამდე კვადრატული მეტრის ფართობის საკომუ-

ნიკაციო ციხე-ქოშეკი, რომელიც თბილისსა და გონიოს ციხე-ქალაქს შერის ჯაჭვური კომუნიკაციის ერთ-ერთი რგოლია. დიახ, ისიც საღორეთისაა, თუმცა არა ციხე-სიმაგრე, არამედ – სათვალთვალო სანიშნე კოშკია, რომელსაც შეცდომით „საღორეთის ციხედ“ თვლიან. თუნდაც ასე იყოს, ამ ციხე-კოშკთან არა თუ კომლის ნაცხოვრებია სავარაუდო, ისეთი ციცაბოა, გავლაც ჭირს. სწორედ ამიტომ ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი მიუთითებს იმ ციხეზე, რომელიც საღორეთის შეაგულში მდებარეობდა.

ციხე-კოშკზე თქმულებაა შემორჩენილი, თითქოს თამარ მეფის ჯარს, ხელიდან ხელში გადაცემით, აჭარისწყლის კალაპოტიდან რიყის ქვები აუზიდია და ისე აუგია. ეს მეტყველებს თამარ მეფისადმი ხალხის უზომო სიყვარულზე და ჯარის სიმრავლეზე, თუმცა ციხე-კოშკზე არც ერთი ცალი რიყის ქვა არ არის ნახმარი.

ნამდვილად თამარ მეფის ბრძანებითაა აგებული და ყოველდა-დიურობაში მას „თამარის ციხედ“ მოვისხნიებთ, ხანაც „ყალებ“ სახელწოდებით, რომელიც ნაშენებია აღილზე მოპოვებული ნამტვრევ-ნაფლეთი ქვებით.

რაც შეეხება „საღორეთის“ სახელწოდებას.

როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, 1566 წელს, ოსმალთა პირველი აღწერით „საღორეთია“ დაფიქსირებული. ის, რომ ღორების სიმრავ-ლის გამო ოსმალებმა უწოდესო, ფაქტობრივად მცდარია, თუმცა რატომ შეერქვა ეს სახელი დასახლებას, მართლაც საინტერესოა.

რაც შეეხება „ცივასულას ციხეს“ (არაერთხელ მაქვს აღწერილი საღორეთის დირსშესანიშნაობები, შემიძლია დაუსრულებლად ვიმეორო, ტავტოლოგიად ნურავინ ჩამითვლის. ადამიანები რომ დაარწმუნო სინამდვილეში, იმდენჯერ უნდა გაუმეორო, რამდენიც საჭიროა). მის „საბიოგრაფიო“ დაფაზე აღნიშნულია შემდეგი: ცივასულა შეერქვა ცივაძეების ნაცხოვრების გამოო... ეს მცდარია. საღორეთში ძალიან ბევრ გვარს უცხოვრია, მაგალითად: ლორთქი-ფანიძეს, სეფერიძეს, კოჩალოლლის (აბულაძე), კაკაოლლის (კაკაბაძე, შემდევ კაკაურიძე), შალიკაშვილებს, დემურჯოდლის (ახლა თურქეთში დემირელი), ყულეჯოდლის და სხვას, ისინი ახსოვთ გადმოცემით,

ზოგი დღევანდვლობაში ფიგურირებენ, მაგრამ ცივაძეების არც ნამსახლარია სადმე და არც მოგონება.

ამიტომ ციხის აბრაზე ტექსტი არ არის მთლად სწორი (ასევე სენებულ მიწიხიდზეც)... აქვე უნდა შევნიშნო, რომ „ცივასულას ციხე“, „თამარის წყარო“, საოვალოვალო ციხე-კოშკი, დანდალოსა და მახუნცეთის ხიდები ერთი თვის განმავლობაშია აგებული.

საღორეთში არის სხვა ღირსშესანიშნაობებიც, კერძოდ, საფორტიფიკაციო ნაგებობის კლდე-საძირკელი, რომელიც მაღარის თავზე მდებარეობს. იქვეა მაღანსადნობი თუ იარაღის გამოჭედვისთვის სამალავი ორი, დიდი ზომის ქვითირის ორმო. ამ საფორტიფიკაციო ნაგებობის მოპირდაპირებ, სოფელ ჯინტის ახლოს, ჯვარქედის დაბლობზე, იქ, სადაც სავარაუდო „პირველი ქედელის“ („ქედ“) სამ თუ ოთხ საუკუნეს ითვლის) ნაცხოვრები, ხელოვნური ანუ ანთროპოგენური ნამოღვაწარი პატარა გამოქვაბულია, ახლოს ყოფილ საღორეთის მსგავსი საფორტიფიკაციო ნაგებობა.

საღორეთში უძველესი, სავარაუდო, წარმართული ხანის მსხვერპლშეწირვის ადგილიცაა, რომლის შემონაკორი ნახევარი საუკუნის უკან ონავარ ბავშვებს დაუშლიათ.

სოფლის შუაგულში გასული საუკუნის შუახანებში იდგა უძველესი მაღანსადნობი ქურა, რომელიც შემდეგში მეთუნეობისთვის გამოიყენებოდა, ბოლოს კი იავარჰევეს.

საღორეთში იწარმოებოდა კოლხური „ბრინჯაოს ცულებიც“. ორი ცალი 1961 წელშია მიკვდეული მამა-შვილ დაუთ და რეზო ქადიძეების მიერ, რვა ცალი კი არმოჩნილია 2009 წლის თებრვალში სოფლის მცხოვრებლების: ხუსეინ, ფრიდონ, ჯელილ დვალიძეების, ზურაბ ღოღლობერიძის, ამირან და თენგო აბულაძეების მიერ სამი ცალი, ხოლო შემდეგ ადგილმდებარეობის დათვალიერებისას კიდევ აღმოგაჩინეთ ხუთი ცალი, ქედის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა ვაჟა ფარტენაძემ და მე, ამირან აბულაძის დახმარებით. არქეოლოგების, პროფესორ ამირან კახიძისა და შოთა მამულაძის დათარიღებით ექსპონატები 3200 წლის იქით გვახედებს. აი, ფაქტობრივი პასუხი დასახლებისაც.

რამდენიმე ტოპონიმური სახელწოდება, რომელიც სულ ცოტა 450 წლის მიღმიღან გვაკვალიანებს.

ტოპონიმი „ჭოდნარი“ ნაწარმოებია ძველქართული სიტყვის „ჭოლო“-სგან, რომელიც ჭარბტენიან, ჭაობადქცეულ ადგილს აღნიშნავს. სახელწოდება ადგილმდებარეობის შესაბამისია.

ტოპონიმი „ფელიკავი“. ძველქართულით „ფელიკი“ – კარვის ზღუდეს, შესასვლელს ნიშნავს. აღნიშნული სახელწოდება სოფელში შესასვლელის საწყისის მიმანიშნებელია.

„ჭანჭახადი“. „ჭანჭახი“ – სველ, ნოტიო და ხრიოკ ადგილს აღნიშნავს ძველქართულით. ადგილმდებარეობის ეს სახელწოდება იქვე მომდინარ დელესაც შეერქვა.

„მოლოქნარა“. ძველქართულით მრავალი განსაზღვრება აქვს სიტყვა „მოლოქს“. უფრო მთოლოგიურად უდერს. საქულტო დანიშნულების ადგილმდებარეობა ყოფილა ალბათ ერთ დროს.

„ბეთლეგი“. წყაროებით ქრისტეს დაბადების ადგილია. ზოგიერთის განსაზღვრებით შორეულს, უღრანს ნიშნავს. ჩეენში იგი ცნობილია სალოცავი ადგილმდებარეობის მიმანიშნებლად, რომელიც საღორეთლებს (და არა მარტო მათ...) ჰქონიათ ოსმალთა მიერ სოფლელთა ამოწყვეტამდე. არ არის მიკვლეული და ვერც ვერავინ ასახელებს თუ სადაა, რა დროიდან ეწოდება და რა პერიოდში დოცულობდნენ. თითქმის ტაბუდადებულია...

და რაც მთავარია:

სოფელ საღორეოს მოსახლეობა ამაურის განათლებული პიროვნებებით, რომლებიც ამ წიგნში ღირსეული ნაბიჯებით და კეთილი საქმეებით წარმოჩინდებიან. მართლაც აქვთ საამაზო, გარდა იმისა, რომ აქარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში და წამყვან პოზიციებზე მოღვაწეობდნენ, საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტშიც დაიკავეს საპატიო დეპუტატის ადგილი. მათზე ცალკე წიგნი იქმნება...

უდალატო, მშრომელი, საქმისმცოდნე, ალალი და პატიოსანი, ღირსეული საღორეთელი და რაც კველაზე თვალშისაცემია, უიშვიათესი, დიმიტრი ბაქრაძის სიტყვებით თუ ვიტყვით – სტუმარომოყვარე ხალხი ცხოვრობს სოფელში.

ბანათლება 1920-იან ნიაბაში

საქართველოს მთლიანობას მოწყვეტილი, ოსმალეთის უდილის ქვეშ მგმინავი ერთ-ერთი საუკეთესო კუთხე – აჭარა, რუსეთ-ოსმალეთის ომში, ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, 1878 წლის ბერლინის ტრაქტატის ძალით ჩამოსცილდა ოსმალეთს და საქართველოს ფარგლებში აღდგა. გაყოფილი ძმების ბედი სამუდამოდ შეიკრა. აჭარას ეღირსა ზიარებოდა ყოველგვარ პროგრესულს.

პირველი, რაც გაკეთდა აჭარაში ქართველი მაჰმადიანებისთვის, იყო ილია ჭავჭავაძის მიერ დაარსებული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი“ საზოგადოების“ წევრთა ძალისხმევთ და დიდი წინააღმდეგობების გადალახვით, ბათუმში პირველი ქართული სკოლის გახსნა 1881 წელს, მაშინ როცა ჯერ კიდევ ბოგინობდა რეაქციულ-მავრაზმული აზროვნება.

ცარიზმის არასწორი პოლიტიკის გამო რუსეთის ვაიმონელექ-

ბისგან იდევნებოდა ეროვნული ტრადიციები და ქართული ენა. ავი-წროებდნენ ყოველივე ქართულს და ამით ხელს უწყობდნენ ოსმალერი რე-უმის ძირგამოთხრელ საქმიანობას, რაც მათი შეუგნებლობით და შოგინისტური მიდგომის გამო ხორციელდებოდა, ეს კი ძალაუნებურად ხელს უწყობდა აჭარელთა შეგნებაში ნათელი სხივების შექრას. თუმცა ყოველივე ამან გააღივა ეროვნული განცალკევების ბოროტი თესლი და მოსახლეობაში



ილია ჭავჭავაძე

არევ-დარევა შეიტანა.

რეაქციული ძალები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ქართველი მაჰმადიანების დაახლოება-დაკავშირებას არა მარტო რუსეთთან, არამედ გაყოფილ ძმებთან – ქართველებთანაც. რომ არა ქართველი ინტელიგენციის მცდელობა, საბოლოოდ დამარცხედებოდა

ეროვნული იდეები. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმატებითაც გაართვეს თავი წამოჭრილ პრობლემებს და ხალხს სწორი გეზი უჩვენეს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, საქართველოს ტერიტორიაზე ქართველი ერის თვითშეგნების დამუხრუჭების ცდას თვით მთავრობაც უწყობდა ხელს. ამგვარ სიტუაციებში მეფის რუსეთის მიერ საქართველოში წარმოგზაცნილი მეფისნაცვლები უანგარო სამსახურს უწევდნენ ადგილზე რეაქციული რეჟიმის დამკიდრებას.

ოსმალური ორიენტაციის ელემენტების, ცარიზმის რეჟიმის და კაპიტალისტური წყობილების მიმდევრებს შუა აჭარის მოსახლეობას სული ქხუთებოდა, – ვერა და ვერ მოიცილეს ის მაჯლაჯუნა, რომელიც სულს აწეა. თუ ქართველი მოწინავე ინტელიგენცია მასებში ავრცელებდა ეროვნულ სულისკვეთებას, აღა-ბეგები და ხოჯა-მოლები ოსმალურ აგიტაციას ეწეოდნენ და მუსულმან მოსახლეობას ქრისტიანებთან მიახლოებას უკრძალავდნენ. მავნებლურმა ქმედებებმა ვითარება ძალიან დაძაბა, მაგრამ აჭარელთა შეგნებაში სწორმა და მიზანმიმართულმა აგიტაციამ წარმოშეა საჭიროება ყოველგვარი რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლისა, რამაც საერთო რევოლუციურ მოძრაობებში პპოვა ასახვა. რელიგიურ ბურუსში გახვეული მოსახლეობის ნაწილი მაინც რჩებოდა ხოჯა-მოლების ტყვეობაში, მათი გავლენის ქვეშ იყენებ მოქცევული ძალიან დიდხანს. აჭარაში ყოველგვარი პროგრესულის და საქართველოს მთლიანობის იდეის წინააღმდეგ მებრძოლ ელემენტთა წინამდოლად ითვლებოდა დირსეული ქართველი პატრიოტის შერიფ-ბეგ სიმშიაშვილის უდირსი შვილი – ჯემალ ბეგი.

აჭარაში XVI საუკუნის ნახევრამდე წიგნიერება თუ პყვაოდა, ოსმალთა შემოჭრამ შეაფერხა კულტურული პოზიციები.

1550-ინი წლებიდან, ვიდრე ოსმალთა უდლიდან განთავისუფლებამდე აჭარაში სწავლა-განათლების მხრივ სრული სიბნელე სუფევდა.

ისეთი საამაყო მეცნიერის, როგორიც ტბელ აბუსერისძე იყო, წარმომშობ ხალხში ცოდნა რომ ჩამკვდარიყო, ნამდვილად არ შეი-

ძლებოდა. აჭარის ისტორიაში ბევრი სახელოვანი ადამიანია ცნობილი, რომელიც ამშენებს და ადიდებს კუთხეს. სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, დიდი შოთა რუსთაველის და მეფეთ-მეფე თამარის თანამედროვის, აჭარის ერისთავთ-ერისთავის ტბელ აბუსერისბის სახელი ნამდვილად აღამაღლებდა არა მარტო აჭარას, არამედ მთლიან საქართველოს. ეს ყველამ უნდა იცოდეს, მაგრამ თუ არ იციან, დიდი შეცდომაა და მიუხედავად ჩვენი ერის წიგნიერებისა, მარტო მეცნიერთა წრეში თუ ცნობილი, ან დაინტერესებულ მკოთხველთა და მწერალთა გულში ცოცხლობს ამ დიდი მეცნიერისა და მწერლის, სახელმწიფო მოღვაწისა და ასტრონომის სახელი, რომლის შედგენილი კალენდრით XVI საუკუნეში რომის პაპმა გრიგოლ XII-მ და კეიისარმა მსოფლიო კალენდარი შეასწორებინეს სწავლულებს და რაოდენ საამაყოა ის ფაქტი, რომ იმას, რასაც XVI საუკუნეში ევროპაში ჯერ კიდევ ვერ აცნობიერებდნენ, XII საუკუნეში აჭარის მთებში იცოდნენ. მარტო ეს რად დირს ამ პატარა კუთხის წიგნიერების სფეროში, რამეთუ ასეთი დირსეული პიროვნებები ქმნიდნენ იმ წიგნიერებასაც, რომელიც თაობებს და საუკუნეებს უნდა გადასწვდენდა.

აჭარაში, ოსმალთა ბატონობის პერიოდში, კაბალური უდლის მოსამორებლად მრავალი სასახელო ადამიანი იბრძოდა. ხალხის გულში მარად ცოცხლობენ ხიმშიაშვილები და აბაშიძეები, ბექანიძეები და მიქელაძეები, კომახიძეები და შერვაშიძეები, ხალიფაშვილები და სხვები, რომლებმაც პატრიოტული სული გადაუდოცეს მომავალ თაობას.

აჭარა მიწასთან რომ არ გასწორებულიყო და ჯოჯოხეთურ სიბნელეს არ შთაენთქა, მისი სიცოცხლის ძარღვს პატრიოტი მებრძოლების მხარდამხარ ზოგიერთი დიდგვაროვანიც დარაჯობდა.

ოსმალთა ძალმომრეობამ ლამის ყველაფერი გადაშალა აჭარელთა ცნობიერებიდან, მაგრამ ბერლინის კონგრესის 1878 წლის გადაწყვეტილებით, როგორც ვიცით აჭარა ოსმალო დამპურობელისაგან გათავისუფლდა, თუმცა მას განმანთავისფელთა მხრიდან საშიშროება დაემუქრა – რუსეთის ქვეშვრდომ კუთხეებში რუსული

მმართველობის ქვეშ უნდა მოქცეულიყო ყველაფერი. ეს კი ეროვნულ მეობას საშიშროებას უქადდა.

ისე როგორც მთელ საქართველოში, აჭარაშიც რუსული მმართველობა ჩაენაცვლა ოსმალურს. 1878 წლიდან 1920-იან წლებამდე, მთელი 40 წლის განმავლობაში აჭარა მმართველობის კუთხით, ხელიდან ხელში გადადიოდა. მონაცევლებდნენ რუსები და გერმანები, ინგლისელები და ოსმალები, მენშევიკები და თეთრგვარდიელები. რევოლუციამდე აჭარა გუბერნიის ერთ-ერთ ოლქად გამოცხადდა და გუბერნატორის პოსტიც დაკანონდა. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ეროვნების გუბერნატორები მმართველობდნენ, რომლებიც ემსახურებოდნენ თავიანთი ქვეყნის ინტერესებს – კომაროვი, ფონ პარკაუ, დრიაგინი, სლავონინსკი (რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები სიმკაცრის გამო სვოლობინსკის უწოდებდნენ), სტაროსელსკი, რომანენკო, პამიდ ბერ, კუპრალისი და სხვები.

1921 წელს აჭარაში დამკვიდრდა ბოლშევიკური მმართველობა, რომელმაც წელში გამართა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველა ეროვნების წარმომადგენლები და რესპუბლიკელები.

ბოლშევიკური მმართველობის ავ-კარგის გარჩევა პოლიტიკოსთა და ისტორიკოსთა საქმეა, მე კი მინდა ვთქვა, რომ საერთო ცხოვრება აღმავლობის გზას დაადგა.

1921 წლიდან საბჭოთა ქვეყანას კომუნისტური პარტია განაგებდა.

1917 წლის რევოლუციამდე ცარიზმი ცდილობდა შემოერთვ-ბული აჭარის მუსლიმანური სასულიერო წოდების მესვეურების თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას, რათა ცარისტული შეხედულებების მიხედვით ემოქმედათ.

მეფის მთავრობა ჯერ კიდევ 1820-იანი წლებიდან ცდილობდა მთლიანი საქართველოს მუსლიმანთა მოქცევას თავისი გავლენის ქვეშ და ამიტომაც ისინი ყოველგვარი გადასახადისაგან გაათავისუფლა. ამ დროისათვის მეფის მთავრობა თბილისში აარსებს მუსლიმანურ სასწავლებელს, რომელსაც უნდა მოემზადებინა მეფის მთავრობის ერთგული სასულიერო პირები. სასწავლებელში იმპერატორისადმი ერთგულების ფიცს ადებინებდნენ, სამაგიეროდ მათ

უპირატესობა პქონდათ სამსახურში და ყოველგვარი დღესახწაულის მოწყობაში, თანაც მატერიალურადაც უზრუნველყოფნები. ამ მიმართებით აჭარაში ხოჯა ლომან ეფენდი ქარცივაძესა და ბათუმის მუფთს – პასან ეფენდი გვერდაძეს (რომელიც მეფის მთავრობის პოლიტიკის ერთგული გამტარებელი და მქადაგებელი იყო) მთავრობა ხელფასს უხდიდა.

1920 წელს საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ურთიერთშორის ყოველგვარი რელიგიის თავისუფლება, მათი ურთიერთთანხმობა, მშვიდობიანი და პატივისმცემლური მოპყრობა გამოაცხადა.

ყველასთვის ხელმისაწვდომი და გასაგები რომ ყოფილიყო, მოწინავე ინტელიგენციის მოთხოვნით, ყურანის ქართულად თარგმნა გახდა საჭირო, რომელიც იმ დროისთვის ქართველ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს პეტრე მირიანაშვილს პქონდა დაწყებული და დაასრულა კიდევ. თარგმანი თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საზოგადოებაში დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის თაოსნობით დაბეჭდა. ყურანი ითარგმნა რუსულიდან, რომელიც ყაზანის უნივერსიტეტში გამოიცა. ყურანი 1906 წელში გამოიცა ყოველგვარი დამატებების გარეშე. მის თარგმნას საზოგადოებაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებით შეხვდნენ – იუნენ მომსრევებიც და მოწინააღმდეგებიც.

საბჭოთა პერიოდში თბილისის უნივერსიტეტში არსებობდა უკავიარაბისტიკის ფაკულტეტი, სადაც ნაცოფიერად მოღვაწეობდნენ პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენციის წარმომადგენლები, პროფესორები – პოლონ სილაგაძე, გოჩა ჯაფარიძე, გიორგი წერეთელი, კარლო კუცია, გიორგი სანიკიძე, მეგი და ნანი მეტრეველები და სხვები.

ისინი ცდილობდნენ, რაც შეიძლება ხელმისაწვდომი და გასაგები ყოფილიყო ქართველი ხალხისათვის მუსლიმანური სამყაროს დომები, ისტორიული წარსული, რელიგიური მრწამსი და მომავლის გეგმები. ამ დიდი პატრიოტული საქმიანობის ერთ-ერთი ნათელი გვირგვინი იყო აჭარაში პირველი ქართული სკოლის გახსნა, რომლის მიზანი იყო მოემზადებინა კადრები აჭარლების ეროვნული

გათვიცნობიერების საქმეში აქტიური და უანგარო მოღვაწეობისათვის, აღმოეფხვრათ მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობა და აღეზარდათ პატრიოტული სულისკვეთებით აღვსილი თაობა.

ამ სკოლამ და მისმა პედაგოგიურმა კოლექტივმა ეს მისია პირნათლად შეასრულეს. მათ სამშობლოს ასეულობით ღირსეული მამულიშვილი შემატეს. ერთ-ერთი პირველი მოწაფე გახლდათ მამაძინან ქართველებზე მაგალითის მიმცემი – მემედ ბეგ აბაშიძე, რომელმაც შემდეგში სასახლო ნაბიჯებით გააგრძელა საქმიანობა.

დიდი ქართველი განმანათლებელი იაკობ გოგებაშვილი დიდ როლს ანიჭებდა სკოლას, „რომ მან მეორედ უნდა შექმნას კაცი, ბუნებისგან შექმნილი ულონი თრუ-ფეხი, ისე გამართოს სულითა და ხორცით, რომ ძლიერ და მორჭმულ არსებად გადააქციოს.“ (იაკობ გოგებაშვილი, თხ. ტბილისი, 1952 წ. გვ. 176-177).



როგორც აღვნიშნე რუსეთი თავისი კოლონიზაციული მიზნების გასაფაროებლად პირველ რიგში ებრძოდა უკვე დაარსებულ სკოლებში ეროვნული იდეების ქადაგებას. ცარიზმის დაქაშებმა იცოდნენ, რომ ეროვნული მარცვლებით ნასაზრდოები ახალგაზრდობა მეფის სამსახურში აღარ ჩადგებოდა, რის გამოც ხელს უშლიდნენ არა თუ სკოლების დაარსებას, არარესულად აზროვნებასაც კი.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სფეროში ცარიზმი უხეშად ერეოდა. მათი

იაკობ გოგებაშვილი კოლონიური პოლიტიკა გამოიხატებოდა ქართველი ხალხის უფლების ყოველმხრივი შეზღუდვით. ცარიზმი აშკარად ადგა საქართველოს სრული რუსიფიკაციის გზას. მათი მიზანი იყო ქართველი ხალხისათვის სრულიად დაევიწყებინათ დედაქანა, გადაეგვარებინათ და მოესპოო საქართველო, როგორც ეროვნული ერთეული.

რუსეთში სწავლამიღებულმა ინტელიგენციამ და ქართველმა

დიდბუნებოვანმა პატრიოტებმა იცოდნენ ცარიზმის ასეთი შოგინისტური შორს გამიზნული გეგმები და ყოველნაირად, ყველა საშუალებით ებრძოდნენ მათ ამ გეგმების ჩასაფუშავად.

უპირველესი ამოცანა იყო სკოლების გახსნა და მოსწავლე კონტინგენტის ზრდა. რაც მეტი იქნებოდა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილი, იმდენად გაძლიერდებოდა საქართველო, ეროვნულობა, ტრადიციები.

ბათუმში გახსნილი სკოლა, ვერ აქმაყოფილებდა მთელი აჭარის მასშტაბით სწავლის მსურველთა მოზიდვას, ამიტომ მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა, მაინც საჭიროდ თვლიდნენ სოფლებში სკოლების დაარსებას. სწავლის მსურველები უფრო და უფრო მატულობდნენ, ხოლო გლეხობას არ შეეძლო ბათუმის სკოლებში ფინანსურად უზრუნველეყოთ ბავშვები, ამიტომ დღის წესრიგში წინაპლანზე სოფლებში სკოლების გახსნის აუცილებლობა დადგა.

ქართველი ინტელიგენციის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს სოფლებში მიზანმიმართული პროპაგანდით პირველ რიგში ქოხ-სამკითხველოების გახსნის აუცილებლობა. დიდი ამაგი გახსწია აჭარის მოსახლეობაში ეთნოგრაფია და მწერალმა ზაქარია ჭიჭინაძემ, რომელმაც აჭარა ფეხით შემოიარა და მოსახლეობა აზიარა იაკობ გოგებაშვილის წიგნებისა და თხზულებების მაღლს. სწორედ ამან შეუწყო ხელი წიგნებით დაინტერესებას და ქოხ-სამკითხველოების ფართო ქსელის შექმნას, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო თავისთავად აჭარელთა გონების განვითარებისათვის.

ყოველგვარ ახალს წინ ედობებოდა ისლამური თუ ცარისტული, ქართველი ერისათვის ძირგამომთხრელი და გამანადგურებელი მავნე რეჟიმი. სწორედ ამ რეჟიმის აბლაბუდა იყო აჭარაში, ისლამიდებული მცხოვრებლებისთვის შემაფერხებებით. დიახ, ეს იყო აჭარელთა დამმარცხებებითი. პატრიოტები, მაღლმოსილი ადამიანები ლრმად იხედებოდნენ დაბურავებულ აჭარელთა სულში და აღვივებდნენ იმ ნაპერწელებს, რომელთაც სწავლა-განათლების ცეცხლი და ხანდარი უნდა გაეჩინათ მათ გონებაში.

გასაბჭოების შემდეგ სახოფლო კლუბებისა და ქოხ-სამკითხვე-

ლოების გახსნის აუცილებლობას დიდი ყერადღება ეთმობოდა. რამდენიც არ უნდა აქრიტიკონ და ატრიალონ კომუნისტური რეჟიმი, მან მაინც დატოვა კეთილი პალი სწავლა-განათლებისა და ცხოვრების სეულ სხვადასხვა სფეროში. აბა რანი ვიქენებოდით, რევოლუციამდე და შეგნებითა და ტექნიკით რომ მოღწეულიყო ყოველივე.

საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე აუცილებელი შეიქმნა მასებში განათლებისა და კულტურული დონის ამაღლება. პრიორიტეტად იქცა ეს წამოწყება და მთავრობის დიდი ყეარდღებაც სწორედ ამ საქმისკენ იყო მიმართული, ვინაიდან შენობა იწყება საძირკვლით და სწორედ შენობის ანუ წყობილების საძირკვლეს წარმოადგენს მცოდნე, განათლებული, ინტელექტუალი ადამიანი. იმთავითებ აუცილებელი შეიქმნა სკოლების მშენებლობა, მოსწავლეთა კონტინგენტის მოზიდვა, ხოლო მათი დაინტერესება უნდა გამოეწვიათ ჩამორჩენილობადაძლეულ და ანაბანის მცოდნე მშობლებს. სწორედ ამიტომ, სანამ სკოლების მშენებლობას ჩაუყრიდნენ საფუძველს, მანამ აარსებდნენ სასოფლო კლუბებს.

კლუბი არის ადამიანთა თავშეყრის, აზრთა გაზიარების, მცირე გარობისა თუ ფოლკლორული შეხვედრების ადგილი, ამასთანავე საწყისია მასების, ჰკვიანთა და საზრიანთა ფართო ასპარეზზე გასვლისა. სწორედ ამ კლუბებში ყალიბდებოდა ისევ და ისევ დაინტერესებულ პირთა მეშვეობით პატარ-პატარა წრები – შაშის, ჰადრაკის, ნარდის მოთამაშეთა, მოგვიანებით ბილიარდისა და ჩოგბურთის, ლიტერატურულ-შემეცნებითი და სხვა სახის ღონისძიებებიც. აქედან ეკრება საფუძველი სწავლა-განათლების აუცილებლობის საკითხს და საყოველთაობას, რამაც დადგითი შედეგი ნამდვილად მოუტანა სოფლის მოსახლეობას. დადებით შედეგებთან ერთად უარყოფითი იყო ის, რომ სოფლებში ჯეროვანი ყერადღება ვერ ექცეოდა კლუბების კანტორის ანუ კულტურის სასახლის თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამის ღონებას. ეს, ასე ვთქვათ, ისევ სოფლის მოსახლეობის ხარჯზე ხდებოდა, ანუ შენობა ისევ და ისევ კერძო მცხოვრებისაგან აიღებოდა ან იჯარით, ან შეისყიდებოდა, მაგრამ მაინც უბადრუებად გამოიყერებოდა თანამედროვე ადამიანთა გათვითცნობიერებ-

ბის საქმეში. ასედაც დარჩა დღემდე. გარდა რამდენიმე სოფლისა დღესაც კულტურის სახლის გარეშე დარჩენილი მოსახლეობა.

როგორც ავღნიშნეთ კლუბების დანიშნულება იყო მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლების ხელშეწყობა. სტატისტიკით ცნობილია, რომ სწორედ ქოხ-სამკითხველოებიდან და კლუბებიდან აიღგეს ფეხი საქვეყნოდ ცნობილმა საზოგადო მოღვაწეებმა, რომლებმაც სახელი და დიდება მოუტანეს რესპუბლიკას, რაიონს თუ ნააკრებ-ნაბუდარ სოფლებს.

სოფელ საღორეთში კლუბი და ქოხ-სამკითხველო გაიხსნა საბჭოთა წყობილების დამყარებისთანავე და მას სათავეში ჩაუკენეს ადგილობრივი მცხოვრები აღიოსმან დევაძე.

1930 წელს საღორეთის ქოხ-სამკითხველოს გამგედ დანიშნეს დავით (ჯასიმ) დევაძე, სადაც კველას იწვევდნენ და უკითხავდნენ გაზეობიდან საჭირო სტატიებს, მართავდნენ საუბრებს, ასწავლიდნენ წერა-კითხებს, უწერდნენ განცხადებებს, თხოვნებს, აძლევდნენ კონსულტაციებს.

1937-1938 წლებში დავით დევაძე დანიშნეს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე არსებული კლუბის გამგედ. საღორეთისა და პირველი მაისის კლუბებს წლების განმავლობაში ბევრი გამგე შეეცვალა, მაგრამ მათი დასახელებებისგან თავს შევიკავებ ეს ცალკე თემაა.

სწავლა-განათლებას იმთავითვე წინააღმდეგობა დახვდა. უკვე ფესვგადგმულ რელიგიას – ისლამს ეწინააღმდეგებოდა სწავლა-განათლების სხვა ფორმა. ადგილობრივი ფანატიკოსი პირველები თუ შემოსული გაფანატიკებული და ამავე მიზნით მოქმედი ხოჯა-მოლები, კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ მცხოვრებთა ყოველგვარი კულტურული დონის ამაღლებისა თუ შემოტანისა. მიუხედავად აშკარა წინააღმდეგობებისა, მაინც იქმნებოდა კლუბები და შენდებოდა სკოლები. ახალ წესწყობილებას და ერს პროგრესულად მოაზროვნე, უანგარო და მიუკერძოებელი ადამიანები სჭირდებოდა. ამ კუთხით მთავრობა სელისშემშლელებთან მიმართებაში დათმობაზე არ მიღიოდა, ვინაიდან სწავლა-აღზრდისა და მასების ინტელექტუალური დონის ამაღლება საშური საქმე იყო.

რადგანაც კლუბების დანიშნულება მასებში კულტურული დონის ამაღლება იყო, სკოლიკურად განწყობილები აღმაცერად უმზერდნენ კლუბების საქმიანობას. იმ დროინდელ განათლებულ ადამიანს, ვინაიდან დედაენას და სხვა საგნების მადლს იყო დაუფლებული, ჩამორჩენილი გონების პატრონი „კოწიად“ მონათლავდნენ. ეს სხვა არაფერია, თუ არა არააჭარელი, ანუ ქრისტიანი ქართველის სინონიმი, რომელიც ისევ ჩამორჩენილ და გაუნათლებულ ადამიანთა უგუნურებაზე მიგვანიშნებს. იმ დროს, გაყოფილ საქართველოს სულიც გაფოფილი ჰქონდა და სულიერებაზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტი იყო. ამდენად კუთხურობის ცნებად აღიქმებოდა უმართებულო და არაფრის მომტანი სიტყვები „თათარი“ და „კოწია“ – ესაა ბეზავი (საცოდავი) და გონებადაბინდული ადამიანების მიერ ხელოვნურად შექმნილი, სარწმუნოებათ შორისი დაბნეულობისა და ზიზღის გამომწვევი სიტყვები, რასაც ალბათ ოდესმე დასასრული ექნება.

რაც შეეხება კლუბებს.

კლუბებმა თავიანთი დანიშნულება გააძმართლეს. ქოხ-სამკითხველოებად გადაქცეულმა კლუბებმა, მასების ინტელექტუალური დონე დიახაც წამოწიეს წინ. უწიგნურობა და უცოდინარობა ქოხ-სამკითხველოებითა და კლუბებით აღმოიფხვრა, რაშიც უდიდესი როლი შეასრულა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოები“ წევრთა აქტიურმა მოღვაწეობამ. ყველა ისინი ერთ საქმეს – მასების გათვითცნობიერებას, მოზარდი თაობის სწავლა-განათლებით დაინტერესებას და ქვეყნისა და სახელმწიფოს სამსახურში კვალიფიკაციური კადრების დასაქმებას ემსახურებოდნენ.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, დაძლეული იქნა ჩამორჩენილობა, რაშიც უდაოდ დიდი წვლილი მიუძღვის სოფლად არსებულ კლუბებს, ქოხ-სამკითხველოებს და უნარიან მუშაკებს.

იცვლება დრო, იცვლება ხალხიც, მაგრამ სახოფლო კლუბების დანიშნულება იგივე რჩება – მშრომელებისთვის თავშეეყრის, გარობისა და დასვენების ობიექტია.

სოფლის კლუბებმა, როგორც ითქვა, ბევრი პიროვნება გამოიცვალა. სხვადასხვა დროს სხვადასხვა პროფესიის ადამიანები ედგნენ

სათავეში ამ დაწესებულებებს, სადაც იმართებოდა სოფლის კრებული, ფუნქციონირებდა ჭრა-კერვის კურსები, მოქმედებდა სიმღერისა და ცეკვის წრეები, გონიერადახვილთა და სხვადასხვა წარმოდგენები.

სოფლისა და სასოფლო საბჭოების ქოხ-სამკითხველოებსა და კლუბებს შესაძლებლობები არ ამოწურვიათ ჯერაც. ისინი ხალხის სამსახურში დიდხანს იქნებიან.

მინდა აღვნიშნო კიდევ ერთი რამ.

კლუბების შექმნის წინამორბედი იყო თბილისელი ქალბატონის მარიამ ორბელიანის მიერ დაარსებული „ლიტერატურული“ სალონი, რომელმაც მალე დასაბამი მისცა ასევე ორბელიანთა ჩამომავლის – მაიკო (იგივე მანანა) ორბელიანის ლიტერატურულ სალონს, რომელიც იმ დროს მთელი თბილისისა და ყველა კუთხიდან შემოსტურებულ ყველა სფეროს წარმომადგენელს აერთიანებდა.

ამ სალონებმა, საქართველოს მაშტაბით დიდი როლი ითამაშეს ადამიანთა შემეცნებისა და ცხოვრების კულტურული დონის ამაღლების საქმეში. სალონების შექმნა დიდი სტიმული იყო სოფლებში იმ დაწესებულების დაარსებისათვის, რაზეც ჟავა გვქონდა საუბარი. ეს ტრადიციები კი კვლავაც გააგრძელებს ფუნქციონირებას და თავის მისიას დიდხანს და დიდხანს შეასრულებს.

სწავლა-განათლების საქმე საქართველოში განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო, რომლის განვითარებისათვის აქტიურად იბრძოდა მწერალი ქალი – ანასტასია ერისთავი – ხოშტარია. ქალაქ გორში შექმნილი საზოგადოება „მანდილოსნის“ დამსახურება ძალიან დიდია ქართველი საზოგადოებრიობის გათვითცნობიერების საქმეში. ეს საზოგადოება მიზნად ისახავდა წერა-კითხვის გავრცელებას და უცოდინარობის ლიკვიდაციას. მისი ერთერთი წევრი გახდედათ ანასტასია ერისთავი-ხოშტარია. ამ საზოგადოების პროგრამას იყი განავრცობდა მხატვრული სიტყვით. მის კალამს ეკუთვნის ბევრი ისეთი ნაწარმოები, რომლებმაც აქტიური როლი შეასრულებს ხალხის გათვითცნობიერებაში.

XIX საუკუნის 60-იან წლებში საქართველოში ჩამოყალიბდა ახალი საზოგადოებრივი ჯგუფი, რომელშიც მოღვაწეობდნენ ილია

ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, ივანე მაჩაბელი და სხვები. ამ ინტელიგენციას რუსეთში მიღებული ცოდნის გამო „ოერგდალეულებსაც“ უწოდებდნენ.

ამ საზოგადოების თავმჯდომარე იყო ილია ჭავჭავაძე.

საქართველოში სწავლა-განათლების შესახებ მრავალგვარი აზრი იყო, რის გამოც საზოგადოება ორ ბანაკად – „მამებად“ და „შვილებად“ გაიყო. ამან კი წარმოშვა ორთაბრძოლა საზოგადოებრივი აზრის თავისებურად დამკიდრებისათვის.

ამ ბრძოლაში ქალთა სქესმაც გამოიჩინა თავი. ბრძოლაში ჩაება რაფიელ ერისთავის უმცროსი და, ბარბარე ერისთავი-ჯორჯაბისა. მას სწავლდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის აუცილებლობისა, ამიტომ ზედმიწევნით მომხსრე იყო სწავლა-განათლებისა.

იმემად, სკოლების უქონლობის გამო სწავლა-განათლება შეზღუდული იყო. განათლების მიღება შეეძლოთ მხოლოდ მაღალი წოდების ადამიანთა შვილებს და თანაც რუსულ ენაზე. ამ შესაძლებლობამ განათლებული ქალები შემატა საქართველოს, რომლებიც აქტიურად იბრძოდნენ საქართველოს მოსახლეობაში სწავლა-განათლების საყოველთაოდ მიღებისათვის.

ქალთაგან მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ ერის ისტორიაში: ეპატერინე გაბაშვილს, ანასტასია თუმანიშვილს, დიმიტრი ყიფიანის ქალიშვილებს, მარიამ დემურიას, მარიამ ვახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანს, ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას და სხვებს.

ქართველი მანდილოსნები რუსეთშიც და საზღვარგარეთაც მიღიოდნენ განათლების მისაღებად. მიუხედავად იმისა, რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკა მიმართული იყო ქართველი ერის გადაგვარებისკენ, ქალები აქტიურად იბრძოდნენ იმისთვის, რომ ეს სენი საქართველოს არ მოსდებოდა.

თავი იჩინა მაგნებლურმა გამოხდომებმაც.

ზოგს მიაწნდა რომ საქართველოში სწავლა-განათლების ამაღლებისათვის სკოლების გახსნა იყო დაკავშირებული ზედმეტ ხარჯებთან და რომ ბავშვები სკოლებში ფუჭდებიან და ცუდლუტ-

დებიან. ასეთი ჭორები ხალხში ბოროტების მარცვლებად ითქვებოდა. უდავოდ დროული იყო პატრიოტი ინტელიგენციის მცდელობა – აეცდინათ მასებისთვის მავნებლური აზრის ზეგავლენა. რის გამოც აგიტაციას ატარებდნენ სკოლებისა და სწავლა-განათლების საჭიროებისა და აუცილებლობის შესახებ.

მავნებლურ ქმედებებს წინ აღუდგა ეკატერინე თარსანმოურავი, რომელსაც, მხარი აუბა დარია მამაცაშვილმა და ქართველი მოწინავე ინტელიგენციის მხარდამხარ იბრძოდნენ როგორც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისთვის, ისე ანტიქართულ მოაზროვნეთა წინააღმდეგ.

რაც შეეხება მარიამ გახტანგის ასულ ჯამბაკურ-ორბელიანის მოღვაწეობას. იგი 1882 წელს თბილისის სათავადაზნაურო სკოლის მზრუნველთა კომიტეტის წევრად აირჩიეს. ამ თანამდებობაზე მისი მთავარი საქმიანობა იყო დარიბ მოსწავლეებზე ზრუნვა. მისივე ინიციატივით ჯერ სკოლის გარეთ, შემდეგ სკოლაშივე გაუხსნიათ მოსწავლეთათვის უფასო სასადილო.

ხალზე ნაყოფიერი იყო მარიამის მოღვაწეობა მთელი სიცოცხლის მანძილზე. მან კეთილი კვალი დატოვა ერის ცხოვრებაში.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთეული აქტიური წევრი, მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი 12 წლის განმავლობაში ამ საზოგადოების წევრი იყო და თავდაუზოგავად და თავდადებულად მოღვაწეობდა. იგი კალმითაც იბრძოდა მაღალი იდეალებისათვის, პარტიული აზროვნებისათვის, მავნებლური ელემენტების დამარცხებისათვის და არ ყოფილა შემთხვევა, რომ საზოგადოებრივ საქმეებს მისი მონაწილეობის გარეშე ჩაევლო.

საზოგადოების დაარსებისთანავე იგი წერდა, რომ „ყოველ სიცოცხლში, რომელიც მაჲმადიანი ქართველებით არის დასახლებული, უნდა გავხსნათ ქართული სკოლები და სკოლებში მასწავლებლებად უნდა გავგზავნოთ ქართველი ქალები, რომლებიც იკისრებენ არა მარტო წერა-კითხვის გავრცელებას, არამედ გავრცელებას მმობისას, ერთობისას, მშვენიერებისა და თავისუფლებისას.“

კიდევ ერთი ქალი, ოლდა გურამიშვილი ნიკოლაძისა (ნიკო

ნიკოლაძის მეუღლე) აქტიურად იბრძოდა სწავლა-განათლების აღმაფლობისათვის. ის გაუთვისებდა მოდვაწე ქალთა იმ პლეიდას, რომელიც საქართველოს კულტურის აქვაგებისათვის იბრძოდა. ეხმარებოდნენ დარიბ მოსწავლეებს, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სკოლების გახსნაში და ხალხის ფართო მასაში განათლების შეტანის საქმეში.

საქართველოს ქალები ყველა წყობაში შესაფერისად იბრძოდნენ ხან ხმლით, ხან კალმით, ხან დიპლომატიურად და რაც მთვარია, მრავალი შვილის დაზრდით.

როგორც ვიცით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე და საერთო ხელმძღვანელი იყო ილია ჭავჭავაძე.

1908 წლამდე ამ საზოგადოების მნიშვნელოვანი ფიგურა იყო უცვლელი თავმჯდომარე (ილიას შემდეგ) ნიკო ცხვედაძე.

საზოგადოების დარსებიდანვე ასევე უცვლელი წევრი იყო გენერალ ლეიტენანტი გიორგი ყაზბეგი, რომელმაც მეფის მთავრობაში ნდობა დაკარგა და იგი 1908 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს.

დიახ, საერთო-საზოგადოებრივმა კრებამ, 1908 წლის 9 მარტის



დადგენილებით, 289 კაცის წევრად დამტკიცების შემდეგ იგი საზოგადოების თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს, ხოლო 15 მარტს ახალმა შემადგენლობამ მთავრი ილედ დაასახელა იაკობ ლულაძე, გამგების მდივნად კი – სიმონ ფირცხალავა.

გიორგი ყაზბეგი დიდხანს მსახურობდა რუსეთში. ერთხანს ვარშავის კომენდანტი იყო, შემდეგ რუსეთ-იაპონიის ომის პერიოდში ვლადივოსტოკის გენერალ-გუბერნატორი.

წერა-კითხვის საზოგადოებაში ყოფნისას, ყოველგვარი სიკეთე მისი ინიციატივებიდან მომდინარეობდა. იგი იმდენად აქტიური და დაფასე-

ბული იყო რომ, 1911 წლის არჩევნების დროს კენჭისყრის გარეშე ისევ თაგმჯდომარედ აირჩიეს. თორმეტი წლის განმავლობაში ედგა სათავეში ამ საზოგადოებას. იგი 1921 წელს გარდაიცვალა.

მრავალი მეცნიერებლი საზოგადოების წევრის, პუბლიცისტისა, მოგზაური მწერლისა და ეთნოგრაფის დამსახურება, ერის კეთილდღეობის საქმეში უდაოდ განუზომელია.

წერა-კითხვის გამაცნულებელი საზოგადოების წამყვანი ფიგურა იყო იაკობ გოგებაშვილი. იგი იყო პირველი სამოსწავლო სახელმძღვანელოების შემდგენელი. მის მიერ შედგენილი „დედა ენა“ „საგანძურო“ და „რუსსკოე სლოვო“ მართლაცდა საგანძურია ერისთვის. დიდზე დიდი განძია საქართველოსთვის.

საკითხავი წიგნები მანამდეც არსებობდა, რომლებითაც აღიზარდნენ ერის სასიქადულო მამული შვილები, მაგრამ ის წიგნები უფრო მეტად სასულიერო იყო და მოსწავლეთათვის ისე დასისტემებული, როგორადაც დღეს ითვლება გოგებაშვილის მიერ ნადვაწ-ნანლიავები საგნები, ნამდვილად არ იყო, ამიტომაც დღეს-დღეობით სწორედ მისი ნადვაწის შედეგია ის, რომ საქართველოს დღევანდელობის ჩათვლით, ისეთი სასახელო და განათლებული ადამიანები ჰყავს, ნებისმიერ დიდ ქვეყანას და ერს რომ დაამშვენებდა.

განუზომელია დაგაწლი დიდი პედაგოგის – იაკობ გოგებაშვილისა. მას არ გამორჩენია მხედველობიდან არცერთი მაშინდელი შეხედულებები სწავლა-აღზრდის სფეროში და ყოველთვის იბრძოდა იმისათვის რომ ქართველი ბავშვები აღზრდილიყვნენ ქართული მენტალიტებით, ქართული ტრადიციების ბალავარზე და რა თქმა უნდა ქართული ენის სადიდებელი ენერგიითა და მისწავლებით. მან ყოველივე ამას უდიდესი წინააღმდეგობების გადალახვით მიაღწია. მნელი იყო ბრძოლა არსებულ რეჟიმთან, მაგრამ გოგებაშვილი არავის და არაფერს არ უშინდებოდა. დღეს იოლია ამის თქმა, მაგრამ ისიც უდაოა, რომ საზოგადოებამ აუტანელ წინააღმდეგობას სძლია და პატრიოტული ენერგიით ყოველგვარი სიკეთე დაუტოვა ერს. მათ მწვანე შუქი აუნთხს მომავლის საქართველოს მშენებელთაობებს ერის.

იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის მაღლა აყენებდა საქვეყნო და საზოგადოებრივ საქმეს, ვიდრე პირადულს. იცოდა, რომ საქვეყნო საქმე საშური იყო, რომ განათლებითა და მოზარდოთა აღზრდით უნდა დაწყებულიყო ჰუმანისტური იდეების განხორციელება, ერის აღორძინება, შემოერთებული მმების – აჭარლების სიღატაკიდან და უმეცრებიდან გამოყვანა და მათთვის, უწინარეს ყოვლისა სკოლების გახსნა და უანგარო, მმური დახმარება რომ იყო საჭირო.

ოსმალთა კლანჭებისაგან აჭარის გამოსახსნელად, დედა-საქართველოსთან მისაერთებლად და შემდეგ განათლების ასა-დორმინისტებლად იბრძოდნენ ისეთი მამული შვილები და პატრიოტები, როგორებიც იყვნენ: სელიმ, ნური და შერიფ სიმშიაშვილები, იბრაიმ, ხუსეინ, მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები. დედფადა ნიუარაძე, გულო-ადა კაიაციშვილი, ლომან ეფენდი ქარცივაძე, ხუსეინ ბეჯანიძე, აბდულ მიქელაძე და ბევრი სხვა. წერა-კიოთხვის გამავრცელებელი და განათლების დამაკვიდრებელი საზოგადოების წევრები: გიორგი და დიმიტრი ერისთავები, ნიკო ცხვედაძე, იაკობ გოგებაშვილი, მამაცაშვილი, თულაშვილი, მაღალაშვილი და სხვები, რომ-ლებიც სიტყვით და საქმით შეუპოვრად იბრძოდნენ დასახული მიზნების განსახორციელებლად. მათ იცოდნენ რომ საქართველოში ჭკვიანი ადამიანები და მათი შვილები ოუ შვილი შვილები გულისფანცქალით და დიდი მოწადინებით ელოდნენ სწავლა-განათლებაში საფუძვლიან ძვრებს, რომ ქვეყნის სამართავად სამშობლოს სიყვარული და თავდადება იყო საჭირო, რომ „ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჭკვა ცოდნით მოიხმარების“. დავით გურამიშვილის ამ შეგონების მიხედვით სულდგმულობდნენ საქართველოში მცხოვრები და უპირველესად მათი დამკალიანებლები.

წერა-კიოთხვის გამავრცელებელი საზოგადოების „ეროვნულმა კომიტეტმა“, ზემოთხსენებული დამფუძნებლების აქტიური მოქმედებით 1879 წელს თბილისში გახსნა სკოლა მშობლიურ ენაზე სწავლებით, რომელსაც წინ უძღვდა არსებული საქველმოქმედო საზოგადოებების მტკიცე მხარდაჭერა ქართველთა, საქართველოში მცხოვრებთა საყოველთაო სწავლა-განათლების მისაღებად, უდარიბეს


მოსახლეობაზე ხელის გასამართვად და ცხოვრების ნათელი, აუგვებული მერმისის მისაღწევად.

აღნიშნული კომიტეტი, რომელიც შემდეგ „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ სტატუსით ჩამოყალიბდა ყველაფერს აკოორდინირებდა სკოლის დაარსებისათვის, მოსახლეობაში სწავლა-განათლების დანერგვისათვის და სწორებდა ამგვარი გეგმით და მისწრაფებით გახსნეს ქ. ბათუმში პირველი ქართული სკოლა, რომელიც თბილისში გახსნილი სკოლის შემდეგ მართლაც პირველი იყო საქართველოს მასშტაბით.

წერა-კითხვის საზოგადოება თაოსნობდა არა მარტო უცოდინარობის ლიკვიდაციას, სწავლა-განათლების მასიურად დანერგვას და სკოლების გახსნას, არამედ აქტიურად იძრძოდა, სოფლებში კლუბებისა და ქოხ-სამკითხველოების, ბიბლიოთეკების დაარსების, წიგნების გამოცემისა და ფართოდ გავრცელებისათვის.

ამ საზოგადოებას ავტორიტეტს უსვაჭდნენ ერის შვილები, ის პირები რომლებიც წლების განმავლობაში თავმჯდომარეობდნენ.

1879-1882 – დიმიტრი ყიფიანი, 1882-1885 – ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, 1885-1907 – ილია ჭავჭავაძე და 1908-1921 გენერალ ლეიტენანტი გიორგი ყაზბეგი.



ნიკო ცხვედაძე

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნის იდეა ჩაისახა 1864 წელს, იოსებ მამაცაშვილის ოჯახში, სადაც ხშირად იმართებოდა მოწინავე ადამიანების შეკრებები. აქ თავს იყრიდნენ: დიმიტრი მუსხელიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, კონსტანტინე მამაცაშვილი, გეგე მადალაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე, მოგვიანებით შემომატებული გიორგი იოსელიანი, ნიკო ცხვედაძე და სხვები. მათი სულისკვეთება იყო საქართველოში სწავლება ყოფილიყო დედაქანაზე, რაც იმ დროისთვის საკმაოდ როცელი ამოცანა იყო, მაგრამ ამ ამოცანის დადებითად გადასაწ-

შვეტად და გეგმაზომიერად წარმართვისათვის გამოინახა გზები თავად მეფისნაცვლის, სტაროსელსკის მხრიდან მისი აქტიური მხარდაჭერით.

როგორც ცნობილია მეფისნაცვლებიდან იგი ერთადერთი ყოფილა, რომელსაც კვარებია ქართველი ერი და საქართველო. ეს ცნობა იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის და სავსებით სამართლიანია ვთქვათ, რომ მანამდე მოქმედი მეფისნაცვლები რეაქციული და ანტისახელმწიფოებრივი, არა ქართული სულით მოქმედებდნენ.

1877-1878 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომში რუსეთის გამარჯვების შემდეგ გაიღებია იმ დადებითმა მუხტმა, რომელმაც საქართველოს ცხოვრებაში დიდი წვლილი შეიტანა, ანუ შეიცვალა რუსეთის დამოკიდებულება ქართველების მიმართ და მათ პატივისცემითაც ეპყრობოდნენ. ეს კი, ცნობილია ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებებიდან, თუ როგორ იქცეოდნენ საქართველოს მთანეთში თუ ბარში დამკვიდრებული მეფის რუსეთის ჯარისკაცები.

აღნიშნული „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ იყო პეტერბურგში მოქმედი „წერა-კითხვის გამავრცელებელი კომიტეტის“ ტყვასცალი. ამ საზოგადოებას პოეტმა გრიგოლ ორბელიანმა შეურჩია ეს სახელწოდება. მისი არჩევაც უნდოდათ საზოგადოების თავმჯდომარევ, მაგრამ მიზეზთა გამოუარი განუცხადებია ამ საპატიო თანამდებობაზე.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავისი შერუცველი ხელი დროულად გააწოდა აჭარას. საქართველოს ტერიტორიაზე სწორედ აჭარა წარმოადგენდა განსაკუთრებით საზრუნავ კუთხეს. მოსახლეობაში უმცირების აღმოსაფხვრელად მას მოფერება და დახმარება სჭირდებოდა. პროგრესულად მოაზროვნე პატრიოტ მამულიშვილთა ყურადღება სწორედ აჭარისკენ იყო მიმართული, ვინაიდნ იცოდნენ რომ ასეულ წლობით დაბეჭავებულ აჭარაში წმინდად შემოინახა ეროვნული კულტურა, დედაქნის სიწმინდე და რომ ყველაზე უფრო ეს იყო დასაფასებელი.

მშერად ხელის გაწვდენა, ზრუნვა ჩამორჩენილობის დასაძლევად, გეგმა და მიზნები ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის, უპირველწ

სი ამოცანა იყო, რომელიც დაგვირგვინდა იღია ჭავჭავაძის მეთაურობით 1881 წლის 23 მარტს აჭარაში პირველი სკოლის გახსნით.

ამ სკოლის ამაგი აჭარელი ხალხისთვის ბევრ წიგნშია ასახული და დაწვრილებით აღარ შევუდგებით აღწერას, ვინაიდან ცნობილი სახეების მიერ შექმნილი აზრების გამეორება მომიწვევს, რაც ვფიქრობ აღარაა საჭირო და საქმარისია ის, რასაც ჩემი ნააზრევით მივაწვდი მკითხველს.

ბევრი დაიწერა აღნიშნულ სკოლაზე და დაინტერესებული მკითხველი უთუოდ იპოვის შესაბამის წიგნებს, სადაც ხატოვნად და ფაქტობრივადაა მოთხოვნილი ყოველივე.

აჭარელთა ცხოვრებაში ეს სკოლა წინგადადგმული ის ნაბიჯი იყო, რომელმაც აამოძრავა ხალხი და მიიყვანა იმ აზრამდე, რომ საჭიროდ ეცნოთ და მთლიან ტერიტორიაზე საფუძველი ჩაეყარათ სკოლების მშენებლობისათვის.

ერთი ცნობა, რომელიც მეტად საინტერესოა: 1880 წლის 18 აგვისტოს, ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ თავისი მოხსენება გაუგზავნა კავკასიის სასწავლო ოლქის შზრუნველს, რითაც ატყობინებდა, რომ 1880 წელს ხულოში გაიხსნა სკოლა, რომლის ინიციატორები იყვნენ სოფელ დიდაჭარის მცხოვრები ყ. ვაშაყაძე, ზემო აჭარის კანცელარიის მდივანი მ. ლორთქიფანიძე და სხვები. ეს ცნობა აწერდაცვლილმა პროფესორმა ფრიდონ სიხარულიძემ გაზეთ „ახალ განათლებაში“ 1999 წლის 17 ივნისის ნომერში გამოაქვეყნა. (ვახტანგ წულუკიძე, განათლების ისტორიისათვის აჭარაში. ბათუმი 2002 წ. გვ. 50).

როგორც ვხედავთ წერა-კითხების გამავრცელებელი საზოგადოებისათვის ხულოელ ენთუზიასტებს დაუსწრიათ სკოლის გახსნა და ვიცოდით, რომ ზედა აჭარაში პირველი სკოლა ხულოში ფუნქციონირებდა. მეორე ქედაში (1900-1905 წ.წ.), მესამე არქივიდან მოპოვებული ცნობით მახუნცეთში (1913 წ.), მეოთხე – ქვედა აგარაში (1916 წ.). ვიცოდით კიდევ ის, რომ სოფელ საღორეთში სკოლა გაიხსნა 1921 წელს, თუმცა ეს თარიღი არადამაჯერებლად გამოიყერება. მაგრამ შემდგებში უფრო დაწვრილებით და უფრო დამაჯერებლად გვექნება საუბარი ამ სკოლაზე.

ზემოთ გვქონდა საუბარი შავბნელი ძალების აჭარაში პარპაშის შესახებ. მავნებლურმა ქმედებამ ხალხი აჟარა თავიანთი საცხოვრებლებიდან და მუჭაჯირობისაკენ უბიძა, მაგრამ აჭარელი პატრიოტების – შერიფ ხიმშიაშვილის, იბრაიმ აბაშიძის, თუფან ბეგ შერვაშიძის, მუჟათი ახმედ ეფენდი ხალიფაშვილის, აბდულ მიქელაძის, პასან ციციშვილის, გულო აღა კაიკაციშვილის, დედუადა ნიქარაძის და სხვათა მცდელობით მოსახლეობა ისევ თავიანთ კერას დაუბრუნდა. აჭარელი პატრიოტების ახსნა განმარტებებით, აგიტაციით ხალხს, ადგილზე ცხოვრების უკეთ მოწყობისთვის იმედი ჩაესახათ, პირველ რიგში კი სწავლა განათლებისთვის აკვალიანებდნენ. ასეთმა აგიტაციამ კი ხალხი გადაარჩინა უცხო ქვეყანაში განთქმნას. ხალხის სულში მავნებლური ფათური და მათი შეგნების დაჩეხვა 1930-იან წლებამდეც მიმდინარეობდა.

ხალხმა შეიგნო, რომ სხვა ქვეყანაში, უცხო ერში, მართლაც ძნელი იქნებოდა ცხოვრების მოწყობა და ზურგი აქცია ფანატიკ მავნებლების მიერ ჭორის დონემდე დახხავებულ იმ აზრს „რომ რუსები აჭარას გატრიან, ძალად გააქრისტიანებენ“ და სხვა. მსგავსი სიცრუსის ტალღას მართლაც გადაარჩინეს პატრიოტებმა აჭარლები.

პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია ყოველგვარი ხერხით ცდილობდა მასების მიმხრობას. არიგებდნენ წიგნებს გათვითცნობიერების მიზნით, კითხულობდნენ ლექციებს სკოლების გახსნის შესახებ.

წიგნების დარიგების საქმეში ფასდაუდებელი სამსახური გასწია მოგზაურმა, მწერალმა და ეთნოგრაფმა, სულიოთ, გულიოთა და საქმით პატრიოტმა, მგზნებარე მამულიშვილმა – ზაქარია ჭიჭინაძემ. მას ამ საქმეში მხარში ედგნენ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრები და მოწინავე ადამიანები, რომლებიც ხალხის ჩამორჩენილობის დასაძლევად ყოველგვარ ხერხს მიმართავდნენ.

ვიდრე თბილისში პირველი ქართული სკოლა გაიხსნებოდა, საქართველოს ქველმოქმედი საზოგადოებრიობა რეგიონებშიც ემებდა და მხარდამჭერებს და დასაყრდენს სკოლების გახსნის აუცილებლების გამო. ქუთაისში ამისთვის დაარსეს გუბერნიის სკოლების განყო-

ფილება, რომელსაც დასავლეთ საქართველოსათვის უნდა მიეხედა.

„ამ განცოცილებამ, 1886 წელს აჭარაში, კერძოდ მაჭახლის ხეობის სოფელ მარადიდში გახსნა სკოლა, მაგრამ დღენაკლული აღმოჩნდა.“ (ვ. წულუკიძე დასახელებული ნაშრომი. გვ. 68)

ზაქარია ჭიჭინაძე კი იუწყება, რომ „1889 წელს მარადიდში გაიხსნა სკოლა, ვინმე ახმედ ეფენდი ხალვაშის თაოსნობით და ოვისივე ხარჯებით, მაგრამ მას წინააღმდეგობა გაუწიეს სასულიერო პირებმა და სკოლა მაღლე დაიხურა.“ (ზაქარია ჭიჭინაძე, „მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები. თბ. 1913 წ. გვ)

„1886 წელსვე მთავრობის მოხელის ალექსანდრე ბერიძის თაოსნობით სულოში იხსნება სკოლა, რომლის ხარჯები მოსახლეობამ გაიღო.“ (ვ. წულუკიძე იქვე, გვ. 68)

ერთერთი პირველი სკოლა 1874 წელს უკვე მოქმედებდა ლანჩხუთის ერთერთ სოფელში, სადაც სწავლობდა 1918 წლამდე არსებული მენეჯერი გური მთავრობის თავმჯდომარე ნოე ქორდანია. (ნ. ქორდანია, „ჩემი წარსული“ თბილისი, 1990 წ.)

მე იმისთვის არ მომიტანია ეს ცნობა, თითქოს ნოე ქორდანიას ვაღმერთებდე, მხოლოდ ვიმოწმებ, რომ 1874 წელს სკოლა იყო და ფუნქციონირებდა.

ზეპირი გადმოცემით ცნობილია რომ სოფელ მარტყოფში ჯერ კიდევ 1763 წელს არსებობდა სკოლა, სადაც წელს 250 წლის იუბილესაც გადაიხდიან სკოლის დაარსებიდან.

სკოლები ემარტებოდა საქართველოს სოფლებს. ჩამორჩენილობის, უმეცრების დაძლევა სწორედ სკოლების დაარსებით იქნებოდა შესაძლებელი და საზოგადოების, ინტელიგენციის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანთა უდიდესი ძალისხმევით შეიძლებოდა ამათი აღმოფხვრა.

როგორც უკვე ავღნიშნე, რამდენიც არ უნდა ატრიალონ, რამდენიც არ უნდა აკრიტიკონ და ლაფში სვაროო კომუნისტური წესწყობილება, გასაბჭოების შემდეგ სწავლა-განათლების საქმემ წინ რომ წაიწია, ეს უტყუარია და თუ ნაკლოვანებებზე მიდგება საუბარი, ყველა წყობილებაში და ყველა სახელმწიფოში არსებობს ნაკლოვანებები. უნაკლო და უწუნო არსად არავინაა. ჩვენ კარგიც უნდა

დავინახოთ და ცუდიც, მაგრამ ამ ცუდს არ უნდა გადავაყოლოთ ყველაფერი. მისი გამოსწორებისთვის ბრძოლა ყველას მართებს.

აჭარაში სკოლების გახსნას მოსკოვიდან მატერიალურად ხელს უწყობდა თავადაზნაურ სუმბათაშვილების შთამომავალი, მწერალი და მსახიობი ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინი. იგი იყო რუსეთის, საფრანგეთისა და სერბიის მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

ვიქტორ პიუგოს პერსონაჟების საუკეთესოდ შესრულებისათვის საფრანგეთის მთავრობამ „აქადემიის პალმის“ ოქროს ნიშნით დააჯილდოვა. აი, ამისთანა პიროვნება ედგა ქართველ საზოგადოებას და ინტელიგენციას ქართული ნიჭიერების აღზევებაში, ქართული სულიერების აღმაღლებაში, ქართველი ხალხის იდეოლოგიის სწორად ჩამოყალიბებაში და მომავალი თაობის წესიერად და განათლებულ პიროვნებებად წარმოჩნდაში.

1891 წელს ილია ჭავჭავაძის რეკომენდაციით, ბათუმის პირველი ქართული სკოლის გამგე-მასწავლებლად დაინიშნა პირველი ქართველი რომანტიკოსი პოეტის, გენერალ ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალი მიხეილ (მიხაკო) შარაშიძე.

ბათუმის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე, ბათუმის გიმნაზიის დირექტორი ბატონი მიხეილი, დადოოდა სოფლებში, აარსებდა სკოლებს და ნიჭიერ ბაგშვებსაც მზრუნველობდა. ყოველნაირად ცდილობდა ახალგაზრდების ნათელი მემისისკენ დაკვალიანებას. მას გერმანელების მიერ ნაჩუქარი საკონსერვო ქარხანა პერნიდა. რომლის შემთხვევალს ბავშვების სწავლა-განათლებას და აღზრდას ახმარდა.

მენშევიკების მთავრობის გაქცევის წინ მთავრობის თავმჯდომარებროვანიამ პატრიოტული და საშვილიშვილო წინადადება მისცა მიხეილ შარაშიძეს – არ დაეტოვებინა საქართველო და მომავალი თაობის აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის ეზრუნა.

ბატონმა მიხეილმა პირნათლად მოიხადა ვალი სამშობლოსა და თავისი ხალხის წინაშე განათლების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობით. მიუხედავად იმისა, მას ქარხანაც ჩამოართვეს და სახლ-კარიც, სიკლილამდე ემსახურებოდა სწავლა-არზრდის საქმეს. იგი გარდაიცვალა 1905 წლის მარტის მისამართზე, რომელიც საქართველოს მთავრობის მიერ გამოიწვია.

აღნა 1927 წელს და დაკრძალულია ბათუმში.

1916 წლის მარტში მაჭახლის ხეობაში, სოფელ ქვედა ჩხეუბზე ნეოში, საქელმოქმედო საზოგადოების ხაზით გაიხსნა ქართული სკოლა, რომლის გახსნაში ქართველმა საზოგადო მოღვაწემ აპოლონ წულაძემ ითამაშა დიდი როლი, მაგრამ სასულიერო პირთა ბოროტი ქმედებებით სკოლა მალე დაიხურა.



მიხეილ შარაშიძე

მოქმედ სკოლებში ხოჯა-მოლების დაჟინებითი მოთხოვნებით უნდა დამატებოდა საღვთო სჯულის სწავლების კლასი, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი, მაგრამ სკოლები კადრების დაფიციტის გამო ხშირად საერთოდაც იხურებოდა.

იმდრონდელი ქართული თუ რუსული პრესა აჭარელთა მხიმე ეკონომიკურ და მატერიალურად გაჭირვებულ მდგრამარეობაზე ხშირად აქმენებდა წერილებს. რუსეთის პროგრესული ძალების დახმარებით მოლიანმა საქართველომ გაუწოდა ხელი აჭარას ასაღორძინებლად, რაშიც დიდი როლი ქართულმა საქველმექმედო საზოგადოებამ ითამაშა. აჭარას ძირითადად შემოწირულობათა სახით მიუდიოდა სურსათ-სანოვაგვ, ფული, მანქანა-იარაღები და ცხოვრების აღორძინებისათვის სხვადასხვა დახმარებები.

დიდ ქართველ მგოსანს ვაჟა ფშაველას იმდენად გაუხარდა ქართველი ძმების შეერთება, მიუხედავად იმისა სარეცელს იყო მიჯაჭვული, მცირედი თანხა, რაც გააჩნდა, მასთან მისულ ურნალისტებს გადასცა აჭარელთა დახმარების ფონდში გასაგზავნად.

ვაჟა-ფშაველას ფეხით პქონდა შემოვლილი იმიერ საქართველო და აჭარა. იცოდა აჭარელთა ცხოვრების მძიმე პირობები და ყოველნაირად ცდილობდა მათ დახმარებას. იგი დიდი გულშემატკივარი იყო აჭარისა და აჭარლებისა.

ბათუმში, როგორც უკვე მზარდ სამრეწველო ცენტრად ჩამოყ

ალიბეგულ ქალაქში 1889 წელს გაიხსნა პროფექციური სასწავლებელი, როგორც მუშაოთა კადრების მოსამზადებელი.

1900-იან წლებში კი იხსნება 2-საკვირაო სკოლა, სადაც წარმოებაში დასაქმებული ახალგაზრდები სწავლობდნენ, მაგრამ ყველა სასწავლებელში სწავლა იყო რუსულ ენაზე და არ შეესაბამებოდა ეროვნულ ინტერესს. მეფის მთავრობის იმპერიული მიზნები განათლების დარღვი, ძირის უთხრიდა ხალხთა ერთიანობას, ამიტომ საჭირო და აუცილებელი გახდა განათლების სისტემის რეფორმა. დამოუკიდებელი საქართველოს პირველმა მთავრობამ წინაპირობა შექმნა ამ მიმართულებით, მაგრამ მცირე ხნით არსებობის პერიოდში ძირები ძვრები არ მომხდარა, მითუმეტეს აჭარისოფლის, აჭარული ხალხისოფლის, მისი განათლებისოფლის, ხევადასხვა სახელმწიფო ბის მესვეურთა მონაცემების გამო არავის ეცალა.

აჭარაში არსებულ სკოლებში პედაგოგებიდ არა აჭარლები იყვნენ, რაც გამოწვეული იყო წერა-კითხვის მცოდნეთა დეფიციტით. მთიან აჭარაში კი საერთოდ არ იპოვებოდა წერა-კითხვის მცოდნე.

პროგრესული ქართველი საზოგადოების წარმომადგნელებმა, იცოდნენ რა რომ აჭარა განათლების მხვრივ უკიდურესად ჩამორჩნილი იყო, თხოვნებს გზავნიდნენ იქ, სადაც ყერადღებით მოეკიდებოდნენ და ითხოვდნენ აჭარაში გაეგზავნათ მასწავლებლებად. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ასეთ თხოვნებს აქმაყოფილებდა.

1920-იან წლებამდე აჭარაში მხოლოდ სამი ადამიანი იყო უმაღლესი განათლებით. ესენი იყვნენ – რეჯებ ნიუარაძე ქობულეთიძან, კადირ (ყედირ) შერვაშიძე, თუფან-ბეგის შვილი და საღორეთელი სასან ლორთქიფანიძე.

1881-1920 -იან წლებში აჭარაში მოღვაწე პედაგოგებმა ფასდაუდებელი სამსახური გასწიეს მოსახლეობის სწავლა-განათლებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სფეროში.

აჭარელთა ცნობიერებაში ძირები ცვლილებების შეტანის სურვილისა და მცდელობის მიუხედავად, იმ პატრიოტებს. რომელთა სურვილი იყო ამ მისიის შესრულება, ყოველთვის გადაუდახავ ზღუდედ ხვდებოდათ ადგილობრივი ხოჯა-მოლებისა და აღა-ბეგებ-

ուս ջուղօ ՞նինաճմճյցցոնք, րատա եալնե՛մ առ ցայլցովցենատ ուս մարշըլյեծի, րոթյելուց մատ լուրսցին մշևաեացնա դա մեշյեց արևցնոնքն սամյալցնա մույսկոնքնա. արևեցյալու ՞յե-՞յոնքնուլցենուն մյե-ցըլը մոլու-եռջենքն դա արա-ծյցնենքն յրտագ պոցըլնանորագ ցուունոնքն ՞յերա-կոտեզուն սանոցաժունքն օմոչուն մշևաեցն.

՞յերա-կոտեզուն ցամաշրշըլյեցյելու սանոցաժունքն սասաելուն յնդա օտքցաւ րոմ մույեցագագ այցու ՞նինաճմճյցցոնքն մանց



մույերնեցն սկոլցնքն ցաեւնա մտյլու աչարուն մամբածուու.

1913 ՞յելս կյցուն րատոնուն րոցու մյուրյ սոցել մաեշնցուուն ցաեւնուն սյուլա, սայարտցըլուուն րոցու մյուրտեմյեցի ոյո. ամուն Մյմցը 1921 ՞լամճյ կյցուն րատոնուն յուցաց ծյցը սյուլա Մյյմածիա.

աչարանու սյուլցնքն ցաեւնուն ա սվացըլցնքն որցանունացուն սայմենու գուցու մույժուն ցուլուն այցացուն ոյրյմուն ցուլուն աշունուն աշունուն 1916 ՞յելս կյցուն րատոնուն սոցել կյցա ացարանու օեւնեցն սյուլա. (Յաօւար ածանուն յուրունց 1963 ՞. ց. 118-119).

յնաօւար աչարանու 1921 ՞լամճյ սեադասեցն կյցենցնքն մյեւցըլը մոնաշըլյոնքն յնդա, սվացըլա-ցանատլցնքն ՞նինեցլա Մյիերդա. եալնուն ցանատլցնքն ստցուն արարացն յոյէրոնքն.

1921 ՞լուն մարթուն, րուց դամյարդա ծուլմյցոյցյուր մմարտցըլունքն, մասունքնու մնացըլյոնքն յնդա, սվացըլա-ցանատլցնքն յուրացու նրանուն արոնքն ցանատլցնքն ստցուն արարացն յոյէրոնքն.

յնաօւար սանոցաժունքն ցանատլցնքն գուցուն կյցենուն մլույրունքն յնդա, ալմյենցնուն սանունդարուն, սվարյց ամութունաց սյուլան,

უმაღლეს სასწავლებლებს, ხალხი უცოდინარობიდან და უმეცრებიდან უნდა გამოეყვანა.

პირველ წლებში მთავრობა მაშადიანურ რელიგიურ ფაქტორს ძალიან დიდი სიფრთხილით ეკიდებოდა. არ შეიძლებოდა ამ რელიგიის ხელადებით უარყოფა. ხალხში არაერთგვაროვანი აზრი ყოველთვის არსებობდა, ამიტომაც იყო საჭირო სიფრთხილე. არ უნდა შელახულიყო რელიგიური მრწამსი და ამავე დროს უნდა გაეთვითცნობიერებინათ მასები. ეს ერთი შეხედვით იოლი ჩანდა თითქოს, მაგრამ ბარიერები მაინც არსებობდა.

1921 წლის ნოემბერში, აჭარის რევკომთან შექმნილი საოლქო განათლების განყოფილება გადაკეთდა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატად. პირველი სახალხო კომისარი იყო ხიმშიაშვილი, მის შემდეგ სახალხო კომისარად არჩეული იქნა წარმოშობით ქადის რაიონის სოფელ საღორეთელი სელმან ლორთქიფანიძე.

აჭარის საბჭოების რიგ ყრილობებზე უერადდების ცენტრში იდგა აჭარელთა განათლების საქმე, მოსწავლეთა მოზიდვის მაქსიმუმის მიღწევა და სკოლების უზრუნველყოფა ადგილობრივი კადრებით. ყრილობის გადაწყვეტილებები განუხელად ხორციელდებოდა. ხალხში ინერგებოდა რწმენა, რომ უკავესი ცხოვრებისა და მერმისის გასაუმჯობესებლად უპირველესად საჭიროა ცოდნა კველა სფეროში. ცოდნის შეძენა გლეხეაცს და მუშა ადამიანებს შეუმსუბუქებდა იმ ტვირთს, რასაც ქვია უმეცრება და აზიარებდა აროგრების სიკეთეს.

სკოლების უმეტესობა განთავსებული იყო კერძო სახლებში. გლეხები ხშირ შემთხვევაში საცხოვრებელ ფართს უსასყიდლოდ უთმობდნენ მთავრობას და მასწავლებლებზე მზრუნველობასაც იჩენდნენ – მათთან დაბინავებულებს ოჯახის წევრებისგან არ ანსხვავებდნენ.

1923-1924 წლებში ქედაში უკვე ფუნქციონირებდა 18 სკოლა, სადაც უმეტესად ასწავლიდნენ წარჩინებით სკოლადამთავრებული ახალგაზრდები. მცირე იყო სპეციალურ სასწავლებელდამთავრებული კადრები. ამიტომაც, ყრილობის დღის წესრიგში ერთ-ერთ მთა-

ვარ ამოცანად ყოველთვის რჩებოდა – აჭარაში გახსნილიყო ადგილობრივი კადრების მოსამზადებელი უმაღლესი სასწავლებელი. გაიხსნა აჭარის პირველი სამასწავლებელი ინსტიტუტი, რომლის როლი აჭარელთა განათლებაში შეუფასებელია. შემდეგ და შემდეგ არსდებოდა პროფესიული განათლების სასწავლებლებიც – პედიატერიკის, პროფესიული და სპეციალური სასწავლებლები, საიდანაც ასეულობით თუ ათასობით უნდა გამოჩეკილიყო ადგილობრივი კადრი, რომელთაც ნამდგილდად ექნებოდათ კუთხის სიყვარული და მშობელ ხალხთან სიახლოვეს და სიყვარულს კიდევ უფრო საფუძვლიანს გახდიდნენ, რა თქმა უნდა, სწავლა-განათლებისა და მომავალი ცხოვრების უკეთ წარმართვით.

დღომ დაამტკიცა, რომ ყველაფერი ხარისხიანად წარიმართა.

კადრების აღზრდაში და სკოლებში მათი დაკავების პროცესში უდიდეს როლს ასრულებდა ადგილობრივი მთავრობის წევრთა თავი გამოდებული შრომა ცხოვრების უკეთ წარმართვისა და მოსახლეობაში უმჯობესია და უწიგნურობის აღმოფხვრისათვის. ამ საჭირო და მართლაც საკაცობრიო საქმეს პატიოსნად გაართვეს თავი. მიუხედავად ყველაფრისა, ზოგს ჯანმრთელობის, ზოგს სიცოცხლის, ზოგს ადამიანობის გაწირვაც უხდებოდა. მათ იცოდნენ, რომ კეთილი საჭმის დაგვირგინება მსხვერპლს მოითხოვდა. ეს მსხვერპლი კი ნამდვილად გაიღო ქართულმა სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერთების შეუფასებელია მათი დვაწლი ქართველი ერის წინაშე.

თანდათან იხვეწებოდა მართვის სტრუქტურა და სკოლებში მუშაობის მეთოდი.

თავდაპირველად, გასაბჭოების პირველ ეტაპზე, ძალიან მძიმე და ძნელი იყო ქვეწის პედაგოგიზაცია, მაგრამ უნარიანი მმართველებისა და საქმისადმი პრინციპული მიღებით, მტკიცე ნაბიჯებით მიიწვდა წინ განათლების სისტემა. მთავარი ყურადღება გადატანილი იყო მასების სწორ აღზრდასა და განათლების სისტემაში სწორი გეზის ჩვენებაზე. გონივრულად იგეგმებოდა ყოველივე, რა-მაც ქვეყნას აღმავლობის გზაზე დადგომის საშუალება მისცა.

აჭარის რაიონებში ყურადღების ცენტრში რჩებოდა ის მი-

თითებები, რომელიც ზემოდან მოდიოდა. თუმცა გაჭირვებით, მაგრამ სწორი კურსით მიღიოდა სასკოლო ცხოვრება. ყოველ წელს ახალ-ახალი სკოლები, ახალ-ახალი კადრები და ახალი სიხარული შე-ჰქონდა მოსახლეობის ცხოვრებაში მთავრობის მიზანმიმართულ ღონისძიებებს. ერთსულოვნება თავის შედეგს იძლეოდა ცხოვრების ასაყვავებლად მებრძოლი ხალხის, ინტელიგენციის და მოსახლეობის მჭიდრო ურთიერთკავშირის ასპარეზზე. რაიონებში იქმნებოდა სარაიონო სკოლები. რომელიმე ცენტრობა ახლოს მდებარე რამდენიმე სოფლის სკოლა ერთიანდებოდა ერთ სკოლასთან და ერთ პედაგოგიური საბჭო მართავდა მათ.

რაი-სკოლების კადრებს უშეალოდ აჭარის განსახეობი ხელმძღვანელობდა.

ერთ სკოლაში გაერთიანებულ სკოლებს, რომლებიც ზოგან რამდენიმე იყო, გამაერთიანებული სკოლის პედაგოგიური საბჭო, მთითების მიხედვით სწორებ აგვგმარებდა და უწევდა სათანადო დახმარებას.

აჭარის მასშტაბით ასეთი ერთ-ერთი იყო სადორეთის რაი-სკოლაც, რომელიც ხელმძღვანელობდა დერგ-ხოხნის, ორთა-ხოხნის, ზედა აგარის, ქვედა აგარის და საკუთრივ საღორეთის დაწყებით სკოლებს, ხოლო თვით სადორეთის რაი-სკოლა ხან რომელ საბჭოში იყო მოქცეული და ხან რომელში. ძირითადად კი ქედის საბჭო წარმართავდა ძირეულ საქმიანობას.

მიუხედავად იმისა, აჭარის ხელისუფლება განსაკუთრებულ უკრადებას იხენდა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტთა მოსამზადებლად, აჭარაში მიღებული ცოდნა ვეღარ აქმაყოფილებდა ცხოვრების ახალ-ახალ მოთხოვნებს და კადრების მოსამზადებლად უკვე სხვადასხვა ქალაქებში აგზავნიდნენ უმაღლესი ცოდნის დასაუფლებლად. ძირითადად ქალაქ თბილისის მეცნიერთა პლეადა ამზადებდა იმ კადრებს, რომელთაგან შემდეგ საქართველოს მთავრობაშიც ხვდებოდნენ ხელმძღვანელ პოსტებზე და არცოუ უშედეგოდ. აჭარაში ნამოღვაწარი ბევრი პიროვნება აღმოჩნდა საქართველოს მთავრობისა თუ სხვადასხვა ხელმძღვანელ აპარატში პასუხსაგებ თანამდებობებზე.

თუმცა ხდებოდა ისეც, რომ მიუხედავად მკაცრი რეჟიმისა, მი-

უხედავად მოძალუბლებული, სწავლამოწყურებული კონტიგენტისა, კველა მასწავლებელი არ იყო მასწავლებლის შესაფერი დონისა. იყვნენ უცოდინარი და უკულტურო, უდისცი პლინო და უავტორიტეტო პიროვნებები, რომელთა საქმიანობა ხშირად ხდებოდა მსჯელობის საგნად მაგრამ ითქმნდა შესაბამისი სამსახური, ვინაიდან იყო კადრების სიმცირე საწყის ეტაპზე.

საჭირო იყო ჩამორჩენილობის, სიბეჭისა და უცოდინარობის ბურუსიდან გამოყენანათ აჭარის მოსახლეობა და მოწინავე კუთხედ ექციათ. ამ მიმართებით ყრილობებზე ფართოპლანიანი ამოცანები ისახებოდა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევდა მშრომელი მასების სამუშაოში ჩაბმას. უცოდინარების ლიკვიდაციის პარალელურად უმუშევრობის ლიკვიდაციისათვის უნდა ეზრუნათ, რაც საშური საქმე იყო და რაშიც მნიშვნელოვანი და წამყვანი როლი შეასრულა სოფლებში ჩამოყალიბებულმა ჭრა-კერვისა და ქალთა კლუბებმა. საჭირო იყო აჭარელი ქალების დასაქმებაც, ვინაიდან შემოსავლის ზრდის ტემპი პროცენტულად ქალებზე მოდიოდა, ამიტომ იყო მზრუნველობის და ყურადღების ცენტრში ქალთა სქესი. ქალაქსა და დაბეგში იქმნებოდა მუშვაკები, რომლებიც ამზადებდნენ ცოდნადაუფლებულ განვითარებულ მუშა კადრებს ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაბამის სფეროში დასასაქმებლად.

სწავლა-განათლების წინსვლაში დიდად შემატერხებელი იყო ქალთა სქესის ჩადრის ტყვეობაში ყოფნა. ამ მიმართებით ისევე როგორც რელიგიური მიმდინარეობის თანადათან განდევნა, უნდა მომხდარიყო ჩადრისგან ქალთა გათავისუფლებაც. მაგრამ ყოველივე უნდა მომხდარიყო უმტკიცნებულოდ, ოუმცა ექსცესები მაინც ხდებოდა.

რელიგიის მარწუხებიდან ნებისმიერი მორწმუნის სხვა რელიგიურ გადაყვანა ყოველთვის მტკიცნებული იყო და ეს განსაკუთრებით მძიმე იყო აჭარელთა სარწმუნოებრივ ყოველებაში. თუ აჭარელი ძალიან ძნელად ეგუებოდა მათთვის მიუღებელ ფორმაციას, ასევე ძნელად ტოვებდა უკვე შეთვისებულს. სწორედ ამიტომაც, სკოლების დაარსების, ქართული ცნობიერების აღდგენის პარალელურად, რელიგიურ მიმართულებას დიდი სიფრთხილით ეკიდებოდნენ.

1921 წლიდან ოცდათიანი წლების ჩათვლით, როგორც ისლამური დოგმების ხელშეუხებლობა, ასევე დაკანონებული იყო თურქული ენის სწავლებაც. შემდგომში ფეხმოქიდებული განათლების კალდაკვალ, მოზარდის გონიერაში ფეხს იკიდებდა უფრო პროგრესული აზროვნება, რაშიც განმსაზღვრელი როდი სწავლების მეთოდებს ეკავა. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორი მეთოდებით ისწავლუბოდა რელიგიური დოგმები. მოზარდი აცნობიერებდა, რომ სჯობდა მშობლიურ ენაზე თუნდაც ზღაპრები შეესწავლათ, ვიდრე მათვის გაუგებარ უცხო ენაზე რაღაც კანონები დაეზეპირებინათ. შარიათზე მორჩილებით კი სოფელი სადორეთი სოფელ ღორჯომის გავლენით თუ სხვა რამ ფაქტორებით, გამოიჩინება-სარწმუნოებას მტკიცებ იცავდნენ და სწორედ ეს იყო ხელისშემშლელი ერთგვარი მიზეზიც, რომ პროგრესს სრულყოფილად შეეღწია მოსახლეობაში.

ჯერჯერობით მთავარი ამოცანა იყო ჩადრის ახდა, როგორც ჟავა ავლიშენეთ, ჩადრში ქალების გამოყეტვა ტკმების ტოლფასად აღიმუბოდა და სწორედ ასეთი ტყვეობიდან იყო გამოსახსნელი ქალი.

ჩადრის მოცილება მტკიცნეულ ასოციაციას იწვევდა მოსახლეობაში – თითქოს ნამუსის დაცემას გამოიწვევდა, გოგონების სკოლაში ჩაბმა „გაგიაურებას“ ანუ გაქრიასტიანებას გამოიწვევდა და სხვა. თუმცა მივყვეთ ეტაპობრივად.

ჩადრის ახდას წინ უძღვდა გოგონების ჩაბმა სწავლის პროცესში. შემდეგ მათი ცოდნის ამაღლება შესაბამის ინსტიტუტებში და დასაქმება ხალხის საკეთოლდღეო სამსახურში.

„1923 წლიდან, ბათუმის ვაჟთა პედაგოგიური ტექნიკუმის დირექტორად მუშაობის პერიოდში, როდესაც ჯერაც კიდევ ძველი ადათ-წესები დომინირებდა და ზღუდეს წარმოადგენდა, პედაგოგმა შუქრი ვარშანიძემ ჩადრახდილი თავისი ქალიშვილები მიიყვანა სასწავლებელში, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ხალხში“. (ვ. წულუკიძე. დასახელებული ნაშრომი. გვ. 124).

მოსახლეობაში არაერთგვაროვანი პოზიცია სუვერენი როგორც მამაკაცებს, ისე ქალებსაც არ სურდათ ჩადრისგან ქალის გათავისუფლება, რის მიზეზიც იყო ის რომ, თუ ზოგან ნებაყოფილებით

იხდიდნენ ჩადრს, სხვაგან ძალდატანებას იჩენდნენ.

შუქრი ვარშანიძის ნაბიჯს შემდეგში ბევრმა მიბამა და გოგონათა რიცხვი თანდათან გაიზარდა სასწავლებელში. 1930-იანი წლების მიჯნაზე უკვე გამოჩნდნენ აჭარელი პედაგოგი ქალები, რამაც სტიმული მისცა აჭარის პროგრესულად მოაზროვნე მოსახლეობის დიდ ნაწილს. ასე თუ ისე, სკოლების რიცხვთან ერთად იზრდებოდა მოსწავლე გოგონათა რიცხვიც.

აჭარის ცაკის თავმჯდომარე, მოედინ სურმანიძე, აჭარის საოლქო კომიტეტს (სკპ) თხოვნით მიმართავს, რომ გამოიყოს თანხები 25266 მანეთის ოდენობით, რათა ჩატარდეს ჩადრის ახდის სააგიტაციო კამპანია, რომელიც აჭარისტანში ძალიან წელა მიმდინარეობს, უნდა ჩატარდეს დაჩქარებული ტემპით, ისე, რომ მიმდინარე (1928წ) წლის ბოლოსათვის აჭარაში აღარაფინ დარჩეს ჩადრის მატარებელი. აღნიშნავს კიდევ რომ 100-200-მდე ქალმა მოიშორა ჩადრი, მაგრამ ეს 2-3%-ია 88 პროცენტი კი ჩადრის მატარებელია. ამ უმნიშვნელო პროცენტით ჩადრ ახდილთა რაოდენობა კიდევ უფრო მოიკლებს. ამიტომ საჭიროა მასიური აგიტაცია ჩადრახდილი ქალებისა და 5-5 გამყოლი მამაკაცის თანხლებით. საკითხი უნდა გადაიჭრას, სამაზრო კონფერენციაზე გამოტანილი დადგენილების საფუძველზე. ჩადრის ახდის კამპანია პირველ ნოემბრამდე უნდა დამთავრდეს, მანამდე კი საჭიროა ჩატარდეს ქალთა კვირეულები. (ც.ს.ს. ფონდი-4, საქმე 287).

ამ მიმართებით, „1929 წლის 16 იანვარს ჩატარდა სადორეთის საბჭოს კრება. თავმჯდომარე ხასახ ტატალოდი (სამნიძე). ესწრებოდა 65 ადამიანი, 1- მოსამსახურე, 1 ქალი მასწავლებელი. სადორეთის უბინის გლეხობამ მოისმინა ამხანაგ ზ. ბერიძის მოხსენება ჩადრის ახდისა და მედრექეთა დახურვის შესახებ. კრებაზე აღინიშნა, რომ ჩადრის ტარება ძველად აღებისა და ბეგების მოგონილია ქალების დამონებისთვის. ეს არის დრომოქმული ტრადიცია, დახაგხებული წვეულება, რასაც საბჭოთა სოფელში ადგილი აღარ უნდა პქონდეს, თუ გვინდა რომ ქალები ჩავაბათ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ჩადრის ტყვეობიდან აჭარელი ქალის საბოლოოდ განთავისუფლების კამპანიის ჩატარების საქმეში, კრება სავსებით უერთდება ხე-

ლისუფლებისა და პარტიის გადაწყვეტილებას. მედრესების გაუქმდების საკითხიც დროული და მიზანშეწონილია. დროულია აგრეთვე, რომ მოსახლეობა შეუერთდეს მთავრობის გადაწყვეტილებას ახალი ცხოვრების შესაბამისად მოწყობისათვის. კრებამ დაადგინა: დაიხუროს მედრესები და გაიხსნას სკოლები. კრებას ესწრებოდნენ აიშე და ჰურიე ქადიძეებიც. კრებამ მოისმინა ჭარაში გახსნილ ქალთა კლუბის პირველი ქალი გამგის, ალთურ შაშიკაშვილის მოხსენებაც ჩადრის ახდისა და მედრესების დახურვის შესახებ:

„აუცილებელია ქალები გათავისუფლდნენ ჩადრისგან, დაიხუროს მედრესები, რომელთაც არავითარი ნაყოფი არ მოაქვს, პირიქით აჩლუნგებს ბავშვების გონებას, ამიტომ ხოჯებს აეკრძალოთ ბავშვების მედრესებში მიღება.“ (ც.ს.ა.Р-4, აღწერა №1, საქმე №360).

1929 წელს დაიწყო ჩადრის ძალით ახდის კამპანია, რომელმაც მთიანი აჭარის მოსახლეობის მდელვარება და გამოსვლები გამოიწვია. ეს მდელვარება ჩაწყნარდა ამხანაგ იოსებ სტალინის ჩარგვით. მან უარყოფითი შეფასება მისცა ადგილობრივი ხელმძღვანელობის მიერ დაკავებულ პოზიციას და ჩათვალა, რომ ასეთი პრობლემების გადაწყვეტისას აჩქარება, მითუმეტეს ძალადობის დემონსტრირება უხეში შეცდომაა. ამის თაობაზე 1929 წელს ი. სტალინი ამიერკავკასიის პარტიულ ხელმძღვანელს, ამხ. მამია ორახელაშვილს წერდა: „როგორც ჩანს, თქვენ შეცდომა დაუშვით. ჩადრის მოხსნის კამპანიის ჩატარების დროს ძალადობა გამოგიჩნიათ, ან, ყოველ შემთხვევაში მოსახლეობა ძალიან შეგივიწროებიათ. ასეთი პოლიტიკა არ არის ჩვენი პოლიტიკა, იგი არსებითად შემცდარია. წინადადებას გაძლიერება, ჯარები არ გამოიყენოთ, არავითარ სროლას და დახვრეტას ადგილი არ ექნეს. მოელაპარაკეთ ე.წ. აჯანყებულებს და განუმარტეთ, რომ მომავალში არავითარ ძალდატანებას ადგილი არ ექნება. თუ ე.წ. აჯანყებულთა შორის ჩვენი მტრების აგენტები ურევია, მათი შეპყრობა შეიძლება. (ვ. წულუკიძე დასახელებული ნაშრომი. გვ. 125).

სოფელ საღლორეთში ჩადრი პირველებმა ასიე თვისძემ და ფადიმე შავლიძემ გაიხადეს. მალე სხვებმაც მიბაძეს, მაგრამ გასული საუკუ-



ჩადრახდილი სოფ. საღორევუში პირველი ქადგები – ასეი შავლიძე თებიძისა, პირველი დეპუტატი და ფადიმე შავლიძე პირველი დეპუტატი იყო საღორევიდან. ნებაყოფილობით და თანდათან ქალი ჩადრისაგან გათავისუფლდა და გამოიხვდა ცხოვრებაში, ეს კი პულტურულ რევოლუციად აღიქმებოდა, მაგრამ ზოგჯერ უკულტურო აგიტატორების მეშვეობით აღმშენებლობითი პროგრამების განხორციელება ფერხდებოდა.

ნის სამოციან წლებამდე შეინიშნებოდა კვლავაც ჩადრის ტარების შემთხვევები.

ფადიმე შავლიძე პირველი დეპუტატი იყო საღორევიდან. ნებაყოფილობით და თანდათან ქალი ჩადრისაგან გათავისუფლდა და გამოიხვდა ცხოვრებაში, ეს კი პულტურულ რევოლუციად აღიქმებოდა, მაგრამ ზოგჯერ უკულტურო აგიტატორების მეშვეობით აღმშენებლობითი პროგრამების განხორციელება ფერხდებოდა.

ნებაყოფილებით ჩადრის მოცილება, ქალის შეგნებაში პროგრესის დამკვიდრება და გაბეჭდულება სტიმულის მიმცემი იყო სკოლებში გოგონათა კონტიგენტის უფრო მეტად მოზიდვისა. მეორე დადგებითი ფაქტორი იყო გოგონებისა და ვაჟების ერთად სწავლება, რაც მანამდე ცალკალკე ხდებოდა. ამ ძერებმა საუსტელი შეურცია მედრესეებში ბავშვების სწავლებას, მაგრამ ყველაფერი თანდათანობით ითხოვდა ერთიდან მეორეში გადასვლას, ვინაიდან სელადებით ყველაფრის იგნორირება ნამდვილად საშიში იყო.

მცირე განმარტება თუ რას წარმოადგენდა მედრესე და რისოვის იყო საჭირო.

მედრესე, მადრასა (არაბ. მადრასა ზმინდან

– დარასა – სწავლება, სწავლა). საშუალო ან უმაღლესი სასწავლუბელი მეჩეთში ან მეჩეთიან, სადაც ასწავლიდნენ სუნიტური ისლამის რელიგიას და იურიდიულ დოგმებს, ამზადებდნენ სასულიერო და საერო მოხელეებს. (ყადი, მუფთი, ხათიბი).

პირველი მედრესე გაჩნდა X საუკუნეში, ირანში, ქ. ნიშაბურში, შემდეგ გავრცელდა მუსლიმანურ ქვეყნებში, შეუაზიიდან ესპანეთამდე. ოსმალების მიერ დაპყრობილ სამხრეთ საქართველოს ნაწილში მედრესეები დაწყებითი საშუალო სასწავლებლები იყო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ბათუმის, ქობულეთის, ქედის, ხულოსა და სხვა

მედრესები. საბჭოთა ხელისუფლების დროს, კერძოდ 1928 წლის შემდეგ საქართველოში მედრესები აღარ მოქმედებდნენ.

მედრესები სწავლამიღებულს, გამომდინარე სიტყვიდან დარასა, დერსდამთავრებულს უწოდებდნენ.

თუ როგორ მიმდინარეობდა სწავლა მედრესები, ამ საკითხს აშუქებს მწერალი ალ. ფრენკელი თავის წიგნში: „ცნობები ჩურუქსუსა და ბათუმის შესახებ“. იგი წერს: „ყოველ მეჩეთთან მოქმედებს სკოლა (მედრესე). ამ სკოლებში ბავშვები ძირითადში ყურანს სწავლობენ. ამ სკოლას თუ მიუახლოვდები, შორიდან მოგეყურებათ ხოჯის (მოლის) ხმაურიანი მიმართვა, რომელიც მოგაგონებთ ორკესტრის ხმიანობას და ეს მიგვანიშნებს, რომ იგი ასწავლის ბაგშვებს ანბანს, ან ბაგშვები იზეპირებენ ლოცვებს, მაგრამ ძალიან ნაკლები რაოდენობის ბავშვი თუ იმასსოვრებს ამ ასოებს თუ ლოცვებს, ხოლო თუ ვინმე ძალიან აქტიური აღმოჩნდება სწავლაში, იმათ „სავაუფლო საშუალებებით“ აგზავნიან ბათუმის მთავარ მედრესები სწავლის გასაგრძელებლად.

„მედრესები და თურქულ სკოლებში ბავშვებს ზრდიდნენ და ასწავლიდნენ ფანატიზმით გაედენთილი თურქი და თურქოფილი მოლები“. (1941 წელი აჭარის განათლების სახალხო კომისარი ნადიმ ნიუარაძე. P-5, აღწ. I საქმე №388).

მედრესებში სწავლება ვინაიდან ოსმალთა ექსპანსიისთანავე დაინერგა, ხოჯები და მოლები მაშინვე მიუსიეს დაპყრობილ ტერიტორიებს, რომელთაც აგზავნიდნენ დევიზით – რაც შეიძლება მეტი სიბერავე შეეტანათ ხალხში და დაევიწყებინათ მშობლიური ენა, ამოებირკვათ ყოველივე ტრადიციული, გაეპარტახებინათ დაპყრობილთა შეგნება და სულიერება.

XIX საუკუნის მიწურულს, აჭარაში სწავლა-განათლების მდგომარეობის შესასწავლად თუ შესატანად, მოგზაურობდა უაღრესად პატრიოტი აღამიანი, ხალხში „ზექერია ეფენდად“ წოდებული, მწერალი და ეთნოგრაფი ზაქარია ჭიჭინაძე. იგი აგვიწერს იმ დროის მცხოვრებთა ყოფა-ცხოვრებას.

აი რას წერს იგი კუთხის სწავლა-განათლების შესახებ:

....ბათუმის მუზოთის ერთგულის მოქმედების მოწევბით, აქ ამ ბოლო დროს, ქართველ მაჭმადიანთ პატარა ბავშვებში თათრული წერა-კითხვა საქმარისად გავრცელებულა და 7-8 წლის ბავშვებსაც კი აქაური მოლა და ხოჯები არაბულ-ოსმალურს წიგნებს აკითხებენ, თუმცა ყმაწვილებს ამ წანაკითხის სულ არაფერი ესმით რა. ეს უცოდინარობა ზოგიერთს ქართველ მოლას და ხოჯასაც ეტყობათ... თუმცა ქართულს თათრულზე კარგად ლაპარაკობენ და ამათი დედა-ენა ქართული ენა არის, მაგრამ რაც ლოცვების თარგმანი ვსოხოვე ვერც ერთმა ვერ მითარგმნა." (ზ. ჭიჭინაძე მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. 1913 წ. გვ.8)

ბატონი ზაქარია გამოიქვამს სურვილს, რომ ვინაიდან შემოსული, უცხო ეროვნების ხოჯა-მოლები ქართველ მაჭმადიანებში ქართველი ერის საზიანო ქმედებას ეწევიან, ამ საქმეში აუცილებელია მთავრობის დახმარებაო. კერძოდ სურვილი აქვს ყურადღება მიაქციონ: „ქობულეთში დაარსებულმა სკოლამ, აქ მომუშავე ხოჯების დახმარებით შესაძლოა მოამზადონ სასულიერო კაცნიც, რომელთაც ქართველი მაჭმადიანები „მოლებს" ეძახიან. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ასეთ სასულიერო კაცთა მომზადებას, რადგანაც დღეს აქეთ უმტკიცი ნაწილი სულ საზღვარგარეთიდან მოსული ხოჯები არიან, რომლებიც ქადაგებენ: აქ ცხოვრებას ოსმალო სათათრეთში გადასახლება გირჩევნიათო... რომლებიც ხალხს აქეზებენ გადასახლებისათვის და ქართველების სიძულვილს უნერგავენ გულშიო." (იქვე გვ.12)

თურქოფილი და ოსმალო მოლა-ხოჯები არა მარტო ხალხის დაბეჭავებისათვის, არამედ მათ მთლიანად მიგრირებისათვის იბრძონენ და არაფერს იშურებდნენ საქმის ბოლომდე მისაყვანად. არავინ ამოწმებდა ხოჯა-მოლებს, თუ როგორ მოძღვრავდნენ მოზარდებს. თვით უწიგნურნი, ისლამის კანონებს იმგვარად ასწავლიდნენ, როგორც თავად ესმოდათ, ეს კი ნამდვილად თრგუნავდა მოზარდის ტვინს და შეგნებას. ამგვარი დოგმებით ცდილობდნენ ფანატიკები ხალხის გადაგვარება-გაჩანაგებას.

ადგილობრივ განსწავლულებში ქვეყნის სიყვარული და პა-

ტრიოტობა იგრძნობოდა, თუმცა ასეთები ერთეულები იყვნენ და მათაც ის ფანატიკი მოლა-ხოჯები ბრძოლის უცხადებინენ, აბეზღვებდნენ და ისლამური კანონით ასჯევინებდნენ თხმალებს. ზოგი ხოჯა პატრიოტებს ხალხსაც უჯანყებდა.

საღორეთებლი პედაგოგი აბდულ (ავთანდილ) დიასამიქ ადიზარდა ამავე სოფელში. იგი მომსწრება ხოჯების მასწავლებლობის და აღწერს კიდევაც ერთერთი ხოჯის ცხოვრებას. მასალა მოპოვებულია აქარის მხარეთმცოდნების მუზეუმის საცავიდან. იგი გამოყენებული აქვს პროფესორ ნანი გუგუნავას წიგნში – „მემედ აბაშიძე – განმანათლებელი“. ისლამმა რომ მთლად დაიპყრო მოსახლეობის ცნობიერება, ამ ნაწერითაც დასტურდება.

„სოფელ საღორეთში (ახალი სოფელი I მაისი) 1916 წელს ხოჯად იყო მეჩეთში მემედ აბულაძე. ის სოფლის რელიგიური მომსახურებისთვის ყოველწლიურად დებულობდა ამავე სოფლის მცხოვრებლებისგან გარკვეულ სურსათ-სანოვაგეს... ბავშვებს ასწავლიდა სადათო რჯულს. მედრესეში არ იყო არცერთი სკამი და არც პარტა. ბავშვებს უნდა ესწავლათ მუხლზე დაზოქილი. თვით ხოჯას ჰქონდა კარგი კუშეტება, რომელზეც გაშლილი იყო რბილი ლეიბი და მასზე იჯდა ჯოხით ხელში, რომელიც ისე გრძელი იყო, რომ ხოჯას შეეძლო ფეხზე აუდგომლად, მჯდომარეს, მოშორებით კუთხეშიც კი გაეწევა ბავშვები მაგრად. ასწავლიდა სალოცავ თავებს – სურებს ზეპირად. შიგ წიგნში წაკითხვაც არ შეეძლოთ მეტ ნაწილს ბავშვებისას. ყავდა უფროსი მოსწავლეები „მოლები“, რომლებიც ასწავლიდნენ უმცროს მოსწავლეებს. და თუ ვინმე არ გაიზეპირებდა სურას, ამ შემთხვევაში ხოჯა ჯერჯერობით კარგად სცემდა, შემდეგ დაყრიდა პოლზე სიმინდის მარცვლებს და მოსწავლეს ტიტველა მუხლებით ზედ დააჩიქებდა რამდენიმე საათის განმავლობაში, ხოლო თუ ბავშვების ცელქობას შეამჩნევდა, ან უფროსი სადმი უზრდელად მოპყრობას, ვაი იმის დღეს: ბაწრით ხელ-ფეხს შეუკრავდა, შემდეგ სამართებლით ფეხის ტერფზე თხლად, რამდენიმე ადგილას მოსჭრიდა კანს, ისე რომ სისხლი ოდნავ გამოსულიყო და ზედ ჭრილობაზე დააყრიდა ფხვნილ მარილს და თუ ასეთ შემთხ-

ვეგაში მოსწავლე ტანჯვას ვედარ აიტანდა და ხმამადლა იყვირებდა, ხოჯა მას დაამწევდევდა განსაკუთრებულ ადგილას – მეჩეთის ქვეშ პაღუალში მთელი დღვდამის განმავლობაში მშიერს". (ხელნაწერის ფონდი №65. სტილი დაცულია. გადმოღებულია შემოკლებით).

ხელნაწერიდან ირკვევა რომ ხოჯა ძალიან თვითნებობდა – ახალგაზრდა გოგონებს ირთავდა ცოლად, რომლებიც მისი სიმკაცრის გამო ავადდებოდნენ და მალეც კვდებოდნენ. მისგან ნაცემ ბაგშეებს სატკივარი არ კლეოდათ. საკურველი და სამწუხარო ისაა, რომ მშობლებიც ურიგდებოდნენ მის დესპოტობას, ეშინოდათ ხოჯის გაბრაზებისა. ოდონდაც ბავშვს მძიმედ ნუ დაასახირებდა და თანახმა იყვნენ მისეული მეთოდით ბაგშვთა დასჯაზე. ხოჯას სოფელში



ჯამე და მედრესე

შეძლებული გლეხთაგან მხარდაჭერა ქონდა ყოველთვის და ამით გათამამებული უფრო და უფრო თვითნებობდა და რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებდა. ხოჯა იყო სოფლის გამგებელიც, მამასახლისიც და მბრძანებელიც.

1873 წლისათვის აჭარაში ფუნქციონირებდა 200-მდე მეჩეთი და 207 მედრესე. თუ როგორი სწავლება მიმდინარეობდა უკვე ავლინშეთ.

სოფელ საღორეთში იყვნენ ისეთი ხოჯებიც, რომლებიც ხალ-

ის ნება-სურვილზე იყვნენ დამოკიდებული და მცხოვრებთა ნაფიქრ-ნააზრებს უწევდნენ ანგარიშს. ისინი სამშობლოს პატრიოტებად შეიძლება მოვიხსენიოთ.

ხასან ეფენდი სურმანიძე ადგილობრივი ხოჯა იყო. იგი აჭარის მუფთადაც დაინიშნა და დიდი დამსახურება მიუძღვის აჭარელთა წინაშე. მან მუჭაჯირობას მრავალი ადამიანი გადაარჩინა და ამით ფასდაუდებელი სიკეთე გახწია გენოფონდის შენარჩუნების საქმეში.

ხასან-ეფენდი ლორთქიფანიძე (მუფთიშვილი) ისე ცხოვრობდა



აჭარის მუფთო
ხასან-ეფენდი
სურმანიძე

და თავის საქმეს ისე აკეთებდა, არასოდეს არაფერი შეშლია. იგი ხალხის უმწიკვლო მსახური იყო. აქვე მეორეჯერ დაქორწინებულა, მანამ კი მოყოლილი ოთხი ქალიშვილი საღორეთში დაუთხოვებია. მეორე ქორწინებიდან დარჩა შვილები და შვილიშვილები. საღორეთელთა სარწმუნოებრივ შეგნებაში იგი წმინდანადაა აღიარებული. იგი ყოფილი მუჭაჯირი იყო. მათი ძირძველი საგვარეულო მესხეთი იყო. დროთა ვითარებამ ვანის რაიონში არგუნა საცხოვრებელი, იქიდან ოსმალეთში და შემდეგ ტრაპიზონიდან მერის შის მკვიდრი გახდა, ბოლოს კი საღორეთში

პპოვა მამულიც და განსასვენებელიც.

იქნებ ვინმეს მოუვიდეს აზრად – რა საჭიროა ხოჯის ავან-ჩავანის ასე ვრცლად მოტანა. ხასანის შეოს დიდი დამსახურება მიუძღვის აჭარელთა ცხოვრებაში და მხარის წინსვლაში. მათი დამსახურება იმდენად დიდია, დიახაც საჭიროა მათზე წიგნების შექმნა და ნურავის ეხამუშება განსვენებული ხოჯა ხასან ეფენდი მუფთი-ზადე ლორთქიფანიძისა და მისი შთამომავლების ამგვარად მოხსენიება – მათ თავისი წილი ტგირთი საამაყოდ ზიდეს და ხალხისთვის არასოდეს უდალატნიათ.

1929 წელს საღორეთის სკოლაში მასწავლებლად ინიშნებიან: ნადია და ნიკოლოზ წეროძები, ხოლო თურქელი ენის მასწავლებლად,



ხოჯა ისმაილ დავითაძე
თავიდან აცილების მიზნით. მთავრობის ამისთანა დათმობის შედეგად სკოლებში მოსწავლეთა რიცხვმაც იმატა.

1929 წლის 30 იანვრის აჭარის ც.ა.კ.-ისა სახეომსაბჭოს მიერ გამოცემული ღეპრეტით, მედრესეებში და მექტებებში ბავშვების სწავლება აიკრძალა.

1928 წელს, ვინაიდან საღორეთს ხოჯა არ ჰყავდა, მოიწვიეს სოფელ ვაიოდან – ისმაილ დავითაძე. 22 წლის ასაკში უკვე კარგად განსწავლული იყო, რაც სტამბოლში ნასწავლი ორცემდი ხოჯის დამსახურება იყო.

დიახ, ოცდაორი წლის ასაკში კარგად გათვითცნობიერებული ისმაილი შეუდგა საღორეთში სასულიერო საქმეს, მაგრამ პარალელურად ბავშვებს მშობლიურ ენასაც ასწავლიდა. მისი მოწვევა იმთავითვე წინასწარგანზრახული იყო. მან დედა-ენა ქედის სკოლაში შეითვისა. ზედმიწევნით თვითგანათლებულობამ და სინდისნამუსიანობამ ხელი შეუწყო ცხოვრებაში, ასევე ზენობრიობის განსახიერებად დარჩენაში. მისმა ასეთმა, ასე ვთქვათ, პატრიოტულმა

მოქცევაშ საღორუეთელთა პატივისცემაც დაიმსახურა და აქვე დააქორწინეს კიდევაც.

1929 წელს შემოდგომაზე რეპრესიებში მოაყოლეს და გაუყენეს საპატიმროს ბილიკებს. დარჩა ფეხმძიმე მეუღლე, რომლისგანაც ქალიშვილი შეეძინა. ეს სასიხარულო ამბავი თბილისის ციხეში მყოფს აცნობეს. ამის შემდეგ მისი გზა-კვალი იკარგება.

ისმაილ დაგითაძის ქალიშვილ – ჰურიეს ცხოვრებაც ჩვენი სოფლის ცრემლნარევი ისტორიის ნაწილია. იგი რეაბილიტირებული მამის პენსიასაც დებულობს და არ ივიწყებს დედულეთში ნაცხოვრები მამის სახელს – თილისმასაცით ატარებს.

ადრეულ წლებში საღორუეთში საღვთო სჯულს ქედედი აბდულ დიასამიძე (ყირიმლიოდი) ასწავლიდა, რომელსაც საღორუეთული უხუცესები პატივისცემით იხსენიებდნენ.

მედრესებში საღვთო სჯულს და ისლამის კანონებს კი ასწავლიდნენ, მაგრამ, გამონაკლისების ჩათვლით, წერა-კითხვის გარდა სამშობლოს საქეთილდღეოდ მოსწავლეები ვერაფერს ითვისებდნენ. მთავრობა ხოჯების ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა და მათი ქმედებებიდან გამომდინარე, მედრესებში ბავშვების სწავლება არჯანსაღად ცნებს და საბოლოოდ აკრძალეს მედრესების ფუნქციონირება, ხოლო შენობები ხელუხლებლად დატოვეს. ვერ დავწამებო ცილს საბჭოთა წყობილებს, მათ ნამდვილად აჯობეს ოსმალურ კანონებს, გაითვალისწინეს ხალხის აზრიც და მედრესები და ჯამეები ძეგლებივით დაუტოვეს მცხოვრებლებს.

დღესდღეობით აჭარაში ისევ ფუნქციონირებს ჯამეები, მლოცვავებიც კანტი-კუნტად დადიან, მაგრამ ალბათ დადგება დრო, ჯამეების როლიც ამოიწურება. მლოცველთა რიგი წლითიწლობით მცირდება, რაც სიხარულის მომგვრელია სამწუხაროდ მავანთათვის... დიახ, უფროსი თაობა თანდათანობით დაილევა, მოზარდები კი უბრუნდებიან თითქოსდა მამა-პაპისეულ ეგრეთწოდებულ „წინაპართა“ სარწმუნოებას.

თეხა-პიონერის უსოფლების ციკლისი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ხელისუფლებამ მიზნად დაისახა, მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირებულების საღიავიდაციო სამუშაოების ჩატარება, ვინაიდან ახალი წერილების მართვა-გამგეობა უცოდინარი აღამიანებით ვერ დაკომპლექტდებოდა და პოლიტიკა კრახს განიცდიდა. ამ მიმართებით და სწორი გადაწყვეტილებით, ქვეყნის მასშტაბით მასების პედაგოგიზაცია და მოსწავლე-ახალგაზრდობის კონტიგენტის ზრდა, დადგენილებების ამოსავალ პროგრამაში შედიოდა. ჩამორჩენილობას არნახული ტექნიკ შეეძრმოლნენ. მთავარი და მთავარი ამ გეგმის განხორციელება იყო.

ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში 1000 სულ მცხოვრებზე მოდიოდა ყველა სასწავლებელში 60 ადამიანი. 1928-1929 წლებში 119 ადამიანი, ხოლო 1939 წელში 220 ადამიანი.

1926 წელს მთელი მოსახლეობის 9-წელზე ზევით 52,5% იყო გაუნათლებელი, ხოლო 1939 წელში წერა-კითხვის უცოდინარი უკვე 19,7 % იყო. მომდევნო წლებში საქართველო უკვე თითქმის განათლებულ ქვეყნად იქცა.

1940 წელს საერთო-სავალდებულო განათლებაზე მოდიოდა 718,8-ათასი მოსწავლე, ანუ 4,6-ჯერ მეტი, ვიდრე 1914 წელს. განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა 5-10-ე კლასების მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთა რიცხვმა 1940 წელს მიაღწია 276 ათასი, ნაცვლად 1914-1915 წლების რაოდენობისა, როცა 19,1 ათასი იყო. 1946 წელს საერთო სწავლებაში ჩაბმული იყო 654 ათასი მოსწავლე. 1946-1950-იან წლებში სწავლება 7 წლის ასაკიდან გადაიქცა საყოველთაო-სავალდებულო სწავლებად. 1950 წელში საქართველოში იყო 4333 სკოლა 748,3 ათასი მოსწავლით.

1914 წელში სასწავლო პროფსასწავლებელში სულ 500 მოსწავლე იყო, ხოლო 1941 წელში 197 ტექნიკუმი არსებობდა, სადაც 32000 მოსწავლეზე მეტი ეუფლებოდა სპეციალურ განათლებას. 1950-იან წლებში მოსწავლეთა რაოდენობა ავიდა 39,6 ათასზე.

ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი იყო 300 – სტუდენტით. საბჭოთა წელიდების წლებში დაარსდა 20 უმაღლესი სასწავლებელი, რომლებშიც 1946 წელს უკვე 22-ათასზე მეტი სტუდენტი ეუფლებოდა უმაღლეს ცოდნას. უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებდა საქართველოს 8 ქალაქში: თბილისში, ქუთაისი, ბათუმში, სოხუმში, გორში და სხვაგან. 1946-1950 წლებში უმაღლესმა სასწავლებელმა 15-ათასი სპეციალისტი გამოუშვა. მარტი თბილისში უკვე 13 უმაღლესი სასწავლებელი ფუნქციონირებდა.

1921 წელს უნივერსიტეტში მხოლოდ ერთი ფაკულტეტი იყო, 1946-1947 წლებში კი 10 ფაკულტეტი დაარსდა. შეიქმნა: ინდუსტრიული, სოფლის მეურნეობის, ზოოგეტერინარული, სამედიცინო, ოეტრალური, რკინიგზის საინჟინრო, ფიზკულტურის სამასწავლებლო, სტომატოლოგიური და ფარმაცევტული. გარდა ამისა დაარსდა კონსერვატორია და ხელოვნების აკადემია.

ფართო სარგებლობისათვის შეიქმნა ბიბლიოთეკები. გამოდიოდა ასეული ათასობით ტირაჟის სხვადასხვა სამეცნიერო-შემუცნებითი ხასიათის წიგნები, ურნალ-გაზეოვები, მსატვრული ლიტერატურა, სპეციალური ლიტერატურა კარლ მაქსის სახელობის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში 1940-იანი წლებიდან უკვე 880-ათასი ეგზემპლარი იყო დაცული.

1950-იან წლებისათვის დაიგეგმა 3100 საერთო სარგებლობის ბიბლიოთეკის გახსნა.

ფურადდება ექცევდა სოფლად და ქალაქად საკლუბო ხასიათის საგანმანათლებლო ქსელს.

1950-იან წლებში გეგმიური 2150 ასეთი დაწესებულება უნდა ყოფილიყო.

შეიქმნა სახელმწიფო ისტორიული მუზეუმები. იქმნებოდა და ფართოდებოდა მოძრავი კინო, რომელთა საერთო რაოდენობა ითვლიდა 500 კინოდანადგარს. შეიქმნა მეცნიერებათა აკადემია, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 30 სამეცნიერო ინსტიტუტი და დაწესებულება.

საგანმანათლებლო სისტემის უწყვეტი ზრდა სახელმწიფოს მხრიდან საჭიროებდა განსაკუთრებულ ფურადდებას და მზრუნ-

ველობას. სწორედაც ამიტომ 1946 წელს დაფინანსება ნაცვლად 1945 წლისა 626-ათასიდან 762-ათასამდე ავიდა. 1946 წელს მარტო მეცნიერებას გამოეყო 36-ათასზე მეტი მანეთი.

(დიდი საბჭოთა ენციკლოპედია. 1948 წ. ქ. მოსკოვი გვ. 1861-1862.)

ახლა ვნახოთ თუ რა მდგომარეობა იყო საქართველოში 1980-იან წლებში, გერმანელი მოგზაურის და მწერლის ჩანაწერების მიხედვით: „1914-იან წლებში საქართველოში იყო 130000 სკოლის მოსწავლე. (მგონი ეს ცნობა გაძერილია. ს.ს.). დღეს სოციალისტურ საქართველოში მიღიონ ზე მეტი მოსწავლეა (1980-იანი წლები). უმაღლესში საშუალო სპეციალურ სასწავლებელში კი 150000 ადამიანია, მათი ნახევარი ქალებია. ყოველწლიურად 30000 უმაღლესდამთავრებულია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო მოსახლეობის მიხედვით ერთერთ ბოლო ადგილზეა საბჭოთა კავშირში, სწავლების შედეგების მხრივ ერთერთი მოწინავეა.

1913 წლამდის საქართველოში იყო 41 სამკურნალო კლინიკა, ამჟამად კი 500-ზე მეტია. თუ მაშინ სულ 40 ადგილი იყო მშობიარეთათვის, ახლა 4300-ია. არა მარტო სპეციალურ სამშობიაროებში, არამედ ადგილებია დასასვენებელ სახლებშიც, პანსიონატებში და სხვა ადგილას. ეს მიუთითებს საბჭოთა ქვეყნის განათლების სისტემის აღმავალ საფეხურებზე.

(გიუნტერ შტაინი – „მოგზაურობა რუსთაველის ქვეყანაში“)

აჭარას ამ მხრივ ცუდი მემკვიდრეობა ერგო. თუ 1921 წლამდე აჭარის მოსახლეობის შეიძმა პროცენტმა იცოდა წერა-კითხვა და მთიანი სოფლები საერთოდ მოწყვეტილი იყო განათლებას, 1921 წლის შემდეგ თანდათანობით შეანათ მოსახლეობაში განათლების შექმა. მივარდნილ სოფლებშიც შეაღწია სწავლა-განათლების სიკეთემ, მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, სიძნელების გადალახვით.

სწავლა-განათლება ანაბანით იწყება და სწორედ ამ საშუალებების მოპერაციის საფუძველი არის რევენტი. წერა-კითხვის სალიკვიდაციო კომისიას ი. ბახტაძე ჩაუყენეს სათავეში და მუშაობა გაშალეს მთელი აჭარის მასშტაბით. 1921 წელსვე უკვე უზნეციონირებდა ორმოცამდე წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა.

ოცდაათიანი წლებისათვის ეს რიცხვი გაიზარდა ოთხასამდე, მარამ, სამწუხაროდ, მსმენელ ქალთა რიცხვი პროცენტულად ჯერ კიდევ ძალიან ნაკლები იყო.

დევიზი: უცოდინარობის სამანები უნდა მოირღვეს! – დღის წერიგში რჩებოდა ყოველთვის. წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, სწორედ ამ დევიზით ფუნქციონირებდა, სადაც დამსწრებებს უსასყიდლოდ ამეცადინებდნენ.

1930-იანი წლების შემდეგ, აჭარის 680-ზე მეტ წერა-კითხვის სალიკვიდაციო სკოლაში უკვე 11000-ზე მეტი მსმენელი ირიცხებოდა. დაახლოებით 4500 ქალი იყო.

1941 წლისათვის უცოდინარობა ძირითადად ლიკვიდირებული იყო. რაც შეეხება სკოლების რიცხვს, თუ 1917 წლის მდგომარეობით აჭარაში მათთვის რაოდენობა თითებზე ჩამოსათვლელი იყო, 1921 წლიდან უკვე ათეულობით განისაზღვრებოდა. 1927 წლისათვის აჭარაში უკვე 200-ზე მეტი სკოლა ფუნქციონირებდა, მაგრამ კონტიგენტი ისე იზრდებოდა რომ არსებული სკოლები ძლიერ აუდიოდა სწავლებას. უმეტეს სკოლაში სწავლება სამცვლიანი იყო. თუ 1922 წლისათვის ბიუჯეტიდან სკოლების მშენებლობაზე 150000 მანეთამდე იყო გამოყოფილი, ათი წლის შემდეგ ფინანსები 6 მილიონამდე გაიზარდა, რაც ნათლად მეტყველებს მთავრობის დაგენილების მიზანმიმართულ კურსზე.

1921-1922 წლები მთლიანად დაეთმო წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საწყის ეტაპს. პარალელურად მიმდინარეობდა სკოლების მშენებლობა, ვინაიდან ლიკსკოლებიდან ფეხადგმულ მოზარდებს სწავლის გაგრძელების წყურვილი ექნებოდათ, რაც სინამდვილეში ასეც მოხდა.

ლიკსკოლებში ანბანს დაუფლებული გლეხების შეგნებამ იმ დონემდე მიაღწია, რომ თავად დაისახეს ამოცანად შვილებისთვის განათლების მიღება, რაც აუცილებელი იყო იმ დროისთვის სიდატატისა და უკულტურობის დასაძლევად, ელემენტარული საარსებო წეროების მოსაპოვებლად და შემდგომი გაუმჯობესების მიზნის მისაღწევად.

მთავრობის დადგენილებებში ხაზგასმულად იყო აღნიშნული რომ არ უნდა შელახულიყო მოსახლეობის მაკმადიანური სარწმუნოებრივი

გრძნობები. ამ მიმართებით სწორი ნაბიჯები გადაიდგა კიდევ.

მთავრობის პროგრამა თავდაპირველად ანბანის სწავლება-გავრცელებას ითვალისწინებდა, ვინაიდან, შენობა ბალავარის ჩაურით იწყება და ეს ბალავარი მტკიცე უნდა იყოს, რომ მასზე დაეშენოს შემდეგი. ანბანის გავრცელების კვალდაკვალ, ეს სიმტკიცე ნამდვილად წარმოჩნდა.

წლების მიხედვით, ვიდრე ორმოციან წლებამდე, სკლების მატების პარალელურად ლიკსკოლების დაარსება დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. ამ სიკეთის შედწევა მოსახლეობაში სირთულით გამოიჩინდა, რის გამოც ეტაპობრივად მიმდინარეობდა.

1931-1932 სასწავლო წლის შედეგებზე მოხსენებიდან მცირე ამონარიდი: „მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დამყარდა კომუნისტური, საბჭოთა წეობილება, გაიმარჯვა სოციალიზმის ჰკვა-ანი ბელადისა და მებრძოლი ხალხის ერთიანი ძალისხმევით. საქართველოში დასრულდა მენშევიკებისა და აღა-ბეგების ხანა, ხალხმა შაგბნელი წარსულიდან გამოიხდა, თავი დააღწია ბატონებისა და კულაკების ძალმომრეობას და შეუდგა ახალი ცხოვრების დამკვიდრებას" ... (P-5. აღწ. I. საქმე №340. აჭარის ცხა).

ეს მოხსენება ძირითადად შეეხმოდა რევოლუციის გამარჯვებას



პირველი განათლების მინისტრი

და 1920-იანი წლების შემდგომ პერიოდს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აჭარაში იყო 38 დაწყებითი სკოლა რომელიც შემდგომ წლებში თანდათან მატულობდა.

1921 წლიდან ბათუმში შეიქმნა წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეობის სალიკვიდაციო მებრძოლი საზოგადოება – (წერკუმსი).

1921 წლიდან 1941 წლამდე არ შეწყვეტილა ამ საზოგადოების აქტიური მუშაობა, რომელთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ თუ არა ასეთი საზოგადოების

არსებობა და მთავრობის მიერ მომავალზე ზრუნვა, 1945 წლისათვის აჭარაში სკოლების რაოდენობა 380-მდე ვერ გაიზრდებოდა. მათ შორის 216 დაწყებითი იყო, 122 შვიდწლიანი და 33 საშუალო. იყო სპეციალიზებული სკოლებიც.

თვითმხილველთა გადმოცემით საღორეთში განათლების კერა იყო სწორედ ის ლიკ-სკოლა, სადაც უფროსები და უმცროსები ერთად ეზიარნენ მშობლიურ, ქართულ ანბანს. ეს სკოლები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაარსდა საღორეთში და მათ შექმნაში დიდი წვლილი მიუძღვით იმ დროის განათლებულ პიროვნებებს, წარმოშობით საღორეთელ ბიძაშვილებს ხასან და სელმან ლორთქიფანიძეებს. მათი მშობლებიც ავტორიტეტები იყვნენ განათლების აღორძინების საქმეში. გადმოცემით, მემეძეებები აბაშიძის თაოსნობით აგიტაციას ეწეოდნენ მოსახლეობაში განათლებისა და ცხოვრების უკეთ მოწყობის კეთილშობილურ მისიაში, ადგილობრივებიდან ბაქოში სწავლა მიღებული მოლა მემეძ დიასამიძე. სწორედ ბატონი სელმანისა, რომელიც იმ დროს განათლების სახალხო კომისარის პოსტს ფლობდა და მემეძ დიასამიძის ძალისხმევით გაისხნა საღორეთში განათლების ის კერა, რასაც ლიკ-სკოლა და დაწყებითი განათლების სკოლა პქვია. ინიციატივა ისევ საღორეთელებს გამოუჩნიათ და წერილობითი თხოვნით მიუმართავთ ბატონ სელმანისათვის, რომელსაც სიხარულიანი ხმით აღმოხდნია: „აბა ავშენდით, გავკეთდით საღნიო“. მან იცოდა, რომ საღორეთის მცხოვრებლები რელიგიის მტკიცე დამცველები იყვნენ და რომ მათთან აგიტაციის ჩატარება რთულ და უიმედო ცდად მიაჩნდა. უპერსპექტივოდ თვლიდნენ ყოველგვარ პროპაგანდას, მაგრამ მათ სასიხარულოდ მოხდა პირიქით, რამაც საღორეთელ ახალგაზრდებს მისცა საშუალება ზიარებოდნენ პრო-



ერეკ ჭიქლაძე
(1888-1977)
საქართველოს კულტურული და საზოგადო მოღვაწეობის მნიშვნელოვანი მასშტაბის მოღვაწე

პირველი ჭარული იურისტი

გრესულ აზროვნებას, იდეებს, ცხოვრების უკეთ მოწყობის ავან-ჩავანს. ყოველივე ამის გათვალისწინებამ ააღორძინა საღორეთი და საერთო ცხოვრების ფერხულში ჩააყენა.

ეთნოგრაფ ზაქარია ჭიჭინაძის ცნობით, ოსმალებმა „საღორეთშიც დაწვეს წიგნებით“ – ე.ი. ირკვევა რომ ოსმალურ ექსპანსიამდე საღორეთში ცოტა თუ ბევრად წიგნიერება ფუნქციონირებდა.

საღორეთში, პროგრესულად მოაზროვნეთა გვერდით იყვნენ ისეთი ადამიანები, ვისაც უნდოდათ, რომ მცხოვრებლები ყოველთვის დაბჯ ჩავებული ყოფილიყვნენ. არ ჩამოვთვლი მათ, ვინაიდან დრომ დაუმტკიცა მათებური აზროვნების მცდარობა და ჩრდილიც რომ არ მიგაყენოთ მათ შთამომავლობას.

საღორეთში პროგრესულმა აზროვნებამ მძიმე-მძიმე ნაბიჯებით გაიმარჯვა. ერთი გადმოცემით, საღორეთში სკოლა 1921 წელს გაიხსნა, დასახლება ციფასულას ტერიტორიაზე მცხოვრებ ჯემალ შავლიძის სახლში, რომლის მეორე სართულზე მოთავსებული იყო კონტორა, ხოლო ანბანის სწავლება მიმდინარეობდა შენობის პირვე-



ხასან სამნიძე ტატალოვლის სახლი, ხადაც მიმდინარეობდა წერა კითხის მცირებულებითა სწავლება

ელ სართულზე, რომელიც იმ დროისათვის არა სართულს, არამედ სარდაფს წარმოადგენდა, სადაც სინესტე და შმორი იყო, თუმცა სწავლამოწყურებულთათვის ამას ხელი არ შეუშლია. მთავრობის დადგენილებით, სასწავლებელი მცხოვრებლებიდან მანძილით სამ კილომეტრს არ უნდა გაცილებოდა და სინამდვილეში ეს ასევე იყო.

1922 წლისათვის, მოსახლეობაში ჩატარებული აგიტაციის წე-
ალობით ლიკსკოლების რიცხვი გაიზარდა და მოქმედებდა, პერძოდ:

1. მოქმედებდა ხასან ტატალოდლი – სამნიძის ოჯახში.
2. მოქმედებდა ისმაილ დვალიძის ოჯახში.
3. მოქმედებდა ისმაილ სამნიძის ოჯახში.
4. მოქმედებდა ყერიმან თებიძის ოჯახში.
5. მოქმედებდა ცივასულას ტერიტორიაზე.



თანდათან იზრდებოდა მსმენელთა კონტინგენტი, მაგრამ იყო მცდელობა მსმენელთა აზრის შეზღუდვისა, ჩამორჩენილობაში დაბრუნებისა, შესაბამისად კონტინგენტის სწრებადობაც არაერთგვაროვანი იყო. უმეტეს შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კლებას ან განთევას.

ლიკსკოლების პარალელურად აუცილებელი გახდა დაწყებითი სკოლების გახსნა, რისთვისაც საჭირო იყო შენობა. ადგილობრივი მცხოვრებლები, აბდულ და მემედ დიასამიძეები, რამიზ, მევლუდ, მუსტაფა, ჯემალ და აბდულ სამნიძები, მოგვიანებით კი ალიოსმან სამნიძე და ისრაფილ თებიძე ამოწმებდნენ, რომ ქადიძე (არზანოლი) ხასანის სახლი, რომელიც მდებარეობდა ქედზე, 1922 წელს სასწავლო წლის დაწყებამდე შეისყიდეს და ჩამოიტანეს, ჯამესა და მედრესაზე 50 მეტრის დაშორებით, ხასანისავე საკარმიდამო ნაკვეთში ააშენეს, იქ სადაც ამჟამად ახალი სკოლა აიგო, იქვე ახლოს. ისმაილ სამნიძის სახლში არსებული ლიკ-სკოლა, რომელიც პირველდაწყებით კლასად გადაკეთდა, ახალ 1922 სასწავლო წელს სკოლა საკუთარ შენობაში მოთავსდა.

იმის გათვალისწინებით, რომ დუხესირ ყოფაგამოვლილი მცხოვრებლები ჯერ კიდევ სიდარიბის მარწუხებში იყვნენ, მთავრობა ყოველნაირად ხელს უწყობდა და ეხმარებოდა აჭარის მოსახლეობას. ყრილობებსა და კონფერენციებზე, ხედომებსა და მთელ რიგ თათბირებზე, წინა პლაზე იდგა მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხი.

აჭარისტანის სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიის 1923 წლის 10 ენერისთვის №38 სხდომის ოქმში ვკითხულობთ:

„მომავალი სასწავლო წლიდან ლოქში გაიხსნას 20 ახალი სკოლა და თითო შტატი შედგეს სამი თანამშრომლისგან: გამგე, მასწავლებელი და დარაჯი. დაინიშნოს კომისია, რომელიც ადგილობრივად გაეცნობა, როგორც უკვე არსებული სკოლების შენობების საჭირო შეკეთებას, აგრეთვე ახალი სკოლების შენობების აგებას და შეადგენს სმეტას.

სწავლების ქირა დაწესდეს II-საფეხურის სკოლებში და ტექნიკურებში. საბჭოთა მოსამსახურებისა და პროფესიონალური წევრების შეიღწია.

ბი თავისუფლდებიან სრულიად ქირისაგან, თუ მათი მზრუნველი დებულობებს ჯამაგირს თვეში 30 საქართველოს მანეთს ან ნაკლებს.

უმუშევარნი, წითელარმიელნი და უდარიბები გლეხეაცობა სრულიად თავისუფლდებიან მათ მზრუნველობაზე მყოფ მოწაფეთა სწავლის ფულიდან. ოლქის სკოლების მოწაფეებს საერთოდ მიეცეს უსასყიდლოდ აჭარისტანის განსახეობის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები, როგორც ქართული, ისე თურქული." (აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარი ს. ვარშანიძე P-5, აღწ. I. საქმე №21).

1924 წლიდან კანონში ემატება ცვლილებები, რომელიც სოფლისა თუ ქალაქის მოსახლეობაზე ზრუნვას გამოხატავს.

პორნაწერი განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომის ოქმიდან: „მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში მოწყობილ იქნა რესპუბლიკის ყველა მაზრების ცენტრებში მოწაფეთა პანსიონები 5 ერთეულით. თოთოველ პანსიონში 200-250 მოწაფით, რომელიც სავსებით შეცვლის ქხლანდელ არანორმალურ მდგრმარეობას. უპირველეს ყოვლისა, პანსიონები გახსნილ იქნას ხელოსა და ქედაში. პანსიონების ხარჯი შეტანილ იქნას ადგილობრივ ბიუჯეტში." (სხდომის თავმჯდომარე განათლების სახალხო კომისარი ს. ვარშანიძე. ოქმი №9, 9-იანვარი, 1924 წელი).

1924 წლის 27 თებერვალს განსახეობის კოლეგიის სხდომაზე უკვე ისახება ამოცანები სკოლების მმართველობის სისტემაში და საგნობრივ დისციპლინებში ცვლილებების შეტანისა. ცვლილებებია გადასახადების შესახებაც.

განათლების სახალხო კომისრის მოადგილის, ამხანაგ ქუთათელაძის მიერ წარმოდგენილია შეცვლილი, I - საფეხურის სკოლებში სამოსწავლო წლის მეორე ნახევრიდან სახელმძღვანელოდ: „სკოლებში შეიქმნას მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც სკოლის რამდენიმე მასწავლებლის ხელმძღვანელობით გაიწაფებიან. გაატარონ ცხოვრებაში ეს სკოლისთვის ახალი მოვლენა. ერთერთ პირველი საფეხურის სკოლაში სანიმუშოდ კი დაწესდეს მოსწავლეთა თვითმმართველობა უხელმძღვანელოდ, დანარჩენ სკოლებში მოწაფეთა თვითმმართველობა ამორჩევით დანიშნავს თავიანთ ხე-

ლამდღანელ მასწავლებელს.

ამ დადგენილების ცხოვრებაში სასურველი შედეგებით გასა-
ტარებლად, გაიმართოს წინასწარი თათბირი სკოლის გამგებონ
და აგრეთვე განათლების მუშაკთა კავშირის მომავალ საერთო
კრებაზე მოხსენდეს კრებას."

კოლეგის სხდომის ოქმი №40, §9:

„პირველი საფეხურის სკოლები, როგორც სავალდებულო, სრული-
ად თავისუფლდებიან სასწავლო ფულის გადასახადისაგან, ხოლო
მეორე საფეხურის სკოლებში, სახელმწიფო დაწესებულებების ის მოსამ-
სახურენი, ვინც დებულობს 30-50 მანეთაძე, ქმაყოფაზე მყოფ მოსწავ-
ლეთა გადასახადი უნდა გადაიხადონ 10 ჩერვონცამდე, ხოლო ვინც
დებულობს 50 მანეთზე ზევით, უნდა გადაიხადოს 20 ჩერვონეცი. კერძო
პირები კი იხდიან 30 ჩერვონეც მანეთს." (თავმჯდომარე ქუთათელაძე).

17 მარტი 1924 წელი. ოქმი №5 განსახომის კოლეგის სხ-
დომისა: „მიმდინარე სემესტრი გაგრძელდეს 4 თვეს ანუ პირველ
ივლისს შეწყდება მეცადინეობა. II - საფეხურის სკოლების მოსწავ-
ლები გამოცდების გარეშე გადაგლენ შემდეგ უფროს ჯგუფებში
წლიური წარმატების მიხედვით. თუ მოსწავლე ვერ ასწრებს, დარ-
ჩება იმავე ჯგუფში, საშემოდგომო გამოცდები კი არ ჩაუტარდებათ."
(სხდომის თავმჯდომარე დ. ქუთათელაძე).

განათლების სისტემაში ყურადღება იყო მიქცეული სკოლებსა
და მათზე მზრუნველთა ეროვნულობაზეც, ვინაიდან ქართული ენის
არმცილენ შესაფერის ცოდნას ვერ შესძენს აჭარელ ბავშვებს.

„აჭარელ ბავშვთა სახლების და სკოლების სათავეში უნდა
იდგეს აჭარელი მცოდნე პირი, რომელიც თავისთავად ცხადია, ახ-
ლოს მიუდგება აჭარელ ბავშვთა ზნე-ჩვეულებებს და ფსიქოლო-
გიას." (P-5. აღწ. I საქმე №32. 7 ივლისი 1924 წ. ოქმი №13.
განსახომის კოლეგის სხდომის თავმჯდომარე ს. ვარშანიძე).

მომავალი სამოსწავლო წლისათვის შემუშავებულ პროგრამაში
გათვალისწინებული იყო შემდეგი საგნების სწავლება: მშობლიური
ენა, რუსული ენა, უცხო ენა, არითმეტიკა, გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება,
გეოგრაფია, საზოგადოებათმეცნიერება (ისტორია), ხატვა, ტანგარჯიშობა.

1924 წლის 25 სექტემბრის ოქთი №1-ით ირკვევა, რომ იმ გლეხთა შეიღები, რომლებიც საერთოდ გათავისუფლებული არიან სასოფ-ლო-სამეცნიერო გადასახადებისაგან, თავისუფლდებიან სწავლის ფულის-გან. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მოსწავლეთა გაცდენებს, ვინაიდან მშობლები ტვირთავენ სამუშაოთი, რის გამოც გამოითქვა პრეტენზიები. სამოსწავლო წელი დადგინდეს 15 მაისამდე და მშობლებს მიეცეთ მითითება სწავლის პერიოდში ბაგშვების სამუშაოდან გათ-ავისუფლების შესახებ". (განთლების კომისარი ს. ვარშანიძე).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მოსახლეობა კმაყოფილებით შეხვ-და ამ დადგენილებებს და მხარი აუბა წამოწყებებს ცხოვრების ახლე-ბურად წარმართვის მხრით. გლეხობა თანდაოთანობით შეეგუა სასიც-ოცხლო მნიშვნელობის კანონ-პროექტებს, ხოლო ახალგაზრდებში იმა-ტა სწავლის წყურვილმა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, იმიტომ რომ მოზარდ თაობას მერმისისკნ საგად გზაზე ახლებური ხედვა გააჩნდა.

1924 წელს მოხდა უკვე არსებული სკოლების რეაორგანიზაცია იმის გამო რომ პირველი საფეხურის სკოლები ვეღარ აუდიოდა მსმენელ – მოწაფეთა კონტიგენტის მოძალებას, საჭირო გახდა ამ სკოლებისა და ახლების ბაზაზე II საფეხურის სკოლების გახსნა, რომლებიც კადრებს მოამზადებდა სპეციალიზებულ ტექნიკურებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად.

II საფეხურის სკოლები უნდა გადაკეთებულიყო შეიძლებად, რომელიც ხელს შეუწყობდა ახალგაზრდობის უმრავლესობას სპეციალიზებულ ტექნიკურ შესულიყო უმაღლეს სასწავლებელში, რასაც პროფესიული განათლების ფართოდ დანერგვისათვის მოითხოვდა სახელმწიფო ინტერესი.

1924 წლის 29 ნოემბრის მოხსენებაში, აღზრდის მთავარმმართველო-ბის გამგე დ. ქუთათელებაჟ აღნიშნავს რომ „ახლადაღორძინებული სკოლის მოვალეობაა, აღზარდოს სულით, ნებით, რწმენით, ძალდონით, ცოდნით და კოლექტიურ შემოქმედებით აღჭურვილი მებრძოლი მოქალაქე, ამიტომ კი საჭიროა, რომ მოელი ჩვენი ყურადღება მიქვე-ლი იყოს იმ მხრივ, რათა ბავშვთა აღზრდის საქმეში, სკოლაში

შევქმნათ ისეთი პირობები, რომელიც მოგვცემს შეძლებას ადვილად გამოვუშაოთ ბავშვებს ზემოთაღნიშნული თვისტებები და ხასიათი. ამას კი მივაღწევთ მაშინ, როდესაც ბავშვი სკოლაში ისე თავისუფლად იგრძნობს თავს, როგორც თავის სახლში. როდესაც იგი შეითვისებს იმას, რომ სკოლაში მას სხვა კი არ ასწავლის, არამედ თვით სწავლობს, როდესაც მას კი არ აიძულებენ დაიცვას წესრიგი, არამედ თვით იგრძნობს წესრიგის დაცვის საჭიროებას, რომ ეს მისი აუცილებელი ბუნებრივი მოვალეობაა. როდესაც მას მასწავლებლის სახით მოევლინება არა უფროსი, რომელსაც ყოველ წამს შეუძლია იგი დატექსოს, არამედ უფროსი ამხანაგი, რომელიც მის საშველად არის მოვლინებული. ყველა ეს პირობები საჭიროა ნორმალურად სწავლა-აღზრდის დასაყენებლად. საჭიროა და აუცილებელი ფართო თვითმოქმედება, თვითმმართველობა და თვითდისციპლინა მოწაფისა. თავისთავად გაუქმდებული და სრულიად მოსპობილი უნდა იქნეს დამრიგებლის თანამდებობა." (P-5. აღწ. I. საქმე №40).

როგორც ვხედავთ, მოსწავლეს იმგვარად უდგებოდნენ, საკითხებს იმგვარად სვამდნენ, რომ თავად მოსწავლე დაინტერესებული იყო სკოლაში გამოცხადებით, ცოდნის დაუვლებით და იმის ფიქრით, რომ გამოადგებოდა სოფელს, ქალაქს, ხალხს და საზოგადოებას.

1925 წელს განათლების ყოფილი სახალხო კომისარი ქედის ადმასკომის თავმჯდომარედ აურჩევიათ. მისი მოღვაწეობის პერიოდი სახა-არბიელო ნამდვილად არ იყო, მაგრამ რადგანაც უნარიანი და კარგი ორგანიზაციონური იყო, რომ უფრო კარგად წარმართულიყო სწავლა-განათლების საშური საქმე, დროებით ჩაუყენეს სათავეში აღმასრულებელ ორგანოს, რამაც დიდი შედეგი მისცა რაიონის მოსახლეობას.

შემდეგ და შემდეგ იგი რამდენიმეჯერ იკავებს განათლების სახალხო კომისრის თანამდებობას, ვიდრე 1931 წლის ჩათვლით, თუმცა შემდეგშიც ისევ ამ აპარატის წამყვანი ფიგურაა. მიუკერძოებელი იყო, მაგრამ მშობლიურ სოფელ საღორეთს განსაკუთრებულ მზრუნველობას უწევდა.

1925-1926 წლებში საღორეთის სკოლაში სწავლას ეუფლებოდა 18 ვაჟი მასწავლებლის 2 საშტატო ერთეულის მოღვაწეობით. სკო-

ლას შეერქვა დაწყებითი და როგორც ითქვა, სწავლა მიმდინარეობდა სკოლისთვის შეძენილ შენობაში. მოღწეული ცნობით, საღორეთში ანბანის სიკეთე შემოიტანა მასწავლებელმა ბენია გიორგაძემ. იგი დიდხანს მოღვაწეობდა ქედის რაიონში. იყო განათლების განვითარების გამგეც, შემდეგი ინფორმაცია კი მასზე აღარ გვაქვს.

1926 წლისათვის მოსწავლეთა რიცხვი ოცდაათამდე გაიზარდა – 23 ვაჟი და 7 ქალი. ამ წლისთვის ქედაში სულ იყო:

| სულ მოწაფე | ვაჟი | ქალი |
|--------------|------|------|
| 2606 | 1442 | 1164 |
| 7-წლიანი | 387 | 201 |
| 8-11 წლიანი | 1241 | 591 |
| 12-წლიანი | 384 | 177 |
| 13-14 წლიანი | 416 | 227 |
| 15-წლიანი | 356 | 177 |

1926 წლიდან საღორეთის სკოლა იწოდებოდა რაი-სკოლად, რომელიც ხელმძღვანელობდა: დერებონის, ორთახონის, ზედა აგარის და ქვედა აგარის დაწყებით სკოლებს.

სკპპ აჭაროლქომის პრეზიდიუმის სხდომის მიერ დამტკიცდა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია 15-40 წლის ასაკის მოსახლეობისათვის 3 წლიანი, 1926-1930 წლების პროგრამით.

ამავე წლების მონაცემებით ქედის თემში შედიოდა შემდეგი სოფლები.

| სოფელი | მცხოვრებთა რაოდენობა | პაცი | ქალი |
|-------------|----------------------|------|------|
| საღორეთი | 204 სული | 104 | 100 |
| დერე-ხონა | 184 სული | 105 | 79 |
| ორთა-ხონა | 112 სული | 60 | 52 |
| ზედა-აგარა | 220 სული | 120 | 100 |
| ქვედა-აგარა | 204 სული | 120 | 84 |
| სულ: | 924 | 509 | 415 |

რამდენიმე სანში მოხდა სოფლებისა და თემების გადაჯგუფება, რის შედეგადაც ქედის ოქმის 38 სოფელთან მიერთებულია სოფლები დერებობა და ორთაბობა, ხოლო ზენდიდის სასოფლო საბჭოში შედიოდა საღორეთი, ზედა და ქვედა აგარა.

ცხრილები: (P-5, აღწ. I, საქმე №235).

1927 წლის მონაცემებით ვვგებულობთ: „აჭარისტანის განათლების კომისარს სელმან ლორთქიფანიძეს აცნობეს, რომ აჭარისტანის ავტონომიური ს.ს.რ ქედის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომის თანახმად, რომელსაც ესწრებოდა აჭარ-ცაგის თავმჯდომარე მოედინი სურმანიძე, №19 ოქმის შესაბამისად სოფელ საღორეთის სკოლა მოთავსებულ იქნა სოფლის ცენტრში, ადგილობრივ მედრესაში, როგორც მცხოვრებლებისთვის უფრო ხელსაყრელი და მიზანშეწონილი.“ (ფონი №76, საქმე №9).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ კონტინგენტი გაზრდილა და სკოლა დამატებით მედრესაშიც გაუსხიათ, რითაც ხოჯა-მოლებისთვის მედრესაში ფუნქციონირების გზები გადაიკება.

საღორეთის სკოლას ბევრჯერ შეეცვალა ადგილი. მიზეზები და მიზანი არ დგინდება, მხოლოდ ზეპირი მონათხოვებითაა ცნობილი რომ სკოლა სოფლის ცენტრიდან დასახლება პერკუმზე გადაუტანიათ. სწავლება მიმდინარეობდა ყერიმან თებიძის შვილის, მემედ თებიძის ამჟამინდელი სახლის მოპირდაპირედ მდებარე ბარაკის ტიპის ხის შენობაში, რომელიც „აწყესის“ სათავის მუშებს დორებით დაეთმოო. მასში მოგვიანებით ფუნქციონირებდა სამედიცინო პუნქტი. ერთი ცნობით სწავლება მიმდინარეობდა ცივასულის, ხემიდ დევაბის საცხოვრებელი სახლის ახლოს მდებარე იმავე ტიპის ხის ბარაკში.

ეს ცნობები სინამდვილეს შეესაბამება, მაგრამ მხოლოდ ყოფილი მოსწავლების მონათხოვებზე დაყრდნობით, ოდონდ ამ გადასვლა-გადმოსვლის მიზეზს და მიზანს ვერავინ ასახელებს.

ვინაიდან სკოლების რემონტს დიდი ყურადღება ექცეოდა და თანაც მოძალებულ კონტინგენტს პატარა შენობა ვეღარ აუდიოდა, ამიტომ სწავლებაც სხვადასხვა ადგილას მიმდინარეობდა. ეს იმ

დროისათვის მისაღებიც იყო, ვინაიდან ბრძანებების მიხედვით სკლამ-დე მანძილი სამ კილომეტრს არ სცილდებოდა.

სკოლების პარალელურად დიდხანს ფუნქციონირებდა ლიკ-სკოლები. თუ დასაწყისში 7-წლიანი ბავშვებიდან დაწყებული 50 წლიმდე ასაკის მსმენელები ერთად ეუფლებოდნენ ანბანს, სკოლებმა მოწაფეები უკვე მიიზიდა, ხოლო 15 წლის ასაკს ზემოთა მსმენელი ლიკსკოლებში განაგრძობდა მეცადინეობას.

მეცნ ლიკსკოლებს ფუნქციონირება არ შეუწყვეტია, ხოლო მასწავლებლები ასწავლიდნენ როგორც დაწყებით ისე ლიკსკოლებშიც, ოღონდ მსმენელთა ცვლა დაპროგრამებული იყო.

მშრომელთა დეკუტატების ქვედის რაი აღმასკომთან არსებობდა განათლების ინსპექცია, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა რაიონის სკოლებსა და სხვა კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებს. განათლების ინსპექციას დიდი სამუშაოს შესრულება უწევდა, რათა ბავშვები და წერა-კითხვის უცოდინარნი მიეზიდათ დაწყებითსა თუ ლიკსკოლებში. ამ მიზნით თემსაბჭოებში კულტლაშქრობები ეწყობოდა.

მშრომელი ხალხი თბილი განწყობითა და მიზანმიმართულად ჩატარებული აგიტაციის შემდეგ, მთლიანად ქართული სკოლის მხარეზე დაღვა, გაიგეს რა სკოლისა და სწავლის ფასი, რის შედეგადც აშკარად, უკეთესობისაკენ იცვლებოდა დამოკიდებულება მუსლიმან მცხოვრებლებსა და დანარჩენ ქართველებს შორის.

1927 წელს VII მოწვევის III სესიაზე აჭარცაკის წინაშე მოხსენებით გამოვიდა განათლების სახალხო კომისარი სკლმან ლორთქიფანიძე. სესიაზე გატანილი იყო ორი საკითხი:

სასკოლო ქსელების შეუნელებელი ზრდა.

მოსახლეობის ოვალში სკოლის ავტორიტეტის ამაღლების ცდა.

„როგორც საკავშირო სკოლებში, ასევე აჭარისტანში უნდა მიექცეს ყურადღება საყოველთაო სავალდებულო სწავლების ზრდას. საჭიროა სკოლამდელი დაწესებულებების გახსნა ბავშვთა გათვითცნობიერების უკეთ წარმართვისათვის. გახსნილ სკოლებში ყურადღება უნდა მიექცეს სწავლების ხარისხს და ლაბორატორიების უკეთ მოწ-

ობას, საჭირო ინვენტარიზაციას. 1928-1929 წლების მანძილზე საჭიროა 4 ახალი სკოლის შემატება. აჭარისგანის მაზრებში 117 სკოლის საპირისპიროდ 147 მედრესე მოქმედებდა.

კანონის აღიარების შემდეგ, ახალგაზრდები მედრესეებში აღარ უნდა მიიღონ 14 წლამდე და ვისაც არ აქვს გავლილი 2-ჯგუფი. არ უნდა დავუშვათ მედრესეებში ახალგაზრდების ძალდატანებით შექვანა. (იგნორირებას არ უკეთებენ თურქულის სწავლებას, მაგრამ საჭიროდ თვლიდნენ მასწავლებელთა გადახალისებას. ს.ს).

ყურადღება უნდა მიექცეს სკოლების შეშით უზრუნველყოფას. და უნდა ეთხოვოს აღმასკომებს აღნიშნულ საკითხზე ბიუჯეტში შეიტანონ ანგარიში. პედაგოგთა ხარისხის და მოსწავლეთა სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის უნდა დაგვაარსოთ საჩვენებელი სკოლები. აგრეთვე უნდა დაევალოს შესაბამის ორგანიზაციებს, მატერიალურად დაქმარონ დარიბებს მოსწავლეთა შემოსვის თაობაზე, საგზაო ხარჯების ანაზღაურებაზე.

ჩენ ვდებულობთ ვალდებულებას, მასწავლებელთა პარტიული კადრების მომზადებას პერ ინსტიტუტის ბაზაზე 75%-ით. დიდ ყურადღებას დავუთმობთ რესული ენის სრულად და მაღალ დონეზე შესწავლას. ამ მიზნით შევარჩევთ საუკეთესო კადრებს. ყურადღება უნდა გამახვილდეს აგრეთვე 7-წლების 9-წლების გადაკეთებაზე. უცხო ენები უნდა ისწავლებოდეს მაღალ დონეზე, რაც საჭიროა უმაღლეში შესვლის მსურველოთავის.

ორგანიზაციებს უნდა დაგვაალოთ გააფართოონ ქოხ-სამკითხველოების წრე მომარაგებით და ლიკსკოლებს მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება, გააფართოონ მათი ქსელი. (ლიკსკოლებს წინ უსწრებდა შრომითი სკოლები. ს.ს).

ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მოძრავი კინოდანადგარების გამოყენებას და კინოს ჩვენებას ახალგაზრდების გათვითცნობიერებისათვის.

გადაუდებელ ამოცანად გსახავთ სკოლების ზრდას, სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგებას, მაღალკალიფიციური მასწავლებლების მომზადებას, სკოლებზე ბიბლიოთეკების გადაცემას. ყურა-

დღება უნდა მივაქციოთ აგრეთვე უპატრონო ბავშვების უფლებების დაცვას და დახმარებას. ჩვენი ვალია აჭარელ ქალთა მასობრივი ჩაბმა სასწავლებელში, უმაღლესებში, რაღოცსადგურების დამონტაჟება, ქალთა მოზიდვის მიზნით ჭრა-კერვის სკოლების გახსნა.

მიღებულ იქნება ზომები სკოლებში 7 თვიანი სწავლების შესახებ. უნდა იქნეს მიზიდული გოგონათა რიცხვი აგიტპროპაგანდით. მთავრობა ყოველ ღონებს ხმარობს მოსახლეობის თნებით უზრუნველსაყოფად, რისთვისაც ბიუჯეტში შეაქვთ დამატებითი სახსრები განათლების სისტემის გაძლიერებისათვის."

სესიამ დამაკმაყოფილებლად ცნო სახალხო განათლების კომისარიატის მიერ ჩატარებული ღონისძიებები. დაისახა ამოცანებიც:

1. საკანონმდებლო დაწესებულებათა მუშაობის თვისობრივი გაუმჯობესება.

2. პედაგოგიური პერსონალის ხარისხიანდ შერჩევა. ძველი კადრების გადამზადება-გადახალისება.

3. აჭარელი კადრების მომზადება.

4. სკოლის აეტორიტეტის ამაღლება მოსახლეობის თვალში.

5. სკოლებზე მეთვალყურეთა დამატებით ინტრუქტაჟის ჩამოყალიბება.

6. სკოლების რიცხვის გაზრდა. მოსახლეობაში აგიტაციის ჩატარება ბაგშვთა კონტინგენტის მომატების შესახებ.

7. აგიტაცია-პროპაგანდა მედრესეებზე მიჯაჭვული ხალხის გასათვითცნობიერებლად.

8. აღკვეთილ და დაუშვებლად იქნას მედრესეებში ძალდა-ტანებით სწავლება.

9. არსებულ სკოლებში შეტანილ იქნას ისეთი თვალსაჩინოებები, რომელიც ნებისმიერ მსურველს აღუძრავს სწავლისადმი სურვილს.

10. სკოლებში მასწავლებლები არ გადატვირთონ ბევრი ჯგუფით.

11. ვინაიდან საობობით უზრუნველყოფა ვერ ხერხდება და ამის გამო გაცდენებს აქვს ადგილი, დაევალოთ შესაბამის ორგა-

ნიზაკიებს საკითხის მოგვარება.

12. გათვალისწინებულ იქნას ფუხარაზე თანხის სახით დახმარება.

13. ყურადღება მიექცეს მუშფაკებს, რათა ამ ფაკულტეტებიდან გადმოსული ახალგაზრდები უპრობლემოდ მოხვდნენ სხვადასხვა სასწავლებელში და შესაბამისად უმაღლეს სასწავლებელში.

14. უაღრესი ყურადღება მიექცეს სასოფლო კლუბებს, ბიბლიოთეკებს, კინოდანადგარებს, ლიკსკოლებს მათი უზრუნველყოფით მატერიალურად.

15. მიექცეს ყურადღება ლიკსკოლების პედაგოგთა სწავლების ხარისხს, მათი მომზადების დონეს. მათი კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით მოეწყოს კურსები.

16. ქალთა შორის ცივილური ფორმის დანერგვისათვის გაფართოებულ იქნას ქალთა პროფ-სკოლების წითელი კუთხეების ქსელი.

(1927 წ. 15 ივლისი. P-4. საქმე №287)

„1927 წელს პროლეტარიატის წინაშე დადგა ამოცანა მშრომელოთ ქვეყანაში პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული გარდაქმნის თაობაზე. ამ მიზნით სოციალისტური აღმშენებლობის საერთო სისტემაში უნდა გამონახულიყო შესაფერისი საშუალება სახალხო განათლებისათვის. პროგრამა მაქსიმუმი მოითხოვდა ყოველი სასკოლო ასაკის ბავშვის ჩაბმას სკოლაში. ამისთვის, მასწავლებელი ჯერ უნდა გასცნობოდა ყველა ბავშვის სოციალურ და მატერიალურ პირობებს, რათა გაადვილებოდათ მიღომის ფორმა, ამასთანავე უნდა ეზრუნაოთ, მაქსიმალურად გადაეცათ ისეთი ცოდნა, რომ ბავშვი თვითონ გარკვეულიყო იმდენად, რომ ცხოვრების გარდაქმნაში თვითონ მიეღოთ მონაწილეობა. სკოლისა და მასწავლებლის როლი კი მოსწავლის წესიერად ჩამოყალიბებაში ვლინდება და ამდენად, ისინი ვალდებული არიან, რომ ბავშვები მოარიდონ ან გადააჩვიონ ყოველგვარ მანკიერს, რითაც არც თუ ისე ღარიბია ცხოვრება.

ბავშვების ჩამოყალიბებაში აუცილებელია სკოლისა და პედაგოგთა მჭიდრო კავშირი საზოგადოებასთან. ამასთანავე ბავშვებს უნდა გამოვუშაოთ შრომითი ჩვევებიც, ვინაიდან სოფლის მცხ-

ოვრებთა შორის კოლექტიური პრინციპები აბსოლუტურად ნულის ტოლია, ამიტომ სკოლამ უნდა იზრუნოს მოზარდი თაობის კოლექტიური პრინციპებით აღზრდაზე, რადგან ახალგაზრდობა უფრო ადრე გადის ახლებური ცხოვრების საჭიროების რელსებზე, ვიდრე უფროსი თაობა. ამიტომაც, მითითებები პირდაპირ ეგზავნებოდათ განათლების დარგის მუშაკებს განუხერელად გატარებისათვის. ეს იყო კოლექტივიზაციის წინამძღვრები, წინაპირობა მოსახლეობაში პროგრესული აზრებისა და მიღწევების დანერგვისათვის.

შეიქმნა პროგრამა ოთხწლედების შექმნის თაობაზე, რომელიც მოზარდებს მისცემს კარგი წერა-კითხვის და ანგარიშის ცოდნას. მსარეომცოდნეობის ათვისების საშუალებას, ისტორიული ზნეზეულუბების დაცვისა და საზოგადოებაში დამკვიდრების თავისთავადობას. ახალი ცხოვრების დამკვიდრებას, ტექნიკური პროგრესის განვითარების აუცილებლობას და სხვა, რომელიც გახდება სოციალისტური პრინციპების შესახებ უტყური თავდები." (მარიამ ორახელაშვილი).

ამ დროისათვის დაგეგმილი იყო ორსაფეხურიანი სწავლების შემოღება, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

I საფეხურზე სწავლება მოიცავდა I-HV კლასებს., ხოლო

II საფეხურზე სწავლება მოიცავდა V-VIII კლასებს.

განათლების სახალხო კომისარიატმა 1927 წელს შეიმუშავა ოთხწლედების კომპლექსური პროგრამები, რომელიც ძირითადში მოიცავდა პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებთან მუშაობის პრინციპებს. კლასი იწოდებოდა ჯგუფად. თითოეულ ჯგუფში სხვადასხვა დისციპლინები ისწავლებოდა ძირებითი წედომით.

I-ჯგუფი: ბავშვის გაცნობა. სკოლის გაცნობა. მუშაობისათვის შესაფერისი პირობების შექმნა. ბუნების ცვალებადობა. რა კეთდება ოჯახში. მზადება ზამთრისათვის ოჯახსა და სკოლაში. ბუნების სახე. გართობის სახეები. გაზაფხულისა და საზაფხულო სახეები. პიგინა.

II-ჯგუფი: ოჯახის ირგვლივ სამუშაოთა ჩატარების განხილვა. დაკვირვებები ბუნებაზე, ექსკურსიები, თავისუფალი თხრობა. ზეპირი და წერითი ანგარიშები. მეტყველი გამოთქმები, საათზე დაკვირვე-

ბები. მცენარე, ცხოველები, ადამიანი. დღესასწაულებში მონაწილეობის მიღება, გეომეტრიული სხეულების გაცნობა. ჯანმრთელობაზე ზრუნვის შეთვისება. მომავალში მუშაობის გეგმის შედგენა და სხვა.

III-ჯგუფი: ოქტომბრის რევოლუცია და მისი მიღწევები. სოფლის მეურნეობის დარგების ღრმად შესწავლა. ბუნების და მისი მოვლენების თეორიული დაუფლება. ადამიანის ჯანმრთელობისთვის საჭირო პირობები. კვება, ჩაცმა-დახურვა, ქალაქისა და სოფლის ურთიერთგავშირის სარგებლიანობა და საჭიროება. გარემოს კეთილმოწყობა და პირადი ცხოვრების წარმართვა. თემი, მაზრა. ბუნება და საქმიანობა.

IV-ჯგუფი: საქართველოს რესპუბლიკის ფიზიკურ-გეოგრაფიული მიმოხილვა. ოქტომბრის რევოლუცია და მისი მონაპოვარი. (იქ სადაც ისწავლება)... საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა, საქმიანობა, მეურნეობა, გაუმჯობესების ამოცანები და კულტურული ცხოვრება. მესაქონლეობა, საქართველოს ბუნებრივი სიმდიდრეები. მრეწველობა, ვაჭრობა, მიმოსვლის საშუალებანი. კომუნიკაციის საშუალებანი. მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, ეულტურული ვითარება. როგორ წარმოშვა საქართველოს რესპუბლიკა. ავტონომიები. დამოკიდებულება მეზობელ რესპუბლიკებთან. სსრკ-ზოგადი განხილვა. ასტროლოგიური დაკვირვებანი.

სასწავლო პროგრამა ისეა შერჩეული, რომ მეოთხე ჯგუფის მოწაფეს გაუღვიძოს ინტერესი სწავლის გაგრძელებისა შემდგომ საფეხურებზე.

1928 წლისათვის ქედის რაიონში იყო სულ 14 სკოლა.

მახუნცეობი, ზუნდაბა, დოლოგანი, ბზუბზუ, უწითი და დერქხონნა შედიოდა აჭარისწყლის მაზრაში.

1928-1929 წლების ჩამონათვალში აღნიშნულია მასწავლებელთა წარმომავლობა და პარტიულობა. მაგ: კომპავშირელი, კომუნისტი, უპარტიო, მუშა, გლეხი, თავადი, ქართველი, აჭარელი, რუსი, სომეხი, ბერძენი და სხვა. სულ 39 მასწავლებელი.

1928-1929 წლის აჭარის სახკომსაბჭოს მოხსენებაში აღნიშულია, რომ სამეურნეო და კულტურულ ასპარეზზე დიდი აღმ

შენებლობის ხანა დაიწყო, რომ დაიხვეწა პარტიის კლასობრივი ხაზი, გაიზარდა სოციალისტური აღმშენებლობის ელემენტები. თანდათანობით გაიზარდა სკოლისა და კულტურის ავტორიტეტი. როთაც ერთგვარი გარდატეხა მოხდა მოსახლეობის კულტურულ და პოლიტიკურ შემეცნებაში.

1928 წლამდე საარქიფო მანაცემებში არსადაა აღნიშნული მასწავლებელთა სახელ-გვარები, დანიშვნა-გათავისუფლების თარიღები. მხოლოდ 1928 წლისთვის სჩანს, რომ „საღორეთის რაი სკოლის გამგე იყო ბ. ღოლიძე, შემდეგ მის ადგილას დორებით დანიშნული – ლოლა ორაგველიძე. მაზრის სკოლების ხელმძღვანელთა მომართვის საფუძველზე დაინიშნენ აღნიშნული მასწავლებლები და თურქელი ენის მასწავლებელი, მოლა მემედ დიასამიძე. (p-76, ანაწ. I. საქმე №15, ბრძ. №78).

მთელი რიგი ბრძანებებისა მიმართული იყო იქეთკენ, რომ ქალთა ჩაბმა მომხდარიყო კულტურული ცხოვრების ფერხულში. უმაღლესში მათი ჩარიცხვა, თუმცა მცირე რაოდენობით, მაგრამ წარმატებით ხდებოდა. ნასწავლ ქალებს დიდი გავლენა ჰქონდათ მოსახლეობაში.

ქალთა კონტიგენტის მასიურად მოზიდვის საქმეში აქტიურ როლს თამაშობდა წახალისებები, ჯილდოები, ფულადი სახსრები, დახმარებები, რამაც კეთილგანწყობილთა რიგი გაზარდა. აჭარელ ქალთაგან მომზადებულმა პედაგოგიურმა კადრებმა, აჭარის კულტურულად დაწინაურების და საზოგადოებრივ ასპარეზზე მათი გამოყვანის განმსაზღვრული ფაქტორის როლი შეასრულა.

1922 წლიდან 1930 წლამდე, ლიკსკოლების რიცხვი 62-დან 420-მდე გაიზარდა. წერა-კითხვის უცვლინართა რიცხვის პროპორციულობა ქალაქსა და სოფელში რადიკალურად განსხვავდებოდა.

1929 წელს საღორეთის რაისკოლის გამგე ნიკოლოზ წეროძე, მასწავლებელი კი ნადია წეროძე და მემედ დიასამიძე. (ბრძ. №85. 20 ოქტომბერი p-76. ანაწ. I. საქმე №15).

1929-1930 სამოსწავლეო წელს საღორეთის რაი-სკოლაში იყო 3 ჯგუფი, 32 მოსწავლე, 2 მასწავლებელი. (p-770. აღწI. ფურც. 30).

აჭარისტანის მაზრებში ამ დროისათვის იყო 83483 მცხოვრები, მათგან წერა-კითხვის უცოდინარი 74123. ლიკსკოლებში თავდაპირველად კლასში 30-40 მსმენელი იყო, დამთავრებისას კი რჩებოდა 5 ან 6 ადამიანი. ასეთი დენადობის გამო მიზანშეწონილად ცნეს მოსახლეობის ჩამა შრომით საქმიანობაში, სადაც ანაზღაურებაც ექნებოდათ და შესაბამისად ნაყოფს გამოიღებდა ლიკსკოლებში მსმენელთა მიზიდვისა და მოსახლეობის უკეთ გათვითცნობიერების საქმეში.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კონფერენციაზე მომსხვენებელმა დუმბაძემ აღნიშნა, რომ „საჭიროა ლიკსკოლების რიცხობრივი ზრდა, მაგრამ თუ თლიდან სისტემატურად არ იქნა მიქცეული ფურადღება, მაშინ ძნელი იქნება მათი არსებობა. ამასთანავე საჭიროა მოსახლეობასთან ფსიქოლოგიური მუშაობა..“

1929-1930 წლებში საღორეთში სწავლობდა 30 ვაჟი და 2 ქალი. სასკოლო ასაკისა იყო 37 ვაჟი და 21 ქალი. 1930 წელს ოთხწლედი დამთავრა 4-მა ვაჟმა და 2 ქალმა.

აჭარის სკოლებში მოსკოვიდან მიღებული დირექტივის თანახმად იგზავნებოდნენ საშუალო სკოლადამთავრებული ძლიერი მოსწავლები, მაგრამ ისინი სასკოლო პროგრამებს საჭირო დონეზე ვერ ძლევდნენ, რის გამოც მათი უმაღლესში გადამზადება გეგმაზომიერად ხდებოდა.

ამ დროისთვის მასწავლებლებს როგორც ხელფასი, ისე ცხოვრების ელემენტარული პირობებიც შეუსაბამო ქონდათ. იყო მასწავლებლებზე ხელისშემსლელი პირობებიც, როგორც მოსწავლეთა ისე მასწავლებელთა დენადობას პქონდა ადგილი, რასაც ხელს უწყობდა ხოჯა მოლების აგიტაციაც. ძალიან ბევრ სოფლებში შეინიშნებოდა მავნე აგიტაცია-პროპაგანდისტული გამოხტომები, თუმცა საპირისპიროდ მოქმედებდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო და კულტურული საყოფაცხოვრებო ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის ბრძოლის დაუოკებელი სურვილი, რაც გამოიხატებოდა ჩამორჩენილობისა და მანკიერი ყოფის დაძლევაში. ამ მიმართებით საჭირო შეიქმნა ახალი სკოლების აგება თანამედროვე დონეზე და აგრეთვე კულტმასობრივი სამუშაოების ჩატარება, რათა

სოფლის ახალგაზრდობა გამოსულიყო საუკუნეობრივი კარჩაკეტი-ლობისაგან. პირველდაწყებით სწავლებას დიდი ხვედრითი წილი ჰქონდა მასების გათვითცნობიერების საქმეში.

1930 წლის №147-ე ბრძანების თანახმად, საღორეთის რაი-სკოლის გამგე ნიკოლოზ წეროძე სხვაგან გადასვდასთან დაკავშირებით გათავისუფლდა. მის ადგილას ჩაენაცვლა 4 ოქტომბერს მიხეილ გიგინეიშვილი. №180-ე ბრძანების თანახმად, მასწავლებელი ნადია წეროძე შეცვალა სკოლის გამგე მიხეილ გოგიჩაიშვილმა.

განათლების საკავშირო კომისარიატის დირექტორების შესაბამისად მთელი კავშირის მაშტაბით, არც ერთი სოფელი, სადაც სწავლის შექმინებული არ უნდა დარჩენილიყო წიგნიერების გარეშე. ამ მიმართებით მთავრობის ყოველდღიური საზრუნავიც ეს იყო. დიდ ყურადღებას მოითხოვდა და უფრო კონკრეტულ სიფაქიზეს საჭიროებდა მოზარდთა წიგნიერება.

სკპ XVI ყრილობაზე, სტალინის მოხსენებაში სწორედ ეს საკითხია გაშუქებული. ამონარიდი ამ. ი. სტალინის მოხსენებიდან.

„ახლა მთავარია გადავიდეთ საყოველთაო პირველდაწყებით სწავლებაზე. მე ვამბობ „მთავარია“, რადგან ასეთი გადასვლა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა იქნება კულტურული რევოლუციის საქმეში, ხოლო ამ საქმის დაწყება დიდი ხანია საჭირო იყო, რადგან საბჭოთა კავშირის რაიონთა უმრავლესობაში ჩვენ მოგვეპოვება ყველა აუცილებელი პირობა საყოველთაო პირველდაწყებითი განათლების შემთხვევად. მაშასადამე, დადგა დრო, როდესაც ხელი უნდა მოვკიდოთ საყოველთაო სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლების შემოღებას. (პ-5. აღწერა I. საქმე №375).

ამ. სტალინის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად, მჟიდოროდ დაირაზმა მთელი ჩვენი ქვეყანა, რაც წარმატებით იქნა შესრულებული. ქვეყნის წინავლისა და ძლიერების შესაბამისად, კიდევ უფრო გაიზარდა მშრომელი ხალხის კულტურული მოთხოვნილები. ღონისძიების გასატარებლად, სტალინური მესამე ხუთწლედების განმავლობაში შესასრულებელი ამოცანები კონკრეტული და ქმედითუნარიანი გახდა. ხუთწლედების გეგმაში კი შედიოდა

მოსწავლეთა რიცხვის ზრდა, სკოლების რაოდენობის ზრდა და სახელმწიფო დაფინანსების პარალელურად, მოსახლეობისაგან თვითდაბეგვრის სახით დახმარება. შედგა ხალჯთაღრიცხვები შტატზე ბზე ხელფასის ოდენობის შესახებ.

1932-1933 წლებისთვის სკოლების რაოდენობა გაიზარდა.

1930-1931 წლებში აჭარისტანში მოქმედი 4 შვიდწლედიდან სამი გადაკეთდა გლეხთა ახალგაზრდობის სკოლად.

ახალგაზრდობის სკოლების პარალელურად, რაიონებში იხსნებოდა პროფესიული სკლებიც, რამაც დიდი გავლენა იქნია გლეხურ მეურნეობაზე. მთავრობის გადაწყვეტილებებით ქვედაში გაიხსნა მებაღეობის, ქობულეთში მეაბრეუმუშების, ბათუმში ჩაისა და სუბტროპიკული მეურნეობების სკოლები. (აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე აჭარის მასშტაბით დიდხანს მოღვაწეობდა ასეთ სკოლებში).

პროფესიული სკოლების დაარსებისას კონტინგენტის მიღების ნორმები განსაზღვრული იყო, ხოლო შვიდწლედებში ერთერთი პროფესიის დაუფლება სავალდებულო იყო. სკოლები ძირითადად იძლეოდნენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს. პროფსკოლებში სწავლების ხანგრძლივობა ორი წელი იყო. შემდგომში კი ჭრა-კერვის სკოლებიც ორწლიანად გადააკეთეს. ქვედაში ფუნქციონირებდა 7 ჭრა-კერვის სკოლა.

გამოცემული დეკრეტების შესაბამისად სკოლების რაოდენობაში იმატა და შესაბამისად მოსწავლეთა რიცხვიც გაიზარდა.

1930-1931 წლებში საღორვეთის სკოლა კვლავ ფუნქციონირებდა მედრესეში. მოსწავლეთა რაოდენობა იყო 27, კლასში ჩატოვებული - 8, მიიღეს ახალი - 15. სულ 42 მოსწავლე ანუ 36 ვაჟი და 6 ქალი. დეკემბერში კი სახეზე იყო 25 ვაჟი და 2 ქალი. მედრესეში კი აღარავინ დადიოდა. იყო 3 ჯგუფი ანუ 64%.

1931 წლისათვის თემში სულ იყო 102 მოსწავლე, 90 ვაჟი და 12 ქალი.

მასობრივი ყურადღების ცენტრში იყო სკოლების, მოსახლეობის გათვითცნობიერების, ახალი ცხოვრების ფუძემდებლების და გამგრძელებლების – ბავშვთა და მოზარდოთა აზროვნების რადიკალურად შეცვლის კურსი.

ჯერ კიდევ 1924 წელს, სამეცნიერო პედსაბჭოზე მომხესვნებელმა რ. გორგაძემ გააკეთა შემდეგი მოხსენება:

„ბაქშვის ბუნება მთლიანი თაიგულია, რომელიც მოითხოვს შთაბეჭდილებებით, განცდით, ცოდნით გამდიდრებას, ბუნებრივ თან-წყობას. მთავარია ბავშვი შევიყვანოთ მეცნიერების მეთოდში, რომ მისი ალლო ნიჭი და მიღრეკილება, დებულობდეს თანდათანობით, ძალდაუტანებელ ბუნებრივ განვითარებას, ამისთვის კი საჭიროა დაცული იქნეს ბავშვის შთაბეჭდილებათა მთლიანობა, რომ ბავშვის შემეცნებაში ყველა გრძნობა დებულობდეს მონაწილეობას. ასეთ შემთხვევაში ენის ათვისებაც გაადვილებულია და ზემოთ-აღნიშნული მოთხოვნილებაც დაცული.

ბაქშვის ფსიქიკა სათუთია. იგი თხოვდობს ნაზ და სათუთ მიღვომას, ესეიზი მსუბუქ და ადვილ შთაბეჭდილებას, რომ აზროვნება მისი არ გაორდეს, არ გაცდეს დაუმთავრებელი წინადადებებით ან ორაზროვანი გამოთქმით, ან სხვა რამით, რომელიც ავნებს ბავშვის ნორჩ აზროვნებას, მის ბუნებრივად თანდათანობით მიმდინარეობას."...

(პ-5. აღწ. I. საქმე-50).

შეარდი მოთხოვნილებების საპასუხოდ ქედის რაიონში წლების მიხედვით ფუნქციონირებდა და იზრდებოდა სკოლების რაოდენობა და კონტინგენტის რიცხვი, რაც წინგადადგმული ნაბიჯი იყო მოსახლეობის გათვითცნობიერებისა და მასიური განათლების მიღების მისიაში.

| წლები | სკოლების რაოდენობა | მოწაფეთა რაოდენობა | ეროვნება, რაოდენობა |
|-----------|---------------------|-----------------------|------------------------|
| 1917 | 2 სკოლა | 120 მოწაფე | აჭარელი 105 |
| 1921 | 4 სკოლა | 245 მოწაფე | „-----“ 182 |
| 1930-1931 | 35 სკოლა | 1346 მოწაფე | „-----“ 1315 |
| 1932-1933 | 44 სკოლა | 1895 მოწაფე | „-----“ 1879 |
| 1933-1934 | ნოემბერი 45 სკოლა | 1849 მოწაფე | „-----“ 1822 |
| | დეკემბერის 47 სკოლა | 2130 მოწაფე | „-----“ 2114 |

განსახომის საგეგმო-ეკონომიკური სექტორის გამგე: ვ. სალუქაძე.

1929-1930 წლის განმავლობაში რაიონის სკოლებს და ეგზავნათ ცირკულარები და მითითებები სასოფლო-სამურნეო სამუშაოების ჩატარებისას, მეურნე-გლეხობაზე ასენა განმარტებითი მითითებების მიცემის თაობაზე. ამ მიმართებით სკოლებს მიეთითა: „სამკითხველო ბიბლიოთეკებს მიმართონ იმ მიზნით, რომ მეურნე გლეხებს ჩაუტარონ თათბირ სემინარები თესვის გაუმჯობესების მიზნით, ახალი ჩვევების დანერგვის თაობაზე, მანქანა-ტრაქტორთა გამოყენების თაობაზე და პირადად მიიღონ ფიზიკური მონაწილეობა ხენა-თესვაში. გარდა ამისა, განუმარტონ გლეხობას კულაპობასთან ბრძოლის პრინციპები და სოციალური მშენებლობის და კოლექტივიზაციის დადებითი როლი სოფლის მოსახლეობისათვის.

ქოხ-სამკითხველოები და ბიბლიოთეკები შევსებული უნდა იქნას საჭირო ლიტერატურით, ბროშურებით, უნდა გამოიშვას კედლის გაზეთები მოსახლეობაზე ცნობების მიზნით. ჩაბმული უნდა იქნას ამ კამპანიაში რადიო-კინომომრავები, კინოსურათების ჩვენება ამ თემებზე და სხვა. ჩატარდეს საუბრები ახალი სემცენარეების, ხილ-კენკროვანის ათვისებისა და სარგებლიანობის შესახებ.

გარდა ამისა სკოლების უფროსი ასაკის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს დაევალოთ, მონაწილეობა მიიღონ მოსახლის ხარისხიანად აღებასა და დაბინავებაში. დაეხმარონ სოფლის მოსახლეობას იზრუნონ მათს კეთილდღეობაზე, გათვითცნობიერებაზე და სხვა.

(p-5. აღწ. I. საქმე-194. 1930 წ.)

სკოლებს შორის მიმდინარეობდა გამოწვევები სოციალისტურ შეჯიბრებებში, რომელიც ძირითადად ხელოს რაიონსა და ქედის რაი-სკოლებს შორის იმართებოდა. შემაჯამებელ მოსსენებებს ძირითადად რაიონის განათლების განყოფილებაში არსებული ცალკეული განყოფილებები აკეთებდნენ. შეფასება ხდებოდა აჭარის განათლების განყოფილებიდან მოვლინებული ინსპექტორების მიერ. სოც-შეჯიბრებებში გამარჯვებულ სკოლებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაეცემოდა როგორც გეგმიური, ისე წამახალისებელი ჯილდოები, გამოუყოფოდა სახსრები სკოლების უკეთ მოწყობისათვის და ლიტერა-

ტურის შესაძენად. სასკოლო ბაღ-ბოსტნების მოსაწყობად გადაეცემოდა ნაკვეთები.

სოც-შეჯიბრი სტიმული იყო აკადემიური მოსწრების უკეთ წარმართვისათვის. მოსახლეობისა და სკოლის დაახლოებაში ძირითადი გარდატეხა სწორებ სოც-შეჯიბრებებმა გამოიწვია. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა კარგად მიმდინარეობდა, რამაც კიდევ უფრო მჭიდროდ დააპავშირა სკოლა და ოჯახი. სკოლები ანგარიშს აბარებდა მოსახლეობას, სოფელს. მიუხედავად მრავალი ნაკლებანებისა, სკოლებში ერთგვარი წახალისების ფორმა იყო ეს გამოწვევა, რამაც საერთო ჯამში დადგებითი შედეგი მოუტანა რიგ სკოლებს.

სოც-შეჯიბრების მთავარი არსი იყო შრომის სკოლების გადაკეთება საბჭოთა, რეფორმირებულ, გაუმჯობესებულ სკოლებად, რომლის მიზანი იქნებოდა, მომავალი თაობის ახლებური სულისკვეთებით, ზნეობრივ-მორალური და პატრიოტული, სულით ამაღლებულ პიროვნებებად ჩამოყალიბება. მჭიდრო კონტაქტებმა კი ხელი შეუწყო სოფლად სხვადასხვა წრეების ჩამოყალიბებასაც.

სოც-შეჯიბრმა დიდი როლი ითამაშა შრომის და სასკოლო დისციპლინის განმტკიცებაში. შეჯიბრი არ იყო შემთხვევით, დროებით კამპანია, არამედ, მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის მუშაობის მეთოდი იყო. აღმასკომი და რაიკომი მოსახლეობაში მასწავლებელთა მიმართ ნდობის მოპოვებას და დაახლოებას უწყობდა ხელს. ამ მიმართებით ზემდგომი ორგანოები საკუთრივ ატარებდნენ მოსახლეობაში აგიტაცია-პროპაგანდას. გარდა ამისა, მასწავლებლებს ეხმარებოდნენ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, ზრუნავდნენ დარიბ მოსწავლეებზე, რაც ერთერთი დადგებითი ფაქტორი იყო მოსახლეობაში ნდობის მოპოვებისა, რომელიც, რა თქმა უნდა, ახალი ცხოვრებისკენ მათს მთლიანად შემობრუნებას უწყობდა ხელს.

სკოლას და მის ტრადიციას ფართო გასაქანი მიეცა ქედის რაიონში 1922 წლიდან. პირველ ხანებში მშრომელთა მტრები ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ სკოლის გახსნა-არსებობას და მშრომელ გლეხობას საბჭოთა შრომის სკოლისადმი სიძულვილს უნერგავდნენ ათასგვარი პროგრაციული გამოსვლებით და ხმების

გავრცელებით, მაგრამ შრომის სკოლების მუშაობამ და საბჭოთა ხელისუფლების ზრუნვამ, მშრომელი მოსახლეობა თანდათან დაუახლოვა სკოლას. მშრომელთა მტრები უკვე რწმუნდებოდნენ რომ სწავლა-განათლების ტალღა ფართოდ მოედო მოსახლეობას, რომელიც დაადგა გათვითცნობიერების გზას, მაგრამ მტრების ხელით ხულოში მოწყობილმა ავანტიურამ დროებით ყველგან შეაჩერა სწავლა, დაცარიელდა სკოლები. ამის სალიკვიდაციოდ გაიშალა აგიტაცია-პროპაგანდა სამოსწავლო წლის განახლებისათვის და ვიდრე მას-წავლებლები გამოცხადდებოდნენ, მოსახლეობაში დიდი მუშაობა ჩატარდა სასწავლო წლის ნორმალურად დაწყებისათვის.

მოსწავლეთა მოზიდვისთვის საჭირო შეიქმნა ახალი სკოლების აგება და არსებულის გარემონტება. სამოსწავლო წლის დაწყებამდე (1 ოქტომბრამდე) აიგო ორი ახალი სკოლა სოფელ დერე ხოხნაში და სოფელ საღორეთში. შემდეგ განსახეობოან შეთამბეჭდით შეირჩა მასწავლებლები და 10 სექტემბრამდე იწყო უკვე მათი გამოცხადება. ჩატარდა თათბირები და მასწავლებლებს მიეცათ მითითებანი მუშაობისთვის.

გლეხობა ნამდვილად დავიდა იმ შეგნებამდე, რომ ახალი ცხოვრებისკენ ახლებურად სვლა იყო საჭირო, თუმცა მაინც იგრძნობდა რელიგიის კუთხით შებოჭილობა და ბევრი სხვა ხელის-შემშლელი მიზეზებიც, რომელსაც ხალხის მტრები ხელსაყრელ მომენტში ნამდვილად იყენებდნენ.

ჯერ კიდევ 1916 წელს, ქალაქ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორი კავკასიის მეფისნაცვალს სწერდა: „ოლქში მასწავლებლებად მუსულმანთა სკოლებში (მედრესეებში) გვევლინებიან სასულიერო პირები /მოლები/, რომლებიც მოსახლეობის სულიერების ერთადერთი გამათვითცნობიერებლები არიან. ყველა ისინი არიან დაბალი განათლებით. ზოგიერთმა მათგანმა წერა-კითხვაც არ იცის. ისინი ბავშვებს ასწავლიან მხოლოდ არაბულ ლოცვებს, რომელთა სიტყვების მნიშვნელობა ბავშვებმა საერთოდ არ იციან. მედრესეებში მოლები იყენებენ ფიზიკური დასჯის ყოველგვარ სახეობას, რომლითაც ბავშვებს საშინელ ტკივილს აყენებენ. მე-

დღესეებში ორივე სქესის ბავშვები სწავლობენ, მაგრამ გოგონები 13 წლამდე, რის შემდეგაც ისინი ჩადრის ტყვეობაში ექცევიან. მედრესეების მთავარი დანიშნულება არის მოსახლეობაში მუსულმანური რელიგიის გავრცელება. სულთნის იმპერია ცდილობს ფესვებიდან ამოძირკვოს ყოველგვარი ქართული, სამარივროდ თურქული ენის, კულტურის, ყოფისა და რელიგიის ჩაფესვას ცდილობენ."

ეს ადიარება საკვირველიცაა, ვინაიდან როგორც ითქვა, არც მეფის რესერთის მთავრობა და კანონები არ აძლევდნენ არაფერს სასიკეთოს მცხოვრებლებს, პირიქით, რჩება აზრი, რომ ისინი შეთანხმებულადაც მოქმედებდნენ აჭარაში თავიანთი ინტერესებისა და გავლენის მოპოვება-შენარჩუნებისათვის. და რომ ეს ასეც იქნებოდა, ამის თქმის საფუძველს მაძლევს 2012 წელს გამოცემულ წიგნში „საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში“ მოტანილი ცნობა, 1865 წელს ბათუმში „მოსახლეობის მიერ შეკვეთ ბული და სწავლისთვის გახსნილი 2 დაწყებითი სკოლისა და შეოდერში აშენებული დაწყებითი სკოლისთვის საჭირო 7200 წიგნისა და 3200 ჟურნალის დაბეჭდვისთვის“ - გაიღო სულთანმა 10500 ყურუმი ხაზინის ხარჯზე.

ეს ფაქტი მოწმობს, რომ ბათუმში დიდი უურადღება ექცეოდა სასულიერო ცოდნას მოსახლეობაზე დახმარებას და მათი შვილების აღზრდას. (რა თქმა უნდა ოსმალეთისთვის გამოსადეგად).

1869-1872 წელს ბათუმში კვლავ იგზავნება წიგნები და მასწავლებლები.

როგორც ცნობილია, აჭარის დედა-სამშობლოსთან მიერთების შემდეგ მედრესეები ხელუხლებლად დატოვეს. შემცირების ნაცვლად მათი რიცხვი თანხდათან უფრო იზრდებოდა.

1888 წლისათვის ბათუმის ოლქში 106 მედრესე მოქმედებდა. 1903 წელს 154, 1913 წელს კი - 192.

აჭარაში მოქმედ 25 სკოლაში აღა-ბეგებისა და მდიდრების შვილები სწავლობდნენ, ხოლო დარიბი ხალხის შვილებისთვის სკოლის კარები რომ ყველგან დაკვირდი იყო, ეს უკვე მოვისხენიეთ. ცარისტული მმართველობის 40 წლიან პერიოდში ბათუმის

გიმნაზია მხოლოდ ხუთმა, ბათუმელი მდიდრების შვილებმა დაამთავრეს.

თუ როგორ ინერგებოდა ისლამური რელიგიის გვერდით რუსული ენა, რომელიც ქართულის ენის განდევნას და მოსპობას ისახავდა მიზნად, ერთი ფრაგმენტი კმარა, რომელსაც აღწერს ხელოს ორკლასიან სასწავლებელში 1889 წელს მოღვაწე პედაგოგი ალექსანდრე მგელაძე „სასწავლებელში წავიდე რამოდენიმე ცალი ქართული წიგნი და დავიწყე სწავლება ქართული ენისა, რომელსაც ნამალევად ვახერხებდი 27 კაცზე (რუსულიდან ნათარგმნია ჩემს მიერ). უქმური და მკაცრი შემმოწმებელი – ნოვოსპასკი უცებ დამადგა თავზე მოუხდავად ჩემს მიერ მიღებული ზომებისა რვეულები ფანჯრის რაფაზე დამრჩა. ნოვოსპასკიმ შეამჩნია ისინი და მხეცურად დაიღრიათა: ბატონო მგელაძე, თქვენ დაგავიწყდათ, რომ აქ რუსული კანონების წარმომადგენელი ხართ, იგნორირებას უკეთებო ამას და კლასში შემოგაქვთ „ჭუჭყი“, თვითონ არ იცით რას აკეთებთ. ამაზე მოგიწევს პასუხის გაცემა.“...

მეფის რეემზე მიტმასნილი აჭარელი აღა-ბეგები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას სკოლებში.

მასწავლებელი ბ. მეგრელიძე, რომელიც 1909 წელს ასწავლიდა ხელოში, კვება: „ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის ირემი, რომელიც დასეირნობდა სკოლის ახლოს, ბავშვებს აშინებდა და ამის გამო მოსახლეობა არ უშებდა ბავშვებს სკოლაში. ამის გამო მივუთით ჯემალ-ბეგს. სკოლაში 45 მოწაფე მყავდა. მათ შორის ვასწავლიდი ხნიერებსაც.“

ერთ მშენებელ დღეს მოულოდნელად იღება კარები და საკლასო ოთახში ხმაურით იქრება ჯემალ-ბეგი მონადირე ძაღლებითა და ათვალიერებს ოთახს. შეამჩნია დაფაზე ქართული ტექსტი და ზიზდნარევი რუსულით დამიწყო კამათი: როგორც სჩანს შენ აქამდე ვერ მიმსვდარხარ, რომ სახელმწიფო ენა – რუსული ენაა. შენ მგონი სდევნი რუსულ ენას. შენ მეფის ხელისუფლების წინააღმდეგი ხარ როგორც სჩანს. განა ჩვენმა ბავშვებმა იციან ქართული ენა? თურქული კიდევ პო... დამეტექრა გათავისუფლებით და გავიდა.

იგი რომ ჩემთან შემოიჭრა, რა თქმა უნდა ნებართვა პქონდა გენერალ-გუბერნატორ რომანოვსკისაგან. შემდეგ დამასმინა კიდევ. მოხდა ისე, რომ კომისია კომისიაზე მამოწმებდა, რის შემდეგაც 1910 წელს კიდევ მომიწია ხულოს მიტოვება."

აქ კომენტარი ზედმეტია, მაგრამ უნდა შევნიშნო რომ უარესი დღე დაადგათ მცხოვრებლებს მენშევიკთა ბატონობის პერიოდში, რაც მძიმე ლოდად დარჩა ქართველ მოსახლეობას, უფრო მძიმედ აჭარას, ისინი ზიზხს თესავდნენ მოსახლეობაში. მათი ბატონობის დროს სკოლების რიცხვი თანდათან მცირდებოდა.

საბჭოთა წყობილების დამყარებამდე აჭარაში რამდენიმე მოსწავლებ დაამთავრა სკოლა, რაც საერთო ჯამში 3%-ს აღწევდა.

ქედის რაიონის შრომის სკოლების 1929-1930-იანი წლების სამოსწავლო წლის განმავლობაში ჩატარდა მოხსენება, რომელმაც ანგარიში ჩააბარა მთავრობას და საზოგადოებას გაწეული მუშაობის შედეგებზე. ახლის დანერგვის ამოცანებსა და შემდგომი მუშაობის პერსპექტივებსა და მიზნებზე. მოხსენებაში ფართოდაა ასახული ყოველგვარი ნიუანსი, რაც სკოლისა და სწავლების ირგვლივ წამოჭრილი პრობლემების მოგვარების საკითხს ეხება.

მოხსენება გააკეთა ქედის განათლების ინსპექტორმა დ. სარიშვილმა:

„ქედის რაიონი აჭარისტანის სხვა რაიონებთან შედარებით ეკონომიკურად მეტად ჩამორჩენილია და არის ძლიერ დარიბი. მეორეს მხრით, რელიგიის გავლენა და ღრმა ფანატიზმი არის უმთავრესი მიზეზი ამ რაიონის კულტურული ჩამორჩენილობისა. გასაბჭოებამდე მხოლოდ ერთი სკოლა არსებობდა დაბა ქედაში (კვლევებით ცხადია, რომ გასაბჭოებამდე ქედის სკოლის პარალელურად, კერძოდ 1913 წელს მახუნცეთის და 1916 წელს ქვედა აგარის სკოლა ფუნქციონირებდა. ს.ს.), რომელიც ხელმისაწვდომი იყო მხოლოდ აღა-ბეგებისათვის, ხოლო მშრომელი, ფუხარა ხალხი მოკლებელი იყო ყოველგვარ სწავლა-განათლებას და არც არავინ ზრუნავდა ამაზე. ეს მდგომარეობა უცვლელდ დარჩა, როგორც ოსმალეთის, ისე მენშევიკების ბატონობის დროს და მხოლოდ საბჭოთა ხელისუ-

ფლების დროს მიეცა საშუალება ფუხარა, მშრომელ ხალხს მიეღო სწავლა-განათლება, გასძღვლოდა თავის ბერს და გაუმჯობესებინა თავისი ცხოვრება.

ოქტომბრის დასაწყისში მოწვეულ კონფერენციაზე დაისახა ყოველგვარი გზა სამუშაო წლისათვის. მაგრამ საქმეს აფერხებდა მედრესეს საკითხი. ამიტომაც დაისვა საკითხი მედრესესა და სკოლის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. ამოქმედდნენ ისევ ბნელი ძალები და მათ საკითხი დააყენეს იმგვარად, რომ ჯერ მედრესე ში უნდა ესწავლათ ბავშვებს, შემდეგ კი სკოლაში, ეს კი საქმეს ართულებდა – მოწაფეს უხდებოდა სამი ენის სწავლა, რომელიც ნორჩების ტგინს და გონებას ღლიდა. რაიკომისა და აღმასკომის უშუალო ჩარევით რიგ სოფლებში მიღწეულ იქნა ბავშვთა გამოცხადება სკოლაში. თანდათან იკლო მედრესეში მიმსვლელთა რიცხვმა, მაგრამ თავი იჩინა ისევ, სკოლებისა და კლასების უკმარისობამ. ამ მიზნით კვლავ დიდი მუშაობა ჩატარდა და სასწრაფოდ გატარდა ღონისძიებები. სპორტო შეიქმნა აგრეთვე უკვე არსებულ სკოლებში პარალელური ჯგუფების გახსნა და სკოლების შვიდწლიან სწავლებაზე გადაყვანა, ვინაიდან მოწაფეებს მოუხდებოდათ შორ მანძილზე სწავლის გასაგრძელებლად წასვლა.

პარალელური ჯგუფების გახსნამ გამოიწვია მასწავლებელთა კონტიგენტის გაზრდა, რომლებიც ვეღარ აუდიოდნენ ჯგუფებში მომრავლებული მოწაფეების სწავლებას. მაგრამ მასწავლებელთა რაოდენობის გაზრდამ გამოიწვია ხოჯების დამატებით მოზიდვა, ამისთვის კი ბიუჯეტმა უნდა გაიღოს თანხები." (პ-5, აღწ. I. საქმე №21).

საკითხის ასეთი დასმით და დამატებითი ხოჯების მოზიდვით საქმე პირიქით დაზიანდებოდა, ეს გაცნობიერებული პქონდათ იმ დროისათვის და რომ ეს ასე არ მომხდარიყო, აქცენტი გადაიტანეს დამატებითი სკოლების აგებაზე, თუმცა ახალი სკოლების აგების დროს ითვალისწინებდნენ იმას, რომ სკოლები ჯამებსა და მედრესეებთან ახლოს არ აეშენებინათ, ვინაიდან რომელი სკოლაც ჯამესთან ახლოს იყო, იქ კვლავ იგივე სურათი იყო – ბავშვები მედრესეს ეძალებოდნენ და ლოცულობდნენ კიდეც. მათზე ხოჯა-

მოღები ძლიერ გავლენას ახდენდნენ. იქ, სადაც სკოლა ძალიან შორს იყო სამღლოცველოდან, მოსწავლები აღარ მიეშურებოდნენ იქითკენ, იყვნენ თავისუფლები, აღარ იყვნენ ხოჯა-მოღების გავლენის ქვეშ და ლაღობდნენ და ცეკვა-სიმღერებსაც კი აწყობდნენ.

მოსახლეობაში ჩატარებულმა აგიტპროპაგანდაში თავისი შედეგი გამოიღო – თუმცა დაგიანებით, მაგრამ მაინც დადებითი. სკოლასთან ოჯახების დამოკიდებულების შემოღებას მოსახლეობა დადგებითად აფასებდა უკვე. რაც აისახა მოსწავლეთა სწრებადობასა და სასწავლო წლის ხანგრძლივობის გაზრდაში. თუ ადრე 100-120 დღეს მიმდინარეობდა სწავლა, 170 დღემდე ავიდა.

წარმოშვა ისეთი პრობლემაც, რომელიც სკოლის დებულებაში უარყოფითად აისახა. მოსწავლეთა მიღება წარმოებდა ნებისმიერ დროს, რაც დაუშვებელი იყო იმ მოტივით, რომ ორი-სამი თვის შემდეგ მიღებული მოსწავლე, გავლილ მასალას ველარაფრით აითვისებდა და ძალაუნებურად მეორეწლიანთა სიაში მოხვდებოდა. ამ მიმართულებით მოსახლეობას ჩაუტარდა ახსნა-განმარტება სკოლაში მოსწავლეთა მიბარების განსაზღვრულ ვადებზე. (რასაც ყურადღებით მოეკიდა მოსახლეობა). ადსანიშნავია ისიც, რომ სკოლაში შექმნილმა მოსწავლეთა თვითმმართველობამ, პიონერულმა ორგანიზაციამ, აქტიური როლი შეასრულა სკოლისა და მოსახლეობის ურთიერთ კავშირის საქმეში.

სკოლებში სწავლების პროგრამა იმგვარად იყო შედგენილი რომ, აქტიური მოსწავლეების მეშვეობით სოფლის მოსახლეობას უტარდებოდა საუბრები სოფლის მეურნეობის საკითხებზე, რა თქმა უნდა სათანადო შემოწმების თანხლებით. ეს კი მოწმობდა სკოლის მონაწილეობას საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამ მიმართებით დამატებით გაცხოველდა მუშაობა კულტურის განხრით, მოსახლეობაში წარმოდგენების მოწყობით, კოლექტივში მოწაფეთა ჩაბმით, დარიძ მეურნეებზე დახმარებით და სხვა. მთავრობის დირექტივები მიმართული იყო ხალხის საკეთილდღეოდ, მათ გასათვითცნობიერებლად და ჩამორჩენილობიდან გამოსაყვანად. ამისათვის კველა საშუალება უნდა გამოყენებულიყო. – მოძრავი კინო დანადგარებით

კინოს ჩვენება, ლიკსკოლების ფართო ქსელი, ახალი სკოლების გახსნა და იმის დემონსტრირება, თუ როგორ სიკეთეს მოუტანს მშრომელ მოსახლეობას გონიერებას ნილი, ნასწავლი ბაგშვი, კულტურის მასობრივი ღონისძიებების ჩატარება, ქოხსამკითხველოებისა და უფრო ტევად ბიბლიოთეკების გახსნა და სხვა.

ქოხ-სამკითხველოთა და საკლუბო მუშაობას უკვე მზარდი ინტერესით ეხმაურებოდა ხალხი. მუხლიაუხელელ მეურნეს თავისუფალი დრო არასდროს ქონდა, მაგრამ რიგიანი აგიტაციით სულ უფრო და უფრო იზიდავდნენ გლეხებს წიგნიერების სფეროში შესაძლებელი და, რაც მთავარია – მათი ჯანმრთელობის შენარჩუნების გასათვალისწინებლად. არავისთვის უცხო არაა და ცხენის პატრონმა იცის, რომ დიდი ხნის ჭენების თუ სეირნობის შემდეგ, სახლში მისული ცხენის უძრავად მიბმა საზიანოა – ცხენს გაატარ-გამოატარებენ ეზოში და გარკვეული დროის შემდეგ თავის ადგილს მიუჩენენ. აი, სწორედ ამ მაგალითით სარგებლობდნენ ადამიანთა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად. ყანა-ბაღჩიდან მობრუნებული, გადაღლილი მეურნე დასვენებაზე ფიქრობს, მაგრამ არა, ცხენის მსგავსად გავლა-გატარება უნდა შეესისხლხორცებინა. ამ მიზნით მეურნე გლეხეაც მისი სახლ-კარიდან მოშორებით მოთავსებულ ქოხ-სამკითხველომდე და კლუბამდე უნდა მიეღწია და გამოენახა დრო ცოდნით ტვინის გამდიდრებისა. ამ საქმეში კი ნამდვილი მზრუნველობა გამოიჩინეს კლუბისა და ქოხსამკითხველოების მუშაკებმა – გლეხი გადაიყვანეს დაპროგრამებული ცხოვრების წესზე. სიტყვა სტიქიური ცხოვრება სტიქიასთან ასოცირდება და არასახარბიელოა, ამიტომ მცხოვრებთა შეგნებიდან მასობრივი აგიტაციით ეს სიტყვა ამოაგდეს.

ქოხ-სამკითხველოების და კლუბების როლი სკოლების პარალელურ რეჟიმში კვლავ აქტუალური იყო, მაგრამ როგორც სკოლებს, არც ამ დაწსებულებებს აკლდა მაგნე ხელის გავლენა. დროდადრო კვლავ მოვიყვან წიგნში ცნობებს ამ დაწესებულებათა მუშაობიდან, ახლა კი ვნახოთ 1931-1932 წლების ცხრილი მსმენელთა სწრებადობაზე და შედეგებზე საღორეთის თემში:

| | | | | | | |
|-------------|-------------------------|--|--|------|--------------------------|------------------------|
| სოფელი | სულ მსგ ენე ლი | წერა კითხ ვის უცო დინა რი | წერა კითხ ვის გის მცო დნე | ქალი | მასწავ- ლებელი | სწავლებ ის ფორმა |
| ორთა-ხოხნა | 12 | 12 | | | ჩხარტიშვილი როგალებია | უფასო |
| დერგხოხნა | 20 | | 20 | | მურვანიძე აკაკი | ფასიანი |
| “-----” | 15 | 15 | | 15 | ჩხაიძე გვატერინე | “-----” |
| “-----” | 20 | 20 | | | მურვანიძე აკაკი | “-----” |
| საღორეთი | 22 | 22 | | | ბრუგვაძე გიორგი | “-----” |
| ქვედა აგარა | 19 | 19 | | | ყენია გიორგი | “-----” |
| ქვედა აგარა | 18 | | 18 | | მუშკუდიანი თამარ | “-----” |
| ზედა აგარა | 21 | 21 | | | ჩიგოგიძე გრიგოლ | “-----” |
| ზედა აგარა | 31 | 31 | | | | “-----” |
| | 15 | 15 | | 15 | პროცენტო მარგალიტა | “-----” |

1931 წლის 10 დეკემბრის მონაცემებით მოწაფეთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით საღორეთის ოქმში შემავალ სოფლებში: საღორეთში 4 ჯგუფი; დერგ-ხოხნა 3-ჯგუფი; ზედა აგარა 4 ჯგუფი; ქვედა აგარა 3 ჯგუფი.

| სკოლები | მოსწავლის რაოდენობა | I კლასი | II კლასი | III კლასი | IV კლასი | სულ | სკოლა | მასწავლებელი |
|---------------------------|---------------------|--------------------------|------------------------|-----------|----------|--------------------------|---------------|--------------|
| საღორეო ის რაიონის სკოლა | 41 | 28 ვაჟი 13 ქალი | 6 | 7 | 7 | 48 ვაჟი 13 ქალი | საბურთარი | 2 |
| ქვედა აგარის შრომისს ქოლა | 21 | 13 ვაჟი 8 ქალი | 9 ვაჟი 2 ქალი | 8 | | 30 ვაჟი 10 ქალი | დაქი რაგებული | 2 |
| ზედა აგარის შრომისს ქოლა | 8 | 8 ვაჟი 2 ქალი | 8 ვაჟი 2 ქალი | 6 | 6 | 28 ვაჟი 2 ქალი | დაქი რაგებული | 2 |
| დერეხოს ნის სკოლა | 22 | 14 ვაჟი 8 ქალი | 12 | 6 | | 38 ვაჟი 8 ქალი | საბურთარი | 2 |

ქედის რაიონის განათლების ინსპექტორი დ. სარიშვილი.

შენიშვნა: პირველ ცხრილში უზუსტობად ნამდვილად საღორეოში ამ დროისათვის სულ ნაკლები 10-მდე წერა-კითხვის მცოდნე იყო, (მათ შორის მასწავლებლები მეტი ავთანდილ და მეტედ დიასამიძეები).

მეორე ცხრილში ციფრობრივად ბევრი უზუსტობაა... (ს.ს)

1931-1932 წლის მონაცემებით ქედის რაიონის შრომის სკოლების მოწაფეთა რაოდენობა საღორეოს თემში:

| | ვაჟი | ქალი |
|---------------------------|------|------|
| საღორეოს რაიონის სკოლა | 25 | 22 |
| დერეხოსნის შრომის სკოლა | 18 | 14 |
| ორთა-ხოსნის შრომის სკოლა | 15 | 12 |
| ქვედა აგარის შრომის სკოლა | 34 | 24 |
| ზედა აგარის შრომის სკოლა | 30 | 27 |
| სულ თემში: | 122 | 99 |
| | | 23 |

ქედის რაიონის განათლების ინსპექტორი ა. ბეჯანბეგი.

ადრე საუბარი იყო მოწაფეთა დენადობაზე, 1932 წელს, 3 თვეს მონაცემებით გვაქვს ცვლილებები. საღორეოელთა ცხოვრების სპეციფიკიდან გამომდინარე, ყოველთვის პქნიდა ადგილი კლება-მატებას.

საღორეთის მცხოვრებთა ძირითადი საზრუნავი ოჯახის გამოკვება და ჩატმა-დახურვაზე ფიქრი იყო. დასტურად მოვიტანოთ ცხრილი, რომელიც იმ დროის სიტუაციაში გაგვარტვევს.

მოწაფეთა რაოდენობა 1932 წლის 28 თებერვლისათვის.

| სკოლის დასახელება | სულ მოწაფე | გაუ | ქალი |
|---------------------------|---------------|------------|-----------|
| საღორეთის რაი სკოლა | 45 | 38 | 7 |
| ზედა აგარის შრომის სკოლა | 32 | 28 | 4 |
| ქვედა აგარის შრომის სკოლა | 25 | 19 | 6 |
| დერე-ხოსნის შრომის სკოლა | 20 | 17 | 3 |
| ორთა-ხოსნის შრომის სკოლა | 15 | 12 | 3 |
| სულ | 137 | 114 | 23 |

იგივე საღორეთის რაი სკოლაში 10 მარტის მაჩვენებელი: სულ 32; გაუ 28; ქალი 7. ათი დღე ათი მოწაფის კლებით ნამდვილად ცედი მაჩვენებელია სკოლისათვის, იგივე კლებით მაჩვენებელია დანარჩენ სკოლებშიც. 10 აპრილის ცხრილით საღორეთის რაი სკოლის მოწაფეთა რაოდენობა იგივეა, რაც 10 მარტისათვის, სხვა სკოლებში კი დენადობას მაინც აქვს ადგილი.

(ქედის განათლების ინსპექტორი: ა. ბეჭანიძე. p-5 აღწ. I. საქმე №222).

უდავოდ ადსანიშნავია ის ფაქტი, რომ არსებულმა თუ ახლად შექმნილმა სკოლებმა თავიანთი ფუნქცია შეასრულეს. მიუხედავად პატარ-პატარა ნიუანსებისა, თავისი წვლილი შეიტანეს მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში და მოსახლეობის გათვითცნობიერებაში.

(p-5 ანაწ. I. საქმე №125)

1931 წლის 1 სექტემბრამდე საღორეთში ფუნქციონირებდა 3 ჯგუფი 42 მოწაფით და 2 მასწავლებლით, ხოლო 31 დეკემბრამდის სკოლაში უკვე 4 ჯგუფია 50 მოწაფით და კვლავ 2 მასწავლებლით.

1931 წლიდან სკოლა გადაკეთდა რაი-სკოლად, რის შემდეგაც ამ სკოლაში თურქული ენა აღარ ისწავლებოდა.

I საფეხურის სკოლების პედაგოგიური მუშაობის საფუძვლად შემოღებული იყო კომპლექსური პროგრამები, რამაც მოითხოვა მასწავ-

ლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება. ამ მიზნით ჩატარდა პედაგოგური გადამზადებელი სახაფხულო კურსები, რომელმაც 1923-1924 წლებში მოამზადა 40 მასწავლებელი, 1924-1925 წლებში 50 მასწავლებელი. 1925-1926 წლებში-55 მასწავლებელი, ხოლო 1926-1927 წლებში ახლად ჩამოყალიბებულმა ინსტრუქტორთა განყოფილებებმა, რომელმაც ჯეროვნი დახმარება გაუწია საგანმანათლებლო ორგანოებსა და ხელი შეუწყო მათ ნაყოფიერ მუშაობას. ყურადღება გამახვილებული იყო სკოლებში და საზოგადოებაში ახლი ტრადიციების დანერგვაზე. „საჭიროა შეკრიბუ ბელი ბრძოლა ხელისშემლელ მიზეზებთან, ჩამორჩენილობასა, რელიგიურ გადმონა შთებსა და ყოველგვარ მავნე გამოვლინებებთან. რაც შეიძლება უნდა განვითარდეს სწავლების საკითხი, ყოველნაირად ხელი უნდა შეეწყოს სკოლების გაფართოებას, სკოლების მშენებლობებს, სწავლების ხარისხს, კვალიფიკაციის ამაღლებას, ყოველგვარი ახლის, განუხრელად, ხარისხიანად და დროზე ადრე დანერგვას.

რაც შეეხება მეორე საფეხური სკოლებს.

II საფეხურის სკოლები ვეღარ აქმაყოფილებს მოძალებულ კონტინგენტს და მასწავლებელთა რაოდენობაც არაა საკმარისი, ამიტომ მომავალი წლებისთვის საჭიროა დაემატოს მასწავლებელთა რაოდენობაც და გაიზარდოს საფეხურობრივად კლასის რაოდენობა. ზოგი სკოლა საჭიროებს II საფეხურის სკოლებად, ხოლო მეორე საფეხურის სკოლები - 7 და 9 წლებისად გადაკეთებას.

საშუალო ზოგადი განათლების სკოლებში სწავლის ხანგრძლივობა /9 წელი/ არ არის საკმარისი, ამიტომ წამოჭრილი ამოცანა-ყველა სკოლა ათწლებად გადაკეთებულიყო მთელ საბჭოთა კავშირის მასშტაბით, წარმატებით გადაწყდა. ამასთანავე საჭიროა ათწლებული დაემატოს საგნები, რომლებიც სოფლის მეურნეობისთვის იქნება წარმატებული. ტექნიკათმცოდნეობა, აგრონომია და სხვა. სხვადასხვა დარგებისთვის კი (მიწათმოქმედება, მეტეოვრობა, მიწათმოწყობა და სხვა) საჭირო იქნება სპეციალურ ტექნიკურებში მივავლინოთ ათწლებადმთავრულებული, ზოგადსწავლებაგავლილი მოწავეები, რომლებიც ცოდნას აიმაღლებენ და საჭირო ცოდნით აღჭურვილი, წაადგებიან ხოფლის მეურნეობას, გლეხობას, საერთოდ მოსახლეობას და სახელმწიფოს. ამ

მიმართებით ტექნიკურებიც საჭიროებს რეორგანიზაციას და გარდაქმნას სუბტროპიკულ ტექნიკურებად" ... (ქედის რაიონის განათლების ინსპექტორი დ. სარიშვილი. p-5. აღწ. I. საქმე №179).

აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1931 წლის 26 XII №25 დადგენილებით ქედის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომთან დაარსებული იქნა განათლების განყოფილება, რომელიც შედიოდა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის სისტემაში და ექვმდებარებოდა ქედის რაიონული საბჭოს აღმასკომს.

განათლების განყოფილების ფუნქციას შეადგენდა რაიონში არსებული სკოლამდელი დაწესებულებისა და სკოლების ხელმძღვანელობა, სკოლის მუშაკებზე სათანადო მეთოდური დახმარების გაწევა. განათლების განყოფილება აგრეთვე ხელმძღვანელობს და დახმარებას უწევს სასოფლო საბჭოებში არსებულ კულტურულ საგანამანათლებლო სექციის მუშაობას. განათლების განყოფილებასთან ჩამოყალიბებული იყო მეთოდური ბიურო, რომელშიც შედიოდნენ კვალიფიცირებული და გამოცდილი მასწავლებლები." (ისტორიული ცნობა შეადგინა უმცროსმა მეცნიერ მუშაკმა გ. ანდოულაძემ). (p- 770. აღწ. I ფურცელი 30).

ქედის რაიონსკოლების თათბირის №1 ოქმის 26 დეკემბრის №25 დადგენილებაში აგრეთვე მოცემულია რომ „დაარსდა განათლების განყოფილება, რომელიც კურირებას უწევს რაიონში არსებულ ყველა კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულების ნაკლოვანების აღმოფხვრისა და სათანადო დახმარების გაწევის საქმეში."

(ფონდი p-770, აღწ. I. საქმე №3).

სკოლაში მოსწავლეთა მიზიდვის უკეთ წარმართვისათვის საღორეოს თემში ქედის კოლეჯურნე ახალგაზრდობის პედსაბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით, ამხ. ბენის გიორგაძე იგზავნება. ამ დროისათვის უკვე შემოღებული იყო ტრიმესტრული სწავლება. გარდა ამისა მოწაფეებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა თესვითი კამპანიის ჩატარების უკეთ წარმართვისათვის. (ც.ს.ს.ა p-770. აღწ. I. საქმე №1).

უკვე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვიცით მხოლოდ ის, რომ

„საღორეთელებს ანბანი პირველად ბენიე გიორგაძემ შესასწავლაო“ ფრაზაა დარჩენილი, ოღონდ მასზე მცირე ცნობებია. ვიციო ამავე დადგენილებებიდან, რომ საღორეთის თემში, კერძოდ სოფელ საღორეთში, განსახურმის დავალებით თუ თხოვნით, ანბანის შესასწავლებლად, უცოდინარობის ლიკვიდაციისა და ხალხში, ახალგაზრდობაში აგიტაციის-პროპაგანდის მიზნით იგზავნება ბენიე გიორგაძე. პირველობა მართლაც საამაყოა და ის კიდევ, რომ ადამიანები, მოსახლეობა აზიარო საკაცობრიო დირექტულებებს, ნიჭიერების უმაღლესი გამოვლინებაა. ზემოთთქმული ფრაზა დიდმნიშვნელოვანია საღორეთელთა გათვითცნობიერების მისიაში.

„საღორეთის თემში წლიური სასწავლო-საწარმოო გვემების დამუშავებისათვის გამოიყო ინსტრუქტორი აკაკი მურვანიძე, რომელიც ხელივე სკოლას გაუწევს ინსტრუქტაციას.“ (p-770, აღწ. I. საქმე №3).

1932 წლის მონაცემებით, აჭარის განსახურმის კოლეგიის წევრად რჩება ყოფილი, განათლების სახალხო კომისარი ამს. სელმან ლორთქიფანიძე, რომელიც, თუ დავეყრდნობით თვითმხილველთა მონაცოლს, ამოდიოდა სოფელ საღორეთში და ზეპირ, მეზობლურ აგიტაციას ატარებდა სწავლა-განათლების შემდგომი სფეროს შესახებ. საღორეთელთა ცხოვრებაში, მისი როგორც ადამიანის დამსახურება უდაოდ დიდია. ზეპირი აგიტაცია არსად არაა დაფიქსირებული, ვინაიდან იგი ატარებდა კეთილმეზობლურ ხასიათს – თათბირს საქაუთარ ოჯახში.

1932 წლიდან არსებული შვიდწლედები გადაკეთდა კოლმეურნეობების შრომით სკოლებად. თანდათან ემატებოდა როგორც სკოლები ისე ჯგუფები.

ამ დროისათვის საღორეთში საკონტროლო ციფრია 57. 34 ვაჟი და 23 ქალი. დადიოდა კი 31. 23 ვაჟი და 8 ქალი.

(p-5. აღწ. I. საქმე №253).

რაისაბჭოს განათლების განყოფილებას დაევალა მკაცრი კონტროლის დაწესება მოწაფეთა მოზიდვის, განსაკუთრებით კი გოგონების, სახელმძღვანელოებისა და ინვენტარის შეძენა-შემოზიდვაზე, სკოლისა და მოსწავლეების მიმაგრება მიწის ნაკვეთებზე, შრომითი ჩვევების გამოსამუშავებლად. თუ სკოლებს უვარგისი ფართობი ექნებათ, ახლის

გამოქვების საშუალება ან გარემონტება; სკოლებზე გასაწევი დახმარების ერთოვეურის ჩატარება; დაეხმარონ დარიძ მოსწავლეებს დარიბთა ფონდიდან შესამოსელით უზრუნველყოფაში.

ემლევათ დირექტივა: წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის სკოლების გახსნისა და მოსწავლეებთა მოზიდვის საქმეში. პულაკების მხრიდან ხელის შემლის შემთხვევაში გაატარონ ქმედითი ღონისძიებები.

დავალება: სკოლასთან შეიქმნას „მშობელთა წრე“ სკოლებზე აქტიური დახმარებისათვის.

მოსწავლეთა აღრიცხვიანობა უნდა ჩატარდეს დროზე, რისთვისაც კლასის ხელმძღვანელი ან ერთეული მასწავლებელი პირადად უნდა გაეცნოს ოჯახს, შეადგინოს 7-14 წლამდე ბავშვთა მონაცემები, სწავლობს თუ არ სწავლობს. სია უნდა შედგეს რამდენიმე ცალად და წარედგინება იქ, სადაც საჭირო.

დღის წესრიგში კვლავ იდგა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, იმიტომ რომ წერა-კითხვის არ მცოდნე მშობლები მოსწავლეს იშვიათად გააგზავნის სკოლაში. ადგილი ექნება გაცდენებს ან სულაც მოუმზადებელი ბავშვი მიუჯდება სკოლის მერხს და იქვედანაც ვერაფერს გამოიტანს. საჭირო იყო ნამდვილად, რომ მოსწავლეზე მეტად მშობელი დაინტერესებულიყო შვილის ცოდნით. ამ მიმართებით ტარდებოდა რაიონული პედსაბჭოების გაერთიანებული კრებები, სადაც განიხილებოდა ყოველგვარი საკითხები, რაც ეხებოდა სკოლებს, მეცნიერებას, ლიკესკოლების მუშაობას, დისციპლინის განმტკიცებას და სხვა.

სკლებში სტიქიურად და არაბუნებრივად არაფერი ხდებოდა. ყოველგვარი ნიუანსი იყო დაპროგრამებულ-დაგეგმილი მთავრობისა და შესაბამისი ორგანოების მიერ. გათვალისწინებული იყო გაუთვალისწინებული შემთხვევების დროული აღმოფსერა სკოლისა და ოჯახის ურთიერთმხარდაპერიოდა და მოქმედებით.

1932-1933 სამოსწავლეო წელი წარმატებით დასრულდა. საჭირო იყო მოწავლეთა წარმატებების შემოწმება. კალენდარულ გეგმაში მოცემულია საღორეთის სასკოლო რაიონში შემაგალი სკოლების სამოსწავლეო

წლის მოწაფეთა წარმატებების შემოწმება ამ გეგმის მიხედვით:

საღორეთის რაიონულის მოწაფეთა წარმატებების შემოწმება უნდა მომხდარიყო IV ჯგუფის გამოკლებით, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 20 მაისს.

დერჯხონის შრომის სკოლის მოწაფეთა წარმატები – 21 მაისს.
ზედა აგარის მოწაფეთა შემოწმება უნდა მოხდეს - 22 მაისს.
ქვედა აგარის მოწაფეთა შემოწმება უნდა მოხდეს - 24 მაისს.
ორთა-ხონის მოწაფეთა შემოწმება უნდა მოხდეს - 26 მაისს.
IV ჯგუფის გამოშვება თემის მასშტაბით უნდა მომხდარიყო 25 მაისს.
„IV ჯგუფის ხელმძღვანელებს დაევალოს, რომ იმათმა უზრუნველყონ 25 მაისის დღისთვის მოწაფეთა დასწრება და აგრეთვე იქონიონ იმათმა მოწაფეთა ნამუშევრები.“ საღორეთის რაიონულის გამგე: აკაკი მურვანიძე. (p-770. აღწ. I. საქმე №3).

1933-1934 სამოსწავლებრივ წლისთვის საღორეთის რაიონულაში აღრიცხულ მოწაფეთა რიცხვით სოფლად წინსვლა შეიმჩნევა. ვინაიდან დღის წესრიგში იდგა ლიკ-სკოლებში გაძლიერებული სწავლება, დაწყებით სკოლაშიც შესაბამისად იმატა მოსწავლეთა რიცხვმაც.

მოწაფეთა რიცხვი:
I ჯგუფი=22; II ჯგუფი=17, III ჯგუფი=12, IV ჯგუფი=10, სულ - 61.
აქვე მითითებულია სასკოლო ინვენტარის რაოდენობა და სკოლა დაქირავებულ შენობაშით თუ საკუთარში.

სკოლა დაქირავებულია თუ საკუთარი – საკუთარი
რამდენი ოთახია სასკოლო შენობაში – 1 ოთახი.

მერხების რაოდენობა – 17 მერხი.

ინდივიდუალური მაგიდის რაოდენობა – 20 მაგიდა.

შპაფების რაოდენობა – 1 შპაფი.

ფეხქების რაოდენობა – 5 ფეხი.

დაფების რაოდენობა – 3 დაფა.

შენიშვნა: ის შენობა, რომელიც სკოლისათვის შეიძინეს და ნამდვილად ოთხი ოთახი გააჩნდა, 20 მაგიდას ნამდვილად ვერ დაიტევდა, ამდენად გაპარულია საარქივო შეცდომა, ხოლო 17 მერხი 61 მოსწავლეს ვერ ეყოფოდა, იმიტომ რომ სწავლება ერთცვლიანი იყო.

ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგის, ამხანაგ ფ. ჩხეიძის მიერ 1933 სამოსწავლეო წლისათვის მომზადებულ მოხსენებაში ჩაწერილია, რომ „სასკოლო მშენებლობას ნაკლები უურადღება ექცევა საღორეთის თემში და მხოლოდ კომისიებია შექმნილი. საჭირო და აუცილებელია ამ საქმის მოკლე ვადაში მოგვარება, რაც მოელი რაიონის ხელმძღვანელობის საქმეა.“

სკპ(ბ) ქედის რაიონის VIII კონფერენციაზე ქედის რაიონის კულტურმიელები რაიონის სკოლების წინაშე წამოყენებული მიზნების და მითითებების უკეთ განხორციელებისათვის პირობას დებენ ახალი თაობის კომუნისტურ აღზრდისა და საყოველთაო-სავალდებულო სწავლების უკეთ წარმართვის საქმეში. ერთიანი შემსიდროებით ნაციონალური კულტურის ინტერნაციონალური შინაარსის განვითარებისათვის კომუნისტური პედაგოგიკის პოპულარიზაციით, ბრძოლისა და გამარჯვებების მოსაპოვებლად. პირდებიან რაიონის მოსახლეობას, ყოველგარ ღონეს იხმარენ რათა დასახული ამოცანები, რომლებიც ეხება განათლების დარგს, წარმატებით შეასრულონ პედაგოგებისა და მშრომელი მოსახლეობის მხარდამსარ შეიძრო ურთიერთობებით და საზოგადოებასთან უკეთ დაახლოების მიზნით მოაწყონ ყველა სკოლაში გამსვლელი თათბირ-საუბრები.“

ქედის რაიონის კულტურმიელთა სახელით: ქედის განათლების განყოფილების გამგე ფ. ჩხეიძე. (p-770, აღწ. I. საქმე №6).

1934-1935 წლებში პირველ მაისში (საღორეთი) სწავლობდა 61 მოსწავლე. მთლიანად პირველ მაისში შემავალ სკოლებში გეგმით უნდა ყოფილიყო 319 მოსწავლე, ზაქტიურად იყო 258. შესრულებული პროცენტი 84,3%. (p-5, აღწ. I. საქმე №305).

წინა წლების მონაცემებით სკოლებში პროცენტულად დაბალი მაჩვენებელია, ხოლო 1935 წელზე მოდის 258 მოსწავლე. ეს უკვე ცხოვრების პროცენტებს. ახალი ცხოვრების მოლოდინში, მთავრობის მზრუნველობის მზარდმა ფაქტორმა განაპირობა მოსახლეობის გენოფონდის მატებაც, ეს კი მიუთითებს რომ მშრომელ მასებში შევიდა განათლების სიკეთე და უფრო უკეთესი ცხოვრების მოწყობის იმედით შესაბამისად ქორწინებებაც იმატა. რა თქმა

უნდა იმატა შობადობამაც.

1934-1935 წლისათვის პირველი მაისის სკოლის გამგეა მ. დარახ-
ველიძე. (p-770, საქმე 53).

(არაა მიკვლეული დარახველიძეს მიხეილი ერქვა, მამია, მირონი
თუ მირიანი, ან მარიამი, მაყალა, მზევინარი, და ასე შემდეგ. ყოველთვის
ასეთი ხელწერაა: მ. დარახველიძე. ს.ხ.)

სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ განათლების სახ-
ალხო კომისართა საბჭოს 1935 წლის 4 ივლისისა და 1936 წლის 3
სექტემბრის გადაწყვეტილებებში დასახულია უდიდესი ამოცანები წეს-
რიგისა და დისციპლინის გასამტკიცებლად, სკოლებში სწავლებისა და
სარისხის ასამაღლებლად. პედოლოგიური ცრუმეცნიერების აღსაკვთად
და პედაგოგიკისა და პედაგოგთა უფლებების აღსადგენად.

„1936-1937 წლების შედეგებით დაწყებითი, არასრული საშუალო
და საშუალო სკოლები აჭარაში წინ მიდიოდა, მაგრამ ყველაფერი
მიღწეული არაა, რის აღმოსაფხველად მთელი რიგი სამუშაოებია
ჯერ კიდევ ჩასატარებელი. მირითადი ყურადღება უნდა გამახვილდეს
პედაგოგთა და დირექტორთა ცოდნის დონის ამაღლებაზე, სკოლაზე
და მოსწავლეთა სწავლების ხარისხის ამაღლებაზე, რომ არცერთ
სკოლაში არ უნდა იყოს აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლე. მი-
უხედავად იმისა, რომ ცალკეული დაწყებითი სკოლები და კლასები
კარგ მაჩვენებელს იძლევიან, ეს მიღწევად არ უნდა ჩაითვალოს.
საჭიროა უკეთესი და უკეთესი მაჩვენებლები, როგორც სკოლის, ისე
კლასების მიხედვით. საერთო ჯამში დაბალი კლასები უფრო კარგი
მაჩვენებლებით ხასიათდებიან და რადიკალურად განსხვავდებიან მა-
ღლალი კლასების მაჩვენებლებისაგან. ეს კი არა მარტო ბაგშვების
უუნარობაზე მიგვითოთებს, არამედ პედაგოგთა მომზადების დაბალი
ხარისხის შედეგიცაა. თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რომ მაღალ
კლასებში ფრიადოსნებიც მოიპოვებიან, ისინი სკოლის დამთავრების
შემდეგ სწავლის გაგრძელებას ვეღარ ახერხებენ ან თუ ახერხებენ
მდარე ცოდნას ავლენენ, ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ მათი ფრიადოს-
ნობაც ხელოვნური იყო და მათ ზურგს ამოფარებული პედაგოგები
იზღვევდნენ თავს, აქაოდა ფრიადოსანი გავიყვანეთო ცხოვრების გეზ-

ისთვის, ახალგაზრდებისათვის და მთელი საზოგადოებისთვის.

შედეგის შეჯამებით დადგინდა რომ დაბალი კლასების მაჩვენებლებით რესპუბლიკის მასშტაბით ფრიადოსნობაში ქედის რაიონი დაწინაურებული. პროცენტულად ყველაზე მაღალი 24%-ია.

აჭარის განათლების კომისარი /ი. ქათამაძე/
(p-5, აღწ. I. საქმე №340).

1935 წლისათვის საარქივო მასალებში პირველი მაისის სკოლის გამგეა ნატაშა ფირცხალაიშვილი.

1935-1936 სასწავლო წლისათვის პირველი მაისის სკოლა 8 წლებიდან დაფიქსირებული 2 კლასების მატელექტით 1-4 და 5-8. ამავე წლებში მოსწავლეთა რაოდენობა პირველი მაისის არასრულ საშუალო სკოლაში:

| I კლასი | II კლასი | III კლასი | IV კლასი | სულ |
|---------|----------|-----------|----------|---------|
| ვაჟი 19 | ვაჟი 16 | ვაჟი 10 | ვაჟი 11 | ვაჟი 56 |
| ქალი 6 | ქალი 10 | ქალი 5 | ქალი 6 | ქალი 27 |

ამავე წელს სკოლის გამგედ ფიგურირებს გ. დანელია.
(p-770, აღწ. I. საქმე №10).

1936-1937 წლებში ფართოდ გაიშალა ბრძოლა პედოლგიური მოძღვრების წინააღმდეგ, რომელიც შავრაზმულ-რეაქციული და დასავლურ უფასურ აზრებს და ოთორიებს ექრდნობოდა, რაც აისახებოდა კიდევ მოსწავლეთა სწავლის ხარისხზე. პედოლგიური მოძღვრება მხოლოდ ბავშვის სკოლაში დამაგრებით შემოიფარგლებოდა და სწავლების ხარისხი რჩებოდა დაბალი. შესაბამისად სკოლადამთავრებული მოწაფე ცხოვრებისათვის აბსოლუტურად გამოუსადეგარი იყო, პარალელურად არც საზოგადოებისათვის და ამდენად სახელმწიფოს ჩამორჩენილობასაც გამოიწვევდა. ეს იმთავითებები დაგეგმილი იყო რეაქციული ძალების დოქტრინით. აბსოლუტური უცოდინარი ადგილად სამართავი იქნებოდა, ეს კი ხელს შეუწყობდა სხვა სახელმწიფოებზე დამოკიდებულებას.

ლ.პ. ბერიძემ მოწოდებით მიმართა ყველას: „მოსწავლეთა გმირობა და ვაჟქაცობა – ეს ფრიადზე სწავლაა”...

ამ დიდი დავალებისთვის დაირაზმა ყველა, მაგრამ გზადაგზა ხელისშემშლელი პირობები ხედებოდა ამ დევიზს.

ერთი ის, რომ სკოლებს სათანადო ბაზა არ გააჩნდათ.

მეორე ის, რომ მასწავლებელთა დენადობა – გადაადგილებას პქონდა ადგილი, ხშირად ერთი მასწავლებელი იწყებდა კლასთან მუშაობას, ხოლო ბოლომდე მეორე ან მესამე მასწავლებელი მიჰყვებოდა მოსწავლეებს. ეს კი ძალიან ხელისშემშლელი იყო მოსწავლეთა ფსიქიკისთვის.

მესამე ის, რომ მოსწავლეთა არასისტემური მსვლელობა ხდებოდა გაკვეთილზე დასასწრებად, განსაკუთრებით რაიონებში.

მთავრობა იძლეოდა დირექტივებს, რომელთა შეუსრულებლობა დანაშაულის ტოლფასი იყო და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა განათლების სისტემის მუშაკებისათვის. უნდა მოეხდინათ ზედამხედველობა ხარისხიანად ყველა სფეროში. ცხოვრების საბჭოური წესი მოითხოვდა ამას და მის განუხელებად გატარება უკლაბლივ ყველა პროგრესულად მოაზროვნეთა ვალი იყო.

ფაქტია, რომ სწავლების პოლიტიკური გეზით აჭარის ჩამორჩენილი და გაუნათლებელი სოფლები წინ წავიდნენ. ფუხარი აჭარული შეძლებული გახდა. მაგრამ წყეული, შავბნელი წარსულის ნაშთები ჯერ კიდევ აფერხებდა ცხოვრების წინსვლას. ზოგიერთში ჯერ კიდევ არ აღმოიფხვრა მავნე წესტვეულებები, რომლებიც უარყოფითად აისახებოდა მოწაფეთა სწავლებასა და სწრებადობაზე. შედეგი მიზეზი იყო ის, რომ სახელმწიფო ხშირად სათანადო დონეზე ვერ ზრუნავდა სხვა უფრო საჭირობო ტექნიკურ და მნელი საქმეების გამო. ეს კი, თითქოსდა ერთერთი გამამართლებელი მიზეზი იყო პედაგოგიური საზოგადოებისათვის.

„ქედის რაიონის 55 სკოლის 120 მასწავლებელი ეხმაურება საქაბ(ბ) აჭარის საოლქო კომიტეტისა და მთავრობის დადგენილებას რეალიზაციის საქმეში, მოსახლეობაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, სკოლებში სანიმუშო ატმოსფეროს შექმნისა და ცხოვრებისეული საკითხების ახლებურად გატარებისათვის, რისოფისაც მტკიცე პირობას დებენ აღებული ვალდებულების პირნათლად

შესრულებისათვის. (ქედა 15 იანვარი, 1937 წელი).

1937 წელში საქმე კვლავ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ეხება. მიუხედავად მთავრობის მთელი რიგი დადგენილებების განუხრელად გატარებისა, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო საქმეში, კვლავ ფიგურირებს მოსახლეობაში ჩამორჩენილობა და უცოდინარობა. მთავრობის დადგენილებებში ყოველთვის მითითებულია ამ მიმართებით საქმის უკეთ წარმართვის გზები. ერთი ადამიანიც არ უნდა დარჩენილიყო წერა-კითხვის უცოდინარი, ვინაიდან სახელმწიფოს, ქალაქების, რაიონების, სოფლის და თოვლეული ოჯახების სიძლიერე განათლებაზეა დამოკიდებული.

პირველ მასიში წერა-კითხვის უცოდინარობა თითქმის აღმოფხვრილი იყო. ჩამოთვლილი სკოლებიდან მხოლოდ ერთიდან დარჩა, რომელიც მოთავსებული იყო დასახლება ცივასულას ამჟამად არსებულ სემდ დევნის სახლის მიმდებარევ, აწესის სათავე ნაგებობის მუშებისთვის განკუთვნილ ბარაკის ტიპის სკოლაში, რომლის დირექტორი იმ დროისათვის იყო კონდრატე (კოტე) მილორავა. ასწავლიდა 1936-1941 წლების განმავლობაში.

ვინაიდან პესის სათავეზე მომუშავე ახალგაზრდები მრავლად იყვნენ და თანაც წერა-კითხვის მცირედ მცოდნე რაოდენობრივად ბევრი ერია. უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლაც იქვე მოათავსეს. თუ რამდენად გაართვა თავი ამ საქმეს კოტე მილორავამ, ამას დღევანდელობა პასუხობს. უხუცესთა გადმოცემით ლიკსკოლებში სწავლება წარმატებით მიმდინარეობდა.

დუხჭირი ცხოვრების გამო ახალგაზრდები სარფიან სამუშაოს უფრო ეტანებოდნენ, ვიდრე სწავლას, მაგრამ მთავრობა ამისთანებზეც ამავეილებდა ყურადღებას. სწორედ ამიტომაც გაუხსნა მათ დამატებითი ლიკსკოლები.

„1940-იან წლებში, მშობელთა პედაგოგიზაციის საკითხებში მომუშავეთა შორის შეირჩენ შემდეგი პიროვნებები: ვლადიმერ ქემხაძე, გივი ნიორაძე, გრიგოლ ბაბილონძე, მიხაკო კვაჭაძე, თებრონე სადინაძე, იორდანე ფირცხალაიშვილი, სამსონ სხულუხია, გიორგი აბესაძე, კალე და ფოკა ცქვიტინიძეები, ხაჯი დავითაძე, მუხედინ

სურმანიძე, ლიპა ჩხიკვიშვილი. მათი მუშაობა მშობელთა შორის გამოიხატებოდა მათ მიერ მოსწავლეთა ყოველდღიური ქცევისა და ყოფაქცევის გადაჭრით გაუმჯობესებაზე ზრუნვით."

16 მარტი. ბრძანება №24 განსახვომი (p-5, აღწ. I. საქმე №375).

1935-1936 სასწავლო წლიდან პირველი მაისის სკოლა 8 წლედად გადაკეთდა, თუმცა აქვე მოტანილი ცხრილი სხვა ფაქტს იძლევა მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით:

| I კლასი | II კლასი | III კლასი | IV კლასი | V კლასი | სულ: |
|---------|----------|-----------|----------|---------|------|
| 8 | 14 | 12 | 12 | 24 | 70 |

„საყოველთაო საგალდებულო დაწყებითი სწავლების გატარება აჭარაში 1933 წლიდან დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში საგალდებულო სწავლების გატარების საქმეში დიდი წარმატებები იქნა მოპოვებული. XVIII პარტყოლობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე წარმატებით მიმდინარეობს სოფლად შეიძლების დაარსება, დაწყებითების გადაყვანა არასრულ საშუალო სწავლებაზე. მიმდინარე წლისთვის ქვემოთ რაიონში არის ყველა ტიპის სკოლა 73 ერთულით, 3177 მოსწავლით.“

(p-5, აღწ. I. საქმე №375)

„სასკოლო მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის, ეზოების, საბადე ნაკვეთების მოწყობისათვის გამართულ გადასაწყვეტი ამოცანების წარმატებით შესრულების საქმეში მნიშვნელოვანი წარმატებები აქვთ რაიონის რიგ სკოლებს, მათ შორის პირველი მაისის დაწყებით სკოლას. სკოლის კეთილმოწყობისათვის პედაგოგთა გარდა სოფელიც მონაწილეობს. სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის დარგში საუკუთხსო შედეგები აჩვენა ამ სკოლამ, რომელსაც ხელმძღვანელობს ესტერინგ (კატუშა) ლეგარსის ასული კოტრიკაძე“ (ამონარიდი აჭარის ასერ განსახვომის საანგარიშო მოხსენებიდან 1939-1940 წლისთვის).

მოსახლეობის დამოკიდებულება სკოლებისადმი დიდად გაუმჯობესდა მაგრამ საქმე სახარბიერებულო მაინც არ იყო. მთელი რიგი დამახინჯებები სწავლაში ბავშვების ჩაბმის ფაქტზე, ისევ სახეზე იყო. მიუხედავად ახსნა-განმარტებებისა და აგიტაციებისა, მშობლები მაინც არ აგზავნიდნენ სკოლაში შვილებს. ან თუ პყავთ მოს-

წავლე, ოჯახში არ უქმნიან სამეცადინეო პირობებს. ხდება ისეც, რომ ზოგიერთი აქტიური ამხანაგიც იჩენს სიჯიუტეს, ზოგიერთებს მოსწავლეები საერთოდ გაჟყავთ სკოლიდან. ასეთი მდგომარეობის გამო საყოველთაო-საგალდებულო სწავლების გატარების საქმე სერიოზულად ფერხდება. ხდება ისეც, რომ მშობელი კანონზე თავის არიდების მიზნით, ბავშვს თვეში ერთხელ აგზავნის სკოლაში. იყო შემთხვევები როცა მშობლები ამბგარი ქმედებების გამო კანონის ძალით კიდეც დააჯარიმეს, მაგრამ იმ მოტივით, რომ ბავშვები „გამოიხსნეს“ სკოლაში მაინც არ გაუშვეს. განსაკუთრებული სირთულე იყო გოგონების მხვრივ. 12-13 წლის გოგონებს იმ მოტივით, რომ 17-18 წლისანი გამოჩნდნენ, ჩადრში მაღავდნენ. ზოგი მშობელი 2 ბავშვიდან ერთს აგზავნის სკოლაში, ამისთანა განცხადებით: ერთი მიჩურნია, მეორე კი ოჯახს სჭირდებაო.

სკოლისადმი არამართებული დამოკიდებულება ხელს უშლიდა და აბრკოლებდა სახელმწიფო კანონის გატარებას საყოველთაო-საგალდებულო სწავლების საქმეში. სათანადო დონეზე მოსწავლა თა აღრიცხვიანობაც არ იდგა, რაც ძალიან ამნელებდა მათ მოზიდვას და ისინი ფაქტიურად სკოლის გარეთ რჩებოდნენ.

1940-1941 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ქედის რაიონში 10 არასრული, 1 საშუალო და 1 დაწყებითი სკოლის შემატებამ საშუალება მისცა განათლების განყოფილებას, სწავლებაში არსებული კონტიგენტის სრულიად მოზიდვისა. დირექტორებმა და გამგე-მასწავლებლებმა სასოფლო საბჭოების დახმარებით მიაღწიეს მოსწავლა-ახალგაზრდობის 100%-იან ჩაბმას სკოლებში, პირველი მაისის სასოფლო საბჭოში ამ საქმეს სასწავლო წლის დასაწყისიდანვე მოჰკიდეს ხელი.

1940-1941 წლის მესამე მეოთხედის შედეგები შეჯამდა განათლების განყოფილების გამგის დ. მახარაძის მიერ, სადაც აღნიშნულია, რომ „მესამე მეოთხედის განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა სკოლის მუშაქების მიერ შრომის დისციპლინის დარღვევისა. ზუსტად ტარდება სსრკ უმაღლესი საბჭოს 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულება. მოწესრიგებულია სკოლაში მომუშავეთა მოსვლა-წასვლის აღრიცხვიანობა. წარმატებას მიაღწიეს ბავშვთა კომუნისტურად აღზრდა-

დის საქმეში, შეგნებული დისციპლინის განმტკიცებისა და აკადემიური წარმატების სიახლის საქმეში. სკოლებში გამომუშავებული და განმტკიცებულია შეგნება, მოსწავლეებში სწავლის ინტერესისა, სასკოლო ქონების დაცვისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. ამ მხრივ მოწინავეთა რიგებში დგას პირველი მაისის დაწყებითი სკოლა, როგორც შინაგანაწესის გამტარებელნი და მტკიცედ შემსრულებელნი. ამ სკოლაში მოწესრიგებულია სკოლის არქივი, მოსწავლეთა პირადი საქმები და საერთოდ სერიოზული ყურადღება ექცევა სასკოლო დოკუმენტის მოვლას და წესიერად შენახვის საქმეს. ოთახებში დაცულია სისუფთავე, დასუფთავებულია ეზო, მოწესრიგებულია აკადემიური მოსწრების საქმე."

1921-1940 წლები, აჭარაში განათლების დარგში თვალსაჩინო წარმატებანი იქნა მოპოვებული. ლიკვიდირებულ იქნა წერა-კითხვის უცოდინარობა. სკოლების ქსელი მთლიანი რაოდენობით უზრუნველყოფდა ბავშვთა სწავლებაში ჩაბმას. მოსახლეობა დარწმუნდა, რომ ცოდნის გარეშე შეუძლებელია ცხოვრების უკეთ მოწყობა და სოციალური პრობლემების მოგვარება, მაგრამ 1941 წლის სამამულო ომის დაწყებამ ყველაფერთან ერთად შეაფერხა განათლების სისტემის განვითარებაც. მასწავლებლები, ლექტორები, პარტიული მუშაკების ნაწილი ფაზიზმის წინააღმდეგ სამართლიან ოში ჩაება. ყურადღება მოაკლდა ყველა დარგის სასწავლებელს, შეიქმნა კადრების მწვავე დეფიციტი, საჭირო რაოდენობით ადარ იბეჭდებოდა სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო წიგნები. შემცირდა თანხები, რაც განათლების სისტემაზე მწვავედ აისახა.

სკოლებში ყურადღება გადატანილ იქნა მოსწავლეთა გარკვევაზე ომთან დაკავშირებით ყველა მოვლენაზე. ამ მიმართებით მოსწავლე ახალგაზრდობასთან და მოსახლეობაში ტარდებოდა შესაბამისი მოხსენებები და საუბრები. სკოლებში ცალკე საგნად შემოიდეს „სამოქალაქო თავდაცვის“ სწავლება, რომელიც ითვალისწინებდა მოწინააღმდეგის მიერ მასობრივი დაზიანების, რადიაციული და ქიმიური მოწამლვის და სხვა მოვლენების საღიკვიდაციის სამუშაოების დიდი სიფრთხილით ჩატარებას სათანადო ზომების და

წესების დაცვით. ტარდებოდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მეცაღინეობები. საქართველოს განათლების სამინისტრო და სამოქალაქო თავდაცვის განყოფილებების მიერ სკოლებს სისტემატურად მიეწოდებოდა ინსტრუქციები და მითითებები, რასაც განუხრელად ატარებდნენ.

„1941 წლის სექტემბრიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სკოლებშიც შემოიდეს სამხედრო ფიზკულტურული სწავლება მეოთხე კლასიდან.“ (აცსა. ფონდი I აღწ. I, საქმე №5, ფურც. 162).

ომის წლებში მასწავლებლები მოხალისეებად ეწრებოდნენ და მიდიოდნენ ფრონტზე იმ სულისკვეთებით, რომ მათ მიერ აღზრდილი ბავშვები დაცვათ მტარვალთაგან. სწორედ ამის გამო მასწავლებლებს ბავშვებთან ურთიერთობა მხოლოდ რამდენიმე კვირით ან რამდენიმე დღით უხდებოდათ. პირველი მაისის სკოლაში კი ეს მოსვლაწასვლა განსაკუთრებულად იგრძნობოდა. სკოლის დაარსებიდან დღეის მონაცემებით 250-ზე მეტ მასწავლებელს შემოუდგამს ფეხი, მათი უმეტესი ნაწილი ომის წლებშია ნამოღვაწარი და როგორც ავღნიშნე, რამდენიმე დღით. საარქივო მასალები თუმც მწირია, მაგრამ რამდენადმე იძლევა ომის დროინდელი სკოლის ცხოვრებიდან მასწავლებელთა მოძრაობაზე დასტურს. არაა ცნობილი ვინ წავიდა ფრონტზე, ვინ დაბრუნდა და ვინ კიდევ სამშობლოს დამცველთა საზიარო საფლავს შემორჩა რუსეთის მიწაზე თუ სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე.

აჭარიდან ომში გაწვევები შეჩერდა 1941 წლის ოქტომბრიდან თურქეთის მხრიდან შესაძლო ომში ჩაბმის საშიშროების გამო და საზღვარი უნდა დაცულიყო ყოველნაირად.

საქ. კპ. ცკ. პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარგვიანმა სსრკ. თავდაცვის სახელმწიფო კმიტების თავმჯდომარის და სახელმწიფოს მეთაურის ი. სტალინის დირექტივა მიიღო და საზღვრისპირა მოსახლეობის ზრდასრული და ასაკიანი ხალხიც საზღვრების დაცვის საქმეში ჩააბა. მოსახლეობა მოწონებით შეხვდა ასეთ ბრძანებას და აქტიურად ჩაება სამშობლოს დამცველთა ასეული ათასობით მეომართა მხარდამხარ.

სოფია პიჩველი მასის და სამრა მოს ნებაში და მოს შემძლებელი

მსოფლიო ომის გამზადებლებმა, კაციჭამია ფაშისტებმა 1941 წლის 22 ივნისს, გამოიტანილი საბჭოთა ქვეყნის საზღვრები. დაიწყო საბჭოთა ქვეყნისთვის დიდი სამამულო ომი. ფაშისტები ცდილობდნენ საბჭოთა ხალხის დამონებას, ხალხის მასიურად განადგურებას და არიული რასისთვის ფართო არეალის დამკვიდრებას. საერთო ჯამში კი მსოფლიოს ნახევარის დაპყრობას.

200 მილიონიანი ქვეყნის მუჟდომება დაირდვა. ქურდული, ვერა-გული და მოულოდნელი თავდასხმის პირველივე დღეს ათასობით საბჭოთა მოქალაქე და სამხედრო გაანადგურეს. მაღამული სროვა, თითქმის მთლიანი ევროპის დაპყრობის შემდეგ საბჭოთა ქვეყანას შემოესია.

ქვეყანა საომარ რელსებზე გადავიდა.



პირველი დღიდანვე კრემლიდან ამხ. ვი. მოლოტოვის მოწოდებაზე „ქვეყანა განსაცდელშია, ერთ მუშტად შევიკრათ და გავანადგუროთ ფაშისტი მომხვდერები“ – ქვეყანა მართლაც ერთარსებად შეიკრა.

ომმა გაასამხედროვა მთლიანად საბჭოთა კავშირი, საბჭოთა ახ-ალგაზრდებს სიხარულის კარგბი დაეხმოთ.

ყველაფერი ფრონტისთვის – ეს მოწოდება ეხებოდა როგორც ცოცხალ ძალას, ისე უძრავ-მოძრავ ფასეულობებს. საომარ ყაიდაზე გადასული ქვეყნის თითეული მოქალაქის გული ერთ დევიზით ძგერდა – დაემარცხებინათ და თავის ბუნაგში ჩეკლათ ძლევამოსილი გერმანიის ფაშისტური ხროვა.

ომის გამოცხადებისთანავე გამოცხადდა საყოველთაო მობილიზაცია. მთელი საქართველო დადგა ფქეზე.

ქედის რაიონში საოლქო კომიტეტის წარმომადგენლის – ნოე საზარაბის თაოსნობით შედგა სახელდახელო პარტიული კრება, სა-დაც შეიმუშავეს ექსტრემალური გეგმა დახმარებოდნენ ფრონტს ჯერ ცოცხალი ძალით, შემდეგ სურსათ-სანოვაგითა და ჩასაცმელით.

აჭარის მასშტაბით სამხედრო კომისარიატებში ცხადდებოდნენ როგორც ჯარში გასაწვევი ახალგაზრდები, ისეც ასაკოვანი მოხალისები.

აჭარა შეუდგა მტრის განადგურებისთვის მთავარსარდალ იოსებ სტალინის მოწოდების განუხერელად განხორციელებას.

და მიდიოდა კოლონები ფრონტზე ერთი აზრით განმსჭვალულნი – დაეცვათ საბჭოთა ქვეყნა, ოქტომბრის მონაპოვარი, ხალხი. ასეულათასობით ქართველი წავიდა ოშმი, გამარჯვების ღრმა რწმენით, მაგრამ მათგან თითქმის ნახევარი ვეღარ დაუბრუნდა საქართველოს.

სამამულო ომის დაწყებისთანავე საბჭოთა კავშირის მთავრობის მეთაურმა და ჯარების მთავარსარდალმა პირადად მიმართა საბჭოთა ხალხს, „რომ მთელი მსოფლიოს ყურადღება ამ ომისკენაა მოქცეული და მთელი მსოფლიო იმედოვნებს, რომ ფაშისტური ხროვის გამანადგურებელი მხოლოდ საბჭოთა ხალხია.“

(ი.ბ. სტალინი, საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ).

ამ მოწოდების საპასუხოდ ქედის რაიონიდან ფრონტზე გაწვეულ იქნა ათასზე მეტი მებრძოლი, მაგრამ მათგან ექვსასზე მეტი ფრონტის ველზე დარჩა სამარადისოდ – საუკუნო სამარე რუსეთის მიწაზე პპოვა.

პირველი მაისის სასოფლო საბჭოდან ფრონტზე 75-ზე მეტი

კაცი წაგიდა, მათგან სულ მცირე რაოდენობა დაბრუნდა.

სოფელ აგარიდან გაწვეული 50 კაციდან 6 დაბრუნდა. კოლო-
ტურიდან გაწვეული 13 კაციდან 1 დაბრუნდა. პირველი მაისიდან
წასული 12 კაციდან დაიღუპა ყველა.

დარაზმულ საბჭოთა ხალხს გვერდში ამოუდგა საბჭოთა
სკოლებიც. მაშინ, როდესაც სკოლების აღმავლობის ხანა დადგა,
სკოლებსაც შეეკვეცათ ფრთხი. თუმცა დროებით შეჩერდა სკოლების
მშენებლობები, მაგრამ საბჭოთა უნარიანი და ბრძენი მეთაურების
გადაწყვეტილებებით, სწავლა არ შეწყვეტილა, პირიქით სწავლების
ხარისხი და წყურვილი უფრო გაუმჯობესდა. მთელი ომის განმავ-
ლობაში სკოლებიდანაც პირდაპირ ფრონტზე მიღიოდნენ მოსწავ-
ლები. მთელ საბჭოთა ხალხს ზურგს უმაგრებდა საბჭოთა სკოლებში
დაფრთთანებული, მებრძოლი სულისა და შემართების ახალგაზრ-
დობა.

სკოლებიც საომარ ყაიდაზე გარდაიქმნენ და ზურგში დარჩე-
ნილებთან გვერდი-გვერდ არნახულ გმირობებს აღწევდნენ – ფრონტს
აძლევდნენ იმას, რისი მიცემაც შეეძლოთ.

მთელი საბჭოთა ქვეყნის გვრედით იდგა პირველი მაისიც. ოჯახში
პირად ცხოვრებაში იკლებდნენ ყველაფერს და ამარაგებდნენ ფ-
რონტელებს სულისკვეთებით – რაც შეიძლება მაღვე გაენადგურე-
ბინათ ფაშისტები და დამთავრებულიყო სისხლისმდვრელი ომი.

დიდია წვლილი საბჭოთა სკოლებისა სამამულო ომში.

მიუხედავად იმისა, რომ რაიონის სკოლები აქტიურ როლს
ასრულებდნენ ომის პერიოდში, სწავლა არ შეწყვეტილა, თუმცა
მოსწავლეთა კლებადობას ჰქონდა ადგილი. ომშა სიდუხებირე არგუ-
ნა მოსახლეობას და გაჭირვების სუსხით დაზაფრულნი, სკოლებს
მოწყდნენ ბავშვები. არ იყო იოლი სოფლის ცხოვრება მთელი
ომის განმავლობაში.

1942-1943 და მომდევნო წლებში კლებადობა ძალიან შესამჩ-
ნევი იყო.

პირველი მაისის არასრული საშუალო სკოლის მოსწავლეთა
რაოდენობა.

| 1942- 1943 წ.წ | IV კლასი | VII კლასი | | | | |
|-------------------|--------------------------|-------------------|--------------------|-------------------|------------------|-------------------|
| | 11 მოწავლე | 11 მოწავლე | | | | |
| 1943- 1944 წ.წ | I კლასი | II კლასი | III კლასი | IV კლ- ასი | V კლ ასი | VI კლა სი |
| | 13 ვაჟი 2 ქალი | 16 ვაჟი 8 ქალი | 16 ვაჟი 10 ქალი | 15 ვაჟი 7 ქალი | 8 ვაჟი 0 ქალი | 12 ვაჟი 6 ქალი |
| VII კლასში | სულ | | | | | |
| 7 ვაჟი 2 ქალი | 87 ვაჟი და 40 ქალი | | | | | |

დირექტორი: ქაბულა ზენაიშვილი

რაიონის მასშტაბით სკოლის გარეთ დარჩნენ:

| 1942-1943 წ.წ | 1943-1944 წ.წ | 1944-1945 წ.წ |
|---------------|---------------|---------------|
| 335 მოსწავლე | 299 მოსწავლე | 167 მოსწავლე |

(p-770. აღწ I. საქმე №42)

მიუხედავად ომის სიმძიმისა და გაჭირვებისა, რაიონში მაინც მიმდინარეობდა სკოლების განახლება და რემონტი, ინვენტარით უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, ომის სიმძიმე მთელმა საბჭოთა ხალხმა თავის ზურგზე გადაიტანა, ერთი დღითაც, ერთი წელითაც არ შექელებულა მთავრობის ყურადღება სკოლებისადმი. უპირველეს სი საზრუნავი იყო ქვექნის გენოფონდის შევსება და მათი შენარჩუნება, აღზრდა და სწავლება. ქვეყნას სამომავლოდ საღი და ჯანმრთელი, წესიერად აღზრდილი კადრების დეფიციტი არ უნდა ეგრძნო.

სკოლებში საგრძნობლად უმჯობესდებოდა ცოდნის შეფასების პრიტერიუმი. მოწავეები გრძნობდნენ მოს სიმძიმეს და სწავლით

პასუხობის ქვენის შეჭირვებას. სკოლების მიზანთად ნაწილში დამკიდრდა მოსწავლეებისადმი ცოდნის ხარისხში მტკიცე მოთხოვნები.

ომის წლებში არავის ულხინს საერთოდ. გაჭირვება და თანაც გაუსაძლისი გაიარეს მასწავლებლებმაც, ვინაიდან მათ ევალებოდათ მოსწავლე ახალგაზრდობის სწორ გზაზე დაყვნება და მათაც ხომ პქნდათ ოჯახები – ისევე იღვამდნენ წელებზე ფეხებს, როგორც სხვები. არ გააჩნდათ არავითარი პრივილეგიები. აბა, რომელი აღმზრდელი დაიწურებდა, მე მეტი მეუთვნის და ყურადღებაც მეტი მჭირდებაომაშინ, იმ ქარცეცხლიან დღეებში ყველა მართლაც ერთ სულ და ერთ ხორც იყვნენ არაადამიანური გაჭირვება გამოიარეს და გაუტეხელნი დარჩნენ, სულით ძლიერნი.

რაოდენ მნელია, თავად არაფერი გებადოს და რაც გაქვს, ისიც ვინმეს უწილადო. სწორედ ასე იქცეოდნენ ომის პერიოდის მასწავლებლები.

საარქივო მასალებიდან სიტყვა სიტყვით არ გადმოვიტანე ერთი ფრაგმენტი, იმ მოტივით, რომ გული არავის ტექნიდა, თუმცა მინიჭნებას მაინც გავაკეთებ. ერთერთი სოფლის მასწავლებელი (თუმცა ის ერთადერთი არ იქნებოდა მაშინ) თოვლჲყაპშიც საზაფხულო ფეხსაცმლით დადიოდა და იციო რატომ? ჯერ ერთი, რომ საშუალება არ ექნებოდა შეძენისა და მეორეც, უნდა ეგრძნოთ ბაგშვებსაც, რომ მასწავლებლებიც მათნაირ ყოფაში იყვნენ. ომგამოვლილ ბაგშვებს დღეს როცა მოუსმენ, ადამიანს გული როგორ არ გეტკინება მათი იმდორინდელი საცოდაობითი. სათქმელად იოლია და დასაწერად, ფაქტიურად კი რა არ გადაიტანეს მათ.

ყველაფერი ფრონტისათვის... ზურგში დარჩნილები კი არაფერს იშურებდნენ, ტანჯვას იგანძნენ, ოდონდ გამარჯვების დღე დამდგარიყო. არავის ჩიოდა (განა მართალა?) რომ ჩასაცმელ დასახურავის, საჭმლის და სასკოლო ნივთების დეფიციტს განიცდიდნენ – ყველა ელოდა ომის დასასრულს.

დამთავრდა ომიც, ქვეყანა ზეიმობდა გამარჯვებას, მაგრამ ხალხს ათეულწლობით მაინც არ ულხინდა. მნელი და მძიმე იყო ომის შემდგომი, აღდგენის წლებიც.

მეც მახსოვეს ომის მიერ მათრახივით მოქნეული კუდის სიმწვავე. ორმოცდათიანი წლების შემდეგაც იგრძნობოდა ის სუსხი და სიმძიმე, რაც საბჭოთა ხალხმა გადაიტანა თავის ზურგზე. ნაკლები იყო სამოსელი და, რაც მთავარია სახსრების სიმცირე ძალიან იგრძნობოდა. რამ განასხვავა ომის დროინდელი და ომის შემდგომი ახალგაზრდების ნატერა და წყერვილი. ახალგაზრდებისათვის გულში ყოველთვის ზაფხულია, მაგრამ ომს და ომის შემდგომ პერიოდს თავისი კანონები გააჩნია. დღეს იოლია ვინმეს დადანაშაულება, ომი არ უნდა მომხდარიყო, მაგრამ საყოველთაოდ ცნობილი იყო პიტლერის ველური ჟინი – გამხდარიყო მსოფლიოზე მებატონება...

როგორი შევავეც არ უნდა იყოს ვინმესთვის, საკუთარი აზრი მაინც უნდა გამოვთქვა – გონივრულად მართა ქართველი კაცის ჭკუამ ომიც და ომის შემდგომი პერიოდიც. თუ ვინმეს ეტკინება ამ შეფასებით, დროა მკურნალი.

უშიორდა ქვეყანას და ხალხზე ზრუნვის ფიქრით, მერმისის აყვავების მიზნით, საარაკო საქმეებს აგვარებდა ბელადი სტალინი. კეთილდღეობის დასტურად მარტო ის ქმარა, წლითიწლობით რომ უიაფებდა ხალხს შესაძენ საქონელს. განა ეს ცოტაა?..

ომის დაღი კი ნამდვილად არასოდეს ისპობა.

ცოტა ლირიკული გადახვევებიც გამომდის ხანდახან, მაგრამ წიგნიც აიგანს და იმედია მკითხველიც მაპატიებს – უთქმელობაც არ იქნებოდა.

ომის წლებში, კერძოდ 1944 წლის მონაცემებით, პირველი მაისის სკოლაში ხდებოდა მასწავლებელთა გადაჯგუფება და ხშირი ცელა. 20 სექტემბრის №84-ე ბრძანების თანახმად სკოლიდან თავისუფლდება ა. ჩხეიძე და მის მაგივრად ინიშნება ლიზა კალანდარიშვილი. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით. პირველი მაისის არასრულ საშუალო სკოლაში ფიზკულტურული კოლექტივი იდგა წინა პლანზე. მეტუთქ, მეექვე და მეშვიდე კლასებში სულ 25 მოსწავლე იყო თანრიგოსანი. 9 მოსწავლე მშობლები და 15 იმშობლები თანრიგოსანი იყო.

(p-770, აღწ. I. საქმე - 34)

სკოლის დირექტორი კვლავ კატუშა ზენაიშვილია.

1945 წლის იანვრიდან ქედაში წამოვიდნენ პედინსტიტუტის კურსები მასშიავლებლებით. ისტორიის მასშიავლებლად პირველი მაისის სკოლაში ინიშნება ბროლა ილიას ასული სიამაშვილი. (p-770, აღწ. I. საქმე-50)

1946 წლის 10 მაისს საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების შესაბამისად „სწავლების ვადა გაგრძელდეს 1-წლით“ შექმნა ცენტრალური სკოლის 7-წლიანი გადაკეთდა 8-წლიანად, შესაბამისად მუ-Х-ე გადაკეთდა XI-ედ და თანახმად ბრძანებისა იწოდებოდა 8 - წლებიდან, 9-წლებიდან და ასე შემდგა. 11 წლიანი კი საშუალოდ. ასსსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე: ი. ფუტკარაძე, დადგენილება №116 (p-5, აღწ. I. საქმე №435).

1946-1947 წლებში პირველი მაისის 8-წლიან სკოლასთან ფუნქციონირებდა სოფლის ახალგაზრდობის სკოლაც.

1947-1948 წლებში პირველი მაისის სკოლა საარქივო მასალებში დაფიქსირებულია 8-წლიან სკოლად. დირექტორი კვლავ კატუშა ზენაიძეილია. სკოლაში 7 მასშიავლებელია, პლუს 1 ფიზიულტერისა და სამხედრო მომზადების მასშიავლებელი. სწავლება ორცვლიანია, ორი კლასაკომპლექტით: 1-4 და 5-8 კლასეკომპლექტი. 1-4 კლასეკომპლექტში 100 მოწაფეა, 5-8-ში კი 38. უცხო ენად ისტავლება გერმანული ენა.

| კლასეკომპლექტი | მოსწრება | ქალი | II-წლიანები |
|----------------|----------|------|-------------|
| I | 31 | 11 | 4 |
| II | 33 | 11 | 7 |
| III | 17 | 8 | 2 |
| IV | 19 | 8 | 4 |
| სულ | 100 | 38 | 17 |
| V | 12 | 3 | 4 |
| VI | 13 | 3 | 1 |
| VII | 4 | 1 | - |
| VIII | 9 | 2 | 2 |
| სულ კლასი -8 | 138 | 49 | 24 |

სკოლის დიერექტორი: კატუშა ზენაიძეილი. (p-5, აღწ. I. საქმე №735)

1948 წლის 16 დეკემბრის დადგენილება №819, აჭარის ასსრ. მინისტრთა საბჭო:

„თანახმად დადგენილებისა, ორცვის 8 წლიან სკოლაში VII

კლასის დახურვის ანგარიშზე სოფელ პირველ მაისში 8 წლიანი სკოლის დაწყებით კლასში დაემატოს ერთი კლასკომპლექტი."

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე: შ. გოგოლიშვილი.

1948-1949 წლის მონაცემებით პირველი მაისის რვაწლიან სკოლაში კლასკომპლექტის რაოდენობა:

1-4 კლასკომპლექტი =4; 5-8 კლასკომპლექტი =4; სულ 8.

1948 წლის 6 აგვისტო. №497 დადგენილება. მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი: ს. ზოიძე. (p-5, აღწ. I. საქმე 461).

1948-1949 სასწავლო წელი. მოსწავლეთა რაოდენობა პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში:

| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
|----|----|-----|----|----|----|-----|------|
| 20 | 29 | 30 | 13 | 17 | 12 | 5 | 5 |

სულ 131 მოსწავლე.

დირექტორი: უნია ოდილავაძე

(p-770, საქმე №57)

1949-1950 სასწავლო წლის მოსწავლეთა რაოდენობა პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში:

| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
|----|----|-----|----|----|----|-----|------|
| 19 | 21 | 30 | 22 | 13 | 11 | 10 | 9 |

სულ 135 მოსწავლე.

დირექტორი: უნია ოდილავაძე

(p-770, აღწერა I, საქმე №63)

1950-1951 სასწავლო წლის მოსწავლეთა რაოდენობა.

| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII |
|----|----|-----|----|----|----|-----|------|
| 21 | 20 | 18 | 33 | 27 | 8 | 15 | 5 |

დირექტორი: კარადა ჭყონია.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1952 წლის 20 აგვისტოს ბრძანებულებით მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლებში, სწავლების მეთოდებზე და მეოთხედურ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სკოლებს დაეგზავნათ დირექტივები, რომელთა საფუძველზე სკოლებში დაწესდა 5-სამეცადინო დღე კვირაში, სასწავლო გაკვეთილების 45 წელიანი ხანგრძლივობით. მუშა და სოფლის ახალგაზრდების სკოლებში საზამთრო და საგაზაფხულო არადაღები არ ტარდებოდა. მოზრდილთა სკოლებში ტარდება მხოლოდ საზამთრო არადაღები 1-12 იანვარს. სკოლებში სასწავლო წელი შედგება 36 სასწავლო კვირისგან და იყოფა 4 მეოთხედად.

I-მეოთხედი: 1 სექტემბრიდან 7 ნოემბრამდე. (49 სასწავლო დღე, ანუ 9 კვირა და 4 დღე)

II-მეოთხედი: 10 ნოემბრიდან 1 იანვრამდე. (37 სასწავლო დღე, ანუ 7 კვირა და 2 დღე)

III-მეოთხედი: 2 იანვრიდან 22 მარტამდე. (56 სასწავლო დღე, ანუ 11 კვირა და 1 დღე)

IV-მეოთხედი: 23 მარტიდან 17 მაისამდე. (39 სასწავლო დღე, ანუ 7 კვირა და 4 დღე)

I-II-III კლასებში სასწავლო წელი გრძელდება 25 სასწავლო კვირა. 1 ნოემბრიდან 24 აპრილამდე.

IV-V-VI-VII კლასებში სასწავლო წელი გრძელდება 23 სასწავლო კვირა.

VIII კლასში სასაწავლო წელი გრძელდება 22 სასწავლო კვირა.

მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების განყოფილების უფროსი: გ. სანაძე.

(p-5, აღწ. I. საქმე №825).

როდესაც მოსწავლეთა რაოდენობა მატულობს, შესაბამისად იქმნება ორი კლასებით კლასები ანუ პარალელური კლასები. დაწყებით კლასებში კლასებით განისაზღვრება მოსწავლეთა რაოდენობით. მაგალითად I-IV კლასებში მოწაფეთა რაოდენობა თუ შეადგენს 50-ზე მეტს, მაშინ ინიშნება 4 მასწავლებელი, ე.ო. 3 კლასები-

მაღლექტით. თუ მოსწავლეთა რაოდენობა I-IV კლასებში შეადგენდა 40-ზე მეტს, მაშინ ინიშნებოდა 3 მასწავლებელი. ე.ი. 3 კლასეკო-მპლექტით. თუ მოსწავლეთა რაოდენობა 30-ზე მეტს შეადგენდა, მაშინ ინიშნებოდა 2 მასწავლებელი 2 კლასებში მპლექტით. თუ დამოუკიდებელ დაწყებით სკოლებში I-IV კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა 10-ზე ნაკლებია, მაშინ ინიშნება 1 მასწავლებელი. ე.ი. 1 კლასეკომპლექტით. შესაბამისად დაწყებითის მასწავლებელი სკოლის გამგეცა.

დამოუკიდებელ დაწყებით სკოლებში I-IV კლასებში თუ 10-20 მოსწავლე იყო, იქმნებოდა 2 კლასეკომპლექტი 2 მასწავლებელით.

ამჟამად დაწყებითი კლასები უშუალოდ დამოკიდებულია საჯარო სკოლებზე. ფინანსები, მაგერიალური უზრუნველყოფა, ხელფასის გაცემა, ინვენტარი, საწვავ-სათბობი, შტატების განაწილება უშუალოდ საჯარო სკოლის პრეროგატივაა.

წინა გვერდზე მოცემულია 1949-1950 წლების მონაცემები მოსწავლეთა რაოდენობაზე, სხვა ჩანაწერებში კი აღნიშნულია განსხვავებული რაოდენობა.

| I კლასი | II კლასი | III კლასი | IV კლასი | V კლასი | VI კლასი | VII კლასი | VIII კლასი |
|----------------|-----------------|----------------|-------------------|-------------------|-------------------|--------------|------------------|
| 20 | 20 | 30 | 23 ვაჟი 8 ქალი | 14 ვაჟი 6 ქალი | 14 ვაჟი 5 ქალი | 10 ვაჟი | 9 ვაჟი 3 ქალი |
| ვაჟი 6 ქალი | ვაჟი 11 ქალი | ვაჟი 5 ქალი | ვაჟი 8 ქალი | ვაჟი 6 ქალი | ვაჟი 5 ქალი | | |

სულ: 184 მოსწავლე.

I ცვლაში=67 ვაჟი და 20 ქალი, II ცვლაში 73 ვაჟი და 24 ქალი.
1950-1951 წლებში წარმოდგენილი ცნობაც განსხვავებულია.

| I კლასი | II კლასი | III კლასი | IV კლასი | V კლასი | VI კლასი | VII კლასი | VIII კლასი |
|--------------|----------------|--------------------|-------------------|-------------------|------------------|-------------------|---------------|
| 16 | 19 | 19 ვაჟი 11 ქალი | 34 ვაჟი 7 ქალი | 26 ვაჟი 9 ქალი | 8 ვაჟი 3 ქალი | 15 ვაჟი 6 ქალი | 5 ვაჟი |
| ვაჟი ქალი | ვაჟი 8 ქალი | ვაჟი 5 ქალი | ვაჟი 8 ქალი | ვაჟი 9 ქალი | ვაჟი 5 ქალი | | |
| 10 ქალი | | | | | | | |

სულ: 196 მოსწავლე.

I ცვლაში სწავლობდა 54 ვაჟი და 36 გოგო; მეორე ცვლაში 88 ვაჟი და 18 ქალი.

1951-1952 სასწავლო წელს უკვე საგრძნობ მატებას აქვს ადგილი.

ორივე ცვლაში 200-ზე მეტი მოსწავლე დადიოდა სკოლაში.

| I კლასი | II კლასი | III კლასი | IV კლასი | V კლასი | VI კლასი | VII კლასი | VIII კლასი |
|------------|-------------|--------------|-------------|------------|-------------|--------------|---------------|
| 12 | 24 | 16 | 28 | 30 | 21 | 11 | 11 |
| ვაჟი 6 | ვაჟი | ვაჟი 5 | ვაჟი | ვაჟი 7 | ვაჟი 6 | ვაჟი 3 | ვაჟი 6 |
| ქალი | 13 | ქალი | 12 | ქალი | ქალი | ქალი | ქალი |
| | ქალი | | ქალი | | | | |

სულ: 211 მოსწავლე.

I ცვლაში სწავლობდა 80-ვაჟი და 36 ქალი, II-ცვლაში კი 73 ვაჟი და 22 ქალი.

ამ ცვლილებების შესახებ მასალებში არაფერია მითითებული. უნდა ვივარაჟდოთ, რომ საღორეოთის რაი-სკოლის შემადგენლობაში შესული სკოლებიდანაც დადიოდნენ პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში, ვინაიდან ხოხნაში და აგარაში ჯერ ისევ დაწყებითი კლასები ფუნქციონირებდა.

1950 წელი საბჭოთა ქვეყნის განვითარების ფონზე შემდეგი ხეთწლედის დასაწყისი იყო. ყოველ ხეთწლედს ახალ-ახალი მიღწევებით პასუხობდნენ რესპუბლიკიდან. მთავარ საქითხად კვლავ რჩებოდა დღის წესრიგში განათლების სისტემა, ვინაიდან ეს სისტემა არ ეგულირებდა ქვეყნის კადრებით უზრუნველყოფას და ახალი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. ძირითადად ყერადღება გადატანილი იყო განათლების სისტემის საბაზო დაწესებულებებზე – დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებზე, მაქსიმუმი კეთდებოდა ცხოვრების ასაყვავებლად.

თუ რა გეგმები ისახებოდა სკოლებში, ამას პასუხობს ცნობა, რომელიც საქართველოს განათლების მინისტრის, ბატ. ვ. პ. პრაძის 1950 წლის 19 დეკემბრით დათარიღებულ მოხსენებაშია გაშუქებული, რომელიც სკოლებში მოსწავლეთა კომიტეტების, როგორც მასწავლებელთა დამხმარე თრგანოს არჩევას ეხება.

„სკოლებში უნდა შეიქმნას მოსწავლეთა კომიტეტი 7-15 მოსწავლის შემადგენლობით და უნდა აირჩიონ ერთი წლით, V-XI კლასების მოსწავლეთა საერთო კრებაზე კენჭისყრით, რომლის მიზანია კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებთან ერთად ხელი შეუწყოს სკოლის ხელმძღვანელობას და მასწავლებელს მოსწავლეთა კომუნისტურად აღზრდაში. პირველ რიგში კი მოსწავლეებში თავისი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების გამომუშავებას სასკოლო დისციპლინის განმტკიცებაში, მოსწავლეთა თვითქმედებისა და საზოგადოებრივი ინიციატივის განვითარებაში, მოსწავლეებში კულტურული ჩვევების დანერგვას და ყველა მოსწავლის შემჭიდროებას თავისი სკოლის ლირსების პატივისმცემელ ერთ მთლიან კოლექტივად ჩამოყალიბებაში.

მოსწავლეთა კომიტეტებში უნდა აირჩიონ აკადემიურად ძლიერი და აქტიური მოსწავლეები, რომლებიც ამსანაგებს შორის ნდობით და ავტორიტეტით სარგებლობენ. არჩევნები უნდა ჩატარდეს სექტემბერში. კომიტეტი პერიოდულად ანგარიშს აბარებს მოსწავლეთა საერთო კრებას.

მოსწავლეთა კომიტეტს ჰყავს თავმჯდომარე.

მოსწავლეთა კომიტეტი ხელს უნდა უწყობდეს დირექტორსა და მასწავლებელს მოსწავლეთა წარმატებასა და ცოდნის ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა და თითოეული მოსწავლის მიერ „მოსწავლეთა წესების“ განუხრელად გატარებაში, ხელმძღვანელობს კლასების მამასახლისებს, აწესებს უფროსი კლასების მოსწავლეთა მორიგეობას მორიგე მასწავლებლის დახმარებით, უშვებენ კედლის გაზიერებს, მონაწილეობენ საზოგადოებრივ – პოლიტიკურ, კულტურული მოსპორივ ფიზკულტურულ – სპორტულ ღონისძიებებში, თვალყურს ადევნებენ მოსწავლეთა ყოფაქცევას და ფორმების ტარებას, ეხმარებიან დირექტორსა და კომკავშირულ ორგანიზაციას სკოლის ცოვრებაში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნაში და მთელ რიგ ორგანიზაციულ საკითხებში.

კლასის მამასახლისი კლასის ხელმძღვანელს ეხმარება კლასში ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის შექმნაში, მოსწავლეებს –

მოვალეობისადმი ჯანსაღ დამოკიდებულებაში, მაღალი აკადემიური მოსწრებისა და სანიმუშო ყოფა-ქცევისა და ღისციპლინის განვითარებაში. აქტიურ მონაწილეობას დებულობს კლასგარეშე და სკოლისგარეშე ღონისძიებათა მომზადება-გატარებაში. კლასის ხელმძღვანელის ერთად ატარებს კლასის კრებას.

მოსწავლეთა კომიტეტი და კლასის მამასახლისები კომკავშირ-ულ სასკოლო კომიტეტთან კონტაქტში ეხმარებიან სკოლის დირექტორის ყველა საკითხის ახლებურად გადაწყვეტასა და წარმატებით წარმართვაში." (p-5, აღწ. I. საქმე №825).

ესახუაბანი: 1950-იან ნიუბამილი საოცა ღამის-სამამითხვევლი, მხახელამხები. 1932 წელი.

1. სოფელ საღორეთის რაი სკოლის გამგე: ბრეგვაძე გიორგი. მასწავლებელი ცინცაძე ლიუბა.
2. საღორეთის ქოხ-სამკითხველოს გამგე: შავლიძე ოსმან ხასანის ძე.
3. საღორეთის ქოხ-სამკითხველოს გამგე 8/IV-დან 30/VI-მდე: სურმანიძე დურსუნ (აგარიდან).
4. აღმასკომის ბრძანებების წიგნში – ახალგაზრდობის სკოლის გამგე: გიორგაძე ბენია.
5. საღორეთის ქოხ-სამკითხველოს გამგე 4/VII-დან, დევაძე ჯახიშ.
6. საღორეთის რაი სკოლის კულტ საგანმანათლებლო მასწავლებელი:

 1. მურვანიძე აკაკი
 2. მურვანიძე დარიკო
 3. მიქანაძე დომნა
 4. ცინცაძე ლიუბა
 7. ოქტომბრის ოვიდან ბენია გიორგაძე გადაიყვანეს განათლების განყოფილების გამგედ
 8. საღორეთის რაი სკოლის გამგე: მურვანიძე აკაკი. მასწავლებელი: მურვანიძე დარიკო. მიქელაძე დომნა.

- 15 დეკემბრიდან მასწავლებელი: ურატაძე ილარიონ. 1933 წელი.
- პირველი მაისის არასრული საშუალო სკოლის გემბე: დარ-საველიძე ალექსანდრე ივანეს ძე. მასწავლებლები: მელივა დავითი
 - ქოხ-სამკითხველოს გამგედ ინიშნება: დევაძე ალიოსმანი (აგარიდან)
 - ქოხ-სამკითხველოს გამგე 1 მარტიდან: ყენია გიორგი
 - ქოხ-სამკითხველოს გამგედ ინიშნება: დევაძე ფელიულ ხუსეინის ძე.

5.საღორეთის რაი-სკოლის მასწავლებელი: შენგელია ტარასი – გათავისუფლდა სამუშაოდან.

- 1934 წელი.
- პირველი მაისის ა/ს საშუალო სკოლის გამგე 1 იანვრიდან:
 - დარსაველიძე ალექსანდრე.
 - მასწავლებლებად:
 - ქუთათელაძე ზინაიდა ერმილეს ასული
 - ქოშტარია ალექსანდრე
 - 4.შენგელია ვენია.
- თურქელი ენის მასწავლებლად შეთავსებით: 5. დევაძე მემედ (ასწავლიდა აგარაში).
- პირველი მაისის ქოხ-სამკითხველოს გამგე: სამნიძე ხელილ.
 - პირველი მაისის პროფ-სკოლის გამგე: ბზეგალავა ზინა.
 - ამავე სკოლაში შეთავსებით მასწავლებლად: ქუთათელაძე ზინა.
 - პირველი მაისის საექიმო პუნქტის გამგე: ბლაგიძე ქსენია. ექიმი.

5.15 ივნისიდან 16 სექტემბრამდე ექიმი დროებით: ხომერიკი ილიკო.

6.სასოფლო-სამეცნიერო სამუშაოების კამპანიის დროს სოფელს მოსწავლე ახალგაზრდობაც ეხმარებოდა. უხარისხოდ, არადამაკმაყოფილებელ ვადებში და უპასუხისმგებლო შესრულებაში საბჭოს თავმჯდომარეს ზემდგომი ორგანოდან მკაცრი გაფრთხილება მოხდიოდა, რომლის ამონაწერი იგზავნებოდა ყველა საბჭოში. (ფონდი 1. ანაწერი 2. საქმე №1).

1935 წელი.

1. პირველი მაისის საექიმო პუნქტის გამზღვის კაზაჩენკო ნიკოლოზი.

1936 წელი.

17 იანვრიდან ექიმი კაზაჩენკო გადაჰყავთ ქედის ჯანგანის გამგედ.

2.5 სექტემბრიდან ქოხ-სამკითხველოს გამგე ხელიდ სამნიძე გადაჰყავთ პირველი მაისის სასოფლო საბჭოს მდივნად.

(ფონდი 1. ანაწერი 2. საქმე №2)

3. 13 მარტის №25-ე ბრძანებულების შესაბამისად, პირველი მაისის სკოლაში მასწავლებლად კვლავ ზინაიდა ქუთათელაძეა.

4. პირველი მაისის ქოხ-სამკითხველოს გამგედ 1 ივნისის №82 ბრძანებით დაინიშნა რესულ ბერიძე, ხოლო 1 სექტემბრის №97 ბრძანების შესაბამისად გათავისუფლდა სამუშაოდან.

5. 24 სექტემბრის №105 ბრძანებულებით პირველი მაისის ქოხ-სამკითხველოს გამგედ დროებით ინიშნება შარაშიძე ელენა.

6. 4 ოქტომბრის №110 ბრძანებით სადორეთის (?) დაწყებითი სკოლის მასწავლებლად ინიშნებიან: 1. დამენია გიორგი 2. შავლიძე (ქუთათელაძე) ზინაიდა.

(ფ. 23. საქმე №2 არქივი №3)

1938 წელი.

1. მოსახლეობის საკაფშირო აღწერის კადრებში, მოსამზადებელ კურსებზე პირველი მაისის სკოლიდან იგზავნება ორი პედაგოგი. 1. თოხაძე სიმონ დიმიტრის ძე. 2. გოგუაძე თინა სერაპიონის ასული.

(ფონდი №1, ანაწერი №2, არქივი №5)

2. პირველი მაისის დაწყებითი სკოლის გამგედ და III კლასის მასწავლებლად 1 სექტემბრიდან დაინიშნა ბათუმის პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებული აკაკი მელიტონის ძე წიგნივაძე.

3. I-IV კლასების მასწავლებლად დაინიშნა დარჩია კატუშა ლევარსის ასული, საშუალო განათლებით, 10 წელი პედ-სტაჟიო.

4. II-კლასის მასწავლებლად დაინიშნა ნინა ფილიპეს ასული

კეშელავა, საშუალო განათლებით, 2 წელი პედ-სტაუით.

5. პირველი მაისის წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირებულების სალიკვიდაციო სკოლის მასწავლებლად დაინიშნენ: 1. წიგწივაძე აკაკი. 2. დარჩია კატუშა (ეკატერინე), 3. ებრალიძე საშა (თამარ). 4. კეშელავა ნინა.

ამავე საქმეს ემსახურებოდა ლიზა კალანდარიშვილი, ჯერ ქვედის საბჭოს, შემდეგ პირველ მაისში.

1939 წელი.

1. პირველი მაისის კლუბის გამგედ 13 თებერვლიდან დაინიშნა: მელქის ძიმისტარიშვილი.

2. 11 მაისიდან კი კლუბის გამგედ ინიშნება: ლუკა ფრანგიშვილი.

3. 1. მაისიდან პირველი მაისის არასრული საშუალო სკოლის ბანებისა და გეოგრაფიის მასწავლებლად დაინიშნა ბათუმის პედ-აგორიური სამასწავლებლო ინსტიტუტის კურსდამთავრებული: ქეთო კნეტანგინეს ასული ჭელიძე.

4. 1 სექტემბრიდან პირველი მაისის სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად დაინიშნა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ხასან ხუსეინის ძე კახიძე.

(ფონდი №23, აღწ. №2, არქივი №14)

5. ლიკ-სკოლის მასწავლებლად 1 სექტემბრიდან კვლავ ინიშნება საშა ებრალიძე.

(ფონდი №23, აღწ. №2, არქივი №15)

1940-1941 წლებში, პირველი მაისის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად ხასან კახიძის ყოფნის პერიოდში სასოფლო საბჭოს მოწერილობის საფუძველზე მან მიიღო ქვედის სკოლიდან გამოსული, II-წლიანი, VI კლასის მოსწავლე უზეირ წითელაძე VII კლასში, რაც კანონის დამახინჯებად ჩაუთვალეს. როგორც დირექტორს, ასევე სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ამის გამო მისცეს შენიშვნა და მითითებაა.

1942 წელი.

1. 26 ივნისის №63 ბრძანებულებით, პირველი მაისის კლუბის ბიბლიოთეკარად ინიშნება ეკატერინე (კატუშა) კოტრიკაძე.

2. 1 ივლისის №65 ბრძანებულებით, პირველი მაისის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად ინიშნება: ნინა ნიკოლოზის ასული ბოკერია.

(ფონდი 23, ანაწერი 2, არქივი 35).

3. 2 ივლისის №66 ბრძანებულებით პირველი მაისის დაწყებითი სკოლის გამგე თამარ შამშეს ასული კვირკველია თავისუფლდება სამსახურიდან.

4. 14 ოქტომბრის №97 ბრძანებულებით, პირველი მაისის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ნინა თოდრია თავისუფლდება სამსახურიდან.

5. პირველი მაისის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი ნათელა თედორაძე 10 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით გათავისუფლდა სკოლიდან ოჯახური პირობების გამო.

შენიშვნა: (აღნიშნული მასწავლებლის და ბევრი სხვათა – არსად არაა დაფიქსირებული სკოლაში მასწავლებლად დანიშვნა. ძალიან ბევრი უზუსტობაა საარქივო მასალებში და საერთოდ მწირია ცნობები).

6. 23 ნოემბრის №117 ბრძანებულებით პირველი მაისის არასრული საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ ინიშნება მასწავლებელი მამია ცქვიტიშვილი.

შენიშვნა: პირველ მაისში აღნიშნულია დაწყებითი სკოლაც და არასრული საშუალო სკოლაც. მოცემული წლებისთვის, როგორც სჩანს, ორივე სკოლა ფუნქციონირებდა, მაგრამ მათი ადგილმდებარეობა არაა მინიშნებული და ვერც ვერავინ ასახელებს, საარქივო ჩანაწერები კი ამას ნამდვილად ადასტურებს.

1943 წელი.

1. 1 იანვრიდან პირველი მაისის არასრული საშუალო სკო-

ლის დირექტორი იყო თამარ თოდუა.

2. სკოლაში სამხედრო საქმეს ხელმძღვანელობდა ფრონტიდან დემობილიზებული პირველი მაისის მკვიდრი უსუფ ახმედის ძე ქადიქე.

3. 1 მარტიდან №18 ბრძანებულებით პირველი მაისის არსერულ საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ინიშნება გენრიება შეშელიძე.

4. 1 აპრილიდან №40 ბრძანებულების თანახმად, სკოლიდან საერთოდ

თავისუფლდება რუსული ენის მასწავლებელი ზინა დრობიშევა. (როგორც ქართული ენის არ მცოდნე) ფონდი №23. ანაწერი 2.. არქივი 35.)

შენიშვნა: ვინაიდან საარქივო მასალებს აკლია საქმეები, რაც ცნობების მოძიებას ართულებს, არსებული მასალები გამოვიყენე, რაც არასრულყოფილების ასოციაციას იწვევს და ამდენად მაპარიოს მკითხველმა დაშვებული ხარვეზები.

1947-1948 წლები

1. 16 იანვრით დათარიღებულია 8 წლიანი სკოლის მასწავლებელი ვენერა ჯიმშელევიშვილი.

2. 13 აპრილს განათლების განყოფილებაში ჩატარდა მასწავლებელთა თათბირი. ბრძანებათა წიგნში გატარებულია პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის დირექტორის, ეკატერინე ზენაიშვილის დაგვიანება, რის შესახებაც აღნიშნავს განათლების განყოფილების გამგე მემკე ნაკაშიდე და მიუთითებს რომ დაგვიანებისა და დაუშრუდებლობის შემთხვევაში დაითხოვებიან სამუშაოდან.

3. პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის მასწავლებელია ია სევერიანის ასული კანდელაკი.

4. 6 აგვისტოს №107 ბრძანებულებით 1 მაისის რვაწლიანი სკოლის რუსული ენის მასწავლებელი ელენა ევგენის (თუ ივანეს) ასული რეზიცი გათავისუფლდა სამუშაოდან სხვა რესპუბლიკაში გადასვლასთან დაკავშირებით.

5. 20 აგვისტოს №114 ბრძანებულებით პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად ინიშნება ბათუმის პედაგიკურული კურსდამთავრებული, პედსტაჟის არ მქონე ხემდინ მერჯანის ძე ღევაძე.

6. 20 აგვისტოს №114 ბრძანებულებით პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში II კლასის მასწავლებლად ინიშნება საშუალო სკოლადამთავრებული, პედსტაჟის არ მქონე გოგუცა ნესტორის ასული ღვინევაძე.

7. 20 აგვისტოს №114 ბრძანებულებით პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში III კლასის მასწავლებლად ინიშნება ცხაკაიას პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებული, პედსტაჟის არ მქონე ულია (ჯულიეტა) ნესტორის ასული ნინუა.

8. 20 აგვისტოს №117 ბრძანებულებით პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში I კლასის მასწავლებლად ინიშნება მახარაძის პედაგიკურულის კურსდამთავრებული, პედსტაჟის არმქონე გუგული კაპიტონის ასული გაშალომიძე.

9. 20 აგვისტოს №117 ბრძანებულებით პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში II კლასის მასწავლებლად ინიშნება მახარაძის პედაგიკურულის კურსდამთავრებული, პედსტაჟის არ მქონე ვალიდა (ლიდა) ლეისეს ასული სიხარულიძე.

10. პირველი მაისის 8 წლიან სკოლის II კლასის მასწავლებლი თამარ ტიტიკოს ასული სარიშვილი გადაიყვანეს ორთახოხნის დაწყებით სკოლაში. ბრძანება №122.

11. 11 სექტემბრის №143 ბრძანებულებით პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში I კლასის მასწავლებლად ინიშნება ანა (ანაიდა, ანიკო) პლატონის ასული გასვიანი.

1948 წელი.

1. 1947 წლის 16 იანვარს პირველი მაისის რვაწლიან სკოლაში მასწავლებლად დანიშნული ვენერა ჯიმშელეიშვილი მიმდინარე წლის 5 იანვრიდან გადაყვანილ იქნა განათლების განყოფილების სტატისტიკოსად და პარალელურად ორი 8 წლიანი სკოლის მოან-

გარიშებ. ბრძანება №3. განათლების განყოფილების გამგე: მ. ნაკაშიძე.

2. 13 ოებერვლის №23 ბრძანებულების თანახმად, პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის III კლასის მასწავლებლად ინიშნება ვენერა ლუკას ასული კილასონია.

განათლების განყოფილების გამგე: მ. ნაკაშიძე.

3. 4 მაისის №65 ბრძანებულებით პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ინიშნება თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ჟუჟუნა კირილეს ასული სადრაძე.

ფუძე: აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს ბრძანება №51

4. 20 აგვისტოს ბრძანება №91-ის საფუძველზე პირველი მაისის 8-წლიანი სკოლის მასწავლებელი ვენერა ლუკას ასული კილასონია დათხოვნილ იქნას სამსახურიდან.

5. 20 აგვისტოს №136 ბრძანებულებით პირველი მაისის 8-წლიან სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დაინიშნა გუგული (გულიკო) ახმედის ასული ტაბიძე.

ფუძე: განათლების სამინისტროს ბრძანება №68.

6. 28 აგვისტოს №141 ბრძანებულებით პირველი მაისის 8-წლიან სკოლაში სკოლის დირექტორად და ბუნება-გეოგრაფიის მასწავლებლად ინიშნება უნინა ვლადიმერის ასული ოდილავაძე.

7. პირველი მაისის 8-წლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორია კონსტიტუციისა და უცხო ენა (გერმანულის) მასწავლებლად ინიშნება პანტელეიმონ არტემის ძე ბალათურია. ბრძანება №160, 12 ოქტომბერი.

1949 წელი.

1. 15 იანვრიდან პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში მოსწავლეთა სიმცირის გამო გაუქმდა VIII კლასი.

(ფონდი 23, ანაწერი 2, არქივი 56)

2. 16 აგვისტოს ბრძანება №100-ის თანახმად პირველი მაისის 8-წლიანი სკოლის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად ინიშნება

ქედის სახელმწიფო პედაგოგიური სასაწავლებელის კურსდამთავრული უსუფ ხასანის ძე ბერიძე.

3. 20 აგვისტოს ბრძანება №101 საფუძველზე პირველი მაისი 8 წლიან სკოლაში III კლასის მასწავლებლად ინიშნება პედაგოგიური ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი ტატარასის ასული ჭედია. ფუძე: აჭარის განათლების სამინისტროს ბრძანება №60.

4. 20 აგვისტოდან ბრძანება №103-ის საფუძველზე პირველი მაისი 8 წლიან სკოლაში II კლასის მასწავლებლად ინიშნება რეშიტ თევრათის ძე აბაშიძე.

5. 25 აგვისტოს №108 ბრძანების თანახმად პირველი მაისი 8 წლიანი სკოლაში კვლავ ინიშნება მუხამედ დაუთის ძე ბერიძე.

ქედის განათლების განყოფილების გამგე: დ.ი.ბერიძე.
(ცონდი 23, ანაწერი 2, არქივი - 56).

6. 20 აგვისტოდან თავისი განცხადების საფუძველზე პირველი მაისი 8 წლიანი სკოლიდან თავისუფლდება ჯულიეტა ნინუა.

7. უმაღლეს სასწავლებელში სასწავლებლად წასვლასთან დაკავშირებით 20 აგვისტოდან თავისუფლდება პირველი მაისი 8 წლიანი სკოლის მასწავლებელი ვალიდა ელისეს ასული სიხარულიძე.

8. 27 ივნისის №85 ბრძანების თანახმად დაწყებითი კლასების მასწავლებლად ინიშნება ქედის სახელმწიფო პედსასწავლებლის კურსდამთავრებული მუხამედ დაუთის ძე ბერიძე.

ფუძე: აჭარის განათლების სამინისტროს ბრძანება №52.

ამავე წელს 1 აგვისტოს №89 ბრძანების საფუძველზე მუხამედ ბერიძე ინიშნება პარალელურად ზესოფლი სოფლის სკოლაში.

9. 30 ივლისის №88 ბრძანების თანახმად უმაღლეს სასწავლებელში წასვლის გამო თავისუფლდება ხემდინ მერჯანის ძე დევაძე.

10. №90 ბრძანების თანახმად საბოლოო ანგარიშსწორებით სკოლიდან თავისუფლდება ვენერა ჯიმშელეიშვილი.

11. 20 აგვისტოს №96 ბრძანებულების თანახმად პირველი მაი-

სის 8 წლიან სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად ინიშნება ლიდა უვარენის ასული გოგიშვილი.

1950 წელი

1. პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორია-კონსტიტუციის მასწავლებლად დაინიშნა ალექსანდრა ივანეს ასული გიორგაძე.
2. ბრძანება №89 19 ივლისიდან თავისუფლდება უსუფ ბეჟანიძე.
3. 5 აგვისტოს №93 ბრძანების შესაბამისად პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის IV კლასის მასწავლებლად ინიშნება სულეიმან მემედის ძე დევაძე.
4. 20 აგვისტოს №96 ბრძანების შესაბამისად პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის I კლასის მასწავლებლად ინიშნება უსუფ ალის ძე აბაშიძე.
5. ამავე ბრძანების საფუძველზე პარალელურად პირველი კლასის მასწავლებლად ინიშნება ბიძინა მიხეილის ძე მაღლაკელიძე. (ფონდი 23, აღწერა 2, არქივი -75).

პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში გარკვეული წლების მიხედვით ირიცხებოდა:

| | | | |
|-----------|--------------|---------|----------|
| 1949-1950 | 139 მოსწავლე | 95 ვაჟი | 44 ქალი |
| 1950-1951 | 146 მოსწავლე | 92 ვაჟი | 54 ქალი |
| 1951-1952 | 155 მოსწავლე | 99 ვაჟი | 56 ქალი |
| 1952-1953 | 132 მოსწავლე | 70 ვაჟი | 62 ქალი. |
| 1953-1954 | 135 მოსწავლე | | |

1950-1952 წლებში პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის დირექტორია ალექსანდრე გედვეგანიძე.

1953 წელი.

1. პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის დირექტორი, იხტორიის მასწავლებელი ალექსანდრე ივანეს ძე გეღვევანიძე, არჩევნების კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნის გამო თავისუფლდება 22 I-დან 24 II-მდე. მის არყოფნაში დირექტორის მოვალეობას ასრულებდა ტიტეფილი პეტრე ძე მანჯგალაძე.

2. პირველი მაისის სასოფლო საბჭოში წვევამდელთა რუსული ენის მასწავლებლად მოწვეული იყო ციალა ათანასეს ასული გოგაძე. შემდეგ იგი გადაყვანილ იქნა პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში.

3. 8 თებერვლის №17 ბრძანების თანახმად ეკატერინე ლეგარსის ასული კოტრიკაძეს პირველი მაისის 8 წლიანი სკოლიდან აწინაურებენ განათლების განყოფილებაში პედაგოგიური კაბინეტის მეთოდისტად.

4. 12 მაისის ბრძანება №66 თანახმად მასწავლებელთა დახელვნების კურსებზე იგზავნება ფიზკულტურის მასწავლებელი ამირან ჩხარტიშვილი. (შენიშვნა: მისი დანიშვნა არაა ფიქსირებული. ს.ს.)

5. ბრძანება №111 საფუძველზე პირველი მაისის სასოფლო საბჭოს მდივანი ცაცა ისიდორეს ასული მელაშვილი (თებიძე) ინიშნება სკოლის მოანგარიშედ ნახევარ სტავკაზე. (50 მანეთი).

ფუძე: მისი განცხადება; განათლების განყოფილების გამგე: რ. ბერიძე.

6. 25 ივნისის №112 ბრძანებულებით შვებულებაში ჩაითვალის რეჯებ იბრაიმის ძე ფარსენაძე. (არც ფარსენაძის დანიშვნა ფიქსირდება).

7. 20 აგვისტოს №135 ბრძანებით აბაშიძე უსუფ ალის ძე ინიშნება დროებით პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის V-VIII კლასებში და კოლოგრაფიულში ფიზ-აღზრდის მასწავლებლად.

(ფონდი 23, ანაწერი 2, არქივი -105)

8. პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად ინიშნება მერი დიომიძეს ასული კალანდარიშვილი.

9. პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში III კლასის მასწავლებლად ინიშნება ლუბა ივგისის ასული კვერდელიძე.
(ფონდი 23, ანაწერი -2 არქივი 105).

1954 წელი

მასწავლებლებად აღნიშნული არიან: მიხეილ კაცაძე. ვენერა გობრონიძე.

1955-1956 წლები.

პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის მასწავლებლები:

მერი კალანდარიშვილი

ციალა გოგაძე

გულიორ ტაბიძე

თამარ ჩაგანავა

ანიკო გასვიანი

ლუბა კვერდელიძე

ტიტე მანჯგალაძე

დირექტორი: ალექსანდრე გედევანიძე.

1956 წელი

„კლასომპლექტების შეკვეცის გამო სამსახურიდან განთავსუფლდეს III კლასის მასწავლებელი ლუბა ივგისის ასული კვერდელიძე“ ბრძანება №290. 13/V 56 წელი.

განათლების განყოფილების გამგე: რ. ბერიძე

1957 წელში დირექტორი კვლავ გედევანიძეა.

13 ივნისი: აღნიშნულია პირველი მაისის 7-წლიანი სკოლა ანუ შვიდი კლასი. გაურკვეველია მანამდე 8-წლიანად იწოდებოდა.

მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით:

| I | II | III | IV | V | VI | VII |
|----|----|-----|----|----|----|-----|
| 11 | 20 | 9 | 16 | 13 | 8 | 33 |

სულ 110 ბავშვი.

p-5 აღწ. I. საქმე 725.

მასნუვლებლები ჩოხლების საოცის ღუჟეს- ბილან 1950-იან წლებამდე მოლვანეობენ სალორეტის (პირველი მაისის) საოცაში.

ბენია გიორგაძე
 გიორგი ბრეგვაძე
 ნინა ბზეპალავა
 ნინა ბოკერია
 გერასიმე ბეჭიტაშვილი
 ტატიანა ბაქანიძე
 პანტელეიმონ ბალათურია
 მიხეილ გოგიჩაიშვილი
 მიხეილ გიგინეიშვილი
 თინა გოგუაძე
 შურა გეგეშიძე
 ლიდა გოგიშვილი
 ალექსანდრა გიორგაძე
 ციალა გოგაძე
 გიორგი დამენია
 კატუშა დარჩია
 ბ. დოლიძე
 ვენერა გობრონიძე
 ზინა დრობიშვილა
 გიორგი დანელია
 მერი დუმბაძე
 მიხეილ დარახველიძე
 ალექსანდრე დარსაველიძე
 თამარ ებრალიძე
 გუგული ვაშალომიძე
 კატუშა ზენაიშვილი
 თამარ თოდეა
 სიმონ თოხაძე

ნინა თოდრია
 ნათელა თედორაძე
 კატუშა კოტრიკაძე
 თამარ კვირკველია
 ია კანდელაკი
 ვენერა კილასონია
 კურდდელაძე
 ნინა კეშელავა
 ხასან კახიძე
 მიხეილ კაცაძე
 მერი კალანდაძე
 ლიზა კალანდარიშვილი
 მერი კალანდარიშვილი
 გალერიან კუტუბიძე
 კონდრატე მილორავა
 აკაკი მურგანიძე
 დარიკო მურგანიძე
 ბიძინა მაღლაკელიძე
 ლომნა მიქანაძე
 დავით მელიგა
 ჯულიეტა ნინუა
 ლოლა ორაგველიძე
 ექნია ოდილავაძე
 ელენე რეჩიცკი
 ქუქუნა სადრაძე
 ვალიდა სიხარულიძე
 ბროლა სიამაშვილი
 თამარ სარიშვილი
 ილარიონ ურატაძე
 ლენა ფხაკაძე
 ნატაშა ფირცხალაიშვილი
 ვერა ფანცულაია

ზინა ქუთათელაძე
 ილია ქათამაძე
 გოგუცა დვინეფაძე
 ტარასი შენგელია
 ვენია (თუ ვენია) შენგელია
 გენრიეტა შეშელიძე
 შუშანა შეშელია
 მირიან ბერიძე
 მამია ცქვიტიშვილი
 გოგა ცქვიტიშვილი
 ლიუბა ცინცაძე
 ქსენია ცეცხლაძე
 ვენერა ცეცხლაძე
 ნიკოლოზ წეროძე
 ნადია წეროძე
 აკაკი წიგწივაძე
 ტატიანა ჭედია
 ქეთო ჭელიძე
 ახმედ ხავლოშვილი
 ხურმიზ ხაბაზოლლი
 ზინა ხაბაზოლლი
 ილია ჯავახია
 ვენერა ჯიმშელეიშვილი
 ალექსანდრე ხოშტარია
 მეტედ დიასამიძე

შენიშვნა: სიმონ თოხაძის მასწავლებლად გამოჩენას ვაკავ-
 შირებ „აწყესის“ მშენებლობის ღროს სამუშაოთა მწარმოებელ (შემდგე
 აწყესის უფროსი) გრიგოლ ქორიძის ყოფნას მშენებლობაზე. მისი
 მეუღლე სუსანა გვარად თოხაძე იყო. იქნებ მისი მმა იყო ბატონი
 სიმონი, ან ნათესავი. ეს ჯერჯერობით ვარაუდის დონეზეა. იქნებ
 ოდესმე სინამდვილე დადგინდეს.

იმდენად საინტერესოა არქივში მოპოვებული მასალები, აქამ-

დეც და ამის შემდეგაც სწორედ ამ მასალებს ვეყრდნობი რომ წიგნი ზერელი არ გამოვიდეს. ზოგ მკითხველს იქნებ მოსაწყენად ეწვენოს წიგნის „მშრალი“ ფაქტები, მაგრამ წიგნები ხომ თავშესაქცევად არ იწერება – ისინი ისტორიული სინამდვილის გამოცოცხლებლებია და თავადაც ისტორიულად რჩებიან, ამდენად ზედმეტი არაფერია, თუნდაც წინამდებარე ნაშრომში, მაუხედავად იმისა ხარვეზად რჩება მაინც ფაქტების, დოკუმენტების სიმწირე. მომავალში აღმასრულდება შეიცვლება მასალებით და იქნებ უფრო მიმზიდვებით გახდეს საკითხავი.

პირველი მაისის სკოლა 1950-1970 წლებში.

1952 წელს სკოლის ბალანსზე ირიცხებოდა ნაკვეთი მეცადინებისთვის 600 კვამეტრი ფართობით და ბოსტანი 500 კვ. მეტრის ფართით. იმავე დროს დაწვრილებით აღწერილია სასკოლო ინვენტარი: მერხები, დაფები, მაგიდები, სკამები, სავარძლები, მოძრავი ანბენები, წერა-კითხვის ტაბულები. მსოფლიოს მცენარეულისა და კლიმატის რეკები, ორთოგრაფიული ტაბულები, გეომეტრიული ფიგურების კომპლექტები, სურათები ცხოველთა სამყაროს შესახებ, სხვადასხვა რეკები, ბურთები, მენზურები, სპირტნათურა და სხვა.

ბიბლიოთეკების წიგნების რაოდენობა = 298 ცალი

დორექტორი ალექსი გედვეანიძე.

(ფონდი-67, აღწერა 1. არქივი-7).

„სოგიერო სკოლაში ნაკლოვანებებია გამოცდების ჩატარების მხერივ. არ იყო დამატებითი ბილეთები გამოცდებისათვის. მასწავლებელთა მიერ არ ტარდებოდა კონსულტაციები, არ იყო წარმოდგენილი საგნების ხეთბალიანი ციფრობრივი სრულყოფილი სისტემა, არასწორად იყო შედგენილი საგამოცდო ბილეთები. პედსაბჭოზე არ განუხილავთ გამოცდებზე მოსწავლეთა დაშვების საკითხი და არ დაუსახავთ ღონისძიებები.

სკოლის ინსპექტორებს (კ. ჩუბინიძეს, ნ. გეგელიას და ყ. დავითაძეს) მიეცათ დირექტივა, სკოლებში გამოცდების მიმდინარეობის შესახებ დააწესონ კონტროლი და უზრუნველყონ მათი წესიერად

შესრულება.

განათლების განყოფილების გამგე: მ. ნაკაშიძე.

აქ მოტანილ მოხსენებაში არაა მოხსენებული პირები მაისის 8 წლიანი სკოლა, ფაქტია, რომ ყველაფერი ნორმალურად იყო.

სკოლებში რემონტის ჩატარებას 27/VI-დან 28/VI-ს ჩათვლით ხელმძღვანელობდა განათლების ინსპექტორი ყედირ დავითაძე.

1948 წლის 5 თებერვლის სკოლების შემოწმების ანგარიში ბრძანება №37.

მითითება:

„ქართული ენისა და ლიტერატურის მასშავლებლებმა ენის სწავლებაში მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობას, პრაქტიკული საგარჯიშოების შესრულებას და გრამატიკის საკითხების დაკავშირებას ლიტერატურის მასალასთან.

გულდასმით შეარჩიონ და მოამზადონ ყოველი წერითი საგარჯიშოები, დაიცვან საგარჯიშოთა ჩატარების ნორმები და მრავალ-სახეობა სრული პასუხისმგებლობით მოეპყრან საგარჯიშოთა გასწორებას, აღკვეთონ შეცდომების გასწორება ტექსტში ჩაწერით. მისცენ მოსწავლეებს დამწერლობის კალიგრაფიულად სწორი ნიმუში.

მათემატიკის სწავლების გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად ემზადონ გაკვეთილისათვის, წინასწარ ახსნან ამოცანები და მაგალითები, მისცენ დავალებები და გააძლიერონ მის შესრულებაზე კონტროლი.

ყურადღებით მოეპყრან ზეპირი ანგარიშის ჩვევების დანერგვას მოსწავლეებში, 5-8 წელი დაუთმონ ზეპირ ანგარიშს, გააძლიერონ ვარჯიში ამოცანების ამოხსნაზე. ყოველდღიური მეთვალყურეობით მიაღწიონ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას და მოსწავლეთა კულტურული ყოფის, ჩვევების გამომუშავებას. (სუფთად ჩაცმა-დახურვა, ხელ-პირის სისუფთავე, თმების გაკრეჭა, გოგონები-სთვის ბანტის გაკეთება და სხვა).

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს გამოსაშვებ

კლასებთან მუშაობას, გარდაქმნას ცალკეული საგნების სწავლების ხარისხი, დასახონ ღონისძიებები მუშაობის გაუმჯობესებისათვის, დაესწრონ და დაასწრონ მასწავლებლები ღია გაკვეთილებზე და სისტემატიური კავშირი იქონიონ რაიონის პედ-კაბინეტებთან.

დაევალოს განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორებს, მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიონ სკოლებს სასწავლო სააღმზრდელო მუშაობის საქმეში აღნიშნული მითითებების შესრულების შემოწმებას."

განათლების განყოფილების გამგე: მ. ნაკაშიძე.

1948 წლის 15 მაისის №71-ის ანალიზ-დასკვნაში მოცემულია კლასიდან-კლასში გადასაყვანი გამოცდების ჩატარების ცხრილი:

| სკოლების დასახელება | დისციპლინა | კომის იის თავმ ჯდომ არე | ვინ იბარებს გამოცდებს | ასისტენტები |
|--|--|-------------------------------------|--------------------------|---------------------|
| პირველი მაისის, დერე- ხოსნის, ზედა აგარის, ქვედა აგარის 8- წლიანი სკოლები | ქართული ენა და ლიტერატურა | გამოცდილი | აკაკი შუბლაძე | თ. ოკუჯავა |
| | რუსული ენა | | აბდულ დიასმიძე | ჯაფახია |
| | ალგებრა | | თირქია | ბროლა სიამაშვილი |
| | სსრკ. ონსტი- ტუცია | | ფიქრი დევაძე | აბდულ დიასმიძე |
| | გეოგრაფია | | გ. ჯიბლაძე | ბროლა სიამაშვილი |
| | ფიზიკა | | თირქია | „---“ „-----“ |
| | ადამიანის ანატომია და ფიზიოლოგია | | ბროლა სიამაშვილი | გ. ჯიბლაძე |
| | გერმანული ენა | | ნ. გოგუაძე | ჯ. ნინუა |

(ფონდი 23. ანაწერი-2. არქივი-55)

ბრძანება №171, 1948 წელი 24 ოქტომბერი: (შემოკლებით). „შემოწებით დადგინდა, რომ ზოგიერთი სკოლის გამგე დირექტორებმა მასწავლებლებმა სათანადო პასუხისმგებლობით მოკიდეს ხელი საყოველთაო – საგალდებულო სწავლების კანონის განხორციელე-

ბას და სკოლის ასაკის ბავშვთა და მოზარდთა სწავლებაში ჩაბმის საქმეში მიაღწიეს გარემოებრივი წარმატებებს, მაგრამ ზოგიერთ სკოლებში ადგილი აქვს მოსწავლეთა აღრიცხვიანობის მოუწესრიგებლობას, მოსწავლეთა განთესვას, თითქოსდა ეგრეთწოდებულ „აკადემიურ შეებულებაში“ ყოფნას, ადგილი აქვს დოკუმენტების მოუწესრიგებლობას, არ არკვევენ სკოლიდან მოსწავლეთა წასვლის მიზეზებს, არ ატარებენ ახსნა-განმარტებით საუბრებს სწავლების საყოველთაო სავალდებულობაზე.

დაევალოთ ყველა სკოლის გამგეებს, დირექტორებს, სასწავლო ნაწილის გამგეებს, ყოველგვარი ნაკლოვანების შემჭიდროვებულ გადებში აღმოფხვრა და საჭირო დოკუმენტების დროულად წარმოდგენა. უნდა შესრულდეს საქართველოს სსრ განათლების სახალხო



კომისართა საბჭოს 1943 წლის 28 დეკემბრის №1756 ბრძანებულება „სასკოლო ასაკის 7-17 წლამდე ბავშვთა და მოზარდთა“ აღრიცხვის ორგანიზაცია და საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის შესრულების კონტროლის წესების დაცვა.

1949 წელი 30 მარტი. ბრძანება №30. (შემოკლებით).

„ქედის რაიონის ყველა დაწყებით რგაწლიან და საშუალო სკოლაში დაწესებულ იქნეს მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციებისა და წრეების მუშაობის შემაჯამებელი კრებები, საგნობრივ, ტექნიკურ, მხატვრულ და სასპორტო წრეებში თვეში ორჯერ ორი აკადემიური საათის ხანგრძლივობით, ხოლო საკლასო კრებები ორ კიორაში ერთხელ 30 წუთიდან 1-საათამდე ხანგრძლივობით, მეოთხეური კი საათნახევარი ხანგრძლივობით.

პიონერთა შეკრებები და ალკა კრებები ჩატარდეს ალკა ცენტრალური კომიტეტის სათანადო მითითებათა შესაბამისად. მასთან ბრივი ღონისძიებები (მხატვრული საღამოები, კრებები, წრეების მუშაობა) უნდა მთავრდებოდეს არა უგვიანეს 9-საათისა.

ყოველ მოსწავლეს დაეკისროს მხელოდ ერთი საზოგადოებრივი დავალება და თუ ყველა საგანში ასწრებს, მიეცეს უფლება იმუშაოს თვით სკოლაში ან სკოლის გარეთ საბავშვო დაწესებულებაში ერთ ან ორ წრეში, რომელთაგან ერთი უნდა იყოს საგნობრივი ან ტექნიკური, მეორე კი მხატვრული ან სასპორტო.

არ შეიძლება საზოგადოებრივ საქმეში მოსწავლეთა ჩაბმა მეცადინეობისგან მოწყვეტით, რის გამოც მკაცრად დაისჯებიან ორგანიზაციონები. ასეთმა ქმედებებმა არ უნდა შეაფერხოს მოსწავლეთა სწორი აღზრდის საერთო ღონის გაუმჯობესება, პირიქით ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა ნიჭისა და ინტერესის გაღრმავებას, კომუნისტური საზოგადოების ყოველმხვრივ განვითარებულ და აქტიურ მშენებლთა აღზრდას მიაღწიონ მოსწავლეთა ჩაბმას ტექნიკურ საშუალებათა დამზადების საქმეში, მოაწყონ კონკურსი მოსწავლეთა შორის საუკეთესოთა გამოსავლენად.. მასიურად ჩააბან ნორჩი ტექნიკოსები ამ მუშაობაში."

პირველი მაისის 8-წლიანი სკოლა, როგორც ზეპირი, ისე დოკუმენტებით, ყოველთვის მოწინავეთა რიგში მოიხსენიებოდა, ეს კი სკოლის ხელმძღვანელობის მაღალ აქტიურობაზე მიუთითებს, რაც სინამდვილეში ისე იყო, როგორც საარქივო მონაცემებშია აღნიშნული. სკოლები ზემდგომი ორგანოებიდან მხოლოდ მითითებებს დებულობდნენ, მათი განხორციელება კი სკოლის პედაგოგიური

კოლექტივის გადასაწყვეტი და შესახრულებელი იყო.

№115-ე ბრძანებულება. 31 აგვისტო, 1949 წელი.

დაევალოთ სკოლის დირექტორებს:

„სკოლასთან შექმნას ფეხბურთელთა ორი გუნდი და სექციები ტანმოვარჯიშებისა და მძღვოსნების მოსამზადებლად. მოამზადონ ისინი სარაიონო და რესპუბლიკური შეჯიბრებისათვის. 5 სექტემბრამდე გამოჰყონ მოვარჯიშეთათვის საგარჯიშო ოთახები და შემოზიდონ საჭირო ინგენტრო. ჩაატარონ შიდა სასკოლო შეჯიბრებები, დააყენონ საკითხი და დასახონ ამოცანები მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.. დაწესდეს მტკიცე კონტროლი მათ განუხრელად შესრულებისათვის.“

ავლავ და ავლავ სკოლისა და სკოლის ხელმძღვანელობის აქტიურ და ნაყოფიერ მუშაობაზე გამახვილებული ყურადღება. დადგენილება დადგენილებაზე მოუდიოდათ სკოლის ხელმძღვანელებს, რათა არ მოდუნებულიყო პედკოლებებივის ყურადღება მოსწავლეების მიმართ და ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე ყოფილიყო მთლიანი სკოლა.

1950 წლის 28 იანვრის №7 ბრძანებულება:

„გადაჭრით უნდა გაუმჯობესდეს, სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობა, რისთვისაც უნდა შემოწმდეს საგნების სწავლების მიმდინარეობა, გაისინჯოს წერითი ნამუშევრების ნორმებისა და სახეების დაცვა სათანადო საგნებში. პედსაბჭოს სხდომებზე მასწავლებლებს მიეთითოთ კონკრეტული ღონისძიებანი. გაუმჯობესდეს მოსწავლეთა პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობა, მტკიცედ დაინერგოს მოსწავლეთა შორის ქცევის წესები, ჩაუტარდეს საუბრები და პოლიტიკურმაციები. საგნების სწავლებაში საფუძვლად დაედოს თვალსაჩინოება და ექსპერიმენტები, მაქსიმალურად გამოიყენონ ისინი საჩვენებლად. სათანადო სიმაღლეზე დააყენონ მშობელთა შორის მუშაობა, დაეხმარონ და უხელმძღვანელონ მშობელთა კომიტეტების მუშაობას. გადაჭრით გააუმჯობესონ საგნების სწავლება, რისთვისაც უნდა გაძლიერდეს მუშაობა პედაგოგიური მეთოდური ოსტატობის დაუფლებისათვის, სისტემატურად უნდა ემზადონ გაკვეთილების

მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

შურადღება მიექცეს მოსწავლეობა და კლება-დაგვიანებას. თავიდან აიცილონ მოსწავლის უწიგნოდ და უპასუხისმგებლოდ გამოცხადება, დაძლიონ აკადემიური ჩამორჩენილობა. წესრიგში მოყვანონ სასკოლო დღიურების შევსების საქმე. აღრიცხო სკოლის ოქივი. კონტროლი დაუწესდეს სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო საგნების მოვლა-პატრონობის საქმეს."

განათლების განყოფილების გამგე: ა. ჩხეიძე.

(ფონდი 23, აღწერა 2, არქივი 64).

როგორც დღვეუბნელი თვალსაწიერიდან ჩანს, ყველა წლების მიხედვით ნამდვილად სწორი მითითებები იყო დაგზავნილი სახელმძღვანელოდ. ჩემი თაობა ამ მითითებებისა და დირექტორების საფუძველზე აღიზარდა. ორმოცდათიან წლებამდე შედგენილი პროგრამა დიდხანს, ათეულწლობით უძლებდა დროის გამოცდას, ეს კი მეტყველებს განათლების დარგის მუშაობა მაღალპროფესიულობაზე, მათ განსწავლულობაზე, უნარზე და მისწარაფებებზე – აღეზარდათ ჯანსაღი თაობა, რომლებიც მიზანმიმართულია ივლიდნენ მწყობრი ნაბიჯებით ცხოვრებასთან მიმართებაში. დრომ ნამდვილად დაამტკიცა მიცემული გეზის სისწორე, თუმცა არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ თანდათანობით დროც იცვლის იერსახეს...

1957-1958 წლისათვის კვლავ იდგა დღის წესრიგში სკოლებისა თუ სასწავლო კლასების გაფართოების საკითხი. ამ მიმართებით რაიონის მასშტაბით წარმატებულია მიმდინარეობდა მშენებლობები.

სოფელ პირველ მაისში 8- წლიანი სკოლა საშუალო სკოლად 1957 წელს გადაკეთდა და ამავე წელს მიემატა ხუთი თოახი. სოფლის თავმჯდომარესთან, ქაზიმ შერვაშიძესთან შეთანხმებულად მოქმედებდა სკოლის დირექტორი ალექსი გედვანიძე, რომელიც დაგეგმილი დირექტორების საფუძველზე ყოველგვარ სამუშაოს მაღალხარისხიანად და დროულად ასრულებდა.

1957-1958 სასწავლო წელი პირველი მაისის სკოლამ მაღალი მაჩვენებლებით დაამთავრა. განსაკუთრებით აღნიშნული იყო ბუნებისმეტყველება – ბოტანიკის მასწავლებელ თამარ ჩაგანავას კარგი

მუშაობა. სკოლის საცდელი ნაკვეთიც სანიმუშოდ გამოიყერებოდა.

წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გარდაიქმნა მოსწავლეთა შორის კულტურული ჩვევების დანერგვისა და შეგნებული დისციპლინის განმტკიცების საქმე. განმტკიცდა აღზრდის რეჟიმი, დაინერგა კულტურული ჩვევები და განმტკიცდა დისციპლინა. მასწავლებლების, კლასის ხელმძღვანელებლებისა და გამგე დირექტორების მიერ სასკოლო ცხოვრებაში გატარებული იქნა მთელი რიგი დონისძიებები. (პ-5, აღწერა I, საქმე - 712).



მოსწავლეთა ჯგუფი 1955 წელი

ალექსი გედევანიძის შემდეგ სკოლების გაფართოების საკითხებს ხელმძღვანელობდა ახალი დირექტორი რევაზ (რეჯებ) ფარსენაძე.

1958-1959 სასწავლო წელი წარმატებით დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლამ, რომლის დირექტორი იყო უკვე რევაზ ფარსენაძე კვლავ კარგად ხასიათდება საცდელი ნაკვეთის გამოყენება.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 6 ივნისის №373 დადგენილების შესასრულებლად – ახალგაზრდობის პრაქტიკული

საქმიანობის მომზადებისა და ცხოვრებასთან სკოლის დაახლოების, მოსწავლეთათვის წარმატების საფუძვლების გაცნობისა და შრომითი ჩვევების გამომუშავების მიზნით VIII-IX კლასებში შემოღებულ იქნა ერთოვანი საწარმოო პრაქტიკა. ამ მხრივ წინგადადგმული



მასწავლებელთა ჯგუფი 1976 წელი

ნაბიჯი იყო ეს ახალი ფორმა. მშრომელთა კეთილდღეობაში სკოლის მოსწავლეთა წვლილიც იდო, რომელმაც ბიძგი მისცა მშრომელთა უნარ-ჩვევების მზკიცედ დანერგვას მოსწავლე-ახალგაზრდებში. ისინი ხომ მომავლის, ახალი ცხოვრების მჯედღები იყვნენ.

უპირველეს ამოცანად იქცა მასწავლებელთა ადგილობრივი კადრების მომზადება. აჭარის მთავრობა ხელმძღვანელობდა საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მაგრამ სიტუაცია იქმნებოდა ისეთი, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას სხვა მეთოდებითაც უნდა ემოქმედა. საქმე ეხებოდა კონკურსგარეთ დარჩენილ ძლიერ მოსწავლეთა უმაღლესი ცოდნით აღჭურვას, ვინაიდან დაკარგული დრო მომავალი წლებისთვის საზიანო აღმოჩნდებოდა, ამიტომ აჭარის მთავრობა შეამდგომლობით შედიოდა საქართველოს მთავრობასთან,

რათა კონკურსგარეთ დარჩენილი დიდქულიანი აბიტურიენტები ბათუმის პედინსტიტუტში ჩაერიცხათ გეგმის ზევით. გამორჩეული ყურადღება კი უნდა მიქცეოდა აჭარელ გოგონათა ჩარიცხვას.

მთავრობამ შეამდგომლობა დაამტკიცა და ინსტიტუტის რექტორის – ვლადიმერ ქემხაძის 1956 წლის 28 აგვისტოს №145 ბრძანებით, რომელიც საქართველოს კპ. აჭარის საოლქო კომიტეტის 1956 წლის 28 აგვისტოს №40/10 დადგენილების შესაბამისი იყო, კონტინგენტის ზევით აჭარის მთიანი მოსახლეობის ქალი-აბიტურიენტები უყოფმანოდ ჩარიცხეს. ჩარიცხეულთაგან პირველმაისევლი გოგონაც იყო – მერი მექმედის ასული სამნიძე, რომელიც უცხო ქანთა ფაქულტეტზე მოხვდა. ასეთი ჩარიცხვები, შემდგვა ათწლეულებში, თუმცა მცირედ, მაგრამ მაინც ხდებოდა ქალ-პედაგოგთა მოსამზადებლად. შესაბამისად წარმოიშვა საკითხი სკოლების საშუალოდ გადაკეთებისა, რაც უკვე დროის შესაბამისობაში ექცეოდა, ვინაიდან იმატა სწავლის წყურვილმა და ხალისმა. იმატა კონტინგენტმაც. განათლების სისტემა უკვე ვალარ ეტეოდა ვიწრო ჩარჩოებში, საჭირო იყო მუშაობის ახლებურ სტილზე გარდაქმნა. მართალია, ჯერ კიდევ სამნელო საქმეს წარმოადგენდა სკოლების ქსელის გაფართოება, მაგრამ ამ საშვილიშვილო საქმეში მთავრობა მართლაც იჩენდა გულისხმიერებას, რამაც შედეგად აჭარის მოსახლეობას ათეულობით საშუალო სკოლის მშენებლობა აღირსა.

1959-1960 სასწავლო წლისთვის სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლას მოვალინებ ადგილობრივი კადრები, თუმცა მცირე, მაგრამ მაინც საამაყო. თავს ვალდებულად ვთვლი, ადგილობრივი პირველი მასწავლებლის – ავთანდილ (აბდულ) დიასამიძის გვერდით დავაყენო შემდეგი პლეადა, რომელთაც მცხოვრებლებისთვის მშობლიური ერქვა:

აბდულ დიასამიძე
ნათელა სამნიძე
ნათელა შავლიძე
ლევან შავლიძე
ამირან შავლიძე
ზურაბ თებიძე

შალვა თებიძე
მერი სამნიძე
ლევან ქადიძე
ნათელა ჩავლეიშვილი.

1965 წლის შემდეგ ადგილობრივმა კადრებმა საგრძნობლად იმატა. მათ წიგნის მეორე ნაწილში დაეთმობათ ადგილი.

მართალია ადგილობრივი კადრებით შეიგსო სოფელი, მაგრამ უკვე საშუალოდ ქცეულ სკოლას მასწავლებლებიც შესაბამისი რაოდენობით სჭირდებოდა. კვლავ მოდიოდა თაობა გეგმიური განაწილებით, გადაჯგუფებით. ეს მეთოდი ნამდვილად მისადები იყო და იქნება ყოველთვის, გრიადან ხდებოდა მასწავლებელთა დაახლოება, უბრალოდ – ნაცნობ პედაგოგთა ფართო წრე იკვრებოდა.

დიახ, ნამდვილად საჭირო იყო და იქნება ეს მეთოდი!..

1960 წლის 12 იანვრიდან, ბრძანება №2-ის შესაბამისად პირველი მაისის საშუალო სკოლაში ფიზკულტურისა და სამხედრო საგნის მასწავლებლად დაინიშნა ზურაბ აბდულის ძე თებიძე. I-ნოემბრიდან ფიზ-აღზრდის მასწავლებლად დაინიშნა ლევან შავლიძეც. 20 აგვისტოდან პირველი მაისის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად არჩილ (რამიზ) ხასანის ძე ბეჟანიძე ინიშნება.

25 ნოემბრიდან ვაჟა სამუელის ძე ბოჭორიშვილი გადაიყვანეს ქედის განათლების განყოფილების პედ-კაბინეტის მეთოდისტად.

10 დეკემბრის №68 დადგენილებით პირველი მაისის საშუალო სკოლაში ფიზ-აღზრდის მასწავლებლად შეთავსებით ინიშნება აგარის 7-წლიანი სკოლის მასწავლებელი, უმაღლესი განათლებით, როსტომ აბდულის ძე ნაგერვაძე.

(ფონდი 23, ანაწერი-2, არქივი 216).

1959-1960 სასწავლო წლის მოსწავლეთა რაოდენობა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | სულ |
|----|----|-----|----|----|----|-----|------|----|----|-----|
| 17 | 13 | 13 | 10 | 17 | 7 | 9 | 14 | 11 | 17 | 128 |

დირექტორი: რ. ფარსენაძე. (პ-770, აღწერა-1, საქმე -168)

უნაკლო არაფერი არსებობს. ყველაფერი რომ კარგად წარმოვაჩინოთ, მასწავლებლები რომ ვაქოთ და ვადიდოთ, მაშინ პირველი მაისის სკოლასა და მასწავლებლებზე ძეგლის დადგმას მოითხოვენ. საქმე ნამდვილად ასეც არ იყო. ნაკლი და ხარვეზი ცხოვრებაში ყოველთვის არსებობს, ადამიანები ვართ და არა კომპიუტერები. მიუხედავად ჩვენგან „გერმემნეული“ მიზეზებისა, ჩვენ, პედაგოგებს ვაღმერთებდით, პომპეზურობას მაინც მოვერიდები.

განათლების განყოფილება ხშირად ატარებდა შემოწმებების. ბევრჯერ შემხვედრია უარყოფითი დახსასიათებები... დიახ, მასწავლებლებს რომელთაც მართლა ვაღმერთებდით, რადაც ხარვეზები მაინც ქონიათ სწავლებაში.

1961 წლის შემოწმების მასალებში ჩვენი სკოლის რამდენიმე პედაგოგიც მოხვდა. მოზომილად საყვედურობენ ფიზ-ადზრდის სწავლებაში – ლევან შავლიძეს, რუსულ ენაში – ანა სერებრიაკოვას, ქიმია-ბიოლოგიაში – ციური ლომთათიძეს, დაწყებითში – ანიკო გასვიანს. კარგი შედეგებით ხასიათდება ისტორიის მასწავლებელი – არჩილ ბერიძე.

(p-770, აღწერა 1, საქმე - 193).

1962-1963 სასწავლო წლის მოსწავლეობა რაოდენობა:

| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | სულ |
|----|----|-----|----|----|----|-----|------|----|---|-----|
| 21 | 8 | 11 | 14 | 12 | 12 | 11 | 11 | 14 | 8 | 122 |

დირექტორი: რ. ფარსენაძე

(p-770, აღწერა 1, საქმე - 227).

1963 წელს, 27-28 აპრილს ჩატარდა ქედის რაიონში სკოლების მოსწავლეთა XV რაიონული სპარტაკიადა. კარგი შედეგები აჩვენა პირველი მაისის საშუალო სკოლის გუნდებმა – სროლაში, ფრენ-ბურთსა და კალათბურთში.

1963 წლის XV საოლქო სპარტაკიადაზე ქ. ბათუმში 11-15 მაისს მონაწილეობდნენ ფიზ-ადზრდის მასწავლებელ ლევან შავლიძის ხე-

დღმდგანელობით მცირეკალიბრიანი შაშხანით (გეკო) სროლაში: ნიაზ თებიძე, სერგო სამნიძე, ოთარ და ნუგზარ სამნიძეები, გურამ შავლიძე.

დირექტორი: რ. ფარსენაძე.

(p-770, აღწერა 1, საქმე - 253).

1963-1964 სასწავლო წლის მოსწავლეოთა რაოდენობა:

| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | სულ |
|----|----|-----|----|----|----|-----|------|----|----|----|-----|
| 11 | 21 | 10 | 13 | 16 | 9 | 13 | 10 | 10 | 13 | 9 | 135 |

დირექტორი: რ. ფარსენაძე. ფორმა №2, აკადემიური მოსწრება 87,4%

1963-1964 წლებში პირველი მაისის საშუალო სკოლაში სამი კლასებიმპლუქტია:

| I-კლასების კომპლექტი I-IV კლასები | II კლასების კომპლექტი V-VIII კლასები | III კლასების კომპლექტი IX-XI კლასები |
|--------------------------------------|---|---|
| 49 მოსწავლე | 48 მოსწავლე | 33 მოსწავლე |

| I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | სულ |
|---|----|-----|----|----|----|-----|------|----|----|----|-----|
| 9 | 21 | 8 | 11 | 14 | 11 | 12 | 11 | 10 | 15 | 8 | 130 |

(p-770, აღწერა 1, საქმე - 245).

1964 წლის 20 აგვისტოს №127 ბრძანებით პირველი მაისის საშუალო სკოლაში სამოქალაქო თავდაცვის მასწავლებლად ინიშნება ამირან ხაჯის ძე შავლიძე.

განათლების განყოფილების მოვალეობის შემსრულებელი: ალ. ქაჯაია.

დირექტორმა რევაზ ფარსენაძემ წინამორბედ დირექტორ ალექსი გედევანიძესგან ფაქტიურად ძლიერი სკოლა ჩაიბარა. მომთხოვნი იყო პატივცემული ალექსი, გულისხმიერი, მართლაცდა პედაგოგად დაბადებული, ამიტომაც მოწინავეთა რიგში იდგა ყოველთვის პირველი მაისის სკოლა.

ახალმა დირექტორმაც მიუმატა სკოლას რამდენიმე ოთახი ზემდგომთა დახმარებით. ლამაზი, ნათელი ოთახები ამშვენებდა სკოლის შენობას. გარდა ხოხნისა და აგარისა, ბათუმიდან და ხელვაჩაურიდანაც ამოდიოდნენ მოსწავლეები პირველი მაისის სკო-

ლაში საშუალოს დასამთავრებლად. ძლიერი სკოლის სახელი მოზარდებს დიდხანს უკვალავდა გზას ცხოვრების შუაგულისაკენ.

1957 წლიდან შემოღებულ იქნა ახალი სასწავლო პროგრამა.

1958 წლიდან მთლიანი კავშირის მასშტაბით, მთავრობის მიერ მიღებული კანონით სკოლები გადავიდა ოერთმეტწლიან სწავლებაზე შრომითი საწარმოო სწავლებით.



1963 წლისათვის აჭარაში 80-ზე მეტი სკოლა საწარმოო სწავლებიანი გახდა. საწარმოო სწავლებაში შედიოდა პროფესიული დარგები – ზეინკლობა, დურგლობა, მკერაობა, მეციტრუსებ, მეჩაიე, სოფლის მეურნეობის მექანიზატორი და სხვა. ყოველივე კი ძალიან პრიმიტიული ჩანდა. საჭირო ღონებზე ვერ ხერხდებოდა პროფესიის დაუფლება, (იყო გამონაკლისებიც) რითაც ვერაფერი ემატებოდა მოსწავლეთა ცოდნას მეცნიერების სამყაროში. ფაქტიურად სკოლა მოწყდა მეცნიერულ საწყისებს.

1965 წლის შემდეგ სწავლების სხვა ფორმა მოიძებნა, მაგრამ მთელმა 7 წლიანმა (1958-1965 წ.წ.) პერიოდმა საგრძნობლად შეუშალა ხელი მეცნიერების განვითარებას. ამავე წლიდან გაუმდა საწარმოო სწავლებიანი 11 კლასი. სკოლები 10 კლასიან სწავლებაზე გადავიდა,

თუმცა ზოგან ისევ 11 წლიანად დარჩა.

მიუხედავად საწარმოო სწავლებაზე გადასცლის ნაბიჯის მცდარობისა, სკოლებში ვერც შემდეგში ავიდა სათანადო დონეზე სწავლების ხარისხი, რაც გამოიწვია მასწავლებელთა არმიაში შემთხვევით მოხვედრილი პედაგოგების ხევდორითმა წილმა. დომინირებდა მშობელთა აზრი – ჩემი შვილი ექიმი უნდა გამოვიდეს, ან ინჟინერი, ან მეზღვაური და ასე შემდეგ, რის გამოც არაფერს ზოგავდნენ მშობლები თავიანთი სურვილის განსახორციელებლად. მთავარი დიპლომი კი არაა, ადამიანი მოწოდებით უნდა იყოს იმ პროფესიის მსახური, რასაც ის ირჩევს (უფრო სწორედ – აურჩევენ). შემთხვევითი პროფესიის არჩევამ დიდი ზანი მაყენა განათლების სისტემას და მეცნიერებას.

1959-1960-იან წლებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მუშაობაში დაისახა ამოცანები „სკოლების ცხოვრებასთან კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ გამოცემული კანონის შესაბამისად.

მოსწავლე ახალგაზრდობა მთლიანად ჩაება მწარმოებლებურ და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, ფართოდ გაიშალა პროპაგანდა უმაღლესი განათლების წარმოებისგან მოუწყვეტლად მწარმოებლებური შრომის პარალელურად მიღების შესახებ. ამ მიმართებით საწარმოო სწავლებაზე 11 საშუალო სკოლის ოორმეტი IX კლასი გადავიდა. საწარმოო სწავლებიან სკოლებს უნდა გამოეშვათ: მეგვნახუმებოსტნე, მეჩაიფ-მეციტრულს, მეთამბაქოვ, რადიო-ელექტროტექნიკოსი, მანქანა-ტრაქტორთა მცოდნება და სხვა. ამ მხრივ ფართოპორფილიანი, ფართო მასშტაბიანი სწავლება მიმდინარეობდა სკოლაში, მაგრამ სპეციალისტებად ერთეულებით თუ ჩამოყალიბდნენ. ძირითად და კი სწავლება დამაკმაყოფილებელი შედეგით მთავრდებოდა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძვლების საგნების მასწავლებლთა გარკვეული ნაწილი კეთილსინდისიერად ემზადება გაკვეთილისათვის, წინასწარ შედგენილი კონსპექტებით გადასცემს მოსწავლებს ასახსნელ მასალას. მიუხედავად აქტიურობისა, სწავლების საერთო მაჩვენებელი არის დაბალი, თუმცა ამის გამო დაისახა ლონისძიებებიც.

მიუხედავად ნაკლოვანებებისა, გარევულწილად მაინც პროცენტულად აქმაყოფილებდა სწავლების ხარისხი გამოსაშვებ გამოცდებზე ან უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე. ამ მხრივ თუმცა არასახარბიელო სტატისტიკა გვაქვს, მაგრამ ინსტიტუტის მიერ გამოშვებული კადრები მაინც პასუხობს მოთხოვნილებებს.

აჭარის განათლების მინისტრი: დაგით თებიძე
(p-5, აღწერა I, საქმე - 781).

1959-1960-იან წლებში წამოიჭრა საკითხი, რომელიც მიზნად ისახავდა ერთ ცვლაზე სწავლების გადაყვანას, რაც სავსებით სამართლიანად დააყენეს ზუგდიდის რაიონის პარტიულმა, საბჭოთა და პროფესიულმა განათლების სისტემის მუშაკებმა. ამ მიმართებით ნაკისრი ვალდებულებები პირნათლად შეასრულეს საქართველოს განათლების სისტემის მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა და სკოლებმა.

23.01.60 წ. საქართველოს განათლების მინისტრი: გ.ნ. ჯიბლაძე.
(p-5, აღწერა I, საქმე 813).

მოსახლეობაში ხშირად გაიყლებდა ასეთი გამოთქმა – რამე არ კეთდება სწავლების ხარისხის ასამაღლებლად, ვეღარ ზრუნვები ისე, როგორც საჭიროა და სხვა ამგვარი. ყოველთვის იყო და იქნება აზრთა სხვადასხვაობა სკოლისადმი. მასწავლებლებისა და ასე ვთქვათ – მთავრობების შესაფასებლადაც კი. თუ როგორი ყურადღება ექცეოდა ყოველივეს ამას საარქივო დოკუმენტები დაღადგენ. ვნახოთ ეს მასალებიც და დავრწმუნდებით, რომ ყველაფერი ისე არ ყოფილა, როგორსაც ხალხი ვერ ხედავდა. უნდა გავითავისოთ ისიც რომ დაგევმვა არ არის სამნელო, მისი შესრულება კი ოფლისდევრას (ხშირად მსხვერპლსაც.) საჭიროებს. დადანაშაულებას და გამტყუნებას ყოველთვის ჰქონდა ნიადაგი. მიზანი კი იყო ერთი – ზრუნვა როგორმე უკეთესი ცხოვრების მოწყობისათვის, ახალგაზრდების მომზადებისათვის ნებისმიერ სფეროში დასასაქმებლად და რაც მთავარია მათ სწორ აღზრდას ექცეოდა უპირველესი ყურადღება.

მივვეთ დოკუმენტურ ცნობებს.

26 სექტემბრის №48 დადგენილებაში მითითებულია:

„მი მიზნით, რომ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებმა წარმატებით გადაჭრან მათ წინაშე მდგრმი ამოცანა – მოამზადონ ზოგადი განათლების მქონე კვალიფიკაციური მუშაკები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის. მიმდინარე სასწავლო წელს ამ სკოლების V-VI კლასებში შემოღებულია საგანი მოსწავლეთა კვალიფიკაციის (?) ამაღლებისათვის. ამავე დროს სკოლებს მიეცეთ მითითება, ამავე მიზნით გამოიყენონ კონსულტაციების საათები VII-X კლასებში, სადაც ამისი პირობები არსებობს.

სკოლებმა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით შეარჩიონ სპეციალობა მოსწავლეთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის."

საქ. სსრ. განათლების სამინისტროს მეთოდკაბინეტი: ლ. გოქსაძე.

25 მაისის № ო.კ. 76/506-15 დადგენილების ტექსტში კი პირდაპირ მითითებულია:

„IX-X კლასის მოსწავლეები, რომლებიც არდაღებების დროს დასაქმდებიან წარმოება-დაწესებულებებში და კოლმეურნეობებში, მათ მიერ გამომუშავებული და წარმოებული პროდუქციის მიხედვით აუნაზღაურდებათ გამომუშავებული თანხა. საწარმოო სწავლების პერიოდში უნდა აღირიცხონ ეს მოსწავლეები, ოდონდ ისინი არ შეიტანებიან წარმოებაში ან კოლმეურნეობაში მომუშავეთა რიცხობრივ სიაში."

საქ.სსრ. სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ი. ჩიაევი.

აქვე მოვიყვან ერთ ცნობას, რომელიც ეხება მასწავლებელთა დათხოვნას: „მასწავლებელთა დათხოვნა პირადი განცხადებისა თუ სხვა მიზეზების გამო ხდებოდა შრომის კანონთა კოდექსის 47-ე მუხლის შესაბამისად, თანახმად მშრომელთა დეპუტატების რაიონული ან საქალაქო საბჭოს აღმასკომის დადგენილებისა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში ადგილკომის თანხმობის გარეშე.“ იურისკონსულტი: გ. შონია. 1960 წ. 10 სექტემბერი. ბრძანება №1289.

3 ივლისი 1961 წელი. ქედის რაიონის განათლების განყოფილების ანგარიში:

„სახწავლო წლისთვის მზადება საწინდარია სწავლა-აღზრდის წარმატებით ჩატარებისათვის. ამ მიმართებით გასული სახწავლო წელი ამ რაიონში წარმატებული იყო. მცირედი ნაკლოვანებების მიუხედავად, მასწავლებელთა უმრავლესობა მოელი შედეგებითა და პასუხისმგებლობით კიდება ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის საქმეს. ისინი არ ზოგავენ ენერგიას ცხოვრებასთან სკოლის კაფშირის განმტკიცებისათვის. მათ ყოვლგვარ ხელშეწყობაზე ზრუნავს განათლების სამინისტრო, რაც სტიმულაციორია ცხოვრებისული გარემოებების სკოლასთან ბალანსისა. სკოლების ქსელში გაზრდილი მოთხოვნილებების შესაბამისი ახალი დირექტივები და მითითებები ჩნდება, რაც ცხოვრების წინსკლითაა გამოწვეული.

სკოლების პედსაბჭოს სხდომებზე დასახული იქნა გარკვეული ღონისძიებები სწავლების ხარისხისა და მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ამ მხრივ კარგი მაჩვენებელი აქვს პირველი მაისის საშუალო სკოლასაც, სადაც პრაქტიკული მიზანდასახულობით ასწავლიან ყველა საგანს, საფუძვლიანად ფლობენ საგანს და სწავლების მეთოდებს. სკოლაში წინა პლანზეა დაყენებული აღმზრდელობითი მუშაობაც, რაც რაიონის სკოლებს შორის გამოარჩევს მათ. რაიონის მასშტაბით გარკვეული წარმატებები აქვთ მეთოდური მუშაობის დარგში. რიგ სკოლებში აშკარად შეინიშნება ნაკლოვანებები, მაგრამ მეთოდური მუშაობით პირველი მაისის სკოლა მოწინავეთა რიგებში ირიცხება. (დირექტორი: რეჯებ ფარსენაძე). კარგადაა დაყენებული ღონისძიებების ოქმატიკა, მიმდინარეობს წრე-მეცადინეობები, ექსკურსიები ბუნებაში, წარმოებებში. მაღალ დონეზე დგას საწარმო სწავლების ხარისხი, მაგრამ შემაფრხებელი გარემოებები მაინც მოიძებნება, სკოლის ცხოვრებაში. მასწავლებლებს ბათუმიდან უხდებათ მგზავრობა, რის გამოც სკოლაში მათი გამოცხადება გვიანდება. ამ მიზეზს ახსნა მოუმებნა რ. ფარსენაძემ და სამეცადინო გრაფიკში გაპვეთილების გადანაცვლება მოახდინა.

პედაგოგები მშობლებთან და საზოგადოებასთან ერთად იბრძვიან რომ მოსწავლეებს გამოუმუშაონ ქუჩაში, საზოგადოებაში, სხვა

ხალხთან მიმართებაში ქცევის და კულტურული ურთიერთობის წესები. კლასის ხელმძღვანელის და ნებისმიერი პედაგოგის ვალია, მოსწავლეებს ჩაუნერგონ გონიერად ხალხთა შორის მეცნიერების, ჰუმანურობისა და სიყვარულის აუცილებლობა. ოჯახში, ახლობლებში, საზოგადოებაში ქცევის წესები.

პირველი მაისის საშუალო სკოლაში კარგად მუშაობს პიონერული ორგანიზაცია, კომპაგნირული კომიტეტი, მოსწავლეთა კომიტეტი, მშობელთა კომიტეტი. ოგაზლარულად ტარდება კომიტეტების სხდომები, ყურადღება ექცევა მიღებული დადგენილებების შესრულების შემოწმებას. კარგად ხასიათდება პედასაბჭოს მუშაობა." (ქედის განათლების განყოფილების გამგე: მიხეილ ნაკაშიძე).

(p-5. აღწერა I, საქმე - 819).

1961-1962 წლებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ერილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა ახალი, გრანდიოზული ამოცანები დააკეთა სკოლების წინაშე – საჭიროდ მიიჩნიეს სკოლების ცხოვრებასთან დაახლოება და საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასთან მიერთება. ამ მიმართებით „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების შემდგრამი განვითარების შესახებ“ – კანონის ცხოვრებაში გატარებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ქედის რაიონშიც. განმტკიცდა და გაფართოვდა სკოლების მატერიალური ბაზა, კარგად მოეწყო კაბინეტ-ლაბორატორიები, სპორტული მოედნები. პროგრამით გათვალისწინებული ცდა-დაკვირვებებისათვის გამოიყო საჭირო საცდელი ნაკვეთები. გაიშალა კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა, განმტკიცდა კავშირი სკოლებსა და ოჯახს შორის.

მიმდინარე წელში პირველი მაისის საშუალო სკოლას დაემატა 4 საკლასო ოთახი საჭირო ინვენტარით.

სკოლაში ამაღლდა სწავლების ხარისხი, გაუმჯობესდა დისციპლინა, კლასის ხელმძღვანელთა მუშაობა, ცალკეული საგნების გაძლიერებული სწავლება, რასაც ხელი შეუწყო ჩატარებულმა აღმზრდელობითი ხასიათის საუბრებმა და ლექციებმა.

ყურადღება გამახვილდა ზოგიერთი სკოლების ზოგ საგნებში

სწავლების დაბალ ხარისხზე, რამაც შედეგად მოგვცა ის, რომ ხოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლაში სიმწიფის ატესტატზე ჩასაბარებელ გამოცდებზე დაბალი ცოდნა გამოავლინეს მოსწავლებმა მათემატიკაში. (მასწავლებლები – ნოდარ შარაბიძე და ვაჟა ბოჭორიშვილი). ადინიშნა ფიზიკის სწავლებაში წარმატებული შედეგი (მასწავლებელი ლამარა ნებიერიძე). არადამაკაყაფილებლად შეფასდა ქიმიის სწავლება (მასწავლებელი – ნოდარ რუსეიშვილი), რამაც ასახვა პოვა სიმწიფის ატესტატის გამოცდაზე.

1961-1962 წლებში დიდი ყურადღება ექცევდა აგრეთვე ხოფლის მუშა-ახალგაზრდობის სკოლაში ჩაბმის საკითხეს. წინა პლანზე იდგა სოფლების ახალგაზრდების ჩაბმა სწავლების ქსელში. არცერთ არ უნდა დარჩენილიყო სკოლადაუმთავრებელი, ვინაიდან საერთო ცხოვრების დონეს არ შეესაბამებოდა გაუნათლებელი ადამიანის, თუნდაც ერთის დარჩენა.

აჭარის ასსრ განათლების მინისტრი: ვახტანგ წულუკიძე.

(ფონდი ქ-5. ანაწერი I, საქმე - 869).

შენიშვნა: მასწავლებელ ვაჟა ბოჭორიშვილს სწავლებაში უარყოფითად აფასებენ, მერე კი რაიონის განათლების განყოფილებაში მეორდებინები ში აწინაურებენ.

რაც შეეხება ნოდარ რუსეიშვილს. ეს მასწავლებელი ჩვენთვის იდეალი იყო, ნამდვილად პედაგოგად დაბადებული. რა შეკითხვა უნდა მიგვეცა, არ ეპასუხა, ამდენად მოუმზადებელი არასოდეს ყოფილა. ბევრჯერ ამოვიკითხე მის შესახებ უარყოფითი დასკვნები, რაც უმართებულოდ მიმაჩნია. ნაკლოვანებები თვით განათლების სისტემაშიც „უამრავი იყო, მაგრამ რატომდაც „ჯოხი ყოველთვის ერთხე ტყებათ“ – ასე ამბობენ... მეორეც ბატონი ნოდარ რუსეიშვილი იყო ბუნებისმეტყველება – გეოგრაფიის მასწავლებელი, ამდენად სხვა საგანი მისთვის არაპროფესიული იქნებოდა ნამდვილად და ვერც მაღალხარისხოვნად ვერ შეასწავლიდა მოსწავლეს, რაშიც ისევ სკოლის ხელმძღვანელობა იყო დამნაშავე.

„არადამაკაყაფილებლად შეფასდა პირველი მაისის სკოლაში მევენახეობის და მანქანათმცოდნეობის სწავლება (მასწავლებელი

ნოდარ რუსეიშვილი), არ არის სოფლის მეურნეობის საფუძვლების სახელმძღვანელო, არ არის სათანადო კაბინეტ-დაბორატორიები არჩეული სპეციალობების უკეთ დაუფლების საქმეში დაინტერესებისათვის, არ აქვთ სპეციალური ტანსაცმელი. ზერელედ ისწავლუბა მეცხოველეობა."

შენიშვნა: შევადაროთ ზემოქმედ და ეს ჩანაწერი – საპირისპირო მსჯელობაა. რაც შეეხება სპეციალიზებულ კაბინეტ-ლაბორატორიებს – მეცნიანეობა და მეჩაიეობა საკლასო ოთახში არ შეისწავლება. ვათენ-ვაღამებდით ნაკვეთებში და ამისთანა საყვედურისმსგავსი გამონათქვამი უბრალოდ არაა ლამაზი, ხოლო რაც შეეხება მეცხოველეობის სწავლებას – სკოლას ფერმა ხომ არ ეყოლებოდა... საქონლის მოწველა და საბძლის დასუფთავება ბაგშვებმა მშვენივრად იციან ოჯახიდან... ამაში ყველა დამერწმუნება.

„დამაკმაყოფილებლად არის შეფასებული მეთოდკაბინეტის გეგმაზომიერად ჩატარებულ სამუშაოთა მოცულობა, კლასის ხელმძღვანელთა პოზიციები აღმზრდელობით დარგში, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობა, მშობელთა კომიტეტებისა და სკოლაში წრებისა და რაზმეულთა მუშაობა, ხელმძღვანელ მუშაკთა და მასწავლებელთა კავშირები.“ (პ-5. ანაწერი I, საქმე - 870).

1964-1965 წლების სკოლების მუშაობაში საფუძველი იყო სკპ XXII კრილობის მოელი რიგი გადაწყვეტილებები, რომელთა ნიადაგზე მოხდა გარდატეხები სკოლების შინაარსეა და ფორმებში, დაინერგა ბევრი პედაგოგიური სიახლე. რვაწლების დამთავრება იქცა სავალდებულო კანონად. გაიზარდა პედაგოგთა და სხვა მუშაკთა ხარისხობრივი შემადგენლობა, სერიოზული მუშაობა ჩატარდა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის გასაუმჯობესებლად. დამაკმაყოფილებლად შეფასდა საგნობრივი სწავლების ხარისხი, მეთოდური ცვლილებების დანერგვა, საწარმოო სწავლების ხარისხი, მშობლებისა და მასწავლებლების ურთიერთკავშირი სიახლეების დანერგვის განხორცი. ხშირი იყო შემთხვევები, როცა პედსაბჭოზე იწვევდნენ წარმატებული მოსწავლეების მშობლებს ცხოვრებასთან სკოლის დაკავშირებ-

ბის საკითხთა განსახილებელი დაისახა დონისძიებები მშობელთა კომიტეტებისა და პედსაბჭოს უფრო შინაარსიანი ურთიერთობებისა და მოქმედების სფეროში, ვინაიდან სკოლასა და ოჯახს ევალებოდა ზნეობრივად ამაღლებული კადრების აღზრდა-მომზადება ცხოვრებისა და საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსათვის.

დიდი ყურადღება დაეთმო მასწავლებელთა კადრების უმაღლესი ცოდნით აღჭურვას, რის გამოც ძალიან ბევრი დაუსწრებლად დაუფლების ცოდნას საქართველოს რიგ უმაღლეს სასწავლებლებში.

განათლების მინისტრი: ვახტანგ წელუკიძე.

(p-5. ანაწერი I, - ა).

„მიმდინარე 1964 წელში, სკპ. ცპ. იგნისის პლენუმებისა და საქაკცკა დადგენილებების შემდეგ კიდევ უფრო გაუმჯობესდა სკოლებში მოსწავლეთა ესთეტიკური და მხატვრული აღზრდის საკითხები, ამღლდა მოსწავლეთა სასკოლო ორგანიზაციების ბრძოლის უნარიანობა, განმტკიცდა დისციპლინა, წინა საზზე წამოწეული სკოლის გარეშე და კლასგარეშე მუშაობა. დასახული ამოცანების კვალობაზე რაიონის რიგ სკოლებს ჩაუტარდათ რემონტი, სკოლები შეივსო ახალი ინვენტარით. გადახალისდა მასწავლებელთა არმია. სკოლების უმეტესობაში სწავლება ერთცვლიანია. სამწუხაროდ ადგილი აქვს სკოლებიდან მოსწავლეთა უმიზეზოდ გადინებას. (მოხსენებულია პირველი მაისიც. სკოლის დირექტორი რ. ფარსენაძე. ს.ს.)

ჯერ კიდევ არადამაყმაყოფილებელია ზოგიერთი სკოლის პედაგოგთა ცოდნის დონე, რაც აისახება მოსწავლეთა ცოდნის ხარისხზე და შესაბამისად წლის შემაჯამებელი შედეგების მონაცემებზე.

მაღალ დონეზე გაკვეთილების ჩატარების ხარისხში შესაქმნია პირველი მაისის სკოლის ქართული ენის მასწავლებელი ლევან ქადიძე და გუგული დევაძე, რუსული ენის მასწავლებელი – მერი ცენტრაძე.

დაბალ დონეზე კლასსკომპლექტების მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა სწავლების ხარისხი, რაც მეთოდიკის სიახლეთა გაუთვალისწინებლობითაა გამოწეული. ამდენად, დაბალია მოსწავლეთა მიერ ათვისებული ცოდნის ხარისხი. კველაფერმა ამან ასახვა პოვა ტურებში სკოლების ვერმონაწილეობაში. სესტად შეფასდა პირველი მაისის სკო-

და მოდელების, ხელსაწყოების და სხვა საშუალებების თვითკეთებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია უცხო ენების სწავლების ხარისხი. რაიონში უცხო ენების ბევრი სპეციალისტი კარგად ართმევს თავს მოვალეობას. ამ მხრივ შესანიშნავი მაჩვენებელი აქვს პირველი მაისის სკოლის უცხო ენის მასწავლებელს – ავთანდილ (აბდულ) დიასამიძეს. კარგად ფლობს უცხო ენის სწავლების ხერხებს და მეთოდებს, (აბდულ დიასამიძე ამ წლებში მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე იმადლებდა ცოდნის დონეს. ს.ს.), ზრუნავებ მოსწავლეებში სწორი კითხვის და მეტყველების დანერგვისათვის, (ეს რომ ასე იყო ნამდვილად ამის ერთეული მოწმე თავად გახლდით – სიღრმისულად შემასწავლა გერმანული ენა, თავისუფლად ვსაუბრობდით) ჯეროვან ყურადღებას აქცევენ სალექსიკონო მუშაობას, გულდასმით ემზადებიან გაკვეთოლის ჩატარებისათვის. კარგადაა შეფასებული პირველი მაისის სკოლაში ხაზის სწავლება. (მასწავლებელი რევაზ (აბდულ) ფარსენაძე).

ნაკლებორგანიზებულად ჩატარდა გამოსაშვები გამოცდები. პირველი მაისის საშუალო სკოლაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში. ნაწერები გასწორდა ძალიან დაგვიანებით, როცა ძავჭვებს შემდეგი გამოცდები უკვე ჩაბარებული ჰქონდათ. გამოცდების დროს სისუსტე გამოიჩინეს მათემატიკაში. უარყოფითი შედეგები იყო მეოთხე კლასშიც.

სკოლის შინაგანაწესის, სასწავლო რეჟიმის თვალსაზრისით ჩატარებულ სამუშაოებში კარგი შეფასება მრავალმა სკოლამ დაიმსახურა, მათ შორის პირველი მაისის საშუალო სკოლამაც. შენიშვნები მიიღო ბევრმა სკოლამ მოსწავლეთა მიერ აჭარის გზატკეცილზე ხილით ვაჭრობის გამო, მათ შორის პირველი მაისის სკოლამაც. (მოსახლეობა სახსრების სიმცირეს განიცდიდა. ს.ს.)

კარგადაა შეფასებული პირველი მაისის სკოლაში მოქმედი საგნობრივი წრეები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული ლიტერატურის წრე (მასწავლებელი ლევან ქადიძე, წრის ხელმძღვანელი სერგო სამნიძე). მშობელთა პედაგოგიზაციის მიზნით ლექცია-მოხსენებები წარმატებულად ტარდებოდა პირველ მაისში და ზოგ სკოლებ-

ში, რომელსაც კოორდინირებას უწევდა რაიონის განათლების განყოფილება და სასკოლო ინსპექტორები. მიუხედავად ნაკლოვანებებისა, სწავლების ხარისხი დამაკმაყოფილებელი იყო.

ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგე: მიხეილ ნაკაშიძე.

(ფონდი p-5. ანაწერი № (1-ა)2, საქმე - 133).

1965 წლის ბოლოს ჩატარდა რაიონებისა და ქალაქების პარტიული აქციების კრებტი, რომლებზეც განიხილებოდა საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის განხორციელების შედეგები.

„სკოლებში მაღალ დონეზე აყიდა სწავლების, მოსწავლეთა მოზიდვისა და მოსწრების საქმე.

პროგრესის მიუხედავად, რიგ სკოლებში კვლავ თავს იჩენს ნაკლოვანებები, კერძოდ არასრულწლოვანთა დაქორწინება-გათხოვება, სკოლის მიტოვება უბრალო მოტივით, გაცდებები და სხვა.

საყოველთაო-სავალდებულო 8-წლიანი სწავლების კანონის განხორციელების მხრივ დიდი ამოცანები შესრულდა ქედის რაიონის რიგ სკოლებშიც, მათ შორის პირველ მაისში, სადაც სწავლების გარეშე დარჩენილი მოსწავლეების მხრივ მაჩვენებელი იყო ყველაზე დაბალი. განთესილი მოსწავლე პირველი მაისის სკოლას წლების განმავლობაში არ ყოლია.

1966 წელი ქედის რაიონში წარმატებებით დასრულდა.

ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგე: მიხეილ ზაქარაძე.

(ფონდი p-5. ანაწერი I, საქმე - 1111).

„1968 წლის 17 ოქტომბრის №533 საქსკრ. მინისტრთა საბჭოს დადგენილების თანახმად სკოლებში ყურადღება უნდა მიექცეს შრომით სწავლებაში შემდეგი სახის ნიმუშების მკეთვებელ მოსწავლეთა მომზადებას: ხესა და ქვაზე მხატვრული ორნამენტების მკვეთავაზები, ლითონზე გრავიურების, ფილიგრანებისა და ჭედური ხელოვნების, სამეთუნეო წარმოების, ნაციონალურ ორნამენტული ქსოვის და ქარგვის, ხალიჩების ხელით ქსოვის, მხატვრულ – კერამიკული ნაწარმისა და სხვა. ამ მიმართებით უნდა შეიქმნა აგრეთვე სამხ-

ატვრო ნაწარმთა და სუვენირების დამზადების შემოქმედებითი ტექნიკური წრეები."

საქართველოს განათლების მინისტრის მოადგილე: უშანგი ობოლაძე.

1968 წლის 1 სექტემბრიდან რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების IX-X კლასებში გათვალისწინებულია დაწყებითი სამხედრო მომზადების სწავლება.

1970 წლისათვის რესპუბლიკის კულტურული საშუალო სკოლაში დამთავრდება სწავლების შემოღება. სწავლების მიზანია მომზადოს ერთერთი სამხედრო-ტექნიკური სპეციალობის მოსწავლე, მტკიცე პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებით. კლასიდან კლასში გადასვლისას ყურადღება უპირატესად უნდა მიექცეს სამხედრო მომზადების ნიშანს. სამხედრო მომზადების ხელმძღვანელს შეარჩევს ადგილობრივი კომისარიატი და უპირატესად დაინიშნება საშუალო ასაგის სამხედრო განათლების მქონე ოფიცერები, რომლებიც კარგად ფლობენ მშობლიურ და რესულ ენებს.

საქ. სსრ. განათლების მინისტრი: თ. ლაშქარაშვილი.

(p-5. ანაწერი I, საქმე - 1175).

საქართველოს სსრ. განათლების სამინისტროს კოლეგიისა და საქართველოს პიონერული ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ბიუროს 1969 წლის 23 მაისის სხდომაზე ყურადღება გამახვილდა მოსწავლეთა არასაგნობრივი დამატებითი ცოდნით აღჭურვაზე კერძოდ, მოსწავლეთა ყურადღება უნდა მიაქციონ შესაბამისმა ორგანიზაციებმაც. საქართველოს ბუნების, წიაღისეულთა სიმდიდრის, ფუნის ქარსტული ლანდშაფტის, თანამედროვე გეომორფოლოგიურ პროცესებს, მინერალების, ქანების, განმარტებული ფლორის, გეოლოგიურ აგებულებას და სხვათა შესწავლას, რითაც მოსწავლე ახალგაზრდობას გამოუმუშავებენ ბუნების მოვლენებზე დაკვირვების უნარს, საკლევამიებო და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის ჩვევებს, დაეხმარონ სასკოლო ეკოლოგიური მუზეუმების შექმნაში. ადგილუბზე შეისწავლონ მოსაწავლეებმა, ანუ ნორჩმა გეოლოგებმა მშობლიური მხარის წიაღისეული სიმდიდრეები, გაეცნონ არსებულ საბა-

დოქტორის მათ აღმოჩენების და ისტორიას, შეადგინონ კოლექციები, შეისწავლონ ვულპანური კერძები და მათთან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეული, აწარმოონ დაკვირვებანი მდინარეების მოქმედებებზე, წყაროებისა და ჭების დებეტის ცვალებადობაზე, აღრიცხონ მინერალური წყაროების ბუნებრივი გამოსავლები, შეაგროვონ ტოპონიმიკური მასალები, შეისწავლონ ლითონ დამუშავების ძველი კერძები და შეაგროვონ მათთან დაკავშირებული ხალხური გადმოცმები და თქმულებები. შეადგინონ მაკეტები, ჩანახატები, ფოტოალბომები, პერპარიუმები და ბუნებრივი ქანების საექსპონატო კუთხე.

(p-5. ანაწერი I, საქმე - 1248).

1970 წელს პირველი მაისის საშუალო სკოლა გადავიდა პირველი მაისის სასოფლო საბჭოსთან მიმდებარედ, გზატკეცილთან. პირველი მაისის საბჭოში შემავალი სოფლების მოსწავლეებმა მიიღეს დროის შესაფერისი კეთილმოწყობილი, ლამაზი სკოლის შენობა, რომლის აგება მოხდა დირექტორ რამიზ ბეგანიძისა და სასოფლო საბჭოს იმუნინდელი თავმჯდომარის, პედაგოგ ნათელა ისმაილის ასულ სამნიძის უშუალო მონაწილეობით და თაოსნობით.

მთავრობა რომ ყოველთვის ზრუნავდა მოზარდთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, ამ სკოლის შემატებაც ამის დასტური იყო. მოსწავლეებს შეუმოკლდათ მანძილი – აგარისა და კოლოტაურის მოსწავლეები უკვე საბჭოს ცენტრში აგებულ სკოლაში ისწავლიდნენ და არა პირველი მაისის ძველ სკოლაში.

ადგილობრივი კადრები არც სამოცდათიანი წლებისთვის არ იყო საკმარისი და სწორედ იმ შემოსულებს გაუადვილდათ მგზავრობა – ტრანსპორტიდან ათ ნაბიჯზე მდებარეობს სკოლა. თუ ადრე ძველ სკოლაში ასვლა უჭირდათ და აგვიანებდნენ კიდეც, მასწავლებლებსაც ეს პრობლემა მოუგვარდათ და სახელმწიფო გამოთავისუფლდა მათთვის ნაქირავები ბინების ხარჯებისაგან.

ახლა საშური საქმე იყო, ახალ სკოლას ეპასუხა ახალი წარმატებებით.

რაიონის რიგმა სკოლებმა მოსწავლეთა 100%-იან მოსწრებას მიაღწიეს, პირველი მაისის სკოლის მაჩვენებელი იყო 97%. დირექ-

ტორი არჩილ (რამიზ) ბეჭანიძე. საგნობრივ სწავლებიდან აღსანიშნავია პირველი მაისის დამოუკიდებელი დაწესებითი სკოლის გამგემასწავლებლის ლევან შავლიძის მუშაობა, რომელიც ბუნებისმცოდნეობის სწავლებისას იყენებს ოვალსაჩინოებებს, კარგი შედეგები აქვს ხელოვნებაში. ფიზკულტურის სწავლებისას კარგად იყენებს შედგენილ თემატურ და დღიურ გეგმებს, იცის გაკვეთილის ჩატარების სტრუქტურა.

მშობლიურ ენსა და ლიტერატურაში სწავლების კარგი მაჩვენებელი აქვს პირველი მაისის საშუალო სკოლის მასწავლებელს ლევან ქადიძეს. მის მიერ ჩატარებული ყოველი გაკვეთილი გამოირჩევა მაღალი აკადემიურობითა და მეთოდური გამართულობით. მისი მოსწავლეები გამოირჩევიან როგორც საგაკვეთილო, ისე გაფლილი პროგრამის ცოდნით.

ქებას იმსახურებენ აგრეთვე მასწავლებლები: გუგული დევაძე და ამირან შავლიძე. კარგად მუშაობს სკოლის ლიტერატურული წრეც, რომლის ხელმძღვანელია ლევან ქადიძე. არადამაქმაყოფილუბლად მიმდინარეობს რუსული და უცხო ენის (გერმანული) სწავლება, (რასაც გულისტივილით აღინიშნავთ შემმოწმებლები), რომელთაც გადასცემენ მასწავლებლები მერი სამნიძე და ჟორა ფარტენაძე. ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლებაში მასწავლებელი ციალა გურგენიძე, პლანიმეტრიის სწავლებაში მასწავლებელი ჯემალ ფარტენაძე. (უნდა შევნიშნო რომ წლების განმავლობაში ციალა გურგენიძე ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებში მონაწილეობდა. არმცოდნეს კი ინსტიტუტში ვინ გააკარებდა. გულისტივილით მინდა შევნიშნო მასწავლებელთა შეფასების კრიტერიუმში მაინც დომინირებდა დაუწერელი „შინაური“ კანონი. აფასებდნენ და ცაში აცყავდათ ისინი, ვისაც „კრიშა“ ჰყავდა. ეს საუბედუროდ და სავალალოდ ასე იყო ყოველთვის. ს.ხ.)

ისტორიის სწავლებაში კარგ მაგალითს იძლევიან ქედის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი აბდულ ჩხეიძე და პირველი მაისის ისტორიის მასწავლებელი არჩილ ბეჭანიძე. განსაკუთრებით ხასიათდება არჩილ ბეჭანიძე: ყოველ გაკვეთილს პედაგოგიურ-

მეთოდური თვალსაზრისით სწორად წარმართავს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მოსწავლეების მიერ დავალების შესრულებას. განვლილი პროგრამული მასალით მოითხოვს მოსწავლის ცოდნის გაფართოება-განმტკიცებას, რისთვისაც ყოველ გაკვეთილზე გამოჰყოფს საჭირო დროს საკანძო საკითხების გაფორმება-განმტკიცებისათვის. ყოველ ახალ მასალას კარგად ხსნის, მაქსიმალურად იყენებს თვალსაზრისით - რეკას, დაფას, წიგნებს, ილუსტრაციებს და სქემებს. გამოკითხვის პროცესში მას ჩაბმული პყავს როგორც ძლიერი, ისე სუსტი მოსწავლეებიც. ასეთი შეპირისპირებით იგი ყოველთვის კარგ შედეგს აღწევს. კარგ შთაბეჭდილებას ტროვებს ყოველი ახალი მასალის ახსნისას. უკუთხესი მაჩვენებლებით სანიმუშო მაგალითს იძლევა საზოგადოებრივი მასალის მიზანისას.



ჩატარებული გაკვეთილი მაღალი დეურია. პრაქტიკული და თეორიული საუბრებით იგი ცდილობს მეცნიერებული მსოფლმხედველობის გამომუშავებას მოსწავლეებში. კლასის მოსწავლეებმა ყველა ძირითადი საკითხი ფრიადზე იციან.

კარგი მიღწევებია აგრეთვე ბუნებისმცოდნეობის სწავლებაში. მასწავლებელი იოსებ შერგაშიძე მაღალაკადემიურ და მეთოდურ დონეზე ატარებს გაკვეთილებს. კარგად მოფიქრებული გეგმის მიხედვით სადემონსტრაციო საშუალებებს ხშირად მიმართავს და ატარებს პრაქტიკულ სამუშაოებებს. მოსწავლეთა იდეური აღზრდის მძლავრი ბერკეტია გეოგრაფიის სასკოლო კურსის სწავლების მაღალ დონეზე დაყენება. ბუნებას და საზოგადოებას შორის არსებული კავშირული ერთობების შესწავლით მოსწავლეები მიჰყავს დიალექტიკურ-

მატერიალისტურ მსოფლმხედველობის გაგებამდე. ამ მხერივ ი. შერვაშიძე იყენებს თვალსაჩინოებებს, ატლასების. მოსწავლებს აძლევს სამუშაოებს – კონტურული რუკების შედგენას, გარემოში მეცნიერული გარკვევის ცდებს და სხვა.

ნაკლოვანებით ხასიათდება ფიზიკის მასწავლებელი გურამ შერვაშიძე, ასევე ხასიათდება მისი შემცლელი – დურსუნ თავდგირიძეც. ასევე სუსტად ხასიათდებიან ასტრონომიის სწავლებაში – უშუალი შერვაშიძე, ხაზვის მასწავლებელი – გუგული სურმანიძე, პალიან სუსტად ხასიათდება ქიმიის მასწავლებელი – ეთერ გოგოლიშვილი.

ფიზკულტურის მასწავლებელ სულიკო შოთაძეზე გამახვილებულია ფურალება, იმდენად, რამდენადაც იგი აუმჯობესებს მუშაობას, რაც აისახა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაში. კარგი შედეგზე ბი აქვს დაწყებითი სამხედრო მომზადების საქმეში პედაგოგ – ჯემალ ფარტენაძეს. იგი სშირად აწყობს საველე გარჯიშებს, ხვდება ომის ვეტერანებს ან იწვევს მათ სკოლაში, ისმენს საუბრებს, ანალიზს უკუტეს მათ მონათხოვებს. სშირად სამხედრო ნაწილებში მიღიან ან იწვევენ სკოლაში და იმართება მათსა და მოსწავლეთა შორის სპორტული შეჯიბრებები. ქვეითა და პირველი მაისის სკოლის მოსწავლეები სწავლებისა და პრაქტიკის დროს შემოსილი არიან სპეციალური ტანსაცმლით.

მასწავლებელ ლევან ქადიძის მიერ სწორად გააზრებული მეოთდებით ტარდება ფაქულტატური მეცადინეობის სწავლება.

კარგად ხასიათდება პირველი მაისის საშუალო სკოლის კომიკავშირული ორგანიზაციის მუშაობა. ასევე დადებითად ხასიათდება სასკოლო ბიბლიოთეკის მუშაობა – ბიბლიოთეკარი – რეზო თებიძე.

I-ივლისი, 1974 წელი. განათლების განყ. გამგე: მიხეილ ზაქარაძე. (p-5. აღწერა I, საქმე - 1643).

როგორც ავდიოშენე, პირველი მაისის სკოლაში დაარსების დღიდან დღეის ჩათვლით 250-ზე მეტ მასწავლებელს უმოღვაწია, მათ შორის 32-ზე მეტი გვევლინება დაწყებითების გამგე-მასწავლებლად, არასრული საშუალო სკოლის და შემდეგ საშუალო სკოლების დირექტორებად.

**ეცყვიბითაბის ბამბკ-მასნავილის ბიბი, 7 ნივნის,
8 ნივნის და საშუალო საწილის მინისტრის**

| 1 | სახელი, გვარი, მამის სახელი | მუშაობის წლები | განათ ლება | რა საგანს ასწავლიდა |
|---|--|-------------------|---------------|------------------------|
| | დოლიძე | 1928 წ. | | |
| | ლოლა ორაგველიძე | 1928 წ. | | |
| | ნიკოლოზ წეროძე | 1929 წ. | | |
| | მიხეილ გიგინეიშვილი | 1930 წ. | | |
| | გიორგი ბრეგვაძე | 1932 წ. | | |
| | აკაკი მურვანიძე | 1932-1933 წ.წ. | | |
| | ალექსანდრე დარსაველიძე ივანეს ძე | 1933-1934 წ.წ. | | |
| | მიხეილ დარახველიძე | 1934-1935 წ.წ. | | |
| | ნატაშა ფირცხალაიშვილი | 1935 წ. | | |
| | გიორგი დანელია | 1935-1936 წ.წ. | | |
| 1 | აკაკი წიგწივაძე მელიტონის ძე | 1938 წ. | უმაღ ლესი | დაწყებითები |
| 2 | ხასან ჯანიძე ხუსეინის ძე | 1939-1941 წ.წ. | ,---- | ფიზ.- მათემატიკა |
| 3 | ქეთო ჭლიძე ბიქტორის ას. | 1941 წ. | ,---- | გეოგრ.-ბუნება |
| 4 | პვირკველია თამარ შამშეს ას. | 1942 წ. | ,---- | დაწყებითი |
| 5 | ოდილავეძე ქენია ვლადიმერის | 1943 წ. | ,---- | გეოგ-ბუნება |
| 6 | თოდუა თამარ ლევანტის ას. | 1942-1943 წ.წ. | ,---- | გეოგრაფია |
| 7 | ზენოიშვილი გამტერინე (კატუშა) | 1943-1944 წ.წ. | ,---- | |
| 8 | კალანდარიშვილი ლიზა | 1944 წ. | ,---- | |
| 9 | სიამაშვილი ბროლა ილიას ას. | 1945-1948 წ.წ. | ,---- | ისტორია, ქართ. |

| | | | | |
|---|-----------------------------------|---|----------------|---------------------------------------|
| 0 | ოდილავიძე ქენია კლადიმერის | 1948-1950 წ.წ. | ,---- | გეოგრაფ. ბუნება |
| 1 | ჭურნია კარლო დურსუნის ძე | 1950-1951 წ.წ. | ,---- | გეოგრაფ. ქიმია |
| 2 | გმდევანიძე ალექსი ივანეს ძე | 1951-1957 წ.წ. | ,---- | ისტორია |
| 3 | ფარსენაძე რევაზ იბრაიმის ძე | 1957-1964 წ.წ. | ,---- | ისტორია |
| 4 | ბეჟანიძე რამიზ ხასანის ძე | 1965-1974 წ.წ. | ,---- | ისტორია, გეოგრ. |
| 5 | შერვაშიძე ნიაზ ყედირის ძე | 1975-1978 წ.წ. | ,---- | ბიოლოგია. ცილოლოგია |
| 6 | ფარტენაძე ჯემალ მემედის ძე | 1978-1980 წ.წ. | ,---- | ფიზიკა- მათემატიკა |
| 7 | დევაძე გუგული დავითის ას | 1980-1981 წ.წ (მოგ. შემსრულებე ლი) | ,---- | ქართ. – ისტორია |
| 8 | ჩიკვიძე კლადიმერ მემედის ძე | 1981-1983 წ.წ. | ,---- | რუსული ენა |
| 9 | ბარამიძე შოთა ზურაბის ძე | 1983-1984 წ.წ. | ,---- | ფიზიკ- მათემატიკი |
| 0 | გოგიტიძე ნათელა დურსუნის ას. | 1984-1988 წ.წ. | ,---- | ქართული ენა |
| 1 | გურგენიძე ციალა რეჯების ას | 1988-1989 წ.წ. | ,---- | ფიზიკ- მათემატიკი |
| 2 | შავლიძე ბადრი თამაზის ძე | 1989-2013 წ.წ. | ,---- | გეოგ- ბიოლოგია |
| 3 | შავლიძე ლევან ოსმანის ძე | 1971-2005 წ.წ. | პედსა სწავ. | დაწყებითები გამგე- მასწავლებელი |

ამოკრებილია: ც.ს.ა. p-5, ანაწერი I, საქმე-870 და პ-770, ანაწერი I, საქმე-53-დან.

მასნუვლებლები ჩოხიაშვილ მოლვანეგანიძე 1950-1970-იან წლებში.

რეშიტ აბაშიძე
უსუფ აბაშიძე
ზურაბ ბერიძე
ვაჟა ბოჭორიშვილი
ბულბული ბასილაძე
არჩილ ბეჯანიძე
უსუფ ბეჯანიძე
ალექსი გელევანიძე
ნათელა გორგილაძე
მერი გორგილაძე
ელმას გორგილაძე
ზელიხე გორგილაძე
ლეილა გორგილაძე
ანაიდა (ანიკო) გასვიანი
ხემიდ დევაძე
სულეიმან დევაძე
აბდულ დიასამიძე
გუგული დევაძე
ავთანდილ ვარშანიძე
ლუბა კვირდელიძე
ციური ლომთათიძე
ტიტე მანჯგალაძე
გულნარა ნაკაშიძე
ლამარა ნებიერიძე
როსტომ ნაგერვაძე
ნათელა ონიანი
ნოდარ რუსეიშვილი
ალა სერებრიაკოვა
გუგული ტაბიძე

რევაზ ფარსენაძე
 ნოდარ ქაჯაია
 გურამ ქაჯაია
 ლევან ქადიძე
 უსუფ ქადიძე
 ნათელა შავლიძე
 ლევან შავლიძე
 ამირან შავლიძე
 გურამ შერვაშიძე
 ნოდარ შარაბიძე
 ამირან ჩხარტიშვილი
 თამარ ჩაგანავა
 აბდულ ჩხეიძე
 ასლან ჩხეიძე
 მერი ცენტერაძე
 მერი ცირეკიძე
 კარლო ჭყონია
 ციალა ხელაძე
 ჯემალ ჯაფელი
 მემედ ჯაფელი
 დოდო ნაკაშიძე
 იგანე მახარაძე.

თხახი, სეორა, აღზედა.

მასწავლებელი ანუ მოძღვარი, რომელიც მოსწავლეს მომავლის გზას უდოւიავს, მოძღვრავს ყოველგვარი სიკეთისთვის, ადამიანობისთვის, კეთილშობილებისათვის.

მასწავლებელი პყავდათ როგორც პირველყოფილ ხალხს (ბელადი, წინამძღვალი ატამანი და სხვა) ისე მათს შემდეგ ყველა საზოგადოებრივ ფენას, ვიდრე დღეის ხათვლით. ყველაფერი მასწავლებლით იწყება. უმათოდ ცხოვრებას აზრი არ ექნებოდა.

მასწავლებლობა უდიდესი ხელოვნებაა, მასწავლებელს მიუხედავად იმისა, პროგრამის მიხედვით მოქმედებს, ხელება ისეთი სიტუაციაც, როცა თავად უნდა განსაზღვროს ყველა სირთულე და დაძლიოს კიდევ. მოულოდნელობებით დატვირთულ გზაზე სვლა ხელოვნებაა თავისთვად, ხოლო თუ მასწავლებელი მოელი თავისი ბუნებით პედაგოგად არაა მოწოდებული, მისგან არც არგერი გამოვა, იმიტომ რომ ერთიანა და ქვეყნის მომავალი ძლიერების საფუძვლი მასწავლებელია. თუ როგორ თაობას ჩაიბარებს საზოგადოება, ეს მასწავლებელზეა დამოკიდებული. დიახ, მათ უნდა მისცენ სამშობლოს ფიზიკურად ძლიერი და სულიერად მდიდარი თაობა. ქვეყნაც მაშინ იქნება ძლიერი.

სკოლაში პირველ ამოცანად უნდა იდგეს დისციპლინა და შემდგომ ცოდნის მოთხოვნა. არ უნდა იყოს თვითდინებაზე მიშვებული მცირეოდენი რამ, რაც უარყოფით შედეგამდე მიყვანს როგორც სკოლის პრესტიჟს, ისე მთლიან საზოგადოებას.

ბაგშვები პატარაობიდან უნდა მიეჩიონ სიძნელის დაძლევას, წინააღმდეგობებზე გამკლავებას და დაბრკოლებათა გადალახვას. წინააღმდეგ შემთხვევაში გვეყოლება მუდმივად თოხლო, დონდლო საზოგადოება.

ბაგშვება არ უნდა აირჩიოს ცხოვრებაში იოლად დამკვიდრების გზა. არ უნდა იცხოვროს იმ დევიზით, რომ „დღევანდელი კვერცხი სჯობს ხვალინდელ ქათამს“ – ამას კი იწვევს მოელი რიგი საკითხები და (იქნებ ზოგს ემწვავოს კიდეც და კრიტიკის ქარცეცხლში გამატაროს ამის გამო) კომპიუტერიზაცია. ამაში ნამდვილი პედაგოგები თავად დარწმუნდებიან და ოდესმე კიდეც დამეთანხმებიან. კომპიუტერული გატაცება საბოლოოდ გამოიწვევს მოზარდის ტვინის გამოფიტვას, თუ მათ რეგლამენტს არ დავუწესებთ, რის საშუალებასაც ჩემი აზრით, უკვე თვით კომპიუტერი აღარ იძლევა – იგი ჭაობში ჩავარდნილი მსხვერპლივით ითრევს და ლუპავს მოზარდის მომავალს.

კარგად აღზრდილი მოზარდი ყოველთვის გამოირჩევა ზნეობრივი ნორმებისა და კანონების დაცვით. თუ არა ეს, მაშინ როგორც

დიდი ილია ამბობდა: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწედა, ვაი იმ ქვეყნას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა... საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ იშვიათი... სწორედაც, გათითოკაცებული საზოგადოება, გაზუდუქებული ერთულები, ვერ აჩქეფებენ ერის ძარღვს.“

ადამიანი თუ არაფერს აშავებს, ეს დიდ არაფერს ნიშნავს, ხოლო თუ ხალხისთვის იღვწვის, უკვე ლირსებაა. ეს კი მიგვითითებს რომ, ესა თუ ის პიროვნება ზნეობრიობის ჩარჩოებში ზის და მას ყველა სატკივარი მიაქვე გულთან. იგი პირველ რიგში უნდა იყოს ჭეშმარიტი მამულიშვილი და ერის სიამაყე, რომელსაც ყოველგვარ მანკი-ერებასთან შეეძლება ბრძოლა და ერისთვის თავის გაწირვაც კი.

კაცობრიობა დიდი ხნის წინ გადაშენდებოდა, ქამელეონის ბუნების ადამიანებით რომ იყოს ქვეყნიერება საესე და რომ ეს ასე არაა, ამაში უდიდესი წვლილი მიუძღვით მასწავლებლებს, სულიერების მოძღვრებს.

რაც შეხება ცოდნის შეთვისებას, შეღწევას მოზარდის ცნობიერებაში, სულიერებაში, მთლიანად თავის „მე“-ში, არ უნდა იყოს ზერელე, ზედაპირობაზე დაფუძნებული. იგი მიიღწევა მხოლოდ ბეჭითობით, თავისთავზე გამუდმებული შრომით, წვალებით, ხოლო წვალებაზე დაფუძნებული ცოდნა თავის შედეგს გამოიღებს – ტვინის წვალებით, გონების დაძაბვით, უხეშად რომ ვთქვათ – ტვინის ჰყლებით გამდიდრებული ცოდნა ჰეშმარიტ ნიჭიერებას შობს, რა თქმა უნდა, ნაწვალებს, მაგრამ დაფასებულს.

ცოდნა უნდა იყოს დაფუძნებული რწმენაზე – ამის გარეშე ცოდნა, ცოდნა არ არის. რწმენის გარეშე ადამიანი რობოტ – ავტომატად იქცევა. ის ცოდნა რომელიც რწმენაშია გადასული, ადამიანს გმირადაც აქცევს, კაცობრიობის შარავანდებში გახვევს, უკვდავად აქცევს, დიდ სულიერებას აზიარებს. ღრმა ცოდნას, იდე ალებს როცა ფეხვები აქვს გადგმული ადამიანში, იგი რწმენაშია შერწყმული და სწორედ ამიტომაც იქცენ ხალხის საქვარელ ადამიანებად რწმენისადმი ერთგულებით თავშეწირულები.

მეცნიერებისათვის ამაღლებული რწმენით სულგაუდენთილი მეცნიერი – ჯორდანო ბრუნო კოცონზე დაწვეს, მას სწამდა და ამ რწმენით ამაღლდა დმერთამდე. აი, რას აკეთებს რწმენაზე, ადამი-

ანობაზე შერწყმული ცოდნა...

თუ მოსწავლეებში გაიზრდება ზნეობრივი სრულყოფის შინაგანი მოთხოვნილება, მაშინ მათს შეგნებაში დაივანებს კეთილშობილება, მოწოდება – ყველგან და ყველაფერში იყვნენ სანიმუშონი, ერის კეთილდღეობისათვის პირწმინდა მებრძოლები. რწმენის გარეშე ადამიანის სიცოცხლეს აზრი არა აქვს და რწმენას ვერც იყიდი და ვერც გაყიდი. როცა რწმენა არა გაქვს, მაშინ ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის უსარგებლო ხარ.

არიან პიროვნებები, რომლებიც მაღალ იდეალებს ეთანხმებიან, მაგრამ თავად არ იბრძვიან მისი განხორციელებისათვის. ასეთები პასიურები არიან. სადაც გულგრილობა იჩენს თავს, იქ ნამდვილი პიროვნებები ცოტანი თუ არიან. არ შეიძლება წესიერი გერქვას და ბოროტებას არ აღუდგე წინ. ეს ერისთვის ტრაგედია და უბედურებაა. საკუთარ თავში სინდისის ჩახშობა ღუპავს ადამიანს. როცა ადამიანი სხვათა ტკივილს იზიარებს და იბრძვის ყოველგვარი მანკიერების აღმოფხვრისათვის, ასეთები სულიოთ მდიდარი და რწმენისანი არიან, ხოლო მარტო თავისთავზე მზრუნველი პირუტყვს ვერაფრით სჭიობს.

ადამიანები, რომელთაც დრმად სწამთ, მაგრამ უნებისყოფონი არიან – არც ასეთებს აქვთ ფასი საზოგადოების თვალში.

უმაღლესი რასის წარმომადგენელ აღოლფ ჰიტლერსაც გააჩნდა რწმენა, რომ მსოფლიოს დააზოქებდა. რა უფრო სახელმწიფოებს ყველასთვის ცნობილია – ლამის კატასტროფამდე მიიყვანა კაცობრიობა.

ადამიანს თავისთავის აღზრდა უნდა შეეძლოს, რომ საზოგადოებაში საპატიო ადგილის მოხდეს და სამაგალითოც იყოს.

თვითაღზრდა ბავშვობიდან უნდა იწყებოდეს. ასეთად დაკაცუბულ-აღზრდილი კაცობრიობის მტერი არასოდეს იქნება. აღზრდაში მარტო მშობლები არ უნდა დომინირებდნენ, მასწავლებლებიც უნდა მონაწილეობდნენ მოზარდის საქვეყნო პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რაშიც მასწავლებლის უდიდესი როლიც გამოჩნდება. თუმცა თვით აღმზრდებიც უნდა იყოს ისეთივე ზრდილი, როგორსაც საზოგადოება საჭიროებს.

ადამიანს თვითგანათლებისა და თავისთავში უმაღლესი გონის აღმავლობის ამოუწურავი შესაძლებლობები გააჩნია, მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ ასეთ ადამიანებს ხელშეწყობა არ გააჩნიათ და ბევრი მათგანი პასიური ხდება, რაც დანაშაულის ტოლფასია. ამიტომ არ უნდა პქონდეს ადგილი საქმისა და სიტყვის ურთიერთგათოშელობას, ანუ თუ უნებისყოფა ადამიანი და რწმენის სიმტკიცე არ გააჩნია, ცხოვრებაში ბევრს ვერაფერს მიაღწევს.

როდესაც მოსწავლის აღზრდაზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყოველ მოსწავლეს თავისი ინდივიდუალობა გააჩნია და აღზრდისას მორალის კითხვა ერთნაირად არ იმოქმედებს ყველაზე. ნებისმიერ მოსწავლეს სათითაოდ უნდა მიღვომა. სწორედ ამაშია აღმზრდელის, მასწავლებლის დამსახურება, თუ როგორ მიუღება ამათუ იმ სუბიექტს. ბავშვს მასწავლებლის კი არ უნდა ეშინოდეს, მისი რიდი უნდა გააჩნდეს.

ინდივიდუალურად მიღვომის მეთოდით ბევრი, ძნელად აღსაზრდელი ბაგშვი, რომელიც ყოველნაირად ჩანდა რომ სკოლის დამთავრების შემდეგ დამნაშავეთა რიგებზე და ასე ვთქვათ განსასჯელთა სკამზეც მოხვდებოდა, ღირსეულ და გამოჩენილ პიროვნებად ჩამოყალიბდა.

ზემოთ ითქვა კომპიუტერებზე... თუ მასწავლებელი შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგიური გეგმით, შედეგად მივიღებთ მოსწავლის ისეთი დონის ცოდნას, რომელსაც მოზარდი ან საერთოდ ვერ აუდებს აღდოს, ან ვერ გამოიყენებს ცხოვრებაში.

აღმზრდელს თავად უნდა პქონდეს წიგნების კითხვის სიყვარული. სხვაგვარად არ შეიძლება. აი მაგალითად: გვყავდა მასწავლებელი ნოდარ რუსეიშვილი, რომელიც თავისთავზე ძალიან ბევრს მუშაობდა და ამდენად, დასმეულ კითხვას ყოველთვის არგუმენტირებულ პასუხს სცემდა. მან მოსწავლეთა საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა, ხოლო იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მოსწავლეთა დამცინავ მზერას იმსახურებდნენ, თვით მათი ბუნებიდან გამომდინარე.

მასწავლებლობა წვალებაა, იმიტომ რომ 24 საათის განმავლობაში 26 საათი უნდა იმეცადინოს ყოველნაირად და ეს იოლი არ არის – მან დროს უნდა გაუსწოოს, ასეთები კი ერთეულები თუ

იქნებიან, მართლაც სანთლიოთ საძებარინი...

წიგნიერება ორი თუ სამი წიგნის წაკითხვით არ ამოიწურება. გამუდმებით და ყოველგვარ ლიტერატურას უნდა ეწაფებოდეს ნებისმიერი. წიგნი და წიგნი... დიახ, სწორედ წიგნით მიაღწევს ადამიანი იმ სრულყოფილებას, რასაც ცხოვრება მისგან მოითხოვს.

წიგნი ადამიანს აკეთილშობილებს, ზნეობრივ ჩარჩოებში აქცევს და არიდებს განსაცდელს. წიგნს უკელა ღროს დიდი ძალა ჰქონდა და ექნება, კომპიუტერებს კი ინტერნეტიდან ამოკრებილი, დღვანდვლი მსოფლიოს შესაბამისი დაპროგრამებული ხედვა გააჩნია – აბსოლუტური უწიგნურობის სინდრომი. ამიტომ მასწავლებლის ვალია ბავშვს ტვინში არა კომპიუტერის სიყვარული ჩაუწერგოს, არამედ სიყვარული წიგნისა.

კომპიუტერი გამოსაყენებელი ნივთია, წიგნი კი ცხოვრების მეგზური და გამკვალავი უხილავი გზებისა. წიგნი ცხოვრებაში ოქროს ფონდია და რაოდენიც არ უნდა გაგვიკირდეს, მიუხედავად წიგნის შექმნა – გამოშვებაზე დასარჯული შრომის, ენერგიისა და თანხებისა – კევდებით ჩამოკიდებულს საპირფარეშოებში... ვაიმებითხველები წიგნს უდიერად ეპყრობიან გლეჯენ მათ ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან განსხვავებულ მაგალითს: მოსკოვის ერთერთ ქაჩაზე განსჯისთვის დადეს ერთი ცალი პური, უფრო სწორად „დააგდეს“. გამვლელები გვერდს უვლიდნენ, ერთმა ქალმა კი აიღო, აკოცა და მაღლა შემოდო. წამსვე მიეჭრა ჩასაფრებული კორესპონდენტი და შეგითხვა დაუსვა. ქალმა ღრმად ამოიხრა და პასუხი გასცა: – ეხ, შვილო, რამდენი შრომაა საჭირო, ასეთი პური რომ მივიღოთ და ასე უდიერად მოპყრობა კი არა „პური ჩვენი არსობისაა“ და მასზე უნდა ვლოცულობდეთო.

ასეა წიგნიც...

ვისაც წიგნი უყვარს, მას შვილივით, მშობელივით ეფერება. ფურცელსაც არ ჩაკეცავს, მაგრამ არიან მკითხველები, რომლებიც წიგნში ოვიანთ ბრძნულ გამონათქვამებს და რეაკიზიტებსაც ჩაგიტოვებენ, ზოგიც სატუალებოდ ამოხევს, სადღაც შუაში და იციოთ ეს რატომ ხდება? მაპატიოს ყველამ და... თუ მასწავლებელი გინდაც

მშობელი, თავად უწიგნურია, იგი მოზარდისაგან წიგნის მოყვარულს ვერ გამოჩეკს. სასწავლებლის კედლებიდან „თავდახსნილი“ აღზრდილი, ის სარკეა, საიდანაც აღმზრდელების არათუ სახე, „სულიერება“ იმზირება.

ადამიანი სულიერფილი მაშინ გამოდის, როცა ის აღიზრდება კეთილი გულისა და ბოროტებისადმი შეურიგებლობის გრძნობით გამსჭვალული. თუ ადამიანი (მოსწავლე) ადამიანებისადმი სიყვარულით არ არის მოწოდებული, მისგან სამშობლოს კეთილდღეობისათვის მებრძოლი არ დადგება – მისგან გაიზრდება ეგოისტი.

დღეს მოდადა ქცეული სახლვარგარეთის რიგ ქვეუბული, კერძოდ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში განათლების მიღება. ეს, რა თქმა უნდა, ნებისმიერი ერისა და ხალხისათვის საჭიროა იმ კუთხით, რომ ყოველგვარი ურთიერთობა დავამყაროთ სხვა ხალხებთან, თუმცა უნდა შეგნიშვი – მავანთ რომ პრესტიულად მიაჩნიათ ინგლისური ენის შესწავლა, ეს ენა ქართულ ენას (და ბევრ სხვა რამესაც) განდევნის არენიდან. ამის მსურველი ძალიან ბევრია და, ჩვენს მტრებს (ალბათ გვყავს ისინი) მეტი არც უნდათ – რაც ნაკლები იქნება ქართულად მოლაპარაკე და მოაზროვნე, მით უკათესი, მაგრამ ენა რომ ეროვნულობის ნიშანია და ის ძარღვი, რომლითაც ადამიანი ერს უკავშირდება, ზოგზოგებს დავიწყებიათ და სხვებსაც ავიწყებენ. როცა პიროვნება თავის ენას შეგნებულად თუ შეუგნებლად ზურგს აქცევს, იგი ძალაუნებურად მოწყდება თავის ხალხს და კავშირიც წყდება. ამის წინაპირობა უკვე შექმნეს როცა პასპორტში ეროვნების მიმანიშნებელი და მამის სახელი გააუქმეს.

მამის სახელი და ვინაობა პირველყოფილ საზოგადოებაში ნაბდევილად არ იცოდნენ. ეროვნება არ აქვს ცხოველსო – განაცხადა საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზეიად გამსახურდიამ. გვინდა კი ასეთი? კოსმოსის მპყრობელებს გვინდა კი ამ დონეზე დაშვება?..

ეროვნული სული, ხასიათი და ფსიქიკური დონე თავმოყრილია დედა ენაში, ხოლო ენა, ჩვენი თვითმყოფადობის, ჩვენი გონების ლამპარი, ჩვენი სულიერების ჩირადდანი, ცოდნის და ინტელექტის საფუძველია. რაც არ უნდა უარვყოთ, ჩვენ სამშობლოში ქართულად

ჭიკჭიკებენ ჩიტები და ქართულად ხმაურობს დელქ, მდინარე, ქართულად შრიალებენ ტყეებიც. საქართველოში ყველაფერს ქართული სული და სულიერება ამოძრავებს.

„რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“ – ამბობს გრიგოლ ორბეგლიანი. ენის დაცემის მაგალითი ისაა, ბავშვები უცხო ენაზე რომ ეუფლებიან ყველა საგანს, ხდება შერეული ქორწინებებიც და რამდენიმე თაობის შემდეგ მარტო სახელ-გვარი თუ ექნება ადამიანს. ენის დავიწყება კი ერის დაცემას მოგვცემს შედეგად... თუ ენას მოწყდები, მაშინ მშობლიურ მიწასაც მოწყვეტილი ხარ და ამდენად ნიადაგიც გამოცლილი გაქვს – ეს კი მწვავედ აისახება იმ პროფესიაში, რასაც ეუფლება ადამიანი. აქ დამურადქცეული თაგვის იგავი მაგალითისათვის ნამდვილად გამოდგება.

ქართული ენა – ღმერთების ენაა და მისი იგნორირება არ ეგების, რადგანაც თუ ღმერთის ენას დაიწიწყება, მაშინ რწმენაც აღარ გექნება და ურჯულოს, გადაგვარებულს გიწოდებენ.

თურქეთში მცხოვრებმა „გურჯებმა“ დღვეანდელობამდე შემონახეს ქართული ენა და ადათ-წესებიც, მაგრამ სამწუხარო ფაქტის მოწმე შევიქენი წლების უკან. სტუმრად მყოფს, იქაურმა ბიძაშვილმა მითხრა – აქამდე ვინც მოვალწიეთ, ვინათესაოთ, ამის იქითა ვინც იქნებიან, ადარ მოიკითხოთ, ისინი უკვე თურქები იქნებიანო, იმიტომ რომ ჩემმა შვილმა ქართული ენის ცოდნა აღარ იკადრაო... ასე და ამგვარად, ქართული ენა თურქეთის დროშის ქვეშ აღარ იბრწყინებს, იმ ვარსკვლავივით, რომელიც მათ ემბლემას ამშვენებს მოვარესთან ერთად. ქართველები ანუ ცნება „გურჯები“ ისტორიის წაშლილ ხსოვნად დარჩება (და არა ისე დღეს ჰეზიდენტმა რომ განაცხადა თურქეთში „სულიერს“ ოთხასი წლის წინათაც მდეროდნენო...) სასაცილოა არა?...

მანც რატომ უნდა დაიკარგოს ქართული ენა?

ამ კითხვას ისევ ქართული ენა უპასუხებს: უკვე შემოჭრილ-შეთვისებული უცხო სიტყვები ქართულ ენას გამოდევნის საერთოდ, ეს უცებ არ მოხდება, მაგრამ ამის მაგალითი უკვე გვაქს – რუსეთში მრავალი ენა დაიკარგა, მათ შორის კავკასიური – უბისური, ასევე თურქეთში და სხვაგანაც. ამერიკაში რამდენი რჯულის ხალხია და

გაინგლისურებულია უკვე ყველა.

დავუბრუნდეთ სწავლა-აღზრდას.

ძალიან ბევრი, გაინადდებს – რა დიპლომს, თავი უკვე საზოგადოების აღმატებულ წევრად მიაჩნია. დიპლომის აღებას ხუთი, მაქსიმუმ რვა წელი სჭირდება, ადამიანობის მოპოვებას კი მთელი სიცოცხლე. ამიტომ, დიპლომი არაფერს ნიშნავს თავისთავად. ყველაზე კარგი დიპლომი – ადამიანობაა, რომელიც სწავლით არ მიიღება მარტინენ, იგი უნდა მოიპოვო შენი კეთილსინდისიერებით და დაუღალავი შრომით. ამის მისაღწევად, სხვის კეთილდღეობაზე თავგადაპლული ადამიანები გმირების ტოლფასნი არიან, ხოლო ფულისკეთებას მიღევნებული ადამიანები – საძოვარზე მიშვებული ნახირივითაა, რომელსაც მარტო ჭამა აინტერესებს. (ბოდიშს ვიხდი ამ შედარებაზე).

ფული ხომ საჭიროაო – შემედავებიან ვიცი, მაგრამ იგი ხომ კეთილი გზით უნდა მოიპოვო, ცეცხლის დადარიდან უნდა გამოიღო, მას ოფლის სუნიც უნდა ასდიოდეს.

ადამიანობა მარტო ფიზიკურ არსებობას არ ნიშნავს. მოვიყვან მტკიცნეულ მაგალითებს: მოხდა ისე, რომ იღუპებოდა გემი, სადაც იმყოფებოდა ქართველი მეცნიერი – ისებრ ქორდანია, რომელმაც მაშველი რგოლი უბილეთო გოგონას დაუთმო, თვითონ კი ოკეანეში დასრულა სიცოცხლე.

2011 წელს, ივლისის თვეში, მდინარე ვოლგაზე იძირებოდა გემი. ჩაძირვამდე ვიღაც მამაკაცმა იღუმინატორი ჩამტვრია და იქ მყოფი ბავშვი გადაარჩინა – გააძვრინა შიგ, თვითონ კი დაიღუპა. ესაა ნამდვილი გმირობა. ასეთებს ძეგლის დადგმა არ სჭირდებათ. ისინი ხალხის გულშია აღმართული ქეგლად და კეთილშობილების განსახიერებად. სწორეც ამიტომ აღზრდაში უნდა ფიგურირებდეს ცნება „რომ ბავშვი უნდა აღიზარდოს დიდი, უდიდესი ადამიანი და ამ უდიდესი ადამიანურობის სათავე უნდა იყოს“. ჩვენ არ უნდა მოვიმკოთ ჩვენივე დაუდევრობის შედეგი, რაც მოსწავლეთა არსწორი აღზრდით ჩვენვე დაგვატყდება თავს უბედურებად. ოუმცა უნდა განვმარტო თუ რაში გამოიხატება ჩვენი დაუდევრობა: ისევ და ისევ

მაქსიმალურად უნდა ვცდილობდეთ მოზარდის ისე აღზრდას, რომ როცა საფლავში აღმოგნებით, მათ გამო ჯოჯოხეთში არ მოვხვდეთ. ამისთვის პირველი და აუცილებელი პირობაა, დროის მაქსიმალურად გამოყენება. ყოველი დაკარგული წეოთი დაკარგული ცოდნაა და ამიტომაც სწორედ, დროის მაქსიმალურად გამოყენება ცოდნის მისაღებად თვრამეტ თცდახუთ წლამდე უნდა მოხერხდეს, თორებ მერე მისი მიღწევა ძალიან ძნელია, ანუ ხე როცა ნორჩია, მაშინ იძლევა მისი გადარგვა შედეგს, თორებ გვიან გადარგული საჩრდილობლადაც არ ივარგებს. ერთადერთი – დროა ის ფაქტორი, რომელსაც უკან ვერასოდეს დავაბრუნებთ, ამიტომ მოზარდმა იგი მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს.

ძალიან ცუდ შედეგს იძლევა თავისუფალი დროის არასწორად გამოყენება – კომპიუტერზე მიჯაჭვა, პორნოფილმებზე უურება, ლაზრანდარობა და ათასი რამ, რომელიც სახელმწიფოს რდვევის პროცესის შემადგენელი ნაწილია და რატომდაც ამ საკითხს ჯერვანი ყურადღება აღარ ექცევა.

ადამიანმა სიცოცხლე გონივრულად უნდა გამოიყენო. ფუჭ სიცოცხლეს ჟანგიც კი მოეკიდება – ამის გაცნობიერება კი ვალად ნამდვილად გვაძევს კისერზე.

უკრაინელი პედაგოგი ვასილი სუხომლინსკი წერს, რომ „ადამიანს სამი უბედურება ელოდება – სიბერ, სიკვდილი და ცუდი შეიღწბის“-ო. პირველი ორი გარდაუვალია, ხოლო შვილების მისამართით ყველა სწავლული მიგვითოთებს, რომ მათ წესიერად უნდათ აღზრდა. თუ წესიერად არ იქნებიან მოზარდები აღზრდილი, ისინი ვერც ნამდვილ ოჯახს შექმნიან და თუ შექმნებს, შვილებს სათანადო საფეხურზე ვერ შეაყენებენ.

ზოგიერთი მშობელი „მოდას“ აყოლილია და ამით სერიოზულ ზიანს აყენებს არა მარტო მოზარდს, არამედ მთელ საზოგადოებას, ქვეყანას, ერს. აღზრდაში და გაზრდაშიც უნდა დომინირებდეს უპირველეს ყოვლისა მოზარდის ჯანმრთელობა. „ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია“ – ეს არ უნდა დავივიწყოთ და სწორედ იმ „მოდასაყოლილი“ მშობლებისთვის დაფიქრებად დირს რჩევა.

რაც მთავარია – ჩვენი მისიაა ჯანსაღი თაობა ვუპატაკოთ სამშობლოს და არა ისეთი, ძრავაგაუმართავი თვითმფრინავით რომ აფრინდება და მიწას დაენარცხება., რაც აგერ ახლა მოხდა ქალაქ იაროსლავის ახლოს.

იტყვიან „კვიცმა გვარზე უნდა იხტუნოს“, მე ვიტყოდი, რომ ეს მცდარი შეხედულებაა. გვარიშვილობით ადამიანი არ ფასდება, იგი პირველ რიგში ადამიანი უნდა იყოს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. საქმით, სიდინჯით, კაიკაცობით და გმირული საქციელით უნდა გამოირჩეოდეს სხვათაგან.

ბავშვობიდანვე ფულით სამაგიეროს გადახდა, ბავშვს რა თქმა უნდა სიკეთის რელსებზე ვერ შეაუტებს. იგი გამოვა, ჯერ ერთი უსწავლელი, ეგოისტი და იქნებ მოღალატეც. სიმდიდრეს დახარბებული მხოლოდ ვაჭარი დადგება და ბოლოს იქნებ განსასჯელის სკამზეც აღმოჩნდეს.

ბოროტებად არ იბადებიან. არაჯანსაღი გარემო და ცუდი აღზრდა ამრულებს გზას, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ „მარტო სწავლა ვერას უზამს, თუ ბუნებამც არ უშეელა.“

ანტიკური ხანის ფილოსოფოსებმა ბავშვის გონება სუფთა დაფას შეადარეს. დაფაზე კი ყველას შეუძლია თავის შეხედულება და აზრი დაწეროს, რომელიც, რა თქმა უნდა, ერთნაირი ლირებულების არ იქნება.

თუ ჰედაგოებში ურთიერთ თანმხევდრი აზრი არ იქნება აღზრდის დარგში, თუნდაც ოჯახში, სადაც მშობლები სხვადასხვა მხარეს იმზირებიან, გამწევი ძალის – ხარების მსგავსად – თუ ერთი ერთ მხარეს ექაჩება, მეორე კი საპირისპიროდ, იქ ვერც ხნული გაიგლება და ვერც სახარბიელო საქმე ვერ გაკეთდება.

მეორეს მხვრივ, როცა ბავშვი ტოლ ამხანაგებში გასართობად დროს გამონახავს და ვერ ჩახვდება იმ აზრს, რომ ვისთან იმეგობროს, ასეთისგან ვინ ჩამოყალიბდება, ეს საზოგადოების განსასჯლია... ბავშვება უნდა იცოდეს ავის და კარგის, კეთილის და ბოროტის გარჩევა. თუ არა ეს, იგი უმეტეს შემთხვევაში უარყოფით ფიგურად იქცეს იქნებ. და აქ დავასახელოთ შეიძლება „მოდას“ აყოლილი მშობლებიც, ვინც არაფერს ერიდება, რომ თავისი შვილი

სხვებზე აღმატებულად წარმოაჩინოს. ამ დროს მოზარდს ეს სურვილი უათკეცდება და იმ „მოდასვერშეწყობილი“ ადამიანებისგან იქნება გაირიყოს კიდევ.

იღია ჭავჭავაძე ამბობდა „ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვა რამედ.“ აქ უკვე ფიგურებს ანდაზა „დედა ნახე, მამა ნახე...“ მაგრამ უმეტეს შემთხვევაში დედან-ახულ – მამანახულები უარესები გამოდიან... ბუნებამ უნდა უშველოს ასეთებსაც.

ცუდი და მანკიერი რამ გადამდებია და ბავშვი თუ ამას ვერ განსაზღვრავს, მისგან ბრძენებული არასოდეს დადგება.

ბავშვის პირველი აღმზრდელია დედა და დედის მაგალითი მართლაც გადამდებია ბავშვისთვის. დედის გარეშე არ არსებობს არც გმირი, არც ანტიგმირი და... არც დამნაშავე.

სშირად გაისმის „ბავშვი ჩემია და ვისი რა საქმეა, როგორ ვზრდოი.“ არც ასეა საქმე. ჩეკნს მიერ გაჩენილი შეილი შემდეგში სამშობლოსა და ერის საჯუთოებაა. იგი ქვეყნის მომავალია, მსახურია, მაგრამ უნდა გვასსოვდეს, რომ „წყარო თავში სუფთა უნდა იყოს, თორქებოლოში მდვრიე დაგვხვდება“ – ამას ჩაგვაგონებს იღია მართალი.

ბავშვის აღზრდაში უპირველესი და უდიდესი როლი დედას ეკუთვნის, მაგრამ ვაი ისეთ შვილს, რომელიც ქუჩაში გამოვა და ურცხვად იგინება, დედის ჩაყოლებით „ჩემი დედაო“ – განა ეს მოსათმენი და ასატანია? ვაი, დედის სახელის ამგვარად მომხსენებულ შვილს... დედა არ ასწავლიდა მათ გინებას...

როგორ უნდა დაეცეს ადამიანი ასე? შვილს ყველა დედა ზრდის მაგრამ... „ბავშვის გაჩენას რა უნდა, მისი აღზრდაა მთავარი“ და ერთიც კიდევ – „ვადიდოთ ქალი, დედა“, რამეთუ ერის და ქვეყნის დედაბურჯი – დედაკაცია, უბრალოდ დედა და დედაზე შეგინებით ვაჟაცობას არამც და არამც, არავინ მოიწონებს. მოხდა ასეც – ქურდთან მივიდა ერთი ახალგაზრდა, გულზე მჯიდის ცემით ფიცი-მტკიცი დაიწყო და თან დააყოლა – ჩემი დედაო... ქურდმა კი უპასუხა – მეცო... აღარაფერი უთქვამს მომჩივანს, შებრუნდა და წავიდა. ახიც იყო მასზე.

ადამიანს იმიტომ გქვია ადამიანი, ამ წოდების დირსი უნდა იყო. ადამიანობა ქვაკუთხედია პიროვნებისა (ამ ქვაკუთხედებითაა აგებული პირამიდები...), რომელიც მის სახელზე ათასჯერ მაინც უნდა იყოს აღმატებული. ფულით ვერ იყიდი ადამიანობას, იგი ცხოვრების გზებზე უნდა მოიპოვო, მაგრამ?..

ბრძენი ფილოსოფოსი დიოგენე დღისით-მზისით, ანთებული ფარნით დაეძებდა ადამიანს... მიაკვლია თუ არა არ ვიცით, მაგრამ, იგი დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, ფარნები არ ეყოფიდა ადამიანის საძებრად... იქნებ კიდევ თქვას ვინმემ, არც მთლად მასეა საქმეო. გადავხედოთ ცხოვრების ბილიკებს, რომელიც თითქოსდა უცოდველად გაგვივლია, რამდენი ბოროტება შეგვხვდრია, რომელსაც ვერ შეგბრძოლებივართ. თავი მართლა უცოდველად მიგვაჩნია, მაგრამ ვართ კი?.. როცა უდირსი ვიღაც შეგვხვდრია და იმის შიშით, დანა ან ტყვია არ გაგვიყაროს, ვერაფერი გვიმოქმედია?...

ადამიანი...

ამას ზეციური ძალები აყალიბებენ.

„მგლის თავზე სახარების კოთხვაო", ან „შეაყარე კედელს ცერცი" – ეს ანდაზები თუ სხვა ბრძნული გამონათქვამები ყველა დროს მიესადაგება პიროვნებებს და... ბოროტებას რომ ვერ დაძლევს?.. ანდა რამდენი უნდა დაძლიო... სულ ბოროტებით გადაძებგილია სამყარო!..

ჩვენ გვინდა რომ ბავშვი ზრდილობიანად ჩავაბაროთ ქვეყანას, ხალხს. განა ეს შესაძლებელია? არა, ვერ შევძლებო, სანამ საკუთარ „მე"-ს არ დავძლევთ... ეს „მე" კი, მარტო მე არ მეხება... რამდენიმე მილიარდს და იმათ, ვინც თავისი თავის გარდა ვერაფერს ამჩნევს... არა, ჩვენ ამათ ვერაფერს დავაკლებთ... თუ დმერთი არ დაგვეხმარა, ჩვენი საშველი არ იქნება.

ხარ უაღრესად კეთილი თუ კეთილშობილი, ყოველთვის სხვათ შემწე და დამხმარე ხარ, სხვებს ახარებ, თავად კი დიოგენივით უსახლკარო რჩები... რას ვიღებოთ ცხოვრებაში? სხვებზე ხელის გამმართველზე ყოველთვის ფიქრობენ – ან სულელია ან ჩვენ დირსნი ვართ, გვეკუთვნის, ასე რომ გვექცევაო. მაინც რა გვრჩება

ჩვენ? სახელი, რომელითაც საიქიოს გამგზავრებისას გამოსათხოვა-
რი სიტყვით მოგვმართავენ?..

პო, ალბათ ასეა...

ადამიანის ჩამოყალიბება იმად, რაც ქვეყნისთვის, საზოგადოებ-
ისთვის მისაღებია, ძალიან ძნელია და ერთეულების ხვედრია.

ინდიგიდუალურია ადამიანიო... გისინჯავთ კი ინდივიდუალუ-
რად მიღვინა?... ალბათ კი და, როცა მოსცილდები ასეთ ინდი-
ვიდებს – მოცლია ერთი ვიღაცააო, იტყვიან. აი მგლის თავზე
სახარების კითხვაც...

ბავშვის პატარაობიდან უნდა გავუდვიძოთ ადამიანური გრძნობე-
ბიო... როცა ქვეყნის კეთილ საქმეებს სძინავს და მოზარდი ამას
ხედავს, როცა შიმშილით კუჭი უხმება და ვერც ხეირიანად ჩაუც-
ვამს, რა გრძნობებზე და მორალზე უნდა ესაუბრო. თვალის და
პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გრძნობა ყველას
გააჩნია. არეულ-დარეულ დროში ინდივიდები ვერაფერს გავაწყობთ
და სასჯელადსრულების ადგილებიც ამ მიზეზითაა გადატვირთუ-
ლი, გამომწყვდევლები კი დემონურად ხარხარებენ... აი, ის ბოროტე-
ბა, რომელსაც კისერს ვერ ვუგრებო – ბოლოს ჩვენზე ახარხარდე-
ბა... ბოროტ ძარღვს ამოკვეთა სჭირდება, მაგრამ გავწვდებით განა?!

პირვენება, რომელიც ხედავს, რომ მასზე კარგი ხარ (თავად კი
არ უნდა, რომ კარგი იყოს), ყოველთვის ცდილობს, რაღაც ზიანი
მოგაყენოს, დანაშაული ჩაგადებინოს. ეს თვისება განა სკოლიდან
გამოყვა? არა, რაც დაინახა და გაიგონა სახლში და გარემოცვაში,
იმას ბაძავს ყოველთვის და საზოგადოებაც ვიღაცის ხათრით
წაუყრუებს ხოლმე ასეთებს. აი აქაა სწორედ ძაღლის თავი დამარხ-
ული. ამიტომაც, კეთილმა ხალხმა ისიც იცის, რომ იმდენი გააკვ-
თონ რასაც გაუძლებ და აიტან ასეთი უდირსებისგან.

თუ პიროვნებას დირსება არ გააჩნია, მისგან შორს თავის დაჭ-
ერა სჯობს. მორალის კითხვა და შეგონება ვერაფერი საქმეა ასეთებთან.
ბავშვი, რომელსაც „გაუდის“, რაღაც დროის მონაკვეთში და ამას
მშობლები „ვერ ხედავენ“, იგი თავისი სურვილების მონა ხდება და
ამ მონობიდან თავის დაღწევას არც იცდილებს, პირიქით. და სწორედ

ასე ხდება ბოროტი და დესპოტი. ამის გამო იყო, რომ ერთ ქვეყანაში პირდაპირ ხრამში ისვრიდნენ ასეთი ადამიანების ნაშიერებს.

მგელი როცა ლეკვებს შობს, მათ მგლად ქცევაში ისევ ბუნება თამაშობს დიდ როლს, ხოლო ორფეხა მგელი ბოროტ ძალად ოჯახი-დანვე იქცევა... მხეცი, მხეცად დარჩება, ადამიანი კი არასწორად აღზრდით შეიძლება იქცეს ორფეებ მხეცად, სახედარად და რაგინ-დარა ბოროტების განსახიერებად. ამიტომაც, თუ დედა თავის სიმა-დლეზე არ დგას ოჯახში, ადზრდის საქმე წინ ვერ წავა. როგორც პოეტი ვაჟა ფშაველა ამბობდა „დედაკაცს შეუძლია დაამხოს ერი და კიდევ ადადგინოსო.“

ცხოვრებაში მსგავსი მსგავსს ანუ ვეფხვ-ვეფხს, მგელი-მგელს არ ერჩის, ანუ „მგელი მგლის ტყავს არ დასხევს“ – იტყვიან. ასეთი რამ მხოლოდ ადამიანებში ხდება, დიახ, ორფეებ მხეცებში და არათუ მორ-ალურად, ფიზიკურადაც გაგანადგურებს. ისეთი მონადირის ოჯახში, სადაც წიგნიერებაზე ლაპარაკი გალაქტიკაზე ოცნებას პგავს, შვილი ისეთივე ტყიური გამოვა, როგორიც თავად მონადირეა და ასეთი შვილებ-ისგან სასიკეთოს ბეჭრს არაფერს უნდა ველოდეთ დიახ, მხეცად ქცევა-ში ოჯახური გარემოც ფიგურირებს. აი, ამიტომაც თქვა დიდმა რუსთველმა: „კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოსდინდების“...

ახლა საკლასო ოთახში შევიხდოთ, თუნდაც ჭუჭრუტანიდან და დავინახავთ კი არა, გავიგონებოთ მასწავლებელთა უხეშ მიმართვას ბავშვებზე – კრეტინო, დებილო, უზნეურო, უჯიშო და სხვა მისთანა. მასწავლებელი ხომ ეტალონი უნდა იყოს მოსწავლისათვის?..

ჩემი მოსწავლეობიდან: გვევავდა ისეთი მასწავლებლებიც, რომ-ლებიც ზემოთქმულის მსგავსად იქცეოდნენ – შე უზნეურო, შე ტუტუცო, შე უჯიშო, გამოთაყვანებულო, ჩერჩეტო და სხვა. აღრესატებს მართლაც ეპუთვნოდათ ასეთი ლანძღვა, მაგრამ მასწავლებელს იმიტომ ქვია მასწავლებელი, რომ მისგან რაღაც ვისწავლოთ. ასეთებისგან კი?...

მიუხედავად ასეთი მიღვომისა, მე ისინი არასოდეს მძულდა, ყველა მათგანი მიყვარდა, იმიტომ რომ ჩემს მიმართ არასოდეს გამოუყენებიათ სალანძღვი, „მე“-ობის შემდახავი სიტყვები.

მაგონდება ასეთიც: მასწავლებელმა მოსწავლეს ლმობიერად

მიმართა – ასეთი ცოდნით შორს ვერ წახვალო. ის ბავშვი შემდეგ მეზღვაური გახდა და კუბის ნაპირებიდან რადიოგრამა გაუგზავნა მასწავლებელს – ნახე, რა შორს წავედიო. აქ თითქოს ხუმრობასთანაც გვაქვს საქმე, მაგრამ... ამიტომაცაა საჭირო, მოსწავლის აღზრდაში მარტო მისი პიროვნული თვისებები კი არ უნდა ჩამოაყალიბოს მასწავლებელმა, არამედ უნდა ხულის სიღრმეში ჩაწვდეს და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებაც უნდა გაიგოს, რათა საჭირო უნარ-ჩვევებზე მიუთითოს.

კი ბატონი, მასწავლებელს ბავშვის „შელამაზებაში“ ცოტა ზედმეტიც მოუვა ხანდახან, მაგრამ მოდით ვიფიქროთ: იქნებ ისინი ჩვენთვის, ხალხისთვის საჭირო პროფესიას დაუუფლებიან, ჩადგებიან ხალხის (ჯიბის...) სამსახურში, მაგრამ იქნებიან ასეთივე უხეშები, რბილად რომ ვთქვათ, მასწავლებელ - სარგის ანარეკლები...

სკოლა მოზარდი თაობის პიროვნებად ჩამოყალიბების სამჯედლოა, ოჯახური აღზრდის დამაგვირგვინებელი, მაგრამ უდისციპლინო თჯახიცა და სკოლაც იგივეა, რაც უბავშვებო სახლი, ტყე უხევბოდ, ბაზარი მოვაჭრეთა გარეშე და სხვა.

ზოგიერთი შშობლისგან განსხვავებით, რომლებიც ნახევარი წლის გასვლის შემდეგ შეეკითხნენ ექიმს, თუ როდიდან დაეწყოთ ბავშვის აღზრდა, რაზედაც პასუხი მიიღეს, რომ უკვე დააგვიანეოთ, შეეიცარიელი პედაგოგი ჰქონის პესტალოცი მიუთითებს, რომ ბავშვის აღზრდა მისი დაბადებიდანვე უნდა დაიწყოს... უბედურებაა, როცა ბავშვი თავნება, ჯიტი, უდისციპლინო გაიზრდება. სწორედაც დაბადებისთანვე უნდა დაიწყონ შშობლებმა მისი აღზრდა.

ჩემული მოსაზრება ასეთია; როცა ბავშვი დედის მუცელშია, იგი შებოჭილია და როცა „თავს დაიხსნის“ – ასხმარტალდება და ფეხგანსნილი თავის ნებაზე მიეშვება, თუ მისი, ასე ვთქვათ „შებოჭილობა“ არ გააგრძელა მშობლება, სავალალო შედგამდე მიგვიყვანოს იქნება.

შედარებები მოვიყვანე, მაგრამ ასეთსაც დავამატებ: როდესაც ვპლურ ცხენს მოთოვავენ და მოათვინიერებენ, იგი ადამიანის სამსახურშია და პატრონის ერთგულია, მაგრამ თუ ის გაველურდა, მისი მოთოვა უკვე შეუძლებელია, იმიტომ რომ, მათხრახი მის სხეულზე კვალს

ტოვებს – ახესოვს ცხენს მათრახის სიმწარე და ადამიანს ახლოს აღარ მიუშვებს. დაახლოებით იგივე შედეგი გვაქვს ადამიანებშიც.

როცა ბავშვს მშობლები „ჩიტის რძესაც“ არ აკლებენ, მათი აღზრდილი ბავშვები ხელმეორედ აღზრდას საჭიროებენ, მაგრამ შემდეგი აღზრდა მთელ რიგ სირთულეებთანაა დაკავშირებული და შედეგსაც მცირეს იძლევა, ან სულაც უშედეგოა.

მცდარი აზრია – ბავშვი თანდათან გათვითცნობიერდება ცხოვრებაში და გამოსწორდებაო... დიახ, ხშირად ასეთ შემთხვევას ახალშექმნილ ოჯახებშიც ვაწყდებით, როცა შემომატებული რალი ოჯახიდან გამოყოლილ ჩვეულებებს არ დალატობს და იქაც ცდილობს თითის წვერზე დაიხვიოს ყველა. აი, „ჩიტის რძის“ შედეგიც... მან არ იცის რომ, „სადაც მოხვდები იქაური ქუდი უნდა დაიხურო“ და... ამ დროს ფიგურირებს აზრიც – დრო გავა, დაქალდება და ყველაფერი მწყობრში ჩადგებაო... არაფერი შეეშალოს ვინმეს, მსგავსი რამ იშვიათად ხდება. ასეთი მიღგომა შინაური, ოჯახური არზრდის უკუდმართი ფორმაა და შედეგიც უკუ იქნება.

აღზრდაში ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ იალქნიანი ნავის მართვა შეუძლებელია ქარის მიმართულების გაუთვალისწინებლად.

უარყოფით შედეგამდე მივდივართ მაშინაც, როცა ერთეული მშობელი ბავშვს სჯის დამსახურებულად, მეორე კი ხელს აფარებს. ეს უფრო ბებია-ბაბუქების მხრიდან ხდება. ბავშვი ეწვევა უარყოფითს და მერე მისი გამოსწორება ძალიან მნელია. ბავშვს ბაგჟვობიდანვე უნდა პქონდეს სწორად შერჩეული დღის განრიგი, რომლითაც გამოუმუშავდება დისციპლინის ჩვევა.

ზემოთ ვახსენე დედის, შემომატებული რძლის როლი.

როცა ქალი უპატივცემულოდ ექცევა, დაუმსახურებელი საყვედურებით ავხებს ოჯახის უფროსს (ამ შემთხვევაში მეუღლებს) ან დამხვედრ პიროვნებებს, ოჯახის სხვა წევრებს, იქ რა აღზრდასაც ექნება ადგილი, საყოველთაოდ ცნობილია.

რუსთაველის აფორიზმი – „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“ გენდერული პრობლემის მოხსნას ან აღზევებას არ

გულისხმობს. ვისაც ეს აზრი მცდარად ესმის, მისთვის აღზრდის საკითხი მწვავე პრობლემად რჩება. მართალია, მშობლები თანაბარუფლებიანი არიან აღზრდაში და, როცა ერთერთი მშობელი წელზე ფეხს იდგამს ოჯახის სარჩენად იქ დედამ დიდი როლი უნდა ითამაშოს, მაგრამ ხდება ხშირად პირიქით, ქალი მეუღლეს ათასგვარ პრობლემებს უყენებს და ამგვარი მიღვომით აფუჭებს არა მარტო მოზარდის ფსიქიას, არამედ ოჯახის უფროსისასაც და სწორედ ეს განაპირობებს ოჯახების დანგრევას, რომელიც არასასურველ შედეგს ტოვებს ყოველთვის. აი, თავიდათავი აღზრდისა.

აღზრდის ერთერთი განმაპირობებელია კულტურული ქცევის წესებისა თუ წვევების შესისხლხორცება, მაგრამ კულტურული ქცევის წესების მცოდნე არ ჩაითვლება კულტურულ პიროვნებად, თუ თავადაც ისე არ იქცევა, როგორც „წესები“ გვიჩვენებს.

კულტურული ქცევის უძრავი კომპონენტი არსებობს, რომელთაც განუხერედად უნდა იცავდეს ყველა. ქცევის წესებში უკეთ გასარკვევად არსებობს დამხმარე წიგნი – იან კამიჩევის „ყოველდღიური ზრდილობა“, რომელიც კულტურული ქცევის წესებში ღრმად ჩახედებს წამკითხველს.

არსებობს შინაგანი და გარეგანი კულტურა. თუ ადამიანს შინაგანი კულტურა არ გააჩნია, მასზე გარეგანი კულტურის მოთხოვნა, უბრალოდ, წყლის ნაყვაა და მეტი არაფერი. მოვიყვან უბრალოდ მაგალითს. ავტობუსში ერთერთ სკამზე ისხდნენ დედა და ვაჟიშვილი, სხვები უცნობები იყვნენ. დედამ შვილს უჯიკავა და თავი ფანჯარაში გადააყოფინა იმ მოტივით რომ ფეხმძიმე ქალისთვის ადგილი არ დაეთმო. ასე იმგზავრეს ორმოცი კილომეტრი... აი, ქცევის კულტურა, აღზრდის შედეგები, რომელიც დედას და შვილსაც მოეთხოვებათ... თუმცა ისიც უნდა დავამატო, რომ მათ რამდენიმე ათეული წლით გაუსწრეს დღეს შემოღებულ თანამედროვე „ტესტებს“, სადაც ახალგაზრდას მიუთითებენ, რომ რადგანაც იმ ადგილის ბილეთი აქვს შეძენილი ადგილი არ უნდა დაუთმოს მოხუცს, არც ხეიბარს და არც ფეხმძიმეს.

წვენი თაობები ისე აღვიზარდეთ, ამ მაგალითით გამოვირჩეოდით

სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ და დღეს ბავშვობიდანვე მოზარდებს უნერგავენ ამ უნარ-წვევებს, რომელიც დანგრევის პირამდე მიიყანს აღზრდასა და რაგინდარასაც. არასწორი კულტურული ჩვევების გამო-მუშავება მოზარდებს მოთხოვნილებად ექცევათ, რაც მოელ საზოგა-დოებას მძიმე შედეგს დაუტოვებს.

ახალგაზრდების სწორ გზაზე დაყენების მთავარი პირობაა საყოველთაო შრომითი ჩვევების გამომუშავება, რაც პატარაო-ბიდანვე უნდა ჩავუნერგოთ. თუ შრომითი დისციპლინით ავღზრდით ბავშვებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არავინ დაადგება ფუქსა-ვატი ცხოვრების გზას. შრომითი ცხოვრების მეოხებით ნებისმიერი მონახავს ადგილს ცხოვრებაში. რაც მთავარია, ბავშვი ადრიდანვე უნდა მივაჩვიოთ ხელსაქმეს. ბევრგვარი პროფესია არსებობს, მა-გრამ მათ ყველა ერთნაირად ვერ აითვისებს, ამიტომ ვისაც რისკენ ექნება მიდრეკილება, იმ პროფესიას დაუუფლება მაქსიმალურად და ცხოვრებაში გამოიყენებს, არსად გაჭირდება. ამ მიმართებით სკოლებ-ში ადრე შრომის წრეები იყო, ხელგარჯილობის გაპეტილები ტარდებოდა, ისწავლებოდა სასოფლო-სამეურნეო, მანქანა-ტრაქტორების თუ სხვა მოწყობილობების მართვა და გამოყენება. ასეთი შრომითი სწავლებიანი სკოლებიდან გასული კურსდამთავრებული მონდომე-ბული მოსწავლე, უმაღლეს სასწავლებელს უპრობლემოდ შეუდებდა კარებს, ზოგი კი ფაბრიკა-ქარხნებს მიაშურებდა და ვინ კიდევ სოფლის მეურნეობას დაწაფებოდა.

სანამ „თავისუფალი“ ქვეყანა გვექნებოდა, მანამდე დასაქმების პრობლემა არ იყო. უმუშევართა რიგები ძალიან მცირე იყო და თუ იყო, ისიც ძალიან ზარმაცების გამო. არ უნდა ყოფილიყო უმუშევრო-ბის გამო დასჯილი არავინ... დიახ, იყო ასეთი დროც. ახლა „თავის-უფალ“ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მაგრამ ის ფუფუნება რაც ყველას გვქონდა, სიზმრად იქცა. ერთეულები, ვინც გამდიდრებას ახერხებდა რაღაც მანქანებით, თუმცა მაინც სახელმწიფოს სარჯზე ერთეულებს წარმოადგენდნენ. ახლა ბიზნესი ჰქვია ისეთ დასაქმებას, რომელიც ერთეულებისთვისაა განკუთვნილი. ასეთები მომრავლდნენ, მაგრამ ღმერთმა იცის ვის ხარჯზე.

აი, ამათაც ზრდიდნენ სკოლებში, თუმცა დიდკაცობამ თავისი გაიტანა, საზღვარგარეთის სკოლებში ასწავლეს შვილებს და იქნდან მათ სხვა თუ არაფერი, მხოლოდ ის შემოიტანეს, რომ დიდი კაცის შვილი ყოველთვის „ზემოთ“ უნდა იჯდეს, ხრავდეს სახელმწიფოს და სხვები მოწურ ცხოვრებას ეწეოდნენ. ეს კი, რამდენიც არ უნდა ატრიალონ ენიო, რამდენიც არ უნდა აკრიტიკონ, საბჭოთა წყობილების დროს არ ხდებოდა. მაშინ ყველა ერთნაირი პრივილეგიით სარგებლობდა (უმცირესი თაღლითები არ იყო მხედვებლობაში) ერთი დევიზით სულდგმულობდნენ: ერთი ყველასთვის, ყველა ერთისათვის. აი, აქ კი უნდა გავიხსენოთ კონა ისრების ამბავი, მამამ შვილებს რომ დაუდო და ჯერ სათითაოდ და მერე კონის დამტგრვება დაავალა. რა თქმა უნდა, თითო-თითო დაიმტვრა, კონა კი ვერ გაღუნებს. აი, ამ თითო-თითო ისრებივით ვართ დღეს დაშლილი და იღუზიებით ვიკვებებით.

ქედის რაიონულ სკოლებში გვაქვს შეხვედრები ლიტერატურულ სალონში, რომლის ხელმძღვანელია მერი დიასამიძე. მოსწავლებს მომავლისკენ სხვადასხვა გზებით ვახალისებთ, ვუჩვენებთ მიმართულებას, სტიმულს ვაძლევთ რაიმეთი დაინტერესებულ მოსწავლეებს და შედეგიც კარგი გვაქვს.

2010 წლის 8 ივნისს ერთერთი ასეთი შეხვედრის შემდეგ დაგათვალიერეთ ხელსაქმის ოსტატთა ნამუშევრები. ნახულმა განცვიფრებაში მოგვიყვანა. ბავშვებს ისე აუთვისებიათ ჭრა-კერვა, ქარგვა და ქსოვა, რომ ვხვდებით, ნებისმიერ მათგანს, ვინც ხელსაქმითაა დაკავებული, ცხოვრებაში არ გაუჭირდებათ. იქნებ სხვა სკოლებშიც არსებობს ამგვარი წრეები, თუმცა ამ სკოლის მაგალითიც საგამარისია, რომ მოსწავლე ახალგაზრდობას თუ დაგაინტერესებთ, ისინი თავიანთ მომავალს თავად უზრუნველყოფენ. ამისი ნამდვილად გვჯერა.

შვილის გაზრდა რა სიძნელეებთანაა დაკავშირებული ამის ახსნას არ შევუდგები, ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს – დათვური სამსახური არ უნდა გავუწიოთ მოზარდებს. უნდა გვახსოვდეს კიდევ ის, რომ შვილმა ყოველთვის უნდა აჯობოს მშობლებს – ეს წაადგება თვით სახელმწიფოს, ერს

და თავისთავსაც, რამეთუ შრომაში გამოწრობილი ადამიანი ყოველთვის სიკეთისთვის იღწვის და ნაკლებმოსალოდნელია მის-გან დამნაშავის გამოქვრწვა.

რახან აღზრდაზე და გაზრდაზე ვლაპარაკობთ, რაც ზოგს ერევა კიდევ ეროვნული ისევ დედის როლზე უნდა ვთქვათ ორივე სიტყვა.

დედის მშობლური სიყვარული და ზრუნვა იმდენად დიდია რომ ბევრს ჟყოფა საზრდოო, თუმცა ხმირად ერთს თუ ხვდება წილად. ეს სიყვარული კი წამალიცა და საწამლავიც, ამიტომ გადაჭარბება არ ვარგა აღზრდისა თუ გაზრდის დროს.

მშობელმა რა გზაც გაიარა, ის უნდა გაიაროს ბავშვმაც და ამ გზაზე, არავთარი სათაკილო და შემარცხევენელი არაა კეთილსინ-დისიერი შრომა.

მასსოვს ასეთი შემთხვევა: სამოცდათიან წლებში მრავალმილიონიან მოსკოვის ცენტრში შემჩერეს და საბუთი მომთხოვეს, მე კი ჩემი დაკოურეილი და გაშავებული ხელები ვაჩვენე, აი, ჩემი პასპორტი მეთქი ვუთხარი. სამართალდამცველებმა ზრდილობიანად მომმართეს – მიბრძანდიო. იმოდენა ქალაქში ადამიანი შავი ხელებით რომ გაივლის იმას საბუთი და კომენტარი ადარ ჭირდება.

ყოველგვარი შრომა დასაფასებელია და არა სამარცხვინო. ყველაზე სამარცხინო და სავალალოა უსაქმერობა. მოზარდმა თავად უნდა შეიგნოს შრომის საჭიროება. „შრომაშ შექმნა ადამიანი“-ო გვმოძღვრავდნენ. ასე და ამგვარად მოვაღწიეთ დღევანდელობამდე. შრომის შედეგი დადგებითი უნდა იყოს და ოფლიოტ გაუდენთილი... ლუქმა პურის მოსაპოვებლად მებავიც (მაპატიეთ) ირჯება და ისე შოულობს ფულს. დამერწმუნეთ, ისინი ნამდვილად არ გადიან ასეთ გზას საკუთარი თუ სხვის სიამოგზებისათვის. წარმოიდგინეთ ყოველ-დღე სხვადასხვა მამაკაცი და ხანდახან რამდენიმე, როგორი ასატანია. დრომ აქცია ქალები თითქოსდა „გამოუსწორებელ“ მებავებად. მიზეზი მათ აღზრდაში არ უნდა ვეძიოთ. მიზეზი, ვგონებ ყველამ იცის რაცაა, ამიტომ მკითხველისთვის მიმინდვია კომენტარის გაკეთება.

ერთ კომენტარის მსგავსს მაინც ვიტყვი, ოღონდ მთავრობის მისამართით (ნებისმიერ მთავრობას ეხება), მოუარეთ ქალებს, თორეგმ

საქართველო განწირულია – უცხოები აგვილრევენ სისხლის...

ცუდად აღზრდილი თაობა ერს, ქვეყანას, ხალხს სიცოცხლეს ვერ გაუხანგრძლივებს, პირიქით დაღუპვისაპერ ეწევა და რომ ეს ასე აღარ მოხდეს, მაქსიმალურად უნდა იზრუნოს ოჯახმა, სკოლამ და საზოგადოებამ ერთობლივად. მათობა და დედობა შვილების მარტოვდენ გაჩენით არ განისაზღვრება და არ ფასდება, არც მასწავლებლობა დირსობს ხელფასით, მთავარია და უწმინდესი მოვალეობა, ბავშვის, მოზარდის, ქვეყნისთვის და ცხოვრებისთვის საკაცობრიო იდეებით აღზრდა და დაკვალიანება.

ყოფილ საბჭოთა წყობილების დროს ფუნქციონირებდა მშობელთა სახალხო უნივერსიტეტები, სადაც ტარდებოდა ლექციები და მოხსენებები ბავშვთა და მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საკითხებზე, პრესტრეტებოდა პრესაში, თემატური ლექციები ტარდებოდა ტელევიზიონთა და რადიოთო, წარმოება-დაწესებულებებში პოლიტიკური ლექციების პარალელურად აღმზრდელობითი ხასიათის ლექციებიც იკითხებოდა, რასაც ნაყოფიერი შედეგი ახლდა. ყველა ესენი იგნორირებულია და ბევრი რამ თვითდინებაზეა მიშვებული.

ცხოვრებისეულ საკითხებზე დიახაც საჭიროა ლექციებისა და სემინარების ჩატარება, რომლის გარეშე ადამიანთა არსებობა დაცარიელებულ სკას დაემსგავსება ან სიმინდის მცხარეს, რომელსაც ტაროს მაგივრად უსარგებლო რამ განუვითარდება – სოკოვანი დაავადება, კიბო – რომელიც განუკურნებელია, სასიკვდილოა ერისთვის და ქვეყნისთვის.

ოჯახი, სკოლა, საზოგადოება თუ ერთ მჭიდრო კავშირში არ იქნებიან, ერისა და სახელმწიფოს დეგრადაციასთან გვექნება საქმე. თუმცა, მარტო ოჯახს და სკოლას ვერ დავაკისრებოთ ამ მისიას, მთავარი და გადამწყვეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ნებისმიერი კატეგორიის უმაღლეს სასწავლებელს. თუ რა გზით გახდა მოზარდი სტუდენტი, ამას ასე თუ ისე დიდად არ უნდა მიექცეს ყურადღება, ხოლო თუ ვინ გამოვა უმაღლესდამთაგრებული, სწორედ ესაა ყურადსაღები. თუმცა, ლაფსუსები მაინც იარსებებს, იმიტომ რომ, როდესაც ქვეყანა დემოკრატიის გზას აღვება, აღმზრდელობითი მოღვაწეობა დღის წესრიგიდან ამოვარდება ხოლმე, ხოლო ამ თავხელმიშვებულო-

ბის შედეგის სიმბიმეს ადრე თუ გვიან ყველა მიხედვისა, მაგრამ მისი აღმოფხვრისათვის ბრძოლა მწვავე და იქნება უშედეგოც დარჩეს.

ვისაც უნდა რომ კარგად ჩაწვდეს ადამიანის ბუნებას, აღმზრდე-ლობითი ხასიათის შეგონებებს, ჰუმანურობით განმსჭვალულ იდეებს, მათ დაკვირვებით უნდა წაიკითხონ და რამდენიმეჯერაც, ნოდარ დუმბაძის ნაწარმოებები და გაიგებენ, თუ რა ბევრს ვპარგავთ დღეს, დროის უგუნურად გამოყენებით. როცა ამ წიგნებს წაიკითხავთ, დამერწმუნეთ, რომ მსგავს ინფორმაციებს ვერცერთი მოდად ქვეული თუ დაავადებად შემოპარულ ინტერნეტში (და ვიდეო ფილმებში, სერიალებში) ვერ იპოვით.

უნდა წაიკითხოთ აგრეთვე გრიგოლ ლორთქიფანიძის წიგნი „ქაცი იმედით ცოცხლობს“ და ბევრი სხვაც, რომელთა ჩამოთვლასაც აღარ დაგიწყებ, იმიტომ რომ, ვისაც სურვილი აღდევრება, რომ წიგნიერი შეგონებით გათიაფისოს ცხოვრების გზა-ბილიკები, ბიბლიოთეკები გა-დატენილია ამგვარი ლიტერატურით და იქ შესულთ, რამდენადაც ვიცი, არ აძვებებ, პირიქით, ოღონდ იყოს სურვილი, გაუჩენარს გაგრიჩენენ.

ვნახოთ, თუ როგორ სიყვარულით, მოვალეობის გრძნობით და სხვა ადამიანური თვისებებით გამოირჩევა ნ. დუმბაძის მოთხოვობის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ პერსონაჟი ბებია ოლდა.

დიდი სამამულო ომის დროს, როცა ჯარისკაცებს ყველაფერ შესაძლებელს უგზავნიდნენ ფრონტზე, ბებია ოლდამ დედობრივი სხეულით და სითბოთი გამობარი, საკუთარი ნაწოლი მატყლის ლეიბი დაანგრია, წინდები მოქსოვა და ვიდაც ჯარისკაცს გაუგზავნა. აქ თითქოს არაფერია საკვირველი, ომის დროს, როგორც ვახსენე ძალიან ბევრს გზავნიდნენ ფრონტელებისთვის... ოლდა ბებიამ ნივთი კი არ გააგზავნა, თავისი სითბო უწილადა ვინმე ჯარისკაცს, დედური სითბო გააყოლა წინდებს... აი, ასეთი უნდა აღიზარდოს ადამიანი, რომ თავისი სითბო სხვებს გაუნაწილოს და ის სული, რომლის ტარება ერთ ადამიანს ნამდვილად უჭირს, ვიდრე სხეულის თრევა, სხვას მიათბუნოს და ამით შეუმსუბუქოს ის ტვირთი, რასაც მძიმე სული აკისრებს ადამიანს, ანუ ერთმანეთს უნდა შევაშველოთ ხელი, სულის სითბო, კეთილი გული და აზრებიც კი.

როცა ბებერი ოლდა ასეთ დამოკიდებულებას იჩნენს ფრონტზე წასული ჯარისკაცებისადმი, არ შეიძლება მის კალდაჭალ არ დაგასახელოთ ის ბავშვები, რომლებიც საარაკო გმირობებს სჩადიოდნენ მთელი ომის პერიოდში. ისინი გმირებად იქცნენ, მათზე შექმნილია კინოფილმები, მოთხოვნები, დღესწები და სიმღერები. უკვდავია მათი სახელები, ვინც თავი გასწირა მომავალი თაობების საკეთილდღეოდ.

ირინა სხირტლაძე, თამარ და ზოია რუხაძეები, ზოია კოსმოდემიანსკაია, ოლეგ კოშევოი, სხვები და სხვები. სკოლის მერხიდან მიღიოდნენ ბრძოლის ველზე და უმაგალითო გმირობებს სჩადიოდნენ. განა მათი სახელით და გმირობით არ უნდა იზრდებოდნენ დღეს ბავშვები?.. მათი სახელები ოქროს ასოებით ჩაიწერა ისტორიაში, მაგრამ ამ ისტორიებს უკვე მტკერს აფარვინებენ. რატომლაც შეგნებულად ავიწყებენ გმირებს დღვევანდელ მოზარდ თაობას და დღისითმზისით, მიზეზით თუ უმიზეზოდ ქართველი რომ ქართველს კლავს, ყბადადებული ტელევიზიით ასეთებს ამასხოვრებენ ახალგაზრდებს და მომავალ თაობებს. დღეს ბავშვს რომ შეეკითხო ვინ იყო რუსთაველი, თამარ მეფე, სტალინი, მგონი პასუხს ვერ გაგცემენ, არადა ისინი მსოფლიო პიროვნებები იყვნენ. მეზობელ თურქეთში დიდიან-პატარებიანად ყველამ იცის თამარ მეფის სახელი, არ იგიწყებენ და საკუთარი მშობელივით ესიყვარულებიან და უფრთხილდებიან, ხოლო სტალინს მსოფლიოში არც მტრები იგიწყებენ და არც კეთილმეგობრულად განწყობილები. რუსთაველი, რომლის ბადალი პოეტი მსოფლიოს ჯერ არ მოვლენია, სწავლებიდან ამოიღეს და ეს ხდება მხოლოდ ჩვენთან... სამაგიეროდ, სერიალებში რომელთაც დღვევანდული ტელევიზიით გადმოგვცემენ, ვინ ვის ებდლარმუნება წებისმიერი ბავშვი თვალისდაუსამხმებლად გეტყვის.

რა ხდება? ესაუბრობთ, რომ აღზრდა-განათლება წინა რიგში წამოიწოოს, ნაცვლად ამისა გამოთაყვანებული თაობა შერჩება სახელმწიფოს.

ჩვენ კი (მხედველობაში მყავს ფენა, ვისაც ყოველთვის საყვედლებრივი აოქმევინებენ) არავითარ ფასეულს არ წარმოვადგენთ თოთქოსდა, საყვედლურსაც და საჩივარსაც ისევე უგულისყუროდ ეკიდებიან, როგორც ჩვენს მეობას. განა ეს დრომ მოიტანა? პო, ალბათ ნაწი-

լողօծրով յո, մացրամ շնճա զտէյա, դրո արագյեր Շյամիա... միշալֆոյտ օմաս, ըռմ դրո աճամիանմա շնճա մարտուս... քոճա մարտազեն մարտլաճ, մացրամ արա օևյ, րոշորշը Շյաբյերյեծ դրուս և աճամիանյեծ, პորոյտ, պաշլագյերո տաշուայորա և այսուածուած, դրոՇյեծիս ցարճա, րոմյլուց պաշլաճ, պաշլագյար Շյենթանչ և եւս քրոյեծիս ցարճա պաժմուածուած.

ԾրոՇա և սաելլմֆոյտու մածործեցլու սեցա պիրուածուած եալես ցյլՇո շնճա քյոնջու հաջուածեցլու յլուած, մաս մմոնելուոյտ շնճա պաշլագյերյեծ և այսուարյուլուածնեն, դրյա յո պաշլամարտ դրուս մոյր նասաթրջոյեծ եալես պատուած պաշլամիու սաելլմֆոյտու մյուայրմա և արածնասուած մոատելյնուս մատ... արա, վարմուածցյելուա, յե ցաշրուսաս պաշրո քցացս և արուս սոնջուս - դրոՇաս, րոմյլուա պամջա մոոյցանա յարտզելու յրու և սաելլմֆոյտ, այս պատուած ար շնճա պիցուած արազոն. դրոՇաս պաշլագյերյեծն, մոմակցաւս օցո պատուած յրու պորածուած սածյուտաճ յրուած.

Ծրյա յո, զոնց աեց տպ օևյ տոտյոնս մարտացս դրուս, աճ դրուսցաճ ցածյուրյեցլու աճամիանյեծ, եալես, դրուսցաճ ցանենեցաց պատուած պատուած յմարտացո ցաեծյեծ և յեսա պաշլանչ ուուու պատուած յրուած.

Տայեարս տոտյոնս ցածյուրյոյ, մացրամ արա, աճամիանու համուալուածու օւսացու պաշլա տյմանչ տայեարս սակուր.

Տպ աճամիանու արա պիշտ համուալուածու յասյենուսմցեծլուածու ցրմենուս, սաթուածու ստուուս արայյերս վարմուածցյեն. մուսվազլյաս, րուածյաս սամինառ լազալյեծ ամլյազ, աճ Շյմուեցամո պաշրագցած պիցուած արա մարտու օմաս, րա եարուսետու Շյասրյու և լազալյեծ, արամյա սայրուած Շյասրյու տպ արա ման լայսուրյեցլու մոցալյուս. այ, յեսա մտացարո աճյուրջուս մոմենցի յո, րոմյլուց պասյենուսմցեծլուածու ցրմենուս վոնապորուսա.

Աճամիանու, րոմյլուց սայրուած րամյես Շյաբյուրյեծ, պորո ար շնճա ցաոիյեթուս և Շյասրյու յուուց, տպ րա տյմա շնճա, յե մուս կալյես ար ալյմաթյեծ, տպմցա օսոնց շնճա Շյցնումնու, տպ ար Շյցեմլյեծ, նյուրը Շյցուրյեծ նյուրացու նյուրայյերս, րատա յաձասյենուսմցեծլու ար ցովուոն.

Շնճա ցամուցու որո պորուցյուս, րոմյլուս ար յըալլաթյեծ. աճ պորուցյուս աճամիանյեծ շնճա ոյցնեն մաջալնեյուուս և պասյե-

ისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული, რადგანაც მათი ნაბიჯები და ქმედება ეხება ადამიანთა სიცოცხლეს. მათ მიერ დაშვებული უნებლიერ თუ მოფიქრებული შეცდომა საგალალოდ მთავრდება ადამიანებისათვის. მიხვდით ალბათ, ესენი არიან ექიმები და იურისტები.

მოვალეობის გრძნობისადმი უაღრესად კუთილისინდისიერი დამოკიდებულება აქცევს ნებისმიერ ადამიანს პასუხისმგებლობის ღირსებით აღსავსედ – ეს კი ჩვენ საზოგადოებას ჰაერივით ჭირდება.

პასუხისმგებლობა მოეთხოვება ყველას, განურჩევლად სქესისა, ასაკისა და სოციალური მდგომარეობისა – გვარიანსა და უგვაროს, ზემდგომსა და ქვემდგომს, სკამიანსა და უსკამოს. უამისოდ სახელმწიფოს გაუჭირდება.

დავუბრუნდეთ ისევ აღმზრდელებს.

ზოგის არსებაში მასწავლებლობა მოდას შემოყოლილივით ჩაექსოვა, ზოგისთვის ცხოვრების ასაარეზი იყო, ზოგისთვის მხოლოდ საარსებო წყაროს სათავე, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვინც მოწოდებით იყვნენ მასწავლებლები, მათ სულ-ხორცში იყო გამჯდარი მომავალი თაობის ეროვნული სულისკეთობით, პატრიოტიზმით, მამულიშვილებად ჩამოყალიბება და საქვეყნო სამსახურში ისეთი კადრების გაგზავნა, როგორსაც ქვეყანა და ერი საჭიროებდა.

მოწოდებით პედაგოგად ნამდვილად შეიძლება დავსახელოთ ჩემი (და არა მარტო ჩემი) პირველი მასწავლებელი ციალა ხელაძე. ასევე ჩემი ბოლო მასწავლებელი (მხოლოდ სკოლაში) რუსული ენის სპეციალისტი მერი ცენტრალური ესენი არამარტო მასწავლებლები იყვნენ, არამედ მოსწავლეთა სულის სისპეტაჟის მოძღვრები, მე ვიტყოდი – ღმერთის რჩეულები. მათ გვერდით მინდა დავასახელო ამ ქვეყნიდან ნაადრევად წასული პედაგოგი ავთანდილ ვარშანიძე. იგი მისიადაუმთავრებელი გამოეცალა ქვეყანას ხელიდან.

მასწავლებელი მოზარდის სულის სარკეა – მეთქი, ვთქვი უკვე და ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ ხდება ცხოვრებაში. მოსწავლე, რომელიც თავად აღზარდა, რომელმაც უმაღლესი ცოდნა მიიღო და ასვე პედაგოგობაზე ოცნებობს, თავად უნდა ამოიყენოს გვერდში და გააგრძელებინოს მისია, რისი ნაწილიც

სკოლის კედლებში ჩამოუყალიბა მას. ნაცვლად ამისა, ყოველნაირ ად არ უნდა იცდილოს, რომ ყოფილი მოსწავლე შემდეგში მისი კოლეგა, კვალში არ ჩაიქნას და საერთოდ ჩამოაშოროს აღმზრდელობით საქმეს. ასეთ პედაგოგს რაღა უნდა მოეთხოვოს... აი, „ის ურჩევნია მამულსა“ – როგორი ინტერპრეტაციით ვითარდება. ასეთი პედაგოგები ამზეურებენ იმ ეგოიზმს, რომელიც წლების განმავლობაში გულში ჰქონდათ ჩამარხული.

მოვიყვან ერთ ეპიზოდს: ჩემი მასწავლებელი, ახალი „არეულობის“ პერიოდში, ქალაქის მოედანზე, მზიან ამინდში ქოლგას შეფარებული, რაღაც წვრილმანებით ვაჭრობდა ოჯახის დასაპურებლად. როცა შევნიშნე იქით აღარ გამივლია.

ზემოთ აღნიშნული სახის მასწავლებელს კი, უმაღლესდამთავრუბული თავისი მოსწავლე ამგვარ სიტუაციაში რომ შევნიშნა, გულთან არ მიიტანდა ხელმოცარული მოზარდი პედაგოგის გაჭირვებას, ცევირწინაც გაუვლიდა და გააქილიკებდა კიდევ...

ხალხის აზრს მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს ადამიანმა, მაგრამ ძალიან ბეჭრს რაღაცეები არასწორად მიაჩნიათ და ასე გასინჯეთ – ჭორის დონეს ვერ სცილდებიან. გინახავთ ალბათ, დამფურთხალი ქათამი ფრთებს რომ გაშლის, იგრიახებს და თითქოს სადღაც გარდის, დანარჩენებიც უკან მიყვებიან ისე, რომ საშიშროება არ შეუნიშნავთ. ასეა ერთი კატეგორია ადამიანებისა, ჩაესმით რაღაც და უზომოდ გაბერავენ ამბავს, ხოლო ეს „მბავი“ რამ გამოიწვია და სიმართლეს შეესაბამება თუ არა, არავინ გაარკვევს. იქნება აგორებული სიცრუეა?..

კარგი ექიმი სწერების ფესვს მოძებნის, თუ რამ გამოიწვია და მერე ებრძვის სწერებას. მსგავსი რამ ელექტროაპარატურების შემკეთებლებთანაც შეიმჩნევა, მაგრამ მოედი ცხოვრება რომ ხედავ, მეზობელი როგორ გიფათურებს ბინძურ სელებს სულში და სახლშიც, ეს არ შეიძლება ჩავთვალოთ საზოგადოებრივი აზრის პროდუქტები და თავისთვავად არ გულისხმობს, რომ იმ მეზობლის აზრი მართლაცდა გასათვალისწინებელია... ხალხის აზრი მაშინაა მის-აღები, თუ ის ფასეულ რამეს მატებს ადამიანს, და მოელ საზოგა-

დოქტას, ოორემ ჭორების, უმაქნისი აზრების აბლაბუდაში მოხვედრილ ადამიანებს როგორ გინდა ერწმუნო?.. არც ისაა მისადები სხვების გადასაწყვეტი იქოს, თუ შენ როგორ იცხოვრებ.

ყველაფერი კი ოჯახიდან და სკოლიდან იწყება, როგორც იტყვიან „რასაც დასთეს, იმას მოიმკი.“ აი, სწორედ ესაა გასათვალისწინებელი უპირველეს ყოვლისა და როცა საქმე აღზრდას ეხება, ჩავარდნები არ უნდა ჰქონდეს არავის. „რასაცა გასცემ შენია, რას არა, დაკარგულია“ – რა მშენიერი აფორიზმია... იაკობ გოგებაშვილმა ყველაფერი გასცა, რომ მომავალი თაობა, შთამომავლობა იმ სამოსით შეემოსა, რა სამოსშიც თავად იყო... იაკობი კი თმის დერიდან ფახის ფრჩხილებამდე პატიოსნებით იყო შემოსილი და ასევე პატიოსნად ჩამოაყალიბა თავისდროინდელ მოსწავლეთა მთელი არმია, რომლებმაც შემდეგში, ნაწილობრივ დღევანდელობამდე მოიტანეს ეროვნული სურნელით გაუდენოდი პატიოსნება, ზეობრიობა, ცოდნა-გამოცდილება და ტრადიციები.

გეფაქს დღეს იაკობისთანა განათლებულ-განმანათლებლები? აი, ისინი არიან საძებნი დოოგენეს ფარნებით...

ზემოთ ავღნიშნე, რომ სკოლებს შორის მიმდინარეობდა სოცშეჯიბრებები და ნამდვილად მასტიმულირებელი იყო ეს ფორმა სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად. წარმატებების მისაღწევად კი დიდი მუშაობა იყო საჭირო. მარტო მოსწავლეების ნიჭიერებით არ განისაზღვრებოდა სკოლის წარმატებულად მოხსენიება. მასწავლებლებსაც უმაღლებდნენ კვალიფიკაციას შესაბამის სასწავლებელში, თუმცა ითვალისწინებდნენ იმასაც, რომ მათში ათვისების უნარი იმ დონეს ვერ აქმაყოფილებდა, რასაც ითხოვდა მზარდი ცხოვრების პირობები, სოცშეჯიბრში ჩაბმული სკოლების მოსწავლეთა განვითარება და შესაბამის ღონისძიებებს ისახავდნენ მდგომარეობის გამოსასაწორებლად, სწავლის ხარისხის იმ დონეზე ასაჭვანად, რასაც ქვეყნა ითხოვდა.

რაც უნდა იდეალური უნდა ერქვას სკოლას, რაც არ უნდა მცოდნე იყოს მასწავლებელი, ვერაფერს მიაღწევს მოსწავლეთა ცოდნის ამაღლების საქმეში, როგორც გოქვით – „თუ ბუნებამც არ უშველა.“

სამწუხაროდ, ბუნება „მოიკოჭლებდა“ ბავშვების გონიერებაში. ყველას ერთნაირად მოეთხოვება საგნის დაძლევა, მაგრამ საგანს ვერავითარ შემთხვევაში ვერ აითვისებს ყველა ისე როგორც საჭიროა. თუ ბუნებას არ მიუნიჭებია ბავშვისთვის „უნარი, გამოავლინოს ძლიერი ცოდნა, როგორც იტყვიან „თავს ზემოთ ძალა არ არის“,“ მივიღებთ იმას, რა შესაძლებლობაც აქვს მოზარდის ტვინს. ვიცით, რომ სტატისტიკა არ ტყუის, სკოლებიდან თითებზე ჩამოსათვლელები გამოდიოდნენ ისეთები, ვინც ცხოვრების დონის ამაღლებაში წაადგებოდა ქვეყანას და ხალხს. მართალია, ამ მიმართებით საყვედური ნამდვილად არ ეთქმის ჩვენს ყველა სახის სასწავლებელს, მეცნიერებიც აღიზარდენ, მაგრამ დროის შესაფერისად მაინც მცირე რაოდენობით. თუმცა, ვინც აღიზარდა, ნამდვილად შეეფერებოდა მეცნიერებას.



მოსწავლეთა ჯგუფი 1957 წელი

ჩვენი რაიონის მასშტაბით ძალიან კარგი შედეგები ჰქონდა ვაიოს სკოლას. როგორც ცნობილია, ვაიოს სკოლამ იმდენი განათლებული ადამიანი შეჰმატა ქვეყანას, აჭარის რესპუბლიკას, ნამდვილად საამაფოდ დაგას დირსების კვარცხლბეჭვის, მათ არც სხვები ჩამორჩებოდნენ, მაგრამ როგორც ითქვა, მეტნაკლებად, თითებზე ჩამოსათვლელები.

რაც შეეხება პირველი მაისის სკოლას.

მადლობა ღმერთს და კიდევ იმ ნადდ პედაგოგებს, ვინც ძალასა და ენერგიას არ იშერებდნენ, რომ პირველი მაისის სკოლა მოწინავეთა რიგებში ყოფილიყო და საზოგადოებისთვის მიეცა ისეთი ადამიანები, ისეთი რანგის სწავლულები, რომლებიც დუჭვირ ცხოვრებას გაუუმჯობესდა მოსახლეობას. ამ საქმეში რა თქმა უნდა დროის ფაქტორია განმშაზღვრელი, თუმცა დროც კეთილად პასუხობდა მოთხოვნებს და პირველმაისელთა ცხოვრებაში თუ სიკეთის მარცვლები ითესება, ეს მასწავლებელთა დამსახურებაა ნამდვილად. ამ შორეული სამსერიდან თითქოსდა უბრალოდ გვესახება სკოლის გულისფერობა, თუმცა დრმად თუ ჩაგვიფიქრდებოთ იოლი არაფერი იქმ ნამდვილად. არმზრდელებმა კადრები სანიმუშო და დირსეული დატოვეს ნამდვილად.

როგორც აღინიშნა, ჩვენმა სკოლაშ 250-ზე მეტი მასწავლებელი გამოიცვალა. მათგან ასამდე მასწავლებელი ორმოცდაათიან წლებამდე მოღვაწეობდა, იყვნენ სკოლის ცხოვრებისა და სოფლელთა ყოფის წარმატებისათვის მებრძოლნი. ჩვენ მათი სახეებიც არ ვიცით, და იმედია ფოტოსურათებითაც დაგემაყოფილდებით, თუ, რა თქმა უნდა მოვიძიეთ. ისინი ცოცხლები აღარ არიან, მაგრამ მათი ღვაწლი სოფლელთა ცხოვრებაში და მეხსიერებაში ცოცხლობს, სკოლის მაჯისცემასაც ატყვია.

ვაგლას, რომ ოთხმოციანი წლებისთვისაც ძალიან ბევრი გამოაკლდა იმ რიგებს, რომელთაც ჩვენი სკოლების დერეფნებში შემოუდგამოფენი, მაგრამ მათგან დატოვებული კარგი ნამოღვაწარი სიკეთით ჩეფის.

ჩს მიალნია ჩვენთა საოცამ.

სკოლა ჯერჯერობით ხუთი მედალოსნით და რამდენიმე წარჩინებული პიროვნებით ამაყობს. იმედია, მომავალში უფრო და უფრო შეემატება სკოლის მედალოსნთა რიგს დირსეული პიროვნებები.

დაგეგმილია, წარჩინებულ, ხალხის სამსახურში თავგადაკლულ, დამაშვრალ ადამიანებზე წიგნის შექმნა, ამიტომ აქ აღარ ჩამოვთვლი სათითაოდ მათი ბიოგრაფიებით. უბრალოდ, წიგნის ფორმატი

ვერ დაიტევს ინფორმაციულ მონაცემებს. რა დასამალია და წიგნი სკოლის ისტორიის პარალელურად მომზადდა და აღბათ მკითხველები მალე მიაღწევს.

ეპუნის სის, ჩოხატავის ახალი ისტორია 1970-იანი წლებისან 2013 წლის ჩათვისით.

პირველი მაისის სკოლაში მოდგაწეთა ვინაობის ამსახველია. მათზე ვრცლად, როგორც ადრე მოდგაწეთა შესახებ, ბიოგრაფიულითა და ფოტოსურათებით წიგნის მეორე ნაწილში შემოგთავაზებთ.

აბულაძე რეზო
აბაშიძე ზურაბ
აგალიანი პაიდარ
ბარამიძე გენადი
ბერიძე ნინო
ბოლქვაძე მაკა
გვიანიძე ამირან
გოგიტიძე ნათელა
გურგენიძე ციალა
გოგოლიშვილი ეთერი
გოგუაძე მზია
დვალიძე შოთა
„-----“ კუპური
„-----“ ნელი
დიასამიძე ამირან
„-----“ ომარ
„-----“ ავნი
დევაძე ნაირა
„-----“ დარეჯან
დავითაძე გიორგი
გაშავმაძე გუგული

თებიძე ნიკოლოზ
 თებიძე სულიქო
 „-----“ თინა
 „-----“ ნაზი
 „-----“ ილია
 „-----“ რეზო
 „-----“ შალვა
 „-----“ ნანი
 „-----“ ზურაბ
 „-----“ ინეზა
 „-----“ დონარი
 „-----“ ემინე
 გუპრაძე ლია
 კონცელიძე ვლადიმერ
 კურცხალიძე ფატი
 კოჩაძე მანანა
 ლორთქიფანიძე შექრი
 მახაჭაძე ავთანდილ
 „-----“ გურამი
 მახარაძე პეგა
 „-----“ ფატი
 „-----“ ნარი
 მორთულაძე ნოდარ
 მამალაძე ტარიელ
 პეტრიძე ნოდარ
 სალაძე დანიელ
 „-----“ მეხფულე
 „-----“ გუგული
 საფარიძე მზია
 სურმანიძე ელენე
 „-----“ გუგული
 სამნიძე მაგული

„-----" ბერი
 „-----" ქეთო
 „-----" ციალა
 სამნიძე ნათელა
 „-----" ხათუნა
 „-----" ჯუმბერ
 „-----" ჯიმშერ
 „-----" ლევან
 ტრაპაიძე კარლო
 ფარტენაძე ჯემალ
 „-----" ქორა
 „-----" გული
 „-----" ნანი
 ფარსენაძე რევაზ (აბდულ)
 ქადიძე ლელა
 „-----" ლია
 „-----" მზია
 შავლიძე ნიაზ
 „-----" ვარდო
 „-----" უმიან
 „-----" ეთერ
 „-----" ბადრი
 „-----" გურამ
 „-----" მალკინა
 „-----" მელანო
 შერვაშიძე ნიაზ
 „-----" ქუჩუნა
 „-----" იოსებ
 „-----" გურამ
 „-----" ნათელა
 შოთაძე სულიკო
 შაქარაძე რეზო

ჩიკვაიძე უშანგი
 „-----“ ვლადიმერ
 „-----“ რუსუდან
 ჩხეიძე მარინა
 ციციანიძე ნანი
 ჯაბნიძე ნანი
 ჯაფარიძე ეთერ
 ჯორბენაძე მადონა
 ჯაყელი ვარდო
 გოგიტიძე ნაზი
 აფხაზავა ნარგიზ
 გორგილაძე ლამარა
 ბარამიძე შოთა
 ცეცხლაძე თინა
 გორაძე ზურაბ
 რობაქიძე ანა
 დევაძე მემედ
 გორგაძე ლ...
 ცენტერაძე იაგო

ესახუბანი მოისავს სხვადასხვა ათწლეულის- ში ჩორციმა ნის მონაცემებს პირეცალ- საცთა თუ სამცემამთავისაბათა შესახებ:

1921 წელი პირველ კლასში
 სამწიდე აბდულ აბდულის ძე
 სურმანიძე შუქრი ასლანის ძე

1930 წელი. პირველ კლასში:
 სამწიდე ალიოსმან ისმაილის ძე
 სამწიდე ხასან ახმედის ძე
 სამწიდე ემინე მუსტაფის ასული
 ქადიძე ფერათ მევლუდის ძე

ყადიძე ფელიულ შაქირის ძე
შავლიძე ჯერალ პაჯის ძე
შავლიძე აბდულ

1931 წელი. პირველი კლასი:
 გურგენიძე შუქრი
 დევაძე სულეიმან
 დევაძე ომარ
 დევაძე ენვერ
 კონცელიძე მევლუდ
 სურმანიძე ალიოსმან ასლანის ძე
 სალაძე ყაბიდ
 ფარტენაძე პაჯიოსმან
 ფარტენაძე ემინე
 ყადიძე მემედ შაქირის ძე
 შერვაშიძე ქაზიმ ხუსეინის ძე
 ციციანიძე შაქირ სულეიმანის ძე
 (შენიშვნა: აქ უნდა იყოს სამნიძე ჰემზე მუსტაფის ძე, მაგრამ
 არსადაა ფიქსირებული)

1936 წელი. პირველი კლასი:

დვალიძე შირინალ ხასანის ძე
 დარჩია ნოდარ
 დევაძე ახმედ ყებასის ძე
 დვალიძე ისმაილ ხასანის ძე
 თებიძე მეხფულე ყერიმანის ასული
 სამნიძე როსტევან სულეიმანის ძე
 სამნიძე უმიან სულეიმანის ას
 სამნიძე ზულქიფლი მუსტაფის ძე
 სამნიძე დაუთ სულეიმანის ძე
 სამნიძე ხუსეინ ახმედის ძე

ქადიძე სანიე მევლუდის ასული
ქადიძე ენცერ ახმედის ძე
ქადიძე უმიან ახმედის ასული.
შერვაშიძე ოსმან ხუსეინის ძე
შერვაშიძე ასიე ხუსეინის ასული
შავლიძე ასიმე სულეიმანის ასული.
შენიშვნა:

V-VI კლასში მყოფი, ეს მოსწავლეები და მთლიანი სკოლა გადასულა ადგილმდებარეობა პერკუმზე ძველ სკოლას ოთახები რომ მიაშენეს, შემდეგ გადმოვიდნენ ისევ სოფლის ცენტრში და 7- წლებიც იქვე დაამთავრეს. ერთერთმა ყოფილმა მოსწავლეებმა ამ დროისთვის სკოლის გამგემასწავლებლად დაასახელა გერასიმე ბეჭიტაშვილი.

13,9,10,12,13-ე მოსწავლეები იყვნენ ჩატოვებულები. დარჩია ნოდარ იყო ამ სკოლის მასწავლებლის კატუშა კოტრიკაძის შვილი, რომელმაც საშუალო სკოლა დაამთავრა ქედაში. სწავლობდა თბილისში, გახდა ექიმი და მუშაობდა თბილისში. ეს ცნობა გადმოცემითია და საფიქრო ბელია, რომ არასწორია. სამი კატუშაა ცნობილი: კოტრიკაძე, დარჩია და ზენაიშვილი. გვარი ცხადყოფს რომ ნოდარი იყო დარჩია კატუშას შვილი, თუ კატუშას ჰქონდა გათხოვების შემდეგ მიღებული გვარი. ძველი მასწავლებლების მონაცემები არ არის სახეზე, ამიტომ ხელაღებით მტკიცება არაა მართებული.

1940 წელი. პირველი კლასი.
დვალიძე სებილე დაუთის ასული
დვალიძე შადიე უსუფის ასული
სამნიძე სულბიე მუსტაფის ასული
სამნიძე სანიე რამიზის ასული
სამნიძე უმიან ყედირის ასული
სამნიძე საადეთ უსუფის ასული
სამნიძე ნიაზ სულეიმანის ძე
სურმანიძე მემედ ასლანის ძე
ყადიძე ემინე აბდულის ასული



შავლიძე ცისანა ოსმანის ასული
 შავლიძე სურიე ოსმანის ასული
 შავლიძე ვარდო სულეიმანის ასული
 გაგნიძე ჟუჟუნა ლევანის ასული
 გაგნიძე ცირა ლევანის ასული
 14 მოსწავლიდან მხოლოდ 9 მოსწავლეა დაფიქსირებული
 სკოლადამთავრებულად.

შენიშვნა: შავლიძე ცისანა არის ოსმან შავლიძის მეორე მეულის, პირველი მაისის 7-წლიანი სკოლის მასწავლებლის ზინაიდა ქუთათელაძის შვილი, რომელიც ამჟამად ცხოვრობს ქ. თბილისში.
 პირველი მაისის საშუალო სკოლის პირველი გამოშვება მოხდა 1959-1960 სასწავლო წელს. მოსწავლეებს საზეიმო ვითარებაში მიუღვიცეს ცხოვრების ფართო ასპარეზზე გასვლა.

სკოლის კურსდამთავრებულები:
 გურგენიძე ნუნუ რეჯების ასული
 დვალიძე არსენ ხასანის ძე
 დვალიძე რუსუდან ჯემალის ასული
 თებიძე შოთა ყერიმანის ძე
 სამნიძე ივანე სულეიმანის ძე
 სამნიძე გივი ფეხლის ძე
 სამნიძე ეთერ არიფის ასული
 სამნიძე ვენერა ბექირის ასული
 სამნიძე ციალა რამიზის ასული
 სამნიძე იოსებ ისმაილის ძე
 სალამე ნოდარ
 ყადიძე მერი მერჯანის ასული
 ყადიძე ნაზი აბდულის ასული
 ქადიძე სოსო ხემიდის ძე
 შავლიძე ნიკოლოზ შუქრის ძე
 შავლიძე ვარდო ჯემალის ასული
 შავლიძე ვენერა უსუფის ასული
 1963-1964 სასწავლო წლის, პირველი მაისის „საწარმოო სწავ-



1953

ეც და გაირნის მიმღება 0-ის განერა 01 ეპლი 0 010 010 010 010 010 -
ზოგადსაგანევანი 01 ეპლი 0 010 010 010 010 010 010 010 010 010 010 010 -
ტექნიკური სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1964

1964



ლებიანი" საშუალო სკოლის პირველი გამოშვება:

სკოლის კურსდამთავრებულები:
 გოგუაძე მერი იბრაიმის ასული
 თებიძე ვარდო ისლამის ასული
 სამნიძე ქეთევან ბექირის ასული
 სამნიძე სერგო მუსტაფის ძე
 სამნიძე ოთარ მემედის ძე
 ყადიძე ციალა ახმედის ასული
 შავლიძე ნანული ჯემალის ასული
 შავლიძე გურამი უსუფის ძე

ამ გამოშვებიდან მესამეგმოთხე გამოშვების წილად მოდის საშუალო სკოლის სამი მედალოსანი რამიზ ბეჟანიძის დირექტორობის პერიოდში. მომდევნო ორი ოქროს მედალოსანია ამჟამინდელი დირექტორის ბადრი შავლიძის მუშაობის პერიოდში.

ოქროს მედალოსნები:
 სამნიძე ეთერი სულეიმანის ასული
 შერვაშიძე უჟუნა ქაზიმის ასული
 შერვაშიძე ნათელა რიზალის ასული
 შერვაშიძე რუსულან ნოდარის ასული
 სამნიძე დავით სერგოს ძე

ამათგან პირველი და მეორე მოსწავლე თანაკლასელები იყვნენ, მესამე მათ მომდევნო კლასში სწავლობდა, თუმცა გამოშვება ერთ წელში ჩატარდა (XI და X). ამ გამოშვებით მეთერთმეტე კლასი გაუქმდა დიდი ხნით.

მედალოსნებიდან ნათელა შერვაშიძე აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელია, ეთერ სამნიძე და უჟუნა შერვაშიძე ღირსეული ოჯახის და შვილების პატრონები და ასევე ღირსეული პედაგოგები არიან.

რუსულან შერვაშიძე აღგილობრივ ფირმაში მუშაობს, დავით სამნიძე კი რამდენიმე წელიწადს აჭარის უმაღლეს საბჭოში მუშაობდა, პარალელურად შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის უნივერსიტეტის დაქტორია იურიდიულ საკითხებში, არის წიგნის ავტორი.

საარქივო მასალებით, არასრული საშუალო (7-წლედი) სკოლის კურსდამთავრებულთა პირველი სია 1941 წელს მოდის ხასახ კახიძის დირექტორობის დროს. ჩანს, რომ ამ წლამდე მოსწავლეები გადიოდნენ სკოლიდან სხვადასხვა სასწავლებელში და ამდენად, ადგილი პქონდა კონტინგენტის კლებას, ხოლო მიზეზებზე, თუ რამ გამოიწვია მანამდე კურსდამთავრებულთა აღნუსხვის გარეშე დატოვება, არსადაა საუბარი და ინფორმაცია.

აღსანიშნავია ისიც, რომ წლების მანძილზე ფრიადოსნებიც ყოფილან სკოლაში, რაც საარქივო მასალებშია აღნუსხველი. მაგრამ სამოციან წლებამდე მოღწეულ ფრიადოსნობაზე ძალიან მცირეა უმაღლესდამთავრებული. დიახ, საარქივო სიების ხუთოსნები სწავლის გარეშე შეეჭიდნენ ცხოვრებას. მათ სოფლის ცხოვრებაშიც და სხვაგანაც ხუთები ჩაიწერეს.

პირველი მაისის სკოლა ყოველთვის თავის სიმაღლეზე იდგა სპორტულ თუ კულტურულ-შემეცნებითს დონისძიებებში. ყოველ წელიწადს იმართებოდა შეჯიბრებები სპორტის რამდენიმე სახეობაში (ფრენბურთი, ფეხბურთი, მძლეოსნობა). არაინტენსიურად ჭადრაკში და ჭიდაობაში. სროლაში და სირბილში ვარჯიში ყოველდღიურად მოთხოვნილების დონეზე ფუნქციონირებდა. ვერ დავიტრაბახებო, რომ რჩეულები გვყავდა, თუმცა არც ბევრით ჩამოვრჩებოდით ვაიოს, ქედისა და აწჰესის სკოლა-ინტერნატის გუნდებს.

სკოლას ყოველ წელიწადს პყავდა მომზადებული სიმღერისა და ცეკვის მხატვრული კოლექტივი, რომლებიც რაიონული დათვალიერების დროს მაღალ შეფასებებს ღებულობდნენ. იშვიათად, მაგრამ მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ დათვალიერებებშიც. ყოველი სპარტაკიადის ჩატარებისას პირველი მაისის სკოლა მოწინავეთა რიგებში ირიცხებოდა.

მიუხედავად იმისა, სიბერე და ჩამორჩენილობა წარსულს ჩაბარდა, სამოციან წლებამდე კვლავ შეიმჩნეოდა გოგონების კარჩა-კეტილობაში ყოფნის მომენტი. თურქული რეჟიმის კუდი ხან სად გაიელვებდა და ხან სად. არც პირველი მაისის სკოლას პქონდა საქმე სახარბიელოდ. სწორედ ამის გამო იყო რომ, ფრიადოსნი

გოგონები სწავლის გარეშე დარჩნენ. დომინირებდა ასეთი მიღება: გოგომ შინაური საქმეები უნდა შეისწავლოს, გათხოვების შემდეგ სირცხვილში რომ არ ჩავარდეთო. ამ მიზეზით მრავალი ნიჭიერი ქალი უმაღლესი განათლების გარეშე დარჩა. ვერც მშობლებს გაამტკუნებ ნააზრევში.

ორმოცდაათიანი წლებიდან სამოციან წლებამდე სულ რამდენიმე გოგო იყო პირველ მაისში უმაღლესი განათლებით. თავს გალდებულად ვთვლი, ცალკე ავღნიშნო მათი გვარ-სახელები: ნათელა



მასწავლებელთა ჯგუფი – 1986 წელი

სამნიძე, მერი სამნიძე, ვარდო შავლიძე, ნათელა შავლიძე, ნათელა ჩავლეიშვილი. პირველ მაისს პირველი მედიცინის დეპიც ჰყავდა – ნადიდე შავლიძე, სური შავლიძე და ვარდო სამნიძე. იქნებ ბევრისთვის საინტერესო იყოს, ექიმიც იყო საღორეთელი – ზულეიკა (ზელისე) ლოროქიფანიძე, რომელიც, თუმცა ბათუმში დაიბადა, მაგრამ თავს ყოველთვის საღორეთელად თვლიდა. აქედან იყო მისი ფესვები.

1964 წლის ქურსდამთავრებულებზე მოდის მეორე ნაკადი უმაღ-

ლესი განათლებისა.

ციალა ყადიძე, ქეთევან სამნიძე, ეთერ სამნიძე, ზია სამნიძე, უკუჯანა და ნათელა შერვაშიძეები, ოთარ სურმანიძე, რეზო და ილია თებიძეები. როგორც ითქვა, ოქროს მედალოსნები იყვნენ ეთერ სამნიძე და უკუჯანა და ნათელა შერვაშიძეები. ოთხმოცდათიან წლებში შეემატენენ სკოლას მედალოსნები დავით სამნიძე და რუსუდან შერვაშიძე. აღსანიშნავია, რომ შერვაშიძეების ოჯახში უსწავლელი არავინ დარჩენილა. კველას ჩამოთვლა არაა მიზანშე წონილი, იმდენად, რამდენადაც მათზე, როგორც ავღნიშნე იწერება წიგნი და თუ რა სიმაღლეებს მიაღწიეს, საზოგადოების ფართო წრე ახლო მომავალში გაიცნობს მათ.

ხუთი მედალოსანი საქმარისი ნამდვილად არაა. იმედია დრო თავისას კიდევ იტევის.

წითელდიპლომიანებიც არიან სოფელ პირველ მაისში, თუმცა გამორჩეული პიროვნება მაინც იაშა შერვაშიძეა, რომელიც საქართველოს პარლამენტში დეპუტატია ქედის რაიონიდან და, რაც მთავარია ბიზნესმენობა და ადამიანობა, კაცურკაცობა უფრო მაღლა წეს მას, ვიდრე დეპუტატობა. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში მეორედ მოიპოვა პარლამენტარობა, თუმცა უნდა ავღნიშნო, რომ სასაცილო ვითარებით საქუთარი ხალხის წინააღმდეგ ოპოზიციაში გადასულ წინა ხელისუფლებას გაემიჯნა და ნეიტრალიტეტი დაიჭირა.

აგტონომიური რესპუბლიკის მთავრობაშიც მრავლად იყვნენ სახელმწიფო მოღვაწენი. საქმე არ დასრულებულა – იფურცლება პირველი მაისის სკოლის ისტორია და იქნებ აწი უფრო გვასახელოს ვინმემ, სოფლის სახე და სახელი უფრო უკეთ წარმოაჩინოს. ამჟამად ვიწროდ შემოვითარებლე, სკოლის საუკუნოვან იუბილეს იქნებ ვინმემ უფრო ვრცელი მასალა მიუძღვნას.

პირველი მაისის სკოლა ყოველთვის ატარებდა კულტმასობრივ ღონისძიებებს. აწყობდნენ ექსკურსიებს ფაბრიკა-ქარხებში, წარმოება-დაწესებულებებში. ეწყობდა ლაშქრობები, კოლექტიური დასწრება სპექტაკლებზე, მუზეუმების დათვალიერება, მონახულების

არქეოლოგიური აღმოჩენების კერებს, კარსტულ მღვიმეებს და სხვა. მთავარი ყურადღება გადატანილი იყო მატერიალური კულტურის ძეგლების დათვალიერება-მოვლაზე, რაც სამწუხაროდ არც დღეის ჩათვლით არ ხერხდება.

ჩემი მოსწავლეობისას დათვალიერებული გვაქვს აჭარის ყველა წარმოება-დაწესებულება, ფაბრიკა-ქარხნები რომლებიც სამწუხაროდ მოგონებად დარჩა. ვიყავით სათაფლიის გამოქვაბულში და ბათუმის მუზეუმებში.



მოსწავლე-მასწავლებლები – 1958 წელი

დღეს სკოლა უფრო ფართომასშტაბიან დონისძიებებში დგბულობს მონაწილეობას. ინტენსიურად ეწყობა ექსკურსიები საქართველოს ყველა რეგიონში. შეისწავლიან დირსშესანიშნაობებს, ძეგლებს და ინფორმაციას აწვდიან შესაბამის სამსახურებს.

სკოლას სამომავლო გეგმებიც აქვს, თუმცა ეს უკვე დროის პრეროგატივა.

1970 წელს აგებულ სკოლას აჭარის გზატკეცილთან სიახლოვეშ უპირატესობა მოუპოვა სარემონტო სამუშაოების ჩატარები-

სთვის. ვინაიდან ყველასთვის თვალში საცემია სკოლის ხედი, მის ესთეტიკურ სილამაზეზე ყოველთვის ზრუნავდნენ გულმოღინებ. რამდენიმეჯერ ჩაუტარდა რემონტი. შეიცვალა ინტერიერი, ფასადი და სახურავი. სასკოლო ინვენტარი მთლიანად შეიცვალა, დაინერგა თანამედროვე ცხოვრებას მისადაგებული სასწავლო პროგრამა, რამაც უფრო აამაღლა სწავლების ხარისხი და მოსწავლეთა მონიტორინგის მაღალადუმიურობაზე.

სკოლის წარმატებულ მოსწავლეთა სახელს უფრო ხარისხიანს ხდის სპორტსმენთა სპორტული მიღწევები. სკოლის სახელისთვის, რაიონის თუ რესპუბლიკის, და რაც მთავარია სპორტული კარიერისთვის მრავალმა სპორტსმენმა ისახელა თავი. სამოსწავლო დიდების კვარცხლბეჭებულების დანანა სპორტსმენები: ნინო მახრაძე, შოთა და გოჩა ფარტენაძეები, კობა მახარაძე და თამთა სალაძე.

1. კობა მახარაძე – გ. ჩელებაძის სახელობის ტურნირი თავის-უფალ ჭიდაობაში, რომელიც ჩატარდა 2013 წლის 9 თებერვალს ქ.ქობულეთში, სპორტსმენმა დაიკავა I ადგილი.

2. შოთა ფარტენაძე – ჭაბუკთა შორის საქართველოს ჩემპიონი, რომელიც ჩატარდა 2014 წლის 8-10 აპრილს ქ. ქუთაისში – დაიკავა I ადგილი. იგი ამასთანავე გახდა ევროპისა და მსოფლიოს პრიზიორი.

3. გოჩა ფარტენაძე – თავისუფალი ჭიდაობა ახალგაზრდებში. დ. გობეჯიშვილის სახელობის ტურნირი ქ. ონში – დაიკავა II ადგილი.

4. ნინო მახარაძე, დიანა სალაძე – 2014 წელს ბათუმში ჩატარებულ ჭადრაკის საერთაშორისო ფესტივალში შესაბამისად დაიკავეს I და II ადგილი.

5. თამთა სალაძე – ჭადრაკი აჭარის პირველობაზე, რომელიც ჩატარდა ბათუმში, დაიკავა I – ადგილი.

ნათელი მეორე

აფხაზაგა ნარგიზ გიგის ასული.

დაიბადა 1940 წელს ქედის რაიონის სოფელ ქოსოფელში, შემდეგ სწავლა განაგრძო უჩხითის არასრულ საშუალო სკოლაში.



1956 წელს სწავლას აგრძელებს მახუნცეთის საშუალო სკოლაში. მეათე კლასიდან გადადის ხელვაჩაურის საშუალო სკოლაში, რომელსაც ამთავრებს 1958 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ ბრუნდება სოფელში და ებმება საკოლმეურნეო შრომაში.

1959 წელს, სწავლას აგრძელებს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში რომელიც წარმატებით დაამთავრა 1964 წელს.

1964 წელს ინიშნება უჩხითის საშუალო სკოლაში უცხო ენის (გერმანული) მასწავლებლად და უფროს პიონერსელმძღვანელად.

1966 წელს მუშაობას იწყებს მახუნცეთის სკოლა-ინტერნატში დაწყებითი კლასების მასწავლებლად. შემდეგ, რამდენიმე თვეში დაინიშნა დოლოგნის არასრულ საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად და უფროს პიონერსელმძღვანლად.

1969 წლის აგვისტოდან, ოჯახური პირობების გამოცვლასთან დაკავშირებით, თავისი თხოვნით ინიშნება პირველი მაისის საშუალო სკოლაში დაწყებითების მასწავლებლად.

1974 წლის ოქტომბრიდან დღემდე მუშაობს ქედის საჯარო სკოლაში დაწყებითების მასწავლებლად.

44 წლიანი მუშაობის განმავლობაში ოთხჯერ გაიარა მასწავლებელთა ატესტაცია. 1984 წელს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის წოდება. საქ.ს.ს.რ. განათლების სამინისტროს მიერ 1985 წელს მიენიჭა საქ. სსრ. მასწავლებელ-მეთოდისტის წოდება. 1997 წელს ქედის

საჯარო სკოლის საატენდაციო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა პირველი, ხოლო 1998 წელს უმაღლესი კატეგორია. მუშაობის პერიოდში ხშირად მონაწილეობდა საოლქო თუ რესპუბლიკურ პედაგოგიურ კითხვებში, წერდა თხზულებებსაც თავისუფალ თემებზე. მის მიერ დაწერილი თხზულება „გზა სკოლიდან სახლამდე“ დაიბეჭდა აცაკი ზოიძის მიერ გამოცემულ „თხზულებათა კრებულში.“

ზემდგომი ორგანოების მიერ სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო ძვირადდირებული წიგნებითა და საპატიო სიგელებით...

ამონაწერი დახასიათებიდან:

ნარგიზ აფხაზაგა კარგად ფლობს დაწყებით კლასებში საგნების სწავლების ხერხებსა და მეთოდებს, მოუხდავად ამისა ყოველი გაკვეთილისათვის ემზადება გულდასმით. კარგად იცნობს დამჩმარე მეთოდურ ლიტერატურას, რომელსაც თავის მუშაობაში შემოქმედებითად იყენებს. აქვს შემუშავებული დამოუკიდებელი მეთოდებიც, რომელსაც კარგად იყენებს მოსწავლეთა ინტელექტუალური განვითარებისათვის. მუშაობაში ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. იბრძვის მოსწავლეებში ლოგიკური აზროვნების განვითარებისათვის. თავის სამუშაო კლასში საკმაოდ მაღალია ცოდნის დონე, კარგია მათი წერითი და ზეპირი მეტყველების კულტურა.

ნაყოფიერად წარმართავს მეთოდურ მუშაობას. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მეთოდგაუროთიანებას. თავის გამოცდილებას დაუზარებას უზიარებს ახალგაზრდა პედაგოგებს. აქტიურ მონაწილეობას დებულობს ყოველგვარი სიახლის დანერგვაში.

ნორმალური პირობები აქვს შექმნილი სასწავლო კაბინეტში. ნაყოფიერად წარმართავს კლასში აღმზრდელობით მუშაობას. ხშირად ატარებს საკლასო და სასკოლო დონისძიებებს. მოწესრიგებული აქვს სასკოლო დოკუმენტები. გამოირჩევა მაღალი საშემსრულებლო დისციპლინით. კარგი ურთიერთობა აქვს კოლეგებთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან.

აგზორიტებულია საზოგადოებაში...

აბულაძე რეზო მემედის ძე.

დაიბადა 1950 წელს ქედის რაიონის სოფელ ორცვაში.



1967 წელს დაამთავრა ქედის რაიონის საშუალო სკოლა.

1967-1969 წლებში იყო ორცვის კოლმეურნეობის რიგითი წევრი.

1970-1972 წლებში იმყოფებოდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1972-1973 წლებში კვლავ კოლმეურნეობის რიგითი წევრია.

1973-1977 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1977-1978 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში უცხო ენის მასწავლებლად.

1978-1979 წლებში მუშაობს ორცვის 8-წლიან სკოლაში.

1979-1980 წლებში კი ძენწმანის 8 წლიანი სკოლის მასწავლებელია.

1980 წლის თებერვალ-მაისში მუშაობს ქედის რაისაბჭოს აღმასკომის სამოქალაქო თავდაცვის შტაბის უფროსად.

1980-1981 წლებში საქ. კა. ქედის რაიონის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორია.

1981 წლიდან პარტიული აღრიცხვის სექტორის გამგეა.

1988 წლიდან არჩეული იყო სიფხიზლისათვის ბრძოლის ნებაყფილებითი საზოგადოების ქედის რაიონული ორგანიზაციის პაუსისმგებელ მდივნად.


1989 წელში ირჩევენ სახალხო დეპუტატთა ზენდიდის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ აღმასკომის მდივნად სადაც დაკყო 1991 წლამდე.

1991 წლიდან 2010 წლამდე მუშაობდა დასაქმების სახელმწიფო სამსახურის წარმომადგენლად ქედის რაიონში.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

აბაშიძე უსუფ ახმედის ძე

უ. აბაშიძე დაიბადა 1925 წელს ქედის რაიონის სოფელ ცხემნაში. 1945-1949 წლებში სწავლობდა ქედის პედასწავლებელში.



1950 წელს მუშაობა დაიწყო პირველი მაისის არასრულ საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასებისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად. მუშაობდა ცხემნის დაწყებით, ძენწმანისა და ოქტომბრის რაწლიან სკოლებში.

1955 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი. შემდგომ მუშაობდა ისევ პირველი მაისის საშუალო სკოლაში, კოლოცაურის 8 წლიან, წონიარისისა და ქედის საშუალო სკოლებში.

1971-1976 წლებში უ. აბაშიძე მუშაობდა ქედის განათლების განყოფილებაში მეთოდისტად. მისი ხელმძღვანელობით რაიონში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საგადამეტოლო პროცესში მოსწავლეთა აქტივიზაციას, განმავითარებელ სწავლებას, მოსწავლე მასწავლებელთა თანამშრომლობას. იგი კარგად იცნობდა რაიონში მომუშავე თანასახეციალისტთა მუშაობას და ზრუნავდა მათი მეთოდური დახელოვნებისათვის.

უ. აბაშიძე ცნობილი იყო როგორც საგნის კარგი სპეციალისტი მრავალმხვრივ განვითარებული პიროვნება. პედაგოგიურ მუშაობას კარგად უხამებდა აქტიურ საზოგადოებრივ შრომას.

უ. აბაშიძის გამოზრდილი მოსწავლეები საგნის ღრმა ცოდნით გამოიჩინენ. (მ. დიასამიძე „საუკუნოვანი სკოლა.“ გვ. 247).

პატივცემული უ. აბაშიძე ჩვენი სათაყვანებელი მასწავლებელი იყო. მისი გაკვეთილები გამოირჩეოდა ღრმა შინაარსიანი ახსნით, აუცილებელი პროგრამის ერთად, პირადი გამოცდილებისა და სხვათა ნააზრევის ჩაქსოვნა უყვარდა. ეპიზოდების მხატვრულად გადმოცემის, იუმილის, აფორიზმების საოცარი ოსტატი იყო. არ უყვარდა ზარმაცი და ჩამორჩენილი მოსწავლე, არ უყვარდა მატყუარა ადამი-

ანი და არც თვითონ იცოდა ტყუილი. მაღალ კლასებში სწავლის პერიოდში არ შემარჩინა ტყუილი – თითქოსდა უხმობის გამო საზეპირო არ მოვყევი, არადა ნამდვილად არ ვიცოდი. მომაწოდა ფურცელი და დამიწერეო მითხვა. რას ვიზამდი, ერთი წინადაღება კი ვიცოდი და დავწერე: „მიგიხვდი ჩემო მოხევევ, რა ნესტარით ხარ ნაჩხვლები“ – დავწერე და დავდე კალამი. მიყურებს და თან ეშმაკერად იღიმის. ბოლოს აიღო ფურცელი და რომ ამოიკითხა ერთადერთი ბწყარი, მითხვა: მიგიხვდი სერგიავ, რა ნესტარით ხარ ნაჩხვლებით და ორ გრაფაში დამიწერა ორიანი. აი ეს ნამდვილად დავიმსახურე. არ მითქვამს საყვედური.

სამაგიეროდ წერაში ძლიერი ვიყავი. (მგონი არ მყავდა მჯობი...) ნებისმიერ თემას გწერდი ფრიადზე. ერთხელაც ვერ მოვამზადე თემა, ხელთ მოყოლილი თემა გადავიწერე და სამიანიც მივიღე. – ეგ თემა ხეთი წლის წინ მე გავასწორე და ამიტომაც დაგიწერე სამიანიო მითხვა.

სხვათაშორის ჩემი პოეტური დამკვალიანებელიც უსუფ აბაშიძე იყო. ჩემი პირველი წიგნიც სიხარულით მიიღო საჩუქრად. ერთხელ, სამოცდაათიან წლებში შემხვდა და მკითხა, თუ სად ვიყავი, რით ვიყავი დაკავებული. ფილოსოფიით ვიქცევ თავს მეთქი. გაეცინა და მითხრა: – ბიჭო, ხალხი ფილოსოფიაზე თავს იმტვრევს და შენ თუ თავს იქცევ მაგით, რა სჯობს მაგასო... (მაშინ მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, მაგრამ აღარ დამიმთავრებია).

ბატონი უსუფი იყო ხის დამუშავების ნიჭიერი ოსტატი. არ არსებობდა რთული დეტალი, ენახა და არ აეთვისებინა. მიკვირდა კიდეც, მასწავლებელ პაცის რა გაუჭირდა, ხელოსნობს – მეთქი, მაგრამ დრომ დამიმტკიცა, რომ ვცდებოდი. ერთხელ ერთი ქობულეთელი ლექტორის შესახებაც მითხრეს მსგავსი რამ და მართალი გითხვათ ძალიან გამიკვირდა.

დრომ ბატონი უსუფის ჩანაწერებიდანაც გამოიხდა – დღევანდელი ვითარება მას რამდენიმე ათეული წლით ადრე ჰქონდა განჭვრეტილი. სამწუხაროდ ის ჩანაწერები გაანადგურა კიდეც.

არტისტული ნიჭის პატრონი, (ერთხანს თეატრშიც უმოღვაწია),

უბადლო პედაგოგი, ხის დამუშავების საუკეთესო სპეციალისტი, შეუძლიერებლი და მარტინისტების და ასაკანუსხვებელი მუზეუმისტი, დაუზიანელი ჭრის დამრიგებელი – ასეთად დარჩება იგი ცოცხალთა გულში.

(ჩემს მოთხოვბებში მასზე ჩანახატიც მაქვს...)

აბა შიძე რეზიტ თევრათის ძე აბა შიძე ზურაბ ხუსეინის ძე

ავალიანი პაიდარ თამაზის ძე

დაიბადა 1960 წელს ბათუმის რაიონის სოფელ ანგისაში.

1967-1977 წლებში სწავლობდა ქვეის რაიონის გოგიაშვილების საშუალო სკოლაში.



1977-1981 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის ფაკულტეტზე.

1981 წელს ინიშნება ქვეის რაიონში, პირველი მაისის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1982-1985 წლებში იყო კომკავშირულ სამუშაოში ჩამომავალი.

1985-1991 წლებში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ქვედის რაიონში ინსტრუქტორად, შემდეგ განყოფილების გამგის მოადგილედ.

1986-1988 წლებში სწავლობდა ქ. ბაქოს უმაღლეს პარტიულ სკოლაში.

1991-1992 წლებში მუშაობდა ქვედის რაიონის ცხმორისის მომხმარებელთა საზოგადოების თავმჯდომარედ.

1995 წლიდან მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში ჯერ კონტროლის ჯგუფის მთავარ სპეციალისტად, შემდგა კი წერილებისა და მოქალაქეთა მიღების განცოდილების გამგედ.

2001-2004 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურის აპარატში წერილებისა და მოქალაქეთა მიღების

განყოფილების გამგედ.

დღემდე იგი დაკავებულია მცირე ბიზნესით. ბატონ პაიდარს პირველმაისელი კოლეგები ახასიათებენ ძალიან დადებითად და წუხილს გამოხატავენ იმის გამო, რომ მას მცირე ხანს მოუწია პირველი მაისის სკოლაში მუშაობა. იყო სამართლიანი, პუნქტუალური, იუმორისტული ნიჭით დაჯილდოებული და საოცრად ოუნჯი. სიტუაციის საჭიროებისამებრ შემფასებელი და საზრიანი გამოსავლების მპოვნელიო – ასე დამიხასიათეს იგი პირველმაისელებმა.

ბეჭირაშვილი გერასიმე

ბაქანიძე ტატიანა

ტატიანა ბაქანიძე დაიბადა 1918 წელს ქ. ბათუმში.

1925-1933 წლებში სწავლობდა ბათუმის შვიდწლიან სკოლაში, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ბათუმის ორწლიან პედაგოგიურ (სამასწავლებლო) ტექნიკუმში.



ტექნიკუმის დამთავრებისთანავე განაწილებულ იქნა ქ. ქობულეთში, ფიჭვნარის სკოლაში დაწყებითი სწავლების პედაგოგად, სადაც იმუშავა რამდენიმე წელი. შემდეგ მუშაობდა ქ. ბათუმის, იმუშავნდელ №1 სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

ომის დაწყებისთანავე, 1941 წელს ტატიანა ბაქანიძე მობილიზაციის წესით იგზავნება ქადაგში, სოფელ პირველ მაისში მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლად. ასწავლიდა აგრეთვე ასტრონომიას და სხვა საგნებსაც.

1944 წელს სწავლა გააგრძელა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის სპეციალობაზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1948 წელს.

ომის დამთავრებისთანავე ის დაუბრუნდა თავის სკოლას ბათუმში, სადაც ასწავლიდა მათემატიკას. ამავდროულად იგი მუშაობდა ბათუმის

პედაგოგიურ ინსტიტუტში მეთოდისტად, ხოლო მშობლიურ სკოლაში დამატებით ასწავლიდა ხელგარჯილობას, ქსოვას, ქარგვას, კერვას.

ჯანმრთელობის გაუარესების გამო 55 წლის ასაკში გავიდა პენსიაში, დაჯილდოებული იყო მედლებით და სიგელებით. ქედაში მუშაობის პერიოდში მან ბედი დაუკავშირა ქედის რაიკომის პარტორგანიზაციის მდივანს შოთა თავართქილაძეს.

ამჟამად მათი შვილიშვილები აგრძელებენ მოღვაწეობას სხვა-დასხვა სფეროში.

გარდაიცვალა 1980 წელს.

შენიშვნა: ტ. ბაქანიძის არასრული ბიოგრაფია მოგვაწოდა მისმა დაბმ.

ბარამიძე შოთა ზურაბის ძე


დაიბადა 1956 წელს ქედის რაიონის სოფელ წონიარისში.

1963-1973 წლებში სწავლობდა წონიარის საშუალო სკოლაში.

1973-1977 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, ფიზიკის სპეციალობაზე.

1977-1983 წლებში მუშაობს ფიზიკის მასწავლებლად ახორ საშუალო სკოლაში.

1983-1984 წლებში პირველი მაისის საშუალო სკოლის დირექტორია.



1984-1988 წლებში მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა სადგურის დირექტორის მოადგილედ.

1988-2006 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ზოგადტექნიკური დისციპლინების ფაკულტეტზე ლექტორი მასწავლებლად.

2006 წლიდან აჭარის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ტექნიკური შემოქმედების განყოფილების გამგედ.

ბარამიძე გენადი რიზალის ძე

დაიბადა 1960 წელს, სოფელ წონიარისში. 1967-1977 წლებში სწავლობდა წონიარისის საშუალო სკოლაში. 1977-1981 წლებში სწავლობს ქ. თბილისის სერგო ზაქარიაძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში ქორეოგრაფიულ ფაკულტეტზე. დამთავრების შემდეგ მუშაობს პირველი მაისის საშუალო სკოლაში 1988 წლამდე. შეთავსებით მუშაობდა ქედის პიონერთა სახლში, წონიარისის, ქედის, გაიოსა და დანდალოს საშუალო სკოლებში ქორეოგრაფიად.

სადაც კი უმუშავია, ახასიათებენ თავისი საქმის კარგ მცოდნებს,



პროფესიონალს, უღალატო და ალალ ადამიანს, დინჯს და ჭკვიანს, საზრიანს და იუმორის ნიჭით დაჯილდოებულ მეგობარს და კოლეგიალურ პიროვნებად. არ უყვარს ტყუილი და ეზარება საქმისადმი ზერელედ და გულგრილად მიმდგომი ადამიანი. მის აღზრდილებს დათვალიერებებზე და საიუბილეო ღონისძიებებში არაერთხელ უსახელებიათ თავი.

ბატონი გენადი კურიოზად და ტბილად გასახსენებლად აღიქვამს ქ. თბილისში ქონკურსში გამარჯვებული ბავშვების წაყვანის დღეს – იმ დღეს ქორწილს იხდიდა. ქორწილიც ჩატარდა წარმატებულად და ბავშვების გამოსვლაც.

ბატონი გენადი მცირე ბიზნესშია ჩართული და ქმაყოფილიცაა. მიუხედავად ამისა, ხალხისთვის მაინც ღირსეულ ქორეოგრაფიად რჩება...

ბაღათურია პანტელეიმონ არტემის ძე.

დაიბადა 1925 წელს სოფელ ნოქალაქევში.

1933-1943 წლებში სწავლობდა ნოქალაქევის, საშუალო სკოლაში.

1944-1948 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1948 წელს ახალგაზრდა ისტორიკოსი პანტელეიმონ ბაღათურია



გაანაწილეს ქედის არასრულ საშუალო სკოლაში. (პირველი მაისის არსრულ საშუალო სკოლაში) (ს.ს.) პირველი მაისის სკოლიდან იგი გადაჰყავთ მშობლიურ რაიონში, ჯერ გმ-ჯეთის არასრულ საშუალო სკოლაში, შემდეგ ნიშნავენ საშუალო სკოლის დირექტორად 1973 წელს.

თითქმის ორი ათეული წელი იმუშავა ნოქალაქევის არასრულ საშუალო სკოლის დირექტორად.

1989 წელს ნოქალაქევის საშუალო სკოლის დირექტორად და მასწავლებლად მუშაობს.


სიცოცხლის უკანასკნელ წელთამდე თვითონ კეთილზნიანი პედაგოგი მოსწავლეებსაც ზნეობრიობას უწერგავდა.

დაჯილდობებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისთვის“, „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, სიგელებით. მინიჭებული ჰქონდა უფროსი მასწავლებლის წოდება.

(ამ სახის არასრული ბიოგრაფია მომაწოდა ჯონდი ბადათურიას დედამ, რისთვისაც მადლობას გუხდი).

ბერიძე ზურაბ ხასანის ძე

დაიბადა 1934 წელს ქ. ბათუმში.



1941-1951 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის №25 საშუალო სკოლაში.

1952-1956 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

1957 წელს მუშაობას იწყებს ორცვის 8 წლიან სკოლაში.

1958 წელს გადაჰყავთ ქედის კომპავშირის რაიკომში სასკოლო განყოფილების გამგედ.

1958 წელშივე პარალელურად ასწავ-

ლის პირველი მაისის საშუალო სკოლი გეოგრაფიას. ამავე წლიდან ისევ გადაჰყავთ მშრომელთა დეპუტატების ქედის რაიონის პულტურის სახლის გამგედ.

1963 წელში ნიშნავენ ქედის ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსად.

1965 წელში გადაჰყავთ ბათუმის ავტო-სატრანსპორტო კანტორის მექანიკოსად.

1967 წელში მუშაობს ხელვაჩაურის კინოქსელების უფროსის მოადგილედ.

1976 წლიდან დიდხანს მუშაობდა ფერის შემფუთავი ქარხნის დირექტორად.

ამჟამად იგი პენსიონერია.

ჩემი თვალსაწიერით იგი იყო პროფესიონალი პედაგოგი, საგნის დრმად მცოდნე, მომთხოვნი და სამართლიანი. მისი ახსნილი გაკვეთილი ისე ჯდებოდა ტვინში, არასოდეს დაგავიწყდებოდა. გაკვეთილს ყოველთვის მომზადებულად ხსნიდა. რაც მთავარია – ვერ ეთვისებოდა ზარმაც მოსწავლებს და ალბათ სწორედ ამან განაპირობა, რომ სხვა პროფესიულ საქმიანობაში ჩაება.

იცოდა ერთგული მეგობრობა, იყო კომუნიკაბელური და კოლეგებსა თუ საზოგადოებაში სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

ბერიძე ნინო ალექსანდრეს ასული.

ნინო ბერიძე დაიბადა 1965 წელს, ქობულეთის რაიონის ხალის სასოფლო საბჭოს სოფელ გორგაძეებში.

1972-1982 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის №1 სკოლა-ინტერნატში.

1982-1987 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში საბუნების მეტყველო – გეოგრაფიის ფაკულტეტზე, ბიოლოგია-ქიმიის სპეციალობაზე და მიზნიჭა პედაგოგის კვალიფიკაცია.



1990 წელს ჩაირიცხა ქ. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში „სპეციაკულტეტიუ” – ბიზნესის უმაღლესი სკოლის, წარმოების მართვის ორგანიზაციის სპეციალობაზე.

1992 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და მიენიჭა ეკონომისტის კვალიფიკაცია.

1987 წელში მუშაობდა ქედის რაიონის სოფ. დოლოგნის საშუალო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად.

1987-1993 წლებში მუშაობდა ქიმიის მასწავლებლად პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1993 წლიდან მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატაში შტატგარეშე ინსპექტორად.

1994 წლიდან მუშაობდა მთავარ ინსპექტორად კონტროლის ორგანიზაცია და კოორდინაციის განყოფილებაში.

2002 წლიდან მუშაობს კონტროლის პალატის საქმეთა მმართველობის მთავარ სპეციალისტად.

2002 წლის აგვისტოში მიენიჭა „2001 წლის საუკეთესო სახელმწიფო მოხელის“ წოდება.

2002 წლის ივნისში წარმატებით ამთავრებს საქართველოს პროფესინალ ბუღალტერთა და აუდიტორთა მიერ ჩატარებულ გადამზადების კურსებს და დებულობს შესაბამის სერთიფიკატს.

დოლოგნის საშუალო სკოლაში მუშაობის პერიოდში აქტიურად მონაწილეობდა შრომითი ბანაკების ცხოვრებაში. შრომისა და დასვენების ბანაკს – „სიხარული“ ხელმძღვანელობდა პედაგოგი ეთერ ბაჯელიძე. ბანაკს ყოველთვის გვერდში ედგა მწარმოებლერი შრომის მასწავლებელი – ნინო ბერიძე. რაიონის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის გამგე ნათელა გოგიტიძე, ნინო ბერიძეს ახასიათებს პროფესიონალ პედაგოგად.

რაიონულ დია გაკვეთილებს ქიმიაში პირველი მაისის საშუალო სკოლაში ატარებდა მასწავლებელი – ნინო ბერიძე.

1988 წლის გაზეთ „პოლმეურნეში“ ვკითხულობთ შემდეგს: „მეორე წელია, რაც პირველი მაისის საშუალო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა ნინო ბერიძემ. მან, ენერგიული, დაუზა-

რელი და პატიოსანი შრომით სულ მაღვე მოწინავე მასწავლებლის
სახელი მოიპოვა. გულდასმით ემზადება ყველა გაკვეთილისათვის
და გარკვეულ შედეგსაც აღწევს.


საინტერესო და ცოდნის შემძენი იყო მის მიერ ჩატარებული
რაიონული დია გაკვეთილი. მასწავლებელი მოხერხებულად და
მიზნობრივად იყენებს დია გაკვეთილზე თვალსაჩინოებასა და ტე-
ქნიკურ საშუალებებს. სწავლებას კარგად უკავშირებს აღზრდის,
გაკვეთილზე აღწევს მოსწავლეთა შემოქმედებითი ძალების გააჭ-
ტიურებას. თემას კარგად უკავშირებს თანადროულობას. გაკვეთილზე
წინა პლანზე იყო წამოწეული ეკოლოგიური აღზრდა. განსაკუთრე-
ბულ უკრადღებას აქცევს პრაქტიკულ მუშაობას.. კარგად არის
დაუფლებული თანამშრომლობის პედაგოგიკას. მუშაობაში ითვალ-
ისწინებს დიფერენციულ მიღღომას." ნათელა გოგიტიძე.

დასკვნით შეფასებას აძლევს ქ. ბათუმის მასწავლებელთა დახ-
ელოვნების ინსტიტუტის ქიმიის მეთოდისტი – ლუბა ლელევა.

ქალბატონი ნინო არის გულისხმიერი, გულთბილი და დაუზა-
რელი მუშაკი. მასთან სიახლოესისას საოცარი სითბო და უშეალო-
ბა იგრძნობა. საქმის გულთან მიმტანი და აკურატული შემსრულე-
ბელია. გულდია მოსაუბრე და ხალისიანი მასპინძელია.

დიდება დირსეულო ქართველო ასულო...

ბერიძე მირიან დაუთის ძე.



დაიბადა 1930 წელს ქედის რაიონის ს.
ხესოფელში.

1936-1947 წლებში სწავლობდა ქედის
საშუალო სკოლაში.

1947-1950 წლებში სწავლობდა ქ. ბათუ-
მის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფიზიკა-მათემ-
ატიკის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებ-
ის შემდეგ განაწილებით მოხვდა ქედის
რაიონის სოფელ პირველ მაისში, არასრულ
საშუალო სკოლაში და ასწავლიდა 1952

წლის ჩათვლით, საიდანაც გადაჭყავთ ჭვანის საშუალო სკოლაში, მაგრამ ამავე წელსვე გადაჭყავთ ქედის რაიონის პედაგოგიურ სასწავლებელში პედაგოგად.

პარალელურად ასწავლიდა ქედის საშუალო სკოლაში.

1958 წელს ქედედ ილია ზანაქიძესთან ერთად ტრაგიკულად დაიღუპა. შეწყდა ნაადრევად მისი სიცოცხლე, რომელიც ნამდვილად დააკლდა ქედის რაიონის ინტელიგენციას. მას თბილად და სიყვარულით ისხენიებენ თანასოფლებები, პედკოლექტივები და მისი აღზრდილები. დააკლდა იგი ზესოფელს. მაშინ ხომ სოფლები განებივრებული არ იყვნენ პედაგოგიური კადრებით, ამდენად პირველი მერცხლების რიგში ირიცხებოდა ბატონი მირიანი, თუმცა არ დაცალდა ის პირველობაც. სიკვდილიცაა და სიკვდილიც, მაგრამ ოცდარვაწლის ახალგაზრდის ტრაგიკული სიკვდილი (მოტოციკლით მოხვდა ავარიაში) მართლაც ტრაგედიაა არათუ სოფლისთვის, მოქლი ერისათვის... ვინ იცის რაგვარი გეგმები პქონდა მოხაზული გუნებაში. ობლად დატოვა მეუღლება და შეილიც. სიცოცხლე გრძელდება და მის სახელს დავიწყება არ უწერია. ნათელი დაადგეს მის სსოფას, რომელიც ჯერაც ცოცხლობს ხალხის გულში.

ბოჭორიშვილი ვაჟა სამუელის ძე



დაიბადა 1934 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველ სკოლაში. მოსამსახურის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო თავისივე სოფელში, რის შემდეგაც საცხოვრებელი ადგილის გამოცვლასთან დაკავშირებით სწავლა განაგრძო ქ. ბათუმის ვაჟთა №1 საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1953 წელს.

1953-1957 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე განაწილებით მოხვდა ხუ-

ლოს რაიონის შორეულ სოფელ თხილვანის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

განათლებლის სამინისტროს მიერ 1958 წლის 20 აგვისტოდან იგი გადაიყვანეს ქედის რაიონის სოფელ ოქტომბრის შვიდწლიან სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად.

1959 წლის 20 აგვისტოდან მუშაობას იწყებს ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის და ხაზების მასწავლებლად და დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

ამავე წელს გადაიყვანეს ქედის რაიონის განათლების განყოფილებაში მეთოდისტად, პარალელურად მუშაობს მათემატიკის მასწავლებლად ქედის საშუალო სკოლაში.

1960-1962 წლებში ისევ გადაიყვანეს პირველი მაისის საშუალო სკოლაში იგივე სტატუსით, როგორითაც ადრე ასწავლიდა.

1962 წლის 21 სექტემბრიდან სამუშაოდ გადაჰყავთ ქ. ბათუმის №1 პროფესიურ სასწავლებელში სასწავლო ნაწილის გამგედ და მათემატიკის მასწავლებლად. აღნიშნულ პერიოდში შეთავსებით მუშაობს რეინიგზის მუშა-ახალგაზრდობის საღამოს და დღის დასწრების საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1965 წლის პირველი იანვრის ბრძანებულებით ქ. ბათუმის №9-ე საშუალო სკოლაში გადაჰყავთ მათემატიკის მასწავლებლად.

1967 წლის პირველი მარტიდან დაინიშნა ქ. ბათუმის განათლების განყოფილების მეთოდკაბინეტის მეთოდისტად და პარალელურად მუშაობას განაგრძობს მათემატიკის მასწავლებლად №9 საშუალო სკოლაში. მაღვე იგი განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ დაამტკიცეს, 1987 წლის 10 იანვრის ბრძანებულებით.

1991 წლის 13 დეკემბრიდან ქ. ბათუმის განათლების განყოფილების გამგება.

ვაჟა ბოჭორიშვილს 1981 წელს აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება. დაჯილდოებული იყო მედლებით, „სახალხო განათლების წარჩინებუ-

ლის" სამკერდე ნიშნით, საპატიო სიგელებით.

1994 წლის 3 იანვარს დაინიშნა ქ. ბათუმის მერიაში მთავარ მრჩევლად. ამავე წლიდან იგი მუშაობს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მერიის საორგანიზაციი განყოფილების გამგედ.

სადაც კი იმუშავა ვაჟა ბოჭორიშვილმა, ყველგან დატოვა მცოდნე, ერუდირებული სპეციალისტის კვალი. იგი იყო ახალგაზრდობის ჩინებული აღმზრდელი და გვერდში თანამდგომი, რითაც მოსწავლე ახალგაზრდობაში, ინტელიგენციაში მოჰკოვა დიდი აგტორიტები და დირსეული აღიარება. იგი ყველგან ავლენდა ორგანიზატორულ ნიჭა და დიდ პასუხისმგებლობას დაკისრებული მოვალეობის შესრულებისადმი.

ბატონმა ვაჟმ შექმნა მართლაც დიდებული ქართული ოჯახი და უსათხოესი მეუღლის ერთად აღზარდა სამშობლოს სადიდებლად ორი ვაჟიშვილი. დატოვა შვილიშვილებიც.

კაცი, რომელსაც შეეძლო კიდევ ბევრი კეთილი საქმის კეთება ქვეყნის საკეთილდღეული. ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ თავისი ცხოვრების მანძილზე გაწეული გარჯით და მოპოვებული წარმატებებით მან უკდაგვო თავისი სახელი. იგი მუდამ ემასს-ოვრებათ მეგობრებს, ამხანაგებს, აღზრდილებს და თანამოსაქმეებს.

P.S. სიკვდილამდე რამდენიმე წნით ადრე შემხვდა საყვარელი მასწავლებელი და იმდენი წლების გასვლის შემდეგ, მიცნო და მოვისიყვარულეთ ერთმანეთი. სამწუხაროდ მალე შეწყდა ჩვენი შეხვედრის სიხარული. ნათელი დადგეს იმ ქვეყნად.

ბოლქვაძე მაკა.

ბასილაძე ბულბული ქაზიმის ასული

როდესაც ადამიანზე იტყვიან მოწოდებით არტისტია ან სხვა რამ მისთანაო, ასეთი ეპითეტი სწორედ ამ ადამიანს მოერგება.

1960 წელს მოვიდა იგი პირველი მაისის საშუალო სკოლაში და საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა.

ბულბული ბასილაძე დაიბადა 1937 წელს, მისი მამა ქაზიმ ბასილაძე მის დაბადებამდე დააპატიმრეს.



1944-1955 წლებში სწავლობდა ჯერ ვაიოს არასრულ საშუალო სკოლაში, შემდეგ დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა.

1955-1960 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1960-1963 წლებში განაწილებით მოხვდა პირველი მასისის საშუალო სკოლაში.

1963-1964 წლებში ასწავლიდა მეჯინის სწავლის საშუალო სკოლაში.

1964 წლს კი ინიშნება ურების საშუ-

ალო სკოლაში.

სადაც კი იღვაწა, დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა. იყო ძლიერი პედაგოგი, მათემატიკის საუკეთესო სპეციალისტი, კარგი აღმზრდელი და დისციპლინის მოყვარული. ძლიერმა მათემატიკოსმა სახელი გაითქვა აჭარის მასტერით. შედეგად ქების სიგელებს და გამარჯვებების სიხარულს იხვეჭდნენ მისი აღზრდილები რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა თუ შემოქმედებით კონფერენციებში. თვითონაც აქტიურ მონაწილეობას დებულობდა მასწავლებელთა პედაგოგიურ კითხვებში. არაერთხელ გამოსულა საინტერესო მოხსენებით და დაჯილდოებულია ქების სიგელებით. ხშირად კი უმაღლესი სასწავლებლის მისაღებ საგამოცდო კომისიაში იწვევდნენ. იყო საუკეთესო კლასის ხელმძღვანელი და მისი სადამრიგებლო კლასი ყოველთვის გამოიჩინდა მაღალი აკადემიური მოსწრებით, დისციპლინით და წესიერებით.

ქალბატონი ბულბული მტკიცე აზრისა და აზროვნების პედაგოგი იყო. როცა რაიმეს იტენდა, წინასწარ ჰქონდა გაანგარიშებული და გონიერი გადახარშეული, ამიტომ შემდავებელიც ნაკლებად ჰყავდა. ვერავინ შეაცვლევინებდა აზრს. იყო ძალზე მეგობრული და კოლეგიალური, უყვარდა უმცროს კოლეგებზე დახმარებაც. მის სიტყვას კი წონაც ჰქონდა და საზომიც.

მასში ძალზე სჩანდა გამოკვეთილად სიდინჯე. იგი ყოველთვის

მკაცრი გამომეტყველების ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა, სინამდვილეში სრულიად უბრალო ადამიანი, გულთბილი და მეგობრული იყო. მხიარული პიროვნების შთაბეჭდილებას არ ტოვებდა, ეს კი მის მაღალ ინტელექტუალობაზე და პროფესიონალიზმზე მეტყველებდა. ძლიერ ადამიანში ძლიერი სული ბუდობს – ეს ფრთიანი ფრაზა მას ნამდვილად მიესადაგებოდა.

1983 წელს მიენიჭა უფროსი მასწავლებლის წოდება.

1988 წელს „მეთოდისტი მასწავლებლის“ წოდება.

1990 წელს – „აჭარის დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება.

ერთი შეხედვით ჯანმრთელ, ახოვან ადამიანს სხეულებისადმი არავითარი პრეტენზია არ უნდა პქონოდა, მაგრამ იგი 1992 წელს მოულოდნელად გამოეცალა საზოგადოებას, რაც სამწუხარო და წარმოუდგენლად ძნელი დასაჯერებელი გახდა.

გატყდა ბოლოს რეინისებური ჯანმრთელობაც, სიდარბაისლეც და სამუდამოდ გამოიხურა ამქვეყნიური კარები.

ბეჭანიძე არჩილ (რამიზ) ხასანის ძე

როდესაც საუბარი ჩამოვარდება ჭკვიან, დისციპლინირებულ და ძალიან ერუდირებულ ადამიანზე, აუცილებლად უნდა მოვისხებით 1962-1974 წლებში პირველ მაისის სკოლაში მოღვაწე, მასწავლებელი, დირექტორი არჩილ ბეჭანიძე.



„არჩილ ბეჭანიძე დაიბადა 1926 წელს ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში. დაწყებითი განათლება მიიღო თავის სოფელში, შემდეგ ქედის რვაწლიან სკოლასა და პედსასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ გამზიდასწავლებლად მუშაობდა სოფელ ხუნდუკაში.

1955 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის პედინსტიტუტი ისტორია-ფილოლოგიის სპეციალობით, საიდანაც განაწილებით გაიგზავნა შუახევის რაიონის სოფელ დღვანის საშუ-

აღო სკოლის დირექტორად და ისტორიის მასწავლებლად. ეს მაღალი შეფასება მან ინსტიტუტში მოიპოვა. იშვიათი შემთხვევაა, როდესაც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პირდაპირ საშუალო სკოლის დირექტორად ინიშნება ვინმე.

1960-1961 წლებში უძღვებოდა ქედის საშუალო სკოლას, საიდანაც იგი გადაიყვანეს საქართველოს კომუნისტურ პარტიის ქედის რაიონში ინსპექტორად (თუ ინსტრუქტორად?..). შემდეგ ჯერ პირველი მაისის, მომდევნო წლებში ერგეს საშუალო სკოლის დირექტორად.

არჩილ ბეჭანიძე იყო აკადემიურად ძლიერ მომზადებული და განათლების დარგში ძლიერი ხელმძღვანელი. ამას მოწმობს მისი დიდხანს და მრავალ სკოლაში დირექტორად მუშაობა.

იგი დიდ ყურადღებას უთმობდა სკოლაში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფას, მასწავლებელთა შეთოდეურ დახმარებების, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მზანმიმართულ მუშაობას.

ა. ბეჭანიძის დამაჯერებელ საუბარს განსაკუთრებული ძალა ჰქონდა. მკაცრი, მაგრამ უაღრესად კეთილი იყო, სწორედ ამიტომაც დაიმსახურა კარგი ავტორიტეტი მოსწავლეებსა, მშობლებსა და კოლეგებს შორის. (მ. დიასამიძე „საუკუნოვანი სკოლა“. გვ. 161-162).

პედაგოგი მერი დიასამიძე არჩილ ბეჭანიძესთან დაკავშირებით აღნიშვავს, რომ დღვინის, პირველი მაისისა და ერგეს საშუალო სკოლების მშენებლობები მისი დამსახურებაათ. იქნებ ასეც იყო, მაგრამ პირველი მაისის საშუალო სკოლის გზატკცილოთან ახლოს, ანუ პირველი მაისის სასოფლო საბჭოსთან ახლოს აგების ინიციატორი და ასე ვთქვათ ხელმძღვანელიც გახლდათ იმსახად სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე – ნათელა ისმაილის ასული სამინიძე. მეორეც, ა. ბეჭანიძეს ასახელებს 1962-1965 წლებში ქედის საშუალო სკოლის დირექტორად.

1962-1964 წლებში ასწავლიდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში ისტორიას. ერთდროულად დირექტორიც იყო და სხვა სტულაშიც ასწავლიდე, ეს დიდი ენერგიის ხარჯვას მოითხოვდა, რისი უნარიც გააჩნდა კიდევ.

რაც შეეხება მისი, როგორც რიგითი მოქალაქის მოღვაწეობას, იგი იყო შეურიგებელი ყოველგვარი მანკიურებისადმი. ვერ იტანდა

უგულისყურო და პროტექციით მაღლა მოხვედრილ შეუფერხებელ პერსონებს. ილაშქრებდა შაბლონური პრაქტიკისა და თეორიის გამტარებლების, მოწვენებითობისა და არაფრის გამო ქვლების ჩამწერთა წინაღმდეგ. იყო სამართლიანი მსაჯული და მომხსენებელი. არასოდეს წაუკითხავს დაწერილი მოხსენება. მისი გამოსვლები საჭიროების შემთხვევაში იყო დამაჯერებელი და არ იმსახურებდა კრიტიკას, ვინაიდან მისი მოხსენებები არ იყო პოლიტიზირებული და ზეპარტიული. ყოველი მისი ქმედება იყო განმსჭვალული ხალხის სიყვარულით. მისთვის ყველაზე მაღლა იდგა და წმინდა იყო მშობლიური ქვეყანა, ერი და ეროვნულობა, ყოველგვარი ეროვნული ფასეულობები. ამ კრიტერიუმით იცხოვრა ბატონმა არჩილმა და მართლაც, ქალბატონ მერისეული შეფასებებიდან გამომდინარე, ხალხის გულში ღირსეულად დაიდო ბინა.

როცა ლაპარაკი მიმდინარეობს კაცურკაცობის და ნამუსის ქუდის მატარებელზე, ყოველთვის წინა რიგშია წამოწეული პატივცემული ო. ბეჟანიძე.

მასზე ბევრის მოყოლა შეიძლება, ასე ვთქვათ მარტო მის შესახებ დაიწეროს ერთი წიგნი, თუმცა ამის შესაძლებლობას ამ წიგნის ფორმატი არ იძლევა. ზოგსაც სხვები მიამატებენ... დაუსრულებელი ყოფილიყოს მასზე მოსაყოლი...

ბეჟანიძე უსუფ ხასანის ძე.

ისტორიის მასწავლებელთა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მცოდნე, საგანზე და ბავშვებზე შეყვარებულ პიროვნებას – უსუფ ბეჟანიძეს.



დაიბადა 1930 წელს სოფელ ზენდიდში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება, შემდეგ დაამთავრა ქედის რაიონის პედაგოგიური სასწავლებელი და მუშაობა დაიწყო პირველი მაისის 7-წლიან სკოლაში. შემდეგ ში წარმატებით ამთავრებს ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს ისტორიის განხრით რის შემდეგაც ჯერ ცხმორისის, შემდეგ ქნ-

წმანის 7-წლიან სკოლაში ასწავლიდა ისტორიას. რამდენიმე წელი მუშაობდა ქედის საშუალო სკოლაშიც.

უ. ბეჭანიძე გამოირჩეოდა პროფესიისადმი ღრმა ცოდნითა და ერთგულებით. მისთვის სამშობლო იყო უპირველესი ქვაკუთხედი, რომელსაც სტალინური სულისკვეთებით განმსჭვალული ემსახურებოდა, მოსწავლეებს მთელი ენთუზიაზმით გადასცემდა ცოდნას და აყვარებდა სამშობლოს, საქართველოს ისტორიას, სათაყვანებელ და სახელოვან ქართველ გმირებს.

მას იცნობენ როგორც თავგადაკლულ პატრიოტს, მგზნებარე სტალინელს, მრავალმხვრივ ერუდიტს. მასზე დდესაც ლეგენდის მსგავსი ამბები დადის...

„უ. ბეჭანიძის რაინდულ სულს, მრავალმხვრივ ნიჭიერებასა და ცოდნას, ბევრის მიცემა შეეძლო ქვეწისათვის, მაგრამ მისმა პირადმა და საზოგადო ინტერესებმა ტრაგიკულად გადაკვეთეს გზები – 1956 წლის სტუდენტური გამოსვლების მონაწილე „სტალინელი“ სწორედ ამ მრწამსისათვის, ეროვნულობისათვის იდევნებოდა... მაგრამ მაინც ბოლომდე იცხვრა თავისი რწმენის ერთგულებით. იგი 49 წლისა გარდაიცვალა, მაგრამ მისი სიცოცხლე გრძელდება საზოგადოებაში დარჩენილი სახელით, მისდამი სიყვარულითა და პატივისცემით, როთაც თავად იყო განმსჭვალული თავისი ხალხისადმი.“

(მ. დიასამიძე „საუკუნოვანი სკოლა.“ გვ. 253-254).

დიახ, ეროვნულობისათვის დევნილ, უანგარო, წმინდა და სამშობლოს ერთგულ პიროვნებას არ დააცალა სიკვდილმა სამშობლოს სიყვარულისათვის მთლიანად დახარჯვა, მას ჯანმრთელობა შეერყა და უდავოდ ნიჭიერი, ამაღლებული სულიერების ადამიანი 1979 წელს მიიბარა მშობლიურმა მიწამ.

ბეჭრი რამ მსმენდა ბატონ უსუფ ბეჭანიძეზე, ერთხელ გადავწევიტე კიდევ, რომ რადაც გამჟამეთებინა ჩანახატების ან მოთხოვნის სახით, მაგრამ როცა გავიგე რომ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეს, ყოფილ პროექტორს, მოსამართლეს, ადვოკატს, მწერალ იუსუფ ფალავას რომანი „ბეჭის ვარსკვლავი“ შეუქმნია, თავი ჩავთვალე უსუფურად ასეთი ადამიანის ბიოგრაფიის აღწერისათვის, მისი რომანი

არასოდეს კარგავს ინტერესსა და მკითხველთა სიყვარულს, მაგრამ მაინც მგონია რომ ეს ოომანი უ. ბექანიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სრული ასახვა არაა. ეს უფრო მის ტრაგიზმით სავსე ოჯახურ ისტორიას ეხება.

ხანდახან შექმნება აზრი, რომ ასეთი ადამიანების გახსენებისას, სიამაყის გრძნობით უნდა განიმსჭვალოს ყველა, თუმცა მისნაირების საქმეების ძირეული გაანალიზება ძალზე ძნელია.

მეამაყება რომ უსუფი და მისნაირები ჩვენს გვერდით ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ, იდვწოდნენ საქვეყნო საქმეებისათვის, თავის სათქმელს წარბშეუხერელად ამბობდნენ და მზად იყვნენ ყოველგვარ სიძნელეზე თვალებში შევხედათ.

მეამაყება რომ ასეთ ბუმბერაზე აზრიანი პიროვნების თანამემაჟულე ვარ. მეამაყება რომ ისინი ქართველი ხალხის ტკიფილიანი წიაღიდან აღმოცენდნენ და მებრძოლი სულის მატარებლები იყვნენ.

მეამაყება რომ პირადად, უსუფ ბექანიძის ნატერფალებზე მივლია და თავადაც მისი მოთავსანე ვარ, მიუხედავად იმისა არც პირადად ვიცნობდი და არც რაიმე ქავშირურთიერთობა არ მაქს ვინმესთან.

მეამაყება, რომ დღესაც იმდენი კარგი რამ მესმის ბატონ უსუფ ბექანიძეზე, მაგრამ ერთი კაცის კვალობაზე მაინც რაღაც მენაკლულება. რეალობა, რეალობაა, მაგრამ აღწერაც ძნელია.

მეამაყება, რომ საქართველოს ამისთანა ადამიანები პყავდა და არც დღეს არიან სანთლით საძებარნი, მაგრამ როგორც ადრე, არც ეხლა სჭირდებათ თვითნაბადი ნიჭიერები, საქართველოს საღიძებლად. სამწუხაროა ის, რომ ხშირად სხვისი რვალი უფრო ბრჭყვიალებს, ვიდრე უსუფისმსგავსთა პატიოსანი თვალი, მაგრამ ისტორია და ხალხი არიან ასეთების პატრონი და არდამვიწყებელი.

ბოკერია ნინა ნიკოლოზის ასული ბზეკალავა ნინა ბრეგვაძე გიორგი

გოგიტიძე ნათელა დურსუნის ასული.

მოწოდებით პედაგოგზე, სულიერად და ზნეობრივად ამაღლებულ ადამიანზე, ნამდვილ მეგობარზე და თანაც ხელმძღვანელზე საზოგადოებრივი ფურადღება რომ მუდმივ გამახვილებულია, საყოველთაოდ ცნობილია. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ქალბატონი ნათელა გოგიტიძე ვისაც მასთან შეხების თუნდაც მცირედი შანსი პქონია, დამეთანხმება ჩემ შეულ შეფასებაში.



6. გოგიტიძე 1952 წელს მოგვლინა დურსუნ გოგიტიძის ოჯახს. სოფელ ბზუბეულს დაწყებითი სკოლიდან იგი აწყების სკოლა-ინტერნატში გადაჭივთ, რომელიც 1968 წელს დაამთავრა და იქვე დატოვეს პიონერსელმძღვანელად და საქმის მწარმოებლად.

„1981 წელს დაუსწრებლად დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქარტული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი. სკოლა-ინტერნატში მუშაობდა აგრეთვე დირექტორის მოადგილედ აღზრდის დარგში. ცოტა ხანს მუშაობდა პარტიის ქედის რაიკომის ინსტრუქტორად. 1984-1987 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლის დირექტორად და ქართული ენა-ლიტერატურის მასწავლებლად. იგი განათლების სისტემის მართვის ძირებით რგოლის ქარგ ხელმძღვანელად ჩამოყალიბდა. მისი ხელი დაეტყო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხს, წესრიგსა და დისციპლინას. სკოლაში შექმნილი შემოქმედებითი ატმოსფერო, ესოფტიკურადაც და შინაარსობრივადაც სხვებისთვის სანიმუშო გახდა.

1987 წლიდან 6. გოგიტიძე ქედის განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის გამგედ მუშაობდა. პედაგოგთა მეთოდური დახელოვნების მიზნით, მაღალ დონეზე აწყობდა პედაგოგიურ კითხვებს, საკურსო დონისძიებებს.

1993 წლიდან ბათუმის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტი-

ტუტის ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობის მეთოდური კაბინეტის გამგება, სადაც საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს სკოლის ხელმძღვანელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს. საოლქო პედაგოგიური კითხვის პედაგოგიკის სექციის ერთერთი ხელმძღვანელია. ნ. გოგიტიძე ნაყოფიერი მუშაობისთვის დაჯიდვებულია განათლების სამინისტროების საპატიო სიგელებით და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სიგელებით და დიპლომებით. (ვ. წულუბიძე „განათლების ისტორიისათვის აჭარაში. გვ. 610-611).

მოგონება პედაგოგ ლევან ქადიძისგან: ერთი პერიოდი რადაც ნაირად მოვეშვით, თითქმის ინერციულად ვმოღვაწეობდით, მაგრამ როდესაც დირექტორად ნათელა გოგიტიძე დაგვინიშნეს, ხნიურ პედაგოგებს ცოტა გვეხამუშა, მაგრამ რატომდაც ისე მიგვიზიდა დისციპლინის განმტკიცებით, ძალაუნებურად ჩვენც მხარი ავუბით მის წამოწყებებს და ასე ვთქვათ ჩავდექით კალაპოტში. სახლში რომ მივიღოდით, არათუ დადლას ვგრძნობდით, სულიერად დასვენებულიც ვიყავით, მოკლედ მაღამოსავით იმოქმედა ყველაზე და დღვევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, ნათელასნაირი დირექტორი ჩვენს სკოლას მგონი არასდროს ჰყოლია.

მეც ვეთანხმები ბატონ ლევანს.

ნ. გოგიტიძის დირექტორობისას ჩამორჩენილი მოსწავლე არ ყოფილა, პირიქით, მაღალი აკადემიური მოსწრებით რაიონში მუდამ მოწინავეთა რიგებში იყო პირველი მაისის საშუალო სკოლა. თვალსაჩინოებისათვის ხშირად აწყობდა გასვლით ღონისძიებებს, რომელთაც განუმეორებელი ოსტატობითა და მაღალი კვალიფიციურობით ატარებდა. კარგად ახამგებდა მშობლების სკოლასთან დაახლოების ღონისძიებებს. იდეალური დისციპლინის შედეგი იყო ის, რომ მშობლები მშობელთა კრებების მოწყობას თავად თხოვდნენ ქალბატონ ნათელას. დისციპლინის ასეთმა განმტკიცებამ მშობლებიც პატივისცემით განაწყო მის მიმართ.

ნ. გოგიტიძე მრავალი წამოწყების და სიახლის ავტორია – თავდადებულმა მუშაობამ შედეგი გამოიდო და როგორც ვახსენე, მაღალ საფეხურებს ეზიარა, თუმცა მისი წასვლა დიახაც დაეტყო

სკოლასაც და სოფელსაც. სკოლისა და მცხოვრებლების საკეთილ-დღეოდ შეუპოვარი მებრძოლი დირექტორი დიდხანს შთაბეჭდილებებით გაჰყვებათ პირველმაისელებს.

6. გოგიტიძე არ იყო ამბიციური. არ უყვარდა გაზვიადება, ტექნილი, საქმის დრამატიზება, დროში გაწელვა. ყოველგვარ სასკოლო საქმიანობას, თუნდაც სხვის გასაკეთებელს, ხშირად თვითონ ასრულებდა აკურატულად და უნაკლოდ. იყო მკაცრი, მაგრამ სამართლიანი. ყველა მშობელთან ახლო, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. მისგან გამოძახებული ნებისმიერი მშობელი თავს გრძნობდა არა შეილის გამო სირცევილეულად, არამედ ვალდებულად და ეს გამოძახება და შეხვედრა იყო საქმიანი. მჭიდრო კავშირი ჰქონდა მშობლებთან. იყო რაღაც ნიუანსები, რომლებიც მშობლებისგან დახმარებას საჭიროებდა. არც არავინ იზარებდა მასთან მისვლას და არც თვითონ იყო ცალსახა. სწორედ ამ ერთობლივმა – სკოლისა და ოჯახის, პედაგოგებისა და მშობლების დამოკიდებულების აუცილებლობიდან გამომდინარე მჭიდრო დაკავშირებამ, სკოლა მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. თუ რომელიმე სოფლის სკოლაზე მიღგებოდა შექების ჯერი, პირველი მაინც პირველი მაისის საშუალო სკოლა იყო და სამართლიანადაც. სწორედ მისი დროის მოწავლებმა ნახეს ფართო ასპარეზი, ვინაიდან მკაცრ რეჟიმში იზრდებოდნენ რამდენიმე წელიწადს, დისციპლინირებულებად ჩამოყალიბდნენ და ლელოც გაიტანეს.

ხელმძღვანელ მუშაკებს არ პატიობდა სიყალბეს და გულგრილ დამოკიდებულებას სკოლისადმი. იყო შემთხვევები, როცა რაღაც მიზეზიანობით არასწორ გეზს აძლევდნენ სასკოლო საქმიანობას, იგი ამ დროს უნიათობას არ ამჟღავნებდა, პირიქით პრიციპულად უდგებოდა გადასაწყვეტ საკითხს, ისე როგორც მოწოდებით პედაგოგს შემფერებოდა და თავისი გაჰყონდა სამართლიანად. იგი რჩევებს კი არ იძლეოდა, თვითონ იყო მაგალითი და გინდა თუ არა მის ფერხულში უნდა შესულიყავო.

მოწოდების დონეზე იდგა ყოველთვის და გარშემომყოფთა მოწოდებასაც იმსახურებდა.

ადამიანს წინ ფართო ასპარეზი ელოდება, ეს აუცილებელი საჭიროებაა და სწორედ ამ მიზეზმა ჩამოაშორა იგი სასკოლო ყოველდღიურობას, თორემ მრავალთა აზრით, იგი დღესაც რომ ყოფილიყო სკოლის მართვის სადაცებთან, უფრო მეტ სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებას, თუმცა სადაც არ უნდა იყოს პატივცემული პედაგოგი საზოგადოებისთვის, შინაურებისთვის, მუდამ საპატიო და მაგალითის მიმცემი იქნება.

მადლი მის გზა-ბილიკებს.

გოგიტიძე ნაზი გურამის ასული.

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ოქტომბერში 1958 წელს.

1965-1973 წლებში სწავლობდა ოქტომბრის 8 წლიან სკოლაში.



1973-1975 წლებში სწავლობდა ქედის საშუალო სკოლაში.

1975-1978 წლებში მუშაობდა სოფელ ოქტომბრის კლუბის გამგედ.

1978 წელს ჩაირიცხა მოსამზადებელ კურსებზე ქ. ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის აბიტურიენტად.

1979-1983 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის ფაკულტეტზე.

1983 წელს მუშაობას იწყებს სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1984 წელს აირჩიეს სოფელ ოქტომბრის კოლმეურნეობის კომავჭირის კომიტეტის მდივნად.

1988 წლიდან დღემდე მუშაობს სოფელ კუჭულის დაწყებითი სკოლის მასწავლებლად.

იქ, სადაც უმოღვაწია ქალბატონ ნაზი გოგიტიძეს, ყველგან დადგითად ახასიათებენ კოდეგები, მცხოვრებლები და სხვა პედაგოგები. გამოირჩევა თავმდაბლობით, თავაზიანობით, საქმის სიღრმ-

ისეული ცოდნით. მისი ახსნილი გაკვეთილი ყოველთვის ტოვებს მოწაფებში დრმა შინაარსს, პროფესიული დონის ინტერესს, უდვი-ძებს მოწაფებს საგნისადმი სიყვარულის ინტერესს.

დიდხანს ემახსოვრებათ მოწავლეებს, სკოლადამთავრებულებს მისი გადიმებული სახე და მზრუნველი, სიყვარულნარევი მოპყრობა.

კარგი დედის და კარგი მასწავლებლის ღირსება ყოველთვის იქნება მისი აღზრდილებისთვის მისაბაძი და სამაყო.

კეთილი მერმისი და სიხარული...

გურგენიძე ციალა რეჯების ასული



თუ დიპლომირებულ რძლებს ქებით მოიხსენიებენ, ასეთი ქებით ნამდვილად მოიწონებენ თავს არიფ სამნიძის მრავალშვილიან ოჯახში.

ციალა გურგენიძე დაიბადა ლამაზ სოფელ კოლოტაურში (ხოხნა). 1938 წლის შემოდგომაზე, ოქტომბრის თვეში.

კოლოტაურის არასრული საშუალო სკოლიდან გადავიდა მახუნცეთის საშუალო სკოლაში.

1958-1963 წლებში სწავლობდა ბათუმის პეადგომიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1963 წელს ინიშნება კოლოტაურში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად.

1964-1967 წლებში ამავე სკოლის დირექტორია.

1965 წელს შევიდა სკპ რიგებში.

1967 წლიდან დღემდე პედაგოგიურ მოდგაწეობას ეწევა პირველი მაისის საშუალო სკოლაში, მათგანიცის სამყაროში.

1972-1985 წლებში იყო საქ. კპ ქედის რაიკომის წევრი და იმავდროულად სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანი. მონაწილეობდა რაიონულ და საოლქო კონფერენციის

მუშაობაში.

1982 წლის ოქტომბერში აჭარის მასწავლებელთა III და ნოემბრის საქართველოს მასწავლებელთა V ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს.

1983 წელში დაჯილდოვდა „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით.

1984 წელს, 17 აპრილის ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს სსრ. „დამსახურებული მასწავლებლის“ საპატიო წოდება. (ამონაწერი ქედის რაიონის განათლების განყოფილების, მასწავლებელთა დაჯილდოვების წიგნიდან 2002 წლის მონაცემებით).

1987-1989 წლებში პირველი მაისის საშუალო სკოლის დირექტორია. მასწავლებელთა ატესტაციის შედეგად მიღებული აქვს უმაღლესი კატეგორია. არის პროფესიონალი მათემატიკოსი, საგნის ღრმად მცოდნე. არის ერუდირებული. უნივერსიტეტის რექტორის მიწვევით, დრო და დრო მონაწილეობას ღებულობდა მისაღებ გამოცდებში, როგორც პირუთვნელი და ძლიერი შემფასებელი. საგნის ღრმა ცოდნა საშუალებას აძლევს გააღვივოს მოსწავლის გონიერაში ამ საგნის საჭიროებას. ბავშვებში არის უშუალო და პირდაპირი, მეგობრულ დამოკიდებულებაში. ადსაზრდელებიც სიყვარულით პასუხობენ აღმზრდელის მაღლიერებას. რა დროც არ უნდა გავიდეს, მაინც ესიყვარულებიან, კრძალვას გამოხატავენ და მაღლიერი თვალებით შესცემერიან ყოფილ აღმზრდელს.

აღიარებული პედაგოგი, სანიმუშო მეუღლე და რძალი – ასეთად დარჩება იგი მაღლიერი თაობის თუ შთამომავლების გულში...

გიორგაძე ბენია.

გედევანიძე ალექსი ივანეს ძე

დაიბადა 1922 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ ცხემლისხიდში, პედაგოგის ოჯახში.

8 წლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს ოზურგეთის პედაგოგიურ ტექნიკუმში, რომლის დამთავრების შემ-



დეგ ანაწილებენ ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეს დაწყებითი სკოლის დირექტორად და ისტორიის მასწავლებლად.

1946 წელს გამოცდები ჩააბარა ბათუ-მის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1950 წელს დაამთავრა წარმატებით.

1950 წელს ნიშანვენ ხარაულის 8 წლიანი სკოლის დირექტორად და ისტორიის მასწავლებლად. 1951 წელს სამუშაოდ გადაჭევთ პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში დირექტორად

და ისტორიის მასწავლებლად. სადაც მუშაობდა 1957 წლამდე.

მუშაობდა კოლოგიურის 8 წლიან სკოლაშიც.

1960 წელს მიენიჭა აჭარის დამსახურებული პედაგოგის წოდება.

1961 წელს დაინიშნა სოფელ ინაშარიძეების 8 წლიანი სკოლის დირექტორად, სადაც იმუშავა 10 წელი.

1972 წელს გადმოვვანილი იქნა ბათუმის დაუსწრებელი საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებლად, სადაც იმუშავა 21 წელი. ბატონი ალექსი გედევანიძე იყო უაღრესად კეთილსინდისიერი, აკადემიურად მომზადებული, სამართლიანი და ზრდილობიანი. სკოლაში სადაც კი მუშაობდა, ყოველთვის ატარებდა მოხსენებებს საერთაშორისო და პოლიტიკურ საკითხებზე.

პატივცემული პედაგოგი გახდათ დინჯი მოსაუბრე, დამაჯერებელი არგუმენტები მისთვის უცხო ხილი არ გახდათ, ყოველთვის ირევდნენ საჭიროობრივ საკითხების გადასაწყვეტად. ისიც დაუზარებულია პასუხობდა მცხოვრებთა მოთხოვნილებებს. ბევრი სიახლე აქვთ დანერგილი სკოლისა თუ სოფლელთა ცხოვრებაში.

ბატონი ალექსი მეუღლე იყო აჭარაში ცნობილი ექიმ-თერაპეტის ქალბატონ ციალა გურგენიძისა. სიამტკბილობაში გალიეს წუთისოფელი, იყვნენ სანიმუშო ოჯახის პატრონები.

ალექსი გედევანიძე გარდაიცვალა 1993 წელს. ქალბატონი ციალა კი 2014 წელს.

გოგოლიშვილი ეთერი დურსუნის ასული.

დაიბადა 1938 წელს ქედის რაიონის სოფელ მერისში.

1947-1957 წლებში სწავლობდა მერისის საშუალო სკოლაში.

1957-1962 წლებში სწავლობდა ქ. ბათუ-
მის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქიმია-ბი-
ოლოგიის ფაკულტეტზე.

1962 წელს მუშაობას იწყებს სოფელ
ინაშარიძების 8 წლიან სკოლაში ქიმია-
ბიოლოგიის და შრომითი სწავლების მას-
წავლებლად.

1969 წელს სამუშაოდ გადადის სოფელ
აგარის 8 წლიან სკოლაში.

1971 წელს მუშაობას იწყებს სოფელ
ოქტომბრის 8 წლიან სკოლაში.



ქ. გოგოლიშვილი

1971-1993 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლა-
ში ბიოლოგია-შრომითი სწავლების მასწავლებლად.

გარდაიცვალა 2013 წელს.

გოგუაძე თინა სერაპიონის ასული

დაიბადა 1915 წელს ლანჩხუთის რაიო-
ნის სოფელ შუხეულში.

1922-1932 წლებში სწავლობდა შუხეუთის
საშუალო სკოლაში.

1933-1937 წლებში სწავლობდა ქ. ბათუ-
მის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული
ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. მას-
წავლებელთა გამოშვება მოხდა რიგით მეო-
რედ.



1937 წელში მუშაობას იწყებს აჭარის
ხეობის ბოლო, ხელოს რაიონის სოფელ
დანისპარაულში, სადაც მოხვდა განაწილებით. იქვე ასწავლიდა
მისი მომავალი მეუღლეც – ხასან კახიძე. მათ მაღვე იქორწინეს.

1939-1941 წლებში ასწავლიდნენ სოფელ პირველ მაისში, საიდანაც გადავიდნენ ქობულეთის რაიონის ზედა სამების სკოლაში. მეუღლე ხასან კახიძე ამ სოფლის მკვიდრი იყო. გადასვლისთანავე ხასანი დაინიშნა დირექტორად.

თინა გოგუაძე დიდხანს მოღვაწეობდა ზედა სამების სკოლაში. გარდაიცვალა 1951 წელს.

შვილი, მხემჩემ კახიძე აგრძელებს პედაგოგი მწობლების ტრადიციას – ოცდახუთი წელია ამ სოფლის საშუალო სკოლის დირექტორია.

გოგიჩაიშვილი მიხეილ გიგინეიშვილი მიხეილ გოგონიძე ვენერა ნესტორის ასული

გოგილაძე ნათელა მევლუდის ასული

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში 1936 წელს.

1957 წელს დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა ოქროს მედალზე და იმავე წელს ჩაირიცხა ბათუმის პედაგოგიურ ინსტი-



ტუტში ფიზიკ-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1962 წელს.

1962-1966 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში ფიზიკისა და მათემატიკის მასწავლებლად.

არის მაღალი ერუდიციის, გამოირჩევა პროფესიონალიზმით, კოლეგიალობით, მეგობრობით, უშუალობითა და პუნქტუალობით.

ქალბატონ ნათელას ცხოვრებისეულ წარმატებებს პროფესიული წარმატებებიც ახლდა, რაც აღნიშნულია ქების სიგელებითა და მადლობებით. მადლობებს დებულობს აღზრდილთაგანაც. (ერთერთი თავად გახდავართ).

ერთი შეხედვით, თითქოს უბრალო და მარტივი ბიოგრაფიული

მონაცემებია, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით.

ქალბატონი ნათელია იმ პლეადას ეკუთვნის, რომელიც შვა კომუნისტური წეობის შეა პერიოდმა, ანუ მაშინ, როდესაც ნათელი მომავლის იმედით სუნთქავდა ყველა. მისი სკოლაში მოსვლა განსაკუთრებით სასიხარულო იყო ჩვენთვის. იგი ხომ იმჟამად ადგილობრივი კადრი იყო, ეს კი ჩვენთვის ბევრს ნიშნავდა.

ქალბატონი ნათელას გაკვეთილები გამოირჩეოდა საგნის ღრმა ცოდნით, მაგრამ არ იფარგლებოდა მარტო სახელმძღვანელოთი, იფართოებდა ცოდნას და ჩვენც ხარბად გვაწაფებდა.

არის პირდაპირი, სიყვარულნარევი იუმორის გრძნობის, მეგობრული და როგორც არაერთხელ ავლიშვილ, არც მასთან იგრძნობოდა მასწავლებელ-მოსწავლეს შორის გამრიყევი ბარიერი. სწორედ ამ უშვალობამ და თბილმა, ვიტყოდი – დედაშვილურმა მოყვრობამ ჩანერგა ყოფილ მოსწავლეთა გულებში მისდამი პატივისცემა და ის სიყვარული, რომელიც სუფეს მასწავლებელ-მოსწავლის თანაბარ დისტანციაზე.

კარგი მეოჯახისა და საოცრად სტუმართმოყვარე მასწავლებლის სიყვარული წარუშლელია პედაგოგიურ სამყაროში და ასეთად დარჩება ქალბატონი ნათელა ბოლომდე.

გორგილაძე მერი მემედის ასული

დაიბადა 1938 წელს ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში.

1957 წელს დაამთავრა ქედის პედსასწავლებელი.

1957-1962 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1962 წელს მუშაობა დაიწყო სოფელ ოქტომბრის 8 წლიან სკოლაში ქართული ენა-ლიტერატურის და ისტორიის მასწავლებლად.

1963-1980 წლებში მუშაობს პირველი მასისის საშეალო სკოლაში თავისი სპეციალობით.



1980 წლიდან გადაყვანილია ქედის საშუალო სკოლაში იგივე სპეციალობით.

1972-1976 წლებში მუშაობდა ორგანიზატორადაც.

არის ისტორია-მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი. ატარებს საინტერესო ღონისძიებებს და ექსკურსიებს, რითაც მოსწავლებას სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებს.

მ. გორგილაძე ორჯერ იყო არჩეული რაიონული საბჭოს დეპუტატიდ. დაჯილდოებულია საპატიო სიგელებით, მათ შორის 2001 წელს – საქართველოს განათლების სამინისტროს სიგელით ვიქტორინა – კონკურსში „ვიცოდეთ ჩვენი ქვეყნის ისტორია“ – მონაწილე მოსწავლეთა მიერ მიღწეული წარმატებების, საქართველოს ისტორიის პროგანდის საქმეში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის.

(მ. დიასამიძე „საუკუნოვანი სკოლა“ გვ. 233).

მიუხედავად ხანდაზმულობისა მ. გორგილაძე ჩვეული ენერგიით აგრძელებს სკოლაში მუშაობას. არის მხედვები, დღვენადები, შეჭირვებული პირობების მიუხედავად მუდამ მოღიმარი ხვდება შინაურს თუ გარეულს. მასთან შეხვედრით ვერ იგრძნობ თუ უჭირს, არადა ნამდვილად არავის ულხინს. ერთადერთი, რაც მისთვის დამახასიათებელია, სახეზე მოუცილებელი დიმილია და ეს დიმილი მის უნგარო, უშერველ, ალალ და დიდებულ სულიერჯბაზე მიუთითებს.

და ეს დიმილი ყოფილიყოს მისი სიცოცხლის და ადამიანობის მეგზური, დიადი სულის ანარეკლი და ქართველქალობის სიმბოლო...

მერი გორგილაძის ბიოგრაფიული მონაცემები არასაკმარისად მიმაჩნია, ამიტომ აქვე მოვათავსებ მისი ხელით შედგენილ ვრცელ მონაცემს.

...კვაშტის სკოლაში დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ სწავლა გავნაგრძე ვაიოს რეაწლიან სკოლაში. სკოლის სიყვარული, სწავლის ფასი ჩემმა საყვარელმა ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელმა ნორა ჭყონიამ ჩამინერგა ნამდვილად. რწევა გამოიიყო მის მომავალ დღეებში და მის არა განათლების მიღების შემდეგ და ამიტომ აქვე მოვათავსებ მისი ხელით შედგენილ ვრცელ მონაცემს.

მენა იმისა რომ სწავლას რა ფასი პქონდა და უნდა გამეგრძელებინა უმაღლეს სასწავლებელში, ეს მხოლოდ ქალბაზონი ნორა მასწავლებლის დამსახურებაა. პედაგოგისა და მოსწავლის სიყვარული, ურთიერთგაგება, ნდობა მოსწავლის მიმართ ჩამინერგა VII კლასში. გადამაწყვეტინა სწავლა გამეგრძელებინა. მისაღები გამოცდები ქვედის პედაგოგიურ სასწავლებელში ჩავაბარე.

მიზიდავდა სპორტიც. სოფლიდან ქვედის სასწავლებელში მე და ჩემი მმა გიორგი ფეხით დაგდიოდით. დაწყებით კლასებს დილის გამამხნევებელი ვარჯიშს მე გუტარებდი. ხოლო პედაგოგიური სასწავლებლის მოსწავლებს გიორგი. ყოველ პირაში ორჯერ გატარებდით სექციურ ვარჯიშებს, მე კალათბურთში, გიორგი კი ფრენბურთში.

განსაკუთრებულ სიყვარულს იმსახურებდნენ ჩემში მასწავლებლები: შოთა უგულავა, ლუბა ლელეგია, გარსევან მასწავლებელი და სხვები. თუ კი რამ მეთოდური მუშაობის გამოცდილება შემძინა, პედაგოგიური სასწავლებლიდან კვაშტის დაწყებით კლასებში ორ კლასთან მუშაობის მეთოდმა შემძინა.

მახსოვს, ამ პრაქტიკულ გაკვეთილზე მოულოდნელად ვიდაც მაღალმა შავგრემანმა ქალმა შემომიღო კარი და მითხვა გააგრძელება გაკვეთილით. იმდენად გამოუცდელი ვიყავი, სულ არ მიგრძნია რისთვის მესწრებოდა და რა მიზანი პქონდა სტუმარს. ეს დარბაისებლი ქალი თურმე თინა დოჭვირი ბრძანდებოდა განათლების სამინისტროდან. ყოჩად „პედაგოგად ხარ დაბადებულიო“ მითხვა და წაბრძანდა. ამ სიტყვებმა კიდევ უფრო დამარტინუნა ჩემს თავში და სწავლა გაგარძელე ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. ინსტიტუტში ჩემი სათაყვანებელი ლექტორი იყო – ნადია საბაშვილი. სპორტულ საქმიანობას ინსტიტუტშიც ვაგრძელებდი, დავდიოდი სექციაში, მონაწილეობაც მივიღე თბილისში სპარტაკიადაზე ფრენბურთის სექციაში.

ინსტიტუტის რექტორი ბატონი ვლადიმერ ქემხაძე აღფრთოვანებული იყო იმით, რომ ჩვენი ინსტიტუტის სპორტსმენები სპორტის სხვადასხვა სახეობებში ვაღწევდით წარმატებებს.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პირველი ნათლობა ოქტომბრის 8 წლიან სკოლაში მივიღე. 1962 წელს დიდი სიყვარულითა და სიხარულით შევუდექი მუშაობას. მახსოვს ასეთი კურიოზი: მოსწავლეთა რაოდენობა მცირე იყო და კლასშივე ვამზადებინებდი მოსწავლებს დავალებას. ერთ დღეს მოსწავლეებმა არ ისწავლეს ლექსი, ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრი მტკვრის პირას“. გულამოსკვნით ავტირდი. მთელი კლასიც აქვითინდა. „გვაპატი მასწავლებელო“ – მითხრეს და ყველამ დაისწავლა საღამომდე, ნიშნებიც დავუწერე და დადლილ-დაქანცულები ერთად წავედით სახლში.

ოქტომბერში ხუთი წლის მუშაობის შემდეგ გადამიყვანეს პირველ მაისში.

ჩემი მუშაობის სტილი იყო და არის ბაჟშვებისადმი ბუნებრივი სიყვარული. სიყვარული პროფესიისა. დირექტორი – რამიზ ბეჭანიძე გამოცდილი პედაგოგი იყო, რომელმაც ჩემს ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა.

1980 წლიდან ქედის სკოლაში გადავედი ისტორიის მასწავლებლად. წლების განმავლობაში გმუშაობდი ორგანიზატორად. ბატონ არჩილ ჩხეიძის ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით არაერთი მაღალხარისხოვანი ღონისძიება ჩავატარეთ სკოლაში. საქმე კეთდებოდა, გვქონდა თბილი დამოკიდებულება პედაგოგიურ კოლექტივთან და ბაჟშვებთან. იყო საქმის სიყვარული და ხალისი. ხელოვნებას ძალიან აფასებდა ბატონი არჩილ ჩხეიძე, მომღერალ გუნდთან თავადაც ჩადგებოდა და ასე მუშაობდა გუნდის ხელმძღვანელიც. თვითონაც კარგად მღეროდა. მეტყოდა ხშირად: „საზოგადოებრივი საქმე საოჯახოზე წინ უნდა დაიყენოო.“

ჩემს მუშაობაში დიდი როლი ითამაშა ბატონმა შოთა შერვაშიძემაც.

დიდი ყურადღება ექცეოდა 1980-1990-იან წლებში მოსწავლეების პროფესიული ორიენტაციის ჩანერგვას. ბევრი კლასის ხელმძღვანელადაც ვიმუშავე და ამ ჩემი აღზრდილებიდან სხვადასხვა სფეროში მოღვაწეები დაგაფრთიანები.

აქიმები: ნესტან, ასლან, დარეჯან ფარტენაძეები, თენგიზ შერვა-

შიძე, ინგა ქაჯაია, მზია მახარაძე, გიორგი ბერიძე, თემურ ბოლქვაძე და სხვები.

ბიზნესმენები: ედნარ აბაშიძე, სულიკო სურმანიძე, ლევან თურმანიძე.

იურისტები: გია ქაჯაია, ბადრი ცინცაძე, მამუკა ფარტენაძე, გურამ ჩიკვაიძე, მარინა მახარაძე, მამუკა გათენაძე, და სხვები.

ისტორის სიყვარული ჩავუნერგე და ჩემი პროფესია გააგრძელა თამაზ ბერიძემ, რომელმაც აღმზრდელ სკოლაში დიდხნანს იღვაწა. ასევე ამირან ბეჭანიძე, ბადრი კაკაბაძე, ირინა შერვაშიძე, ხათუნა ჯიჯავაძე და სხვები.

ჩემი ამოცანაა – აღვხარდო და ჩამოვაყალიბო ადამიანად, ისე, რომ „ათასად კაცი დაფასდა, ათიათასად ზრდილობა“-ო. დღესაც ამ შემართებით მივდივარ სკოლაში და კიდევ მინდა მქონდეს ჯანმრთელობა და ჩემი გამოცდილება, ქნერგია, დიდი სიყვარული კიდევ ვაწავილო სხვებს, რათა შემდგომში ჩემმა აღზრდილებმა, ჩემი გაცილების შემდგომ თქვან „აქაც კაი ქალი იყო, იქ ნათელი დაადგესა“-ო...

ბარაქალა მერი მასწავლებელო, ყველაფერი მშვენიერი ნააზრევია...

გორგილაძე ეთერი (ელმას) ზექერიას ასული.

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ვაიოში 1928 წელს.

1944 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის №4 საშუალო სკოლა.

1944-1949 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე რუსული ენა და ლიტერატურის და გერმანული ენის სპეციალობაზე.

1949-1951 წლებში ასწავლიდა პირველი მაისის არასრულ საშუალო სკოლაში.

1951-1955 წლებში მუშაობდა მშობლიურ სოფელ ვაიოში.

1955-1960 წლებში მუშაობდა ცხმორისის საშუალო სკოლაში.



1960-1962 წლებში კი ასწავლიდა ქედის საშუალო სკოლაში.

ვაიოში მუშაობის პერიოდში ქალბატონი ელმასი მოსწავლეებ-მა წარადგინეს აჭარის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგის – აბდულ ჩხეიძის მეშვეობით. იყო არჩეული დეპუტატად.

1962-1992 წლებში ასწავლიდა ქ. ბათუმის №17 სკოლაში, საიდანაც გავიდა პერსონალურ პენსიაზე. არის საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი. მეუღლე მემედ ჯაფრედი გარდაიცვალა 1999 წელს.

გორგილაძე ლეილა ზექერიას ასული

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ვაიოში 1930 წელს.

1948 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის №4 საშუალო სკოლა.

1953 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. ამავე წელს დაოჯახებასთან დაკავშირებით იღვწის შუახევში, უჩამბის სკოლაში.

1961 წელს მცირე დროით ასწავლიდა პირველ მაისში.

1961 წლიდან მუშაობდა ქ. ბათუმის რუსულ სკოლა-ინტერნატში მათემატიკის მასწავლებლად.

1967 წლიდან ასწავლიდა ქ. ბათუმის №1 სკოლა-ინტერნატში, მათემატიკას.

1982 წელს გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

მეუღლე ხემიდ დევაძე ასწავლიდა პირველ მაისში, აქვე იქორწინეს.

შვილი ანზორ დევაძე უნივერსიტეტის ლექტორია.

გორგილაძე ზეინაბ (ზელიხე) ზექერიას ასული.

1932 წლის 15 თებერვალს ისტორიული ოუ ბუნებრივი სილამაზით ცნობილ სოფელ ვაიოს ასვევ ლამაზ ოჯახს მოევლინა მესამე ქალიშვილი.

1945 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის №8, რომელიც გადაგეოდა

ქალთა №2 სკოლად – ახლანდები №4 საშუალო სკოლა.



1945 წელს ჩაირიცხა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიის ფაქულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე.

1949 წელს უმაღლესდამთავრებული იგზავნება ქვედის რაიონის სოფელ კოლოტაურში, 8 წლიან სკოლაში, სადაც ასწავლიდა სპეციალობის მიხედვით. ასწავლიდა გერმანულ ენასაც. (იმხანად სკოლას სამი მასწავლებელი ჰყავდა).

1950 წელს თავისი თხოვნა – განცხადებით გადჰყავთ პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში, სადაც ასწავლიდა 1953-1954 წლების ჩათვლით.

1955 წელში მუშაობდა მახინჯაურის საბავშვო სახლში აღმზრდელად.

1956 წლიდან ასწავლიდა ქ. ბათუმის №22 საშუალო სკოლაში, სიცოცხლის ბოლო 1999 წლამდე.

1953 წლიდან იყო სკპ. წევრი.

პირადი საქმის ჩანაწერიდან ნათლად იკვეთება ქალბატონ ზეინაბის სახე – მას ახასიათებენ ობიექტურად. კარგი ავტორიტეტით სარგებლობდა მეგობრების, პედაგოლოგებისა და საზოგადოებაში. თუმცა შენიშვნაც მაქვს – თარიღებში შეუსაბამობაა...

XXX

ჩემი სკოლაში მისვლა დაემთხვა დების წასვლას მაგრამ პირველი მაისის მცხოვრებლების მეხსიერებაში ჩაბეჭდილი იყო კეთილი და გულისხმიერი, ყველასთვის პატივსაცემი დების სახელები. მათ ხშირად ახსენებდნენ, მეც ოცნებად მქონდა გადაქცეული მათზე თვალის შევლება, თუმცა გულნაკლულად, მაგრამ მაინც ვინახულე (ზელიხე გამოაკლდათ) და ავისრულე ბავშვობიდან გამოყოლილი ოცნება. მათ ხალხის სიყვარული დიახაც დაიმსახურეს – დღესაც

იგონებენ კეთილი სიტყვებით.

ნობელის პრემიას აძლევენ განსაკუთრებული დამსახურებისა და მიღწევებისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, მაგრამ ვერავითარი პრემია ვერ წაუსწრებს წინ იმ სიყვარულს და დაფასებას, რომელიც ხალხის გულს და სულს ათბობს.

ეს სიყვარული და სითბო დატოვეს ჩვენში დებმა გორგილაძეებმა.

გორგილაძე ლამარა

დაიბადა 1963 წლის ქედის რაიონის სოფელ ზესოფელში.

1970-1980 წლებში სწავლობდა ქედის საშუალო სკოლაში.



1982-1987 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ისტორიის სპეციალობაზე.

1982-1985 წლიდან მუშაობდა სოფელ ზესოფლის ბაგა-ბაღში აღმზრდელად.

1985 წლიდან ასწავლის პირველი მაისის საშუალო სკოლაში ისტორიას და სამოქალაქო განათლებას.

1994 წლიდან შეთავსებით მუსაობს ზვარის საშუალო სკოლაში ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებლად. სხვადასხვა დროს მუშაობდა – დირექტორის მოადგილედ პირველ მაისში, ხოლო ისტორიის მასწავლებლად კოლოგიურისა და წონიარისის სკოლებში.

ამჟამად იმყოფება სწავლის გასაგრძელებლად ამერიკაში.

გარდა მერი გორგილაძისა, სრულყოფილი ბიოლოგიური მონაცემებით არა არიან გამორჩეული დანარჩენი გორგილაძეები. ალბათ არ ისურვეს. საერთოდ მოკრძალებას იჩენენ პედაგოგები. რაც სრულყოფილად (შედარებით) მოვიპოვე, ჩემი ნაჯაფია, არადა სხვების

ბიოგრაფიების წერა რომ მნელია საერთოდ, ეს ყველამ იცის. თუ ადამიანი თავად არ მოყვება, ან არ აღწერს თავის მიერ ცხოვრების მანძილზე გავლილ გზას, სხვა ვერას იზამს. მდებად, სადაც ასე ვთქათ მშრალი ცნობებია მოცემული ამაში თვითონ არიან „დანაშაულში“...

გასვიანი ანაიდა (ანიკო) პლატონის ასული

დაიბადა ხონის რაიონის სოფელ გეღელაურში 1915 წელს.

1937 წელს ხელისუფლების მოწოდების შესაბამისად, საკუთარი სურვილით ჩამოდის აჭარაში. კლასიკური განათლების არ მქონეს, მაგრამ ბუნებით მომადლებული ნიჭის პატრონს და ცნო-



ბისმოყვარეს ბერძა გაუღიმა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მაშინდედ დროში მოარელი გამოთქმებით აჭარას საშიშ ადგილად თვლიდნენ. გაბედა ქალიშვილმა და აჭარაში გამოეშურა, მაგრამ სულ სხვა ვითარება შეჩრა ხელთ. „რამდენს ქუხს იმდენს არ წვიმსო“ დადადებს სიბრძნე და თავადაც უყვარდა ამ ბრძნული სიტყვების გამეორება. თანაც დარწმუნდა, მავანთა მიერ წარმოთქმული ფრაზებისა და შიშის გრძნობის უსაფუძვლობაში.

გასვიანის მოდვაწეობა ვრცელ არეალს მოიცავს.

1937-1941 წლებში პირველი ნათლობა ზვარის დაწყებით სკოლაში მიიღო – ჯერ რიგით მასწავლებლად, შემდეგ გამგე-მასწავლებლად. ჯერ იყო წ.კ.უ. ლიკვიდაციის ე.წ. „ლიკსკოლის“ მასწავლებელი, შემდეგ დაწყებითისა.

1941-1945 წლებში ზედა მახუნცეთის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებელია.

1945-1949 წლებში ასწავლიდა პირველი მაისის არასრულ საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში. შემდეგ გადაჟყავო მერიის საშუალო სკოლაში, საიდანაც ისევ გადმოჟყავო პირველ მაისში, სადაც დაოჯახდა კიდევ და აქვე ასწავლიდა პენსიაში გასვლამდე – ჯერ 8 წლიანში, შემდეგ საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასებ-

ბის მასწავლებლად. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, ქების სიგელზე ბი და სამკერდე ნიშანი. პედაგოგიური მოდვაწეობის პარალელურად მოსახლეობაში წერა-კითხვის გავრცელების საკითხის პროპაგანდას ეწეოდა. იყო აგიტატორი და სხვა საზოგადოებრივი საქმი-ანობების შემსრულებელი.

იყო უებრო, დაუდღელი მოსაუბრე, უფროსების გამოცდილებისადმი ფურადღებიანი, დროის მაქსიმალურად გამომყენებელი. მუდამ საქმიანი და მოფუსტუსყ მეზობლების დამრიცებელი, ნუგეშისმცემელი. თანდაფოლილი ნიჭით იყო სახალხო მკურნალიც ან თვითონ უმზადებდა ნებისმიერ ავადმყოფს შინაურ წამლებს, ან აძლევდა რჩევებს.

1975 წელს გავიდა პენსიაში. 2001 წელს გარდაიცვალა. დატოვა თავისი ნაშრომ-ნარჯილევი ეზო-ბაღჩა, ერთი ქალიშვილი.

გვიანიძე ამირან მუხამედის ძე.

დაიბადა 1933 წელს ბათუმის რაიონის სოფელ ხერთვისში.

საშუალო განათლება მიიღო აჭარისწყლის საშუალო სკოლაში რომელიც დაამთავრა 1951 წელს.



1951-1956 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტზე.

60-იანი წლების შემდეგ მუშაობდა ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მასწავლებლად.

1972-1993 წლებში მუშაობდა აჭარისწყლის საშუალო სკოლაში.

1993 წელს გავიდა პენსიაზე.

1995 წელს, 62 წლის ასაკში გარდაიცვალა. დატოვა ხუთი შვილი.

**გოგიშვილი ლიდა ევგენის ასული
გიორგაძე ალექსანდრა ივანეს ასული
გოგაძე ციალა ათენასეს ასული
გეგეშიძე შურა**

**დამენია გიორგი
დარჩია ეკატერინე (ჯატუშა) ლევარსის ასული
დოლიძე ბ.
დრობიშევა ზინა.**

ლევაძე სემიდ მერჯანის ძე (საარქივო ჩანაწერით – სემდინ ლევაძე...)



დაიბადა 1930 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აჭარისწყალზე. საშუალო სკოლა დაამთავრა იქვე. პედსასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1947 წლიდან მუშაობას იწყებს ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1949 წელს სწავლას აგრძელებს ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელსაც წარმატებით ამთავრებს, რის შემდეგაც 1953-1960

წლებში მუშაობდა სოფელ უჩამბის, სოფელ ღორჯომის და შუახევის სამუშაოლო სკოლებში.

1960-1963 წლებში ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერ მათემატიკის კათედრის, შემდეგ კი ფიზიკის კათედრის უფროსი დაბორანტი იყო.

1963-1967 წლებში ქ. ლენინგრადის გერცენის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტია.

1968 წელს იქვე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომლის დაცვამდე გამოაქვეყნა ცხრამეტი სამეცნიერო ნაშრომი. მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

1968 წლიდან გარდაცვალებამდე ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის კათედრაზე ეჭირა ასისტენტის, უფროსი მასწავლებლის, ხოლო 1974 წლიდან დოცენტის თანამდებობა.

ბატონ ხემიდს არ დასცალდა ბევრი ჩანაფიქრისა და მეცნიერული კვლევების დამთავრება-განხორციელება. იგი სიკვდილამდე ემ-

სახურებოდა ქვეყანას და მშობლიურ კუთხეს, ხალხს შრომისმოყვარებით, უანგაროდ, მისთვის ჩვეული გულისხმიერებით და ერთგულებით.

მონაწილეობას ღებულობდა საერთაშორისო-საკავშირო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში. ჰქონდა გამოქვეყნებული 40-მდე სამეცნიერო ნაშრომი და სტატია.

სპეციალისტი კომუნისტის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტის, შესანიშვანი მოქალაქის, ახალგაზრდების უანგარო აღმზრდელისა და დამრიგებლის, მიუკერძოებული და უპრეტენდიტო მეცნიერის სახელი და ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი მრავალ-რიცხოვანი აღზრდილების, მეცნიერების და კოლეგების გულში.

გარდაიცვალა 1986 წელს.

ბატონი ხემიდი სოფელ პირველ მაისში მოღვაწე პედაგოგების გორგილაძეების ერთერთი დის შუშანას მეუღლე იყო.

დატოვა ორი ვაჟი.

ანზორ დევაძე – საქციალობით ეკონომისტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი. ასწავლის ბათუმის პედაგოგიურ უნივერსიტეტში საერთაშორისო ურთიერთობათა კათედრაზე.

ავთანდილ დევაძე – პოლიტიკით მათემატიკოსი. არის ინჟინერი. მუშაობს ფირმა „მერკურის“ ინჟინრად.

დევაძე სულეიმან მემედის ძე

დვალიძე შოთა დაუთის ძე



დაიბადა ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში 1937 წელს 1 მაისს. აქვე დაამთავრა არასრულის საშუალო სკოლის 8 კლასი.

1957-1960 წელს გადიოდა სამხედრო სამსახურს.

1963 წელს ექსტერნად დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა.

1963-1968 წელს სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიოლოგია-

გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

1969-1970 წლებში პირველი მაისის საშუალო სკოლაში ასწავლიდა გეოგრაფიას. ამავე წელს იცვლება მისი შრომითი ბიოგრაფია – სამუშაოდ გადადის პარტიულ ორგანოებში.

მასზე კრცლად მომდევნო წიგნში მაქვს მოთხოვობილი.

იმედს ვიტოვებ მომდევნო წიგნიც საინტერესო იქნება, რადგანაც მასში აღნუსხული იქნებიან ცნობილი სახალხო ფუნქციონერები....

დეალიძე კუპრი შოთას ძე

დეალიძე ნეელი შოთას ასული

დაიბადა 1975 წელს სოფელ პირველ მაისში.

1982-1992 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.



1996-2001 წლებში სწავლობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაწყებითი კლასების დაუსწრებელი განყოფილების ფაკულტეტზე.

1998 წელს იწყებს მუშაობას პირველი მაისის დაწყებით სკოლაში მასწავლებლად.

2003 წელს მუშაობას იწყებს ბათუმის სახელმწიფო კოლეჯში.

2007 წელს მუშაობას კვლავ აგრძელებს პირველი მაისის საჯარო სკოლაში კომპიუტერის მასწავლებლად, სადაც მუშაობს დღემდე...

დანელია გიორგი

დიასამიძე ავთანდილ ყედირის ძე

ავთანდილ (აბდულ) დიასამიძე დაიბადა სოფელ საღორეთში 1907 წელს.

1929 წელს დაამთავრა ქედის 7 წლიანი სასწავლებელი.



1938 წელს თბილისის №3 საცდელ-საჩვენებელი საშუალო სკოლა, შემდეგ ქ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

1938-1959 წლებში მოღვაწეობდა ქედის რაიონის რიგ სკოლებში დირექტორად და სხვადასხვა საგნების მასწავლებლად. მისი ნათქვამიდან ვიცით, რომ თითქმის ყველა საგანი უსწავლებია.

1958-1963 წლებში პირველი მაისის საშუალო სკოლაში ასწავლიდა გერმანულ ენასა და ლიტერატურას, პარალეტურად ამთავრებს ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის უცხო ენათა ფაკულტეტის გერმანული ენის სპეციალობით.

სიგლებთან და მაღლობებთან ერთად მიღებული პქონდა „აჭარის ასსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება. ბატონი ავთანდილის სულში ბუდობდა პედაგოგიური გენი. მისი მიზანი და სურვილი იყო მოსწავლის სწორად ფორმირება, მიზანმიმართული ცოდნის გადაცემა და უაღრესად მაღალი ხარისხის ადამიანის ჩამოყალიბება. ამ მიმართებით სავსებით იმსახურებს იმ მაღლობებს, რომელიც აღსაზრდებულს უჩნდება აღმზრდელის მიმართ. მიუხედავად იმისა რომ ბიძა იყო ჩემი, არავთარი შეღავათით არ ვსარგებლობდი, პირიქით, ყოველნაირად და ყოველთვის ცდილობდა მაღალ დონეზე შემესწავლა გერმანული ენა. მიზანს აღწევდა თუნდაც იმით, რომ არც სახლში მელაპარაკებოდა ქართულად. ნამდვილად შევითვისე სასაუბრო ენა, მაგრამ თუ ვინმესთან ურთიერთობა არა აქვს ადამიანს, ენაც ავიწყდება, ასე და ამგვარად მეც მიმავიწყდა გერმანული ენა.

გარდაიცვალა 1972 წელს.

მე ასე ვფიქრობ იგი რესპუბლიკას დააკლდა, არათუ სოფელს და საგვარეულოს.

იყო იყო ფაქიზი სულის, მუდამ კოხტად ჩაცმული, დინჯი მოსიარულეც და მოლაპარაკეც. მასთან სიახლოვით ადამიანი ყვე-

ლაფერს შეითვისებდა, რაც ცხოვრებას სჭირდება. როცა დიდება უნდა მოიმკოს აღამიანმა, მაშინ გამოეცლება ნიადაგი ამ ქვეწად, თუმცა იგი განსვენებულიც დიდებაა ჩვენთვის...

დიასამიძე მემედ ყედირის ძე

დიასამიძე ამირან შაქირის ძე.

დაიბადა 1952 წელს ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში.

1969 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა.



1969-1974 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზკულტურის ფაკულტეტზე.

1974-1978 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში და აგარის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად.

1978-1982 წლებში მუშაობდა ძენწმანის არასრულ საშუალო სკოლაში დირექტორად და ფიზკულტურის მასწავლებლად.

1982-2005 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედ.

2005-2009 წლებში მუშაობდა ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის დირექტორად.

2010 წლიდან მუშაობს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად და განათლების, კულტურისა და სპორტის თავმჯდომარედ.

2011 წელს მიენიჭა საქართველოს სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდება.

2012 წელს მიღწეული წარმატებების, პროფესიონალიზმისა და ადამიანურობის, მაღალი ზნეობისა და პუმანურობის დასტურად მიენიჭა საქართველოს პრეზიდენტის ჯილდო – ლირსების ორდენი.

სადაც კი მუშავა, ყველგან დადგითოთად ახასიათებენ.

წინ კი ასპარეზია.

დიახამიძე ომარ ომერის ძე

დაიბადა 1937 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ კიბეში.

1956 წელს დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა.

1961 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქიმია-ბიოლოგიისა და სოფლის მეურნეობის ფაკულტეტი, რის შემდეგაც განაწილებით ხვდება ხუდოს რაიონის სოფელ თხილვანის



საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მას-წავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ.

ინსტიტუტიდან იგი ორჯერ იმყოფებოდა გამორი მიწების ასათვისებლად მივლინებაში.

1962-1963 წლებში იმყოფებოდა სატჭოთა არმიის რიგებში, საიდანაც დემობილიზებულ იქნა უმცროსი ლეიტენანტის წოდებით.

1963-1966 წლებში მუშაობდა აგარის 8 წლიან სკოლაში. იმავდროულად მუშა ახ-ალგაზრდობის სადამოს სკოლის ქიმია-ბი-

ოლოგიის მასწავლებლად.

1966 წლიდან დღემდე მუშაობს „აწესის“ საშუალო სკოლაში. პარალელურად მუშაობდა პირველი მაისის სკოლაში.

1973-1974 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის პარტიის რაიკომში პარტიული აღრიცხვის სექტორში.

1985 წელს ინიშნება მახუნცეთის სკოლა-ინტერნატისა და პირველი მაისის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლად.

1990 წლიდან პირველი მაისის სკოლიდან კვლავ „აწესის“ სკოლაში ბრუნდება სადაც დღემდე მუშაობს.

ბატ. ომარი გამოირჩევა საგნის დრმა ცოდნით. მისი მოსწავლეები სიყვარულით და სიხარულით იგონებენ მის მიერ გადაცემულ სასკოლო პროგრამას. თვითონ ბატონი ომარიც განსაკუთრებული სიყვარულით იგონებს, როგორც აგარელ, ისე პირველმაისელ წარჩინებულ მოსწავლეებს, რომლებმაც ასახელეს მასწავლებლებიც და სკოლაც.

ბატონი ომარი არის უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი. მისი ყვე-

დაზე დიდი ჯილდო, როგორც თვითონ ადიარებს, არის სასახლოდ აღზრდილი მოსწავლე და მათგან მიღებული მადლობა თუ დი-მილით შეხვედრა.


გულდია მეგობრული და ალალი ადამიანია ბატონი ომარი, იმდენად ალალია, რომ, ოდონდ გამოჩნდეს მასზე აღმატებული დირ-სეული ახალგაზრდა პედაგოგი და უყოფმანოდ დაუთმობს ადგილს.

ბარაქალა შენს კაცობას ბატონო ომარ.

დიასამიძე აკნი ხალითის ძე

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში 1950 წელს.

1957-1967 წლებში სწავლობდა დ. გურამიშვილის სახელობის ქედის საშუალო სკოლაში.



1967-1972 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე რომელიც დაამთავრა წარ-მატებით.

1972 წელს განაწილებით, ასწავლის ოქტომბრის 8 წლიან სკოლაში ბიოლო-გიას. იმავე წელს იწვევენ სამხედრო სამ-სახურში პირადი განცხადების საფუძვლზე. დემობილიზების შემდეგ პირველი მაისის საშუალო სკოლაში ასწავლის გეოგრაფიას.

1984 წელს ნაყოფიერი მუშაობისთვის „განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით დააჯილდოვეს.

1989 წელს კი მიანიჭეს მასწავლებელ-მეთოდისტის წოდება.

1998 წელს ჩატარებულმა მასწავლებელთა ატესტაციამ უმაღ-ლესი კატეგორია მიანიჭა. დღემდე ასწავლის პირველი მაისის საშუალო სკოლაში. მას კოლეგები ახასიათებენ კარგად. სარგე-ბლობს კარგი ავტორიტეტით. არის აკურატული, მეგობრული, კომუ-ნიკაბელური და სარგებლობს საყოველთაო პატივისცემით და სიყ-ვარულით. შვილებმა წარმატებით დაამთავრეს უნივერსიტეტი.

დევაძე ნაირა ზურაბის ასული

1962 წელს, მაისის თვეში, აჭარის ზღვისპირეთის ლამაზ სოფელ ურებს მოეგლინა მომავალი პედაგოგი ნაირა დევაძე.

1979 წელს დაამთავრა ქ. ბათუმის №13 საშუალო სკოლა.

1982-1986 წლებში სწავლობს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების ფაკულტეტზე. წარჩინებულ მასწავლებელს ანაწილებენ პირველი მაისის დაწყებით სკოლაში.

1986-1988 წლებში, დაწყებით სკოლაში მუშაობის პერიოდში



საღორეთელთა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, იქო დირსეული მასწავლებელი, ისინი, ვინც მის ხელში დაფრთხიანდნენ სიყვარულით იხსენებენ.

1988-1989 წლებში ასწავლიდა სოფელ მახოს საშუალო სკოლის დაწყებით კლასებს.

1989-1993 წლებში მუშაობს სოფელ ინჯალოს არასრულ საშუალო სკოლაში, სადაც თითქმის დაასრულა პედაგოგიური მოღვაწეობა. ამჟამად დიასახლისია.

ყოფილი კოლეგები გამოარჩევენ მის პროფესიონალიზმს, ბავშვებთან გულთბილ, მეგობრულ დამოკიდებულებების, რაც აუცილებელი მახასიათებელია მოზარდი თაობის პირვენებად ჩამოყალიბებაში. იგი ძალიან თავმდაბალია, მორიდებული და თანაც მუდამ მომდიმარი, თუმცა მისი მთავარი თვისებაა – უპრეტენზიონა, რაც ამაღლებს მეგობრების, ნაცნობების და საზოგადოების თვალში. იმუშავებს მასწავლებლად თუ არა, მწამის იგი ასეთად დარჩება ცხოვრებაში.

გაღიმებული და ლამაზი ყოფილიყოს შენი ცხოვრება...

დევაძე გუგული დავითის ასული

დაიბადა 1936 წელს, 22 აპრილს სოფელ აგარაში, დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა.

1955-1966 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტი-

ტუბში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე. დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო პირველი მაისის საშუალო სკოლაში, ისტორიისა და ქართული ენა ლიტერატურის მასწავლებლად.



1962-1997 წლებში დირექტორის მოადგილეა სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

1980-1981 წლებში იყო დირექტორის მოვალეობის შემსრულებელიც. ამჟამად პენსიონირია და ოჯახური საქმეებითაა დაკავებული. ჰყავს პედაგოგი მეუღლე და სამი შვილი უმაღლესი განათლებით.

მეოთხეობის კლასებში იყო ჩემი მასწავლებელი.

ქალბატონი გუგული გამოიჩინდა აკურატულობით, საგნის ზედმიწევნით ანალიზის უნარით, გულში ჩამწვდომი საუბრით და ხანდახან ზედმეტი სიმკაცრითაც. ბუნებრივია, ყველა მონაცემი უნდა ახასიათებდეს ადამიანს, მითუმეტეს მასწავლებელს და მასთან ერთად მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა და სწორად დაკვალიანებაც, რომელიც კარგად გამოსდიოდა ქალბატონ გუგულის. ერთია, რომ ზედმეტი სიმკაცრე ასე თუ ისე არ მოსწონდათ აღსაზრდელებს... დრო კი თავის დაღს ასვამს ბუნების გაჩენილებს და იმ შორეულ მოგონებების გაელვებაში ჩვენი ცხოვრებისეული სიმკაცრეც ისახება. რაც ასე თუ ისე ადამიანს დაანათლა მამაზეციერმა, ამიტომ ყველა ნაბიჯი, გათვლილიც და გაუთვლელიც, ცოტად თუ ბევრად გამართლებულიცაა. სწორედ ამ გათვლა ვერგათვლამ აქცია ქალბატონი გუგული ნამდვილ პედაგოგიდ, რომლის არმზრდებობითმა მოღვაწეობამ უფრო შეიღებში ჰქოვა ასახვა.

ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე.

**დევაძე დარეჯან რიზალის ასული
დავითაძე გიორგი
დუმბაძე მერი
დარახველიძე გ.**

**დარშაველიძე ალექსანდრე ივანეს ძე
ებრალიძე თამარ (საშა)
გაშალომიძე გუგული კაპიტონის ასული
გაშაყმაძე გუგული ხუსეინის ასული**

გარშანიძე ავთანდილ მუსტაფის ძე



დაიბადა 1937 წელს ქედის რაიონის
სოფელ ზუნდაგაში.

1954 წელს დაამთავრა მახუცეოთის სა-
შუალო სკოლა.

1955-1958 წლებში იმჟოვებოდა სამხედრო
არმიის რიგებში.

1958-1963 წლებში სწავლობდა ბათუმის
პედაგოგიურ ინსტიტუტში ბუნებისმეტყველო-
ბა-გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

1963-1968 წლებში მუშაობდა პირველი
მაისის საშუალო სკოლაში.

1968 წლიდან მუშაობდა ქედის რაიონის პარტიული კაბინეტის
გამგედ.

წლების განმავლობაში მუშაობდა ქ. ბათუმის ოკუპომბინა-
რის კადრების განყოფილების გამგედ.

გარდაიცვალა 1982 წელს.

ავთანდილ ვარშანიძე იყო უაღრესად პატიოსანი, კეთილშო-
ბილი და კეთილსინდისიერი ადამიანი. სადაც კი მუშაობდა, ყველ-
გან ენერგიული, ერთგული და უმწიველო მუშაკის სახელი დატოვა.
იყო თავისი პროფესიის ზედმიწევნით მცოდნე. მასწავლებლებსა
და მოსწავლეთა შორის სიყვარულითა და კარგი ავტორიტეტით
სარგებლობდა. ასევე კარგი ავტორიტეტითა და ნდობით სარგე-
ბლობდა სოფელ პირველი მაისის მცხოვრებლებში, პარტიულ ამხ-
ანაგებში, მეგობრებში და ფართო საზოგადოებაში.

მისი უმწიველო რეპუტაცია, დინჯი იერი, მოზომილი იუმორი
და გონიერამახვილობა მარად დარჩება ახლობლების გულებში.

P.S. ბატონი ავთანდილი და ნოდარ ქაჯაია ერთად მუშაობდნენ პირველი მაისის სკოლაში, ერთად მოვიდნენისინი. ბატონ ნოდარზე თავის ადგილას აღვწერ, ავთანდილ მასწავლებელზე კი მინდა დავამატო უცნაურობა, რომელიც მის სახეზე იყო აღბეჭდილი და მოსვენებას არ მაძლევდა. თითქოს ხიფათი სდევდა.

მოსვლის უმაღლ ჩვენი სიკარული დაიმსახურა, მაგრამ ქცევაში რაღაც სევდისმაგარი რამ შეიმჩნეოდა. მისვლა-მოსვლაში ყოველთვის სადღაც იმზირებოდა, თითქოს რაღაცა უჩინარს ხედავდა და ერთი შეხედვით მოღუშულის იერი პქონდა. ყოველთვის მიკვირდა მისი ასეთი უცნაურობა – თითქოს ვიდაცას თუ რაღაცას ელოდა. რაც ჩვენგან წავიდა, ერთხელაც არ შეგხვედრილგარ... ის უცნაურობა კი... ალბათ ქვეშეცნეულად გრძნობდა სიცოცხლის ხანმოკლეობას. ვაი, რომ ჩემი მაშინდელი „დიაგნოზი“ ახდა... ვხვდებოდი რაღაცას... საუკუნო სასუფეველი...

ზენაიშვილი ეკატერინე (კატუშა)



თოდუა ელენე (თამარ) ლე- განტის ასული.

თამარ თოდუა დაიბადა 1914 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარში. სწავლობდა კოხნარის სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1933 წელს.

1934 წელს, მობილიზაციის წესის თანახმად, გადაეცანილ იქნა ჩოხატაურის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებ-



ის გამგედ. რამდენიმე წნის შემდეგ თავისი მოთხოვნის საფუძვლზე გადაიყვანეს ჩაისუბნის 7 წლიანი სკოლის გამგე-მასწავლებლად. (უცნობია აჭარის თუ ჩოხატაურის).

1939 წელს სწავლა გააგრძელა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1942 წელს. ინსტიტუტიდან პირდაპირ აგზავნიან ქვედის რაიონის სოფელ პირველი მაისის 7 წლიანი სკოლის დირექტორად.

1944 წლის 15 აგვისტოდან გადაჲყავთ ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახვილაურის სკოლის დირექტორად, სადაც იღვწოდა სიცოცხლის ბოლომდე. ქალბატონი თამარი მოწოდებით პედაგოგთა რიცხვს მიეკუთვნებოდა. იგი იღვწოდა განათლების საქმის ერთგულებით, სკოლის ცხოვრებით. 52 წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში ბევრი ტბილ-მწარეც უნახავს, მაგრამ ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე იღგა.

1939 წლიდან სკპპ. წევრია. იყო პიონერული მოძრაობის აჭარის საოლქო ბიუროს მდივანი, კომპავშირული მოძრაობის ვეტერანი. წარჩინებული პედაგოგი. მიღებული აქვს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი.

1975 წელს მიიღო მედალი 1941-1945 წლების სამამულო ომში, ზურგში მამაცური შრომისათვის.

ქალბატონმა თამარმა ბედი დაუკავშირა პირველი მაისის შვიდწლიან სკოლაში მოვლინებულ პედაგოგს – მამია ცქვიტიშვილს. რომელთან ერთადაც შეხმატკბილებულად გააღმართა მთელი სიცოცხლე. სადაც კი უმოღვაწია, მადლიერებითა და დიდი პატივისცემით იხსენიებენ მისი აღზრდილები, პედაგოგები და ჩვეულებრივი მოქალაქეები. მისი ხსოვნა დიდხანს დარჩება სკოლასა თუ საზოგადოებაში.

1970-იან წლებში მქონდა ბედნიერება პირადად გავცნობოდი ამ დვოთისნიერ ადამიანს, მაგრამ მაშინ რას ვიფიქრებდი, თუ მის შესახებ ბიოგრაფიულ ჩანაწერს გავაკეთებდი. გულთან ვერ მივიტანე მისდამი დამოკიდებულება, რაც სანაწებლად გამიხდა კიდეც. პირად საუბარში უფრო მეტს მივაღწევდი.

საჯარო ბიბლიოთეკის, დამუშავების განყოფილებაში შევხვდი


ქალბატონ თამარს. დიდხანს მათვალიერა და შემდეგ შემეკითხა, თუ საიდან ვიყავი. ქედა რომ ვუხსენე, პირველმაისელი იქნებიო მითხრა. გავიკვირვე, მიმიხვდა და კვლავ მითხრა „პირველმაისელებს იერით ვცნობო". „თამარ მასწავლებელი მოიკითხე და გეტყვიან ვინ ვარო." ეს იყო და ეს მეტი აღარ შევხვედრილვარ, მაგრამ ჩემთვის შთამბეჭდიდავი იყო მისი სიტყვები – იერით ვცნობ იქაურებსო.

მართლა ვინანე, როცა წიგნის წერა დავიწყე, მაგრამ ისევ უნდა გაფიმეორო – არაფერს ვფიქრობდი მაშინ მსგავსს. საკუთარი თავის გასაჭირიც მქონდა, არ მიკითხავს, თუ სად მოღვაწეობდა...

...ბუმბული ყოფილიყოს ის მადლიანი მიწა, რომელმაც შეგიფარა ძვირფასო თამარ-მასწავლებელო...

თებიძე ნიკოლოზ ახმედის ძე

დაიბადა 1936 წელს ქედის რაიონის პირველ მაისში.



1944-1954 წლებში სწავლობდა პირველი მაის 8 წლიან სკოლაში.

1954-1955 წლებში სწავლას აგრძელებს მახუცეთის საშუალო სკოლაში.

1956 წელს სკლადაუმთავრებელი გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში.

1959 წელს დემობილიზების შემდეგ სწავლას აგრძელებს ქ. წულუკიძის №9 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში მანქანა-ტრაქტორების სპეციალობაზე.

1961 წელს ამთავრებს აღნიშნულ სასწავლებელს, ბრუნდება სოფელში და მუშაობას იწყებს კოლეჯურნეობაში ახალად მიღებულ ტრაქტორზე. ტრაქტორის მიღებამ დიდი სიხარული გამოიწვია მცხოვრებლებში.

1961-1962 წლებში ექსტერნის წესით იდებს საშუალო განათლების ატესტაცის პირველი მაისის საშუალო სკოლაში. უნდა ავღნიშნო რომ, იმ დროის სკოლის დირექტორმა რევაზ (რეჯებ) ფარსენაძემ ძალიან კარგი საქმე გააკეთა, პირველ მაისში რომ ექსტერნული სწავლება შემოიღო. იმდენად კარგი, რომ თუმცა მაშინ გვიკირდა გემის კაპიტანს

თუ რისთვის სჭირდებოდა საშუალო განათლების ატესტაცია, თურმე აუცილებელი ყოფილა შემდგეში უმაღლესის სახწავლებლისათვის.

1968-1973 წლებში ნიკოლოზი მუშაობდა სატელი მეურნეობაში.

1973-1980 წლებში იყო არასაუწყებო დაცვის მუშაკი.

1980-1987 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში თავისი სპეციალობით – ასწავლიდა მანქანა-ტრაქტორების მართვას და გამოყენებას.

ერთი პერიოდი, 1963-1964 წლებში, პირველი მაისის საშუალო სკოლაში უბრალოდ, ინსტრუქტაჟს გვიტარებდა, როგორც პრაქტიკოსი, თუმცა შტატზე არ ყოფილა, რომ ვთქვათ – ხათრით, თორექ ჩვენ, საწარმოო სწავლებიანი კლასები სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებელ ყველა მანქანა-დანადგარს ესწავლობდით.

ამგვარად, ვინაიდან კოლმეურნეობას ჰყავდა ტრაქტორი პრაქტიკას გავდიოდით.

1987-1993 წლებში, ლიკვიდაციამდე მუშაობდა სარაიონოთაშორისო ცხოველმრეწვეში. გარდაიცვალა 2012 წელს.

თებიძე ნაზი ილიას ასული



ოჯახები, რომელთაც საამაყო აქვთ სწავლულების რაოდენობის მიხედვით პირველ მაისში, ნამდვილად ეთქმით სიტყვა ხალხისა და სამშობლოს წინაშე. ერთ ერთი ილია თებიძის ოჯახია.

ნაზი თებიძე დაიბადა 1975 წელს.

1981 წელს შევიდა ქედის საშუალო სკოლაში.

1991 წელს დაამთავრა აღნიშნული სკოლა.

1993-1994 წლებში მუშაობდა სოფელ აგარის არასრულ საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად.

1994-1999 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყო-

ցոլովին:

1994 წლուան մյամածությա პորվելու մասնաւ սամալու կյուղամասությունում մասնագելեցված է առաջին պատասխանակից պատուի կողմանը:

Եվազլով այս պատուի առաջին պատասխանակից պատուի կողմանը մասնագելեցված է առաջին պատուի կողմանը:

Եվանանական պատուի առաջին պատասխանակից պատուի կողմանը մասնագելեցված է առաջին պատուի կողմանը:

Եվանանական պատուի առաջին պատասխանակից պատուի կողմանը մասնագելեցված է առաջին պատուի կողմանը:

Եվանանական պատուի առաջին պատասխանակից պատուի կողմանը մասնագելեցված է առաջին պատուի կողմանը:

Եվանանական պատուի առաջին պատասխանակից պատուի կողմանը

Ըստ պատուի պատուի կողմանը մասնագելեցված է առաջին պատուի կողմանը:

1958 թվականին մասնագելեցված է առաջին պատուի կողմանը:

1960 թվականին մասնագելեցված է առաջին պատուի կողմանը:

1971 թվականին մասնագելեցված է առաջին պատուի կողմանը:

1997 թվականին մասնագելեցված է առաջին պատուի կողմանը:

1998 թվականին մասնագելեցված է առաջին պատուի կողմանը:



տյեծոց թշու թյամշուն

დაიბადა 1946 წელს ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში.



1965 წელს დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა.

1966-1971 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1965-1969 წლებში მუშაობდა კოლმეურნეობის რიგით წევრად.

1970-1971 წლებში მუშაობდა რაიონულ განეთ „კოლმეურნებ“ რეაქციაში ლიტერატურაზე.

1970 წლის 1 სექტემბრიდან მუშაობას იწყებს კოლოტაურის 8 წლიან სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1980 წელს გადადის სამუშაოდ ძენწანის არასრულ საშუალო სკოლაში.

1980 წელს ინიშნება რაიონის განათლების განყოფილებაში ფილმოთეკის გამგედ და პარალელურად ასწავლის აგარის არასრულ საშუალო სკოლაში.

1993 წლიდან ასწავლის პირველი მაისის საშუალო სკოლაში. რეზო თებიძე აღიარებული პოეტია, რამდენიმე პოეტური კრებულის ავტორია. მისი პირველი ლექსი ქედის რაიონულმა განეთმა „კოლმეურნებ“ 1966 წელს დაბეჭდა. მის შემდეგ იბეჭდება პერიოდულ გამოცემებში.

2004 წელში გამოსცა ლექსების კრებული „შავი პაპირუსი“. წინ ფართო გზებია.

P.S. ვრცლად მისი ბიოგრაფიული მონაცემები მომდევნო წიგნში შევა.

տյեծոց შալვა აბდულიս ძე

თუ სადმე ძლიერ მათემატიკოსს ახსენებენ, ერთერთი მათგანი შალვა տյեծուցა. იგი ძალზე ნიჭიერი და საგნის სიღრმისეული

მცოდნება. კარგად მოგეხსენებათ, მათემატიკას ზედაპირული ცოდნა არ უყვარს. თავადაც უყვარს თქმა – რაც მსუბუქია, ის ტივტივებსო და მართლაც, არ არსებობს მათემატიკა ზედაპირული ცოდნით.

შ. თებიძე დაიბადა 1938 წელს, თიბათვეში. პირველი მაისის არასრული საშუალო სკოლა დაამთავრა 1953 წელს და სწავლა გააგრძელა ქვედის რაონის პედაგოგიურ ტექნიკუმში.

1955 წელს სასწავლებლის გაუქმების გამო გადავიდა ხულოს პედაგოგიურ ტექნიკუმში. ორმელიც დაამთავრა 1958 წელს. იმავე წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. არმიულმა ცხოვრებამ საბჭოთა კავშირის უკელახე სამხერეთ წერტილში ქალაქ კუშკაში მოახველდრა, სადაც გაიარა სამხედრო სასწავლებელი და წლების განმავლობაში სამეთაურო თეჯირთად იდგა. მიენიჭა ლეიტენანტის წოდება და იქვე მიიღეს სკპ რიგებში. სიხარულით იგონებს იმ წლებს, როცა პარტიის ბილეთი თავდა მარშალმა ბუდიონიძ გადასცა.

1961 წელს ასწავლიდა აგარაში. პარალელურად სწავლა გააგრძელდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის ფაკულტეტზე.

1963 წელს დაინიშნა პირველი მაისის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1965 წელს დაამთავრა პედინსტიტუტი.

1972 წელს იგი დირსად ცნებს პარტიული სამუშაოსთვის და აირჩიეს პირველი მაისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ, სადაც დაჲყო 1980 წლამდე, საიდანაც გადაიყვანეს პირველი მაისის გაერთიანებული კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. მოვალეობას პირნათლად ასრულებდა 1984 წლამდე.

1984 წელში ინიშნება მასუნცეოთის სკოლა-ინტერნატში მასწავლებლად, ხოლო რამდენიმე თვეში ისევ გადაჲყავთ პირველი მაისის საშუალო სკოლაში, სადაც დღემდე მოღვაწეობს.

წლების მანძილზე მისი საზოგადოებრივი დავალება იყო პროპაგანდისტობა. 5 შეილიდან ოთხმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. ორი ქალიშვილი მასწავლებელია, ორი ვაჟი კი მორეული ნაოსნობის მეზღვაურები. ყველა სამშობლოს საკუთილდღეოდ იბრძვის.

თებიძე სულიკო მურადის ძე

სოფელ პირველ მაისს (ადრე საღოროეთს) არასოდეს აკლდა დირსეული მამულიშვილები და მათი დირსეული საქმის სახალხო ასპარეზზე წარმოჩნდა. ბევრჯერ მიწევს ერთიდაიგივე სიტყვების



გამეორება წიგნში მათი წარმოჩნდისას. რა ვუყოთ მერე – ზოგს თითქმის იდენტური ნაბიჯები აქვს გავლილი საზოგადოებრივ ასპარეზზე, რა თქმა უნდა განსხვავებული ბიოგრაფიებით, მაგრამ სრულიად ერთნაირი მისწრაფებებით და სულისკვეთებით – ემსახურათ სახელოვნად, უმწიავლოდ და შორს გაეთქვათ ედიდებინოთ დიდი ისტორიული წარსულის ქქნე სოფელი, დაემკვიდრებინათ

სოფლისთვის ის სახელი, რასაც იმსახურებს ბედერული საქართველოს არცუებ ბედერულ ისტორიაში. დირსეულები კი ნამდვილად თითზე ჩამოსათვლელები არიან, თუმცა ვინც ამ წიგნში შევიდა ცოტად თუ ბევრად ამაყად იდგნენ ამ კვარცხლბეჭვნების რომელსაც ჰქვია სამშობლო და დირსება. ზოგს ნარ-ეკლიანი გზა აქვს გავლილი, ზოგმა საბჭოთა პერიოდის ავ-კარგიან გზებზე გამოიჯეა, ზოგი კი შრომითმა მიღწევებმა აიყვანა იერარქიის უმაღლეს საფეხურზე. კიდევ ვიტყვი – უველა მათგანი თვალისწინივით უფრთხოდებოდა კუთხის თუ სოფლის სახელს.

ერთერთი ამათგანია სულიკო თებიძეც.

საქმემან შენმან გამოგახინოს – იტყვიან. სწორედ თავისი საქმიანობით გაიკვლია გზა, რომელიც დროის შესაფერისად იავარდნაფენი მართლაც არ ჰქონია და ასევე რთულ, სახელმწიფოს ფორმირების პერიოდში მოხვდა იმ კიბეზე, რომლის საფეხურები სწავლა-განათლების სიწმინდეს კიდევ უფრო ამაღლებს.

დაიბადა 1964 წელს ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში.

1971 წელს სწავლას იწყებს პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1978 წელს სწავლას აგრძელებს ქ. ბათუმის ფიზიკა-მათემატიკურ (საღიბაურის) სკოლა-ინტერნატში.

1981-1986 წლებში სწავლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1986-1991 წლებში მუშაობდა წონიარისის, დაბა ქედის, პირველი მაისის საშუალო სკოლებში მათემატიკისა და ინფორმატიკის მასწავლებლად. იქო ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებში რაიონის მთავარი სპეციალისტი. ამავდროულად არის ქედის რაიონის ახალგაზრდა პედაგოგთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.

1991-1998 წლებში მუშაობდა აჭარის (გონიოს) კოოპერაციული ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის უფროს მასწავლებლად, დაწყებითი პედაგოგური განათლების კათედრის გამგედ, მათემატიკის კათედრის გამგედ.

1991 წლიდან პარალელურად მუშაობდა ქ. ბათუმის №26 საშუალო სკოლაში (ახლა მე-14-ე) მათემატიკის მასწავლებლად.

2005-2006 წლებში ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლად.

2006 წელს გადაჰყავთ №2 საჯარო სკოლის დირექტორად.

2007-2008 წლებში ამავე სკოლაში მუშაობს მათემატიკის მასწავლებლად.

2008-2011 წლებში მუშაობს ქ. ბათუმის №18 საჯარო სკოლის დირექტორად.

2012 წლის ნოემბრიდან მუშაობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველ მოადგილედ.

მიღებული აქვს უამრავი ქებისიგელი, საპატიო სიგელები, ლაურეატი მასწავლებლის წოდება – მოსწავლეებთან მიღწეული წარმატებისათვის. ორჯერ მიღებული აქვს სოროსის გრანტი.

პყავს ოჯახი.

ერთი შეხედვით თითქმის მცირე ბიოგრაფიის მქონეა, როგორც თავად თვლის, და ასევე არ მიაჩნია თავი წიგნში მოხვედრისათვის შესაფერისად, თუმცა მის მიერ განვლილი გზა მეტყველებს, რომ აჭარის განათლების პირველ კომისარს, საღორეთელ ბატონ სელმანს დირექტორი გამგრძელებელი გამოუწინდა სოფლიდან და თავისუბურ, საღორეთულ ჭაპანს ეწევა განათლების სისტემაში სიახლეებ-

ის შეგანისა და ცხოვრების გაუმჯობესებისათვის.

წინ დიდი ასპარეზია და იმედია ყველა ნაბიჯი გამართლებული, წარმატებული და მშობელი ხალხის საკეთილდღეო სამსახურში ღირსეულად იქნება შეფასებული მომავალშიც.

თებიძე ზურაბ აბდულის ძე

დაიბადა 1938 წელს სოფელ პირველ მაისში. აქვე დაამთავრა



არასრული საშუალო სკოლა და 1952 წელში სწავლა გააგრძელა ხულოს პედაგოგიურ ტანიკუმში.

1957 წელს პედაგიკუმის დამთავრების შემდეგ ასწავლიდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1958-1961 წლებში გადიოდა სამხედრო სამსახურს.

1961-1966 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ქარტული ენა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

1966-1972 წლებში იყო კოლობაურის 8 წლიანი სკოლის დირექტორი.

1970 წელს გადავიდა ქ. ბათუმში საცხოვრებლად. წლების განმავლობაში მუშაობდა ბათუმის წყალგანალტრესტში. იყო №2 წყალსაქანის უფროსი. ასწავლიდა ბათუმის სავაჭრო პროფესიულ – ტექნიკურ სასწავლებელში.

1987 წელს მოულოდნელად გარდაიცვალა.

უანგარო, უპრეტენზიო, ჭყაინი დამრიგებელი. სტუმარობოფარე, სიახლის მოტრფიალე, ოჯახის და მეგობრების ერთგული, პატიოსანი მოღვაწე, საოცარი ობუნჯი და კარგი თამადა, ენაკვიმატი და მხიარულების მოყვარე – ასეთად დარჩა იგი ახლობლებისა და ნაცნობ მეგობრების ხსოვნაში.

თებიძე ინეზა შალვას ასული

დაიბადა 1973 წელს ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში.
1990 წელს დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა.



1996 წელს დაამთავრა აჭარის კოოპერატიული ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი.

სწავლის პერიოდში მუშაობდა აგარისა და კოლოტაურის 8 წლიან სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1997 წელს ასწავლიდა პირველი მაისის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში რუსულ ენას.

2003 წლიდან ასწავლის პირველი მაისის დაწყებით სკოლაში.

თებიძე დონარი შალვას ასული.

დაიბადა 1979 წელს სოფელ პირველ მაისში, პედაგოგის ოჯახში.
1986-1997 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკო-

ლაში. იყო ნიჭიერი მოსწავლე, ზრდილობიანი და დისციპლინიანი.

1999-2004 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე.

2005 წელში მუშაობას იწყებს პირველი მაისის სამუალოს სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.



2012 წელს გადავიდა საცხოვრებლად მარტინიშვილის.

პედაგოგიურ კოლექტივში და მეგობრების წრეში სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

პედაგოგ მამისა და აღმზრდელი მასწავლებლების გვერდით ცოდნის ტაძრის ფართო შარაგზას მიუყვება ერთი ალალი, უანგარო და

შებდობათელი პედაგოგი, რომლის კეთილშობილებისა ნამდვილად გვჯერა
მის თანასოფლელებს. ვიცით რომ ყველგან გაიტანს ლელოს.

თებიძე ემინე ისრაფილის ასული

დაიბადა 1961 წელს სოფელ პირველი მაისში.



1979 წელს დამთავრა პირველი მაისის
საშუალო სკოლა.

1979-1981 წლებში მუშაობდა პირველი მაისის
კოლმეურნეობაში რიგით წევრად.

1981-1992 წლებში იყო ქ. ქუთაისის მო-
სამზადებელი განყოფილების სტუდენტი.

1982-1986 წლებში სწავლობდა ქ. ბათუ-
მის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი
ფაკულტეტის დღის განყოფილებაზე.

1986 წლიდან მუშაობს პირველი მაისის
საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

თოხაძე სიმონ.

თოდრია ნინა

თედორაძე ნათელა

კოტრიკაძე ეკატერინე (კატუშა)

კვირკველია თამარ შამშებ ასული

კანდელაკი ია სევერიანებ ასული

კილასონია ვენერა ლუკას ასული

კეშელავა ნინა

კახიძე ხასან ხუსეინის ძე

დაიბადა 1909 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ზედა სამე-
ბაში, მრავალშვილიან ოჯახში. თორმეტ და-ძმებში მეორეთმეტე
დის ტყუპისცალია.

1916-1926 წლებში ამთავრებს საშუალო სკოლას, რის შემდე-
გაც მთავრობის დადგენილების საფუძველზე უპრობლემოდ შეუდ-



ია ბათუმის პედ-ინსიტიტუტის კარები.

1926-1931 წლებში ამთავრუბს პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტს.

1931 წელს განაწილებით აგზავნიან მაღალმთარევული, კერძოდ ხულოს რაიონის ბოლო სოფელ დანისპარაულში და ინიშნება სკოლის დირექტორად. ამავე სკოლაში ასწავლიდა მასწავლებელი თინა გოგუაძე. სულ მალე ხასანმა და თინამ ამ სოფელში იქმორწინებს, რის შემდეგაც ახალი ცოლ-ქარი

გადმოჰყავთ ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის არასრულ საშუალო სკოლაში.

1939-1941 წლებში ასწავლიდნენ სოფელ პირველ მაისში. საარქივო დოკუმენტებით ხასან კახიძე ამ სკოლის დირექტორია. მისი დირექტორობის მომსწრე ადამიანები დღესაც იგონებენ ამ კეთილ ადამიანებს, რომლებმაც ორი წლის მანძილზე მათი სიყვარული დაიმსახურებს.

1941 წელს ხასან კახიძე მშობლიურ სოფელ ზედა სამებაში გადაჰყავთ. სადაც მას ნიშნავენ 7-წლიანი სკოლის დირექტორად. მალე ხასანს სამამულო ომის ფრონტზე აგზავნიან. დატოვა ფეხმიმე მეუღლე, რომლის მშობიარობის შემდეგ მთავრობის მითითების თანახმად ფრონტიდან ათავისუფლებენ და ბრუნდება თავის სოფელში.

1941-1958 წლებში იყო ამ სკოლის დირექტორი.

1958-1972 წლებში იმ სკოლაში ასწავლიდა მხოლოდ მათემატიკას.

1944-1988 წლებში იყო სკპ წევრი.

გარდაიცვალა 1992 წელს.

აღსანიშნავია, რომ პედაგოგი მშობლების ოთხივე შვილი უმაღლესი განათლებით არიან, მათგან ერთი ქალიშვილი – მზემზე კახიძე ზედა სამების საშუალო სკოლის დირექტორია 1986 წლიდან და ასწავლის დღემდე.

ხასან კახიძის ოჯახი სამართლიანად ზემობს მასწავლებელთა დინასტიურობით. არა მარტო შვილები, შვილიშვილებიც უმაღლესდამთავრებულები არიან და შემომატებული რძლებიც.

დღეგრძელობა და წინსვლა ყველა წევრს ხალხის სამსახურში.

**კაცაძე მიხეილ
კალანდაძე მერი
კალანდარიშვილი ლიზა
კალანდარიშვილი მერი დიომიდეს ასული
კუტუბიძე ვალერიან ირაკლის ძე
კუპრაძე ლია**

კონცელიძე ვლადიმერ მევლუდის ძე

დაიბადა სოფ. კოლოტაურში, უბან თრთახოხნას, 1950 წელს.



დაწყებითი განათლება მიიღო კოლო-
ტაურის სკოლაში, საიდანაც გადავიდა „აწე-
სის“ სკოლა-ინტერნაციაში. საშუალო სკოლას
ამთავრებს პირველ მაისში 1966 წელს.

1966-1968 წლებში მუშაობდა „აწე-სის“
სათავეზე რიგით მუშად.

1969-1970 წლებში გადიოდა სამხედრო
სამსახურს ქ. თბილისში, იუო ზემდეგი, მე-
თაურობდა ასეველს. დემობილიზებულია ლუ-
იტენანტის ჩინით.

1970 წელში „აწე-სის“ სათავეზე იწყებს მუშაობას ელექტრომონტიო-
რად. აქედან აგზავნიან ტურისტად პოლონეკოში კომკავშირული ხაზით.

1974 წელს მუშაობას იწყებს ხელვაჩაურის სატყეო მეურნეობა-
ში, ფართო მოხმარების სამქროში სხვადასხვა ხელობაზე.

1975-1980 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტი-
ტუტში, გეოგრაფიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1979 წელს მუშაობას იწყებს პირველი მაისის საშუალო სკო-
ლაში დაწყებითი სამხედრო მომზადების ხელმძღვანელად. შეთ-
ავსებით მუშაობდა ფიზ-აღზრდის მასწავლებლადაც. პედაგოგიურ
სფეროში ზედმიწევნით აქტიური და პუნქტუალური, გამოირჩეოდა
ღრმა ერუდიციით, საქმის ძირფესვიანად ცოდნით. თავდადებამ წარ-

მატებაც მოუტანა – იყო ლაურეატი მასწავლებელი. სასწავლო აღმზრდელობით საქმიანობაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოებული იყო სიგელებით. ფეხბურთისა და ორივე სქესის კალათბურთელთა სპორტულ ასპარეზობებში მიღებული წარმატებისათვის დაჯილდოებული იყო ჯილდოთი და საპატიო სიგელით. რაიონში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების წრის ხელმძღვანელად იყო დანიშნული განათლების განყოფილების მიერ და კარგი მუშაობისთვის მიღებული პქონდა ფულადი ჯილდო 150 მანეთის ოდენობით და სხვა საჩუქარი. იყო პირველი კატეგორიის სამხედრო მასწავლებელი, კაპიტანის ხინით.

ბატონი ვლადიმერი იყო დისტიკლინირებული, ჯულტურული, ინტელექტუალური, კონტაქტური პიროვნება. დინჯი და საინტერესო მოსაუბრე, იუმორის ნიჭით დაჯილდოებული. ასაყის მიუხედავად საოცრად ხალისიანი. მისთვის არ არსებობდა სიტყვი – არ ვიცი, არ შემიძლია, არ მცალია, მეზარება. იყო კურმარილიანი, ენაწყლიანი სუფრის წინამდობარი. ცხოვრებას უყურებდა საღი თვალით. იყო რეალისტი. არ უყვარდა ტყეული, სტულდა ორპირები და ორგული ადამიანები. ყოველგვარი წამოწების შეაგულში იყო და თავადაც ინიციატორობდა. აფასებდნენ და თვითონაც აფასებდა გარშემომყოფთ. რაც მთავარია არ იყო დეპრესიული, მის გვერდში ყოფნა არასდროს მოგწყინდებოდა. იყო კარგი მეურნე. საქუთარი ხელით მოაშენა ვენახი და კივის კულტურა. პქონდა მინი მარკეტი და იყო არაჩვეულებრივი მოვაჭრე... და სწორედ ასეთმა ამაღლებულმა პიროვნებამ არაკაცთა ყურადღება მიიქცია. 2005 წელს აგაზაკებმა თოვით იმსხვერპლეს.

მარადიული ხსოვნა....

კურცხალიძე ფატი

კოჩაძე მანანა ჯემალის ასული

დაიბადა 1968 წელს ქ. ბათუმში. იზრდებოდა სოფელ დოლოვანში.

1975 წელს დაიწყო სწავლა დოლოვანის საშუალო სკოლაში.

1984 წელს სწავლა გააგრძელა ქ. ბათუმის ნ. კანდელაკის

სახელობის სამსატვრო სასწავლებელში პედაგოგიურ ფაკულტეტზე
დაამთავრა 1988 წელს.



1988 წელს მუშაობა დაიწყო ქედის რაიონის უჩხილის საშუალო სკოლაში ხატვა-ხაზების მასწავლებლად. პარალელურად მუშაობდა სოფელ დოლოგნის კლუბის გამგედ.

1990 წელს შეთავსებით იწყებს მუშაობას პირველი მაისის საშუალო სკოლაში ხატვა-ხაზების მასწავლებლად.


1991 წელს სწავლას აგრძელებს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ზოგად-ტექნიკური დისციპლინისა და შრომის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელსაც ამთავრებს 1996 წელს.

1993 წელს მუშაობას იწყებს დოლოგნის საშუალო სკოლაში ხატვა-ხაზების და ფიზიკის მასწავლებლად. ამავე წლებში კვლავ კლუბის გამგედ მუშაობს.

1994 წელს დაოჯახებასთან დაკავშირებით მუშაობას იწყებს ქ. ბათუმის №2 სკოლა-ინტერნაციის აღმზრდელ მასწავლებლად. პარალელურად ასწავლიდა ხატვას.

კვირდების ლუბა ივგიხის ასული

ლომთათიძე ციური იპოლიტე ასული



დაიბადა 1934 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვენობანში.

1942-1950 წლებში სწავლობდა ქვენობანის 8 წლიან სკოლაში.

1950-1953 წლებში სწავლობდა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის საშუალო სკოლაში.

1954-1959 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფია-ბი-

ოლოგიის ფაკულტეტზე. განაწილებით მოხვდა სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლაში, ბიოლოგიის მასწავლებლად, სადაც მუშაობდა 1961 სასწავლო წლის ივნისამდე.

1961-1968 წლებში, თავისი განცხადებით გადავიდა და ასწავლიდა დოლოგნის საშუალო სკოლაში ბიოლოგიას.

1968-1994 წლებში მუშაობდა ლანჩხუთის რაიონის სოფელ ზედა და ქვედა აკეთში 8 წლიანსა და საშუალო სკოლებში ბიოლოგიის მასწავლებლად, რის შემდეგაც გავიდა პენსიაში და ცხოვრობს სოფელ აკეთში. ჰყავს სამი შვილი.

ლორთქიფანიძე შუქრი



დაიბადა ქედის რაიონის ერთერთ ულაშაზე სოფელ ვაიოში, 1947 წელს.

1954-1959 წლებში სწავლობდა ვაიოს რგანლიან სკოლაში, საიდანაც გადავიდა „აწესის“ სკლა-ინტერნატში, რომელიც 1964 წელს ოქროს მედალზე დამთავრა.

1966-1971 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის ფაკულტეტზე.

1971 წელს მუშაობას იწყებს პირველი მაისის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1972-1973 წლებში იმყოფება სამხედრო სამსახურში. დემობილი-ზების შემდეგ მუშაობას იწყებს წონიარისის საშუალო სკოლაში.

1981-1986 წლებში მუშაობდა ხიჭაურის 8 წლიან სკოლაში.

ამჟამად მოღვაწეობს მშობლიურ სოფელ ვაიოს საშუალო სკოლაში.

გახაჭაძე ავთანდილ

მორთულაძე ნოდარ ისმაილის ძე

დაიბადა ბათუმის რაიონის სოფელ აჭარისაღმართში 1949 წელს.

1956-1964 წლებში სწავლობდა აჭარისაღმართის 8 წლიან სკოლაში.



1968 წლებს დაამთავრა ბათუმის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მწვანე კონცენტრაციის ტექნიკუმი.

1969-1971 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიაში.

1972-1973 წლებში მუშაობდა ბათუმის თამაზ ბაქოს საფერმენტაციო ქარხანაში მწონავად.

1973-1978 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქიმია-ბიოლოგიის ფაკულტეტის დასწრებულ განყოფილებაზე.

1978-1979 წლებში მუშაობდა აჭარისაღმართის 8 წლიან სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად.

1979-1980 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1980-1991 წლებში მუშაობდა ჩეუტუნეთის სკოლა-ინტერნატში.

1987-1989 წლებში ჩეუტუნეთის სკოლა-ინტერნატის პარალელურად მუშაობდა ხელვაჩაურის რაიონის განათლების განყოფილებაში ქიმია-ბიოლოგიის მეთოდისტად.

1989-1991 წლებში აწინაურებენ მეთოდგაბინეტის გამგედ.

1991-2004 წლებში მუშაობდა მაჭახლის თემის გამგებლად.

2004-2008 წლებში იყო უმუშევარი. უნდოდათ სხვა გამგებლის არჩევა, მაგრამ შესაფერისი კადრი არ მოინახა და ისევ აირჩიეს გამგებლად.

2008 წლის სექტემბრიდან, ამჟამად მაჭახლის თემის რწმუნებულია.

1980-1984 წლებში ამთავრებს სსრკ. სოფლის მეურნეობის აკადემიის ასპირანტურას ბიოქიმიის განხრით. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები საკავშირო ურნალებში და ანასეულის კვლევითი ინსტიტუტის შრომებში.

პუავს შესანიშნავი ოჯახი.

მეუღლე ქეთევან მუგანაძე აჭარისაღმართის საჯარო სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებელია.

შვილი სოფიკო უმაღლესი სამედიცინო განათლებით, აჭარის რესპუბლიკური საავადმყოფოს ექიმ-რეანიმატოლოგია.

ანა – აჭარისაღმართის საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელია. საქმემან შენმან გამოგაჩინოს – ეს უკვე მორგებელია ბატონ ნოდარზე და სხვა სიტყვები მის შესამობად, ნამდვილად ზედმეტია.

პირველი მაისის საჯარო სკოლის კოლეგები გულთბილად იგორნებენ ბატონ ნოდარის და მის მიმართ კეთილ სიტყვებს არ იშურებენ.

მახარაძე ნარი ოსმანის ასული

იგივეს თქმა შეიძლება ნარი მახარაძის შესახებ, რაც ითქვა ციალა გურგენიძეზე. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იგი ახალგაზრდაა და ძალიან გულისხმიერი, მუდამ მდიმარი და სტუმარომოფ-



გარე ციალასგან განსხვავებით პატარა ოჯახი აქვს, მაგრამ მუდამ ფუსფუსსა და ჯაფაშია, მისთვის თავისუფალი დრო არ არსებობს. ხშირად იტყვის ჭორიკნობით ტვინს არ გადავღლიო...

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ხარაულაში, 1956 წელს.

1963 -1973 წლებში სწავლობდა ხარაულის საშუალო სკოლაში.

1974-1979 წლებში სწავლობდა ბათუმის პედინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, ფიზიკის სპეციალობაზე.

1979 წელს გაანაწილეს სამუშაოდ პირველი მაისის საშუალო სკოლაში, რის შემდეგაც ადგილი არ შეუცვლია, აქვე დაოჯახდა, ამავე სოფლის მკვიდრს პედაგოგ ჯუმბერ სამნიძეს დაუკავშირა ბედი 1980 წელს.

არის I კატეგორიის მასწავლებელი.


არის მკაცრად მომთხოვნი, სამართლიანი და ძალიან ჰუმანური პედაგოგი. გამოირჩევა დისციპლინიანობით და საგნის ღრმად ცოდნით. სკოლისგარეშე საგნების ცოდნით ნებისმიერ გაკვეთილს ღრმაშინაარსიანს ხდის, რითაც საყოველთაო დაფასებას იმსახურებს. მოსწავლეებს სჯერათ მისი და ახსნილი მასალის გამრავალფეროვნებით დიდ ყურადღებას იმსახურებს.

გაკვეთილების შემდეგ, ასე ვთქვათ აქეთ-იქით მიუხედავად სახ-

ლისაკენ მიიჩქარის – ან ხელსაქმე აქვს გასაკეთებელი, ან სტუმარი მისაღებ-გასაცილებელი რაც იშვიათობას არ წარმოადგენს მის ოჯახში. ხშირად იმდენად დატვირთულია, ჰამისოვის ვერ იცლის, ცალი ხელით რომ საუზმობს, ცალი ხელით საქმეს აკეთებს. აბა რა ვწა , დრო არ მყოფნისო, ხანდახან დამატებს დაუწერებდ ანდაზას – თავის მოსაფხანად არ მცალიაო... ამგვარად გამოზარდა ორი ვაჟკაციც. სულ მოუსვენრობაში და ჯაფაშია. ერთადერთი, რაც მის ხასიათში დამახასიათებელია, არის ის რომ არასოდეს ჩივილი და წუწუნი არ უყვარს. მისი მთავარი საზრუნავი – სკოლა და ოჯახია. ბედნიერი ბებიაცაა. შვილი შორეული ნაოსნობის მეზღვურად გამოზარდა.

მამალაძე ტარიელ ავთანდილის ძე

დაიბადა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხევში 1948 წელს.



1956 წელს სწავლას იწყებს ამავე სოფლის საშუალო სკოლაში, მაგრამ ოჯახის ბათუმში საცხოვრებლად გადმოსვლასთან დაკავშირებით, ტარიელი ქ. ბათუმის №16 საშუალო სკოლაში შეჭყავთ. მშობლები კი სხვადასხვა სასწავლებლის სტუდენტები იყვნენ. საშუალო დაათავრა 1965 წელს.

სკოლაში აქტიურ მონაწილეობას დებულობდა მუსიკალურ-მხატვრული გუნდის საქმიანობაში. მეგობრებისა და პედაგოგების, ცხონილი ლოტბარის და დირიჟორის – ც. ჩიჩუასა და აწ განსვენებულ ნ. ჩავლეიშვილის რჩევით, 1966 წელს ტარიელი ეწყობა მუსიკალურ სასწავლებელში, საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე.

ბათუმის კულტ-საგანმანათლებლო სასწავლებლის (დირექტორი იუსუფ ზოიძე) მეორე კურსიდან იწვევენ საბჭოთა არმიის რიგებში. სასწავლებელში მიღებული ცოდნა, არმიაშიც გამოიყენა – ჩამოაყალიბა თვითმოქმედი მხატვრული კლექტივი, რისთვისაც მეთაურის მადლობა და შვებულებაც დაიმსახურა.

1969 წელს კვლავ აგრძელებს სწავლას და პარალელურად

სხვადასხვა კოლექტივებშიც მონაწილეობს. კლავიშებიან ინსტრუმენტებს იმდროისათვის ნაკლებად ხმარებული გიტარაც შევმატა.

ბატ. ტარიელი მახინჯაურის კულტურის ცენტრში ქმნის ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს (ვ.ი.ა. „გამიღიმეს“. ეს კოლექტივი საღამო კონცერტებს მართავდა სხვადასხვა დასასვენებელ სახლებში და ტურბაზებში. შემდეგში იგი გადადის ერგეს კულტურის სახლში, სადაც ქმნის ანსამბლს „ლალისეგბრო“-ს, რომელმაც რამდენიმე წელს იარსება.

შემდეგში იქმნება ვ.ი.ა. „ცისფერი ტალღა“ აჭარის პროფკავშირთა კულტურის სახლში, სადაც მოღვაწეობდნენ: ა. ხომერიკი, გ. გოგუაძე, თ. შამილაძე, ნ. ვარშანიძე, ს. ჩხარტიშვილი და სხვები.

1972 წელს იღებს დიპლომს – „კლუბის ხელმძღვანელისა და თვითმოქმედი კოლექტივების დირიჟორის სპეციალობით“, რის შემდეგ რჩება ამავე კულტურის სახლში, სადაც აყალიბებს ბაგშვია ვ.ი.ა.-ს „წითელქუდას“, რომელმაც თავისი ხელოვნება აჩვენა მოსკოვს, ბლაგოევგრადს, ქობულეთისა და ბეჭუმის დამსვენებლებს. ეს იმ დროს, როცა ანსამბლი „მზიური“ ყველაგან ასპარეზობდა წარმატებით. კულტურის სახლთან არსებული მომდერალთა გუნდი აყალიბებს ახალ ვ.ი.ა.-ს „ორნანოს“, რომელმაც ზენიტში ასული ანსამბლების „რუსთავის“ და „გორდელას“ კალღაკვალ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორ ა. მსხალაძის და ს. გიორგაძის თაოსნობით დიდ წარმატებას აღწევდა. ანსამბლმა 20 წელი იარსება.

1973 წელს აჭარის სახელმწიფო ფილარმონიაში ბატ. მამალაძე ეს ნიშნავენ ვ.ი.ა- „თოლიას“ ვოკალურ ხელმძღვანელად. გასტროლებზე იყვნენ ხაბაროვესკში, კლადივოსტროეში, სამხრეთ სახალინებებზე და ჩიტის ოლქში.

1975 წელს ფილარმონია იწვევს ვ.ი.ა „ნარინჯის“ მუსიკალურ ხელმძღვანელად. ამ კოლექტივმა აწ განსვენებულ ხელმძღვანელის ვახტანგ მაჩაბელის მონაწილეობით კონცერტები ჩაატარა საქართველოს მრავალ ქალაქება და რაიონში.

1976 წელს მუშაობს იწყებს განათლების მუშაკთა საოლქო სახლთან არსებულ ვ.ი.ა. „კრიმიანულის“ ხელმძღვანელად. ქართუ-

ლი ფოლკლორული სიმღერების ნიჭიერად დამუშავების საქმეში, რაც იშვიათია თვითმოქმედი არაპროფესიონალი კოლექტივების შემოქმედებაში. თბილისში – საესტრადო ანსამბლების რესპუბლიკურ ფესტივალზე, ჟურის წევრებზე გარკვეული შთაბეჭდილება დატოვა.

1977 წელს პროფკავშირთა კულტურის სახლში საცუთარი ინიციატივით აყალიბებს ქართული ხალხური სიმღერის ანსამბლს – „ხერთვისს.“ ამ ანსამბლში გაერთიანებული იყვნენ შ. ხარაძე, თ. მუხაშვირია, ვ. მიქელაძე, რ. ბასილია, ბ. თოდრია, ა. ჯაველიძე, რ. ბერიძე, ნ. დოლიძე, ა. ბუაძე, ა. მამალაძე, (უმცროსი მმა ამჟამად თბილისის ოპერის თეატრის სოლისტია) ზ. ხინიკაძე, გ. თავართქილაძე, ჯ. დოკვაძე, რ. ორაგველიძე, ლ. გობრონიძე, გრ. თოდრია, ჯ. ანანიძე, კ. შეშელიძე, გ. გეურიძე და სხვები.

ანსამბლი „ხერთვისს“ დედაქალაქში ჩატარებული II რესპუბლიკური ფესტივალის დაურეატია და მრავალ საზეიმო და საიუბილეო დონისძიებების აქტიური მონაწილე:

ბატონ ტარიელს დიდი შემოქმედებითი წელილი მიუძღვის ფაბრიკა-ქარხნებთან არსებული ანსამბლების საქმიანობაში – ბათუმის ციტრუსკომპინატში, ხის დამამუშავებელ კომპინატში, ტყაფუესაცმლის გაერთიანების ქალთა გუნდში, მანქანათსაშენ ქარხანაში, ქიმიურ ქარხანაში, მეხანიკურ დაცვის სადგურში. ასევე ზოგად-საგანმანათლებლო სკოლებში:

1983-1993 წლებში, ბათუმის №23, ქობულეთის №1 საშუალო სკოლაში და პარალელურად მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, წყავროკის საშუალო სკოლაში.

1985 წელს – სოფელ ლეღვას სასოფლო კლუბში საესტრადო ანსამბლში.

1985-1988 წლებში სუფსასა და ნატანების სასოფლო კულტურის სახლებში.

1976 წელს თანაკურსელმა ბორის ღოღობერიძემ ქედის კულტურის სახლის დირექტორად ყოფნის დროს მიიწვია ქედაში სამუშაოდ, სადაც დღესაც მოღვაწეობს. შეიქმნა საესტრადო ანსამბლი „ნაკადული“, რომელმაც დიდი წარმატებით მოიარა ადიგენი, ახალ-

ციხე, ასპინძა და თავიანთი ხელოვნება უჩვენეს მაყურებელს. შემ-დეგ ში იგი ხელმძღვანელობს რაიონის მომდერალთა იმ გუნდს, რომელმაც დიდი სიტყვა თქვა ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ ფესტივალებზე და მიენიჭა ლაურეატის წოდება, პარალელურად ჩამოაყალიბეს ფოლკლორული ანსამბლი, რომელიც რიგის ფესტივალიდან ლაურეატის მედლით დაბრუნდა.

ანსამბლმა „ბეთოლებმა“ დიდი ნახტომი გააკეთა საესტრადო ხელოვნების საქმეში, კერძოდ, მსმენელს მიახვედრა მძიმე როკის ავ-კარგი და სიამოვნება. ბატ. ტარიელი სიამოვნებით იხსენებს ქედის სკოლის სიმღერის გუნდის საქმიანობას და პირველი მაისის საშუალო სკოლის, პატარა, მაგრამ ნიჭიერი ბავშვებით დაკომპლექტებულ სიმღერის გუნდს, რომელიც თავისი, გამორჩეული ხელწერით წარსდგა მაყურებლის წინაშე. (პირადად საუბარში ბატ. ტარიელმა მითხვა – მარტო თქვენი სკოლის გუნდებზე შეიძლება წიგნის შექმნა).

ბატ. ტარიელმა გაახმოვანა სპექტაკლების მუსიკალური გაფორმება. ქედაში ჩატარა მოყვარულთა ორი სპექტაკლი – „პროვინციელი გოგონა“ და ალექსანდრე სამსონიას „გამოპახილი საიქიოდან“. თვითონ ბატონი ტარიელი პროფესიონელის კულტურის სახლის ცენტრზე 1980-1988 წლების განმავლობაში ანსახიერებდა თოვლის პაპას. ამჟამად ამ საქმეს ემსახურება ქვედის კულტურის სახლში.

ბატ. ტარიელი მადლიერებით იხსენებს იმ ხალხს, ვინც გვერდით ედგა. ვინც ხელოვნების საქმეს აზიარა, ვინც ახლა უდგას გვერდში და ერთად საქმიანობენ. მისთვის უბრალოდ, არ არსებობს ცედი ადამიანი, ვინაიდან ცხოვრების აღმართებს სიმღერით და მუსიკის თანხლებით მიიკეცავს.

როგორც ხელოვანებს ახასიათებთ – დიდთან დიდია, პატარასთან პატარა. მაგრამ მიუხედავად სიდუხჭირისა, თითქოს მუდამ მხიარული და უზრუნველი ეგონება ადამიანს. რას ვიზამთ ეველა თავის ქონში იხრაკება.

მისი ჯილდოების და სიგელების სია:

1. სიგელი – აქტიური მუშაობისა და კარგი შესრულებისათვის. არმია. მაიორი ზახაროვი. 1967 წ.
 2. საიუბილეო სიგელი – ბათუმის საქალაქო კომიტეტისგან, ანსამბლი „ორნანოს“ წევრს. 1971 წ.
 3. ქების სიგელი – საქ. სსრ. შექმნის 50 წლისთავზე – ანსამბლ „ორნანოს“ წევრს. პროფსაბჭო. 1971 წ.
 4. დიპლომი - ოლიმპიადის გამარჯვებულს – ბათუმის №76-ე სასწავლებლის სიმღერისა და ცეკვის სამსატერო ხელმძღვანელს ოქროს სამკერდე ნიშნით, 28-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში წარმატებით მონაწილეობისათვის ენოჭება ლაურეატის წოდება და I ხარისხის მედალი.
 5. დიპლომი – სამხედრო ნაწილებში ჩატარებული ღონისძიებებისათვის, ანსამბლ „ორნანოს“ წევრს. ცენტრალური პროფკავშირების საბჭო. მოსკოვი, 1976 წ.
 6. პირველი ხარისხის დიპლომი – განათლების მუშაკთა საოლქო სახლი. ბათუმი, 1977 წ.
 7. ქების სიგელი – ოქტომბრის რევოლუციის მე-60-ე წლისთავთან დაკავშირებით. პროფკავშირების საოლქო სახლი. ბათუმი 1977 წელი.
 8. ქების სიგელი – ვ.ი.ა. „წითელქუდა“ – ბათუმის საზღვაო სასწავლებელში ჩატარებული საბჭოთა არმიისა და სამხედრო საზღვაო ფლოტის საპატივცემულო კონცერტი. ქ. ბათუმი, 1982 წელი.
 9. პირველი ხარისხის დიპლომი – პროფკავშირების სახლთან არსებული ვაჟთა ვ.ი.ა.-ს ხელმძღვანელს. ბათუმი 1971 წ.
 10. ქების სიგელი – მუსიკალური გაზაფხული 1982 – ფესტივალში მონაწილეობისათვის. ფესტივალის წარმმართველი საორგანიზაციო კომიტეტი. ბათუმი 1982 წ.
 11. დიპლომი – ბავშვთა მხატვრული თვითშემოქმედების განვითარებისა და მიღწეული წარმატებებისათვის. პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭო. ბათუმი 1985 წ.
- ... და ბოლოს: ხელოვნება უკვდავია და ტრიუმფით გაარანტირებული მსოფლიო არენაზე...

მანჯგალაძე ტიტე ფილიპეს ძე



**მილოროვა კონდრატე (კოტე)
მურვანიძე აკაკი
მურვანიძე დარიკო**



მაღლაკელიძე ბიძინა მიხეილის

**მიქელაძე დომნა
მელიგა დავით
ნაკაშიძე გულნარა
ნაგერვაძე როსტომ აბდულის ძე**

**ნაკაშიძე დოდო მიხეილის ასული
დოდო ნაკაშიძე დაიბადა 1941 წელს ქ. ბათუმში.**



პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქ. ბათუმში №2 საშუალო სკოლაში. ხოლო შემდეგ ოჯახის ქვედის რაიონში დროებით გადასვლასთან დაკავშირებით სწავლას აგრძელებს ქვედის სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1958 წელს.

1958 წელს ჩაერიცხა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტორია-ფილოლოგიის რესული ენა-ლიტერატურის და ინგლისური ენების განყოფილებაზე.

1963 წელს ამთავრებს ინსტიტუტს და მუშაობას იწყებს ქ. ბათუმის №16-ე ქართულ საშუალო სკოლაში თავისი სპეციალობით, პარალელურად №3 სკოლა-ინტერნატში ინგლისური ენის მასწავლებლად.

1966 წელს გადაჰყავთ ქედის რაიონის პირველი მაისის საშუალო სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად. სადაც მუშაობდა 1968 წლამდე.

ოჯახის, კერძოდ წლების განმავლობაში ქედის განათლების განყოფილების გამგედ მომუშავე კოლორიტული და დიდი ავტორი-ტეტის – მიხეიიდ (მემედ) ნაკაშიძის ბათუმში დაბრუნებასთან დაკავშირებით ქალბატონი დოდოც გადადის ქალაქში და მუშაობას იწყებს №24 რუსულ საშუალო სკოლაში ინგლისური და რუსული ენების პედაგოგად.

1970 წელს ინიშნება ქ. ბათუმის №3 რუსულ საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

1974 წლიდან სამუშაოდ გადადის მახინჯაურის საშუალო სკოლაში ინგლისური ენის მასწავლებლად და ორგანიზატორად.

ხელვაჩაურის რაიონის განათლების განყოფილების, აჭარის განათლების სამინისტროსა და სკოლის დირექციების მიერ, სასკოლო დონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით მიღებულ აქვს მადლობები, წამახალისებელი ჯილდოვები და სიგელები.

ქალბატონ დოდოს იხსენებენ მოწიწებით და სიყვარულით. იგი დირსეული პიროვნების, დირსეული გამგრძელებელია. ამაყობს იმითაც, რომ ქედის მაზრის უფროსის – თუფან ბეგ შერვაშიძის შთამომავალია მამის მხრიდან. ემაყება დოდოს შერვაშიძეთა საგვარეულოსთან კავშირი. არც ნაკაშიძეები ვართ ნაკლებიო – ამბობს დიმილით. დიახაც, სწორედ ასე ვიცნობთ ამ ორ გვარს. „კვიცი გვარზე ხტისო“ – ასე იტყვიან და მართლაც – დოდოს ცხოვრებისეული ნაბიჯები ამის დასტურია და ნათელი მაგალითი ცხოვრებისეული შარაგზაზე დირსეულად სვლისა. ბედნიერება მომავალშიც ქალბატონო დოდო!

ნებიერიძე ლამარა



ნინუა ჯულიტა



**ორაგველიძე ლოლა
ოდილავაძე უენია ვლადიმერის ასული**

ონიანი ნათელა



პეტრიძე ნოდარ

რობაქიძე ანა არჩილის ასული

ანა რობაქიძე დაბადა 1954 წელს ქ. ბათუმში. დაამთავრა ქ. ბათუმის №9 საშუალო სკოლა. შემდეგ სწავლას აგრძელებს ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში საგუნდო-სადირიქორო ფაქულტეტის განხრით, რომელიც 1976 წელს წარჩინებით დაამთავრა.



1976 წელს მუშაობა დაიწყო აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში მომღერალ-მსახიობად, პარალელურად 1978 წლიდან მუშაობას იწყებს ქედის რაიონის პირველი მაისის საშუალო სკოლაში მუსიკის მასწავლებლად. ასწავლიდა სიმღერის გაკვეთილებს და ჰქონდათ სკოლის გუნდი, რომელიც ყოველთვის წარჩინებით ღებულობდა მონაწილეობას, სკოლების თვითმოქმედების ღონისძიებებში. პარალელურად მუშაობდა ქ. ბათუმის №10 სკოლაში სიმღერის და გუნდის მასწავლებლად. მიღებული აქვს მად-

ერის გაკვეთილებს და ჰქონდათ სკოლის გუნდი, რომელიც ყოველთვის წარჩინებით ღებულობდა მონაწილეობას, სკოლების თვითმოქმედების ღონისძიებებში. პარალელურად მუშაობდა ქ. ბათუმის №10 სკოლაში სიმღერის და გუნდის მასწავლებლად. მიღებული აქვს მად-


დობები და სიგელები წარჩინებით მუშაობისათვის. მუშაობდა აგრეთვე ქობულეთის რაიონის ოჩხამურის მეურნეობის გუნდის ხელმძღვანელად. წარჩინებით დებულობდა მონაწილეობას ქობულეთის რაიონში თვითმოქმედი კოლექტივის დათვალიერებებში.

სამწუხაროდ ანნა რობაქიძე ხელოვნებას ჩამოცილდა ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებით.

რუსეთშვილი ნოდარ ირაკლის ძე

დაიბადა 1937 წელს ქ. ბათუმში.

1956 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის რკინიგზის ბათუმის №25 საშუალო სკოლა.



1956-1961 წლებში სწავლობდა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბუნების-მეტყველება-გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

1961 წელს განაწილებით მოხვდა პირველი მასისის საშუალო სკოლაში, სადაც ქიმია-ბიოლოგიას და გეოგრაფიას ასწავლიდა 1963 წლამდე.

1963 წლიდან მუშაობას იწყებს ქ. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივში სხვადასხვა თანამდებობაზე, ბოლოს მუშაობდა კა-

დრების განყოფილების გამგედ.

გარდაიცვალა 2011 წელს.

სამო მოგონება მაკავშირებს მასწავლებელთა იმ ცვლასთან რომელთაც ჩვენ, მოსწავლეებმა ხემრობით – სამოციანელები შევარქვით ესენი არიან: ნოდარ ქაჯაია, ნათელა გორგილაძე, ბულბული ბასილაძე, ნოდარ რუსეთშვილი, მერი ცენტრაძე, ავთანდილ ვარშანიძე და ვაჟა ბოჭორიშვილი. ამათგან მხოლოდ ნათელა გორგილაძეა ცოხადი, მაგრამ მიცვალებულები ჩვენს გულებში ისევე ცოცხლობენ, როგორც დანარჩენები.

ბატონი ნოდარი იყო უაღრესად ნიჭიერი, ინტელექტუალი, „ყოვლისმცოდნე“ – ასე შევარქვით ჩვენ. არ არსებობდა, რომ მასზე დასმულ შეკითხვაზე პასუხი არ გაეცა. სწორედ ამით დაგვამახს-

ოვრა თავი. ერთხელ შეგეკითხე, საიდან იცოდა ამდენი და მიპასუხა: შენ რა გგონია, ციდან ხომ არა ვარ ჩამოვარდნილი. ვკითხულობ ყოველდღე ყველა სახის ლიტერატურას და სხვა საინფორმაციო საშუალებებს. ასე რომ, თუ გინდა ბევრი იცოდე, ბევრიც უნდა იკითხოთ—დასძინა ბოლოს. განსაკუთრებით ამისთვის გვიყვარდა ბატ. ნოდარი. მოსწავლე ხომ ცნობისმოყვარება და მისთვის არ არსებობს დამთავრებულად პასუხებაცემული საკითხი, ამიტომ ყოველთვის წამოიჭრებოდა ახალი კითხვა და ყოველთვის გვქონდა იმედი, ბატონი ნოდარი გაგვცემდა საჭირო პასუხს და ასეც იყო — იგი არასოდეს უარს არ გვეუსწებოდა.

ბატ. ნოდარი იყო საოცრად გულისხმიერი, ურთიერთობაში უბრალო და პირდაპირი, მოზომილად იუმორისტი, ჭკვიანი დამრიგებელი, ნებისმიერი სიტუაციის შესაბამისი შემოქმედი. ქართული სტუმართმოყვარეობის უზადო შემფასებელი, ენაწყლიანი, სიტყვამაღლიანი, სადღეგრძელოების ოსტატი და რაც მთავარია — ნაღდი ქართველი.

მახსენდება ერთერთი თანასოფლელის ნაამბობი: კაცო, ამისთანა ადამიანის მნახველი არ ვარ, როდის ნახულობს დროს არ ვიცი, მოვა და ყველანაირ ხელსაჭმეზე წაგეშველება.

მეც შემიმჩნევია ბატონი ნოდარი თოხითა და ბარით ხელში ხან ერთი, ხან მეორე და ხან მესამე მეზობლის ყანა-ბაღჩაში. კეთილი, გამრჯე ადამიანის თვისება ესაა — ყოველ დღე შენს თავს ჰკითხო, თუ წინ დღეს ვის რით დაექმარე, რა არგე. ამგვარი, თავისთავზე შეკითხვის დამსმელიც და შემსრულებელიც სწორედ ბატ. ნოდარი იყო. ქალაქში დაბადებულისა და გაზრდილისთვის, საკვირველია და, არაფერი უცხო არ იყო, რაც ადამიანობის ფარგლებში თავსძებოდა. შრომა რომ ადამიანის სულსაც ალამაზებს, სწორედ ეს შეგვასწავლა ბატონმა ნოდარმა და თავადაც ამ პოსტულატის ერთგული იყო.

P.S 2008 წელში ვესტუმრე ჩემს საყვარელ მასწავლებელს, ცოტა წავისაუბრეთ და წამოსვლა დავაპირე, მაგრამ შემაჩერა და მაგიდასთან დამსვა მარტო იყო სახლში.

— იყავ სერგიავ, თითო ას-ასი გადავკრათ. რა ვიცით დღეს ვართ, ხვალ იქნებ აღარ ვიყოთ... ვინ იცის კიდევ როდის შევხვდებით...

გულმა რეჩხი მიყო... წინასწარ სადღეგრძელოსავით თქმული ას-
რულდა. (როცა ამ სტრიქონებს ვწერ, გულის პრობლემებისგან გან-
ვთავისუფლდი და სამი წლის უნახავი გადაგწყვიტე მოვინახულებ
მეთქი. მივედი, შვილიშვილმა გამიღო კარი. ბაბუა მოვიკითხე, ბაგშმა
კი ბებია იგერო – მიმითითა. მივესალმე და ნოდარი მოვიკითხე.

– ეჭ, სადაა ნოდარი, მარტში გავასვენეთ – მითხვა და სკამზე
მიმითითა, მუხლები მომეკვეთა და თავისთავად, დაგეშვი სკამზე...

ჰდა, მაშინ როცა ვესტუმრე, შევვევით საუბარს.

– რა მასსენდება სერგიავ – იცი? ქედაში ჩემი და იყო ექიმად და
იმ ხანად, როცა თქვენ გასწავლიდი ბინად მასთან ვიყავი. ერთ დღეს
მშიერი წამოვედი ქედიდან. პირველი მაისის ცენტრში ხის სასადი-
ლო რომ იყო, იქ ჩამოვედი ავტობუსიდან. მებუფეტებ შემიპატიუა.

– შემოდი ნოდარ მუზნება მებუფეთე – შვილიშვილები შემებ-
ინა ტყუპები და დამილოცეო. მეც შევედი და მშიერ კუჭზე ორი
ბაკალი არავი დამალევინა. კი ვიყავ ჯანმრთელი მაგრამ ორმა
ბაკალმა თავისი ქნა, სკოლაში რომ ამოვედი, უკავ მთვრალი ვიყავი.

– მასსოვს პატივცემულო ეგ დღე. შემოხედი გაკვეთილზე და
გვთხოვგა, ცოტა შეუძლოდ ვარ, არ იხმაუროთ და გარეთ არ გახვი-
დეთ ზარის დარეკვამდეო. იმ დღეს ორი გაკვეთილი გვქონდა მისი.
მაგიდაზე თავი ჩამოდო და ორი საათი იძინა. პატივს ვცემდით და
გვიყვარდა ნოდარ მასწავლებელი. ოთახში ბუზის გაფრენის ხმას
მართლაც გაიგონებდა კაცი, ისე ვიყავით გასუსულები, არ გვინდო-
და გაგვეღვიძებინა.

– მივხვდით პატივცემულო მაშინ ნაბახუსევი რომ იყავით და ხმა
არ ამოგვიდია ორ საათს. მერე ის იყო ზარის ხმაშ გამოგაფხიზლა.
ადექში, ბაგშვებს ბოდიში მოვგიხადე და სამასწავლებლოში შეხვდი.

– ჰო, მასე იყო. იმ მებუფეტის ვინაობა არ მასსოვს, კინადამ
დამდუპა. მადლობა სერგიავ, ახალგაზრდობა გამასსენე. ისე იცოდე,
შენს მეტი არავინ შემხვედრია სკოლიდან. დიდად გამახარე მოსვ-
ლით, უფრო მეტად კი იმით სკოლის ისტორიას რომ წერ. იცი რა?
პირველად ხომ თქვენს სკოლაში გამანაწილეს, ხომ ისეთი სიშორე
იყო გზიდან ციცაბო აღმართი, ისე მიყვარდით ბავშვები, იმ მან-

ძილს უპრობლემოდ ვკეცავდი, არასოდეს შემზარებია. კარგები იყავთ ყველანი... დიდი მადლობა, რომ მართლა დამაბრუნე ახალგაზრდობის წლებში, დიდი, განუზომელი მადლობა.

- წიგნის პრეზენტაციაზე აუცილებლად დაგპატიჟებთ.
- ვკ, მოვესწრები განა?..

უპანასტელი გამოდგა ეს საუბარი. მე სამი წელიწადი გულის პრობლემაშ დამაკავა. კი შემეძლო მონახულება, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ ასე მალე გამოვთხოვებოდა წუთისოფელს. ჯერ სამოცდათხუთმეტისაც არ იყო.

დაქვრივებულ მეუღლეს მივუსამძიმრე, ვანუგეშე, შემდეგ ბოდიში მოვუხადე და წამოვედი. ბაგზეს კი ვუთხარი – ბაბუა ასახელე მეთქი.


ძალიან მეწყინა მისი გარდაცვალება.

2011 წელში მე და კლასელმა მოვიგონიეთ. ცოცხალია მეთქი ვუთხარი... თურმე მოვატეჭე. აბა რა ვიცოდი, ორი თვის წინ რომ გარდაცვლილიყო.

საუკუნო სასუფენელი საყვარელო მასწავლებელო.

რეჩიცკი ელენე ივანეს ასული სადრაძე ქუშუნა კირილეს ასული

**სიხარულიძე გალიდა ელისეს
ასული**



სიამაშვილი ბროლა ილიას ასული



სერებრიაკოვა ალა გასილის ასული

ალა სერებრიაკოვა დაიბადა 1936 წელს ქ. ბათუმში.



1957 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1957 წელს მუშაობას იწყებს სოფ. ორცვაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1958 წელს გადმოჰყავთ სოფ. პირველი მაის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, სადაც ასწავლიდა 1963

წლის ბოლომდე, საიდანაც გადაჰყავთ ხელვაჩაურის რაიონის სასამართლოში და იმავდროულად ასრულებდა ნოტარიუსის მოვალეობასაც, სადაც მუშაობდა პენსიაში გასვლამდე.

ყოფილი კოლეგები და ყოფილი მოსწავლეები მოწინებით იხსენებენ ქალბატონ ალა სერებრიაკოვას...

საფარიძე მზია რეზოს ასული.

მზია საფარიძე დაიბადა 1962 წელს ქედის რაიონის სოფელ დოლოგანში.



1969-1979 წლებში სწავლობს ღოლოგნის საშუალო სკოლაში.

1980-1984 წლებში სწავლობს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1984 წელს მუშაობას იწყებს პირველი მაისის საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, სადაც მუშაობს დღემდე.

2003 წელს მიიღო ლაურეატი მასწავლებლის წოდება. მიღებული აქვს სიგელები, რომელიც ნათლად მიუთითებს მის პედაგოგიურ დამსახურებაზე. შეხმატებილებული ოჯახი, ტრაგიკულმა შემთხვევამ დაამწუხარა, როგორც ავდიოშე მისი მეუღლის ბიოგრაფიულ მონაცემებში, იგი ავაზაკებმა იმსხვერპლეს.

ამჟამად მეუღლე ვაჟიშვილს ზრდის და ბატონ ვლადიმერის მიერ აშენებულ სოფლის მაღაზიის მცირე ბიზნესით არის პარალელურად დაკავებული. ვლადიმერის სიცოცხლეში მათ ლამაზად აუწყვეს ფეხი ცხოვრებას, მომსმარებელი ძალიან მადლიერი ვიყავით მათი ლამაზი მომსახურებით, რომელსაც ეხდა ქალბატონი მზია აგრძელებს ისეთივე მომადლიერებული მომსახურებით, როგორც ვლადიმერის სიცოცხლეში.

ასე გაგრძელდება ალბათ დიდხანს და დიდხანს...

სალაძე დანიელი ახმედის ძე

დანიელ სალაძე დაიბადა 1937 წელს სოფელ კოლოტაურში (ორთახოხენა).



დაწყებითი განათლება მიიღო იქვე, ხოლო 8 წლედი დაამთავრა კოლოტაურის სკოლაში, საიდანაც სწავლას აგრძელებს სულოს პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელსაც მასწავლებლის დიპლომით ამთავრებს 1958 წელს.

1958 წელში დაინიშნა სოფელ ქვედა აგარის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად.

1959 წელს გადავიცავთ კოლოტაურის სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად..

1961 წელს ირიცხება პათუმის პედაგოგიური ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1962 წელს ინიშნება კოლოტაურის 8 წლიან სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

1969 წელში ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა.

1975 წელს დაინიშნა პირველი მაისის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

1979 წელს დაინიშნა კოლოტაურის 8 წლიანი სკოლის დირექტორად.

1980 წელს დაინიშნა პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1991 წელს გადაჭყავთ „აწესის“ საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

1994 წელს განმეორებით ირჩევენ პირველი მაისის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ.

1998 წლიდან დღემდე მოღვაწეობს „აწესის“ საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

ბატონი დანიელი არის პუნქტუალური, აკურატული, ღრმად ერუდირებული, იუმორისა და პოეტური ნიჭით დაჯილდოებული. საქმისადმი ერთგული, პრინციპული დამოკიდებულების, მომთხოვნიც და შემსრულებელიც.

საქმისადმი ასეთმა მიღებომაშ განაპირობა ის, რომ იგი წლების განმავლობაში არჩეული იყო რაიონული საბჭოს დეპუტატად, როგორც განათლების დარგში, ისეც პარტიულ თანამდებობაზე ყოფნის დროს. კეთილსინდისიერი მუშაობის აღსანიშნავად მიღებული აქვს წახალისებები და მაღლობები.

სარგებლობს კარგი ავტორიტეტით, არის შეუდარებელი მეზობელი, მუდამ მხიარული და სახემდიმარი. სიტუაციის შესაბამისი მთხოვნელიც, მოლექსეც, მომდევრალიც, იუმორისტიც, შეუდარებელი თამადაც და რაც მთავარია კარგი მოქართულე. რომ იტყვიან – კარგი ექიმი ენითაც არჩენს სხეულს, ასეთია ბატონი დანიელიც. მის გერდით მოხვედრილი ადამიანი საწუხარს გაეყრება და მხიარულდება. მრავალი კეთილი წამოწყების მოთავეა. ჭირში დამხმარე და ლინიში უზადო – ასეთად იცნობენ ბატონ დანიელ პედაგოგს და ასეთად აგრძელებს სიცოცხლეს, მეზობლების, მეგობრების, პარტიული ფუნქციონირების თუ სხვათა გულში. სანიმუშო ქართველია და სანიმუშო კვალს ტოვებს ცხოვრების არაიავარდნაფენ ბილიკებზე...

სალაძე გუგული რამიზის ასული

ბაგშვის სულისა და ინტელექტის ფორმირება ჯერ ოჯახში ხდება და მნიშვნელოვან წილად სკოლაში, პირველი კლასიდანვე. თუ რამდენად ჩამოყალიბებულ პიროვნებას ჩაიბარებს საზოგადოება,

ეს დამოკიდებულია დაწყებითი კლასის მასწავლებელზე. როგორ სიბრძნესაც მიაწვდენს პირველ კლასელს მასწავლებელი, იგივე გაჟყვება მოელ ცხოვრებაში.



ძალზე რთული საპასუხისმგებლო და საინტერესოცაა დაწყებით კლასებში მასწავლებლობა, რომელსაც აგრე უკვე ორმოც წელზე მეტია ბრწყინვალედ ართმექვს თავს პირველმაისელი მასწავლებელი გუგული სალაძე.

გუგული სალაძე დაიბადა სოფელ ქოლობაურში (ორთახოხნა) 1948 წელს.

დაწყებითი განათლება და შემდეგ არასრული საშუალო დაამთავრა კოლოტაურში, ხოლო საშუალო სკოლა პირველ მაისში 1966 წელს. შემდეგ მუშაობდა კოლმეურნეობაში, შემდეგ პირველი მაისის საფოსტო განყოფილებაში მეელსმენედ.

1969 წელს ჩაირიცხა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე.

1970 წლიდან მუშაობს პირველი მაისის დაწყებით სკოლაში, შემდეგ ში „აწჰესის“ სკოლა-ინტერნატში აღმზრდელად.

1974 წლიდან დღემდე მუშაობს პირველი მაისის საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად.

2000 წელს, წინა წლების შედეგების მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ მიანიჭა ლაურეატი მასწავლებლის წოდება, რომელიც ცნობის სახით და მილოცვით ადგილობრივი პრესის მეშვეობით მიეწოდა საზოგადოებას.

2000 წლის 26 სექტემბრის გაზეთი „იმედი“

„1972 წლიდან მუშაობს პირველი მაისის საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად, მინიჭებული აქვს უმაღლესი კატეგორია. იგი მოსწავლების მიმართ თბილი, სამართლიანი და მომთხოვნია, აქვს კვლევა-ძიების უნარი. გაკვეთილზე მისი ყოველი სიტყვა მოზომილია, სწავლაში ხელს უწყობს საკუთარი ინიცია-

ტივით კარგად მოწყობილი კლას-კაბინეტი.

უნარიანად ხელმძღვანელობს პირველი მაისის საშუალო სკოლის მიკრორაიონში შემავალი დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სასკოლათაშორისო მეთოდგაერთიანებას. მისი წარმატების საფუძველია შრომისმოყვარეობა, მოსწავლეთა შემქცნებითი აქტივობის გაღრმავება და მათი ნიჭის გამოვლინება. სისტემატურად დებულობს მონაწილეობას რაიონულ და საოლქო კითხვებში. აქვს დამუშავებული რამდენიმე თემა. მისი მუშაობა ორჯერ განხოგადდა. აქვს უმაღლესი კატეგორია."

იგივე გაზეთი 1998 წელს 9 დეკემბერს. პუბლიკაციის ავტორია პოეტი და ამავე სკოლის პედაგოგი რეზო თებიძე.

„...მესამე კლასს ასწავლის გ. სალაძე. სამი უდელი სტუდენტის, პედაგოგისა და ოჯახის დიასახლისისა თითქმის ერთდროულად დაიდგა. ოჯახი, სკოლა, ინსტიტუტი... აღვიდი არ იყო გამოუცდელი ახალგაზრდისათვის, მაგრამ ნიჭი და მონდომებამ ყველა სიძრელეს სძლია. წარმატებები კი ერთი ხელის დაკვრით არ მოსულა. პირველ ხანებში ბევრი ნაკლიც ჰქონია, მაგრამ ხელი არ ჩაუქნევია. ძალიან ემადლიერება უფროს კოლეგას, პირველი მაისის დაწყებითი სკოლის მასწავლებელს ლევან შავლიძეს, ვისთან ერთადაც მუშაობის პერიოდში ბევრი რამ შეუსწავლია.

პირველი მაისის საშუალო სკოლაში თითქმის შიშველი კლასი დახვდა. თანდათან შეავსო და ორ-სამ წელიწადში სანიმუშოდ მოაწყო, რომელიც დღეს შესაშური გემოგნებით გამოირჩევა და თვალსაჩინოების რაოდენობით რაიონში ერთერთი საუკეთესოა.

მუშაობის დაწყებიდან ორი წლის შემდეგ სამამულო ომის თემაზე ჩატარებული გაპეტილი ისე მოეწონათ განათლების მუშაკებს, პედკითხვისთვის თემის დაწერაც ურჩიეს, რაც მან წარმატებით დაძლია.

პირველი მაისის საშუალო სკოლის დირექტორი – ბადრი შავლიძე:

...იმის მიერ ჩატარებული გაკვეთილები გამოირჩევა აკადემიური და მეთოდური დონით. მისი ნასწავლი ბავშვები უფროს კლასებში

ამართლებენ. ატარებს შინაარსიან, მიმზიდველ, კლასგარეშე დონისძიებებს, მუშაობაში სისტემატიურად იყენებს თვალსაჩინოებებსა და ტექნიკურ საშუალებებს. წლების მანძილზე საქმის ცოდნით ხელმძღვანელობს დაწყებითი კლასების მასწავლებელთა სასკოლათ-შორისო მეთოდგაერთიანებას."

გუგული სწავლობდა სხვისგან. „სწავლა სიბერემდეო“ – უთქვამთ. ახლა თავად მისგან სწავლობენ სხვები. მისი ჩატარებული დღია გაკვეთილით აღფრთვისანებული რჩებიან.

თავად გუგულის აზრი უმცროსკლასელებთან დამოკიდებულებისა და მუშაობის შესახებ: უმცროსკლასელებთან რომ არ მემუშავა, ჩემ სიცოცხლეს ფიზიკურადაც ბევრი დააკლდებოდა. ყოველგვარ მწერებას, ცხოვრებისეულს, ოჯახურ განცდებს ისინი მიმსუბუქებდნენ. სხვა არჩევანს ნამდვილად არ გავაკეთებდიო...

როგორც მასწავლებლის მნელი მაგრამ საპატიო გზა უსასრულობდისკენ მიდის.

სალაძე მებოულე

სურმანიძე ელენე

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში 1964 წელს.

დაწყებითი სკოლის პირველი კლასი ისწავლა სოფ. ძენწმანში.



1972-1981 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის 21-ე საშუალო სკოლაში.

1982-1983 წლებში სწავლობდა ქ. თბილისის პიონერ-მუშაკთა რესუბლიკურ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ, რაიონში დაბრუნებული 1983 წელს მუშაობას იწყებს პირველი მაისის საშუალო სკოლაში პიონერსელმძღვანელად.

1985-1993 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიურ ფაკულტეტის რესული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე.

მუშაობდა ახოს საშუალო სკოლაში, კოლოგიურისა და აგარის არასრულ საშუალო სკოლაში.

1987 წელს დაოჯახებასთან დაკავშირებით საცხოვრებლდა გადადის ქ. ქობულეთში.

1994 წელში მუშაობს ჩოლოქის დაწყებით სკოლაში.

1995 წელში გადმოდის ქობულეთის №4 საშუალო სკოლაში, მუშაობდა 15 წლის განმავლობაში.

2010-2011 წლებში ასწავლიდა ქობულეთის №3 საშუალო სკოლაში. არის უმუშევარი.

სურმანიძე გუგული ჯემალის ასული.

დაიბადა 1950 წელს ქედის რაიონის სოფელ აგარაში 1950 წელს.

1958-1966 წლებში სწავლობდა აგარის 8 წლიან სკოლაში.

1967-1968 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის №4 საშუალო სკოლაში.

1969-1974 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის დაუსწრებელ განყოფილებაზე, პარალელურად მუშაობდა აგარის 8 წლიან სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად და უფროს პიონერხელმძღვანელად.

1970 წელს იქორწინა ქედელ შორეულ ნაოსნობის კაპიტან ავთანდილ ხალითის ძე დიასამიძეზე.

1970-1971 წლებში მუშაობდა ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკურში მათემატიკის მასწავლებლად.

1971-1980 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1980-იანი წლების შემდეგ საცხოვრებლად გადადის ქ. ნოვორისის ქადაგში.

2005 წელში დაბრუნდნენ ბათუმში. ამჟამად ცხოვრობენ ხელვაზაურის რაიონში, ქედაში სტიქის გამო დაზარალების შემდეგ.



ქალბატონ გუგულის ძალიან კარგად ახასიათებენ კოლეგები.
ამჟამად უმუშევარია.

სარიშვილი თამარ ტიტიკოს ასული.

სამნიძე მაგული დავითის ასული

მაგული სამნიძე დაიბადა 1967 წელს ქედის რაიონის სოფ.
პირველ მაისში.

1974-1984 წლებში სწავლობს ხელვაჩაურის საშუალო სკოლაში.



1984-1987 წლებში სწავლობს ქ. ბათუ-
მის იუსტიციური კობალაძის სახელობის კულტუ-
რულ-საგანმანათლებლო სასწავლებელში სა-
გუნდო-სადირიქორო ფაკულტეტზე, რომელსაც
წარმატებით ამთავრებს.

1987 წელში განაწილებით მიღის ქედის
რაიონის სოფელ კოლოტაურის 8 წლიან სკო-
ლაში მუსიკის მასწავლებლად, პარალელუ-
რად მუშაობს პირველი მაისის საშუალო
სკოლაში იგივე განხერით, სადაც მუშაობდა

1991 წლამდე.

1988 წელში იქორწინა პირველი მაისის საშუალო სკოლის მას-
წავლებელ, ქორეოგრაფ გენადი ბარამიძეზე, რომელზეც უკვევისაუბრუ.

1992-1995 წლებში მუშაობდა რესპუბლიკური პოლიკლინიკის
კადრების განყოფილებაში.

რაც შეეხება ქორწინებას. პირველი მაისის საშუალო სკოლა-
ში ბევრი დაქორწინებულა და ალბათ ტრადიცია კიდევ გაგრ-
ძელდება. ალბათ ზედმეტი არ იქნება მათი ჩამოთვლა, ეს ხომ ჩვენი
ისტორიკაა, არა მარტო ამ სკოლისა.

ხასან კახიძე და თინა გოგუაძე ახალდაქორწინებულები მოვ-
იდნენ ამ სკოლაში, მალე მათ მხარი აუბეს, ანუ ოჯახები შექმნეს:
მამია ცქვიტიშვილმა და თამარ თოდუამ, მემედ ჯაველმა და ეთერ
გორგილაძემ, ხემიდ დევაძემ და ლეილა გორგილაძემ, ქორა ფარგ-

ნაძერ და გუგული დევაძემ, ამირან შავლიძემ და მერი სამნიძემ, ჯუმბერ სამნიძემ და ნარი მახარაძემ, ვლადიმერ კონცელიძემ და მზია საფარიძემ, კუკური დვალიძემ და მზია გოგუაძემ. იქნებ ვინმე გამომრჩა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდი.

განგებამ დაგლოცოთ პირველ მაისში თაიგუდებად შეგრულო მამულიშვილებო, გეცოცხლოთ დიდხანს, დაგეფრთიანებინოთ თქვენი და სხვისი ბავშვები, მაგულისა და გენადივით ცეკვა-სიმღერით გაგლიოთ წერისოფელი.

სამნიძე მერი მემედის ასული

დიდი და გმირული ისტორიის მქონე ლამაზ სოფელ პირველ მაისს 1938 წელს მოევლინა ქალბატონი მერი. იგი ინტერნაციონალური ოჯახის შვილია. დედამისი ქალბატონი პაშა – უკრაინელი გახლდათ. სწორედ მისმა ეროვნებამ იქონია გავლენა, მერის პროფესიად უცხო ენები აერჩია.

1956 წელს დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა.



1961 წელში, ინსტიტუტის დამთავრების შედეგ ქვედაში, კომკავშირის რაიკომის ვაკანტური ადგილისათვის აჭარის კომკავშირის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა – მერაბ ქაჯაიამ რაიონის მასშტაბით მიწვეული ათი ჰედაგოგიდან მერი სამნიძე დაასახელა. ეს უდიდესი დაფასება იყო სოფლები გოგოსათვის, მაგრამ ოჯახური პირობების გამო თავაზიანი უარი განაცხადა აწ განსვენებულმა, არა და იმ დროისათვის, ხალხისათვის დიდი სარგებლიანობის მოტანა შეეძლო ქალბატონ მერის. დიდი საამაყოც იქნებოდა პირველმაისელებისათვის თანამდებობრივ პოსტზე თავისიანის ჯდომა, საქმიანობა, შემდეგ იმიჯის ამაღლება და აღმასვლა იერარქიულ საფეხურებზე.

კომკავშირის რაიკომის მდივნის თანამდებობაზე დაინიშნა ქვდის მკვიდრი – ნათელა გათენაძე, რომელმაც რაიონისა და რესპუბ-

ლიგის ცხოვრებაში ლამაზი კვალი დატოვა. სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ ამ ლამაზი კვალის დამჩნევაში მერის წვლილიცაა – მისმა უარმა წამოსწია წინა პლანზე მასავით უბრალო ადამიანი ქალბატონი ნათელა გათენაძე.

ქალბატონი მერი სწავლის პერიოდში პრაქტიკას გადიოდა მშობლიური სოფლის საშუალო სკოლაში, ხოლო დამთავრების შემდეგ იგი გაანაწილეს აგარის 8 წლიან სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად. აგარიდან გადმოიყვანეს პირველი მაისის საშუალო სკოლაში ჯერ პირნერსელმძღვანელად, შემდეგ კი ორგანიზატორად.

1967 წლიდან გარდაცვალებამდე ასწვლიდა რუსულ და გერმანულ ენებს ჯერ პირველი მაისის ძველ საშუალო სკოლაში, შემდეგ კი საბჭოს ტერიტორიაზე აგებულ საშუალო სკოლაში.

იყო პროფესიული კავშირის თავმჯდომარე.

მერი სამნიდე გამოირჩეოდა მაღალი პროფესონალიზმით, თავისი საქმის სიყვარულით და კოლეგიალობით. იყო უშუალო და პირდაპირი, დინჯი და მოფიქრებული. მისთვის არ არსებობდა უბასუხო კითხვა – ყოველთვის მზად იყო გაეცა ნებისმიერი შეკითხვის დამაჯერებელი პასუხი და ყოველთვის მზად იყო საუბრისათვის. მისმა მაღალმა პროფესიონალიზმმა განაპირობა დაჯილდოებათა რიგი. იყო სახალხო განათლების წარჩინებული, რომელიც სამკერდე ნიშნით იყო გამოხატული. ჰქონდა სიტყვები და სხვადასხვა ჯილდოები.

ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან, მისი სხოვნა არასოდეს წაიშლება ნაცნობ-მეგობართა და ნათესავების ფართო წრის მეხსიერებაში.

სამნიდე ქეთევანი ბეჭირის ასული

ქეთო სამნიდე დაიბადა სოფელ პირველ მაისში 1946 წლის 8 აგვისტოს.

1953-1964 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1966-1971 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1969 წლამდე მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში

პიონერხელმძღვანლად, შემდეგ კი ხუთ წელიწადს დაწყებითი პლასტის მასწავლებლად.

1975 წელს მუშაობას იწყებს ქართული ენისა და ლიტერატურის



მასწავლებლად, პარალელურად მას ირჩვენ პარტიულ ორგანიზაციონად.

1969-1993 წლებში პირველი მაისის საშუალო სკოლაში მოღვაწეობის პერიოდი ქალბატონი ქეთოსათვის იყო დაუკიტყარი. მისი ამ სკოლაში მოღვაწეობით მასწავლებელთა ადგილობრივი კადრების მესამე პლეადის რიგებში ერთ-ერთი დირსეული მასწავლებელი იყო. ჩვენ ვიცით პირველ მაისში აღზრდილი პირველი პედაგოგების მოღვაწეობა,

შემდეგ შემოსულთა და მათ კვალდაკვალ ადგილობრივი კადრების მეორე ნაკადი, ხოლო ქეთოვანის მოღვაწეობის პერიოდში ადგილობრივი კადრების სიმბოლური – მესამე ნაკადის მოსვლა.

შეწყდა მასწავლებელთა ტრადიციული მიგრაცია.

1993 წელს დაოჯახებასთან დაკავშირებით ქეთევანი გადავიდა საცხოვრებლად ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მახვილაურში, სადაც დღესაც მუშაობს ამ სოფლის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

ჩემი თაობის, ადრინდელი და დღევანდელი პერიოდის ყველა პედაგოგი ქალბატონ ქეთევანს ახასიათებს როგორც კარგ, ერუდიორებულ, დახვეწილი ქცევების და სანიმუშო პედაგოგს. იგი საოცარი ენერგიით ახამებდა ოჯახურ საქმიანობასა და სასკოლო ცხოვრების ავ-კარგს. ობლობაში აღზრდილისათვის სოფლური არაფერი უცხო არ იყო. პედაგოგებში და რაიონის საზოგადოებაში სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით. სკოლის ცხოვრებაში მიღწეული წარმატებებისა და დამსახურებულობის საზღაურად მიღებული აქვს მაღლობები როგორც შიდა სასკოლო, ისე განათლების განვითილების მიერ. აქვს წახალისებების არმიშვნელი სიგელები.

სამნიძე ციალა შოთას ასული

ციალა სამნიძე დაიბადა სოფელ პირველ მაისში 1969 წელს.

1986 წელს დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა.

1988-1993 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში გეოგრაფიის ფაკულტეტზე, დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1986 წელს მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში



საქმეთამმართველად.

1990-1991 წლებში ასწავლიდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში დაწყებით კლასებში.

1991 წელს დაოჯახებასთან დაკავშირებით სკოლას თავი დაანება და განათლების დარგს ფაქტიურად ჩამოშორდა.

ქალბატონი ციალა თავის გვარეულობაში გამორჩეული პიროვნებაა. ზედმიწევნით აქცენტული, წესიერების ეტალონი და მხიარული სტუმართმოვარეა. აქვს იუმორის ნიჭი,

არის ჭუის დამრიგებელი და გაჭირვებულთა ხელისგამმართველი, მისთვის უცხოა ჭორიკობა და უსაქმირობა, ტყეილი და ვინმეს გაქილიკება. თავის ასაკთან შედარებით სიბრძნით გამოირჩევა. მისმა ასეთმა დადებითმა თვისებებმა უფრო მოუხვეჭა სახელი ვიდრე ადრინდელმა მოდურმა „საპატარდლოს დიპლომმა“, ამიტომაცაა რომ იგი სანიმუშო რძალი, მეუღლე და მეზობელია.

ზრდის ქალ-ვაჟს, რომლებიც უმაღლესის დამთავრების შემდეგ იმედია ხალხის სამსახურში ჩადგებიან. დიდების გზა მათ მომავალს.

სამნიძე ლევან ოქროს ძე

დაიბადა 1988 წელს პირველ მაისში.

1994-2005 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

2001-2004 წლებში, 1988 წელში დაბადებულ კალათბურთელთა ნაკრებ გუნდ „ბასკოში“ ირიცხებოდა.

2006-2007 წლებში სწავლობდა კომერციულ საზღვაო სასწავლებელ „ანრიში“



2007-2009 წლებში სწავლობდა ბათუმის უნივერსიტეტში ფიზიკური აღზრდის სპეციალობაზე.

2007 წელშივე იწყებს პირველი მაისის საშუალო სკოლაში ფიზ-აღზრდის მასწავლებლად მუშაობას, სადაც დღის ჩათვლით მუშაობს. არის თავისი სპეციალობის ზედმიწევნით მცოდნე, ატარებს კლასგარეშე მეცადინეობებს, აწყობს ლაშქრობებს და შეჯიბრებებს როგორც კლასთა შორის, ისე სკოლათშორის სპორტული ღონისძიებების წარმატებისათვის.

სკოლის პედაგოლექტივი დაღებითად აფასებს ახალგაზრდა პედაგოგის შრომით მიღწეულებს. არის სოფლის აქტივისტი.

სამნიდე ნათელა ისმაილის ასული

დაიბადა 1938 წელს სოფელ პირველ მაისში.

1954 წელს დაამთავრა პირველი მაისის 8 წლედი.

1957 წელს დაამთავრა ქედის პედაგოგიური ტექნიკუმი, რის



შემდეგაც იმავე წელს დაიწყო მუშაობა პირველი მაისის არასრულ საშუალო სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად. პედასასწავლებელში სწავლების პერიოდში ქალბატონ ნათელას უხდებოდა მშობლიურ სკოლაში საცდელი მეცადინეობის ჩატარება. კარგად მასხვის მისი მზრუნველი და მოსიცვარულე მიღომა ბავშვებზე. საოცარი უნარი გააჩნდა ასახსნელი ოუ ასხილი გაკვეთილების გამოკითხვა-გადაცემაში. იყო მკაცრად მომთხოვნი და ამასთანავე გულთბილიც, რითაც აღსაზრდელების გულში მზრუნველ და მოსიცვარულე პედაგოგად დარჩა.

1963 წელს დაამთავრა ბათუმის პედინსტიტუტის დაწყებითი განათლებისა და პედაგოგიკის ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება. 1967 წლამდე მუშაობდა მასწავლებლად.

1967 წელს მას ირჩევენ პირველი მაისის სახელფლო საბჭოს თავმჯდომარედ.

1973 წლიდან კი მოღვაწეობს ბათუმის 26-ე საშუალო სკოლაში დაწყებითის მასწავლებლად.


უმწიკვლო და მდიდარი ბიოგრაფიის მქონე, მომდევნო წიგნში აისახება სრულყოფილად.

სამნიძე ჯუმბეგრ ყებასის ძე

დაიბადა 1953 წლის შემოდგომაზე სოფელ პირველ მაისში.

1972 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა.

1973-1978 წლებში სწავლობდა ბათუმის პედ-ინსტიტუტში ფიზ-აღზრდის ფაკულტეტზე. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ინიშნება კოლორტაჟის არასრულ საშუალო სკოლაში ფიზმომზადების



მასწავლებლად, ერთი წლის შემდეგ კი გადმოჰყავთ პირველი მაისის საშუალო სკოლაში ფიზ-აულტურის მასწავლებლად. მონაწილეობდა აჭარის სპორტულ ღონისძიებებში, შედეგად მიღებული აქვს ქების სიგელები და მაღლობები. მისი ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში ხელბურთის გუნდი მონაწილეობას ღებულობდა აჭარის პირველობაზე.

1992 წელს მიიღო ტრავმა, გავიდა პენსიაში და მიატოვა სკოლაც. ამჟამად დასაქმებულია კერძო სამუშაოზე.

სამნიძე ჯიმშეგ აბდულის ძე

დაიბადა 1982 წელს სოფელ პირველ მაისში.

1989-1999 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

2000-2004 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის ქ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ უნივერსიტეტში „დაწყებითი სამხედრო მო-




მზადების და ფიზიკური აღზრდის" ფაკულტეტზე.

2006-2007 წლებში მუშაობდა პირველი მასის საჯარო სკოლაში თავისი სპეციალობით, რის შემდეგაც გადადის სხვა სამუშაოზე.
ვრცლად შევა მომდევნო წიგნში.

ტრაპაიძე კარლო ამბერჯის ძე

კარლო ტრაპაიძე დაიბადა 1948 წელს ქ. ბათუმში.



1956-1966 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის №1 საშუალო სკოლაში.

1966-1970 წლებში სწავლობდა ქ. თბილისში საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში მძღოლობის ფაკულტეტზე.

1970 წელს გაანაწილეს ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში, საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად, სადაც მოღვაწეობდა 1973 წლამდე.

1973-1975 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის №17 საშუალო სკოლაში.

1975-1980 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის მძღოლობის სპორტულ სკოლაში.

1980 წლიდან დღემდე მუშაობს ქ. ბათუმის დ. აღმაშენებლის სახელობის №2 საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად. ყველგან სადაც კი უმუშევია, ახასიათებენ კარგად. განსაკუთრებით გამოყოფენ მის უშუალობას, უბრალოებას, ზრდილობას და მაღალკალიფიციურობას. ერთი შეხედვით, პირველ შეხვედრასა და საუბარში იგრძნობ, რომ დახვეწილი მანერების ადამიანია. გაცნობა და მიღება ალალი და გულწრფელია, გამოხედვა სიყვარულით გამობარი და საერთოდ ძლიერი პიროვნების შთაბეჭდილებას ტოვებს მოსაუბრებელი.

ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ქართველები.

ურატაძე ილარიონ

ფარგენაძე ჯემალ მემედის ძე

დაიბადა სოფელ კოლოტაურში (ორთახოსნა) 1944 წელს.



1951-1961 წლებში სწავლობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1963-1972 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტში მათემატიკის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1963-1966 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის როგორებში.

1968 წლის ოქტემბრიდან მუშაობას იწყებს კოლოტაურში 8 წლიან სკოლაში ფიზ-აღზრდის მასწავლებლად.

1969-1971 წლებში მუშაობდა პირველი მაისის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ.

1971 წლიდან გადადის პირველი მაისის საშუალო სკოლაში დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და მათემატიკის მასწავლებლად.

1979-1980 წლებში გადაჰყავთ ქედის რაიონის სოცეზრუნველუფოვის განყოფილების გამგედ.

1983-1987 წლებში აირჩიეს პირველი მაისის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1987-1993 წლებში მუშაობდა აგარის 8 წლიანი სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში და მათემატიკის მასწავლებლად.

1993 წლიდან კი მუშაობს პირველი მაისის საშუალო სკოლაში მასწავლებლად და დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობით დარგში.

ფარგენაძე ნანი მემედის ასული

დაიბადა 1960 წელს სოფელ კოლოტაურში (ორთახოსნა).

1967-1977 წლებში სწავლობდა ქოლოტაურისა და პირველი



მაისის სკოლებში.

1978-1983 წლებში სწავლობდა ბათუმის პე-
აგოგიურ ინსტიტუტში ისტორიის ფაკულტეტზე,
დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1979 წელს მუშაობას იწყებს პირველი
მაისის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავ-
ლებლად.

1984 წელს აირჩიეს საქ. კომკავშირის ქვ-
დის რაიკომის პირველ მდივნად.

1992 წელში დაოჯახებასთან დაკავშირებით გადადის ბათუმში,
მუშაობს №29 (ამჟამად მე-16) ბაგა-ბაღში აღმზრდელად.

როგორც სხვა პარტიულ მუშაკებზე, ისე ქალბატონ ნანიზეც
შეიძლება ცალკე წიგნის დაწერა. მარტო ის რად დირს, რომ იმდენ
ხანს კომკავშირის რაიკომის მდივნად მუშაობდა. მასზე ბევრი რამ
მართლაც შეიძლება აქვე მოვიყვანოთ საქებრად, მაგრამ მენდეთ,
სიტყვები ზედმეტად მიმაჩნია – იგი არის ნამდვილი ქართველი
ქალის ეტალონი, სიწმინდის და ზრდილობის განსახიერება, დირ-
სეული მამული შვილი...

ფარტენაძე გული

დაიბადა 1957 წელს სოფელ ხელვაჩაურში.



1974 წელს დაამთავრა ხელვაჩაურის სა-
შუალო სკოლა.

1974-1976 წლებში მუშაობდა ხელვაჩაუ-
რის კოლმეურნეობაში.

1976-1981 წლებში სწავლობდა ბათუმის
პედაგოგიურ ინსტიტუტში ქიმია-ბიოლოგიის
ფაკულტეტზე.

1981 წელს მუშაობას იწყებს პირველი
მაისის საშუალო სკოლაში.

1982 წლიდან მუშაობს დოლოგნის საშუ-

აღმო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად.

ფარგენაძე ქორა ხემიდის ძე

ჭ. ფარგენაძე დაიბადა სოფ. კოლოტაურში (ორთახოსნა) 1941 წელს.

1948 წელს სწავლას იწყებს იქვე, დაწყებით სკოლაში.

1952 წელს სწავლას აგრძელებს კოლოტაურის 8 წლიან სკოლაში.



1958 წელში ამთავრებს მახუნცეთის საშუალო სკოლას.

1958-1961 წლებში მუშაობს კოლმეურეობაში რიგით წევრად.

1961 წელში ჩაირიცხა ქ. თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში.

1963 წელს იწვევენ საბჭოთა არმიის რიგებში. მასზერობდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

1967 წელს წამოვიდა დემობილიზაცი-

ოთ.

1970 წელს ამთავრებს აღნიშნულ ინსტიტუტს გერმანული ენის განხრით.

1970 წელს მუშაობას შეუდგა პირველი მაისის საშუალო სკოლაში გერმანული ენის მასწავლებლად.

1978-1981 წლებში დაუსწრებდა ამთავრებს ქ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის რესეული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტს. დღემდე მოღვაწეობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში. მეუღლე პედაგოგი, ამჟამად პენსიონერი. შვილები:

გულთამზე – პედაგოგია.

გულადი – უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ხათუნა ბავშვთა ექიმი.

ბატონი ქორა არის სამართლიანი, დინჯი და სპეციალისტი პიროვნება. იგი მომთხვევია როგორც სკოლის ფარგლებში ისე მის გარეთაც. არის უდალატო, სიტყვის კაცი – არც გიდალატებს და ნურც დაადალატიანებ. ხასიათის ეს შტრიხი მისთვის დამახასი-

ათებელია იმდენად, რამდენადაც სადავო საკითხებს ვაჟაპურად მოაბამს ბოლოს.

P.S. ერთი თბილისელი მომიყვა მის შესახებ, რომ ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში სადავო საკითხები ბატონ ქორასთან წყდებოდათ. ჩათვალეთ რომ „შავების“ სტილში გადიოდა, იმდენად სამართლიანი იყო გადაწყვეტილებებში-ო... კაცურად გევლოს მოგლი ცხოვრების მანძილზე ბატონო ქორა...

**ფხაკაძე ლენა
ფლოროვა ლიდა
ფირცხალაიშვილი ნატაშა
ფანცულაია გერა**

**ფარსენაძე რევაზ (აბდულ) ოსმა-
ნის ძე**



ფარსენაძე რევაზ (რეჯებ)

ქაჯაია ნოდარ

6. ქაჯაია დაიბადა 1937 წელს ქედის რაიონის სოფელ ორცვაში. 1956 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა.

1956-1957 წლებში მუშაობდა კოლმეურნეობაში.

1958-1963 წლებში სწავლობდა პედინსტიტუტის ბუნებისმეტყველუ- ბა-გეოგრაფიის ფაკულტეტზე და მიიღო ბილოგიის, ქიმიის და სოფ- ლის მეცნიერების წარჩინებული სპეციალისტის კვალიფიკაცია.

1963 წელს მუშაობას იწყებს პირველი მაისის საშუალო სკო-

ლაში საწარმოო სწავლების ორგანიზაციონურად და ქიმიის მასწავლებლად.



1965 წლიდან ქედის საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებლია.

1978 წელს დაინიშნა ქედის განათლების განყოფილების ფილმოთეპის გამგედ, ხოლო შემდეგ შრომითი სწავლების, აღზრდისა და პროფორიენტაციის სასწავლო ინსპექტორად. შემდეგ ამავე განყოფილების შრომითი სწავლებისა და ქიმიის მთავარი სპეციალისტია. მისი ხელმძღვანელობით რაიონების სკოლებში წარმატებები მოიპოვეს შრომითი სწავლების სრულყოფისა და მატერიალური ბაზის განმტკიცების საქმეში.

ნ. ქაჯაია გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით და პასუხისმგებლობით. დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს პედაგოგიურ საზოგადოებაში. დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, განათლების სამინისტროუნის საპატიო სიგელებით. (მ. დიასამიძე, საუკუნოვანი სკოლა. გვ251).

ნ. ქაჯაია არა მარტო პედაგოგი, იმთავითვე იყო განწყობილი მეგობრული პრინციპებით. მიუხედავად იმისა საკლასო ჟურნალში შეფასებებს გვაძლევდა, არ იგრძნობოდა მოსწავლე-მასწავლებლის დისტანცია. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ უაღრესი პატივისცემის გრძნობით ვიყავით მისდამი განმსჭვალულნი. ვიყავით ძალზე მორიდებული, მაგრამ აკადემიურად მაღალი მაჩვენებლების. მისმა ლმობიერმა მიღორმამ, მეგობრულმა დამოკიდებულებამ მოსწავლეებთან და პედაგოგებთან, თავისი შედეგი გამოიღო – იგი ნამდვილად რომ პედაგოგად დაიბადა და ეს კარგად გამოჩნდა ყველა ურთიერთობაში, იგი ისეთ სპეციალისტად ჩამოყალიბდა მისთვის რაიონში მოდგაწეობა ვიწრო ჩარჩოდან იყურება, უფრო ფართო ასპარეზი ექუთვნის, მაგრამ წლებმა იგი რაიონს მიაჯაჭვა. იგი საოცარი იუმორით გამოირჩევა, უყვარს მეგობრული გაქილიკებაც მაგრამ ამას ისე ოსტატურად აკეთებს, თვითონაც ხემრობის ხასიათზე დაგაყენებს.

სამსახურიდან სახლში მიმავალს ვხვდები და არ არსებობს, რომ უტყვად ჩაგვევლოს. მხნედ გამოიყერება და ისეთივე დამრიგებელია, როგორც პირველი ხილვისას. წლებმა ვერაფერი დააკლო.

– წლებს ბიჭო უნდა ვაჯობოთო... ოუმცა მარადიული ვინაა... გარდაიცვალა 2012 წელში.

ქაჯაია გურამ

გ. ქაჯაია დაიბადა 1938 წელს სოფელ ორცვაში.

1957 წელს დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა.

1958-1961 წლებში გადიოდა სამსედრო სამსახურს. ერთი წელი იმუშავა კოლმეურნეობაში.

1962-1968 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქიმია-ბიოლოგია-სოფლის მეურნეობის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1964 წლიდან მუშაობდა ქედის საშუალო სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად.

1966 წელში მუშაობდა კოლოგიაურის 8-წლიან სკოლაში.

1967-1972 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად.

1973 წლიდან თითქმის სამი ათეული წელი მუშაობდა მასწავლებელთა დახელოენების ინსტიტუტის ბიოლოგიის მეთოდური კაბინეტის გამგედ. გამოირჩევა პროფესიონალიზმით და მაღალი პასუხისმგებლობით, მაღალ ღონებები ატარებს კურსებს და გასვლით ღონისძიებებს. პედაგოგიურ საზოგადოებაში სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით. დაჯილდოებულია საქართველოს და ჰქარის განათლების სამინისტროების სიგელებით.

(ვ. წელუკიძე, განათლების ინტორიისათვის აჭარაში. ბათ. 2002. გვ.636).

ქადიძე ლევან ხასანის ძე

არაფერია იმაზე საამაყო და სასახელო, ჩაწვდე მოზარდის სელს, გაიგო მისი სულის სიმების რხევა და მისცე ცოდნასთან

ერთად ცხოვრების საფეხურებზე მტკიცედ სიარულის იმედი. ეს მისია უსათუოდ გაისრება პედაგოგს, აღმზრდელს, ცხოვრების გზის გამკაფავს და დამკვალიანებელს, ასე ვთქვათ – მეორე მშობელს.



მასწავლებლის პროფესია ძალზე საამაყოცაა და მმიმეც. საამაყო იმიტომ, რომ იცის ქვექნისა და ერის წინაშე პატრიოტული და მამულიშვილური ვალი უნდა მოიხადოს ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებით, ხოლო მმიმე იმიტომ რომ რამდენი ადამიანიცაა, იმდენი ხასიათია და ყველას რომ გაუგო, ამას უდიდესი ნებისყოფის დაძაბვა სჭირდება.

ცნობილია რომ აჭარა გასაბჭოების შემდეგ ადგილობრივი კადრების სიმცირეს განიცდიდა. სამამულო ომმაც შეაფერხა კადრების მომზადების საჭიროობობრივი და ექითოლშობილური იდეა. მიუხედავად ამისა, თითო-ოროლა პედაგოგი მაინც გამოჩნდა სამოღვაწეო ასპარეზზე. ერთერთი მათგანია მდიდარი ისტორიული წარსულის მქონე სოფელ პირველი მაისის (საღორეთი) მკვიდრი – ლევან ქადიძე. იგი დაიბადა ავადსახსენებელ 1937 წლის ზაფხულის მიწურულს, 30 აგვისტოს, ხასან ქადიძის ოჯახში, რომელმაც ფატუმე დიასამიძესთან ერთად, სწავლისმოწყურებულ შვილს უმაღლესი განათლება მიაღებინა.

ლ. ქადიძემ პირველდაწყებითი განთლება სოფელ პირველ მაისში მიიღო, საშუალო სასწავლებელი მახუნცევში დაამთავრა. ხოლო უმაღლესი ისტორია-ფილოლოგიის განხრით ბათუმის პედაგოგურ ინსტიტუტში 1963 წელს და დაინიშნა სოფელ პირველი მაისის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

მრავალშვილიან ოჯახში უმაღლესი განათლებით ბატ. ლევანი გამოირჩეოდა. უმცროსმა მმამ ქედაში დაამთავრა საბუხაპლტო.

1970 წელს ლევანმა ბედი დაუკავშირა მეზობელ სოფელ კოლოტაურის (ორთახოხნა) მკვიდრს – ციალა სალაძეს, შექმნეს ხან-

იმუშო ოჯახი და გამოზარდეს თოხი შვილი. სამმა ქალიშვილმა დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი. ერთმა მათგანმა, მესამე ქალიშვილმა დაამთავრა ბერძნული ქნისა და ლიტერატურის ფაკულტეტი და ასწავლიდა ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში, შემდეგ კი საბერძნეთში ასწავლიდა. ამჟამად პირველ მაისში ასწავლის ისტორიას (?!).

ბატონმა ლევანმა უკვე ნახევარი საუკუნე იხადა ერისა და სამშობლოს წინაშე აღებული ვალდებულება – აღეზარდა ეკოლესინდისიერი კადრები, რამე თუ მომავლის საქართველო მათ უნდა მართონ. ამ კეთილშობილური მისით გულანთებულმა პედაგოგმა მრავალს დაულოცა გზა ფართო ასპარეზზე – მისაძეს პატივცემულ მასწავლებელს და სხვადასხვა სფეროში მოღვაწეობენ.

გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა, მაქსიმალურ ენერგიას ახ-არჯავს ოჯახს. ძირითადი წილი საიჯახო საქმეებისა მის ზურგზე გადადის – ამას კი ძლიერი ნებისყოფა და ენერგია სჭირდება.

ბატონი ლევანი თავისი საგნის ძირფესვიანად მცოდნეა. იგი ასახსნელ მასალას ისე აწედის მოსწავლეებს, მართლაც ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებთ კლასში. იგი კარგი დეკლამატორია და მხატვრული კითხვის უბადლო თხტატი. აჭარის დამსახურებულ პედაგოგს, უკარს ხელოვნება, თეატრი, კინო თუმცა გონება-დატვირთულს თავისუფალი დრო ფიზიკურად აღარ რჩქბა. ერთი ესაა რომ სტუდენტობისდროინდელი გატაცებას – ლექსების თხზვას ვერ შეეძია. მე არ მეგულება ქართული ქნის ძლიერი მცოდნე მასწავლებელი. წიგნიერ ლექსების ქარიშხალში გამოვლილი თვალია არ წერდეს რამეს.

1959 წელს ურნალმა „ლიტერატურული აჭარა“ №2 გამოაქვეყნა სტუდენტის პირველი ლექსი – „მესხეთი დარჩა მესხეთად“, რომელიც იმთავითვე აიტაცა მკითხველმა. ორმოცდაათი წლის მანძილზე კი მას არაერთი ლექსი, ფელებონი თუ სხვა ჟანრის პუბლიკაცია მოუთავსებია პრესის ფურცლებზე, (ზემოთაღნიშნულ ლექსის ბოლოში მოვათავსებ). მთავარი და მთავარი, რაც მას ახასიათებს, არის ახლის ძიება. არ იფარგლება სასკოლო პროგრამით

და ყოველ გაკვეთილს კლასგარეშე წაკითხულით ამდიდრებს და ალამაზებს. წიგნი კი მისი ცხოვრებაა.

ბატონ ლევან არ ახასიათებს წუწუნი, მაგრამ ვითარების მიხედვით წამოჭრილ საკითხებს გვერდს არ აუვლის და თავისებურ ალალ-მართალ პოზიციას იჭერს. გამოირჩევა სამართლიანობით, მუდამ პირში მოქმედია და სწორედ ამიტომაცაა გამორჩეულად დაფასებული. მისი თხოვნა თუ სურვილი სიტყვაშეუბრუნებლად და განუსჯელად სრულდება. მას მასების მოხიბლვის ოსტატური მადლი სცხია. სჯერა სოფელს მისი, სჯერათ პედაგოგებსაც, სჯერათ ხალხს და ეს ჩემთვისაც საამაყოა, მით უმეტეს მისი აღზრდილიცა ვარ. სადაც არ უნდა ვიყო, მასხვევს მის მიერ ინტერპრეტირებული გერმანული ანდაზა: „ცოდნა ვერაფერს გიშველის, თუ საქმე დაგრჩა შიშველი“ და კორეული სხარტულა: „ცხოვრებიდან ისე ნე წახვალ, რომ შენ შემდეგ რამე არ დატოვო.“ ასეც ვიღწვი მხოლოდ და მხოლოდ. ბატონ ლევანის არსებიდან გამომდინარე, რაღანაც ვიცი რომ თავად კეთილშობილების და სწორი ცხოვრებისეული გეზის მატარებელია.

მესხეთი ღარჩა მესხეთაც

მტერს ჩემი ჩანთქმა ეწადა
 მესხი დავუხვდი მესხურა
 ძილშიც აბჯარი მესხა და
 თავზე ჩაფხუტი მეხურა
 სისხლის მორევში ვიწექი,
 დამბაჩის ტარზე მეძინა,
 ძაღლურ სიცოცხლეს ყოველთვის
 კაცად სიკვდილი მერჩივნა.
 წყურვილით ვეღარ ვდგებოდი
 შიმშილით მიწა მითხრია
 მაგრამ მტერს მტრულად ვხვდებოდი,
 ხმალი ძირს არ დამიხრია.
 სიკვდილს ვეძებდი ბრძოლაში
 სიცოცხლე აღარ მინდოდა
 როცა ვხედავდი, რომ მტერი
 აკვინის ჩვილსაც არ ინდობდა.
 სიცოცხლე რაღად მინდოდა
 გინდ მტერს მოვეკალ ცოფიანს,
 თუ კი მესხეთის მიწაზე
 ვერვის ვნახავდი ჩოხიანს.
 თუკი მესხეთის მიწაზე
 არ დარჩებოდა ბალახიც,
 მაგრამ ვერ გადამაჯიშეს
 დღეს მნახეთ როგორ გავნახლდი.
 გაზაფხულივით აყვავდა
 მტრისგან ნათელი მესხეთიც,
 დიდი რუსთველის აკვანი
 და ფუძე ქართულ ლექსების.

მუდამ მართალი გზით გევლოს ბატონო ლევან შენი ერის და

შენი სოფლის მხარდამხარ. (დეპუტატმა იაშა შერვაშიძემ თავის რწმუნებულად მოიგულა სოფელში), მუდამ შემართებული ჯანმრთელი და სულიო მდიდარი ყოფილიყავი.

თუმცა დრო გვგესლაგს, როგორც ავი დედინაცვალი,

შენც შესძელ, მისთვის შეგვერა ღველფინაცარი.

სჯაბნი უკეთურ ყოფას, ნათეს საღი მარცვალით.

კაიკაცობით უკვდაგებასთან ხარ წილნაყარი.

მისულ სტუდენტობისდროინდელ ლექსს ერთხელ კიდევ ვანახებ მზის სინათლეს, ამჯერად მისი ჭარმაგობიდან გამოვახედებ. ჩამაწერინა მისი სტუდენტობის მეგობარმა, პროფესორმა ფრიდონ სიხარულიძემ, რომელიც სამწუხაროდ გასულ წლებში დააკლდა საქართველოს.

„რა დაღლის კომკავშირელის, რკინისმარლვება მაჯას,

ჩვენ მარტო სწავლა კი არა, გვიყვარს შრომაც და გარჯაც.

სახლებს ვაშენებთ ისეთს, სიმაღლით ცას რომ ერთვის,

ვაგებთ ყოველთვის სხვისთვის, და არასოდეს ჩვენთვის.

ოფლი ჩამოგვდის ღვარად, მტვერი კი კისერს გვსუსხავს, ავაგებთ ჩვენი გვირჩია, შეასახლებენ სულ სხვას.

გატაცებული გმიუშაობთ, ხშირად არ გვახსოვს თავიც,

და თუმც სულ ბინებს ვაგებთ, ბინა არა გვაქვს მაინც."

ბატონ ლევანს მინიჭებული აქვს „აჭარის დამსახურებული მასწავლებლის" საბატიო წოდება. „განათლების წარჩინებულის" სამკერდე ნიშანი, აჭარის განათლების სამინისტროს საპატიო სიგელი.

ქათამაძე ილია ოსმანის ძე

დაიბადა 1926 წელს ქედის რაიონის სოფელ ოქტომბერში.

1944 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. შემდეგ მუშაობდა კოლმეურნეობაში.

წლების განმავლობაში მოღვაწეობდა ქედის კულტურის სახლში სხვადასხვა სამუშაოზე. 1958-1963 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ქიმია-ბილოგიის და სოფლისმეურნეო-



ბის ფაქულტეტზე. დამთავრების შემდეგ, 1963 წელში გაანაწილეს ოქტომბრის საშუალო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად.

1965-1968 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში ქიმიის მასწავლებლად.

1968-1982 წლებში მუშაობდა მახოს საშუალო სკოლაში, საიდანაც გავიდა პენსიაში.

1989-1993 წლებში კვლავ აგრძელებს მუშაობას ოქტომბრის საშუალო სკოლაში, ქიმიის მასწავლებლად. გარდაიცვალა 2000 წელს.

ლეინეფაძე გოგუცა ნესტორის ასული

შავლიძე ნიაზ ხასანის ძე



დაიბადა 1941 წლს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ შავლიძეებში.

1948-1958 წლებში სწავლობდა მეჯინისწყლის საშუალო სკოლაში.

შრომითი სტაჟის მოსაპოვებლად ხელვაჩაურის კოლმეურნეობაში შრომობს.

1961-1966 წლებში სწავლობს ბათუმის პედისტიტუტში მათემატიკის ფაკულტეტზე.

1966-1968 წლებში მუშაობს ქედის რაიონის პირველი მაისის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

ამ მცირე დროში მან საყოველთაო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა პედაგოგიურ კოლექტურში, განათლების დარგის მუშაკთა და მეცნიერებათა წრეში. ყოველივე განაპირობა იმან, რომ ბატონი ნიაზი იდგწოდა მშობლიურ რაიონში, მშობლიურ სოფელში და თავის ხალხში, ვინაიდან იგი ამ სოფლის ძირეული მჯგიდრია. სწორედ ამან, თავისმა პუნქტუალურობამ, სწავლებისადმი უაღრესად სწორმა და მეთოდურმა მიღვომამ განაპირობა ის, რომ იგი აღიარებული პედაგოგია და დაფასებებმაც არ დააგვიანა, რაც შემდეგშიც მოიპოვა.

(მასზე დაწვრილებით მომდევნო წიგნშია მოთხოვილი).

შავლიძე ბადრი თამაზის ძე

პირველი მაისის სკოლის ისტორია შეიძლება რამდენიმე ეპი-



ზოდად დაიყოს და აიკინდოს, ხოლო ამ ისტორიის მსვლელობაში ყველაზე ხანგრძლივი დირექტორის წლები მოდის ახალგაზრდა, ენერგიულ, ზომაზე მეტად მკაცრ და მომთხოვნ პედაგოგზე – ბადრი შავლიძეზე. წინასწარ უნდა შევნიშნო, რომ მის ადამიანად და ავტორიტეტად ჩამოყალიბებაში დიდი როლი შეასრულა მშობლებისა და წინაპრების საქმიანობაში. ერთი, რომ დედა აჭარის დეპუტატი იყო, მამა რაიონში პატივცემული

პარტიული მუშაკია, დედის მხრიდან ბაბუა და ბიძია ყოფილი პარტიული ხელმძღვანელები იყვნენ.

ბადრი შავლიძე დაიბადა 1960 წელს.

1977 წელს დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა.

1985 წელს დაამთავრა ბათუმის პედ-ინსტიტუტის გეოგრაფია-ბიოლოგიის ფაკულტეტი.

1978 წელში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში დირექტორის მოადგილედ სამნეო დარგში.

1979 წელს მუშაობდა ქედის რაიონის პიონერთა სახლში ჭადრაკის წრის ხელმძღვანელად და მასწავლებლად.

1989 წლამდე მშობლიურ სკოლაში ასწავლიდა თაგისი საქციალობით, ამავე წლიდან ინიშნება პირველი მაისის საშუალო სკოლის დირექტორად.

შავლიძე ამირან პაჯიმეგედის ძე

ამირან შავლიძე დაიბადა 1933 წელს სოფელ საღორეთში.

1949 წელს დაამთავრა პირველი მაისის 8 წლიანი სკოლა. შემდეგ სწავლას აგრძელებს ქედის რაიონის პედაგოგიურ სასწავლებელში.

1952 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში.



1955-1957 წლებში სწავლობს ხუდოს პედაგოგიურ ტექნიკურში, საიდანაც ბრუნდება დაწყებითი კლასების მასწავლებლის დიპლომით.

1959 წელს მუშაობს პირველი მაისის საშუალო სკოლაში ჯერ სამხედრო საგნის მასწავლებლად, შემდეგ ფიზკულტურის მასწავლებლად.

1967 წელს დაამთავრა ქ.ბათუმის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, რის შემდეგ მუშაობას იწყებს პირველი მაისის კლუბის გამზედ.

1968 წლიდან პირველი მაისის საშუალო სკოლაში ასწავლი იდა ქართულ ენასა და ლიტერატურას პენსიაში გასვლამდე.

ბატონი ამირანი ასრულებდა და ასრულებს საზოგადოებრივ სამუშაოებს, კერძოდ მისი ინიციატივით დაიდგა პირველ მაისში 1974 წელს სატელევიზიო მიმღებებისათვის რომელიც იმხანად იშვიათობა იყო სოფელში.

ამირან შავლიძეს პედაგოგიურ სფეროში მოღვაწეობის აღსანიშნავად მიღებული აქვს მედლები და მადლობები.

შავლიძე ნათელა ოსმანის ასული

ნათელა შავლიძე დაიბადა სოფელ პირველ მაისში 1935 წელს.



1952 წელს დაამთავრა პირველი მაისის 8 წლიანი სკოლა.

1952-1955 წლებში სწავლობდა ქედის პედაგოგიურ ტექნიკურში.

1955-1956 წლებში მუშაობდა პირველი მაისის 8 წლიან სკოლაში დაწყებითი კლასების მასწავლებლად. (მახსოვს მან გვასწავლა აკაკის ლექსი „ნათელას სიმღერა“ და თან გვამღერებდა).

1959 წელს ჩაირიცხა ქუთაისის პედა-

გოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი კლასების ფაკულტეტის
დაუსწრებელ განყოფილებაზე.

1961 წელს დაოჯახებასთან დაკავშირებით გადავიდა საცხ-
ოვრებლად მახინჯაურში. იქვე მახინჯაურის საშუალო სკოლაში
იწყებს მუშაობას დაწყებითი კლასების მასწავლებლად, სადაც
მუშაობდა 1995 წლამდე, პენსიაში გაიგლამდე.

სადაც კი მუშაობდა იყო უანგარო, სპეტაკი და სახელოვანი
მასწავლებელი. იყო ავტორიტეტული პედაგოგი, იუმორისა და
მეგობრების მოყვარული. საოცრად ხალისიანი და ენაწყლიანი
მოსაუბრე, რითაც გარშემომყოფთა ყურადღებას ყოველთვის იმ-
სახურებდა.

პედაგოგიური მოღვაწეობის განმავლობაში, კარგი მუშაობის
აღსანიშნავად მიღებული აქვს მადლობები და წამახალისებები
ჯილდოები. მხიარულად ისხენებს მისი ცხოვრების მანძილზე
მომხდარ კურიოზებს. ერტფის ერთიან საქართველოს და გულმე-
ურვადე პატრიოტია.

ისევ გახსენება: ქალბატონი ნათელა მასწავლიდა მესამე
კლასში. იგი იყო ჩვენი, როგორც სიმღერის, ისე ფიზიკური არზო-
დის მასწავლებელი. საოცრად თბილი მოპყრობა იცოდა. არა-
სოდეს მინახავს გაბრაზებული. ადამიანი მუდამ მხიარული ვერ
იქნება მაგრამ ნათელა მასწავლებელი პატარებს არ გვაგრძნობინ-
ებდა უხასიათობას. ჩვენც დიდი სიყვარულით ვპასუხობდით.
მისი გაღიმებული სახე და თბილი მოპყრობის სიხარული და
ხიბლი დღემდე გამომყვა. ამიტომაც იგი რჩება ჩემს პირველ
მასწავლებლად და გზის მაჩვენებლდა. იგი ეტალონი იყო ჩვენი.
ერთნაირად მახსოვეს მისი გაღიმებული სახე და ის სიმღერა,
ზემოთ რომ ვახსენე. სწორედ ამ სიმღერამ მაზიარა სამშობლოს
სიყვარულს და მეც მისი არზრდილი, არჩეულ, მისგან მითითე-
ბულ, მაშინდელი ხედვით – იავარდფენილ გზას ვაგრძელებ.

გმადლობთ პატივცემულო ნათელა.

სამწუხაროდ დაგვამწუხრა – გარდაიცვალა 2006 წელს.

შავლიძე ლევან ოსმანის ძე

ლ. შავლიძე დაიბადა 1933 წელს სოფელ საღორეთში.



1948 წელს დაამთავრა პირველი მაისის 8 წლიანი სკოლა.

1949 წელს სწავლა გააგრძელა ქედის პედ-აგოგიურ სასწავლებელში.

1952 წელს მესამე კურსიდან გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში.

1955 წელს დემობილიზების შემდეგ სწავლა გააგრძელა ხულოს პედაგოგიურ სასწავლებელში.

1956 წელს პედსასწავლებლის შემდეგ მუშაობად დაიწყო 8 წლიან სკოლაში ფიზიკური აღზრდის მასწავლებლად.

1966 წლიდან სპეციალობით ასწავლის საშუალო სკოლის დაწყებით კლასებში.

1971 წლიდან ითვლება პირველი მაისის დაწყებითი სკოლის გამგებასწავლებლად.

წლების განმავლობაში მოსწავლეთა პიროვნებად ჩამოყალიბების დაწყებითი სტადიის სანიმუშოდ წარმართვისათვის მირებული აქვს მადლობები, ქების სიგელები და წახალისებები. არის უპრეტენზიო, უანგარო, მეგობრული და გულმხურვალე მზრუნველი, პატარებისადმი სიყვარულის გამნაწილებელი, სოფლის ჭირ-ლხინის მოზიარე და სპეციალისტი.

სკოლიდან თავისუფალ დროს ხელსაქმითაა დაკავებული. იშვიათია მისთვის თავისუფალი, სულის მოსათქმელი დრო.

უყვარს ნადირობა და სპორტი, განსაკუთრებით მძლეოსნობა, არის კარგი მეოჯახე და ბაბუა.

ბევრი ტრაგედია დატრიალდა მის ოჯახში, მაგრამ თავად ისევ მხნედაა – დანარჩენებია მისახედ-მოსაკლელი. ბუნებას, განგების ძალას წინ ვერავინ აღუდგება, ჰოდა ბატონი ლევანიც ამიტომაა მხნედ, თითქოს, თორემ უკვე თოხმოცს გადასცილდა და ჯანმაციქლო.

დიდხანს გეცოცხლოს ბატონო ლევან, შინაურებიდან ბევრი ისევ შენ შემოგცერის იმედიანად.

შავლიძე ეთერ შუქრის ასული

დაიბადა 1940 წელს ქედის რაიონის სოფელ ოქტომბერში.



1956 წელს დაამთავრა ოქტომბრის 8 წლიანი სკოლა.

1958 წელს დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა.

1958-1960 წლებში მუშაობდა ოქტომბრის სასოფლო კლუბის გამგედ.

1960 წელს ბედი დაუკავშირა პირველმაისებ
პედაგოგს – ლევან შავლიძეს.

მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში ლაბორატორიად, შემდეგ საქმეთმმართველად და მოანგარიშედ. პარალელურად ბიბლიოთეკის გამგედ.

1973 წლიდან, პირველი მაისის ახალაგებულ საშუალო სკოლაში გადაიყვანეს მებუფეტედ, სადაც მუშაობდა 1992 წლამდე.

აქვს მიღებული სოცშეჯიბრში გამარჯვების დამადასტურებელი სიგელები, მედლები, და მედლის მოწმობები აჭარკოოპკავშირის გამგებისა და ვაჭრობის პროფესიულის აჭარის საოლქო კომიტეტის პრეზიდიუმის ბრაძენებულებათა შესაბამისად. იყო კოლმეურნეობის წევრიც. გარდაიცვალა 2004 წელს.

შავლიძე უმიან დაუთის ასული

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში 1939 წელს.



1969 წელს დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა. შემდეგ ჩაება საკოლმეურნეო შრომაში და სწორედ მუხლჩაუხერელმა შრომაშ მოუწანა ის დიდება, რამაც მიიყვანა საბჭოთა კავშირის სოციალისტური შრომის გმირის ლაურეატობამდე, რომელიც აღარ შედგა საბჭოთა

კავშირის დაშლის გამო.

1975 წლიდან მუშაობს პირველი მაისის საშუალო სკოლაში ლაბორანტად. არის სანიმუშო დიასახლისი, კარგი ბებია, დიდი ბებია და მოსიცვარულე ადამიანი.

ვრცლად მომდევნო წიგნში მოგითხოვთ, სადაც მოხვედრა ქალბატონმა უმიანმა მაღლ-მირონით დაიმსახურა.

შავლიძე გურამ უსუფის ძე

უსუფ შავლიძის ოჯახი შეძლებულ ოჯახად ითვლებოდა ადრი-დანვე, როდესაც მასწავლებელთა ნაკადი პირველ მაისსაც ეწვია,



დამისგასათვევი ბინის ფართის მოხერხებულად გამონახვის აუცილებლობა დადგა დღის წესრიგში. უსუფ შავლიძის ოჯახში ამგვარად დაიდეს ბინა მასწავლებლებმა. ამგვარ გარემოში ადიზარდა უსუფის ერთადერთი ვაჟი – გურამი. მასწავლებელთა წრესთან სიახლოებმა, მუდმივად მათ საუბარს ყურმიგდებულმა, მათგან მოხიბლულ მა პედაგოგობა ირჩია.

გურამ შავლიძე დაიბადა 1945 წელს. 1964 წელს დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა.

1966-1971 წლებში სწავლობდა ბათუმის პედ-ინსტიტუტში ბი-ოლოგიის ფაკულტეტზე.

1971 წელს მუშაობა დაიწყო პირველი მაისის საშუალო სკოლაში ბიოლოგიის და შეთავსებით სამსედრო სწავლების პედა-გოგად. ვინაიდან იგი ოფიცერი იყო და სამსედროს ასწავლიდა სკოლაში, სპეციალური პრაქტიკული კურსი უნდა გაევლო, ამიტო-მაც გამოიძახეს ქედაში სამსედრო მეცადინეობაზე. უბედურმა შემთხ-ვებმა კინალამ სიცოცხლეს გამოასალმა. გადარჩა, მაგრამ სკოლაში მისი მუშაობა ადარ შეიძლებოდა. გადაიყვანეს სამსედრო პენსიაზე და სიცოცხლის ბოლომდე ოჯახს უვლიდა როგორადაც შეეძლო.

გარდაიცვალა 54 წლისა 1999 წელს.

არ შეიძლება არ გავიხსენო ზოგი რამ მისი ცხოვრებიდან:

სწავლის პროცესში იყო გულისყურით მსმენელი, დინჯი, ნიჭიერი, მაგრამ საოცრად მოუსვენარიც. მისი ნიჭიერება უმაღლეს სასწავლებელშიც გამოჩნდა. მას მეგობრებიც და ნათესავებიც დადებითად ახასიათებენ, უფრო მეტიც იყო ოხუნჯი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული, ძალზე კეთილი და მეგობრული, მხიარული და მოუსვენარი, წიგნის მოყვარული და საუბარში მიმზიდველი— ასე ახასიათებენ ყოფილი მისი კურსელები.

ბევრი დადებითი თვისება იყო თავმოყრილი მასში. ნათქვამია „უბედურ კაცს ქვა აღმართში მიეწევაო“ — ერთ დროს თუ ბედნიერება დუღდა უსუფ შავლიძის ეზო-მიდამოში, მწუხარებამ შეცვალა. ერთმანეთს მაჟუნენ ცოლ-ქმარი და სამი ობოლი სოფლის ამარა დატოვეს, მაგრამ ისინი სანიმუშოდ გაიზარდნენ, უმაღლესი დაამთავრეს, გოგონები გათხოვდნენ, ვაჟი კი დაქორწინდა და პირველი მაისის საკრებულოს თავკაცობს... მომავალი წინაა...

შავლიძე ვარდო ჯემალის ასული

დაიბადა 1940 წელს სოფელ პირველ მაისში.



1960 წელს დაამთავრა პირველი მაისის საშუალო სკოლა.

1965 წელს დაამთავრა ბათუმის პედინსტიტუტი რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით.

1965-1968 წლებში ასწავლიდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში.

1968 წლიდან დაოჯახებასთან დაკავშირებით მუშაობას იწყებს კახაბრის №1 საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1993 წლიდან მუშაობს თოდოგაურის დაწყებით სკოლაში რუსული ენის მასწავლებლად.

ჰყავს მეუღლე და 5 შვილი, რომელთაგანაც ორი პედაგოგია, ორი იურისტი და ერთიც ექიმი. ბარაქალა ოჯახს, წინსვლა და წარმატება, სიხარული და ბედნიერება.

შავლიძე მალევინა ბადრის ასული შავლიძე მელანო ბადრის ასული

შერგაშიძე ნიაზ ყედირის ძე

დაიბადა სოფელ ოქტომბერში 1930 წელს, დაამთავრა ქედის საშუალო სკოლა.



1950-1955 წლებში სწავლობს ბათუმის კედინსტიტუტში ბუნებისმეტყველების ფაკულტეტზე.

1955 წელს მუშაობას იწყებს ქედის საშუალო სკოლაში.

1957 წელს გადაჰყავთ მახუნცეთის სკოლა-ინტერნატში ქიმიის მასწავლებლად.

1959 წლიდან სკოლა-ინტერნატის დირექტორის მოადგილეა აღმზრდელობით დარგში.

1975-1977 წლებში იყო პირველი მაისის საშუალოს სკოლის დირექტორი.

1977-1987 წლებში გადაჰყავთ ხელვაჩაურის განათლების განყოფილების პროფესიონალურის თავმჯდომარედ. დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნის ორდენით, განათლების წარჩინებული მუშაის სამკერდე ნიშნით. მინიჭებული ჰქონდა დამსახურებული პედაგოგის წოდება. გარდაიცვალა 1989 წელს.

რაიონის განათლების მუშაკთა ხსოვნაში, ნაცნობ-მეგობრების ფართო წრეში დიდხანს დარჩება სპეციალისტი, დისციპლინიანი და კეთილი პედაგოგის მოგონება.



შერგაშიძე გურამ

შერგაშიძე გუგუნა ქაზიმის ასული.



დაიბადა სოფელ პირველ მაისში 1948 წელს.
1966 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა
პირველი მაისის საშუალო სკოლა.
1966-1971 წლებში სწავლობდა ბათუმის პედ-
აგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის
ფაკულტეტზე, რის შემდეგაც ჯერ მუშაობდა
პირველი მაისის საშუალო სკოლაში ფიზიკა-
მათემატიკის მასწავლებლად. დაოჯახების შემ-
დეგ გადავიდა საცხოვრებლად ქ. ბათუმში და
მასწავლებლობა განაგრძო ქ. ბათუმის №1 სა-
შუალო სკოლაში. კოლეგები, ნაცნობ-მეგობრები მას ახასიათებენ
როგორც ერთგულ ნიჭიერ პედაგოგს...


(უფრო ვრცლად მასზეცაა მოთხოვობილი მომდევნო წიგნში.)

შერგაშიძე იოსებ ქაზიმის ძე

დაიბადა 1950 წელს სოფელ პირველ მაისში.

1966 წელს დაამთავრა „აშშესის“ სკოლა-ინტერნატი და სწავლა
განაგრძო ქ. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუ-
ტის გეოგრაფიის ფაკულტეტზე.

1972 წელს მუშაობას იწყებს პირველი
მაისის საშუალო სკოლაში გეოგრაფიის მას-
წავლებლად.



წლების განმავლობაში მუშაობდა მახინ-
ჯარის ტურისტულ ბაზაში. შემდეგ სალი-
ბაურის სკოლა-ინტერნატში. სადაც კი იმუშა-
ვა ყველგან ახასიათებენ დადგებითად და საქ-
მის მცოდნედ. იყო აკურატული, დაუზარებელი, ენერგიული და მხ-
იარული, ენაწყლიანი და იუმორის მოყვარული, დაკვირვებული მო-
საუბრე და განსჯის ოსტატი. არასოდეს გადადგამდა მოუფიქრებელ
ნაბიჯს და ასევე, არც მოუფიქრებელ და უინტერესო პასუხს არ
გაგცემდა.

მოულოდნელად, 2013 წელს გამოაკლდა იგი ოჯახს და სოფელს,
საგვარეულოს და სანათესაოს.
(უფრო ვრცლად მომდევნო წიგნში მაქვს აღწერილი).

შერვაშიძე ნათელა რიზალის ასული

დაიბადა 1949 წელს სოფელ პირველ მაისში.

1956-1966 წლებში სწავლობს პირველი მაისის საშუალო სკო-



ლაში. იყო აქტიური მოსწავლე, რამაც შედგა
გი გამოიღო – გახდა ოქროს მედლის
კავალერი.

1967-1972 წლებში ნათელა სწავლობს
ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ისტო-
რია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1975 წლიდან დღეის ჩათვლით მოღ-
ვაწეობს ხარიტონ ახვლედიანის სახელო-
ბის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში – ლაბ-

ორანტად, მეცნიერ-თანამშრომლად, განყოფილების გამგედ. ამჟამად
ხელნაწერთა ფონდის უფროსი მცველია. ეწვევა ნაყოფიერ მუშაობას,
გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე მეცნიერებული ნაშრომი.

P.S. ქალბატონ ნათელას არ უმუშავია პირველი მაისის სკოლა-
ში, ამდენად შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა, თუ რა საჭირო იყო მისი
ამ წიგნში შეტანა, როცა მომდევნო წიგნში მასზე ვრცლად წერია,
გავცემ ასეთ პასუხს – პირველი მაისის საშუალო სკოლადამთავრე-
ბულს, ვისაც მოუღია ოქროს მედალი, ის საშუალო სკოლის, სოფ-
ლის ოქროს ფონდია და ამდენად საჭიროდ ჩავთვალე ამ წიგნში
მისი მოთავსება.

შავიშვილი მურად ხაჯის ძე

1933 წელს მოევლინა სოფელ ვაიოს.

1940-1948 წლებში დაამთავრა ვაიოს 8 წლიანი სკოლა.

1949-1953 წლებში დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური სასწავლე-
ბელი.



1953-1957 წლებში ამთავრებს ბათუმის პედ-აგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტს.

1957-1958 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში. შემდეგ მუშაობდა ბათუმის მილიციის განყოფილებაში პასუხისმგებელი თანამდებობაზე.

1959 წლიდან, მერი ცირკიმის ერთად გადადის საცხოვრებლად ქობულეთში. დიდხანს მუშაობდა გამომძიებლად ქალაქის მილიციაში. მილიციოდან გადაჰყავთ ლაითურის შრომაგასწორების კოლონიაში.

1976-1987 წლებში მუშაობდა სოფელ ქობულეთის თავმჯდომარედ.

გარდაიცვალა 1987 წელს და დასაფლავებულია ქ. თბილისში. დატოვა სამი ქალიშვილი, სამთავრებული ექიმია. ერთი ცხოვრობს და მოღვაწეობს ქ. ქუთაისში, მეორე ქ. თბილისში, უმცროსი კი ქ. მოსკოვში.

განუზომლად დიდი იყო ბატონი მურადის აგტორიტეტი და გავლენა აჭარის საზოგადოებაში, (მასსოგაც ვერტმფრენით მოივლიდა მშობლიურ რაიონს) ჩვენ კი მცირედი ბიოგრაფიით შემოვიწარგლეთ, ასეთ სულიოთ ამაღლებულ პიროვნებებს უფრო კომპეტენტური პიროვნებები მიუძღვნიან, უფრო ვრცლად. ასე გვჯერა და ასეც იქნება მომავალში.

შოთაძე სულიძო



დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ბზუბ-ზუში, 1943 წელს.

1950-1960 წლებში სწავლობდა მახუცცოტის (ბაბუნიოდლების) საშუალო სკოლაში.

1960-1966 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა წარჩინებით.

1966 წელს დაინიშნა სოფელ უჩხითის

საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად.

1967 წელში გადაცემთ „აწესის“ სკოლა-ინტერნატში იგივე სპეციალობით.

1967 წელშივე პარალელურად გაანაწილეს პირველი მაისის საშუალო სკოლაში ფიზ-აღზრდის მასწავლებლად. მცირე დროის შემდეგ აწინაურებენ ქედის სპორტსკოლის დირექტორად. მან შეცვალდა თავისი თანასოფლელი, სპორტსმენი და სპორტის ოსტატი, სპორტის ეტალონი იბრაიმ გოგიტიძე.

1983 წლამდე მუშაობდა ბატონი სულიკო ქედის სპორტსკოლის დირექტორად, რის შემდეგაც აღარსად უმუშავია.

გარდაიცვალა 1998 წელს.

პირად ურთიერთობებში იგი ძალიან მეგობრული იყო, ალალი, მიმნდობი და რაც მთავარია – თავისთავში დარწმუნებული, რომ მის მიმართ ყველა კეთილგანწყობილი იყო. რაც სინამდვილეში მართლაც ასე იყო. მას უბოროტო პქონდა დიმილიც, საუბარიც, სულიცა და გულიც. მუდამ პირმცინარს ხალასი იუმორიც ეხერხებოდა. იყო კარგი მოსაუბრე, თავისი საქმის მაღალი პროფესიული დონის მცოდნე, ვიტყვი – გამორჩეული პროფესიონალიზმით და სიახლის ადქმის შესაშური უნარით დაჯილდოებული. მე იგი არასოდეს მინახავს დაღონებული, მაშინაც კი, როცა ძალიან უჭირდა. იყო თავისთავში დაბალანსებული, ვერ იტანდა მლიქენელობას და ქვემდრომლობას, რის გამოც სიკვდილამდე უმუშევარიც დარჩა, თუმცა არასოდეს შეურცხვენია თავი და საუკუნო სასუფეველშიც კაცურკაცობის დამდით ჩავიდა...

შარაბიძე ნოდარი

დაიბადა 1935 წელს ქედის რაიონის სოფელ მახუნცეთში.

1942 წელს სწავლა დაიწყო მახუნცეთის 8 წლიან სკოლაში.

1953-1957 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1957 წელს აგზავნიან შუახევის რაიონის სოფელ ნენიის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1958-1959 წლებში გადადის მახუნცეთის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად. ამავე წელს პარალელურად სწავლობს ქ. ბათუმის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საამჟენებლო ინჟინრის დიპლომის მისაღებად. სწავლობდა დაუსწრებელ განყოფილებაზე.

 1960-1963 წლებში ასწავლიდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში მათემატიკის და და ხაზვას.

1963-1965 წლებში მუშაობდა ქედის რაიონული კომკავშირის კომიტეტის მდივნად.

1965 წლიდან საცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ქ. ბათუმის სამშენებლო სამმართველოს მეორე განყოფილებაში ინჟინრად. იყო კომუნისტური პარტიის წევრი

როდესაც ჩვენ სკოლას მოევლინა მასწავლებლად, მისნაირი ძლიერი მათემატიკოსი სკოლას არ ჰყავდა. მისი წინამორბედი იყო გაյა ბოჭორიშვილი, რომელმაც შემაყვარა ტექნიკური საგანი – ხაზვა. საერთოდ კი მათემატიკის მასწავლებელ – ასლან ჩხეიძის გაკვეთილზე გეომეტრიაში სულ ნახაზებს ვადგენდი, ბოჭორიშვილმა შემაყვარა, ხოლო ნოდარ მასწავლებლის დროს სკოლის მასშტაბით ბადალი არ მყავდა ხაზვაში.

მათი მადლობელი ვარ დღესაც.

შაქარაძე რეზო ყედირის ძე



დაიბადა 1935 წელს ქედის რაიონის სოფელ კორომხეთში. დაწყებითი განათლება მიიღო იქვე და სწავლა გააგრძელა ქენწმანის 8-წლიან სკოლაში.

1950-1952 წლებში დაამთავრა ქედის პედაგოგიური სასწავლებელი.

1952-1955 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში.

1955-1957 წლებში დაამთავრა ხულოს

პედაგოგიური სახწავლებელი.

1957-1962 წლებში სწავლობდა ბათუმის პედ-ინსტიტუტში ის-ტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე რუსული და ინგლისური ენებისა და ლიტერატურის განხსრით.

1962 წლს მუშაობას იწყებს ჭვანის საშუალო სკოლაში, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად.

1963-1975 წლებში მუშაობდა ჭვინიარისის საშუალო სკოლაში.

1975-1982 წლებში მუშაობდა ქვდის რაიონის განათლების განყოფილებაში რუსული ენისა და ლიტერატურის მეთოდისტად. პარალელურად ასწავლის პირველი მაისის სკოლაში.

1982-1987 წლებში უძღვებოდა განათლების განყოფილების მეთოდური კაბინეტის მუშაობას.

1987-1993 წლებში მუშაობდა ქვდის რაიონის სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილების გამგედ.

2004 წელში მოულოდნელად გარდაიცვალა.

როგორც პიროვნება იყო ერუდირებული, ჩამოყალიბებული მტკიცე კრიტიკოუმის, მას ვიცნობდით, როგორც დინჯა, ჭავაძე, გამონას-წორებულ პიროვნებას. ვერ იტანდა უსაქმო, არაფრისმაქნის და მოლაყებე ადამიანებს. იყო უამბიციო, ლაპონური და დამაჯერებელი აზრებით მოსაუბრე. ჰუნებრული, ოჯახის და საკუთარი ხალხის სიყვარულით ამაყი და სიკეთის მქნელი. არ უყვარდა წუწუნი და მუდამ გულდაჯერებული იყო. იცოდა რომ სიმდიდრეს სიღარიბე მოსდევდა, აღმართს-დაღმართი და ვაი, რომ სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მეგობრულ, სახელდახელო „ასგრამიან“ საღლებელოში მწარე სინამდვილე თქვა: დრო წახდა მარა გამოკეთდება, როგორც გლახა ამინდი, გლახა ადამიანს არაფერი ეშველება თორემ. აღმართს დაღმართიც მოსდევს და ვინ იცის ვინ დაექანება თავქვე. რას ვიზამთ, სიკვდილის შვილები ვართ, ერთ დღეს იქნება... შეწყვიტა ლაპარაკი, ზენდიდის მთებს ახედა და სულმოუთქმელად გადაპურა.

საბოლოო აღმოჩნდა ეს სიტყვები მისთვის. ნათელში ამყოფებს არსთავამრიგებს.

P.S. დაჟყურებ მის სურათს და გგონია რაღაცის სათქმელად

გამზადებულაო. ასე იყო ცხოვრებაშიც, გიყურებდა და თითქოს მუდამ სასაუბროდ გიწვევდა... წავიდა... ძნელია დაჯერება.

იცხოვრა კაცურად და წავიდა ვალმოხდილი, მისი დინჯი, საოცრად მეტყველი თვალების შექი, მოსიყვარულე მზერა დიდხანს დარჩება ნაცნობ-მეგობრების და ახლობელთა ხსოვნაში.

შენგელია ტარასი.

შენგელია ვენია (თუ შენია)

შეშელია შუშანა

შეშელიძე გენრიეტა



ჩხარტიშვილი ამირან



ჩაგანავა თამარ



ჩიკვაიძე ვლადიმერ მემედის ძე

დაიბადა სოფელ ვაიოში 1924 წელს. პირველდაწყებითი განათლება მიიღო თავის სოფელში 1931-1939 წლებში არასრულ საშუალო სკოლაში.

1939-1942 წლებში ამთავრებს ქ. ბათუმის №1 პედაგოგიურ სასწავლებელს.

1942-1950 წლებში მუშაობდა ვაიოს 7 წლიან სკოლაში რესტურანტის ენის მასწავლებლად.

1950-1952 წლებში მუსაობდა კვაშტის გამსხვილებული კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

1951 წელს მიიღეს საბჭოთა კაგშირის კომუნისტური პარტიის წევრად.

1950-1955 წლებში ამთავრებს ქუთაისის ალიოშა წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებას.

1957 წელს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა აჭარის ასსრ სკოლის „დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება.

1952-1965 წლებში მუშაობდა 8-წლიან სკოლის რუსული ენის მასწავლებლად.

1965-1966 წლებში მუშაობს ქ. ბათუმის №3 სკოლა-ინტერნატი აღმზრდელ მასწავლებლად.

1966 წელს კვლავ ვაიოს რვაწლიან სკოლაშია რუსული ენის მასწავლებლად.

1967 წლის ნოემბრიდან ამავე სკოლის (საშუალო) კლასგარეშე და სკოლის გარეშე აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციონად.

1970 წლის ნოემბრიდან კი 1974 წლის აგვისტომდე მუშაობდა ვაიოს საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

1974-1981 წლებში იგი წონიარისის საშუალო სკოლის დირექტორია.

1981-1983 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლის დირექტორად.

1983 წელს გავიდა პენსიაში, რის შემდეგაც იგი კვლავ ვაიოს საშუალო სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად მუშაობს.

1997 წელს გაიარა მასწავლებელთა ატესტაცია და მიენიჭა „უმაღლესი კატეგორია. დაჯილდოებული იქთ:

„შრომითი მამაცობისათვის“ 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში, ზურგში.

„გერმანიაზე გამარჯვების 30 წელი.“
 „შრომის ვეტერანი.“
 „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, და
 სხვადასხვა საპატიო სიგელებით.

1974 წლიდან იგი არჩეულია ქვედის საპატიო მოქალაქედ.
 ავტობიოგრაფიიდან. 30.I-2006 წ.

„ვლადიმერ ჩიკვაიძემ საგნის ღრმა ცოდნით წლების განმავლობაში დაიმსახურა მოწინავე მასწავლებლის სახელი. იგი სკოლების ხელმძღვანელის როლში ყოველთვის გამოირჩეოდა სასკოლო საქმის ცოდნით, პრინციპულობით, სისპექტაცით და სხვა ადამიანური თვისებებით. სადაც კი იმუშავა ყველგან კუთილ კვალს ტოვებდა.

წონიარისში მუშაობის დროს მისი უშუალო ხელმძღვანელობით აიგო სკოლის კაპიტალური შენობა.

ვლადიმერ ჩიკვაიძეს მიღებული აქვს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, დაჯილდოებულია „სახალხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით, მედლებით, საპატიო სიგელებით, მრავალგზის იყო არჩეული ადგილობრივი საბჭოს დეპუტატად.“

(ვ. წელუკიძე, განათლების ისტორიისათვის აჭარაში. პათუმი 2002. გვ. 580)

პირად შეხვედრებში ბატონი ვლადიმერი არის თითქოს უბრალო გლეხის ამპლუაში, მაგრამ მასში იგრძნობა ის დიადი სული, რითაც მან აქამდე მოადწია. მას ეამაყება რომ, თითქმის 70 წლის განმავლობაში ემსახურება სამშობლოს, ხალხს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას, რაც მისი გამოხედვიდანაც გამოსჭვივის. 90 წელს მიტანებული პედაგოგი პვლავ მხნედ გამოიყერება. საუბრისას პირდაპირია და სამართლიანი. როცა გესაუბრება და გიმჩერს, ქვეშეცნეულად იგრძნობ, რომ მასში უსაზღვრო სიამაყის გრძნობაა დაბუღებული, თითქოს (და ნამდვილადაც) ყველას წინაშე ვალმოხდილია და აწე სადარდებელი აღარც აქვს, მაგრამ როგორც ყველა მომაკვდავს, არც მას ეთმობა ამ მშვენიერი ცხოვრების მიტოვება, ამას ნებისმიერი იგრძნობს მასთან შეხვედრისას და საუბრისას.

დიდხანს ასე უდრევი ყოფილიყავი ბატონო ვლადიმერ.

ყველაფერ კარგთან ერთად, მან სამშობლოს მიხედა დირსეული მემკვიდრე, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, მქუსარე სახელ-გვარის მქონე – შაქრო ჩიკვაძე, რომელიც ყველას სიყვარულითა და პატივის-ცემით სარგებლობს და ამაყობს იმით რომ, მამის მსგავსად პროფესორების – ნადიმ და შოთა ნიუარაძეების სახლეულების მეზობლები არიან და კიდევ საადეტ ნიუარაძე ხომ ლეგენდარული ქალი იყო გაიოელთა სამეზობლოში, ქედის რაიონში, მთელ რესპუბლიკაში.

ჩხეიძე არჩილ (აბდულ) სულეიმანის ძე

აჩხეიძე დაიბადა 1914 წელს ქედის რაიონის სოფელ აქუცაში. პირველ დაწყებითი განათლება თავის სოფელში მიიღო. (საინ-ტერესო მაშინ აქუცაში სკოლა არ იყო) საშუალო სკოლა დაამთავრა ქედაში, რის შემდეგაც სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელში. დამთავრებისთანავე მას მუშაობა უხდება თავისი სოფლის დაწყებით სკოლაში.

1938 წელს ამთავრებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტს.



1938-1950 წლებში იგი მერისის, ვაიოს, მახუნცეთის არასრულ საშუალო სკოლებში ასწავლიდა ისტორიას., იყო სასწავლო ნაწილის გამგედ, დირექტორად, ქედის კულტურის განყოფილების გამგედ.

1950-1952 წლებში იყო ქედის რაიონის განათლების განყოფილების გამგე.

1952 წელს ინიშნება ბათუმის მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორად.

1953-1958 წლებში მუშაობდა ქ. ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორად, შემდეგ ბათუმის №14-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ.

1958-1965 წლებში იყო ჯერ პირველი მაისის, შემდეგ მახუნცეთის საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგე და ისტორიის მასწავლებელი.

1965 წელს არჩილ ჩხეიძე დაინიშნა ქედის სამუალო სკოლის დირექტორად.

1976 წელს კი გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

არჩილ ჩხეიძეს პედაგოგიური მუშაობის საინტერესო გზა აქვს გავლილი. იგი იყო ისტორიის კვალიფიციური მასწავლებელი, კარგად იცნობდა სკოლას, საერთოდ განათლების დარგს, სკოლას წარმართავდა საქმის ცოდნით, პრინციპებით და ობიექტურობით. მისთვის ამოსავალი წერტილი იყო მოსწავლეთა მომზადების ფაქტიური დონე და ამ კრიტერიუმით აფასებდა მასწავლებელთა შრომას.

აჩხეიძე ჩამტელი იყო საზოგადოებრივ საქმიანობაში. მშობელთა შორის და საზოგადოება „ცოდნა“-ს ხაზით გამოდიოდა კვალიფიციური მოხსენებებით. იგი სასკოლო ცხოვრებაში ტრაფარების წინააღმდეგი იყო და ორჩევდა შემოქმედის გზას.

აჩხეიძეს მინიჭებული პქონდა „აჭარის დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება, დაჯილდოებული იყო მედლებით „სახალხო განათლების წარმომადგრენის“ – სამკერდე ნიშნით, მთავრობისა და განათლების ორგანოების საპატიო სიგელებით. გარდაიცვალა 1984 წელს.

(ვ. წერტილგმითოთებული ლიტერატურა. გვ. 432-433)

გახსენება:

IX-X კლასში მსწავლიდა ბატონი არჩილი. მისი ახსნილი გაკვეთილები ძალიან შთამბეჭდავი იყო, გულში ჩამწედომი და დიდხანს დასამასსოვრებელი. ახსნილი მასალა სადღაც თითქოს ფირზე იბეჭდებოდა და სწორედ ამიტომ გვახსოვდა. მასთან ყოველთვის მაღალი აკადემიური მოსწრებით გამოვირჩეოდით. იგი ძალიან მეგობრულიც იყო. ბავშვებს მარტო მოსწავლის რანგში არ უკურებდა – არიგებდა ჭეუას, თავს უყადრებდა ხშირადაც, მაგრამ ყველაფერი ზომიერად გამოსდიოდა. იყო რაღაც ძალზე დიდი მოკრძალება და პატივისცემა მისდამი. დღესაც კი წლების შემდეგაც მახსოვს მისი ახსნილი გაკვეთილები. ისევ ის სიყვარული და მოკრძალება მაქვს მისდამი. ის ჩემთვის ეტალონი იყო.

არიან ასეთი იშვიათი ადამიანებიც.

მეორეც: ქართულში გვქონდა წერითი გამოცდა. იმსანად ბატო-

ნი არჩილი მახუნცეთის სკოლის დირექტორი იყო. ჩვენს სკოლაში მასწავლებლის არ ყოფნის გამო, გამოცდა იქ ჩაგვიტარეს. გამოცდაზე ბატონი არჩილი გვესწრებოდა. წინ მაგიდასთან ვიჯექი. ქართულ-ში ყოველთვის ფრიადი მქონდა – თემებს თავისუფლად ვწერდი. ყოველი შემთხვევისათვის სხვისი ნაქონი „შპარგალკაც“ მქონდა. შემამჩნია, მოვიდა და დაბალი ხმით მითხვა გადაიწერეთ. არ მჭირდება პატივცემულო, ისედაც ყველა თემას ვფლობ ხუთიანზე – მეთქი. გაუხსარდა, მაგრამ მაინც შემეკითხა, თუ რისთვის მქონდა. სხვის დასახმარებლად – მეთქი და ამაზეც გაიღიმა.

მისი მხრიდან ეს ყურადღება მაშინ ჩემთვის ცის გახსნის ტოლი იყო, იმოღენა გამიხსარდა და ვინაიდან ყველა მის ხელში ვიყავით დაფრთიანებული, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა.

ეს ქცევაც მის ადამიანურობაზე მეტყველებს. სწორედ ამის გამოც ყველამ მაღალი შეფასება მიიღო.

მისი აღზრდილების გულში სიკვდილამდე დარჩება მოწიწება, სიყვარული და კაცურპაცობის ყველა საზომი.

ადამიანს ორი რამ დაამახსოვრდება სხვისგან – კარგი და ცუდი ნამოქმედარი. ჩვენ სულ კარგი გვახსოვს მათგან...

ჩხეიძე ასლან

დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში 1929 წელს. დაწყებითი განათლება მიიღო იქვე, რის შემდეგაც სწავლა გააგრძელა



ქედის არასრულ საშეადლო სკოლაში. 8 წლების დამთავრების შემდეგ შედის ქედის პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელსაც ამთავრებს 1947 წელში.

1947-1948 წლებში ინიშნება კორომხეთის დაწყებითი სკოლის გამგე-მასწავლებლად.

1948-1953 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1952-1953 წლებში მუშაობდა ქედის რაიონის სოფ. აგარაში მათემატიკის მასწავლებლად.

1954-1955 წლებში გადადის ოქტომბრის არასრულ საშუალო სკოლაში.

1956-1959 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში მათემატიკის მასწავლებლად.

1959-1970 წლებში მუშაობდა მახინჯაურის საშუალო სკოლაში მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ.

1971 წლიდან გადაჰყავთ ადლიის 8 წლიანი სკოლის დირექტორად სადაც მუშაობდა 1993 წლამდე.

ადლიის სკოლის საშუალოდ გადაკეთებაში და 400 ბავშვზე გათვალისწინებული სკოლის კაპიტალური შენობის აგება ბატონ ასლანის დამსახურებაა.

1993-2003 წლებში იგი მუშაობდა ბათუმის საზღვაო სანაოსნოს დაცვის უფროსის მოადგილედ.

არის საქართველოს საპატიო მასწავლებელი, რომელიც აღნიშნულია საპატიო სიგელებით და სამკერდე ნიშნით.

ბატონი ასლანი იყო პუნქტუალური ადამიანი, პროფესიის ღრმად მცოდნე, ერუდიორებული. ინტელიგენტური იერი მისი ჰქვიანური გამოხედვით იგრძნობოდა. იყო დახვეწილი მანერების, დინჯი და მოფიქრებული სიტყვა-პასუხის. ჰქონდა მოსაუბრეთა უკრადლების მიპყრობის უნარი და ნიჭი იმისაც, რომ ადამიანებისათვის თავი დაემახსოვრებინა იუმორით შეზავებული მახვილგონივრული რჩევებით. იყო სანიმუშო ოჯახის პატრონი.

ბატონი ასლანი ხანდაზმულობის მიუხედავად ხასიათით უცვლელი დარჩა. ჩემი დევიზი: „მე არასოდეს ვიცვლები“ – მოხერხებულად მომარგო და მდგომარეობს იმაში რომ დაუნდობელი ვართ ყოველგვარი მანკიერებისადმი და მოწოდებად გვაქს სიკეთის კეთება...

გახსენება: სწავლის პერიოდში სახატავ ალბომში ვაკეთებდი ნახაზებს და მოსაყოლი გაცვეთილის მთლიან მსჯელობას გეომეტრიაში. ეს ისე მოეწონა ბატონ ასლანს, არასოდეს არ ვამიყვანდა დაფასთან, ჩახედავდა ჩემს რვეულში და პირდაპირ ნიშანს მიწერდა. ამან სტიმ-

ული მომცა და გეომეტრიის შეთვისებასთან ერთად ხაზვა ავითვისე უმაღლეს დონეზე, რაც შემდეგშიც გამომაღადა და დღესაც ვიყენებ...

ბატონი ასლანი ჩემს გულში იცოცხლებს მანამ, სანამ მეც ცოცხალი ვიქნები...

ცენტერადე მერი

არიან ადამიანები, მასწავლებლები, ზოგჯერ უბრალო პირებიც, რომელთა შესახებაც ლაპარაკი არ მოგწყინდება და შეიძლება საწერ თემად აიღო ადამიანმა. ერთ-ერთი ასეთი მე ვიტყოდი – ერთადერთი ჩემთვის არის მერი ცენტერადე.



დაიბადა 1939 წელს ქ. ბათუმში.

1947-1957 წლებში სწავლობდა ბათუმის №3 რუსულ სკოლაში, მოსწავლეობისას ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. იყო სპორტსმენი მცირეკალიბრიან შაშხანიდან სროლაში. მოპოვებული პეტნდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტული. იყო სსრკ ნაკრების წევრი. სკოლის დამთავრების შემდეგ იყო საზოგადოება „დინამოს“ მწვრთნელი.

1958-1963 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსულ განყოფილებაზე. დაამთავრა რუსული და ინგლისური ენის და ლიტერატურის მასწავლებლის სპეციალისტით. ინსტიტუტში სწავლის პერიოდში პიონერულ ბანაკებში მუშაობდა უფროს პიონერებლებანელად.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაანაწილეს ქვედის რაიონში. მუშაობდა პირველი მაისისა და ქვედის საშუალო სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამ პერიოდში მან მოსწავლეების, მშობლებისა და კოლეგების დიდი სიყვარული დაიმსახურა.

1966 წლიდან პენსიაზე გასვლამდის მუშაობდა №16 საშუალო სკოლაში ინგლისური და რუსული ენების მასწავლებლად.

გარდაიცვალა 2004 წელს.

(მ. დიასამიძე „საუკუნოვანი სკოლა“. გვ. 252-253).

გახსენება:

მერი ცენტერაძე პირველი მაისის საშუალო სკოლაში 1963 წელს მოვიდა. თავისი ბეჭდი დაუკავშირა სოფელ ქედიშის მცვიდრს, შემდგარში ცნობილ მეთოდისტს, ბათუმის მასწავლებელთა დახმარებელის ინსტიტუტის დირექტორის მოადვილეს, აკაკი სურმანიძეს.

მოსვლის დღიდანვე მერი ცენტერაძემ ნამდვილად დაიმსახურა მოსწავლეთა ყურადღება და უზომო სიყვარული. იგი იყო საოცრად გულთბილი, მეგობრული, მბრძანებლური გამოხედვის ადამიანი. მის ნათქვამ სიტყვას დიდი წონა და ფასი ჰქონდა. სათხოვარი ბრძანების რანგში გაქონდა მიღებული. მისი ყოველი გამოჩენა ხალისს გვმატებდა, რაღაც არაჩვეულებრივი ქცევისა და გამოხედვის, საოცრად სიყვარულნარევი თვალებით ნამდვილად გვესიყვარულებოდა აღსახრდებას. გვექცეოდა არა მარტო როგორც მოსწავლებს, არამედ როგორც საკუთარ შეილებს. მეგობრულად, თანატოლებივით გვექცეოდა. იგი ხომ სულ რაღაც ხეთი თუ ექვსი წლით იყო უფროსი.

გვასწავლიდა რუსულ ენას და ლიტერატურას. იყო მომთხოვნი, ხანდახან მკაცრიც, მაგრამ სამართლიანი. თუ კი რამ არ მოეწონებოდა, უმაღლ გვერდზე გაიხედავდა, მაგრამ არასოდეს აზგიადებდა. ჩვენც ყოველთვის ვერიდებოდით არათუ სწავლის მხერივ, არამედ ისე, ადამიანურად და სწორედ მისმა ვაჯკაცურმა ფიზიონომიამ ჩვენზე ანდამატივით იმოქმედა.

მერი მასწავლებელი ასრულებდა სხვა დავალებებსაც. იყო სკოლის პიონერხელმძღვანელი და ორგანიზატორი, საუკეთესო კლასის დამრიცხებელი და სანიმუშო აღმზრდელი. ერთხელ თანაკლასელები გამებუტნენ, სანამ მიზეზი არ გაიგო არ მომეშვა შემდეგ კი იცოცხლეთ ისინი შეასურა... სიმკაცრე არ გამოუწენია, უბრალოდ მასზე სიტყვის შებრუნება დიდ უზრდელობად მიგვაჩნდა. იყო მომთხოვნი და პრინციპული. მასხოვს ვერ ვისწავლე ვლ. მაიაკოვსკის „ლექსი საბჭოთა პასპორტზე“. ვიდრე არ შემასწავლა, სულ ორიანები მიწერა ყოველ გაკვეთილზე. რა გახდა მეთქი და მეც ერთი წაკითხვით

ვისწავლე - ასე იმიტომ მოგექცი, რომ ეგ ლექსი ზეპირად იცოდეს რესულ გამოცდაში ყოველთვისაა საკითხადო - მითხრა.

ერთხელ ცოტა წავიუზრდელე, მაგრამ არ დავუსჯივარ. დერეფანში ვიყავით მორიგე ერთად. სიცხისგან იხრუკებოდა ყველაფერი. მე პერანგი ჩავისხენი ქამრამდე - მოვიდა და ჩამიღილა. ორსამჯერ ასე გავიმეორე, არა და მოსწავლე მოსწავლეს უნდა ჰგავდებალიან მცხელა მეთქი ვუთხარი. მერე მე არ მცხელაო? მითხრა. თვალებით ცოტა ზედმეტად მოღელილზე ვანიშნე. შეტრიალდა და იმის შემდეგ აღარ ჩაუცვამს ისეთი.

ჩვენს სკოლაში ოცდათწლიანების შეხვედრა უნდა მომხდარიყო. რომ მობრძანდა ბლოკიტიდან პირდაპირ შენი სახელ-გვარი ამოიკითხაო. სამწეხაროდ ჩვენ არ ვიყავით. რით დავიმსახურე იმოდენა სიყვარული?

როცა ჩემო გამოცემული წიგნი ვუსასსოვრე, უზომო სისარული ამბორით გამოხატა. ეს ამბორი, დიმილი და პატარა გამასპინძლება ჩემთვის ყველა ჯილდოს სჯობდა. სისარულის ფურცელზე გადატანა არ შემიძლია - იმდენად ამზიანებული იყო მისი გამოხედვა ყოველ შეხვედრისას. მაგრამ ვაი, რომ ეს შეხვედრა, ამბორი და სიყვარულიანი გამოხედვა ჩემთვის უკანასკნელი დარჩა.

საუკუნო სასუფეველი ჩვენს საყვარელ მასწავლებელს, აღმზრდელს და ცხოვრების და სიწმინდის მეკვლეს.

P.S. ერთადერთი, სტუდენტის დროინდელი სურათი მისახსოვრა... ალბათ ძალიან საყვარელი ვიყავი მისთვის!!!

ცირეკიძე მერი სამუელის ასული

დაბიბადა ქალაქ სამტრედიაში 1934 წელს.

1937 წლიდან საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში.

1941-1949 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის რეინიგზის სკოლაში.

1949-1953 წლებში სწავლობდა ბათუმის პედსასწავლებელში. დაამთავრა წარჩინებით.

1953-1957 წლებში სწავლობდა ბათუმის პედინსტიტუტში, მათემატიკის ფაკულტეტზე. დაამთავრა წითელ დიპლომზე.

1957-1959 წლებში მუშაობდა პირველი მაისის საშუალო სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად.



1959 წელში ოჯახი ქობულეთში გადადის საცხოვრებლად. მუშაობდა სოფელ დაგვის სკოლაში, შემდეგ ერთი წელი ასწავლიდა ქობულეთის №1 სკოლაში.

1967-1973 წლებში ასწავლიდა ქობულეთის №6 საშუალო სკოლაში.

1973 წლიდან სკოლა გაიყო და ასწავლიდა №7 სკოლაში, საიდანაც გავიდა პენსიაზე 2007 წელს. ჯანმრთელობა შერყეული ცხოვრობს ქუთაისში ერთერთ შვილთან.

P.S. სამწუხაროდ მხოლოდ ასეთი ბიოგრაფიის შედგენა შევძლით მე და მისმა ქალიშვილმა.

ცქიტიშვილი მამია ვლადიმერის ძე

დაიბადა 1919 წელს, მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომარში. 7 წლედის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქ. ბათუმის სააღრიცხო-ეკონომიკურ, ანუ საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმში, რომელიც დაამთავრა 1935 წელს.

1936-1940 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმში სამასწავლებლო ინსტიტუტში, ისტორიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომლის დამთავრების შემდეგ მას იწვევენ საბჭოთა არმიის რიგებში,



ოქნი 1941 წელს, საიდანაც დემობილიზებულ იქნა არასამწყობრო მდგომარეობის გამო.

1941 წელს მუშაობას იწყებს ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის არასრულ საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად.

1942 წელს ხელმეორედ იწვევენ არმიის რიგებში, სადაც 1944 წლამდე დაჰყო. როგორც პედაგოგს ათავისუფლებენ და აგზავნიან სამშობლოში.

1944 წლიდან მუშაობს მახვილაურის 8 წლიან სკოლაში ისტორია-კონსტიტუციის მასშავლებლად სადაც მუშაობდა 1980 წლამდე, პენსიაში გახვდამდე.

1967 წლიდან იყო აჭარის სკოლების დამსახურებული მასშავლებელი.

1971 წელს მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის „დამსახურებული მასშავლებლის“ წოდება.

1935 წლიდან იყო კომკავშირის წევრი.

1949 წლიდან იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი.

1949-1965 წლებში იყო მახვილაურის სკოლის პარტორგანიზაციის წევრი.

1955-1980 წლებში ორჯერ იყო არჩეული ხელვაჩაურის რაიონული კომიტეტის წევრად. იყო ხელვაჩაურის რაიონის სადაბო საბჭოს ცხრა მოწვევის დამსტაბი.

1977 წელს ჩატარებული ხალხური შემოქმედების პირველი საკავშირო ფესტივალის ლაურეატი იყო. დაჯილდოებული იყო პირველი ხარისხის დიპლომით და ოქროს მედლით.

30 წლის განმავლობაში იყო რაიონის მომღერალთა გუნდის წევრი.

1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში მონაწილეობისა და კეთილსინდისიერი შრომისთვის დაჯილდოებული იყო მედლით, ომის დამთავრების 30 წლისთავის გამარჯვების მედლით. მიღებული პქონდა მედალი „შეიარაღებული ძალების 60 წლისთავი“. ოოგორც შრომისა და ომის ვეტერანის მკერდს მრავალი ორდენი უმშვენებდა. მაღალკალიფიციური პედაგოგი, შესანიშნავი მოქალაქის, ხალხური მხატვრული თვითმოქმედების უბადლო მსახურის ხსოვნა დიდხანს დარჩება მეგობრების, კოლეგების და აღზრდილების გულებში.

გარდაიცვალა 1986 წელს. დაკრძალულია მშობლიურ სოფელ ნაგომარში. ცხარე ცრემლებით გააცილეს მახვილაურის სკოლის პედაგოგებმა და მისმა აღზრდილებმა.

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას.

ცეკიტიშვილი გოგა ვლადიმერის ასული

დაიბადა 1923 წელს, ქუთაისის ოლქის, ოზურგეთის მაზრის სოფელ ნაგომარში. 1930-1941 წლებში სწავლობს ნაგომარის 8 წლიან სკოლაში. შემდეგ ქ. ბათუმის ნ.კ. კრუპსკაიას სახელობის ქალთა №2 პედაგოგიურ სასწავლებელში.

1941 წელს სწავლას აგრძელებს ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში საბუნებისმეტყველო-გეოგრაფიის ფაკულტეტზე.



1943 წლის პირველი ოქტომბრიდან, ინსტიტუტის დამთავრებამდე იგზავნება ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის არასრულ საშუალო სკოლაში ბუნებისმეტყველებისა და გეოგრაფიის მასწავლებლად.

1944 წლის 20 აგვისტოდან თავისი განცხადების გამო, ოჯახური პირობების გამო თავისუფლდება სკოლიდან.

1946 წელს მუშაობას იწყებს ბათუმის რაიონის, დაბა მახინჯაურის საშუალო სკოლაში უფროს პიონერხლმძღვანელად და გეოგრაფიის მასწავლებლად.

1948 წელს მუშაობას იწყებს ილია ჭავჭავაძის სახელობის №4 სკოლაში უფროს პიონერხლმძღვანელად და ასწავლიდა გეოგრაფიას. ამავე წელს აგრძელებს სწავლას ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, გეოგრაფიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, რომელსაც ამთავრებს 1951 წელს.

1951 წელს, სექტემბრიდან გადაყვანილ იქნა აჭარის რესპუბლიკურ პიონერთა სახლის პიონერთა შორის მუშაობის მასიურ განყოფილების გამგედ.

1960-1968 წლებში მუშაობს ბათუმის №2 სკოლა-ინტერნატში აღმზრდელ მასწავლებლად და ასრულებდა უფროსი აღმზრდელის მოვალეობას.

1968 წლიდან კვლავ №2 სკოლა-ინტერნატშია აღმზრდელ-მასწავლებლად.

1939 წელს შევიდა ალკა რიგებში.

1948 წელს შედის სკპ. რიგებში.

პირნათლად ასრულებდა სასახურეობრივ და საზოგადო დაცალებებს. რისოფისაც მთავრობის მიერ მრავალჯერ იქნა დაჯილდოებული.

1. აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.
2. 1965 წელს მიენიჭა „აჭარის ასერ დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება.

3. ჯილდო და სამკერდე ნიშანი „სახალხო განათლების წარჩინებული.“

4. მედალი – ვ.ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად.

5. „შრომის ვეტერანი.“

1977 წელში გადის მოხუცებულობის პენსიაზე, მაგრამ კვლავ აღრძელებს აღმზრდელ-მასწავლებლად მუშაობას სალიბაურის №2 სკოლა-ინტერნაციში.

„გ. ცქიტიშვილი არის თავისი საქმის კარგი მცოდნე. მეთოდურად დახელოვნებული, პრინციპული და მომთხოვნი. სააღმზრდელო ჯგუფის აღსაზრდელებს აჩვენს დამოუკიდებელ მუშაობას. მუშაობაში ეყრდნობა საკლასო კომკავშირულ ორგანიზაციას და კარგად წარმართავს მის მუშაობას.“

გარკვეულ მუშაობას ატარებს მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინისა და აკადემიური მოსწრების ამაღლების მიზნით. მუშაობაში იყენებს სხვადასხვა სერხებს და მეთოდებს. ჩატარებული აქვს საუბრები ზენობრივი აღზრდის მიზნით. იყენებს სუბომლინსკისა და ბანქელაძის ნაშრომიდან მისოფის საინტერესო სტატიებს მოსწავლეთა აღზრდის მიზნით. ატარებს კლასსათებსა და პოლიტიკურმაციებს კლასის ხელმძღვანელებთან ერთად. ჩატარებული აქვს ღონისძიებები, სადაც გაფორმებულია ყველა დღიური.

რეგულარულად ატარებს აღმზრდელობითი სასიათის დონისძიებებს, საუბრებს, დისპუტებს.

აქტიურ მონაწილეობას დებულობს სკოლის საზოგადოებრივ საქმიანობაში. წლების განმავლობაში უნარიანად ხელმძღვანელობდა აღმზრდელთა და კლასის ხელმძღვანელთა სასკოლო მეთოდ-



გაერთიანებას.

სისტემატურად იმადლებს იღეურ-პოლიტიკური და მეთოდური ცოდნის დონეს.

კარგი ავტორიტეტით სარგებლობს პედაგოგიურ კოლექტივში.

ამონაწერი №2 სკოლა-ინტერნატის დირექტორ ლევან ჯიჯავაძის დახმარებულის დახმარებიდან.

2 თებერვალი, 1988 წელი.

პატივცემული გოგა ცქიტიშვილი მოხუცებულობის დროს წავიდა მშობლიურ სოფელ ნაგომარში, სადაც გარდაიცვალა 2007 წელს. მის დაკრძალვას დაესწრნენ აჭარიდანაც, ქერძოდ კი სალიბაურის სკოლა-ინტერნატის კოლექტივი და თავისი აღზრდილები.

კარგიც და ცუდიც არასოდეს ავიწყდება ადამიანს – მეთქი ვახსენებ გოგა ცქიტიშვილი, როგორც გადმოცემით ვიცი, ისეთ პედ-აგოგთა პლეიადას ექუთვნოდა, რომელთაც არასოდეს ივიწყებს მადლიერი თაობა.

ცინცაძე ლიუბა ცეცხლაძე ქენია ცეცხლაძე გენერა

ცეცხლაძე თინა რეზოს ასული



პედაგოგი, ხუთი შვილის დედა, სკოლის დირექტორის მეუღლე. აჭარის ყოფილი დეპუტატის რძალი და სოფლის სანიმუშაო მოქალაქე – ასე შეიძლება დავახსასიათოთ ალამბრელი ქალბატონი თინა ცეცხლაძე, რომელმაც ბედი დაუკავშირა პირველმაისევლ ბადრი შავლიძეს. „სადაც არის ბედი შენი“ და კიდევ „ფერი ფერსო“ – ამათზე ითქმის.

დაიბადა 1961 წელს ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბარში.

1968-1978 წლებში სწავლობდა ალამბრის საშუალო სკოლაში.

1980-1985 წლებში სწავლობდა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტი რუსული ენისა და ლიტერატურის და ინგლისური ენის ფაკულტეტზე.

1985 წელს დაინიშნა პირველი მაისის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად და მუშაობს დღემდე, მიღებული აქვს ლაურეატი მასწავლებლის წოდება. არის სამხედრო მედიცინის და სერუანგის ჩინით.

მოსწავლეობისას და სტუდენტობის დროს კომკავშირული საქმიანობის შესაბამისად მიღებული აქვს ხუთი ქების სიგელი.

ქალბატონი თინა არის საგნის ზედმიწევნით მცოდნე. უყვართ იგი პედაგოგებს, ვინაიდან არის ინიციატორი. უყვართ იგი მოსწავლეებს, ვინაიდან უშუალოდ თინასგან იზიარებენ ბუმბერაზი რუსი მწერლებისა და პოეტების სიყვარულს.

გამოირჩევა იუმირის ნიჭით. არ უყვარს არაფრისმომცემი, უვდლა არმისადები რამ, არაფრისმოტქმელი სერიალების ჩათვლით. უყვარს გონების ვარჯიში, დინჯი საუბარიც და მოსმენაც, ადამიანებთან დაახლოების საოცარი ალლოც და ოსტატობაც. საუბარში უბრალო და ალალია. სტუმარობოვარება და კარგი მეოჯახე. დიდი ოჯახის პატრონი დასაჯდომად ვერ მოიცლის, მაგრამ სტუმარს გადატვირთულობას და მოუცლელობას არ აგრძნობინებს.

ასეთია ქალბატონი თინა და მას მიაჩნია, რომ „სადაც მიხვალ იქაური ქუდი უნდა დაიხურო.“ მანაც ლამაზად მოირგო ეს ქუდი რომელსაც არასოდეს შეარცევენს.

... და ზრდის ხუთ შვილს ქალბატონი თინა, რომელმაც შვილიშვილებიც ჩაიგორა კალთაში.

დრო გარბის, სხვა შვილიშვილების მომლოდინეს ასაკი არც ისე ემნევა, თუმცა ეს შტრიხი სწორად აღზრდის შედეგია და შედარებით – ცხოვრების ნორმალურად წარმართვისა. საზრუნავს და საჯაფარს რა გამოულევს. იტყვის კიდეც: ლუკმას სანელებლის გარდა ოფლის სუნიც თუ არ ასდის, ისე გემო არა აქვსო, ჰოდა აღვრის ოფლს – სოფელს, სკოლას, ოჯახს და გზას სახლიდან

სკოლამდე და პირიქით.

ამ ოფლისლეგრაში უკვე ნახევარ საუკუნეს გადაბიჯა...

2013 წელს იგი ინიშნება პირველი მაისის საჯარო სკოლის დირექტორად.

**წეროძე ნიკოლოზ
წეროძე ნადია
წიგწიგაძე აკაკი მელიტონის ძე**

ჭედია ტატიანა ტარასის ასული



ჭელიძე ქეთო ბიქტორის ასული

ჭყონია კარლო (კარალა) დურსუნის ძე

დაიბადა 1918 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ აგარაში.

1939-1941 წლებში სწავლობდა ბათუმის სამასწავლებლო ინსტიტუტში ბუნებისმეცნიერება-გეოგრაფიის საკულტერო ხე.



1941 წლიდან მუშაობდა თავისი სოფლის, აგარის 7 წლიანი სკოლის დირექტორად.

1943 წელს გადაიყვანეს სოფ. ახალშენის 8 წლიან სკოლის დირექტორად და გეოგრაფიის მასწავლებლად.


1944 წელს გადაიყვანეს ჩაისუბნის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ.

1944-1948 წლებში დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის გეოგრაფიის სრული კურსი.

1946 წლიდან არის კომუნისტური პარტიის წევრი.

1948 წლის 20 აგვისტოს იგი დაინიშნა ქედის რაიონის სოფელ მემიბაში 8 წლიანი სკოლის ბუნების, ქიმიის და გეოგრაფიის მასწავლებლად.

- 1949 წელს დაინიშნა ამავე სკოლის დირექტორად.
- 1950 წლის 20 აგვისტოდან გადაჲყავთ პირველი მაისის 8 წლიანი სკოლის დირექტორად, ქმითსა და გეოგრაფიის მასწავლებლად.
- 1951 წელს სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო გათავისუფლდა ამ სკოლიდან.
- 1951 წელს დაინიშნა დაგვის 8 წლიანი სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ.
- 1953 წელში ინიშნება ამავე სკოლის დირექტორად.
- 1954 წელს გადაჲყავთ სოფელ ციხისძირის სკოლის გეოგრაფიის და გერმანული ენის მასწავლებლად.
- 1962 წლის 20 აგვისტოს დაინიშნა – ჩაისუბნის სოფლის ახალგაზრდობის სადამოს საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად.
- 1963 წლის 30 ივნისს მას ნიშნავენ ამავე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, სადაც მუშაობდა 1982 წლამდე.
- 1982 წელს გავიდა პენსიაზე.
- 1954 წლიდან 1987 წლამდე შეთავსებით მუშაობდა ციხისძირის 8 წლიანი სკოლის გერმანული ენის მასწავლებლად. ბატონმა კარლომ იცოდა რუსული, თურქული და გერმანული ენებიც. მამის კვალს გჲევა შვილი ავთანდილ ჭყონია, რომელმაც დაამთავრა ბათუმის პედინსტიტუტის გეოგრაფიის ფაკულტეტი.
- ოთხი გაუმჯობესების ინჟინერია.
- ბატ. კარლო იყო აჭარის ლექტორთა კავშირის წევრი. აჭარის სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა საკითხზე კითხულობდა ლექციებს. მიღებული აქვს სიგელები და ჯილდოები.
- გარდაიცვალა 1991 წელს.
- ხავლოშვილი ახმედ რასიმის ძე**
- დაიბადა 1917 წელს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ განთიადში.
- 1935 წელს დაამთავრა მახინჯაურის საშუალო სკოლა.
- 1943 წელს მოჲვა გადასახლებაში.
- 1949 წელს სამშობლოში დაბრუნებული, კვლავ გაასახლეს ფაზასტისანში.



1951 წյლս სწავლას იწყებს ქ. ჩიმკენტის პედაგოგიურ ინსტიტუტში რომელსაც ამთავრებს 1953 წელს.

1953-1956 წლებში მუშაობდა პედაგოგად ყრუ-მუნჯთა სკოლაში, ქ. ჩიმკენტში.

1956 წელს რეაბილიტირებული ბრუნდება სამშობლოში, სოფელ განთიადში. აჭარის განათლების სამინისტროს განაწილებით მიღის ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისის 8 წლიან სკოლაში.

შემდეგში სწავლას აგრძელებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1959-1981 წლებში ასწავლიდა განთიადის საშუალო სკოლაში. გავიდა დამსახურებულ პენსიაზე.

გადასახლებებმა და შეუცერებელმა გარემომ იმდენად დაზიანდა ბატონი ახმედი, რომ მიზეზთა გამო 1991 წელს სიცოცხლე დასრულდა ქალაქ მოსკოვის საავადმყოფოში.

ხელაძე ციალა ივანეს ასული



დაიბადა 1927 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯუნევისში.

1934-1944 წლებში სწავლობდა სოფელ ჩიბათის საშუალო სკოლაში.

1948-1950 წლებში სწავლობდა ქ. ბათუმის პედაგოგიურ სასწავლებელში, დაწყებითი კლასების ფაკულტეტზე.

1951-1956 წლებში ასწავლიდა ჯერ პირველი მაისის, შემდეგ კოლორაჟრის არასრულ საშუალო სკოლებში.

1957-1959 წლებში მუშაობდა ქ. ლანჩხუთის ერთეული ფაბრიკის ბიბლიოთეკარად.

1959-1997 წლებში მუშაობდა სოფელ ჯუნევის საშუალო სკოლაში. საიდანაც გავიდა პენსიაში და ცხოვრობს სოფელ ჯუნევ-

ერში..

ერთი შეხედვით თითქოს მშრალი ბიოგრაფიაა, მაგრამ არა, იგი როგორც ცოცხალი მატიანე, დღესაც მხნედ გრძნობს თავს და განვლილი ცხოვრებიდან ბევრ კითხოდს იხსენებს. განსაკუთრებით ტკბილად იგონებს ქვედის რაიონის პირველი მაისის საბჭოს სკოლებში გატარებულ წლებს, იხსენებს იმ დროინდელ თავის კოლეგებს, უბრალო ადამიანებს, თავის აღზრდილებს და აღიარებს, რომ სიკვდილიც ვერ დაავიწყებს იმ ტკბილი დღეების მოგონებებს, რაც ჩვენ სკოლებში მუშაობისას განიცადა.

ყოფილი კოლეგები, ჯერაც კიდევ შემორჩენილი მისი ასაკის, თუ ყოფილი აღსაზრდელებიც, კეთილად იგონებენ მის ტკბილ და კეთილ დამტკიცებულებებას, უქმბენ დამსახურებას და კიდევ დიდხანს სიცოცხლეს უსურვებენ. სკოლების პედკოლექტივი მას ძალიან კარგად ახასიათებდნენ. იყო მადლობებისა და ქების სიგელების მფლობელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი. ასაკის მიუხედავად მაინც აღსაზრდელებისაკენ მიუწევს გული. უმეტესი აღზრდილის ბიოგრაფიები იცის ზეპირად. არის მხიარული მოსაუბრე, კეთილშობილი და დახვეწილი მანერების.

მასსოვს, პირველ კლასში, არაქართული სახელის გადარქმევის ეპიზოდი. სახელებს ქართულ შესატყვისებს უძებნიდნენ და ასე მომისადაგეს „პაიდარზე“ – ხარიბონი. რაღაცნაირად ვიუცხვევ ეს სახელი, სახლში ვიტირე და შინაურების გადაწყვეტილებით, მეორე დღეს წავედი სახელ „ხერგოთი.“ მასწავლებელმა სია რომ ამოიკოთხა, ორ-სამჯერ გაიმეორა ხარიბონი, მე კი ვიცოდი სახლიდან გამოყოლილი (დაბარებული) სახელი. მომიპრუნდა მასწავლებელი და მეუბნება – ადე ბიჭო, შენ გქვია ხარიბონი. მე ჩამოვიცრემლე და მივუგე – ხერგო მქვია მეთქი. პოო, შენ მასე გირჩევნია? იყავი სერგო, ვინ გიშლისო და დღემდე ასე ვატარებ ამ სახელს.

ჩემს მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას და სითბოს მჩენდა, სულ მევერებოდა, ალბათ განსაკუთრებულ მომავალს ხედავდა ჩემში, თუმცა ვალიარებ – ალღომ არ უმტყუნა!...

სამოცდაორი წლის შემდეგ ვინახულე და, ისე გამიხარდა ცოცხ-

აღნი ჩემი პირველი მასწავლებლის კვლავ ხილვა, ენით აუწერელი
სიხარული განვიცადე..

ასეთი სიხარული დაგბედებოდეთ ყველას!

ჯაყელი ჯემალ აბდულის ძე

ჩემი მოსწავლეობის პერიოდში, როცა წიგნის კითხვამ გამიტა-
ცა, სოფლის მაღაზიაში გადმომცეს ჯემალ ჯაყელის წიგნი, რომელ-



იც სულმოუთქმენლად წავიკითხე. შემდეგ
დავინტერესდი და აღმოვაჩინე რომ ბატონი
ჯემალი ჩემს სკოლაში ასწავლიდა. ოუმცა
მცირე ხანს, მაგრამ იგი ახსოვდათ და... ბედ-
ნიერება იყო როცა გავიცანი...

დაიბადა 1928 წელს ქედის რაიონის სოფელ
კვაშტაში. დაწყებითი განათლება მიიღო
სოფელ კვაშტაში, ხოლო საშუალო დაამთავრა
ქედაში.

1945 წელს დაამთავრა ქედის პედაგოგიური
სასწავლებელი.

1950 წელს დაამთავრა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის
ფილოლოგიის ფაკულტეტი, რის შემდეგ განაწილებით მოხვდა პირვე-
ლი მასის 8 წლიან სკოლაში ქართული ენა და ლიტერატურის
მასწავლებლად. მალე იგი გადაჰყავთ ქედის რაიონის განათლების
განყოფილებაში ინსტრუქტორად.

შემდეგ ში ამთავრებს ქ. მოსკოვის მაქსიმ გორკის სახელობის
ლიტერატურის ინსტიტუტის ორწლიან უმაღლეს ლიტერატურულ
კურსებს.

1947 წელში დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი. მის შემდეგ სისტემატ-
ურად იქცდებოდა ქურნალ-გაზეთებში.

1957 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი პოეტური კრებული.

1958 წელს გამოქვეყნდა პროზული და პოეტური ნაწარმოებები.
მალე იქცდება რომანი „გულის საუნჯე“ მოგვიანებით „მუჰაჯირი“
და „უამრავი რამ.“

1958 წლიდან იგი იყო სკპპ წევრი. ამავე წლიდან ბატონი ჯემალი აირჩიეს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრად.

1975 წელს დაიცვა დისერტაცია „ქართველ მთიელთა პოეტური ტრადიციების ასახვა ლიტერატურაში.“

მუშაობდა ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო სასიათოს ნაშრომი.

დიდხანს მუშაობდა მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარედ.

ბატონი ჯემალ ჯაყელი ბავშვებმაც იციან ვინ არის, ამდენად მერობ ხოტბა მოვაწეველიო მასზე, უძრალოდ ზედმეტი იქნება. რომ არ იცნობდეს საზოგადოება, მაშინ კიდევ პო, რაღაცას მოვაჭახრაკებდი.

აი, რა სასიამოვნო მოგონება მომაწოდა პატივცემულმა ჯემალმა: „მოგონება, მთ უფრო თუ კი ის სასიამოვნოა, ვიდეოობიექტივით ახლოს მოტანილ სიშორეს ჰგავს. იქნება საგანი მოვლენა თუ ადამიანთა სახეები, რომელთანაც კარგი ურთიერთობა გქონდა. ერთ ასეთ ლამაზ მოგონებად დამრჩა ჩემი სამსახურებრივი დებიუტი ქედის რაიონის სოფელ პირველი მაისის სკოლაში. ეს დებიუტი, ჭადრაკის ენაზე რომ ვთქვათ, ბლიცტურნირს უფრო ჰგავდა, რადგან იქ ვიმუშავე 1952 წლის სექტემბრიდან ამავე წლის 31 დეკემბრამდე. ანუ სულ რაღაც ოთხი თვე, მაგრამ ის თვეები მაინც გამოიკვეთა მეხსიერებაში.

დიახ, ეს იყო 1952 წელი. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ განათლების მინისტრის მოადგილის, ბატონ უსუფ დიასამიძის რჩევით მუშაობა დავიწყე პირველი მაისის სკოლაში. 1953 წლის იანვრიდან გადამიყვანეს მასუნცეთის საშუალო სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. თითქმის აქაც იგივე განმეორდა – იმავე სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ გადამიყვანეს ქედის განათლების განყოფილებაში. ზღაპრისა არ იყოს, ასე ვიარე... და შორს წავედი.

პირველი მუდამ საინტერესოა – სამყაროს მხატვრული ათვისების გზაზე პირველი ნაბიჯი, პირველი სიყვარული, პირველი წიგნის გამოცემა...

სოფელ პირველ მაისში გავიცანი შესანიშნავი ადამიანები, გამორჩეულები კულტურით, თავაზიანობით, სტუმარობისა და... მოწაფეებიც მეტად გულითადი და ნიჭიერები იყვნენ. ზედა კლასებში სწავლობდნენ, ალბათ ათი-ოთოხმეტი წლის ახალგაზრდები. აქედან დაწყებული დღემდე გავიდა დიდი დრო. კარგი იქნება თუ რომელიმე მათგანი ქუჩაში გამაჩერებს და მეტყვის, რომ ის სოფელ პირველმაისში 1952 წელს ჩემი მოსწავლე იყო.

მიეგსალმები პირველი მაისის სახელოვან სკოლას და ვუსურვებ კვლავაც სახელოვანი თაობები აღეზარდოს.

ჯემალ ჯაყელი

2007 წელი.

ჯაყელი მემედ ხასანი ძე

მემედ ჯაყელი დაიბადა ქედის რაიონის სოფელ ვაიოში 1926 წელს.



1943 წელს დაამთავრა ვაიოს საშუალო სკოლა.

1944-1949 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე.

1949 წლიდან მუშაობას იწყებს პირველი მაისის არასრულ საშუალო სკოლაში, საიდანაც სულ მალე გადაჰყავთ ქედის რაიონში საორგანიზაციო განყოფილების გამგედ.

ქედაში მუშაობის პერიოდში დაოჯახდა, ცოლად მოიყვანა თანასოფლელი, პირველ მაისში მომუშავე სამი დიდან ერთერთი ელმას (ჟოჟო) გორგილაძე.

1950-1953 წლებში სწავლობს თბილისის უმაღლეს პარტიულ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ადგილობრივ გაზეთ „კოლმეურნებ“ რედაქტორად.

1954-1960 წლებში მუშაობდა ცხმორისის საშუალო სკოლის

დირექტორად, შემდეგში გადადიან საცხოვრებლად ქ. ბათუმში.

1960 წლიდან მუშაობდა ბათუმის №17 სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ.

1979 წლიდან სოფლის მეურნეობის სამინისტროში მუშაობდა პროფესიული კავშირის თავმჯდომარედ.

1984 წელს მუშაობდა №4 სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ. გარდაიცვალა 1999 წელს.

№4 სკოლის მასწავლებლებმა იგი დამიხასიათეს კარგად. ტრაფარებული რომ არ გამომივიდეს ბიოგრაფიული მონაცემები ამით დაგჭირდეთ. ალბათ ოდესმე უფრო ვრცლად და უფრო კარგად აღნებსხავენ ყოველიგებს.

ჯაყელი ვარდო უსუფის ასული

დაიბადა 1944 წელს ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში.

1962 წელს დაამთავრა მახუნცეთის საშუალო სკოლა.

1962-1967 წლებში სწავლობს ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე.

1967 წელს მუშაობას იწყებს პირველ მაისში ფიზიკის მასწავლებლად.

1969 წელს გადაცემავთ ქედის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში მასწავლებლად.

1974 წლიდან დღემდე მუშაობს ქედის რაიონის საშუალო (ამჟამად საჯარო) სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად და ლაბორანტად.



სკოლის პედაგოლექტივის დახასიათებით იგი კარგად ფლობს თავის საგანს და ასევე კარგად ასწავლის. შედეგებიც მისაბაძი აქვს. საშუალო სკოლადამთავრებულები გამოირჩევიან მაღალი აგადემიური წარმატებებით. მისი სელმძღვანელობით ჩატარებული შინაარსიანი გაკეთილები და პრაქტიკულ-ლაბორატორიული მეცნიერებები მაღალკვალიფიციურ მასწავლებლის იმიჯს უქმნის მის პროფესიონალიზმს.

სკოლის დირექციისგან გამოცხადებული აქვს მრავალი მადლობა. სარგებლობს კარგი ავტორიტეტით. პატივს სცემს საზოგადოება...

ჯიმშელეიშვილი გენერა



**ჯავახია ილია იოსების ძე
ჯაბნიძე ნანი
ჯაფარიძე ეთერ**

ჯორგენაძე მადონა თემურის ასული

დაიბადა 1972 წელს ხულოს რაიონის სოფელ ძირკვაძეებში. 1980-1990 წლებში სწავლობდა ამავე სოფლის საშუალო სკოლაში.



1990-1995 წლებში სწავლობდა გონიოს ქორერატორიული ინსტიტუტის დაწყებითი განათლების პედაგოგიკური მეთოდიკის ფაკულტეტზე.

1997 წელს სწავლას აგრძელებს ბათუმის პედაგოგიურ უნივერსიტეტში დაწყებითი განათლების პედაგოგიკა-მეთოდიკის ფაკულტეტზე რომელიც დაამთავრა 2002 წელს.

2001 წელში მუშაობას იწყებს ძირკვაძეების საშუალო სკოლაში, არა სპეციალობით. ასწავლიდა გერმანულ ენას.

2005 წელს დაოჯახებასთან დაკავშირდებით მუშაობას იწყებს ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისის დაწყებით სკოლაში მასწავლებლად.

დაწყებითი სწავლების ქლასში იყენებს მეთოდურ ლიტერატურას და აქმაყოფილებს იმ კრიტერიუმს, რაც მოეთხოვება. კოლეგები ახასიათებენ კარგად. სოფელში და საზოგადოებაში სარგებლობს კარგი ავტორიტეტით და რაც მთავარია, არის კარგი დიასახლისი. 2014 წელს დაინიშნა პირველი მაისის ბაგა-ბაღის დირექტორად.

ვალობის მაგისტრი

ბევრჯერ მაქვს ნახსენები, რომ ორი ერთნაირი ადამიანი არ არსებობს მეოქი. ცხოვრების მანძილზე იმდენ უმსგავსობებს შევხვედრილვარ ვინ მოოვლის. ასევე გადავყრივარ უმსგავს ადამიანებსაც. არსებობენ კარგები, უფრო კარგები და უკეთესები, ასევე ცოტა ცუდები, ცუდები და ძალიან ცუდები. იქნებ შემომედავოს ვინმე ასეთ კატეგორიებად დაყოფაში – განა ვტყუივარ? თუ ჩაუკავირდებოთ ასეა ნამდვილად.

რაც შეეხება პედაგოგიურ სარბიულზე მოხვედრილ ადამიანებს: დირექტორებიდან დღესაც ძალიან კარგად მიმაჩნია ალექსი გედუგანიძე. იგი დვითისნიერი ადამიანი იყო. ყოველთვის დაფიქრებული დადიოდა. კაცი იტყოდი, რაღაც დარდები აწუხებსო, ამის გამო უხეშის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაგრამ არა, იგი ეტალონი იყო როგორც დირექტორი და როგორც ადამიანი. ყოველთვის ცდილობდა ვინმესთვის სარგებელ-სისარული მიენიჭებინა. სწორედ ამას ფიქრობდა გამუდმებით.

სოფლის ჭირ-ვარამის მოზიარე იყო, არაფერი ეშლებოდა და ფიზიკურადაც უმუშავია გლეხების ერთად, რითაც სოფლელთა სიყვარული დაიმსახურა. „მარტო წვრთნა კაცს ვერას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველაო“ – აკაკის ეს აფორიზმი გათავისებული ჰქონდა... შველაცაა და შველაც – ის ყოველგვარ დადებით ყალიბში იჯდა. მეუღლეც ღვთისნიერი ჰყავდა – პირველი მაისის თემში ექიმად დანიშნული ციალა გურგენიძე. სანიმუშაო ოჯახი იყო და სწორედ ასეთები არიან სამშობლოს ბურჯები. ასეთები არიან ძალიან კარგები, უკეთესზე-უკეთესები.

რა დააშავეს სხვებმათ, იქნებ იკითხოთ. ყველა მორწმუნება, მაგრამ იქსო და მუხამედი ხომ გამორჩეულები იყვნენ. ასეა ყველა სფეროში – ერთეულები სხვებზე აღმატებულები არიან.

დირექტორი, რომელიც სოფლის ჭირ-ვარამში ჩახედული და მიხვედრილი არაა, თითოეული მოსწავლის ოჯახი რა შეძლებისაა ეს არ იცის, ასეთი ადამიანი არც უნდა ინიშნებოდეს დირექტორად

დირექტორმა უნდა იცოდეს თითოეული მოსწავლის სული. ისე მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობაზე და შედეგზე, უბრალოდ, არ ღირს ლაპარაკი.

შევესწარი ასეთ ფაქტს: მოსწავლე, რომელიც სკოლის თვალისწინი იყო (ეს მასწავლებლების მონაცემლით ვიც) და რომელიც გასულ წელს ნაქონი შარვლით დადიოდა, დირექტორმა ეზოს გარეთ მიუთითა – უბრალოდ რომ ვთქათ სკოლიდან გააგდო... თუ გასული წელი იმ შარვლით გაატარა იმ მოსწავლეებ და შემდეგ წელსაც ვარგისი იყო, ნეტა ძველი შარვლის გამო დირექტორს საყვედური გამოუცხადა ვინმემ?! არა, ასეთ დროს დირექტორის პიროვნების ახირებასთან გაექვს საქმე... იყო ასეთი მომენტიც აქ რა მოსატანია, მაგრამ ვისზეც უნდა ვთქა, ისიც დირექტორი იყო, ოღონდ სახელგანთქმული – ქედის სატყეო მეურნეობის. საამქროში რომ გამოივლიდა და მუშებს დააწიოკებდა, ეს ოჯახიდან გამოყოლილი უსიმოვნების გამო მოსდიოდა. ეს დაამტკიცეს იქ მომუშავე, მისმა ახლომახლო მცხოვრებმა მეზობლებმა. ასეა სკოლის დირექტორის შემთხვევაშიც.

იმ ბავშვა, რომელიც ვახსენეთ ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და მერე დირექტორი ტრაბახით გაიბერა. განა თვითონ მიუძღვით წვლილი? არა, ბუნებამ უშველა, არა დირექტორს არამედ მოსწავლეს, რომელმაც წითელ დიპლომზე დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, თანაც ორი დიპლომის მფლობელია და იმავე უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს.

რატომ ვეხები ამ დირექტორს ასე უარყოფითად და ასე ვრცლად.

იყო პერიოდი, ასლან აბაშიძის სახელობის სტიპენდიას აძლევდნენ წარჩინებულ მოსწავლეებს. ამ დირექტორმა სტიპენდიის მიცემა დააპირა ისეთ ადამიანის შვილზე, რომელიც თანამდებობის პირი იყო და დირექტორიც ალბათ მათი მეშვეობით დასაყრდენს პოლიტიკური აიდეალის. ამ დროს გამოჩნდა პედაგოგიკური მუსკერძოებელი ერთსულოვნება – უველამ ამ ფრიადოსნის მხარე დაიჭირა. დირექტორის უსულებულო მოქმედების გამო, სკოლამ სტიპენდია დაკარგა. საქმე ისე წავიდა, ფრიადოსნის მოსწავლეები, თავისი თანაკლასებული, იმ თანამდებობის პირის შვილიც ოქროს მედალზე გაიყვანა. ეს დაზუსტებული ფაქტია. აი,

ასეთი დირექტორი თუ შეიძრება ალექსი გედვეანიძის მსგავს ადამიანზე? ახლა მეორე ფაქტი ამ დირექტორის „სასკოლო ცხოვრებიდან.“

ყოფილი მოსწავლე რომელსაც უნივერსიტეტში კათედრაზე დატოვებას უპირებდნენ (და თვითონ არ დათანხმდა) არაფრით არ მიიღო საშუალო სკოლის მასწავლებლად, იმიტომ რომ მისგან სახეიორს არაფერს ელოდა... რა ეწოდება ასეთ ქმედებას? აი, ეს პედაგოგი, იმ მედალოსნის და, სკოლის გარეთ დარჩა დირექტორის ახირების გამო.

დირექტორი, რომელიც ისეთი მასწავლებელს მფარველობს, რომელთაც ფრიადოსანი მოსწავლის ღონისძიება არა აქვთ და ზემოთხსენებულ ბავშვებს, უმაღლესდამთავრებულებს უმიზეზოდ პრობლემებს შეუქმნის, მოვაწვევიებ პრეზიდენტ სააკამპილის ასეთნაირზე გამოთქმულ ფრაზას – ჩარეცხილების გეერდით გავუშვებდი.

აი, სწორედ ამიტომაც ვახსენე ზემოთ, ორი ერთნაირი ადამიანი არ არსებობს მეთქი. განსხვავება, თანაც დიდი, ტექნიკურებულება და აბარა გასაკვირია სხვები რომ ერთმანეთს ვერ ემსგავსებოდნენ.

არცერთი დირექტორის შესახებ არ მქონია პრეტენზია, ვის ხელშიაც მოქვედი და ერთ რამეს კიდევ დავამატებდი: როგორც ადრე ვახსენე, თუ ადამიანი მოწოდებით, მთელი არსებით არაა პედაგოგად დაბადებული, მას მართლაც ვერაფერს უშველის წვრთნა თუ სწავლება. ასეთებისთვის წიგნი ნიკოლოზითაა, ან სათამაშოსავით, რომელიც ძველდება და სანაგვეზე ყრიან. მინახავს რამდენი ნასწავლი, წიგნებს ერთ დროს მოდადეცეულ მაკულატურის პუნქტებს უშურველად რომ აბარებდნენ. მე თავს არ გამოვიდებ წიგნის სიყვარულით, მაგრამ უნდა ვთქვა რომ, სადაც მიგდებულ წიგნს ვნახავდი, დახევლდაგლეჯილს, ადვადებენდი და ასე ვამდიდრებდი ჩემს ბიბლიოთეკას. ახლა თქვენ განსაჯეთ, მყვარებია წიგნი თუ არა.

თითქოს თქმას გადავუხვიყ, მაგრამ არა, წიგნი და მასწავლებელი, წიგნი და მოსწავლე, მასწავლებელი და მოსწავლე – ცოდნის გარეშე შემოღომის პირას ქარის მიერ აფარფატებულ ფოთლებს ემსგავსება. სადაც სკოლას ვახსენებ ან სასწავლებელს, ესე იგი ცოდნის ტაძართან გვაქვს საქმე და მგონია ეს ტაძარი ცოდნის სარისხმა უნდა წამოსწიოს კვარცხლბეჭვე, არათუ ნატაძრალად აქციოს.

გვეავდა უნიკალური ცოდნის მასშავლებელი ნოდარ რუსეიშვილი, რომელსაც შესვენებებშე წიგნში პქონდა თავი ჩარგული. გასართობი იყო თუ ჰობი? არც ერთი, არც მეორე. იმ ცოდნის პატრონი, მაინც ივსებდა ცოდნის რესურსს. ეს იმიტომ, რომ ის მოწოდებით პედაგოგი იყო და სულიან გულიანად პქონდა გაცნობიერებული – მოზარდი ნამდვილ პიროვნებად ჩამოეყალიბებინა.

უნდა გადაგუხვიო კვლავ, თუმცა მტკიცნეული თქმაა!

პოლიტიკოსების ხუმტურებმა ერთ პერიოდში სკოლა პოლიტიკას დაუკავშირა და საქმე ისე წაიყვანა, ცოდნას ბერკეტები გამოაცალეს. სულ მაღლ სკოლას ავტონომია მიანიჭეს. თუ ავტონომიას „თავი“ არ უვარდა, იქ დღევანდელი ამორალი მწერლების დარი „ავტონომია“ დაისადგურებს. რაც პოლიტიკამ ვერ დაანგრია ცოდნის სფეროში, იქ ვაი-პატრიოტები აამუშავეს. პატრიოტის ნიღბას ამოფარებული, ცოდნის ტაძრების დამანგრევები ვანდალები მოუსიეს ხალხის შეგნებას.

ვმსჯელობთ, ვწერთ, ვაკრიტიკებთ თურქების სამასწლიანი ბატონობის შედეგად ჩამქვდარი განათლების შესახებ – უარესი კი ამ ვანდალებმა ჩაიდინეს.

ზოგმა ჭკუას მოყიდა ხელი, იმათ, ვინც მართლა მოწოდების სიმაღლეზე იდგა, მაგრამ რომ იტყვიან – ეს ზღვაში წვეთია... აშენებაა ძნელი, თორქემ დანგრევა წამს ხდება. ისე დავურთიანდით სკოლაში ჩემი თაობა, ალბათ უფრო ადრინდელიც და საერთოდ, როცა ყელსახვევი ფრიალებდა და სკოლა პირველ სექტემბერს იწყებოდა, რაც არ უნდა უხეში მასშავლებელი გვყოლოდა, მაინც ერთი სიხარული გვქონდა სკოლაში მისვლისა. და მაინც მიკვირს – იმ ცხოვრებაგამოვლილი ხალხის შვილები არიან დღესდღეობით სკოლის თავიაცები და ნუოუ საერთო სიტყვა ვერ გამონახეს საქართველოს მასშტაბით, სკოლა, ცოდნა – განათლება ფეხზე დაეყენებინათ იმგვარად, კომუნისტური წესწყობილების დროს რომ იყო... რაო, კომუნისტები და კომუნისტურობა აღარ გვჭირდება, წყალს და მეწყერსო?... ბოდიში...

დაღესტნელ მწერალს, რასულ გამზაორეს აქვს ასეთი გამოთქმა: „ვინც წარსულს პისტოლეტს ესვრის, მას მომავალი ზარბაზნით უპასუებსო“ და მართლაც, წარსულს, ისევ ჩვენს ისტორიას დავუწყეთ

ჯიჯგნა – გათახსირება. მომავალი აგვაშენებს ამ ყოფაში ათქვეულებს??!

როგორ არ იტყვი, შენიშვნას როგორ არ გამოოქვამ, ისეთი ყოფის მიმართ, როცა ისეთ უხამს ლიტერატურას შექმნი, რომლებიც ათეული წლებია დუღის და თუხთუხების საქართველოს ცოდნის კალოზე. ან ეს ერთსქესიანი ქორწინებაო, ან კიდევ მათი დაცვაო... უარესიც – სკოლაში სექსის გაკვეთილები... უუ, ქართველებო! წვერმადლიანმა აკაკიმ ტყუილად კი არ შემოუყახა საქართველოს „ფურთხის დირსი ხარ საქართველოთ“. ეს, ფურთხი კი ფინდიხად და ფეოქებად ნივთიერებად გადმოედვარა საქართველოს ტყვიისფერი ცარგვალიდან.

ქართველი ოდიოგანვე საფიცარი იყო ზოგიერთებისათვის. სხვებისთვის ანდამატივით მიმზიდველი, ვისთვის საამაყო, ვისთვის სარჩო-საბადებლის ბეჭელი, ვისთვის მეცნიერების ბუდე.

რა გვაქვს ახლა?

„მესამე მსოფლიო ომში არ ვიცი და მეოთხეში მშვილდისარი გვექნება იარაღადო“ – ბრძანა აინშტაინმა. ხომ არ გადავედით დიდი ნახტომებით ამ სტადიაში?

ჩვენ ცოდნა-განსწავლულობაზე გვქონდა ორიენტირი, მაგრამ წიგნის დასასრულს ასეთი ფორმით შევავსე ბოლო ფურცლები. ნუოუდავაშეგვ? არა მგონია, დასკნა კველა ფორმაში მისაღებია კველასთვის.

რაც შემეხება მე, წიგნის წერა ხალისიანად დავიწყე, მეორნა მოსწავლეობისდროინდელ ხალისს გამოვიჩენდი. თავიდან მართლაც ვხალისობდი, მაგრამ საყვარელი მასწავლებლების ბიოგრაფიებს რომ ვწერდი, როცა ისინი ცოცხლებივით მედგნენ წარმოდგენაში, გარდაცვალების თარიღს რომ ვუსვამდი, ნოსტალგია მიჰყრობდა, მეკარებოდა ხალისი, ისინი ცოცხლებში რომ ადარ არიან და ვაი აღზევებულები „მეფობებ“. ვინც შეუდგება ასეთი სახის წიგნის შექმნას, თუ ის შეკვეთით არ იწერება, ჩემს მსგავსად ჩავარდებიან წარსულის მოგონებების სიამტკბილობაში თუ ნოსტალგიაში და არ ვიცი რა დაემართებათ. მე გულწრფელი ვიყავი ყოველთვის და ასეთად დავრჩები. აწე კი სხვა რამესაც მოვყვები, თუმცა არც ეს ესაჭიროება ეპილოგის წინა მონათხობს, მაგრამ მაინც...

შეავდა ასეთი მასწავლებელი, რომელმაც კინაღამ სკოლა შემაძულა, გამოგვიცხადა: თუ თქვენ რუსულს არ ისწავლით, ფეხებზე მიიდია, სამაგიუროდ მე ქართულს ვისწავლი, ამისთვის წამოვედიო. ეს ბევრგან ავლნიშნე კიდევ, მაგრამ ისეთი ხუშტურებიც გამოიჩინა რომ?..

ორი კლასი ვიყავით გაყვანილი საწარმოო პრაქტიკაზე ვბარავდით ჩაის. გვახლდა ცნობისმოყვარე ზედამხედველად. მისგან მინიშნებულ გოგონას არ შევენაცვლე ბარვაში და დამექადნა – ჩაგტოვებ் კლასში. შემისრულა დანაპირები, მაგრამ ორები რომ თავისი უნის მოსაკლავად დამიწერა, ყველა მასწავლებელმა იცოდა დირექტორის ჩათვლით.

გადამიყვანეს მეათე კლასში, თავად კი სკოლა გამოიცვალა. მის შემდეგ გეგმავდა უნიკალური მასწავლებელი, მერი ცენტერაძე, რომელმაც სკოლაც და სამყაროც ორმაგად შემაყვარა. და-მძურად, ხან დედა-შვილურად მეყყრობოდა.

გვევდა სუპერ ინტელექტუალი მასწავლებელი, რამიზ ბეჭანიძე, რომელიც ეშმაკობას არ შეგარჩენდა, თუმცა უზრდელურად არა-სოდეს მოგვეკვია. ერთხელ, გადაშლილ წიგნში ვკითხულობდი მოსაყოლს. დაჯექი, ორს არ გიწერ, მაგრამ თუ კიდევ ასე მოიქცევი, გაგილამაზებ ნიშნებსო – მითხრა. აი, ეს არის ზრდილობა და მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობა. სადაც ზრდილობა მუდამ წინა პლანზე დგას.

დავამატებ კიდევ – დღეს რომ ტესტებია, სადაც მოსწავლეს უთიოებენ, თუ რატომ არ უნდა დაუთმოს ტრანსპორტში ადგილი მოხუცს, ხეიბარს და ფეხმიმეს, ამის შემდეგ ვის უნდა მოთხოვო ზრდილობის ნორმები?..

განდიდების ამბიციურობა არ გამაჩნია. ეს მაგნე მანიაა. პიროვნების ამათუ იმ ქმედებას ყველა სხვადასხვაგვარად აღიქვამს. წყნა მაქვს გულში ჩარჩენილი ჩემი ლიტერატურის მასწავლებლისგან: როცა სოფელს წიგნი მივუძღვენი (ასე ჩათვალეს, თორემ ეს არ მქონია მიზნად), იმ მასწავლებელმა ასე „შემაქო“ – ამ წიგნით თუ სოფელს ძეგლი დაუდგა, ამით თავისთავსაც დაუდგა ძეგლიო! ლიტერატურის მასწავლებელს ლოგიკაში არ უნდა შეშლოდა, მაგრამ ჯანდაბას, მასწავლებლისგან ეს მოსალოდნელიც იყო (რაღაცის

გამო კბენას წააგავს), „უარესი რამ „დახეთქა“ თანშეზრდილმა თანასოფლელმა – არაერთგზის გაიმეორა – ეგ წიგნი მე უნდა დამეწერაო... რა ქვია ასეთ საქცილეს თუ არა ბოროტი ნააზრევი, იქნებ შერის ჭია ჰყავს შემძვრალი? არა, იგი მოურიდებელი ცინიკოსია! ვაი, ასეთ პედაგოგებსო – იტყვის ვიღაცა...“

ადამიანი ყოველთვის ჯანმრთელი ვერ იქნება. როცა წიგნის წერა დავიწყებ, გულმა მიმტკუნა. ოპერაციის შემდეგ ვთხოვე ამ თანშეზრდილს – ნახვარი სამუშაო შესრულებული მაქვს და შენ დაამთავრე, მე აღარ შემიძლია, არც თანაავტორობა მინდა და წაგებმარები რაც შემიძლია – მეოქი და კატეგორიული უარი თქვა. ასაწონ-გასაზომი ამ საქციელისა პატივცემულო მკითხველო, თქვენზე მომინდევა...“

რაც შეეხება მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთდამოკიდებულებას სწავლა-აღზრდის კუთხით, ბევრჯერ დამიწერია, ზეპირადაც მითქვამს, რომ ყველა ბავშვი თავისებურად მიღვომას მოითხოვს, ეს ყველამ იცის, თუმცა ყველას ერთნაირად ვერ მოვთხოვთ. ეს რომ ასე იყოს, მაშინ ყველა ოქროს მედალოსანი გვეყოლება. ასევე ყველას ვერ მოვთხოვ ერთ ზნეობრივ ჩარჩოში მოქცევას. ძალიან ბევრი ისე დაამთავრებს სკოლას, ხელთ შეგვრჩება „შეაყარე კედელს ცერცეი.“ მე ამით ახალს ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ თუ უზრდელი მოსწავლე, სკოლიდან უზრდელობის საბუთით გავა ამას მივესაძმები

კავკასიონის მთის სოფლებში დღესაც არის შემორჩენილი „თემისგან“ მოკვეთის ტრადიცია. ხომ არ ჯობდა ასეთის დაკანონება სკოლაშიც? უვარებისი მოსწავლე რაღაც ვადიოთ არცერთმა სკოლამ არ უნდა მიიღოს.

ჩემის შემთხვევაში მასუნცეთის საშუალო სკოლიდან გამოაძევეს მოსწავლე და რადგან ტერიტორიულად ერთი სოფლელი იყვნენ, ჩვენმა დირექტორმა მიიღო სკოლაში. (მასუნცეთის სკოლის დირექტორს – უსუფ ბასილაძეს დღესაც შენატრიან) გამგზავნეს მოსწავლის უწყისის ამოსატანად. შვიდი ორიანი ჩამოაწიეში, რაზედაც მე კატეგორიული უარი განვაცხადე. სამი ორიანი დაუტოვეს. დირექტორი მეუბნება – შენგან ვიღაც დადგება, მაგისგან კი რა გამოვა ვერ გეტყვიო. ჩემს დირექტორს ყველაფერი მოვუყევი. იმ

მოსწავლეებმ მაინც თავისი უზრდელობა გააგრძელა. ის კი არა „ხარი ხართან რომ დააბაო...“ იტყვიან, ამის მსგავსი მოხდა ჩვენს მოსწავლეებშიც... უარყოფითმა ძალიან იმატა.

დრომ და ვითარებამ თითქოს კაცად აქცია, მაგრამ მასზე კარგის მოქმედი ჯერ არ შემხვედრია!

მაშინ, როცა ჩვენი კლასი საწარმოოსწავლებიანი სკოლის პირველი გამოშვება ვიყავით – არ გადაგვიხდია სკოლაში არსებული კონფლიქტის გამო და არც გამოშვების სურათები გვდირსებია მოსული მოსწავლის უზნეობის გამო... ისევ მე ვივარგე და მოგვიანებით გავაკეთე სურათები.

ბლოგოტქის წინ ამისთანების მოგონება არაა მართებული, მაგრამ ყველა წიგნი რატომ უნდა გავდეს ერთმანეთს. არ არის სქემა, რის მიხედვითაც იწერება წიგნები, ამდენად საპრეტენზიოც ნურავის ექნება...

ალექსი გედევანიძის დროს ძალიან ბეჭრი ხუთოსანი იყო სკოლაში, ძირითადში გოგონები, მაგრამ იმ დროს ჯერ კიდევ თითქოს „კარჩაკეტილ“ რეჟიმში იყვნენ მშობლები. გოგონების სწავლება როგორც შეიძლებოდა, არადა ისეთი დრო იყო, მთავრობაც ხელს უწყობდა ნიჭიერების ცხოვრების ასპარეზზე წარმოჩენას, თუმცა მშობლების განაწყენებასაც ერიდებოდნენ და ვერავის აძალებდა მთავრობა. ხელშეწყობის მაგალითად თანახოვდელ მერი სამნიძის მაგალითიც ემარა... ასე დარჩა ბეჭრი ნიჭიერი გოგონა არათუ სწავლის, ბეჭრ მათგანს სკოლაც არ დაუმთავრებია, არადა ვინ იცის, რა ტალანტები მიიბარა მიწამ, ვინ იცის რას შემატებდნენ გაფურჩქნის ფაზაში შესულ აჭარელთა ცხოვრებას.

ეს, რაც შეეხება გოგონებს. ბიჭები კი, როგორც მოგეხსენებათ, ყოველთვის ზერელედ ეკიდებიან სწავლას. ასეა დღესაც. თითოოროლა უმაღლესდამთავრებული, ზღვაში წვეთია მთელი აჭარის მასშტაბით. დღესდღეობით ქალი მასწავლებლები და სხვადასხვა სფეროში მომუშვებები, პროცენტულად ძალიან უსწრებენ მამაკაცებს, რაც ძალიან სასისარულოა, თუმცა ისე არ გამოვიდეს – უძალლო ქვეყანაში კატებს აყელებენო... ეს უხეში შედარებაა და არც ჩემი მოგონილია, მაგრამ ბოდიშს მაინც ვიხდი. საბედნიერო რეალობაა...

ვაიცობი

არასოდეს მქონია ამბიცია, წიგნების დაწერისა. რასაც ვწერდი, თითქოს თავის შესაქცევად, თუმცა იმდენი რამ დაგროვდა, ვეღარ გავუძელ მავანთა წაჭებას და კალამს სერიოზულად მოვკიდე ხელი, მაგრამ დაგვიანებით. როცა პირველი წიგნი შევქმნი, რეცენზენტმა, აკადემიკოსმა მურად ჩავდეიშვილმა მიმითითა – ამის წერა ოცდათი წლით ადრე უნდა დაგეწყოო... მართალიც იყო!

ძალიან ბევრი ინფორმაციის ამოქანვა შეიძლებოდა მოხუცი ხალხის სიბრძნისგან, ბევრი ცოდნიდან, ისტორიული ანალებიდან. რაც შევქმნი, გულისტკივილს მართლაც მიტოვებს, მაგრამ რასაც მივაღწიე, თითქოს ქმაყოფილების კვალს ტოვებს... უქმაყოფილების განცდა მართლა იგრძნობა წინამდებარე ნადვაწში. ბევრი რამ მინდოდა შემეტანა წიგნში და რაც მოვახერხე რუდუნებით და ოფლისდვრით ვიღვაწე. ერთი სატკივარი კი ისაა, ადრეული პერიოდის მასწავლებელთა ბიოგრაფიული მონაცემები აღარ შეგროვდა მიზეზთა გამო. ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ უთქმელობაც არ იქნება – არავის ენადვლება ყოფილი კი არა, თანამედროვე მასწავლებლების ისტორიებიც. ძალიან გულსატკენია, როცა მავანი შეგვასუხება – ვიდას სჭირდება წიგნიო... თუ ვინმე დაფიქრდება ასეთ ნათქვამზე, ალბათ არ გამამტყუნებენ, ვინაიდან მე სახელად „წიგნი“ უნდა მერქვას, და არა ავტორისეული სახელი... წიგნებში გავიზარდე და დღესაც ვერ ველევი. არ მაქს კომპიუტერი, მაგრამ, რომც მქონდეს წიგნს ზურგს არ შევაქცევ.

არის ერთი პედაგოგი, ლიტერატორი, რომელმაც კითხვაზე: წიგნები სად გაქვს მეთქი და ჩემდა გასაკვირად (ალბათ თქვენც გაგიკვირდებათ) მიპასუხა: – თავანშიო... აი, ასეთი პიროვნება კომპიუტერს რომ გაიჩნის, მერე იკითხეთ წიგნების ბედი და ალბათ გეტჟვის კიდეც: ვიდას სჭირდება წიგნიო!

უწიგნოდ ცხოვრება აბსოლუტურ სიბეცედ მიმაჩნია.

დავუბრუნდეთ ისევ ბიოგრაფიებს.

ადრე გაკვრით ავლიშნე და ახლა უფრო ვრცლად შევეხები ამ

თქმას. ერთ სოფელში ვიყავი, პედაგოგის, სკოლის დირექტორის ოჯახში და როცა პედაგოგი მშობლების ბიოგრაფიებზე შევეკითხე, მიპასუხა: არ ვიცი, არასოდეს დამჭირებიაო... გინდ გაიკვირვეთ, გინდ არა, მწარე რეალობაა. მე კი მაინც მიტოვებს არასრულყოფილების ასოციაციას – ადამიანმა მშობლების პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ არაფერი იცოდეს და ასეთი სკოლის დირექტორი ჰყავდეს განათლების სამინისტროს, ვერაფრიოთ წარმომიდგენია, ნუთუ ასე მისავიწყებლია წარმომავლობის ნებისმიერი ეპიზოდი და ამასობაში „წინაპრებით“ ვტრაბახობდეთ?!

აი, ამგვარ საზოგადოებაში შევაძიჯე ფეხი და წინამდებარე წიგნზე თუ ვინმე პრეტენზიას განაცხადებს, ვინც ვაჟკაცია (არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება) მოკიდოს კალამს ხელი და წინ კიდევ ერთი იუბილე ელოდება სკოლას – ასი წლისთავი, შეავსოს და აჯობოს წინამდებარე ნაღვაწის ავტორს – მივალ, გადავეხვევი და იქნებ საჩუქარიც მივართვა...

დიახ, ძალიან უცნაურ სიძნელეებს გადავყარე მუშაობისას და ერთი ადამიანივით ნურავინ წამომძახებს – რა უნდა წიგნის დაწერასო... ჰო, ნამდვილად ასეა და, იქნებ გამოწნდნენ შოთა რუსთაველისნაირებიც...

რაც ვიღვაწე, ვისაც კი მსგავსი წიგნი შეუქმნია, დამეთანხმება, თუ რა სიძნელე გადავიტანე ფიზიკურად და მორალურად. დღესაც, როცა მართლა პურის ფულის შოვნა ჭირს, ძალიან ძნელია ასეთ სამუშაოზე შებმა, თანაც თუ არაპედაგოგი ხარ და ალბათ ბევრიც დამეთანხმება, ჩემი ოფლისდვრით მიღწეული შედეგის საჭირობაზე. ისტორიები არ უნდა იკარგებოდეს, უბრალოდ – მტვერი არ უნდა მოედოს, არ უნდა დაობდეს, სწორედ ასეთზე იტყვიან – მზის სინათლე უნდა ნახოს, რომ ობი არ მოედოს.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მაინც უნდა ვთქვა – ჩვენი ხალხის იმედად ყოფნა ძალიან ძნელია. კაცს თუ დახმარების ხელს ვერ გაუწვდი, იდეურად მაინც უნდა დაუჭირო მხარი. ამ საქმეში უცხოები, არაპროფესიონალები უფრო აქტიური იყვნენ და მათ მიმართ მადლობის გარდა არაფერი მეთქმის.

მადლობას ვუცხადებ ყველას, ვინც მიიღო მონაწილეობა ამ წიგნზე მუშაობაში. თუ ვინმე ახლა მაინც დამიჭერს მხარს, იმათაც მადლობას გამოვუცხადებ.

ერთადერთი, ძალიან გულშემატკივარი მყავდა, წიგნის „საუკუნოვანი სკოლის“ ავტორი – მერი დიასამიძე. მას უფრო კურიოზული შემთხვევები პქნდა წიგნის შექმნისას და იცოდა რა სიმწრის ოფლსადენია ასეთი შრომა – იდეურად, მორალურად, და ფიზიკურად მიჭერდა მხარს... რძლის ხელდრი უნდა ჰკითხო რძლადყოფილსო – იტყვიან. მართლაც ასეა – მერი დიასამიძემ იცის როგორც წიგნის ფასი, ისეც მასზე დახარჯული ენერგიის მუხტის ძალა. დიდი მადლობა დახმარებისათვის.

და ისევ ბოლოს უნდა გავიმეორო გულისტკივილი: წლობით ველოდები ინფორმაციებს – პა დღეს ან ხვალეო, მიხვალ წლების შემდეგ ოჯახში და ასეთი პასუხით გამოგისტუმრებენ: მეტი საქმე არ გაქვს, რას წვალობ, ვიდას ჭირდება წიგნი, ვინდაა წამკითხველიო. ის არ იციან, ასეთი პასუხით რარიგ მტკუნენ გულს! წამოსვლისას კი მომაძახებენ – ყავა მაინც დაგელიაო!..

მადლობა ღმერთს არა ვარ მათნაირი აზროვნების, ვერც გაუმტკუნებ ვინმეს – დრომ მოიტანა ყოველივე, მაგრამ ისევ უნდა განვაცხადო – საქმის მიტოვება არასოდეს მქონისა გულში და ამიტომაც თითქოს დავასრულე ნაშრომ-ნადგაწი.

წინამდებარე ნაკვლევის აფ-კარგს კი შემფასებლები ნამდვილად ეყოლება და შავ-თეთრს მომავალი გამოაჩენს.

სარჩევი

| | |
|--|-----|
| 1. ავტორისაგან | 3 |
| 2. შესავალი | 4 |
| 3. სოფელ საღმრეულის მოკლე მიმოხილვა | 6 |
| 4. განათლება 1920-იან წლებამდე | 12 |
| 5. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია | 52 |
| 6. სოფელი პირველი მაისი და სკოლა ომის წლებში | 104 |
| 7. 1950-იან წლებამდე სკოლა და ქოხსამკითხველოები მხარ- დამხარ | 116 |
| 8. მასწავლებლები, რომლებიც მოღვაწეობდნენ სკოლის დაარ- სებიდან 1950-იან წლებამდე | 128 |
| 9. პირველი მაისის სკოლა 1950-1970-იან წლებში | 131 |
| 10. დაწყებითის გამგე-მასწავლებლები, 7-წლიანის, 8-წლიანის და საშუალო სკოლის დირექტორები | 160 |
| 11. მასწავლებლები, რომლებიც მოღვაწეობდნენ 1950-1970-იან წლებში | 162 |
| 12. ოჯახი, სკოლა, აღზრდა | 163 |
| 13. რას მიაღწია პირველი მაისის სკოლამ | 192 |
| 14. მასწავლებელთა სია, რომელიც მოიცავს 1970-2013 წლებს | 193 |
| 15. დამატებანი: მოიცავს სხვადასხვა ათწლეულებში რომელიმე წლის მონაცემებს პირველკლასელთა და სკოლადამთავრე- ბულთა შესახებ | 196 |
| 16. ნაწილი მეორე | 208 |
| 17. ეპილოგის მაგიერ | 356 |
| 18. ეპილოგი | 364 |



გამომცემლობის რედაქტორი: რუსუდან მეგრელიშვილი

ტექ.რედაქტორი და კორექტორი: მაია სამნიძე
ოპერატორი და დამკაბადონებელი: მედეა ზოსიძე

წიგნის სპონსორი: შპს „ხახუტა“

ხელმოწერილია დასაბუჭიდად 15.12.2014
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 23
შეკვეთის №529

ტირაჟი 100

ფასი ხელშეკრულებით

დაბადება შპს „კოლიგრაფ 2010“

ბათუმი გენ.ა. აბაშიძის 1 ჩიხი სახლი 48

